114
1975/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

114/3

97

7

1975

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე. № 7 ივლისი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

დილარ ივარდავა — ლექსები . . . 3
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება . . . 13
მედეა კახიძე — ლექსები . . . 59
რევაზ მიშველაძე — ნოველები . . . 62
ანზორ აბულაშვილი — ლექსები . . . 79
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . 83
მირიან მირნელი — ლექსები . . . 103
გიორგი შეთეკაური — ლექსები . . . 106
გურამ პეტრიაშვილი — ზღაპრები . . . 108
იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ფაუსტი. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანელმა . . . 116

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვლადიმერ მაჭავარიანი — ნუ აჩქარდებით! . . . 128
ნოდარ რუხაძე — მორალური სამსჯავროს წინაშე . . . 135
ლერი ალიმონაკი — პოეზიის მაგნიტური არე . . . 150
შალვა ჩიჩუა — რომანის დრო — ფორმისეული და იდეოლოგიური ფენომენი . . . 162

### ქალთა საერთაშორისო წელიწადი

ივ. სურგულაძე — ქართველი ქალი და ჩვენი ისტორია . . . 171

### ფაქტები, მოგონებანი

ნ. ჯავახიშვილი — ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. გაგრძელება . . . 178

### წიგნების მიმოხილვა

ი. ანთელავა — ჟან შარდენის ცნობები საქართველოზე . . . 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. სქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 27/V-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VII-75 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 00047. ტირაჟი 14.500. შეკვ. № 2192.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1975 წ.

ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

# ᲜᲘᲐ—ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

აქ, ზამთრის ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჟამთა სვლა თეთრადაა გაქვავებული, წევს ქათქათა ტაიგა და ტუნდრა, რომლის სამ მეოთხედზე მეტს ადამიანის ხელი ჯერაც არ მიჰკარებია.

მეცნიერები, სწავლულები თეთრად ათენებენ, რათა გადაწყვიტონ სმოგისა და ტერაციდის პრობლემა; გადაწყვიტონ ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების პრობლემა; გადაწყვიტონ ჟანგბადის უკმარისობის პრობლემა; და... ვერ ჩამოთვლის კაცი, იმდენი პრობლემის წინაშე დგას მეოცე საუკუნე. აქ უდიდეს როლს შეასრულებენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უზარმაზარი ტერიტორიები. და აი, ჩვენმა პარტიამ კარგა ხანია დიდი მუშაობა დაიწყო ამ საუკუნეებით ნახვენი მიწებისა და წიაღისეულ სიმდიდრეთა ასათვისებლად. ხოლო შარშან, აპრილის თვეში, კომკავშირის XVII ყრილობის დარბაზიდან ასობით ახალგაზრდამ პირდაპირ ბაიკალ-ამურისაკენ — „საუკუნის მაგისტრალის" მშენებლობაზე გასწია.

სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად ბამ-ზე საქართველოს შვილებიც ღირსეულად შრომობენ.

შარშან, დეკემბრიდან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მივლინებით ორი თვე დავყავი ამ გიგანტურ მშენებლობაზე; თუ რა ფიქრები განმაცდევინა ჩემთვის ამ მეტად საჭირო მივლინებამ, არაფერს ვიტყვი. უმჯობესია, ამის შესახებ თავად ლექსებმა ილაპარაკონ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

## ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲖᲔ

ახლა ფერებს
როცა ფერი არ აკლია —
მოგონება თქვენზე
ცოცხალი და მარადია.
ვარ აქ, ციმბირში და...
ვამბობ არაკია,
ეს თქვენი ცხოვრება —
მჟღერი ზურის ზარადია.
წკრიალებენ არა
ბროლების ჭაღებად,
როდია ბალ-ზეიმით
თვალშემაქცევარი.

რწმენა და იდეაა —
არის ცის ბჭის გაღება —
მართალი სიცოცხლეა,
მართალი სატევარი!
ცხოვრებას როგორმე
ყველა მოაწყობდით,
რისი გჯეროდათ იმას თუ
დათმობდით,
მაგრამ სიბნელეს
ზღვსივით მოაპობდით
და გზას გინათებდათ
რწმენის მნათობი.

ვინც დარჩით ძეგლებად
დაზაფრულ მინდვრებზე,
ვისაც ტანზე შეგრჩათ
ყინულის აკვანი,
ო, მათზე მარადი
სიმღერა მინდება —
იმ თავგანწირვისთვის
თაყვანი,
თაყვანი.

თუ ზოგჯერ
ბრძოლების ქინია დამცხრალი,
თქვენ ისევ ბობოქრობთ
მერმისის აზრებად,
თქვენა ხართ,
თქვენა ხართ
ის ნაღდი მარცვალი,
რაც აწიც მარადიულ
ყინვაში არ ზრება.

## ჭოლა ლომთათიძე მელანდება

ორმოც გრადუსს ააღწია ყინვამ,
ჰაერი კი
წკრიალებს და ბოლავს,
ისმის ტყეში ფიჭვის ხეთა გმინვა
და ქარბუქი
ორმაგ სარკმელს მსჭვალავს,
ვხედავ ამ დროს,
ვით გრძნეულის ხილვა,
სასტუმროში მეცხადება ჭოლა.
დაგლეჯილი ტანსაცმლით და ქუდით,
გაბურძგნული წვერითა და პენსნით,
მოჟღრიალე,
დაჟანგული ხუნდით,
წინაპარო,
შენი ხმები მესმის.
დატანჯულო,
წამებულო ჩემო,
ყიამეთში გადმოეშვი როდის?
რა მწკლარტე აქვს
წუთისოფელს გემო,
რა მძიმეა ის —

სიზიფეს ლოდი.
თუმც გზა იგი
გაგივლია სწორად, —
ხალხს მსახურობ
უნაღდესი სიტყვით,
ეს ჭლექი და
ეს ხველება, ჭოლა,
გაცრეცილი სახე —
თეთრი მიტკლის,
თან გაჰყვება საუკუნის კივილს,
ვითარც ხვედრი
გულმართალი კაცის...
იმედების გაგფანტვია ტივი
და დგას შენთვის
კვლავ გოლგოთა ჯვარცმის.
თუმც ბოლომდე,
შენ ბოლომდე მაინც
აიტანე ზმანებები ავი, —
უსათუოდ
ამ მომავალ მაისს
მე მოგიტან ტაიშეტურ ყვავილს.

## ევდოშვილი ვოლოგდაში

სუსხიანი ოქტომბერი მოდის...
იქ, ბოდბეში, მაჭრობაა, ალბათ,
ალაზნის ველს
თუ იხილავ, როდის?
ცრემლის ცვარით
ციმბირის გზა დალბა.

მაინც რაა,
ღმერთო ჩემო, წყევლა?
დარჩა ვინმე უციმბიროდ იქა?
აქეთ მოჰყავთ,
ვგონებ, აქეთ, ყველა,
რომ ბოლომდე ამოუშრონ

საქართველოს ჭიქა.
იროდიონ,
შენი დრტვინვაც მესმის,
ვოლოგდისკენ მოჯახირობს
შენი ბედის ეტლიც.
პატიმარი პოეტი და ლექსი, —
ეს სურათი
ხომ ყველაფერს გვეტყვის.
„მეგობრებო, წინ, წინ გასწით!—“
ბარიკადზე რატომ,
რატომ ყვიროდიო, —
იმ მართალ გზას,
ჩვენებურო, სისხლი აწვიმს,
სიმართლემდე შორი გზაა, იროდიონ!
მაგრამ ლექსმა და პოეტმა თუკი,
არ გაავლეს ეს საჭირო გზები,
არ შემოვა სიბნელეში შუქი
და ვერ ვივლით,
წინ ვერ ვივლით გზნებით.
ციმბირი ხომ მოწამეა მრავლის,
დაკეცვია ფრთა აქ
უთვლელ არწივს!...
გვესმის შენი მოწოდება მძლავრი:
„მეგობრებო,
წინ, წინ გასწით!“

## დგას მურომეცად

თოვლის ძაფით და
ყინვის ნემსებით
კერავს ზამთარი ქათქათა კაბას, —
დგას მურომეცად რესეფესერი —
ტანზე იმატებს ქალაქზე ქალაქს,
დაბაზე დაბას,
არც ერთი წუთით,
არც ერთი წამით
აღარ ასვენებს მოუღლელ მაჯას,
დღითა და ღამით,
დღითა და ღამით
გადაქცეული
შრომად და გარჯად;
ლიანდაგების,
გზატკეცილების,
ლაინერების ფილტვებით სუნთქავს,
უპირველესად თავის შვილების
სამადლობელი საქვეყნოდ უთქვამს.
აქ ახლა,
სადაც ტაიგის სტვენა
მოისმის,
როგორც შრომის აკორდი,
მე ვნახე თოშში
ელვარე რწმენა,
და კიდევ ვნახე, რასაც ვნატრობდი;
ვნახე ხელები მშრომელთა კაცთა
და რომანტიკა პირველყოფილი,
რომელიც უთვლელ
ქარტეხილს გაცდა,
თავის სახით და
მძლავრი პროფილით;
თიბათვის ვნებით მოვიდა დღემდე,
მოვიდა ვნებით როგორც მდინარე, —
რაც კი ჩვენ სისხლით
დროშები ვღებეთ,
რაც ჩვენ გრიგალთა
გზებით ვიარეთ —
ახლა დრო დადგა
მხოლოდ შენების,
გვწყურია უფრო და მეტი გვინდა,
დღეს იისფერი
სისხლის ვენებით,
ჩემი თაობაც
გასულა მინდვრად.

## ბ ა მ ი

ბაიკალი, ამურეთი,
ერთი სიტყვით —
ბამი,
ანგელოსის ტანი თეთრი,
წევს დღითა და ღამით,
დაუმცხრალი, უწინ მშვიდი,
იწვის შექმნის ვნებით,
მაგისტრალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა თუ ხიდი,
მკერდგაფატვრა მთების —
რანაირად ჩვეულებრივი
გახდა ყოველ წამით.
საუკუნის მძლავრი ფრთებით
აშრიალდა ბამი.
ადრე გმირთა საპყრობილე,
ტრფობის ჰანგებს ისევს, —
ტრფობის ჰანგად
თავის შვილებს
უსმენსა და ისმენს.
ყველაფერი გასაგებად,
ნათელია ამით,
რა იმსხვრევა,
რა იგება,
რაზე ფიქრობს ბამი.
ადრე მარტო თუ ნადირთა
შეაკრთობდა ჩქამი,
დღეს სიცოცხლეს
იწყებს მითად
და ლეგენდად ბამი.
ბამი ახლა ზღაპარია,
ზღაპრულ ხომალდს მართავს, —
აქ, ხომ ნაღდად მართალია,
საოცრება მართლაც.

## ორი ლირიკული გადახვევა

I

კრიახია თუ
ჩიტების სტვენა,
გათოშილ რტოებს
აკვნესებს ჭირხლი,
გამეგებოდეს ტაიგის ენა,
ან მთვარე ასე
თავს რაზე მიხრის.
ხომ შევიგრძნობდი
ბედნიერ წამთა
მიმოქცევას თუ
გარდუვალობას,
საოცარ ფახულს
ფიჭვის წამწამთა.
მათ ტანკენრობას და
თეთრ-ქალობას,
აქ ყოველ ბგერას
აქვს თურმე შიფრი
და დათოვლილი
ნაძვების რიგი,
მატარებლიდან
იმგვარად მიქრის,
როგორც ფურცლები
ახალი წიგნის.

II

თეთრი,
თეთრი სამოსელი
არის ზღაპრის თეთრი ქაფი, —
მდუმარების თეთრი ველი,
თეთრი სიზმრით,
თეთრი აფრით
მოჰქრის ჩემსკენ, —
სიფაფუკე
უცვლელია მარადისად,
როგორც სიყრმე, სიჭაბუკე,
ან აკვანში ხილვა ყრმისა,
ანდა ნაკადულის ჩქერი,
როცა მოხტის კრავის გუნდად,
ანდა გული, როცა მღერის
და პირველი ტრფობა უნდა;
ისეთია ყველაფერი
ახლა მხოლოდ
მათ ჩქამს ერთვის,
ნაძვის ხეთა თეთრი ტევრი
როგორ არის,
მართლაც თეთრი;
და გაფრენა თუ გწადია,
გამოისხი ფრთები ველის, —
რა წმინდა და დიადია,
სულ პირველი
სულ პირველის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თხუთმეტი კარგი ქართველი

თხუთმეტი კაი ქართველი,
კაი ყმა —
რიხით, ჯინსით,
თხუთმეტი თვალებნათელი,
შავლეგ, შავტუხა ბიჭი.
ტაიგის უღრან წიაღში,
ტრანზისტორების ღრიალში,
მყვინთავთა შალის შარვლებით
და მონღოლური ქურქებით,
სქეეყნო საქმეს შებმიან, —
ნზე იყოს
თქვენი მფარველი,
ბიჭებო, ახლა უკლებლივ, —
რადგანაც შრომა ფრთებია.
ამ ტრანსციმბირის
მაგისტრალს
საგმირო საქმით ანათებთ,
თუ ზოგჯერ ყინვა აგიტანთ,
დედათა ლოცვა გფარავდეთ.
სამშობლო —
ზვერის მნახველი
თქვენს მაჯისცემას
უგდებს ყურს,
სამშობლოს თქვენი სახელი
იყოს პირველი — ესა სურს.
ხმა თქვენი პირველ ეშელონს,
პირველ სიცოცხლედ ედება,
ეს წინსვლა ნუ მოგეშალოთ,
ეს რიტმი,
შემოქმედება.
ზვიოზდნს, თუ ტინდას ტაიგას,
ჰყავდეთ ჩაუქრობ მთიებად,
მაგრამ თქვენც
გყავდეთ ტარიგად
ქართული წვა და ძიება!

## გესიზმრება იმერეთი

ინჟინერ ანზორ ლილუაშვილს

შენი ეზო,
შენი შუკა...
გესიზმრება იმერეთი —
დაგიხატავს ჩვენი რუკა,
ზედ დაგისვამს ვაზის ღმერთი;
თითქმის წელი გაფრენილა,
არ გინახავს შუა გორა,
გახსოვს შენი სოფლის დილა,
ცისფერ ნისლით ისევ ბოლავს.
მამაშენიც,
ჩემო ანზორ,
შენზე ფიქრში ჩაძირულა.
— იყოს ზვიოზდნი აქვე, —
ბრაზობს, —
ან რიონთან,
ან ძირულას;
მოხუცს რაღა გამაჩერებს
დავრჩე შვილის უნახავად,
მაგრამ რა ვქნა, ეს სიბერე...
არ მინდა და...
გავხდი ავად.
... ჩემო ანზორ!
არ გჭირდება ვინმეს თხოვნა,
შენ შენი გზა უკვე ნახე
და გარდაცვლილ დედის ხსოვნას,
მწამს ანახებ
მხოლოდ სახელს.
გავამხილო?
ქუთაისი გესიზმრება,
(ესიზმრები იქ ერთ ასულს),
რა ვქნათ, როცა ასე ხდება,
არ ბარდება ტრფობა წარსულს,
... იცი ძმობა,
შრომის ყადრი,
შენი გულის ვიგრძენ სითბო, —
ვნახე ზვიოზდნში კაცი ნაღდი, —
არა გჯერათ?
წაბრძანდით და...
ნახავთ თითონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ციმბირული სიმღერა

ძიმ-ძიმ,
ძიმ-ძიმ,
ძიმ-ძიმ,
ძიმ-ძიმ, —
ქღარუნებენ ცხენები —
განშორება შენი მიმძიმს
და დღეს კვლავ გახელებით
გავაქროლოთ მარხილები —
ჩვენი სევდის დღეები
დღეებზეა დახრილები,
ვით ლენაზე ტყეები;
ნუგეშო და
მწუხარებავ,
გშორდები და, ვაიმე,
ფანჯარაზე ვარდი ხმება
და იღონე რაიმე.
ცაზე ვარსკვლავთ კრიახია,
ნეტავ, ვისი ბრალია?
მე ხომ გული მივახიე
შენს მოღობილ გალიას,
სად მარადის ფართხალებს
შენი სულის ნათება, —
ბარემ დღეს გამათავე —
ეს რაღა მემართება?
— ვერა!
ვერ მიგატოვებ, —
წკარუნებენ ზარები,
რადგან მე სიმარტოვედ
ვერსად გავემგზავრები,
ქარში — ცხენთა ფაფრები —
ლეგა ღრუბლის ნახევი
უფრო მეტ გამძაფრებით
გაშლილან, ვით მახენი
და ზედ ყველა ნუგეში
მსურს გავაბა ჩიტივით, —
ზამთრის გულთეთრ უბეში
ძველ სიყვარულს მივტირი.
ძიმ-ძიმ!
ძიმ-ძიმ!
მარხილები
წკარუნებენ ქარშია, —
გული თრთოლით,
ახირებით
მარტო შენთვის გამშლია.

* * *

კატასტროფაში დაღუპული ინჟინრის
ვალოდია ვოლკოვის ხსოვნას

მთელი სამყარო
მინავლდა მასში,
გაქვავდა სისხლის
ძარღვებში დენა, —
წევს თეთრი,
როგორც ყვავილი ვაშლის
და ხეებს მალე
დაუვლის წვენად.
რა ვალი ჰქონდა,
ან რა კავშირი,
ამ სამყაროსთან
იცის არავინ, —
ყველაზე ნაღდი
და მხარგაშლილი,
ყველაზე წრფელი,
დაუფარავი,
ახლა ეკუთვნის
ცასა და მიწას —
წვიმების დელგმად,
ღრუბლის ფოფინად, —
თოვლის ლოგინზე
იმგვარად მიწვა,
თითქოს არასდროს
არცა ყოფილა.

## ნია-გრუზინსკაია

*ქალაქ ნიას ქართველი ახალგაზრდები
და სპეციალისტები აშენებენ.*

სადაც ვდგავარ და...
ეს ჰორიზონტი
გასროლილია ბერდანის ტყვიად,
სად ენისეი,
ვით ოქროს ზოდი
ბრჭყვიალებს,
ხოლო ნაპირზე ყრია
მოთმინების და
ხსოვნის ლოდები,
ხვალ, ზეგ,
მე ვიცი, ქალაქი ნია
აშენდება და...
დაველოდებით
ახალ სიცოცხლეს —
ციმბირის წიაღ,
ქართული ვნებით, —
რწმენით ოდენით,
აღორძინდება და ქართა წიაქს
აახმიანებს სულ სხვა ნოტებით
მე უკვე ვხედავ
იმ ახალ ქუჩებს,
მე უკვე ვხედავ
იმ ახალ სახლებს
და მიწას
ჯერაც, საქმისთვის უჩვევს
ვუძებნი ახლა
სულ ახალ სახელს.
აქ სასახლეებს
ჩუქურთმა ვაზის
ჩაეწნება და
თვით ვაზი, მერე
სისხლს აამღერებს კახელის, ლაზის...
ვიცი აქ
ქართულ სისხლს აამღერებს.
გავა წლები და მემატიანე
მიაკვლევს ივერთ ხაზებს და ფერებს —
იტყვის:
თუ ქვეყნად ტრფობა ტრიალებს —
შენც დაჯექი და
ტრფობაზე წერე.
ვდგავარ და ვისმენ
ტაიგის ძახილს,
მომავლის ფიქრით წელგამართული...
და ვხედავ ქალაქს —
სიმაღლეს ახლის
და ეს ქალაქი,
ვიცი ქართული
იქნება მუდამ, რადგანაც იგი,
დაიწერება ჩვენივე ოფლით, —
ქართული შრიფტით,
ქართული წიგნი
ნეტარებაა ამ წუთისოფლის.

## საუკუნის მაგისტრალი

ლიანდაგის ორი ხელი
ხიმინჯებზე გაწვება
და ტაიგის ვრცელი ველი,
დაღვენთილი ნაძვებად —
მარადიულ თვლემიდან
მალე გამოფხიზლდება, —
იდეიდან,
თემიდან
ჩვილ ყრმასავით იზრდება;
საუკუნის მაგისტრალი
მალე, როგორც ზღაპარში,
წკრიალით და რვალის ტანით,
სიამაყით მხარს გაშლის.
მხარს გაშლის და, ერიჰა,
იგუგუნე, თაობავ,
შენც იქ ხარ და...
მღერიხარ,
სადაც გამბედაობა,
საჭიროა სისხლივით,
სამშობლოსთვის საჭირო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრი რწმენის
მზის ხილვით —
ტაიგაში გაჭრილო,
ქალაქები, სოფლები
შენი ხელით იქარგება,
პირმშოვ,
წაღდი ოცნების,
არაფერი იკარგება;
იყოს რწმენის მისხალი,
დღეებს ოქროდ შეკერავ
და მეც ყველგან **ვიცანი**
შენი გზა და ხელწერა.
იგუგუნე მარადის,
ნურც მენახე მძინარე,
კომკავშირო,
გფარავდეს
შექმნის,
ლტოლვის მდინარე.
თავდადება მამების
არ ჩაგექროს წამითაც
და მერე კი იამაყებ
შენ,
უთვალავი ბამითა.
რამდენიც გსურს, აშენე,
ხვალის ვნება გიღელავს,
შენ დღეს რა შეგაშინებს —
ხარ სიცოცხლის სიმღერა.

## აქ, ციმბირშიაც

სად იწყება,
სად მთავრდება ზღაპარი...
სად იწყები შენც,
მშობელო ჩემო?!
სისხლში მღერის,
სისხლში პაპის-პაპანი, —
რა ნედლია სალამურის ღერო.
მოვდივარ და...
არ თავდება ველი,
მოვდივარ და...
არ მშორდება მთები,
რა ნედლია სალამურის ყელი —
თუ დაუკრავთ...
მისი ჰანგით ვთვრები.
რა სითეთრე,
სიანკარე ყოვლის,
აქ ტაიგა
პირველ ვნებას ელის,
თოვლი,
თოვლი,
უსაზღვროა თოვლი...
ეს სიწმინდე ყველას, ყველას შველის.
იგუგუნე, პურგავ, იგრიალე,
შენ სული ხარ
ამბოხებულ რუსთა
და ციმბირის ახალი გზა მალე
ყურს მიაპყრობს
შენს დაზაფრულ სუნთქვას.
შენდება და აშენდება ბევრიც,
უფრო მეტი,
უფრო მეტი, ასე!
ნაძვის ხეთა,
ფიჭვის ხეთა ტევრი
ჭაბუკების ხმებითაა სავსე.
სადაც გდია მდინარეთა ცელი —
ხვალის ქალაქს
დღეს ვხედავთ და ვუსმენთ...
რა ძლიერი,
რა მაღალი,
ვრცელი
დაკუნთული მხარ-ბეჭი აქვს რუსეთს.
საქართველოვ,
სამშობლოო მზეთა,
საქართველოვ,
შე უკვდავო ლომო!
შენ, გამზრდელო
ბოკვერთა და ლეკვთა —
აქ, ციმბირშიც
სასახელოდ შრომობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოსკენ

მოვწყდით მიწას და...
ჩვენ ასე ნელა,
ცის ლაჟვარდებში
გავშალეთ ფრთები, —
ილუმინატორის სარკმელთან ელავს,
ეგზიუპერის თავთუხის თმები.
არა!
აქ არ ვარ
ცისა და მიწის,
ზღაპრულ ხილვათა
ვარ ბინადარი,
დღეს ყველაფერი
კვლავ გულში იწვის,
როგორც მარტენში
იწვის მადანი.
და მაღლა, მაღლა!
მფრინავო, მაღლა!
სადაც გზებია
კოსმონავტების —
შეიკრას ლტოლვად,
ზეციურ ტალღად
წადილი იგი —
ვნება პანტერის.
მაღლა,
სულ მაღლა,
მერწმუნეთ, უფრო
ამგვარად ვიგრძნობთ —
სიმყარეს მიწის,
კაცი,
ოცნება და ტრფობა უფრთო
რა არის?
— ბოლავს და აღარ იწვის.

# ბოლოსიტყვაობის მაგიერ

არა და არა!
არ იპოვება —
მეტი იმედი,
მეტი დანდობა,
მეტი სიმღერა,
მეტი პოემა,
ვიდრე შენა ხარ,
ახალგაზრდობავ!
ვიდრე შენ სუნთქავ —
სუნთქავს სამყარო,
ვიდრე შენ ხედავ —
ფერები ღელავს,
საქვეყნო საქმეს ვინღა გაგყაროს:
დაზგასთან,
შახტში,
წიგნებთან,
ველად.
სიცოცხლე იგი, გიყვარს,
გწყურია,
ისე მიჰყვები კოსმოსურ კიბეს,
სადაც ფეხს დაჰკრავ — გაზაფხულია,
სიყვარულია კიდევ და კიდევ.
თუ გსურს, მოქარგავ
ტუნდრებს, ტაიგებს, —
ხევებს დაუვლი აპრილის წვენად.
ბევრს ამოხსნი და...
კიდევ გაიგებ,
რა შეუძლია უმაღლეს რწმენას.
ეს შენ აშენებ
გზებს და ქალაქებს
და „საუკუნის მაგისტრალს", ვიცი,
მალე ციმბირში ალაპარაკებ,
რადგან სამშობლოს
მიეცი ფიცი.
შენი სიტყვა კი
სიტყვაა მართლაც,
პირდაპირი და შეულახველი,
თუ დღეს პატარა
ხომალდებს მართავ,
ვიცი მე შენი
ხვალის სახელიც.
სისხლო, ბრდღვიალავ,
დაუოკები
არის ეგ სწრაფვა,
აღმა დინება,
შენ იმქუხარებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ არ მოკვდები,
რადგან ეს მზემ და
მიწამ ინება.
რადგან შენა ხარ
ღმერთების ტოლი —
შემოქმედება და შემართება,
რადგან შენა ხარ
დღეს,
პირველ ყოვლის,
შენი სამშობლოს
თვალთა ნათება.
შენ ყველგანა ხარ,
ყველგან საჭირო,
როგორც სიმწვანე,
როგორც ჰაერი,
ხარ სასიკეთოდ
ველად გაჭრილი,
რადგან სიცოცხლე
გაგრძელდეს უნდა.
სუნთქვა იქნები,
რწმენა იქნები,
იქნები ქრისტე,
შივა და ბუდა.
არა და არა!
არ იპოვება —
მეტი იმედი,
მეტი დანდობა,
მეტი სიმღერა,
მეტი პოემა,
ვიდრე შენა ხარ,
ახალგაზრდობავ!

უსტ-კუტი, მოსკოვი, თბილისი.
1974-75 წ.წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

# შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

## I X

— თვითონ გენერალი ნასლედნიკოვი მოდის! — იჭექა ბოჟენკომ, როცა ტელეფონის ყურმილი, სამჯერ დაცილების შემდეგ, კაკვზე ძლივს ჩამოკიდა, — რა ეშმაკად მინდა მე „თვითონ გენერალი“?! — მაიორი, უკვე მოწმენდილ იატაკზე გაიჭრა და ოთხ ნაბიჯზე კედელს მიასკდა, ისედაც მორჩილა ოთახი ასე ხმამაღლა ლაპარაკმა და ენერგიულმა ნაბიჯებმა ერთიორად დააპატარავა.

ყვირილმა: „გენერალი მოდისო!“ — კედლის მთელ სიგრძეზე მიდგმულ გაურანდავ ახალ ძელსკამიდან ფეხზე წამოჰყარა — კომისარი საპოჟნიკოვი, უფროსი ლეიტენანტი ნერსესიანი და კაპიტანი ხვასტუნოვი.

ხვასტუნოვი ყველაზე ბოლოს, წელისწყვეტით წამოდგა და გალიაში გამოკეტილ შიმინოსავით კედლებს მიწყვეტილმა მაიორმა რომ ჩაუქროლა, მარჯვენა თეძოზე ხელი იტაცა.

— მე ლურსმანს ვთხოულობ, ლურსმანს და „თვითონ გენერალს“ მიგზავნიან, მე კი ლურსმანი მჭირდება, ძმაო! — ტელეფონთან გაჩერდა ბოჟენკო, — გითხარი თუ არა?! — დაიჩემა ლურსმანი და აღარ მოეშვა, თითქოს ამის გარდა არაფერი ჰკლებოდეს და მეტი არაფერი მოეთხოვოს.

— ლურსმანი გამოგვიგზავნეს, კირილ სტეპანიჩ! — ორაზროვნად თქვა საპოჟნიკოვმა: იმათ ჰგონიათ გამოგვიგზავნესო, და ჩვენც, რაცა გვაქვს, იმით უნდა გავიდეთ იოლადო.

— შენ დროშები გინდა! — შეახსენა პოლკის მეთაურმა, მის წინ წამით შეჩერდა, მაგრამ მაშინვე სიარული და ლაპარაკი განაგრძო, — რად მინდა, მტკაველნახევრიანი ლურსმანი, რაში გამოვიყენო? — ძელსკამს ერთ თავში დასწვდა, შუა ოთახში გამთათრია, — აი შეხედე, შეხედე, საპოჟნიკოვ, სადაც დავაჭედეთ, იქვე ორად გაიპო ნედლი ფიცარი. ეს კიდევ რაა, ფიჭვია. აი, არყის ხე ნახე შენ, ოთხად გასკდა. ამსიგრძე ლურსმანი არც მინახავს! — ძელსკამს თავი ანება და მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებზე დაყრილ ერთ მუჭა ლურსმანს ხელი წამოუსვა, სამივეს თითოთითო დაურიგა, — სიგრძე — სიგანეა. ასე მსხვილი ლურსმანი თუ გაგიგონიათ?!

— ამის დამზადება ვისაც ევალებოდა, გადიდებული გეგმა ჰქონია შესასრულებელი... — ხაზგასმული კავ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

კასიური აქცენტით, მაგრამ დაუმახინჯებელი რუსულითა და საქმიანი ირონიით ახსნა ნერსესიანმა, — ეს ერთი ცალი ათ ჩვეულებრივს იწონის.

— სწორედ ის ათი ჩვეულებრივი მჭირდება! — ჩაღუნულ ცხვირთან მიუტანა მაიორმა ხელში შერჩენილი ლურსმნები და გატრიალდა, — თვითონ გენერალი მოდის!..

— დროშები... — ისარგებლა ბოქენკოს წამიერი დუმილით საპოჟნიკოვმა, — მაგრამ... — მაშინვე დაწვდა, აიღო და ახლა კომისარს მიუტანა მაღალ ცხვირთან, რომელიც უფრო ნერსესიანს შეშვენოდა, ვინემ მის პატრონს, — ეს რომ დროშის ტარს დავაჭედოთ, ხომ ნაფოტებად აქცევს.

— გვერდზე მივაჭედებთ, ამხანაგო მაიორო, და ტარზე გადავღუნავთ... — თვალები შემრიგებლურად მოწკურა საპოჟნიკოვმა: ასეთი რამ ახლა კი არა, მშვიდობიანობის დროსაც, მომხდარა და გამოსავალი გვიპოვნიაო.

— დროშის ტარს გადავღუნავ, ამხანაგო კომისარო! — არ დანებდა ბოქენკო, — მაგრამ ის, ერთმანეთზე შეკოლიკებული ნარები რომ ჩამოინგრევა? თხელი ფიცარი და ამოდენა ლურსმანი?.. იმ შენს სამზარეულოს ქარი რომ მდინარეში გადააგდებს...

ხვასტუნოვმა, რაღა ამ წელში გამდგარ წელკავს მოვუკლავარ და რაღა მაიორის რისხვასო, ძელსკამი კედელთან მიაჩოჩა, დგომა და გაჯგიმვა მერეც მეყოფა, გენერალი რომ მობრძანდებაო, და ჩამოჯდა...

— ამით რაიმეს აშენება შეიძლება?! ეს რკინის კეტია! — ორი თითი ლურსმანს გაბრტყელებულ ბოლოში მოკიდა, სადაც მახვილი წვერი უნდა ჰქონოდა და მაღლა დაიჭირა ნერსესიანმა: რასაც ვამბობ აი, დაინახეთ თუ სიმართლე არააო.

— ეს რაა, იარაღი, ტყვია-წამალი, ტანსაცმელი და...

— აბა ახლა მართლა ლურსმანზე ხომ არაა საქმე! — გააწყვეტინა საპოჟნიკოვს წელმოწყვეტილმა, ჭაღარა შეპარულმა ხვასტუნოვმა.

— მაგრამ, ამხანაგო ხვასტუნოვ, საუკეთესო ფრონტზე მიდის!

— ლურსმანიც! — იჭექა ბოქენკომ.

— ლურსმანიც, ჩექმაც და ზარბაზანიც.

— როცა წინ წავალთ, კი, საპოჟნიკოვ, ლურსმანიც დაგვჭირდება, ხერხიც და ნაჯახიც, რომ მტრის დანგრეული და დამწვარი ხიდი გავმართოთ, მაგრამ ახლა, როცა ხიდებს ჩვენ ვანგრევთ და ვწვავთ, როცა ჯერჯერობით უკან ვიხევთ, ლურსმანი რა, შუბლში დასაჭედებლად გჭირდებათ?

— შუბლში დასაჭედებლად კარგი იქნება, — ისევ საქმიანი ირონიით შენიშნა ნერსესიანმა და თითქოს ფანქარივით ჩამოდებას აპირებსო, ყურთან მიიტანა, მიიზომა, შუბლიდან კეფამდე ხომ გაწვდებაო.

— მაგრამ მაინც საქმეს უნდა მივხედოთ! — წელი აითრია კაპიტანმა ხვასტუნოვმა, თუ მე ახლავე გზას არ გავუდექი, მაიორივით დათოხილი ჯირითი სად შემიძლიაო და კარებისაკენ წავიდა.

— საქმეს უნდა მივხედოთ! — ლურსმნები ახლა ოთახის კუთხეში ძელსკამის იქით მიყარა, — მეთაურთა შემადგენლობა შეკრიბეთ, ხუთწუთიანი თათბირი გვექნება. ამხანაგო საპოჟნიკოვ, როგორმე ხელოსანთა ბრიგადას ნუ გამიცდენ, შეაგროვე შენი ბიჭები და საქმეს მიხედე. ჯარისკაცი ისაა, წასაგებ ომს რომ მოიგებს. შენ, კაპიტანო, ეგ წელი... სანიტარულ ნაწილში რომ შეგევლო.

— აპა-პა! — ხელები გაასავსავა ხვასტუნოვმა, — იმათ ახლა ვერ გავუვლი, იმ მხარეზე ვერ გავიხედავ.

— შევრეკეთ ცარიელ ოთხ კედელში და მივუხურეთ კარები!

— როგორადაც მოვაწყვეთ, იმნაირად გვმკურნალობენ. — მაიორიდან კაპიტანის გათრეულ წელზე გადაიტანა მზერა ნერსესიანმა და ერთმანეთზე

გადაბმულ, შავ, ჯაგარა წარბებს შორის წყვეტილი გამოუჩნდა.

— იქ კიდევ შეფ-მზარეული... — მოაგონდა ბოჟენკოს, — მაგენს აქ საავადმყოფო და რესტორანი ხომ არ ჰგონიათ, ასწავლეთ სადაა მასალა, თუ თვითონ ვერ აგნებენ!..

— ლურსმნის შესახებ საპოჟნიკოვს მიმართონ, ხომ, მაიორო? — განგებ ხაზგასმული სერიოზულობით იკითხა ნერსესიანმა, რომელზეც მხოლოდ საპოჟნიკოვს გაეღიმა.

— საპოჟნიკოვს?! — ვერაფერი გაიგო ფიქრით სხვაგან გაქცეულმა ბოჟენკომ.

— დიახ, ამხანაგო მაიორო! — შეცბა უფროსი ლეიტენანტი, — რაღაც უადგილოდ ვიხუმრე ალბათო და თვითონვე გაუკვირდა, ეს როგორ დამემართაო.

— საპოჟნიკოვს რატომ, „თვითონ გენერალს“! — მეჩხერ კბილებში გამოცრა აღრენილმა პოლკის მეთაურმა.

X

„ემადინი“ ცხელი მტვრის ფაფაში ცუხცუხით გარბოდა, უკან ისეთ უშველებელ ტალახისფერ შლეიფს ტოვებდა, ბეღურას რომ ფარშევანგის კუდი გამოაბა.

გენერალი ნასლედნიკოვი, შოფრის გვერდით, ღია ფანჯარასთან იჯდა და გათარანებულ ჰაერს ღრმად და გულაზიზად ყლაპავდა.

ნასლედნიკოვი მუდამ „ცენტრისაკენ“ მიიწევდა და მუდამ მოსკოვიდან დაშორებით უხდებოდა ბრძოლა და სამსახური. ახლაც, ფინეთის ომის შემდეგ, სამხრეთით გადმოსროლილ გენერალს კიდევ უფრო სამხრეთისაკენ მიაქროლებდა მანქანა და, მართალია, ის ჯერჯერობით მოსკოვიდან რა მანძილითაც იყო დაშორებული, ისე რჩებოდა, რაკი ამალამ უკან, შტაბში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ეს ერთი დღეც რომ მოსკოვის მიმართულებით წასულიყო და არა პირიქით. მაინც ამის მოსურნე იყო.

აკადემიაში სწავლის წლებს გარდა, მოსკოვში ცხოვრებას ვერ ეღირსა. დაწყებული სამოქალაქო ომებიდან, ცხენოსან არმიას რომ მოხალისედ გაჰყვა, დღემდე დედაქალაქში დამკვიდრებაზე ოცნებობდა.

აკადემიაში ყოფნის დროს კი ცხოვრებას ცხოვრება არ ერქვა. ეს იყო ტანჯვა — ცხენის, ხმლის და თოფის შემდეგ ხელში კალმის და წიგნის აღებას, ლექციებზე გაუნძრევლად ჯდომას და ლექტორების გაუთავებელ ლაპარაკს ისევ უნაგირზე ძილი და მახვილშემართული მტრის ყიჟინა ერჩია, მაგრამ ჯარისკაცული მოთმინებით და იმედით იტანდა, რომ გენერლობამდე მიაღწია და მოსკოვის გულში, სადმე კრემლის ახლო-მახლო დაედო ბინა. მერე დედაქალაქში ნამსახურს (შეიძლება თავდაცვის სახალხო კომისარიატშიც ეშოვა ადგილი), იქნებ მოსკოვიდან დაშორებით ვინმე თავადის ყოფილი დარბაზი ან აგარაკი მიეღო სამუდამო საკუთრებად, რომლის ახლო-მახლო სულ გადამდგარი გენერლები იცხოვრებდნენ, მაგრამ ყველა ისინი, გარდა ფომა ფომიჩ ნასლედნიკოვისა, ღრმა მოხუცები იქნებოდნენ, მათ შორის მხოლოდ ფომა ფომიჩი ივლიდა წელგამართული, მათზე ახალგაზრდა, მაგრამ რატომღაც მათზე სახელოვანი სარდალი.

აკადემიის დამთავრების **შემდეგ,** რომლის გამოშვებას თვითონ სტალინიც დაესწრო, ნასლედნიკოვი კიდევ უფრო დაშორდა მოსკოვს, კინაღამ მთლად აღმოსავლეთ ციმბირში უკრეს თავი და ძლივს ურალის გადაღმა მოახერხა სამსახურის შოვნა.

განცხადებას განცხადებაზე გზავნიდა სახალხო კომისარიატში, თუ სადმე გამოჩნდებოდა გენერლის შესაფერისი ადგილი, თანახმა იყო ყველგან ემსახურა, ოღონდ ციმბირში არა, მოსკოვში გადამიყვანეთო, ამას რა პირით დაწერდა: მოსკოვი მხოლოდ ნასლედნიკოვის ოცნება კი არ იყო.

ბოლოს. ფინეთის ომიც დაიწყო და

ფოია ფომიჩმა იმ დღესვე აფრინა დეპეშა. ფრონტზე წასვლა მოითხოვა.

„გენერლისათვის ომი ისაა, რაც გლეხისათვის ყანა. სახელს და დიდებას მოვიხვეჭ — და როცა მოსკოვთან მეზობლად მოხუცი გენერლები მეყოლება, მათი ქალიშვილები ერთბაშად ალტაცებაში უნდა მოვიყვანოო“... ფინეთიდან დაბრუნებულს მოსკოვის კარები გაღებული დახვდებოდა, ეგონა.

ფინეთთან გამარჯვება იმდენად ძვირი დაჯდა, ნასლედნიკოვს ეს-და შეეძლო ხმადაბლა ეთქვა: მონაწილეობა მივიღეო.

ომის შემდეგ კი ჩამოიყვანეს დედაქალაქში, უმაღლეს მთავარსარდლობასაც შეხვდა: ვოროშილოვს, ტიმოშენკოს და თვით სტალინსაც, რომელიც ჩექმებსა და კიტელში, პრეზიდიუმის იქით მიდი-მოდიოდა პირში გაწყრელი ჩიბუხით, ოდნავ რომ ასწევდა და მთელი დარბაზი შეაჩერდებოდა. მაგრამ მაშინ ნასლედნიკოვს და ფინეთის ომში გამარჯვებულებს ის ჰკითხეს, რა მოხდა, რატომ გაძნელდა ასე საქმე და რა სჭირდებოდა ახლა არმიას კონკრეტულად, რომ თანამედროვე მსოფლიო სამხედრო სტრატეგიულ დონეზე აეყვანათ.

გენერალ-მაიორი ახლა სამხრეთით გაამწესეს, ისევ მოსკოვიდან დაშორებით, და ისევ წლები უნდა გასულიყო ალბათ, რომ შელახული რეპუტაცია აღედგინა და დედაქალაქისაკენ გზა გაეკაფა. ამ ამბავმა ნასლედნიკოვს, არა საბოლოოდ (ის ჯერ კიდევ თავს ახალგაზრდად თვლიდა), მაგრამ მაინც ხელი აალებინა თავის ოცნებაზე.

ახლა აგერ ეს ომი დაიწყო და ისევ გამოცოცხლდა ფომა ფომიჩი. რაც ფინეთის ომში მოუქნელობა და თავდაჯერება, მთავარსარდლის თათბირზე თავიდან გამოუბერტყეს, ამჯერად ერთი-ორად მეტი სისხარტე და სამხედრო გამჭრიახობა მოინდომა, განსაკუთრებით პოლკების ფორმირების და საბრძოლო წვრთნის დარგში. რაკი მოსკოვს, ასე გაათრებული მტრის წინააღმდეგ, სასწრაფოდ სჭირდებოდა ახალ-ახალი შევსება, უმაღლეს სარდლობას ასი თვალი და ყური ება, ამ გაწამაწიის დროს საბრძოლო მზადყოფნაში არმიები, კორპუსები, დივიზიები და პოლკები კი არა, ყოველი ჯარისკაციც ძვირად ფასობდა.

გენერალ-მაიორ ფომა ფომიჩს საქმე ერთი-ორად უნდა დაეჩქარებინა, რომ ამოდენა ქვეყნის ორომტრიალში, მისი სამხედრო ნიჭი და სტრატეგიული შორსმჭვრეტელობა გამოჩენილიყო, თორემ, თვითონ მართლა ერთადერთი გენერალი ხომ არ იყო და შარვალზე ფართო წითელ კანტს მარტო ნასლედნიკოვი ხომ არ ატარებდა.

მის ჯარისკაცს სამი დღის სავალი ერთ ღამეში უნდა გაევლო, ორჯერ მეტი ამტანი ყოფილიყო, ვინემ იმ ძველი გენერლების ჯარისკაცები, რომლებიც მერე ფომა ფომიჩის მაღლობზე წამოჭიმული აგარაკის ირგვლივ, დაბლობებში იცხოვრებდნენ თავიანთი მშვენიერი ქალიშვილებით (რატომღაც არასოდეს მოგონებია, რომ მოხუც გენერლებს შეიძლებოდა ვაჟიშვილებიც ჰყოლოდათ).

ნასლედნიკოვი პირველსავე დღეებში იქვე ტრიალებდა, სადაც ახლად მობილიზებული პოლკები იქმნებოდა და ისედაც სახელდახელო, ნაუცბათევ წვრთნას და მზადებას კიდევ და კიდევ აჩქარებდა. მთავარსარდლობას წუწუნით და თხოვნა-მუდარით ყურებს არ უჭედავდა, თვითონაც არ უყვარდა ისეთი მეთაურები, მუდამ რომ უკმარობას უჩიოდნენ.

ჯარისკაცი ჯარისკაცია. ჯარისკაცი იყო ფომა ფომიჩიც, გენერლად კი არ დაბადებულა.

* * *

გენერალ-მაიორს მწყობრის წინან პარადზე გავლისას, თავისი ადიუტანტივით, მოძალებული ქონი ხელს არ უშლიდა. იგი ასეთ დროს ის ჯარისკაცი იყო, ერთ დროს ცხენზე რომ ეძინა და უზანგში ფეხგაუყრე-

ლად შეეძლო უშველებელ ულაყზე ამხედრება.

ნასლედნიკოვმა თავლის ვრცელ ეზოში წყვეტილ ოცეულებად გამწკრივებულ, აჩაჩულ-დაჩაჩულ პოლკის წინ ისე მხნედ გაიარა, ბატალიონის მეთაურ ხვასტუნოვს წელის ტკივილიც კი გადაავიწყდა და მკვირცხლად გაიჭიმა, — ასე გაქაჩვა მაშინ თუ შეეძლო, როცა ამ ახალწვეულების ხნისა იყო.

საჯინიბოს ნაცნობმა სუნმა და მოდუდუნე მდინარეზე გადამდგარმა ვეება ეზომ, ტყისთვის რომ ყური უმტკივნეულოდ ჩამოეთალა, ნასლედნიკოვს სულ სხვა საფიქრალი გაუჩინა: ეს რომ მოსკოვთან ახლოს იყოს, სახელგანთქმული გენერლის მშვენიერი საცხოვრებელი ადგილი იქნებოდაო, ქვევით კი, დინების გაყოლებაზე მოხუცი გენერლებიც მოეწყობოდნენო. ფომა ფომიჩი წუთით შეჩერდა. ამ შეჩერებით ბოყენკოსაც აგრძნობინა, შეიძლება გამისწორდეო, რაკი თავი არ მიუბრუნებია, ნაწყენმა იკითხა:

— თქვენ რა, ამ ადგილს სწუნობთ?

— ადგილს?! — კითხვას კითხვითვე უპასუხა მაიორმა, ჩამოსვლის დღიდან ერთი წამით რომ არ დაფიქრებულა, ეს ადგილ-მდებარეობა დასაწუნი იყო თუ მოსაწონი.

— ჰო, რით არ მოგწონთ აქაურობა?

— აქაურობა... — მაიორმა სასწრაფოდ, მშიერი მიმინოსავით, თვალის ერთი მოვლებით შეაფასა გარემო და მისთვის უჩვეულო ხმით — მინაზე რომ ქალი დაკაკუნებს, თქვა: — აქაურობა... რა ვიცი, კარგია...

— კარგია, კარგი, ამხანაგო მაიორო! — და დათვალიერება განაგრძო.

— დიახ, კარგია, ამხანაგო გენერალო! — დაიბრუნა თავისი ხმა ბოყენკომ და სამი ნაბიჯით ჩამორჩა.

ამის მერე ნასლედნიკოვი „შემდეგ საკითხებზე“ გადავიდა: „შენიშვნა უნდა მისცე“.



შენიშვნა მიიღო ფაშფაშა გლებოვმა, რომლის ათეულში ორ ჯარისკაცს წვივსახვევები ჩამოჩაჩული ჰქონდა, ერთ მათგანს მიწაზე ათრეულიც კი.

ამის შემდეგ: „ჯარისკაცს გული არ უნდა გაუტეხო, უნდა შეაქო“, მართლაც აქ ისევე ძნელი გამოსაცნობი იყო ვინმე უკეთესი, როგორც უარესი, მაგრამ გამოცდილი თვალი „შექმნილ ვითარებაშიაც“ ხედავს იმას, რასაც ბევრი გენერლობაზე მეოცნებე მეთაური ვერ ამჩნევს და რომ არაფერიც არ მოიძებნოს, გენერალს შეუძლია მაინც შეაქოს, რაკი ჯარისკაცს სჭირდება რწმენა, მოფერება და მხარზე ხელის დარტყმა. და რისთვის მოხდა „მხარზე ხელის დარტყმა“, ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, სხვა, ამ მხარზე გენერლის ხელდაკრულს მიბაძოს, მას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ არც მისთვის დაიშურებენ ჯილდოს, თუ დაიმსახურებს.

და მაინც მოიძებნა სხვებისათვის შეუმჩნეველი მიზეზიც. ათეული, რომელსაც ნასლედნიკოვმა წყალობის თვალით შეხედა, იმსახურებდა მისაბაძი ყოფილიყო. თორმეტივე ჯარისკაცს კარგად ჰქონდა ფეხებზე შემოწკეპილი სახვევები და ათმეთაურს, რომელიც მართლა ჯარისკაცივით გამოჭიმულიყო, თავისი ძველი ბატინკების შავი ვაქსით გაპრიალებაც მოესწრო.

გენერალი ისევ შეჩერდა უკან მიუხედავად და ისევ გაუსწორდა ბოყენკო.

— შექმნილ ვითარებაშიაც... — დაიწყო გენერალმა, — ათმეთაური...

— ბაკერია! — მოახსენა მაიორმა, გატეხილ ფანჯარაში თავგაყოფილს რომ უთხრეს ეს გვარი ამ ორიოდე დღის წინ.

— ბოკერია, ამხანაგო გენერალო! — გაუსწორა ხელის აწევით ავთანდილმა მაიორს.

— ბაკერია! — არ გაამტყუნა ნასლედნიკოვმა პოლკის მეთაური ხელქვეითის წინაშე, რითაც ხელქვეითებს აგრძნობინა, უფროსს, რომ შენიშნავდა

43093
კ. მარქსის სახ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთ.

ჩვენ, ესე იგი, ის უფროსია. გითხრეს „ბაკერია“, მორჩა და გათავდა, ბაკერია ხარო.

— ბოკერია! — კვლავ გაუსწორა ავთანდილმა, იარაღი არ დაჰყარა.

— ყოჩაღ, ბოკერია! — შეაქო ნასლედსიკოვმა, ბოლოს და ბოლოს არც ერთს არ აწყენინა და გზა განაგრძო.

გენერალს დღეს, რაკი აქეთ პირი ჰქნა, ასე თავლებში, სკოლებში თუ პირდაპირ ველად დაბანკებული პოლკები დ ბატალიონები, რაც აქ ახლომახლო ჰყავდა განლაგებული, ბარემ ყველას შემოვლა უნდა მოესწრო, რომ გვიან ღამით, შტაბში დაბრუნებულს, მთავარსარდლობისათვის ეპატაკა.

უნდილად ატუზული მამუკა და ნოშრევანი ვერც ახლა მიხვდნენ, ათმეთაურმა თავის ხელით რატომ მოარგო წვივებზე სახვევები, „ამ გაჭირვებულებმა“ ვერაფრით რომ თავი და ბოლო ვერ გაუგეს.

— ასე იცის ბოკერიამ! — გადაულაპარაკა ბიჭებს ავთანდილმა და ცინცაძის ულვაშებს გაუღიმა.

— მაგი შენ ადიუტანტად წაგიყვანს, იქედან გენერლობამდე კი ერთი ფეხის ნაბიჯია... — რაღაცა იეჭვა ცინცაძემ, გენერლის ქონმორეულმა ადიუტანტმაც რომ ჩაიარა.

— მერე, თქვენ რა გეშველებათ?
— იწყინა ბოკერიამ.

— დავიღუპებით, — აღიარა ცინცაძემ.

## XI

მამუკას საქმე ისე მოეწყო ახლა, რომ უკეთესს ვერ ინატრებდა. მას, მისდა გასაოცრად, აღმოაჩნდა საოცარი უნარი, ყოველგვარ პირობებში, თოფი ეჭირა ხელში თუ ნიჩაბი, ცხელი ქვაბუნა სწვავდა თითებს, თუ თავზე აირწინაღს იცვამდა, ფიქრის ძაფი არ გაწყვეტოდა. მის ხელებს და ფეხებს ეკეთებია, რასაც უბრძანებდნენ, თვითონ კი ეფიქრა და მერე, დღისით და ღამით, ეწერა, სულ ერთი იყო, გაუთავებელ გრძელ გზას ადგა, ორმოს ფსკერზე იჯდა თუ იწვა; ეწერა ის, რაც ახლა თეკლასთან შეეძლო გაეგზავნა და ისიც, რასაც მერე ჩაუტანდა და წაუკითხავდა. წერილებს გზავნიდა გულზოდში დედ-მამასთან, ქუთაისში — ლეონთან, თბილისში — ვატუტისთან და ბაკურთან, მამიდასაც მიაწვდინა ხმა ერთიორჯერ. გზავნიდა და თითქოს პასუხს არც მოითხოვდა, არ უცდიდა, იქიდან რას შეატყობინებდნენ.

სწერდა, რომ კარგადაა, აქ კარგი ბიჭები არიან და არაფერს გაუჭირვებენ, რომ მალე მათთან იქნება, რომ ერთი მისი თბილისელი მეგობარიც აქ არის — ნოშრევან არდაძე.

თეკლას გარდა, ყველას მოკლე და მშრალ წერილებს უგზავნიდა, მამასაც კი. ამ გოგოს სწერდა რაღაც გაუთავებელს, ვითომ ძალიან მნიშვნელოვანს, განცდილს და დანახულს, მაგრამ მაინც თავმოუბმელ აბდაუბდას. ნოშრევანზეც კი ვერაფერი აცნობა გასაგებად და დალაგებულად. ვერ გაეგო. თვითონ ნოშრავანი იყო მუდამ ასეთი, ახლა გახდა ასე მედუზასავით უფორმო და წყალწყალა, თუ მამუკამ დაკარგა ამ გულისამრევი ყოველდღიურობიდან მთავარის შემჩნევის უნარი? ამას კი ხედავს, არდაძე ქათქათა, თეთრ ქაღალდებს **დაათრევს**, რაღაც ხელნაწერებშია ცხვირჩარგული, მთელი დღე ერთი გვერდის ამოკითხვას ძლივს ახერხებს, გამოლენჩებული, ხანდახან უადგილო ადგილზე გახევდება. მერე მთელი ღამე ამ წაკითხულზე ფიქრობს, მამუკას გამობმულივით დასდევს, ლაპარაკობს, ის სლოკინივით სიცილი რომ იცოდა, არც ის დავიწყებია, მაგრამ მთლიანად მაინც თავის უფორმო გარსშია ჩაკეტილი. ისიც საბოლოოდ გადაივიწყა, მამუკას ხელში ხელს რომ მოავლებდა ხოლმე და ადამიანს რომ ადამიანისათვის ჯერ არ უთქვამს, ისეთი საოცრების თქმას დააპირებდა...

მათ ნელდად, ჯეოჯეროზით შაშხანა

არც ამაღლობელს რგებია და არც არდაძეს. სამხედრო ვარჯიშების დროს ან ბოკერია მიაჩეჩებდა ხელში თავის შედარებით უკეთესს იარაღს, ან ცინცაძე — ძველისძველ, ნათრევ, მონჯღრეულ თოფს, რომლის მავთულებით შეკონილ ლულას კონდახი სად დაცილდებოდა და რგოლებში ჩასკვნილი, გადალეჭილი ღვედი სად გაუწყდებოდა, არავინ უწყოდა. ამის მერე პატრონის თოხივით მხარზე გადებული უნდა ეთრია, რასაც ათისთავი თავის ათეულში არაფრით არ დაუშვებდა.

— რა ეშველებათ ამ ცოდვის შვილებს! — შეიცხადებდა ხოლმე ბოკერია, როცა თვალებდაყვლეპილი ვინოკუროვი, ან აყლაყუდა, გაჯგიმული ასმეთაური პერცოვი, მამუკასა და ნოშრევანის გამო შენიშვნას მისცემდა, თუკი ან თავდაცვის ორმო არ იყო საჭირო სიგანე-სიმაღლისა, ან ფარზე ნიშანში ნასროლი ტყვია არაფერს წაეკარებოდა: — ვერ უნდა გაიგოს კაციშვილმა, რომ იქცევა ქვეყანა? კაცო, მოდის „ლემენცი“! — „ლემენცის“ წამდაუწუმ ხმარება უყვარდა ავთანდილს, „ლემენცს“ ამბობდა, რა თქმა უნდა, როცა გერმანიაზე ან გერმანელზე ლაპარაკობდა, თვით ჰიტლერსაც და საერთოდ მტერსაც „ლემენცს“ ეძახდა: — გაგანია ომია, კაცო, ახლა თოფია ჩვენი ძმა და მხსნელი. ესენი, ერთი დადის — წერს, მეორე — კითხულობს; გათხრილ სანგარში კაცი იჯდეს და ჰყაპნიდეს, გაგონილა?! დაიღუპებიან, კაცო, ამათ მაშინვე თავს გაუსრისავს „ლემენცი“.

— რატომ? — სრული სერიოზულობით კითხულობს მამუკა, ხოლო პირდაღებული ნოშრევანი ხან ათმეთაურს მიშტერებია, ხან განუყრელ მეგობარს.

— რატომო, კაცო! — მოგრძო სახე ცხენის თავივით უგრძელდება ბოკერიას, რატომო, გეყურება, ცინცაძე?

— მეყურება, — ხელს უღებს ცინცაძე, მაგრამ შუბლამდე არ მიაქვს ისე ჩაიქნევს, — მეყურება, ამხანაგო მეთაურო!

ავთანდილი ყურს უყრუებს გარეშე თვალისათვის შეუმჩნევლად, გულს შიგნით გატრიზავებულ „მეთაურს“ და შველას ითხოვს.

— ერთი აუხსენი ამათ...

— რა ავუხსნა, მეთაურო?

— რატომო კაცო, კითხულობს...

— რაა, ჯარისკაცებო ისეთი, რომ ვერ გაიგეთ? — კითხულობს მეთაურის დასახმარებლად ხელგამოწვდილი ლადო.

— რატომაა ომიო!.. — იმეორებს გაკრეჭილი ბატკანივით საცოდავი არდაძე მამუკას კითხვას, თვითონ თავისი ჭკუით ჯერ აქამდეც რომ არ მისულა.

— ჰკითხე შენ „ლემენცს“! — არ აცლის ბოკერია უკვე მხარში ამომდგარ ცინცაძეს.

— სადაა, რომ ვკითხოთ?! — იბნევა მამუკა და ნოშრევანი ისევ ტიტველი ბატკანივით იხედება აქეთ-იქით, მართლა ხომ არსადაა რომ ვკითხოო: მე ქვევითა ვარ, ის — ზევით, როგორ ავუმღვრევ წყალსაო.

— აჩვენე „ლემენცი“, მეთაურო! — ასკვნის ცინცაძე, — თავად მოელაპარაკებიან.

— ვის, კაცო! — შენ მოხმარების მაგიერ ძირს მითხრიო? — გადაირია მეთაური.

— ასე აჯობებს ჭეშმარიტებისათვის.

— სადაცაა ის ამოწყვეტილი, არ კმარა, ნახევარი ქვეყანა აიღო და აქაც გინდა გამომეცხადოს?

— არა და ისე არ დაიჯერებენ...

— რას არ დაიჯერებენ, კაცო! — ირევა ავთანდილი.

— არ დაიჯერებენ. ეს ხალხი თავისთვისაა, კითხულობს, წერს, სწავლობს, შრომობს და ვის რა ხელი აქვს, რას ერჩის, ამხანაგო მეთაურო? — განგებ გულუბრყვილოდ, მაგრამ სადღაც თავის სათქმელსაც ამბობს ლადო.

— ეუ! ეგეც გადარეულა კაცო, რომ გაცოფდა „ლემენცი", ველარ გაიგეთ?

— რატომ გაცოფდა, ვინ რა დაუშავა? — ისევ კითხულობს თავის სიმართლესა და შეკითხვის სერიოზულობაში დარწმუნებული მამუკა.

— ჰო, რამ გადარია? — მეთაურს მხარდაჭერის მაგიერ ცეცხლზე ნავთს უსხამდა ლადოც.

— კაცო, მე გადავირიე თუ? — შეიცხადებს ავთანდილი და თქვენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაო, ასკვნის: — არც შენ ხარ დალაგებული... — და ცინცაძის ჯიბრზე ხელს ახლად მოშვებულ, ორი კვირის ულვაშებზე ისვამს. — მაგი ჰქენით, მაგი, ღრმად მოთხარეთ ორმო თორემ, რომ გაგიშლის მაგ „რატომებით" გამოტენილ თავში „ლემენცი" ტყვიას, მაშინ გაიგებ!..

— ასე ვერავინ ვერ მესვრის! — გაჯერებული ამბობს მამუკა და ბარზე მიგლესილ ტალახს ბალახებზე უპირებს შეწმენდას, ნოშრევანი კი ბარის პირს ლაფს ხელით აცლის.

— ვერ გესვრის?!

— ალბათ იქ რაღაცა უნდა მოხდეს...

— ბერდიევ! — ეძახის ცინცაძის იმედზე ხელჩაქნეული ავთანდილი ორმოში წელამდე ჩამდგარ თურქმენს, რომელიც ისე გამალებით ყრის მოთხრილ მიწას, თითქოს მტერი მართლა ცხვირწინ ეგულება და დასამალავად ქვესკნელში მიძვრებაო, — აუხსენი ამათ, რა უნდა „ლემენცს", რატომ მოდის...

ნარიმან ბერდიევმა ერთი კი მოხედა ათმეთაურს, მაგრამ რაკი ნათქვამის ვერაფერი გაიგო, იფიქრა, ბოკერია ხუმრობსო. რაღაცა ისეთი მითხა, რაც უნდა ვუპასუხო, გაიცინებინე და თუჯისფერი სახე გაებზნა, სადაფისფერი მაგარი კბილები გამოჰყარა, — რაღა თქვენ იცინოთ ჩემს ნათქვამზე, ბარემ მე გავერთობი თქვენს კითხვაზეო და მაშინვე დაიხარა, მოკლე ბარის ტარს დასწვდა, ორმოში მიიმალა.

და მამუკა სწერდა თეკლას. სწერდა და ეძებდა ახსნას, რასაც ეკითხებოდნენ ქვეყანას, ღმერთს და კაცს — თეკლა და მამუკა, ნოშრევანი, ცინცაძე და ბოკერია, მოსკოველი კუზმა კუდრიავცევი და ოცმეთაური ვინოკუროვი, თურქმენი ბერდიევი, ვიშნევსკი და ჰაჯილაროვი... მაიორი და გენერალი... თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, მასწავლებელი ჟვანია ამაღლობელი და კოლმეურნე ლადო ლიპარტიანი, მუშა-გამომგონებელი, რომელიც თავს იმტვრევდა ისეთი მანქანა შეექმნა, ადამიანს შრომა გაადვილებოდა და პოეტი, რომელიც მთელ ღამეებს უთევდა ერთადერთ სტრიქონს, იქნებ კაცის სული იმდენად გავაკეთილშობილო, ყვავილების გლეჯვას გადავაჩვიოო... ყველა ამას კითხულობდა და პასუხი კი არ იყო. ან იყო — ომი რომ არის, ვერ გაიგე, სულელი ხომ არა ხარო!

სულელია ის, ვისაც ეუბნები, შენგან ფერფლიც კი არ დარჩებაო და იკითხოს, რას მერჩიანო?

ამ უცოდველ ბიჭს, საიდანაც არ უნდა მოევლო თავი, როგორი პირობითობა და შემთხვევითობაც არ უნდა დაეშვა, როგორი ულოგიკო ლოგიკითაც არ ცდილიყო ამ სინამდვილის გამართლებას, მაინც ვერაფრით ვერ აეხსნა, თუ რატომ უნდა მოვიდეს ვიღაც და თავი გაუპოს, სიცოცხლეს გამოსასალმოს.

მით უმეტეს, რომ თავის მხრივ თეკლაც ათასჯერ და ათიათასჯერ მოითხოვდა პასუხს, თუ რატომ წაართვეს ისედაც გაწამებულ გოგოს ერთადერთი ბედნიერება; და მართლა იყო თუ არა შესაძლებელი, რომ დღეს თუ ხვალ მისთვის ტყვია ექრათ და სული ამოეხადათ.

და მაინც თუ ეს ასე იყო?

არა, ასე როგორ, არაფრის გამო?

არაფრის გამო არაფერი არ ხდება და ისიც ამოდენა უბედურება?

და საბოლოოდ, რაკი ამას ახსნა არ გააჩნია, უფრო დამაჯერებელი ეჩვენებოდა, რომ ეს ყოველივე უბრალოდ არ არსებობდა.

არ არსებობდა?

როგორ, მამუკა ახლა აქ არ იყო? არ ეჭირა ხელში ნიჩაბი და თოფი? აგერ ნოშრევანი, ეგერ ცინცაძე და ბოკერია. ის თურქმენი მართლა არ თხრის ორმოს? — კუდრიავცევი წელამდე მიწაში არ დგას და წეკოს მართლა არ ახვევს?

ეს ხომ სინამდვილეა. თუ არ გჯერა, მიდი და ხელი შეახე...

კი, ასე გარეგნულად კი არის თითქმის ყველაფერი მართალი, მაგრამ მაინც სხვაა, რაღაც მირაჟია, შეუცნობელი ქაოსი, თუ იქნებ ავადმყოფობაც, გადამდები ეპიდემია, რომელმაც უკლებლივ ყველა დაასნეულა უსიცხო ბოდვით და მოჩვენებით, რომ ვიღაც მოდის, ანადგურებს და სწვავს კაცის დათესილ პურის ყანას. ეს არ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველა ამბობს, ხდებაო. მაშ რატომ აშენებდა კაცი სახლს ასე ლამაზად და რატომ იმტვრია თავი, რომ წარმტაცი თაღებით, ორნამენტებით და ორდერებით მოეპირკეთებინა და რად უნდოდა, ასე გამძლე ქვას და აგურს რომ არჩევდა, თუ ვიღაცას ბომბები უნდა დაეშინა და გადაებუგა? იღებს თოფს კაცი და ესვრის ტყვიას კაცს — თავისთავს?

არა, თავისთავს კი არა, მისი ჭკუით, მტერს?

„არა, მტერს, თეკლა, მტერს!“ — სწერდა და ვითომ ცდილობდა, თეკლასთვის და თავის თავისთვის დაენახვებინა, რომ ეს ასეა, გინდა არ გინდა, უნდა გაიგო. მაგრამ რა გინდა გაიგო, როცა არავისი მტრობა გულში არ გიდევს.

ჩვენ არა, ჩვენ არა, მაგრამ მას უდევს და არ ვიცით რატომ.

ვთქვათ, ერთი წუთით დავიჯეროთ: მოდის კაცი კაცის მოსაკლავად, მაგრამ რომ მოკლავს, ის მოკლულიც ხომ კაცია და ისიც მოკლავს, ესე იგი, ერთმანეთს დახოცავენ. სინამდვილეში მოხდება ის, რომ ვინც მიდის კაცის მოსაკლავად, მიდის თავის მოსაკლავად, არც მეტი და არც ნაკლები. ამის ახსნა, ვთქვათ, შეიძლება, როგორც თვითმკვლელის მოქმედებისა, მაგრამ თვითმკვლელი რატომ დახარჯავს ამდენ ჯაფას და წვალებას, თუ ერთ დღეს გადაწყვეტს, რომ არ უღირს სიცოცხლე, რომელიც ერთხელ მიენიჭა და არასოდეს განმეორდება, როცა ის, უნდა არ უნდა, წუთისოფლის სტუმარია და აქედან მაინც წავა. მაგრამ თუ მაინც თავისას არ დაიშლის... რატომ უნდა ადგე ამისათვის, დღე და ღამე საშველი არ მისცე თავს, გააკეთო უკეთესი თოფი, თითქოს უარესი არ გააფრთხობინებს სულს, გაიარო წამება და ჯოჯოხეთი, ჩახვიდე სადღაც ერთი ქვეყნიდან მეორეში, თხარო ორმო და ეგდო თივით გატენილ ლეიბზე, ირბინო დღეში ოცი-ორმოცი კილომეტრი და ამდენი ტანჯვა-გვემისა და უძილობის შემდეგ საშინელი ტკივილებით ფეხი მოიწყვიტო, ან ყბა მოიგლიჯო, დანაკუწდე ბომბით ან ჩაიხრჩო ზღვაში, მდინარეში და როგორღაც მოიკლა თავი.

„თეკლა, ნუთუ არ შეიძლება ეს არ არსებობდეს? ეს ხომ ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო სარწმუნოა — გვეჩვენებოდეს. ვთქვათ, გაჩნდა ქვეყნად რაიმე ისეთი საყოველთაო სენი, რომელიც განურჩევლად ყველას დააავადებს და ადამიანი რაღაცა ისეთს ხედავდეს, ან სჯეროდეს, რაც არ არსებობს?

„არის ასეთი ავადმყოფობა, დაავადებული — დღე ყველაფერს ჩვეულებრივ ხედავს, ღამით — ვერაფერს. სხვები ყველაფერს ხედავენ, რისი დანახვაც შეიძლება. ის — ვერა, მისთვის უკუნი ბნელია. აქაცაა, პოლკში, ერთი ბიჭი ასეთი, საშკა კუზნეცოვი, ძალიან ნაკითხია. შტაბში მუშაობს გადამწერად. ღამე სადარაჯოდ კი არა,

აუცილებელ საჭიროებაზე ვერ გამოვაგარეთ. ეს უმნიშვნელოა ალბათ იმასთან, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, მაგრამ მაინც ავადმყოფობაა, რომელიც ზოგიერთებს ემართება. არის უფრო მასობრივი ავადმყოფობა, რომელიც განურჩევლად ხოცავს ათასობით ადამიანს.

„... ილუზიონისტები, ხომ გახსოვს თეკლა, ცირკში რომ ვიყავით. სულ ოთხჯერ, მთელი ჩვენი ერთად ყოფნის მანძილზე (თუმც ჩვენ სულ ერთად არ ვიყავით? მე უშენოდ თავი არ მახსოვს), გგონია, რომ კაცმა შენს წინ ყუთში მოთავსებულ მშვენიერ ქალს ყოველი მხრიდან ხანჯლები გაუყარა, ერთი და ორი კი არა, როგორც აქ ამბობენ: ერთი კაკალი ტყვიით გაგიხვრეტენ შუბლს, ან ხმლის ერთი მოქნევით გაგჭრიანო, არა, ბარე თორმეტი ხანჯალი მაინც გაუყარა, ხანჯალი კი არა, რაღაც უშველებელი ხმალი თუ დაშნა. გადის წუთები და ეს ქალი ფრთიანი ანგელოზივით უვნებელი და მომღიმარე ამოფრინდება ჭრელა-ჭრულა კიდობანიდან“...

„თე! საშკა კუზნეცოვმა მითხრა (მაგის ბაბუა და მამა ექიმებია): ეგ ქათმის სიბრმავეები, — ილუზიები, ხოლერა და შავ ჭირი რა გასაკვირია, სიცილის ეპიდემიაც არსებობსო. ესე იგი ატეხავს ადამიანი უმიზეზოდ სიცილს. იცინის და იცინის. გადაედება მეორეს, მეოთხეს, მეათეს, ასს, ორასს, და იცინიან უმიზეზოდ, რომ ჰკითხო, რა გიხარიაო, არ იცის. იცინის იმიტომ, რომ ეპიდემია დაემართა, თავპირში რომ კეტი ურტყა — მაინც იცინის, აფხარკალებს ფეხებს და კვდება სიცილით.

„უდაბნოში რომ მთელ ქარავანს წყალი და ოაზისი ელანდება, ეგ შენც იცი“...

## მეორე თავი

პოლკოვნიკ პეტრენკოს ნაჩქარევად, ბატიფეხურით შევსებული ფურცლების ბოლოში ხელმოსაწერად წაღებული კალამი გაუჩერდა და თავისთავს შეახსენა, რასაც ბავშვობიდანვე უჩიჩინებდა მამამისი, აფანასი კონდრატიევიჩი — რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დროს არ აჩქარებულიყო, მით უმეტეს, თუ მერე საქმის გამოსწორება მას აღარ შეეძლო.

ვასილ აფანასიევიჩმა ბავშვობაში კარგად იცოდა ქვის სროლა. ხის კენწეროებში რომ თითო-ოროლა გაჯიუტებული, მაგრამ მაცდუნებლად ლოყაწითელი ვაშლი შერჩებოდა, ათი სროლიდან ორხამს მაინც ჩამოაგდებდა: ვასია კარგად უმიზნებდა ვაშლს და, როცა მიზანში არტყამდა, ქვაცა და ნაყოფიც ხის ძირას ცვიოდა, მაგრამ როცაააცდენდა, ნასროლი კენჭი სად დავარდებოდა, ამის გათვალისწინება არ შეეძლო; იგი ხედავდა მხოლოდ მაცდუნებულ ვაშლს და ზოგჯერ, ამ ბაღის იქით, მეზობლის სახლის მინაც იმსხვრეოდა. რა თქმა უნდა, ვასილი მართალი იყო, მას გუნებაშიც კი არა გაუვლია მეზობლის წყენა და, მით უმეტეს, ფანჯრის ჩამტვრევა, მაგრამ აფანასი კონდრატიევიჩი ყურებით მაღლა სწევდა შვილს (ასეთ მდგომარეობაში თურმე ძალიან კარგად იმახსოვრებენ ბავშვები დარიგებას), და დინჯად ამბობდა:

— ფრთხილად, ვასილი აფანასიევიჩ, ჯერ ის დაინახე, ქვა სად დავარდება. იმას ნუ იფიქრებ, რასაც დავუმიზნებ, ყველას მოვარტყამო. პირიქით, გეგონოს, რომ ყველას ააცდენ.

— ფრთხილად, ვასილი აფანასიევიჩ! — ახლაც დინჯად უთხრა პოლკოვნიკმა თავის თავს, კალმიანი ხელი გაშალა და ყური მოისრისა, თითქოს მამას ახლახან აეწიოს.

ნაუცბათევად შედგენილი ბრალდება, რომელიც ჯარისკაც ლეონ ფარნას ძე ამაღლობელის დეზერტირობას, სულით ავადმყოფობას, თუ ორივეს ერთად ეხებოდა, ხეირიანად ვერც გაიგო პეტრენკომ. ვერც ის გადაეწყვიტა სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცა, რაკი ნაწილიდან გაქცეული რკინიგზის სადგურში დააკავეს, თუ მისი არანორმალურობისათვის ფსიქიატრიულში გაეგზავნა. ეჭვმიტანილი დაუსაბუთებლად იმიზეზებდა ცოლ-შვილის დაღუპვას და რაღაც გაუგებარი, ექსპლოატაციაქმნილი გადაპრილი თუთის ხის ფოთლის რაოდენობას და ზრდის ინტენსიურობას ივნისში, ივლისსა და აგვისტოში...

— ფრთხილად, ვასილი აფანასიევიჩ! — ისევ გაუმეორა პოლკოვნიკმა თავის თავს, ამჯერად, ყურებთან ერთად. უძილო თვალებიც მოისრისა და საქმის თავიდან ბოლომდე გულისყურით წაკითხვა სცადა; მეორედაც ის გაიგო, რაც პირველად, თვალის ერთი გადავლებით, და კინაღამ ისევ ესროლა ქვა წითელ ვაშლს, მაგრამ ქაღალდზე დადებული კალმის მოსასმელად ხელი მაინც არ მოუბრუნდა.

„ეს ჯარისკაცი ქართველია, თუმცა რუსულის უცოდინრობას არ უჩივის. კანონში სწერია, დამნაშავე უნდა დაიკითხოს მშობლიურ ენაზე. ამას გარდა, საჭიროა ისეთი ვინმე, ვინც იცის ექსპლოატაციაქმნილი, თუ ვეგეტაციაქმნილი... გადაპრილი თუთის ხის ფოთლის რაოდენობა და რაღაც სხვა ამგვარი... იქნებ ვაშლის ხის ფოთლებს იქით მეზობლის ფანჯარაა?"...

პოლკოვნიკმა საქმე ხელუკუღმა გააჩოჩა...

ნაწილში აღმოჩნდნენ ქართველები, მაგრამ რუსული ენის ისეთი მცოდნე, რომ კარგ თარჯიმნად გამოსდგარიყო, ვერ იპოვეს. ერთი ლეიტენანტი ყოფილა, ვიღაც თაბაგარი, რომელზეც ქართველიაო, უთქვამთ და მერე შტაბშიაც დაუდასტურებიათ, მაგრამ ამჯერად მივლინებაში ყოფილა ახალმობილიზებულთა ჩამოსაყვანად და ვერ დაელოდებოდნენ; მერე, ერთ ვინმესთვისაც მიუკვლევიათ, მაგრამ ისიც ამაღლობელი გამომდგარა... მოგვარე, და იქნებ ახლობელიც, ასეთი საქმისათვის მიზანშეწონილად არ ჩათვალა პოლკოვნიკმა.

ქამარშეხსნილი, წვერმოშვებული ლეონი ორმა თოფიანმა ჯარისკაცმა ტონანახევრიან საბარგოზე, კაბინასთან მიიმწყვდია და მისი ნაწილიდან გზა-გზა ორ საათზე მეტი ჯაყჯაყის შემდეგ სადღაც სხვა პოლკში მიიყვანა. პატიმარი ხულასავით ქოხში შეუშვეს და გაშიშვლებულ, ფიცრულ მაგიდასთან მიდგმული მდიდრულ სავარძელში ჩაკარგულ ნახევრად მძინარე განსაკუთრებული განყოფილების უფროსს — ჩხენკელს წარუდგინეს.

ეს დაბალი, მდიდრული სავარძელი, რომელიც, ვინ იცის, საიდან მოიტანეს, ეტყობოდა, საწოლის მაგივრობასაც უწევდა ჩხენკელს. ალბათ ხმელ ნარზე გდებას აქვე, ტელეფონთან და სამუშაო მაგიდასთან ძილი ერჩია, როცა ამის დრო გამოიძებნებოდა. იგი ტანმორჩილი კაცი ჩანდა, სკამი კი — დაბალი და საზურგეგადაქანებული; ამიტომ, თუ მაღალ მაგიდასთან მუშაობა დასჭირდებოდა, ფეხზე უნდა წამომდგარიყო, ან სავარძლის სამკლაურებზე ფიცარი გადაედო, რომელიც იქვე, ხელმარჯვნივ, კედელზე ჰქონდა მიყუდებული, მიწას უნდა მოწყვეტოდა, მაღლა უნდა წამოსკუპებულიყო და ქაღალდებისათვის ზემოდან დაეხედა, რასაც იგი ალბათ უფრო მაშინ აკეთებდა, როცა ხულაში მის მეტი არავინ ეგულებოდა.

ახლა მას ამ მაღალ მაგიდაზე ედო დეზერტირობაში ეჭვმიტანილი მეზობელი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცის საქმე, რომელიც მშობლიურ ენაზე უნდა დაეკითხა. იმასაც ეჭვობდნენ, ამაღლობელი ალბათ სულიერად დაავადებულია, თორემ რატომ ბოდავს რაღაც ექსპლოატაციაქმნილი გადაჭრილი ბჟოლის ხის ფოთლის სიგრძე-სიგანესა და რაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენობაზე, ზრდის პროცენტებზე ... მისივე თქმით, ამ საქმის გადადება თურმე არ შეიძლება თვით ომის დროსაც, სხვა რომ არაფერი, სამხედრო თვალსაზრისითაც კი.

ავადმყოფობით თავგაბეზრებული ჩხენკელი, ეს ომი რომ არ დაწყებულიყო, სამსახურიდან გადადგომას აპირებდა. ახლა ამ შეშლილი დეზერტირის დაკითხვა და სწორი განაჩენის გამოტანა, პოლკოვნიკმა რომ სთხოვა — კაცის ბედი წყდება და არაფერში შეცდეთო, ისედაც დიეტადარღვეულს, კუჭის წყლულით გაწამებულს, პირდაპირ წელს სწყვეტდა.

— გა-ამარჯობა!.. — უთხრა ქართულად ლეონმა, მაგიდის წინიდან მოდგმული ტაბურეტი გამოსწია და განაწყენებული ზედ დაჯდა.

ჩხენკელს არ უპასუხია.

თავდაპირველად აპირებდა ჯარისკაცები გაეშვა, მაგრამ როცა გაბოროტებულმა ლეონმა სკამზე უნებართვოდ მოიკალათა, გადაიფიქრა — რა იცი, თავში არაფერი მთუთქოსო.

— რაშია საქმე, ამხანაგო ...

— ლე-ეონი მქვია ... — მიაშველა ლეონმა, მაგრამ განყოფილების უფროსს ეს თითქოს არ გაეგონოს, მაგიდის იქიდან, სავარძელში ჩაკარგულმა ქაღალდები ისე დაითრია, ფეხის წვერებზე შემდგარი ბავშვი რომ განჯინის თავზე თეფშით შემოდგმულ გოზინაყს მიწვდება, ერთ ნაჭერს თაფლით გადაწებებული დანარჩენებიც გაჰყვება და იატაკზე დაუცვივა.

ჩხენკელმა აკრიფა გაფანტული ფურცლები, მერე ჩააჩერდა და შეკითხვა უფრო განაწყენებულმა და დაღლილმა გაიმეორა:

— რაშია საქმე, ამხანაგო ამაღლობელო?

— უ-უნდა გა-ამიშვათ...

— სად?!

„შეშლილია“ .. — გაიფიქრა ჩხენკელმა და ამ ბრგე, ახალგაზრდა კაცის უბედურებამ თავისი კუჭის წყლული წუთით დაავიწყა.

— სა-ახლში ...

— კი, კი, რა თქმა უნდა ... — მაშინვე დაეთანხმა, რომ ჭკუაზე შემცდარი არ გაენაწყენებინა და თავი რაიმე ხიფათში არ ჩაეგდო.

— მე ვი-იცი, რასაც ვა-ამბობ ... — ეს მოჩვენებითი თანხმობა უფრო ეწყინა ლეონს, რითაც ჩხენკელს საკუთარი ტკივილი გაახსენა.

— რა იცით? — გულს მოეშვა წყლულზე ცეცხლშემონთებულს, იფიქრა, თუ საქმე ასე წავიდა, იქნებ ყველაფერს დროზე მოვრჩე და მზარეულმა სადმე ერთი კოვზი სოდა გამიხერხოსო.

— მა-აგრამ არ შე-ემიძლია...

— რა არ შეგიძლია?!

„დავიღუპე, — ახლა გულზეც შემოაწვა ჩხენკელს. გაგონილი ჰქონდა, არიან გიჟები, რომლებიც საათობით ილაპარაკებენ დალაგებულად, აზრიანად და მერე ერთ ისეთ აკვიატებულ ფრაზას გაურევენ, რომ ყველაფერს ნიორწყალს გადაასხამენო.

— ჩე-ემი იქ ყო-ოფნა უ-უფრო საჭიროა ...

— რატომაა შენი იქ ყოფნა უფრო საჭირო და ჩვენი და ყველა დანარჩენების აქ? — ძალიან სერიოზულად იქვა ჩხენკელმა, რამდენადაც მის მდგომარეობაში მყოფს შეეძლო.

— თქვე-ენ სამხედრო პი-ირი ხართ...

— მართალია, — გაეხარდა მოსაუბრეს და უნდოდა ეთქვა: მე შენზე მეტად მიჭირს აქ ყოფნა და მალე, ვინ იცის, უფრო უარეს დღეში ჩავვარდებიო, მაგრამ ეს ამ კაცს კი არა, საექიმო კომისიასაც არ ესმოდა ... — მართალია. მშვიდობიანობა რომ იყოს ...

— ახლა მი-ით უ-უმეტეს ...— არ აცალა ლეონმა.

— შენ თუ მუშაობდი სადმე ოდესმე? — ჩემი კუჭის წყლულისა არ იყოს, ესეც ერთსა და იმავეს არ მოიშლისო, და ამიტომ უფრო კონკრეტული კითხვა მისცა.

— ა-ახლაც ვმუ-უშაობ ...

— ახლა თქვენ სამხედრო სამსახურში ხართ, — გაუსწორა ჩხენკელმა გულგასიებულ მამასავით, შვილს გაროზგვას რომ უპირებს და ჯერ უნდა დააჯეროს, სხვა გზას არ მაძლევო.

— მე ჯე-ერ ო-ოჯახის წინაშე და მერე ხა-ალხისათვის ...

— ხალხი და ქვეყანა არ დგას წინ?

— ხა-ალხი ჩემი ო-ოჯახით იწყება..

— კი, გასაგებია! — არ აცალა განყოფილების უფროსმა, ამან თუ ასე გააბა, წყლულზე ადრე მომიღებს ბოლოსო, — ოჯახის წინაშე ჩვენ ყველა მოვალე ვართ, ჩვენცა გვაქვს ოჯახი...

— მე ცო-ოლი მყა-ავს ... — ამ დროს ყოველთვის ხანგრძლივად ებმებოდა ენა, რაკი ამის შემდეგ უნდა ეთქვა, რომ აქ სულ სხვაგვარადაა საქმე, ჰყავს მომაკვდავი მეუღლე, რომელსაც მატარებლიდან ჩამოვარდნის დროს მუცელი მოეშალა და შეიძლება ახლა ცოცხალიც აღარ არის, რაკი ექიმმა დარასელმა თავი უიმედოდ გადააქნია; ლეონი კი კომისარიატში გამოცხადდა ამის სათქმელად და არა ჯარში წამოსასვლელად. ახლავე უნდა გაეშვათ და რამდენიმე დღეში ყველაფერი გამოირკვეოდა — ან ავად, ან კარგად ... არა, კარგად არა ... ამ უბედურებაზე ფიქრი, და უხერხულობა იმის გამო, რომ უცხო ხალხთან უნდა ესაუბრა ცოლის მუცლის მოშლის თაობაზე, ისედაც ბლუს, ჯარის ნაწილებში, გაგანია ომით თავგზააბნეულ მეთაურებთან ლაპარაკისას, ენას სულ უბორკავდა. მეთაურებიც სათქმელს მოუთმენლად აწყვეტინებდნენ... ახლაც ასე მოხდა:

— ოჯახი პირველ რიგში მეუღლეს გულისხმობს ...

— მა-აცალე! — ბოლოს და ბოლოს ამ კაცისათვის მაინც ეთქვა თავისი გასაჭირი, რომ ამასაც გიჟად და მოღალატედ არ ჩაეთვალა.

— ამხანაგო ამაღლობელო!

— მა-აცალე! — სკამიდან წამოიწია ლეონმა და ჯარისკაცებმა აქეთ გადმოდგეს ნაბიჯი, მაგრამ ჩხენკელს კუჭის წყლულმა რაღაც უკარნახა: გარედან მასაც ხომ არაფერი ეტყობოდა, გარდა გაცრეცილი ფერისა და მწუხარებისა; იგი თვალებში მიაშტერდა დამნაშავეს.

— თქვით, თქვით, ხმას არ ამოვიღებ.

— ე-ესენი ... — ჯარისკაცებზე ანიშნა, — გა-არეთ გა-აუშვით, მე გა-ამქცევი არა ვარ ...

— ამათ ხომ ქართული არ ესმით?

— მა-აინც უხერხულია სხვე-ებთან ცოლზე ... ქა-ალური ... ცო-ოლის ქებაც კი აუგიაო...

— რაო! — ყურებს არ დაუჯერა ჩხენკელმა: ეს ჩემზე და პოლკოვნიკზე ჰკვიანი არ იყოსო....

განსაკუთრებული განყოფილების უფროსმა ჯარისკაცებს ხელით ანიშნა, იქაურობა დაეტოვებინათ.

— ააა! — დააღო პირი ჩხენკელმა და სავარძლიდან ამოძვრა, როცა ლეონის ნაამბობი მოისმინა, მაგრამ ის ექსპლოატაციაქმნილი, გადაჰრილი ბჟოლა რომ მოაგონდა, რომელზეც ქაღალდებში ამოიკითხა, ისევ მოეწამლა გუნება და ისევ წყლული გაახსენდა.

— სა-ამეცნიერო საცდელ მე-ეურნეობაში ვმუ-უშაობ მთავარ ა-აგრონომად ... — დინჯად და დალაგებით განაგრძო ლეონმა, რაკი როგორც იყო, მსმენელი იპოვა. თითქოს ის ენის ბორძიკიც მოიშალა. ყოველ შემთხვევაში, მსმენელს ყურს ისე აღარ ჭრიდა. სულ მანეთობით უანგარიშა, რა უჯდებოდა სახელმწიფოს ეს მეურნეობა, რატომ იყრებოდა ამდენი თანხა, ცდებოდა ამდენი მუშახელი, როცა მეურნეობა სინამდვილეში არავითარ მზა პროდუქციას ან ფულად ღირებულს არაფერს იძლეოდა. და ის, რაც უნდა მოეცა ამ მეურნეობას, რისთვისაც ამდენი ხარჯი და შრომა დასჭირდათ, ახლა დაიღუპებოდა, რაკი ლეონს ყოველ მეორე დღეს მაინც უნდა აელო ზომები ექსპლოატაციაქმნილი ბჟოლის ახალ ჰიბრიდულ ჯიშზე, გადაჰრის შემდეგ ათი პროცენტით მეტი ფოთოლი რომ განუვითარდა. ეს ფოთოლი სიგრძით მტკაველზე მეტი

გაიზრდებოდა და მეაბრეშუმეობა, რომლის გარეშე სამხედრო შეიარაღება და განსაკუთრებით საავიაციო შეიარაღება კაპიკად არ ვარგა, იგივე მუშახელით, იგივე დახარჯული შრომით ორჯერ მეტ მოსავალს მიიღებდა.

ჩხენკელმა წინ დადებულ ქაღალდებს თავისი პატარა მტკაველი დააზომა, მერე ლეონის ხელს შეხედა და დარწმუნდა, თუ ფოთოლი მის მტკაველზე მეტი გაიზრდებოდა, თაბახის ფურცლის ტოლა უნდა ყოფილიყო და აბრეშუმის ჭიის ჩელტს ორჯერ კი არა, ათჯერ ჩქარა მოფარავდა, ვიდრე ის ველური ბჟოლა, მას რომ ახსოვდა. მთელი დღეობით ისხდნენ ქალები, ხშირად ღამითაც ჩხოტავდნენ და რამდენჯერ ბავშვები, დღეების მოუცლელობის დროს, უსადილოდ და უვახშმოდ დარჩენილან, განსაკუთრებით აბრეშუმის ჭია რომ დიდ კანში ამოვიდოდა.

— გასაგებია, — თქვა ჩხენკელმა და ორივე ხელი ჩამოართვა, — კაცო, ჭკუის კოლოფი ყოფილხარ. შენ რა გიჭირს, მე ვიკითხო, რომ კუჭის წყლული მაწრჩობს. შენთან რა დავმალო, — მიიხედმოიხედა, თუმცა იცოდა, მადლიერი ჯარისკაცები გარეთ იდგნენ და თამბაქოს აბოლებდნენ, — ბუასილი მკლავს ...

— მა-აგის წამალი მა-ისის თაფლით და ყუ-ურძნის ხუნწკალით კეთდება. წყლუ-ულსაც ა-აკაციის თაფლი უ-უნდა ...

— ეჰ, ჩემო ... შენი სახელი რა მითხარი? — დაეზარა ქაღალდებში ჩახედვა ჩხენკელს, მაშინ წყლულის შემოტევა მქონდა და აღარ მახსოვს.

— ლე-ეონი ...

— აი, ჩემო ლეონ. ახლა მაგის დრო სადღაა, თაფლი მაისის კი არა, ივლისისაც რომ იყოს, არ დავიწუნებდი.

— ა-აბა ასე ხომ არ შე-ეიძლება ... კა-აცის ფერი არ გა-ადევს...

— არც შენი აქ ყოფნა შეიძლება, მაგრამ რა ვუყოთ. არ დაგვაყენა იმ პირსისხლიანმა. ყაჩაღი რომ მოგივარდება სახლში და გულზე დამბაჩას დაგადებს, ხომ ვერ ეტყვი, ცოლი მყავს უკანასკნელ დღეში, აბრეშუმი გვჭირდება და ბჟოლის ფოთოლი ერთი ათად უნდა გავზარდოთ, ან კუჭის წყლული უნდა მოვირჩინო და მერე მოდი-თქო. ის სწორედ იმ დროს არჩევს, როცა შენ გიჭირს.

— აა-ბა ასე? .. ი-ისიც ხომ კა-აცია...

— კაცია?! რა ვიცი ... თუ კაცია, რა უნდა, რას გვერჩის, ან ახლა და ან მერე, როცა შენ ხუთი ვაჟიშვილი გეყოლება და ბჟოლის ფოთოლს ერთი კი არა, ორი მტკავლით გაზრდი. იყოს ის მისთვის და ჩვენ ჩვენთვის.

— ასე უ-უნდა ი-იყოს ...

— მერე და სადაა. ხომ გაიგე, მთელი ბელორუსია და მოლდავეთი აიღო, ნახევარზე მეტი უკრაინა, იქით ბალტიისპირეთი და ... მოსკოვს და ლენინგრადს უახლოვდება. ქვევით კიდევ კავკასიონს უმიზნებს და თუ აქ მაგრად არ დავხვდით, იმ შენს ცოლს და შვილს...

— სადაა შვი-ილი ... — ამოიგმინა ლეონმა.

— შე კაცო, ახალგაზრდა კაცი ხარ, შვილი იმდენი გეყოლება, თუ შენმა ცოლმა არაფერი იეშმაკა, სახელები აგერევა ერთმანეთში. როგორც მამაჩემს სჭირდა. ჩვენ თერთმეტი დედმამიშვილი ვართ. ჰოდა, თუ აქამდე მოვიდა, იმ შენს ბჟოლის ხეს ძირფესვიანად ბომბით ამოგლეჯავს.

— აბა, აქ და-ავჯდე და თო-ოფი ვიისროლო?

— რას იზამ, მე ახლა საავადმყოფოში უნდა ვიწვე და ვინ იცის გადავრჩები? რომ შემომიტევს ხოლმე, ამ კედლების მეშინია, ისედაც ძლივს დგანან, თორემ, ზედ მინდა გასვლა.

— თა-აფლს შე-ევუთვლი მამაჩემს ... — კეთილად, გულუბრყვილოდ თქვა ლეონმა.

— არა, ლეონ! .. — სწორედ ამ დროს დაეტაკა ჩასაფრებული წყლული, როცა თანამგრძნობი და თავზე ხელის გადამსმელი დაიგულა, — ჩვენ მალე ალბათ შავი პურიც მოგვენატრება ...

მაგიდასთან ფეხდგომელა დახრილმა ჩხენკელმა ნახევარი გვერდი დასწერა და ჯარისკაცებს გადასცა:

— მე თვითონაც დავურეკავ, — ახლობელივით გამოემშვიდობა. ლეონი, თბოლივით, ბოლოს და ბოლოს, კვერი რომ გამოუცხვა ხელიდან არ გამაგდებინონო, შეეხვეწა:

— თქვე-ენთან მა-აინც და-ამტოვეთ...

— სულ ერთია. — დაამშვიდა ჩხენკელმა, ხელი მკლავში გამოსდო და კარებამდე მიაცილა, — ეტყობა, არც იქაა უსულგულო ხალხი, ვინც აქ გამოგგზავნა, შენი ჩემზე მეტად ესმით...

II

საღამო ხანს სამხედრო-საველე წვრთნით ქანცგაწყვეტილი ასეული მთავარ ბანაკს უახლოვდებოდა.

— ვიმღეროთ! — მორცხვად, ბრძანების მაგიერ შეიხვეწა უმცროსი ლეიტენანტი სემიჩასტნი: ვიცი, არც თქვენ გემღერებათ და არც მე, ამდენხანს არაფერი მითქვამს, ახლა ამისათვის რომ ეზოს სირბილით წრეები ვურტყათ, ისევ ეს გვერჩიოსო.

— ისე, კაცმა რომ თქვას, უფრო კარგი თვალისსეირი კი იქნებოდა... — ჩაილაპარაკა ბაკურმა.

— კიდევ რაღა გინდა, ახლა რომ კაცი გეტყვის იმღერეო, იმაზე უარესი რაღა იქნება?! — გამოღერღა კბილებში ჭესომ.

— ეს თავისთავად კარგი გასართობია, მაგრამ უფრო უკეთესი იქნება, იმოდენა ბანაკს რომ ვურბინოთ და სიმღერაც ვაგუგუნოთ.

— მე გავთავდი და ნეტავ შენ რაის სული გიდგას? — კბილები გაალაწუნა კინწურაშვილმა, — და კიდევ გემღერება...

— მე ვინ მკითხავს, უბრალოდ, ეს კარგი გასართობია, როცა ფეხის გადადგმა გიჭირს და დარბიხარ, როცა თავში ორივე ხელს უნდა იცემდე და მღერი...

— გაჩერდი, გაჩერდი! შენსას ვერაფერს გაიგებს კაცი, ეს ნასწავლი ხალხი მთლად ურევთ...

— ვიმღეროთ! — უფრო ხმამაღლა გაიმეორა სემიჩასტნიმ: ვითომ რომ დუმხართ, ამით რის თქმას აპირებთ ისეთს, მე არ ვიცოდეო.

ბაკურმა ზედიზედ ჩაახველა და სიმღერა წამოიწყო. ჯარისკაცებს გააჟრჟოლათ: ბანაკი ჯერ კიდევ იმდენზე ეგულებოდათ, ერთხანს შეგვეძლო არ დაგვეწყოო.

„არა უშავს, — ჰიშნისგებით გაიფიქრა ბაკურმა, — დაიწყებთ... თუ დაწყების დრო არ იყო, მაშინ მე რატომ დავიწყე! ესე იგი, ასეა საჭირო. ვინმეს რომ ეკითხა, თქვენ აქ სანგრების თხრას და ხელყუმბარების ტყორცნას, ფიტულების ხიშტით ჩხვლეტას და კონდახით ცემას, ტრაქტორზე წამოსკუპება. ვენახის გაფურჩქვნა და ბავშვის სამბორბლიანი ველოსიპედის გამოჩარხვა გერჩიათ...

— ე, რაღას უცდით! — შეახსენა უმცროსმა ლეიტენანტმა, როცა „მატრაკვეცა“ ამაღლობელს ჭინჭყლი მაყარივით შეატოვეს ხელში უდროო დროს წამოწყებული „მრავალჟამიერი“.

„ამ ამაღლობელისათვის რაღაცა უნდა მეთქვა“ — გაიხსენა და ვერც გაიხსენა სემიჩასტჰიმ.

— ეშმაკმა დალახვროს! — ჩაიბუზღუნა ათმეთაურმა ივანოვმა და ბაკურს უსულგულოდ აჰყვა.

— ვიზგინ! — ასეულის თავში მოქცევა მოინდომა სემიჩასტნიმ, სადაც ვიზგინი ეგულებოდა, მაგრამ დაქანცულმა ნაბიჯის მომატებას ხმის აწევა ამჯობინა — ბოლოს და ბოლოს, ჩემი სიამოვნებისათვის ხომ არ გამღერებთო.

ჩიხში მოქცეულმა ვიზგინმა, აქამდე რომ გალურსული იყო, საშველი მაინც ჰრაარ და მკივანა ხმით დაიწყო სიმღერა.

აქეთ-იქიდან ვიღაც-ვიღაცეებმა, ვინც რა შესაძლებლობის პატრონი იყო, იმაზე მეტი გამოიმეტეს და ასეული პოლკის ეზოში სიმღერით შევიდა.

სემიჩასტნიმ ბაბაკის შესასვლელთან, მოშორებით, სამხედრო კაბა-გიმნასტურაში გამოწყობილ ორ ქალიშვილს რომ შეასწრო თვალი, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ამ მუქ წაბლისფერთმიან ქალიშვილზე რაღაცა უნდოდა ეთქვა ბაკურისათვის ...

— ასეულო სდექ! — წამოიძახა უმცროსმა ლეიტენანტმა უფრო რიხიანად, — თავისუფლად.

ბაკური და ბესო ყაზარმისაკენ აპირებდნენ წალასლასებას, რომ წინ სემიჩასტნი გადაუდგათ.

ანატოლი ეპიფანეს ძე სემიჩასტნი ოდესის სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსდამთავრებული, სახელდახელოდ გამომცხვარი მეთაური იყო და თავისი ოფიცრობა ჯერ თვითონაც არ სჯეროდა. როგორც კი ასეულს ყაზარმამდე მოიყვანდა და ამ მიტმასნილ უფროსობას, თავიდან მოიცილებდა, ჯარისკაცებს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ისინი ყოფილიყვნენ მეთაურები და თვითონ ხელქვეითი.

— ბაკურ ფარნაოზოვიჩ, მეგობარო, მაპატიე ...

— რა იყო, ტოლია? — ჰკითხა ბაკურმა ცუდი წინათგრძნობით, ჩემი „როლი" კიდევ უფრო არ გართულდეს და რაიმე ახალი უბედურება არ ამიტყდესო.

ბესომ უმცროს ძმასავით დაჰკრა მხარზე ხელი სემიჩასტნის და გაუღიმა. მამამისის ბურულიანი სახლიდან წამოსულს არასოდეს კუშტი, დაძაგრული კრიჭა რომ არ გახსნია, მხოლოდ ამ ბიჭს უღიმოდა, ალბათ იმიტომაც, რომ რუსულად არ შეეძლო ეთქვა მადლობა მისი ასეთი თავმდაბლობისა და კეთილი გულისათვის.

— მადლობთ ... — ბესოს ორივე თვალის მოჭუტვით დაუქნია თავი უმცროსმა ლეიტენანტმა: ასეთი ძლიერი და უფროსი კაცი არ მიჯავრდება, რომ შენი მეთაური მქვია, თანაც რუსული არ ვიცი და ჩემი გესმისო.

— რა იყო, ტოლია? — მუხლებში ძალა გამოელია ბაკურს.

— გუშინ შტაბში, თქვენებური ... როგორ ვითხრა ... თქვენს თანამემამულეს, ქართველ გოგოს შეგხვდი ... რა თქმა უნდა, შემთხვევით. მე ჩვენს საქმეზე ვიყავი გამოძახებული ...

— ვინაა? — გოგოს ხსენებაზე ბაკური აიმრიზა: ვინმე ჩემი „როლის" ახალი პარტნიორი არ იყოსო.

— გვარი არ მიკითხავს, ხომ იცი, მეუხერხულა...

— მე მიცნობს?

— ალბათ არა ... არა, არა.

— რა უნდა! მე გოგოებთან საქმე არა მაქვს ...

— არა, იცი? გუშინწინ თურმე შტაბში ქართველს ეძებდნენ, რუსულის მცოდნეს, ვიღაც თქვენებური უნდა დაეკითხათ. მეც მითხრეს და შენზე ვუთხარი. მერე, ვერ გეტყვი, მგონი პოლკოვნიკს არ უქნია.

— აშენდა მისი ოჯახი! — ამოისუნთქა ბაკურმა, — გოგო ყოფილა დასაკითხი? რუსული არ იცის?

— როგორ არა, როგორ არა. ეს გუშინწინ იყო..

— გუშინწინდელ ამბავს მეუბნები, თუ გუშინდელს?

— გუშინწინ ეძებდნენ. გუშინ ვიღაცას შტაბში მოჰგონებია სანბატალიონი და იქაც მიუკითხავთ. მედდა მოუყვანიათ, მაგრამ პოლკოვნიკს ის ქართველი სხვაგან, სხვა ნაწილში გაუგზავნია დასაკითხად თუ ... არ ვიცი. ეს ქალიშვილი კი ტყუილა აღმოჩნდა დაძახებული, მაგრამ მერე თვითონ დაინტერესებულა, მითხარით, მაინც ვინ იყო დასაკითხიო. იქ შტაბის წვრილფეხობამ არც იცოდა, ვინ იყო, ან რა შეემთხვა. პოლკოვნიკს ხომ არ ჰკითხავდნენ, გვარი კი უთქვამთ. მიახლოებით შენსას ჩამოგავდა და მე წამომცდა, ასეთი გვარის კაცი ჩვენთანაა-მეთქი, მაგრამ მან რუსულიც იცის და ამას გარდა ...

— მოიცა, ტოლია! — შეაჩერა ბაკურმა, რომ დროზე გასცლოდა იქაურობას და სადღაც მიგდებულიყო; იქნებ ვახშმობამდე წელის გამართვა მოესწრო და ორი სიტყვა გელგეთელ ყა-

ფლან გასვიანისთვის მიეწერა შავი ცხენის თობაზე. რა დაემართა მის ცხენს, ჯერ არ იცოდა და ალბათ კაცი დარდით აღარ იყო, — ესე იგი, მე არაფერ შუაში ვარ, ხომ?

— შენ — არა...

— წავიდეთ, ბესო...

— მოიცა ბაკურ, იმ ქალიშვილმა გვთხოვა, თქვენთან ვინაა ჩემი თანამემამულე, ეს მაინც მითხარითო.

— ეჰ, საქმეშემოლეულია ვიღაცაა...

— მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ყოფილა. ძალიან კარგი გოგოა...

— ეს შენ გგონია, ქალიშვილები ყველანი ძალიან კარგები არიან.

— მაგრამ ახლა ის გოგო შემოსასვლელთან რომ დგას!.. — სახტად დარჩა სემიჩასტნი, როცა ბაკური ყაზარმისაკენ წავიდა.

— სად? — შეჩერდა ბაკური, მაგრამ თავი არ მიუბრუნებია.

— აი, იქ! — ხელი გაიწვდინა ანატოლიმ, მარტო ბესომ მიიხედა უკან და ამიტომ დაინახა, თუ საით ანიშნებდა სემიჩასტნი.

— მე არ გამახსენდა შენთვის მეთქვა, ბაკურ, მეგობარო, ხომ იცი, ისედაც ვერაფერს თავს ვერ ვართმევ...

— მერე ჩემგან რა გინდათ? — ჰკითხა მოშხამულმა ბაკურმა იმ ვიღაც მოხეირეს.

— წამოდი როგორმე, მეც წამოგყვები, გავაცნობ. უხერხულია, ქალიშვილი ძალიან კარგია... არა, ისეთი კი არაა. ძალიან კარგი... მეორეც ახლავს, დავინახე, მაგრამ არც მას არ ვიცნობ. ალბათ მეგობარია... გუშინ კი შტაბში მარტო იყო.

— რა უნდა? — ჰკითხა ბესომ, როცა თვითონაც გაოცდა, ვინ იქნება ახლა იქ ისეთი, რომ ასე დაქანცული ბაკური უკან დააბრუნესო.

— რა ვიცი, ვინ ოხერია...

— ჰო, ის ჩემი დედულეთელი შავი ცხენის პატრონი... არ იყოს, — მაინც დაეჭვდა ბესო.

— გელგეთელი? არა, იმას რა ჩამოიყვანს... ეს აქ, ჯარშია ვიღაც, გაცნობა უნდა, ქართველი ყოფილა.

— მერე, მივიდეთ...

— მივიდეთ? რისთვის მივიდეთ?

— ორ სიტყვას იმას მაინც დაველაპარაკები.

— ქალიშვილი ყოფილა...

— ჰოო, რა ეშმაკად გინდა...

— მე რომ არ მინდა და შენ... ხომ ხედავ, იმას უნდა...

სემიჩასტნიმ, თავისთვისაც უცნობ ქალიშვილებს ამ ბიჭებს რომ აცნობდა, ისევ დაიმორცხვა. იმ მეორე, თანმხლებ ქერას რომ არ ემარჯვნა, კაცმა არ იცის, ეს უხერხულობა სანამდე მივიდოდა.

— ვალია ქიქინა! — ხელი გამოუწოდა ბესოს ქერამ რომელიც ასაკითაც უფროსი ჩანდა, მეტი თავდაჯერებულიც და მისგან მარჯვნივაც იდგა.

ბესომ ხელები ზურგსუკან დამალა: ვითომ რუსული არ ვიცით და შეურაცხყოფილ ქალიშვილს მკლავი ჰაერში გაეყინა. ქიქინა კიდეც რომ მიმხვდარიყო ბესოს ფიქრს, მაინც ვერ გაიგებდა მის საქციელს. — უბრალოდ ხელის ჩამორთმევას რა ენის ცოდნა სჭირდებოდა.

გამოწვდილი ხელი შუაში მდგომ ბაკურმა ჩამოართვა და თვითონვე მოეწონა: „გაცნობის სცენა", ორიგინალურად მოუფიქრებია მოსეირესო.

— ბაკურ ამაღლობელი.

— აა, თქვენა ხართ... ამაღლობელი თუ ამაღლებელი... — ქართულად თქვა წაბლისფერთმიანმა ქალიშვილმა, პილოტურა რომ იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოდებული საფულე ჩანთასავით.

— მე ვარ... — ჩამოცვენილი მხრები აწურა ბაკურმა: „დღეს ვალმოხდილი მეგონა ჩემი თავი და არ ვიცი, კიდევ ვის რაში დავჭირდი" — ეს ბესოა... — უცებ გონს მოეგო და ქერათმიანს გააცნო — ბესარიონ ესტატევიჩ კინწურაშვილი, აპატიეთ, მან პირველად ვერ გაიგო, თქვენ რა უთხარით.

— აა, — შეწკიპა წარბები ქალი-

შვილმა, — ბესარიონი, ნაცნობი სახელია.

— ერთი სიტყვა არ იცის რუსული.

— რა ვუყოთ ... ხდება, — და ისევ გაუწოდა ხელი.

ბესომ ბაკურს ისე მოხედა, თითქოს ვინმე მარჯვენის მოკვეთას უპირებდა მას.

— ჩამოართვი ხელი, კაცო!..

ბესომ ერთბაშად მოინდომა ამდენი შეცდომის გამოსწორება და ქიქინამ არ შეიმჩნია, მაგრამ ყველა იქ მყოფმა კარგად გაიგონა, ბესოს კბილების ლაწალუწი და ქალიშვილის თითების ძვლების ტკაცუნი.

— ესეც ბესარიოჰი! — განთავისუფლებული თითები ვალიამ იღლიის ქვეშ დამალა.

— რა კეთილშობილი ბიჭი ჩანს თქვენი ლეიტენანტი, — მარწყვისფერი ტუჩის კუთხეში გაეღიმა წაბლისფერთმიან ქალიშვილს, უფრო მადლობით, ვიდრე ქალური ირონიით, რაც მორცხვი მამაკაცების და განსაკუთრებით ოფიცრებთან შეხვედრისას ემართებათ ხოლმე.

„რა აქვს მოსეირეს გუნებაში?“ — ჰკითხა თავისთავს ბაკურმა, როცა ამ ქალიშვილის ღიმილსა და თვალებში ის გაცვეთილი, ჩვეულებრივი მდედრის კეკლუცობა და კოკობზიკობა ვერ ამოიკითხა ... გუგუტას დუბლიორია?“ ...

— გაიცანით! — ბოლომოუღებელი უხერხულობა ისევ ქიქინამ დაარღვია, როცა თითების ტკივილმა უკლო, — ოქვენი თანამემამულეა, — ანცი ღიმილით თქვა, — თამარ მირიანაშვილი, ჩვენი სამედიცინო ბატალიონის უფროსი მედდა. მე ექთაჰი ვარ, არც უფროსი, არც უმცროსი.

— თამარ მირიანაშვილი ... — გაიმეორა ბაკურმა და ჩაფიქრდა, თითქოს ეს სადღაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაწერილი, და მე წაკითხული მაქვს თუ არაო. — რა საკითხავია, მაგრამ ... საიდან სადაო?

თამარს გაეღიმა, ისევ ხაზგასმულად — ასე მხოლოდ მე ვიღიმებიო.

— რა ვიცი, როგორც ყველა, მეც ისე მოვხვდი აქ ...

— ჰო, როგორც ყველა, როგორც ვალია .. ვალია, თქვენი მამის სახელი?

— ხრისტოფოროვნა ... ვალენტინა ხრისტოფოროვნა ... — რაკი ოფიციალურობა გინდათ, მაშინ სახელიც სრულად ვთქვათო.

— როგორც ვალენტინა ქრისტოფოროვნა, როგორც ბესო ... ბესარიონ ესტატევიჩი. — ქიქინას გადახედა ბაკურმა, — როგორც სემიჩასტნი, მეც და ყველა, არა?..

— ბესარიონ ესტატევიჩი? — გაიმეორა ვალიამ უფრო ზრდილობისათვის, რადგან ამ კაცს თანამემამულეები ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდნენ და ეს ერთადერთი იყო, რაც ბესოს შეეძლო გაეგო მათი საუბრიდან.

ბესომ კბილები ოდნავ, მისთვის უჩვეულო მორიდებით გააკრაჭუნა და ზარბაზანის ტყვიასავით დამამძიმებელი ხელები ოფლში გაეწურა.

— რა ვქნათ, სანამდე ვიდგეთ აქ? — ჰკითხა ბესოს საცოდაობით დამწვარმა ქიქინამ თამარს.

— სახლში ვერ დაგპატიჟებთ, მიუღაგებელი ვართ, — იხუმრა ბაკურმა და თავისივე ნათქვამს დააყურა, ხომ სწორად ამოვიკითხე ჩემი როლი, ხომ არაფერი შემშლიაო.

— სხვათა შორის, ეს მხოლოდ მასპინძლის წინდაუხედაობას არ უნდა დაბრალდეს, სტუმარსაც მართებს იცოდეს სტუმრობის დრო, — მასპინძლის ტვირთი გაინაწილა თამარმა და ბაკური ისევ დაეჭვდა, ვაი თუ ეს ქალიშვილი იმ მოსეირესათვის ეპიზოდური სახე არ იყოსო.

— ბესო, ჭური რომ მოგვეხადა? — მიუბრუნდა ბაკური ბესოს, უფრო ქიქინას პატივისცემით, მერე რუსულად უთარგმნა და აუხსნა ნათქვამის მნიშვნელობა.

— კარგი იქნებოდა, — გაიცინა ვალიამ, სალოკი თითით ნიკაპთან მიჭრილი თმის ბოლოს რომ იგრეხდა.

ბესომ თავი გადააქნია და კბილს კბილი დააჭირა.

— ეს პატივსაცემი სტუმრები ცოტაზე მაინც არ გავაცილოთ? — ჰკითხა ბაკურმა ბოლოს კინწურაშვილს, რომელიც საკუთარი ხელებით ისე იყო გაკვირვებული, თითქოს ამ საღამოს ეგრძნოს, ეს რა ჯანდაბა მქონია, ხელები რომ მეგონაო.

— სად სწავლობდით?

— ფილოლოგიურზე, უნივერსიტეტში... — თქვა ბაკურმა: ალბათ როლში სწერია და მე რა უფლება მაქვს, რომ არ ვუპასუხოო.

— ოო, ეს ჩემი ოცნება იყო, — თავი გადაიქნია თამარმა ისეთი გულწრფელი გულისწყვეტით, ისიც კი დაუჯერებდა, ვინც ეს სიტყვები ათქმევინა, — საერთოდ ფილოლოგია ...

— და სამედიცინოზე კი მოეწყვეთ!

— ეჰ, ჩვენი ოჯახის ცხოვრება თავიდანვე არ დალაგდა ისე, როგორც ჯერ ჩვენს მშობლებს უნდოდათ და მერე მე.

„როლი უფრო მომხიბვლელი რომ იყოს ... მაგრამ ვისაც ეს აინტერესებს, მან ისედაც უწყის“...

— მერე რა, ჩეხოვი ექიმი იყო.

— ოო, ეს უკვე მეტისმეტია, ბაკურ!

ძლიერი, უხეში ბესარიონის ხათრით, რომელსაც ეტყობოდა ხეირიანად არც მშობლიურ ენაზე ნათქვამი ესმოდა და უდანაშაულოდ ენაამოგლეჯილივით აცეცებდა ხარის თვალებს, ვალია შეეცადა გაეკეთებინა რაღაც, რითაც მას ამ გაჭირვებიდან იხსნიდა; მართლაც, გიმნასტურის გულისჯიბიდან ფოტოსურათები ამოაძვრინა, მხარდამხარ გაჰყვა და თითის დადებით აუხსნა:

— მამა ...

ბესომ თავი დაუქნია: მივხვდი დედათქვენი იქნებაო.

— პაპა.

— აპა, მამათქვენი ... — ამოიდგა ბესომ ენა და შეშინებულივით მიიხედმოიხედა, ალბათ თავდაპირველად რომ „დედა“ თქვა, ისე არ გაკვირვებია.

— ძმა ...

— თქვენი ძმა, — ისევ თქვა ბესომ და ახლა ვალიას შეხედა: ეს ვინ ყოფილა, რა დღეში ჩამაგდოო; — მე ხუთი მყავს ძმა! — უთხრა ქართულად და ამდენხანს რომ საკუთარმა ხელებმა სისხლი გაუშრო, ახლა გაფარჩხული თითები ცხვირთან მიუტანა, კინაღამ ცისფერი თვალები წამოთხარა ქალიშვილს.

— ხუთი ძმა გყავთ? — ჰკითხა ქიქინამ ისე, რომ არც აგრძნობინა, ეს ხელი თვალებთან რომ არ მომიტანო, ვერ დავინახავო?

— ხუთი, — რუსულად გაიმეორა ბესომ და სალოკი თითი კინაღამ სავსე მკერდში ატაკა მოსაუბრეს, — ერთი და! — შენ რომ ხარ, ისეთი ვინმეო.

— ერთი და ... — მაშინვე ტურასავით მიხვდა ვალია და სურათზე თავისი ორი დაია აჩვენა.

რაც ჯარში წამოვიდა, იმ დღიდან დამუნჯებულ ბესოს აღარ უკვირდა, რომ ენა ამოიდგა. პირიქით, წეღან რომ გახევებული მკლავები სხვისი ეგონა, ახლა გულზე მოეშვა: ხელები დავიბრუნეო.

ბაკურიც აღარ იყო ისე წყალწაღებული, როგორც ამ დღეებში: როლს ვთამაშობ, მაგრამ ადამიანურ რაღაცას მაინც ვთამაშობო. ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა.

— არა, რა თქმა უნდა, თამარ, ჩეხოვი უბრალოდ ჩვეულებრივი ნათელი მაგალითია. ადამიანს, რამდენადაც შორს არ უნდა იყოს, თვალი მაინც სინათლისაკენ გაურბის.

თამარმა მოიხედა და ბაკურის შუბლზე ორ მკრთალ ნაოჭს მალულად შეაცქერდა.

— რა ამის პასუხია, მაგრამ ნათელი და ბნელი, ისე როგორც დღე და ღამე, თანაბარია სამყაროში?

— მე ვფიქრობ, ამაზე ჩემი პასუხი არ გამოდგება, — იუარა ბაკურმა, ჩაფიქრდა: როლს ჩახედა, რა ეწერა შიგ ამის თაობაზე ..

— რატომ არ გამოდგება?

— ვფიქრობ, ცალმხრივი იქნება, მიკერძოებული.

— ბნელისაკენ? — ისევ გაეღიმა ქალიშვილს ... ასეთ დროს მხოლოდ მე ვიღიმებით.

ვაჟს უნდოდა კმაყოფილებით ეთქვა: „როგორ მიხვდით“, მაგრამ გადაიფიქრა, ეს ძალიან ბანალური იქნება, უნიჭო ავტორის ნახელავივითო, და ისევ როლს ჩახედა.

— თქვენს ასაკში ამდენს არ ფიქრობენ, — თქვა ქალმა, მაგრამ აღტაცება არ გამოუხატავს.

„ან კარგად კითხულობს, ან კარგი მოკარნახე ჰყავს“ — მოეწონა ბაკურს.

— თქვენ მესამე კურსზე იქნებოდით — თავის დაქნევით თქვა ბაკურმა: შენს ასაკში ქალთან წლოვანებაზე ლაპარაკი უხერხული არ არისო.

— ასე ვთქვათ ..

„ცუდად ამოვიკითხე, რაღაც სხვა ეწერა ალბათ“...

— არიან მოხუცი ბავშვები.

— ძალიან დიდი უმრავლესობა ... — მაშინვე ათქმევინა თამარს ყურთან ტუჩმიტანილმა სუფლიორმა.

— და ბებერი ბავშვები ... — მაინც დაასრულა ბაკურმა, რაც აღარ მოეწონა, ამოშლილი ფრაზა ამოვიკითხეო და თავის თავზე გამწყრალმა ერთბაშად რამდენიმე გვერდი გადაფურცლა: — ხომ არ გგონიათ ზოგჯერ, ერთ დროს ვიღაცის მიერ ნათქვამს იმეორებთ, ან არასოდეს არ გინახავთ და მაინც გეჩვენებათ, თითქოს ნაცნობ რაღაცას ხედავდეთ?

თამარი ისევ იმ გვერდზე იყო, რომელიც ბაკურმა გამოტოვა და გაჩერდა, ვაჟს შეხედა, წინ გადამისწრო, თუ ეს გაცვეთილი ქათინაურია, ქალს რომ ეტყვიან ხოლმე — თქვენ თითქოს დიდი ხანია გიცნობთო.

— თქვენ იმაზე გიფიქრიათ, რაც მე ჯერ მხოლოდ ძლივს შემინიშნავს?!

— თამარა გეორგევნა! თამარა გეორგევნა! სასთ წახვედით!

თამარი შეჩერდა და თავისი თავის უკმაყოფილომ მოიხედა:

„გადაშლილ ნახაზს წაჰყვა“ — სულ ოდნავ გაეღიმა ბაკურს.

— ეს თქვენ უკვე იცით და იქნებ არ იყოს საჭირო, მაგრამ მაინც ... ძალიან მადლობელი ვარ თქვენი მორცხვი ოფიცრისა ... — საგულდაგულოდ დაფარული ღელვით თქვა ქალიშვილმა გამომშვიდობებისას.

— გადავცემ, — თავი დაუქნია ბაკურმა და არ დაუმატა: როდის გავაგრძელოთ „თამაშიო“.

— აი, ჩვენ აქა ვართ, წარმოგიდგენიათ? — კეკლუცი წუწუნით თქვა ვალიამ, ზეგანზე მიხუხულავებულ ბარაკებს რომ მიუახლოვდნენ, და ბესოს გამოწვდილი მკლავი ჯერ მარცხენათი დაუჭირა და მერე ჩაუდო თავისი მარჯვენა, მაგრამ ეს ისეთი ანცი ღიმილით და უბრალოებით გააკეთა, ბესოს კი არა, ბაკურსაც გულწრფელად გაეღიმა.

— ნახვამდის! — პირველი რუსული სიტყვა თქვა ბესომ და მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია.

## თავი მესამე

— დავიღუპე კაცი, რაღაცა ამბავია, იცოდე შენ! — მოხოტრილ შუბლზე დაირტყა გაშლილი ხელი ბოკერიამ და ყოფილ თავლაში ერთმანეთზე შეკოლიკებულ საწოლებს შორის გარბენა მოინდომა.

ამ შუაღამისას მეთაურთა შემადგენლობის გამოძახება და გარეთ ამდენი საბარგო მანქანების ზრიალი ცუდად ენიშნა ავთანდილს.

— ეს საღ გარბის, მართლა მეთაური ჰგონია თავისი თავი? — კედელზე მოკიდებულ სამ-სამი ღერი ფიცრის საწოლზე თვალებბადქცეულ ნოშრევანს და მამუკას ამოხედა ცინცაძემ, როცა ასანთის წყვილი ღერი აანთო და ბოკერიაზე ანიშნა.

— იქნება იქცევა ქვეყანა და არ უნდა გავიგო?! — თავი იმართლა ავთანდილმა, აქაო და, ჩემი ათმეთაურობა

მართლა დიდ რამედ კი არ მიმაჩნიაო.

— ალბათ საწვრთნელი განგაშია... — ჩაილაპარაკა ლადომ, თითებთან მიმწვარი წუმწუმა სოხანზე დააგდო და თავი ჩანთაზე მიფარებულ მაზარაზე მიდო.

— არ არის განგაში ეს...

— აბა, გერმანელები აქამდე მოვიდნენ? — ძილ-მღვიძარედ ჩაიდუდუნა ცინცაძემ და მთელი დღის საწვრთნელი ვარჯიშებით დაქანცულს მაშინვე მიეძინა.

— იყავით აქ თქვენ! — დაარიგა ბოკერიამ ბნელში თვალებგადმოკარკლული მამუკა და ნოშრევანი, თუმცა არც ერთი ადგილიდან დაძვრას კი არა, თვალის დახამხამებასაც არ აპირებდა; — მე ყველაფერს გავიგებ.

ბოკერია უქამროდ და ამოუბნეველი ბატინკებით წაფლატუნდა, რამაც უფრო შეაშფოთა მამუკა, ვიდრე ამ შუაღამისას ათმეთაურების გამოძახებამ.

— ხომ ვთქვი მე, კაცო... — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ავთანდილმა, როცა ისევ შეუკრავი ბატინკების ბრახუნით დაბრუნდა.

— რა მოხდა? — იკითხა ნოშრევანმა და წამოდგომა სცადა, მაგრამ მოწყვეტილი ხელი ხმელ საწოლს ვერ ააცილა.

— არაფერი მკითხოთ! — მკაცრად გააფრთხილა მეთაურმა ბიჭები. ბათინკებიანად ცინცაძის თავზე გამართულ საწოლზე აძვრა და ეს სიტყვები ცივი რიყის ქვასავით გადმოყარა,—ჩააწყვეთ ყველაფერი, თუ რამე გაგაჩნიათ!...

მამუკამ უაზროდ კედლის ყურეში, ზურგჩანთისა და აირწინაღის ქვეშ დაწყობილ თეკლას წერილებს მოხვია ხელები და თავდაღმა დამხობილმა გულზე მიიხუტა.

— რა მოხდა?! — ჰკითხა ბოკერიას ნარის მეორე სართულიდან ლიოვა ვიშნევსკიმ.

— შენც ჩააწყვე, მომზადებული იყავი! — იმასაც ქვასავით გადაუგდო ავთანდილმა.

— ხვალ?

— ხვალ კი არა, ამაღამ, სად გვიკრავენ თავს, მამაზეციერმა არ უწყის!

— უხერხულია... — რაღაცას ჯიუტად, თითქოს გაბუტვითაც აბუზღუნდა ვიშნევსკი.

— გადამრევს ეს კაცი! — შეიცხადა ბოკერიამ, რაზეც ცინცაძეს ისევ გაეღვიძა.

— ნეტავ ამას თუ კიდევ გადარევა უნდა...

— მოიცა, ლადო, ცოტა და მალე შენ მთლად ქვების სროლას დაიწყებ, — დაამშვიდა ათმეთაურმა, რომელიც ბნელში ნარზე ჩაჩოქილი ჩანთას გულდაგულ ტენიდა და ქვაბურას, მათარას და კოვზს აჩხაკუნებდა.

— განგაშია? — ამოღერღა მეორე კედელთან ჩეჩენმა. ორი დღის წინ წვიმასა და ტალახში ნაგდებს, მას ახლა საღამოობით სიცხეს აძლევდა. ჩეჩენს უცებ გაბმული ხველა აუტყდა, — მე ვერ წამოვალ, ბოკერია, ისევ ცუდათა ვარ...

— ახლავე ჩაალაგე, თუ რამე მოგეძევება!

— სიცხე მაქვს... — ისევ ხველა დააყოლა ნათქვამს ჩეჩენმა.

— სიცხე მანდ დატოვე!

— უყურე შენ ბოკერიას... შეიფერა... მეთაურებმა იციან, ვინ დააწინაურონ... — ეწყინა ცინცაძეს ამ შუაღამისას ათმეთაურის წრიალი, მაგრამ მაშინვე საგანგაშო საყვირები აყეფდნენ და ლადომ ახლა მესაყვირეებს შეუკურთხა.

ნახევრად მძინარე, წელმოწყვეტილი ჯარისკაცებით დატენილი ავტოკოლონების მარში დაიწყო და მამუკა ბნელში უკან ისე თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ამ ერთდროის ცხენების თავლას და მერე სამხედრო ყაზარმას, როგორც თბილისიდან წამოსვლის დღეს რკინიგზის სადგურს, რომლის მიღმა ქალაქში თეკლა და მთელი თავისი ქვეყანა დატოვა.

— მშვიდობით ნადენკა, ლუსია, ნატაშა! — მიაძახა მდინარისაკენ პირმიქცეულმა ბოკერიამ და ვიშნევსკის მხარ-

ზე ხელი დაჰკრა: რატომ ხმას არ იღებო: შემდეგ კი როცა მანქანა ადგილიდან დაიძრა, ძარაზე გადებულ ფიცარზე მუხლმოკვეთილი დაეშვა.

ლადო ძარის აქეთა კიდეში იჯდა, მამუკა გვერდით, მარცხნივ ნოშრევანი თრთოდა და კანკალებდა, თითქოს ზაფხულის ღამით კი არა, შუაგულ რუსულ ზამთარში თბილი ლოგინიდან წამოეგდოთ.

— დავიბენით ... — აღიარა ბოკერიამ, როცა კოლონამ სასურველი სისწრაფე აიღო და მოუკირწყლავ, მაგრამ გატკეპნილ გზაზე მანქანების ხრიალი მონოტონურად გაისმა, — შევცდით, ლიოვა... ამ ლადომაც სულ ამირია ჭკუა.

— ვთქვათ, არ ამერია? — იკითხა ცინცაძემ.

— არა, ნამეტანი უხერხული გამოვიდა ... მე მაშინვე გითხარი, — აბუზღუნდა ვიშნევსკიც.

— მაინც რა უნდა გვექნა? — ნიშნის მოგებით, ფარული ბოღმით თუ სიჯიუტით გადმოუგდო ლადომ.

— მდინარის ნაპირზე ჩაგვერბინა და ფერდობზე თეთრი ქვებით დაგვეწერა: „მშვიდობით". დილას რომ გამოვლენ და ბანაკში ძეხორციელს ვერ დაინახავენ, რას იტყვიან, მოგვეჭრა თავი, ბიჭებო!

— რავა, მე დავიხურე ქუდი და მოვუსვი თუ? — არ დაანება თავი მოსაჭრელად ცინცაძემ.

— უხერხულია, მაგრამ ... ღმერთმანი, მე რა შუაში ვარ, არ ვიცი!.. — ვერც ვიშნევსკიმ გაიმეტა უდანაშაულო თავი.

— იქნებ დილამდე უკან დაგვაბრუნონ და მე დაგეტოვებინეთ ... — წუხდა წინა მწკრივში ხველაავარდნილი ჩეჩენი.

— შენ მაგ მაზარა კარგად მოიხვიე! — გააფრთხილა ათმეთაურმა, — და დილით თუ სადმე შევისვენეთ, სანნაწილში მიგიყვანთ.

— სად მივდივართ, ეს მაინც გვითხრან ... — წყენით ამოიღრინა იური ლენიაკოვმა, ძარაში ჩეჩნის წინ რომ იჯდა.

— მაგი შენ კი არა, მეც არ ვიცი! — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მიაძახა ავთანდილმა და ვიშნევსკის მხარზე ხელი მოხვია, — აჰ, ლიოვა, რა გოგოები დავკარგეთ!..

„ნეტავ რა გოგოები დაკარგეს? — გაუკვირდა მამუკას. ნაშუაღამევის გრილი ნიავი უბეში უვარდებოდა და ამიტომ გიმნასტურის ღილები ბოლომდე აიბნია. ჯერაც ბოლომდე გონს მოსული არ იყო — ისევ თავლაში სამ ღერ ფიცარზე იწვა, თუ მანქანის ძარაში იჯდა. გუნებაში გაეღიმა: თეკლას ამაღამვე მივწერ, მერე კი ჩავალ და მოვუყვები, როგორ დაკარგეს ამ ბიჭებმა გოგოები, რომელთაც ვერცკი გამოემშვიდობნენ. თეკლა სიცილით მოკვდება, მარტო იმაზე, ჯერ როგორ მოიფიქრა მართლაც მაკვარანცხმა ბოკერიამ ამ გოგოების გაცნობა.

ავთანდილმა ორ დღეს სანნაწილს უტრიალა, ერთ-ორ დამფრთხალ გოგოს გამოელაპარაკა და სახელი ძლივს გამოსტყუა, მაგრამ ახალგამომცხვარ ექთნებს, რომლებმაც, ალბათ, ჯარში გაწვევამდე, გზა სახლიდან სამედიცინო სასწავლებლამდე თუ იცოდნენ, აქ შეღამებისთანავე თავლის საწყობიდან ფეხის გამოდგმის ისე ეშინოდათ, ვითომ გარეთ მოსისხლე მტერი ელოდათ, და არა სიყვარულით გულაძგერებული ბოკერია. ავთანდილს კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდა, იკადრა და ცინცაძის ულვაშები მოიშველია.

— არ ამომდის ეს უპატრონო, კაცო! — თავი იმართლა ლადოსთან ბოკერიამ, სარკის ნატეხში წამდაუწუმ რომ იჭყიტებოდა და საულვაშეზე ხელი ისე ბრაზით მოისვა, მართლა ხელმოსაკიდზე რომ ყოფილიყო წამოზრდილი, ღერაღერა დაიბრდღვნიდა, — წამოდი ერთი, ისეთი გოგოებია, მთვარიან ღამეში ცივ ქვაზე რომ დაჯდე და უყურო, გერმანიას უთოფოდ აიღებ.

ცინცაძემ თავი უნდოდ გადააქნია.

— აბა, ეგ ულვაშები მაინც მათხოვე! — არ მოეშვა ბოკერია.

— მეშინია, — იუარა ლადომ, — სადმე ცხენის ნეხვში თავი არ წაჰყო და არ დამისვარო!

— ნეხვში შენ თუ ურევდი ცხვირს, მიაჩვიე და ახლა უმისობას ვერ ითმენს... მე ნეხვი კი არ მინდა, — გადაირია ავთანდილი, — სამოთხის კარებს ვალებ!

— მერე ჩემი ულვაში კლიტედ გინდა?

— პატარა ხანს, ბიჭო, კიდევ ერთიორი კვირა და ისეთ ულვაშებს გადავიწკვარტნი, ქალმა კი არა, გერმანელმა ვერ მომწყვიტოს თვალი!

— აქ თავლა იყო, ავთანდილ, თვითონაც იცი, სადმე ცხენის ძუა იქნება დარჩენილი, ჯერ ის იხმარე! — დაარიგა ბრძნულად ცინცაძემ.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, სანნაწილის გოგოების ცხრაკლიტული ვერც ცინცაძის მსხვილმა შავმა ულვაშებმა გახსნეს.

ამის მერე ბოკერიამ შტაბის მბეჭდავი და მეკავშირე გოგოები ამოიღო მიზანში და მთელი დღე წვრთნაზე ნათრევმა და უულვაშობით გაწამებულმა ათმეთაურმა სამიზნეს აქაც დააცილა. ეს იქნებ იმის ბრალიც იყო, რომ ბოკერიას ოქრო სხვაგანაც ჰქონდა დამარხული და გული ერთ ადგილას დიდხანს არ უდგებოდა. ბოლოს, ცეცხლი მძიმე არტილერიასავით წყალგალმა გადაიტანა და თეთრ ხუტორს დაუშინა.

დაუშინა და დაუშინა ზარბაზნები. ამ ნაპირიდან იმდენი უსტვინა, უკივლა, იმდენი აქნია ხელი და ფეხი, ქუდი და ცხვირსახოცი, ერთი სამი გოგო მართლა გამოიტყუა თეთრი, კოპწია სახლებიდან.

— გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ, შუა ჩამოდის მდინარე... — ჩაიღიღინა ცინცაძემ.

— მდინარეს კი არა, ქალისთვის ზღვას ისე გადავცურავ, ფეხს არ დავისველებ! — რახვ ბათინკებზე დაიხედა ბოკერიამ, იშვირა ფეხი და ნაპირის მაღალ კბოდედან გადაეშვა, მართლა მდინარეში გადასავარდნად თავგანწირულივით. ზედ წყლის პირას მკლავების, წიხლების ქნევას და მალაყებს მოჰყვა: გოგოებო, მაღლიდან რომ გადმომდგარხართ და აჟუჟუნებთ თვალებს, მანდვე, ნაპირზე მაინც ჩამოდითო.

გოგოები ერთმანეთს აწყდებოდნენ, ალბათ, სიცილით. ეს ვინაა, რა პაემანს გვთავაზობსო.

ბოკერიამ მაინც თავისი გაიტანა და ქალიშვილები მაღლიდან დაბლა ჩამოიტყუა.

მაგრამ რა გინდა, აქედან ვერც ხმას გააწვდენ და ვერც ხეირიანად გაარჩევ ერთმანეთისაგან.

— ჩამოდით! — ახლა ცინცაძეს, მამუკას და ნოშრევანს გასძახა — მიშველეთ!

ლადომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მაგრამ მამუკას, თითქოს ამ კბოდეზე გვერდით თეკლა ჯდომოდეს, ისე გაუკვირდა, ეს რა მითხრა ბოკერიამო.

ცინცაძე ძახილის ნიშანივით დაუდგა გვერდით ბოკერიას: აჰა, ჩამოვედი და გამაცანი ეს „შენი გოგოებიო“. ავთანდილმა ჯერ ცას ახედა, ალბათ სიყვარულის ქალღმერთს შველა თხოვა და მერე ცინცაძეს მკერდზე გაშლილი ხელი დაჰკრა, კინაღამ წელში მოკაკვა ეს ბრგე ბიჭი, ალბათ იფიქრა, მაგრად თუ არ დავკარი შორიდან ვერ დამინახავსო, და გაღმელებს ანიშნა, ჩემი მეგობარია — ცერი აფშიკა — აი, ასეთი ბიჭიაო.

მამუკას სოფელში თეკლას ჩაყვანა და სათევზაოდ გაპარვის დილა დაუდგა თვალწინ, მაგრამ რამაც მაშინ მამუკას უშველა და თეკლა ფანჯრიდან გადმოაფრინა, ახლა ავთანდილს ვერ უწამლა. ქალიშვილები იქიდან ხელს აქნევდნენ: მაგი კი არა, შენ თვითონ ვინა ხარ, რა გინდა, გაგვაგებინეო.

ბოკერია ხეს და მიწას მოედო, ავარდა დავარდა. გამოქცეული, ციცაბო ნაპირს შუამდე ამოუყვა და უკან ჩახტომისას კინაღამ კისერი მოიტეხა: როგორ არ გესმით, რა გვინდა, სიყვარულის ცეცხლი გვიკიდია და ზეზეულად ვიწვითო.

აყვირდა კიდეც...

— ავთანდილი ვარ, მოფერებით ავთოს მეძახიან, ჩემი ფასი ბიჭი ქვეყანაზე არაა! — რა ენაღვლებოდა რა, იმ

ნაპირიდან ცინცაძის ულვაშებს მაინც ვერავინ გაარჩევდა.

ამ გაწამაწიაში თავზე ცისფერთვალა, მაღალი ლიოვა ვიშნევსკი წამოადგათ, ავთანდილს შეუმჩნევლად კვალში რომ დასდევდა.

ვიშნევსკი დასავლეთ ბელორუსიიდან იყო. ახლა მის სოფელ-ქალაქში, ტყესა და მინდორში მტერი დათარეშობდა და გულგასიებული ბიჭი დარდს რომ არ გამოეხრა, მუდამ მოუსვენარ და ხალისიან ავთანდილთან სიახლოვეს ცდილობდა. მაშინ წუთით მაინც ავიწყდებოდა თავის დარბეული ქვეყანა და ბოკერიას სიცოცხლის ხალისი სახადივით გადაედებოდა ხოლმე. თან თავმოყვარე, ამღვრეულ ბიჭს ერიდებოდა ძალით მიტმასნება, და ტაქტით, თავშეკავებით უახლოვდებოდა ათმეთაურს. ჯერ იყო და თავლის მაღალ, მოკლე, მაგრამ განიერ ფანჯარასთან, თავისი ხელით კარგად გამართული მეორე სართულის ნარი, ბოკერიას გვერდით მოსკოველ მწითურ კუდრიავცევს გაუცვალა, თუმცა ცხენების ნეხვისა და შარდის სუნით გაჟღენთილ თავლაში, ამდენი ჯარისკაცის ოფლით და ამონასუნთქით სული ეხუთებოდა. ამრიგად, ღამით ხომ ავთანდილის გვერდით დაიდო ბინა, დღისითაც, საიდანაც სიცილხორხოცი შემოესმებოდა, ყველგან ბოკერია ეგულებოდა, რაღაცას მოიმიზეზებდა და იქით გასწევდა... ერთხელ ისიც კი ჰკითხა, გაწვევის წინ ერთი გოგოს შეყვარებას ვაპირებ და ახლა ხომ არაფერი მივწერო, რას მირჩევო?

მაგრამ ასეთი სასაცილო შეკითხვასაც ისეთი სერიოზულობით და ბუზღუნით აძლევდა, თითქოს ძალა დაეტანებინოთ და ათმეთაურიც ვალდებული ყოფილიყოს ასეთ რამეზეც რჩევა მიეცა.

მაშინ ბოკერიამ თავი გადააქნია: ახლა იქ მტერი დათარეშობს და, ვაი თუ „ლემენცმა“ შენი სიყვარულისათვის იმ გოგოს ვერ მოაცლევინოსო. შეყვარებას რომ აპირებდი, რას უცდიდი, ფაშისტი კარზე იყო მომდგარი ... ეხ, არ დაგეგვიანებია, კარგი იყო, მწიფე მსხალი სწორედ ღორს უვარდება პირშიო: წერილის მიწერა კი მაინც ურჩია, ოღონდ გაგზავნაზე ჯერჯერობით თავი შეიკავეო.

ახლა ლიოვას გამოჩენამ ბოკერიას ფრთები შეასხა.

— ჩამოდი, ლიოვა, მიშველე! — შეეხვეწა, თითქოს ტალღებს მოეტაცებიოს, და კარგად მოცურავე მეგობარს შველას თხოვდა.

— რა უნდა? — ჰკითხა ვიშნევსკიმ იქვე მაღალ ნაპირზე ჩამომჯდარ მამუკას და ნოშრევანს.

— ჩამოდი, რომ გელაპარაკები. კაცი არა ხარ, კაცო?!

შუბლშეჭმუხვნილმა ვიშნევსკიმ ახლა ცინცაძეს ჰკითხა თვალებით: რა უნდა, რომ საშველს არ მაძლევსო, თითქოს ავთანდილს აქაც ძალისძალათი მოეყვანოს.

ჩამოდიო, ხელი დაუქნია ლადომაც.

ლიოვა კბოდეზე ჩაფხოკიალდა, ქვევით სილაში ჩაჯდა და როცა წამოდგა, უკანალის ფერთხვას მოჰყვა:

— აჰ! — ხელებში ეცა ავთანდილი, — არ მომჰრა თავი! — იგივე ხელი მაღლა ააწევინა გაღმელებისათვის მისალმების ნიშნად, თან ყურში ჩასჩურჩულა: მდინარის იქით უყურე, სამი ვარსკვლავი რომ ბრწყინავს, თუ ხედავო.

ვიშნევსკიმ ცას ახედა. საღამო კი იყო, მაგრამ ჯერ რა დროს ვარსკვლავებიაო, ვერაფერი დაინახა და გაჯიუტდა, ავთანდილს მკლავი წაართვა, ისევ ცინცაძეს მიუბრუნდა:

— რა ვარსკვლავები ეჩვენება, რატომ არ მასვენებს?

— ქვევით გადაიხედე, მთლად წყლის პირზე, ბოკერია მოჩვენებების და მოლანდებების კაცი არაა, — ურჩია ლადომაც.

ვიშნევსკიმ მართლა აღმოაჩინა ნაპირზე „ვარსკვლავები“ და გაიღიმა, ერთი წუთით დარდი გადაიყარა, ხელი მეთაურის დაუხმარებლად თვითონ ასწია.

ამ მესამე, მაღალი ბიჭის მისალმებაზე უკვე „გაშინაურებულმა“ გოგოებმა ჭრელი თავსაფრები მოიძრეს და ჰაერში ააფრიალეს.

ბოკერიამ ფრთები გაშალა. წყნარ, მდორედ მიმავალ მდინარეს მიაწყდა. ალბათ ეგონა მართლა გაფრინდებოდა, მაგრამ ფეხის სისველემ მთვარეულივით გამოაფხიზლა.

— ჰე, რა ვქნათ ახლა? — იკითხა ლადომ და გულზე მკლავები დაიჭდო.

— რა ვქნათ და გაანძრიეთ ტვინი, ჩემზე რომ ხართ მოჩერებული! — ორივეს გაუწყრა ავთანდილი, თუმცა ვიშნევსკი ისევ გაღმა იცქირებოდა.

— გავანძრიეთ, მერე? — არ მოეშვა ლადო.

— მართლა რა უნდა ვქნათ? — იკითხა წყლის პირას ხმელი არყის ხესავით დაყუდებულმა ლიოვამაც.

— რიყის ქვა აიღეთ!

— ქვის სროლას გვაწყებინებს... — მიუხვდა ცინცაძე.

— რად გვინდა ქვა?! — ჩაერია ბელორუსი, რაკი ლადოს ნათქვამი ხუმრობად ჩათვალა.

— ირტყით თავში! — აუხსნა საქმის ვითარება ბოკერიამ და, თქვენ თუ გგონიათ, ვხუმრობო, თვითონ ორი მოზრდილი თეთრი რიყის ქვა აიღო, ჰაერში ასწია, რომ გაღმაც დაენახათ და თავისკენ წაიღო: თქვენი სიყვარულით თავში ქვას ვიშენო.

გაღმა ნაპირზე ისეთი სიცილ-ტკვარცალი ატყდა, ხმამ აქეთა ნაპირზეც კი მოაღწია.

— აი, რა უნდა ჰქნათ! — ქვები ხელში დაიჭირა ავთანდილმა, მაგრამ ახლა თავში ლოდის ცემა აღარ გამოდგებოდა, ისევ თვალების ცეცება დაიწყო და ის იყო, მაღლა მამუკა და ნოშრევანი შენიშნა, — ამოიღეთ ხმა, რომ დაგიღიათ პირი, რაღაცა თქვენ მაინც მოიფიქრეთ. ამათ თუ უყურებთ, ესენი უკვე შეყვარებულებია. დაკარგა ჭკუა ცინცაძემ და ეს ამსიმაღლე კაციც ზეზეულად გახმა, ხომ ხედავთ!

მამუკას ამ დროს მუხლებზე წიგნი, წიგნზე გაშლილი ფურცელი ედო და ამის დამნახავ ავთანდილს ისევ ფრთები შეესხა, ნაპირის ციცაბო დაქანებას მოაფრინდა და თეთრი ქვა კბოდეს დაუშინა. მერე ქვა ქვას დასცხო და იქვე დაამაგრა.

— არიქაო! — იჯღავლა.

მიცვივდნენ ლადო და ლიოვა, ეგონათ თითები დაინაყაო.

— რა გაბღავლებს! — დაიბნა ცინცაძე, როცა ბოკერიას ხელებს დააჩერდა და საიმისო ვერაფერი შენიშნა.

— თეთრი, მსხვილი ქვები მომაშველეთ!

დაფაცურდნენ ორივენი, რიყე გადაქექეს და თოვლივით თეთრი, დოქა მსხლებივით ქვები მოაყარეს.

ბოკერიამ შარდში გახსნილი ცხენის ნაკელით ჩამოშავებულ კბოდეზე თეთრი ქვები ერთმანეთის მიყოლებით ჩააჭიკჭიკა და თავისი მოსაფერებელი სახელი დააწერა ზუსტად თავის ტოლა ასოებით.

თავად ამ ბუმბერაზი ასოების ქვეშ ჩაჯდა და გულზე ორივე ხელი დაირტყა: ეს „ავტო“ მე თვითონ გახლავართო, და როცა იქიდან სიცილ-ტკვარცალით აპიშნეს: ახლა კი გავიგეთ, ვისთან გვქონია საქმეო, თავისი თავით აღტაცებულ ავთანდილს ხმამაღლა აღმოხდა:

— ასე იცის ბოკერიამ!..

ამის შემდეგ გაიმართა „მიწერ-მოწერა“ ნადიასთან, ლუსიასთან და ნატაშასთან.

II

მამუკას სულ არ უფიქრია იმაზე, რაც სხვებს აწუხებდა — რა გზას დაადგა ამ შუაღამისას დედაბუდიანად აშლილი პოლკი.

მისი დარდი და გულისწყვეტა სხვა იყო. მან იქ, საიდანაც წამოიყვანეს, დატოვა ძალიან ახლობელი, ნაწვავ-ნადაგი და დიდი შრომით შექმნილი ეზოქვეყანა და სახლ-კარი თუ არა, ერთი საკუთარი ოთახი მაინც. ახლა კი, როცა მთელ ყაზარმას ეძინა, იგი ღამეებს თეთრად ათენებდა და ქვეყნის ნამალევად იშენებდა მყუდრო თავშესაფარს. ეს იმ

დღესვე დაიწყო, როცა თავლის კედელთან ადგილი მიიჩნია... უფრო სწორად, ბოკერიამ მიუჩინა მამუკასა და ნოშრევანს თავისთვის შეგუებული კუთხე.

— ამ კუნჭულში ურჩევნიათ, იცოდე შენ! — უთხრა ავთანდილმა თავის თავს, — თვალუწვდენელ ყაზარმაში უდედო ბატკანივით დამეკარგებიან.

— ეგერ ფიცარი და აგერ ლურსმანი და მიხედე საქმეს!

არდაძეს, ლურსმანი თავით უნდა დაეჭედებია თუ წვერით, ისიც არ იცოდა, ამაღლობელს კი, ასე უვიცობა არ ეთქმოდა, მაგრამ იმოდენა ლურსმნებმა ნედლი არყის ხის ჩამოუგანავი ფიცრები რომ დააპო, ნარების გამართვა ისევ ცინცაძის სადავიდარაბო გახდა.

მამუკამ იმ საღამოსვე მაღლა, ბნელ კუნჭულში მოიკალათა, სადაც კედლებში გამოჩრილი შეულესავი ლოდები ნაპატიებ ცხენს კისრის ფხანით გაეპრიალებია. მიწვა ბნელისკენ პირმიქცეული, მაგრამ ადრე აქ ნაბამმა ულაყმა, თავისი გამორჩეული, მომჟავო ოფლის მძაფრი სუნით, რომელიც აქვე დაეტოვებინა, არაფრით ახლოს არ მიიკარა, მთელი ღამე ტორებს სცემდა ცხენის სიმაღლე ნარზე დამხობილ ბიჭს. შარდით და ნეხვით კი ქვედა სართულზე გაწოლილ ნოშრევანს ებრძოდა.

დიდხანს არ შეირიგა ეს ორი უნიათო მხედარი ორიოდე დღის წინ აქ ნაბამმა ურა ტაიჭმა, ერთი რომ მუცელქვეშ ამოეწება და მეორე ზურგზე შეაბობღდა, მაგრამ არც ამათ ჰქონდათ სხვა გზა და არც ბედაურს, რომელსაც მთელი დღე ყურთამდე დაღებული კარებიდან ორპირი ნიავი და მორიგე ჯარისკაცის ხვეტა-წმენდა ტრამალებისაკენ ერეკებოდა. თანდათან ულაყის ქონის, ნაკელისა და შარდის მძაფრ სუნში, ტვირთმძიმე, ათობით კილომეტრზე ნარბენი, საწვრთნელ მინდორზე ნაჯახირები ბიჭების ოფლის სუნიც შეერია. მართალია, ცხენი ცხენად დარჩა, მაგრამ მგრძნობიარე ცხვირი ამ კუნჭულში ორი უმწიფარი ბიჭის არსებობასაც გამოიცნობდა.

მამუკამ დღეს-ხვალ მაინც „მოიწყო“ ცხენის ზურგზე თავისი „ქოხი“ — თეკლას ოთახის ალი და კვალი, გულზოლში ფარნას ოდის წინა ოთახსაც რომ ჩამოჰგავდა. ქანცგაწყვეტილ ბიჭს, როცა ეშველებოდა და კედლისკენ პირმიქცეული მიწვებოდა, თან ზურგსუკან მაზარას მოიდებდა, სულშემხუთველ სიცხეში ის მაზარა ლადარივით სწვავდა, მით უფრო, რომ სამი ღერი ფიცრის ვიწრო საწოლი იმის საშუალებას არ იძლეოდა, მაზარა და პატრონი ერთმანეთს დაშორიშორებოდნენ; სამაგიეროდ, კუნჭულში მომწყვდეულს ეს საწოლი მთელი ყაზარმიდან ჰყოფდა. იგი თეკლას ოთახის ის ყრუ კედელი იყო, მეზობლებისაგან რომ აშორებდა ამ სამი ღერი ფიცრის თავში, თავლის ბნელი კუთხე თეკლას ოთახის იმ ფანჯრიან მხარედ მიაჩნდა, რომელიც ქვაფენილიან ვიწრო ქუჩაში გადიოდა. ფანჯარასთან, მარჯვნივ, კუთხეში მრგვალი მაგიდა იდგა, რაზეც ორმწკრივად აწყობილი წიგნები და ბანქოს ქაღალდები ელაგა, ის ქაღალდები, რითაც მამუკამ და თეკლამ სოფლიდან ჩამოსვლის შემდეგ კოცნაზე ითამაშეს. ნარის ბოლოში, ფეხებთან, ბათინკების მაგიერ ტანსაცმლის კარადა „დაიდგა“, სადაც კაბები და პერანგები ეკიდა, ხოლო უჯრებში თეთრეული ეწყო, ის კაბაც იქ იყო, რომელშიც თეკლა გაიცნო მამუკამ — გულამოჭრილი, იისფერი, მსხვილ თეთრკოპლებიანი და ისიც, თეთრგვირილებიანი, მწვანე, რომელიც შავი და ცისფერი მდინარის კუნძულზე ეცვა.

ამ სივიწროვეში შუბლი ზედ კედელზე ჰქონდა მიბჯენილი და გაპრიალებულ, გაქონილ ლოდებზე ალაგ-ალაგ შერჩენილი ცხენის ბალანი ზოგჯერ ცხვირშიც შეუღიტინებდა და მაინც... აქ თეკლას საწოლიც იდგა, კედლის ღუმელიც, მეორე ოთხკუთხა მაგიდაც, დატვირთული წიგნებითა და რვეულებით. აქ იყო ზამბარებმოშლილი ძველი სავარძელი და სოფელში რომ რიკულებიანი სკამები ჰქონდათ, ისინიც კი.

ღმერთო, როგორ უჯავრდებოდა

თეკლა, ტიროდა, მოთქვამდა: როგორ გაბედე, რომ გამეპარე, შე უსინდისო... შე მოღალატე, უგულო, უგულოო, — აიჩემებდა და არ მოიშლიდა, — ეს რა მიქენი, სადგურამდე მაინც გამეცილებინე, შეგეშინდა, მატარებელს გამოვეკიდებოდი და სადაც წახვიდოდი, ფეხდაფეხ გდევდი? — ეჭვიანობდა ხან სულ უმიზეზოდ, ხან გამოცდილი ქალივით ჭკუადამჯდარი და დღეებს თავის ბოლოებისაკენ წაწვრილებულ თითებზე ითვლიდა: ერთი, ორი, სამი ოთხი...

აქ. ამ „ოთახში“ შემოიხედავდა ბებია ელპიტე, და თქვენ წარმოიდგინეთ, მართაც კი — წვრილ უჯრედებად დანაოჭებული სახით, ზოგჯერ ფარნაც ჩამოჯდებოდა, მხოლოდ თავის საზურგერიკულებიან სკამზე, და ხანდახან გვერდით ლუკა ბიძიასაც მოისვამდა. აქ ქვითინებდა დედა. მის ისედაც გაუცინარ სახეს დარდი მთლად კუშტს და გაუხარელს ხდიდა; აქ ხედავდა ავადმყოფ, უპეებჩალურჯებულ, აბასთუმნიდან ჩამოსულ თეკლას დედას, ამაყად თავაღერილ მამიდას, შეჭირვებას რომ არავის შეამჩნევინებდა, ხედავდა ბაკურს, ლეონს და ვატუტის.

კითხულობდნენ ლექსებს — თავისას და სხვისას, აქ სალონიც ეტეოდა და ამდენი მეგობარ-ნაცნობებიც. თვით ნოშრევაანი ქვედა ნარზე კი აღარ იწვა ისიც მაღლა ამოდიოდა და ორივენი აცნობდნენ თეკლას ბოკერიას და ცინცაძეს, ვიშნევსკის და ვინოკუროვს, ჩეჩენ ნურადილს და თურქმენ ნარიმან ბერდიევს, აზერბაიჯანელ „დავაი, დავაის“, ახლა რომ „პაეხალიც“ ისწავლა.

მაგრამ უჩვეულო იყო, რომ ამ „სახლში“ მუდამ დათარეშობდა უბელო, თავაწყვეტილი ცხენი. ეს იყო უხერხული და საჩოთირო, თორემ მამუკა ისე შორს იყო ამ ჯარისკაცული ცხოვრებისაგან, ეს ოთახში მოჯირითე ბედაური რომ არა, აქაურობას სიზმარადაც ვერ იხილავდა. ვერ იხილავდა, რაკი ამ თავლის კუნჭულში, ეზოში, არყნარში, მდინარეზე და კაცის სიმაღლე ორმოშიც კი არ დაშორებია იმას, რისთვისაც გაჩნდა და რაც დატოვა. ეს კი იყო, რომ ზოგჯერ ბოკერია, ცინცაძე, ოცმეთაური ვინოკუროვი, სხვა ბიჭები და მეთაურები, მოკლეტარიანი ნიჩაბი, შაშხანა, ცხელკერძიანი ქვაბუნა (რატომ ესხა კერძი ქვაბუნაში და არა ჯამზე ან მათლაფაზე, კაცმა არ იცოდა) და სხვა რაღაც ამგვარი, „უჩვეულო“ თუ გამოახედებდა აქეთ, სადაც იმყოფებოდა და მოჩვენებასავით შენიშნავდა ამ სინამდვილეს. ერთი სიტყვით, აქაურობას თავის სამყაროდან — ძალიან შორიდან თუ გამოსცქეროდა.

ახლაც, მანქანის ძარაზე, ოთხ ჯარისკაცს შუა მჯდომი, ისევ ოთხ „კედელს“ იშენებდა და თავისი ქვეყანა, თვრამეტ წელიწადს რომ გულზოდში ჰქონდა, მერე ერთი წელი თბილისში და სამი კვირის მანძილზე კი თავლაში, ახლა აქ, ამ მოჯაყჯაყე მანქანის ძარაზე მოქცეული, აპირებდა იმ „ქოხის აგებას“, სადაც მას და თეკლას გაეძლებოდათ.

ჯარისკაცებით დატვირთული მანქანები კი თავისი გზით მიდიოდნენ და თუ ვინმე ლაპარაკობდა, წუხდა, იცინოდა ან საერთოდ რაიმე ხდებოდა, ხდებოდა ამ „კედლების“ მიღმა და ისე ესმოდა, როგორც საყვარელ ადამიანთან ოთახში მოკალათებულს ესმის მეზობლების, ახლობლების, ქალაქის ხმაური და ქვეყნის მღვრიე ცხოვრების ექო.

## III

გამთენიისას მუხრუჭების ღრჭიალმა და მეთაურების განკარგულებებმა მამუკას დაასიზმრეს, თითქოს იქ მისულიყვნენ, სადაც თეთრი სადგურის კედელზე ცისფერ ყუთს ჯარისკაცისფერი მტვრის ქუდი ეხურა. ეს ცისფერი წერტილი ისევე კარგად ახსოვდა, როგორც ხავსიანი ლოდი, რომელზეც თეკლა მის თვალწინ მჯდარა, ან კუნძულის ლურჯი სილა, სადაც თეკლა გულაღმა იწვა.

როცა მანქანის ძარიდან ჩამოხტა და ყველაფერი ცხადად ექცა, მაშინვე იქით წავიდა, როგორც საყვარელ ადამიანთან

შესახვედრად მიდიან დათქმულ, შეჩვეულ ადგილას.

ლიანდაგზე ისევ ის ეშელონი იდგა, რომლითაც ჩამოვიდნენ. ამ უკვე ნაცნობი, მახლობელი მატარებლის დანახვისას გული სიხარულით აუთრთოლდა — თურმე ის დახუთული ვაგონიც ისე მონატრებია, როგორც ის, რასაც მაშინ ამ ვაგონებმა გამოსტაცეს.

„ოთახში“ სამი კვირის ცხოვრებამ ბიჭს თავისი კუნჭულის, თავშესაფრის შოვნის ინსტინქტი გაუჩინა. უკვე ძალზე დაბურდული, შემჭიდროებული ქვეყნისაგან საკუთარი სოროს გამოყოფას მაინც ახერხებდა და როგორც კი მატარებელში ჩასხდომის ბრძანება მოესმა, მაშინვე სირბილით მიაშურა თავის „ქოხს“, რომ არავის მიესწრო.

ვაგონის იატაკზე რომ ავიდა, ძუნძულით გაიჭრა, ჩანთაათრეული, ნიჩაბის რახუნით, და იმავე კუთხეს მიაწყდა, სადაც აქეთობისას იყო მოკუნჩხული. ისევ თავის „ოთახში“ შეძვრა, კმაყოფილმა თვალები დახუჭა, მოისვენა. ამ მატარებელს, დღეს, ხვალ, იქნებ ზეგაც... მაგრამ მაინც ამ მატარებელს უნდა დაებრუნებია იქ, საიდანაც გამოიტაცა. ეს გზები, ეზო, თავლა და მანქანები რაღაც სულ სხვა იყო; მეთაურებიც იცვლებოდნენ, გამანაწილებელ პუნქტამდე სხვა მიჰყავთ, იქიდან სხვამ გამოაცილათ. ერთმა მეორეს გადააბარა, მეორემ მესამეს გადაულოცა და მათი პასუხისმგებლობაც ერთიდან მეორეზე და მეორიდან მესამეზე გადადიოდა. ახლა ვინ უწყის, მამუკასათვის თავს ვინ აიტკიებდა. მაგრამ მატარებელი მაინც მატარებლად რჩებოდა, მამუკას ბედს ის სწყვეტდა.

სწორედ ერთი წლის წინ, მამუკა რომ სოფლიდან წამოვიდა, დედას და მამას მატარებელმა დააცილა, ერთ კვირაში უკან დაგიბრუნებო, დაპირდა გულზოდს და რკინიგზის მორჩილა სადგურს, მაგრამ წაიყვანა და წაიყვანა... ჰოდა ვინ მოთვლის, რამდენმა დღემ გაიარა მას შემდეგ, რამდენი კვირით და თვითაც დააგვიანა.

ის პირველი შვიდი დღე ძალიან გაუჭირდა, ქალაქში არაფრით გული არ დაუდგა. უკან უნდოდა გაქანებულიყო, მაგრამ რაკი გამოცდები დამთავრებული არ იყო, ჩასვლა, ისევ განშორება და ისევ თავიდან დაწყება ყველაფრისა, არ ღირდა. კიდევ ერთი კვირით გადასდო წასვლა. შორს, სადგურზე, მატარებელი კი ჰკიოდა და ეძახდა: წამოდი, სიტყვას ვერ გავტეხო, მაგრამ რა ექნა, ბარემ ყველაფერი დამთავრდესო, სული კბილით ეჭირა. მამიდასთან მიჩვეული არ იყო. მისი ამაყი, გარეგნულად ცივი ხასიათის შეგუება გაუჭირდა.

და ის იყო, დაიწყო:

უნივერსიტეტის ბაღში, ხევის პირას, თეკლა იჯდა. ცისფერი, გულამოჭრილი, თეთრკოპლებიანი კაბის განიერ კალთაში გაშლილი წიგნი ედო, ზოოპარკის გალიებს უაზროდ დიდრონი თვალებით მისჩერებოდა, ბიჭს ისიც კი მოეჩვენა, უცქერის და ვერაფერს ხედავსო.

— მოხვედი?! — თქვა მაშინ თეკლამ ისე, რომ არ მოუხედავს, ამოისუნთქა მხოლოდ.

მამუკა იმ წუთას იმაზე ფიქრობდა, დღე-დღეზე შინ მატარებლით რომ დაბრუნდებოდა, დედა ისევ მრავალმნიშვნელოვნად ეტყოდა:

— გეშველა, მოხვედი?!

— მოვედი... — ეტყოდა მამუკა და დედის გვერდით, პალატის კედელთან მიდგმულ ფიცრულ ტახტზე, თივით გატენილ ლეიბზე გადაფარებულ, გაფხეკილ ფარდაგზე ჩამოჯდებოდა.

გარეთ ურწყვი შავი ძაღლი მოაწყდებოდა კარებს წკმუტუნ-წკმუტუნით, რადგან მისთვის ჯერ არავინ მოიცალა.

ხევგაღმა, ზოოპარკიდან ღმუილი, კავკავი, ჩხიფინი და ჩხავილი მოისმოდა.

ბიჭი მტვრიან ბალახზე ჩამოჯდა, ყოველ შემთხვევაში, მისი სოფლის მწვანე მდელოებთან შედარებით, ბალახი მტვრიანი მოეჩვენა.

თეკლამ მოხედა, მაშინვე დაფრთხა და გვერდზე, ჯდომელა გაჩოჩდა. მაგრამ ის ყმაწვილი ეცნაურა კიდეც და ამ ცნობა-არცნობას შუა გაირინდა.

მამუკამ დედის კუთვნილი ღიმილით გაუღიმა და გოგოსთვის ეს ისე საცნაური შეიქნა, ბიჭს კი არა, ამ მახლობელ ღიმილს ჰკითხა:

— შენ მოხვედი?!

— მე?! — იკითხა მამუკამ, რომელიც აქ ამ ფართო, თვალებდაცეცებულ გოგოსთან მართლა არ მოსულა.

— ჰო, აქ რატომ მოხვედი?

— არა ... — გულწრფელად იუარა ბიჭმა, — აქ არ მინდოდა...

— შენ სად აბარებ? — უცებ გულს მოეშვა თეკლას, რაკი მანამდე ფიქრით სხვაგან იყო.

— მე? .. რას ვაბარებ?..

— გამოცდებს ... გამოცდებს სად აბარებ? — ხმას აუწია ქალიშვილმა: ესეც სადღაც წასულა და იქნებ უკან დავაბრუნოო.

— აჰა, იქ! — მამუკამ ცერა თითი ზურგს უკან, მწვანე ხეების იქით, თეთრი შენობისაკენ გაიშვირა.

— ეგ ვიცი. რომელ ფაკულტეტზე?

— ფაკულტეტზე?

— ჰო, ფილოლოგიურზე ხომ არა? სადღაც ამ დღეებში მინახიხართ ... კი, ალბათ აქ .....

მამუკამ თავი დაუქნია, იმაზე კი არა, რომ აქ შევხვედრივართო, ფილოლოგიურზე ვაბარებო.

ადამიანები რომ გუმანს ენდობოდნენ, ჭკუას არ იჭყლეტდნენ, კარებს არ ამტვრევდნენ და ერთმანეთთან მაშინ მიდიოდნენ, როცა ეტყვიან „მოდიო“ შვებით ამოისუნთქავდნენ და კაცის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

მერე ამ პატარა გოგომ დაიტია მთელი ის ქვეყანა, რასაც მამუკა მატარებელმა დააშორა, სადგურზე გაბმით რომ კიოდა, წამოდი, უკან უნდა დაგაბრუნოო. როდესაც საქმე არჩევანზე დადგებოდა, თეკლა, თუ ერთად აღებული ყველაფერი, რითაც თვალის გახელის დღიდან თეკლამ იცხოვრა, სასწორი თეკლასკენ იხრებოდა: იხრებოდა, რაკი ამ გოგომ ყველაფერს თავის არსებაში მოუყარა თავი, რასაც მამუკა ერქვა და ყველა დანარჩენი, თვით დედმამაც კი, უთეკლობას ვერ ავსებდნენ.

ერთი წლის შემდეგ მაინც მატარებელმა დააბრუნა მამუკა მასთან, ვისაც დააშორა.

ეშელონი დაიძრა ...

სინამდვილეში კი არ დააშორა, კიდევ უფრო დააახლოვა, რაკი თეკლასთან ერთად გულზოდში დააბრუნა, თეკლა მიიყვანა იქ, სადაც უნდა ყოფილიყო და ყველაფერს ნამდვილი ფასი დაადო, მანამდე შეუცნობელსა და ჩვეულებრივს, იქნებ შეუნიშნავსაც და უსახელოს, თვით ბალახსაც, მყრალ ლაშესაც კი თავისი ღირსეული ადგილი მიუჩინა და სახელი დაარქვა.

ლაშე მაინც ლაშეა, მაგრამ შავ და ცისფერ მდინარეს შორის თუ კუნძული იყო, კაცმა რომ თქვას, მამუკას მანამდე არც ახსოვდა. მოვიდა მატარებლით ეს გოგო და ამ ერთ ციდა, ლურჯი სილის მეჩეჩზე კონტინენტივით უშველებელი ქვეყანა დაასახლა.

მატარებელი ახლაც მიჰქროდა და საითაც არ უნდა ევლო დღეს, ხვალ თუ ზეგ ... მაინც იქ, გულზოდში უნდა მიეყვანა, ისევე, როგორც შარშან წამოიყვანა და წელს ყელამდე სავსე დააბრუნა.

ამ ბოლო დროს თითქოს აღარაფერი არ აკლდა იმას, რასაც მისი ქვეყანა ერქვა, მაგრამ მაშინაც ხომ ასე ეგონა, როცა დედას პირველად დაშორდა. არ იცოდა, თუ რა ფასდაუდებელი განძი უნდა შეეძინა. იქნებ ახლაც რაღაც მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი რამ უნდა შემატებოდა მის საუნჯეს?

მოდანდგარე მატარებელი ლიანდაგებზე სწერდა ბედივით შეუცნობელ თავის გრძელ გზას.

IV

— მოიცა, კაცო! — იჯღავლა ბოკერიამ, როცა თვითმფრინავების ზუზუნ-გუგუნში, ვაგონის კედლის მიღმა, დამაყრუებელი გრიალი მოისმა და მერე იმავე კედელს ლაწა-ლუწით მოა-

ყარეს ათასობით ხმელი, დიდი და პატარა ბელტი, თუ ქვა და ლოდი.

მამუკა მიწისძვრამ, ვაგონის ავარდნამ, ცისა და მიწის ქუხილმა, ორთქლმავლის კივილმა და ათმეთაურის ჯლავილმა „თავისი ქოხის“ ჭერამდე შეისროლა და „სინამდვილეს“ გამოსტაცა.

— ამხანაგებო, წყნარად! — ბრძანა სადღაც ვაგონის კარებთან ვინოკუროვმა, რაც თავისი თავისადმი რჩევის მიცემას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძანებას.

საიდანღაც ნოშრევანი გამოხოხდა; აფეთქების ტალღას თუ თავზარდამცემ შიშს ის ორ მძინარე ჯარისკაცს იქით გადაეგდო და მამუკას ზურგზე მიეტმასნა.

ამ შეხუთულ, სუნთქვაშეკრულ ვაგონში, იმის შიშით — მგონი ახლა გადავრჩით, მაგრამ კიდევ რა მეხი დაგვეცემა, ვინ იცისო, ვიღაცამ იქითა ბოლოში ბოხი ხმით ისე გულღრძოდ შეიგინა, მამუკა ვაგონის ამ კუნჭულში გაწითლდა. ვიღაცას კიდევ თავი კედლისა თუ იატაკისათვის მწარედ დაეკრა და ბღაოდა, იმ უნამუსო „ლემენცს“ ბომბი უფრო ახლოს რომ ჩამოეგდო, რას მიპირებდაო.

— გადაირია ეს შობელძაღლი, კაცო, თუ რა სჭირს?! — ვერაფერი გაეგო საზრიან ბოკერიასაც.

— გადაირია, — დაასკვნა ცინცაძემ, თითქოს ავთანდილის ნათქვამი სულ არ გაეგონოს.

— ქოფოი ოღლი! — დაიღრინა „დავაი-დავაიმ“.

— რაფერ მოგვაგნო ამ ყურყუმეთ ბნელში, კაცო, აჰ?! — ისევ უკვირდა ათმეთაურს, — მაგი დღისით რას იზამს?!

— პანიკა, პანიკა არ იყოს, ბოკერია! — ავთანდილს კი არა, ისევ თავის თავს მისცა რჩევა უმცროსმა ლეიტენანტმა.

— მაგი მე კი არა, იმას უთხარი, ბომბები რომ აილო და კინაღამ თავში გვშვლიპა! — არ მიიღო ოცეულის მეთაურის შენიშვნა უდანაშაულო ათმეთაურმა.

— შენც მართალი ხარ! — ჩაილაპარაკა ვინოკუროვმა, თითქოს ისევ თავის თავს აუხსნა: ბომბი ბოკერიას კი არ უსვრიაო.

შორეული ზუზუნი კვლავ მოახლოვდა და ისე მოულოდნელად გადაიღმუვლეს თვითმფრინავებმა ეშელონის თავზე, თითქოს აქვე, ტყის გადაღმიდან ამოფრენილიყვნენ. გეგონებოდა, ბორბლები სახურავს წაჰკრესო; ისევ ატყდა დამაყრუებელ-დამაბრამევებელი აფეთქების გრიალი.

ბედად გადარჩენილი ორთქლმავალი ისე გულგამგმირავად აკივლდა, თითქოს ბომბი საცეცხლე ქვაბში შეუვარდა და ესაა, ამ დაწივლებას თუ მოასწრებსო.

— ამოგვწყვეტს ეს ოჯახდაქცეული, კაცო! — აღმოხდა ხმაწართმეულ ათმეთაურს.

— აჰ, ცუდად ვარ! — ამოიკვნესა სიცხით გათარანებულმა ჩეჩენმა, — წყალი!..

— ჩვენ ვიკითხოთ, თორემ შენ რა გიჭირს სიცხიანს, ქვეყანა რომ იქცევა, გგონია — მეჩვენებაო... — შეშურდა ბოკერიას ნურადილის ავადმყოფობა.

— აბა, მართალია?! — ახლა მამუკას წამოაბოდა და მხრებში ჩაფრენილი ნოშრევანის ქორის ბრჭყალებივით თითები მოიცილა.

ახლა აქეთ შეიგინა ვიღაცამ, ალბათ მოსკოველმა კუდრიავცევმა.

ვაგონის თავშიც ბოხმა ხმამ კვლავ ისე დამაჯერებლად შეუკურთხა ამ უბედურების თავზე დამტეხს, როგორც ეკადრებოდა და კაციშვილი ვერაფერს დაუმატებდა. საყვირლად შემართული ბოკერიაც კი მიჩუმდა: ამხანად ავაზაკს რაც ეკუთვნოდა, ხომ მიიღოო.

თვითმფრინავების გაბმული ზუზუნი ხელახლა რომ გამოიკვეთა, მამუკამ ყურებზე ორივე ხელი აიფარა და ისე მაგრად მიიჭირა, ნიჟარების ხრტილები ლავაშებივით გავიბრტყელეო, ეგონა აფეთქების შემდეგ.

ჯერ თვითონ ხომ თავის უდანაშაულო ყურებს შავი დღე დააყენა, ახლა

არდაძე ბეჭის ძვლის და ნეკნის გამოგლეჯას უპირებდა, ზურგში ფრჩხილებით ისე თავგანწირვით ჩაფრენოდა.

— რატომ, რას გვერჩის?! — აღმოხდა ხმაჩამწყდარ მამუკას, მაგრამ მისი წამოძახილი მატარებლის კივილსა და გრიალში, შიშით აძგერებული გულების ბრაგა-ბრუგში თავგზააბნეულ ბიჭებს არ გაუგონიათ.

— კარპიონოვ, თუ კაცი ხარ, ერთიც შეუკურთხე! — შეეხვეწა ბოკერია, — შეუკურთხე და ბოჟენკოს ჭირს მოვჭამ, პირველ ჯილდოზე შენ წარგადგინოს!

— დავაი, დავაი!—შეიხვეწა „იოლდაშიც“.

კარპიონოვმა შეკვეთილ გინებას თავი ვერ მოაბა, თუ შეეშინდა, ამ ზეცაში მოჯირითე მტერს არ დავაცილოო, ხმა არ გაუღია.

— მაგის ათმეთაური სადაა?! — იკითხა ბოკერიამ, — გლებოვ, უბრძანე, რაღაცა იღონოს, თუ არა ლემენცი ისევ ჩვენს თავზე ტრიალებს!

— კარპიონოვ, ცეცხლი! — საბრძოლო ბრძანებასავით წამოიყვირა კედელთან ჩამხობილმა ფაშფაშა გლებოვმა და თავი წამოსწია.

კარპიონოვი ისევ დუმდა.

— ორ სროლაზე გამოელია ტყვიაწამალი, თუ რა ღმერთი უწყრება! — გაიოცა ბოკერიამ, — გლებოვ, გენერალთან გიჩივლებ, აქ ღალატის სუნი ტრიალებს.

ვიღაცას ამ გაწამაწიის დროსაც გაეცინა.

— ე ბიჭო, ისევ მოდის და თუ ახლაც არაფერი პასუხი არ გავეცით, დაგვქუქავს მაგ ოჯახამოგდებულ-ამოქუქული! — ავთანდილი ისე ჩაემხო ჯარისკაცების შუა, იატაკზე, თითქოს სანგარში მიძვრებაო.

თვითმფრინავებმა ეშელონის გვერდით ჩაიქროლეს, მაგრამ აფეთქების ხმა აღარ გაუგონიათ.

— რას ერჩი, კაცო, კარპიონოვს, ზოგავს ტყვია-წამალს! — გაამართლა „მოღალატე ჯარისკაცი“ ბოკერიამ და ისევ წამოჯდა, — ეს რას კივის, კაცო, რომ კივის?! — ახლა ორთქლმავალზე მოუვიდა გული, — უძახის, აგერ ვარ და დამიშვი თავში ბომბიო, თუ მაგას გონია, რომ აკივლდება და აწივლდება, ლემენცს გულს მოულბობს.

— თავს აცოდებს! — ახსნა ცინცაძემ.

— განგაშს აცხადებს! — განუმარტა თავის თავს ვინოკუროვმა.

— რა მაგის გამოცხადება მინდა, თავზე თხილივით მაყრის ბომბებს, მაგას მე ყრუ და ბრუციანი ხომ არ ვგონივარ! — იტკიცა ავთანდილმა.

— წყალი! — ამოიკვნესა სიცხიანმა ჩეჩენმა.

— რომელი ხართ, ბიჭო, მანდ, დაალევიეთ წყალი! — გასცა ბრძანება ათმეთაურმა და მერე ავადმყოფს აუხსნა, — სანბატში მინდოდა დილით მიმეყვანა, მედდებთან თვალს წყალს დავალევინებ-მეთქი, მაგრამ დილამდე მეც თუ წასაყვანი გავხდი და იმ გოგოების კალთაში მუთაქასავით ჩამდვეს, შენს სიცხეს ვიღა დაეძებს, ჩემო ძმაო!

— თუ გოგოების კალთაში მოხვდი, მუთაქადაც არ დაიკარგები! — დაამშვიდა ლადომ.

— გოგოებს ნუ გამახსენებთ! — ამოიოხრა ვიშნევსკიმ.

ამჯერად ერთი თვითმფრინავის ხმა მოახლოვდა და მატარებელს თითქოს კვალში ჩაუდგა.

— კარპიონოვ, დაგვაჯდა თავზე, გაანძრიე ხელი! — მოაძახა კვლავ თავდალმა ჩამხობილმა ათმეთაურმა და ის იყო გრიალმა ჰაერი დაფხრიწა, ისევ და ისევ აფეთქდა ახლომახლო ბომბები და ვაგონი ლიანდაგებიდან კინაღამ გადაისროლა; ზუზუნი წუთით დაშორდათ თუ არა, გაცეცხლებულმა ბოკერიამ ენაჩავარდნილ კარპიონოვს განაჩენი გამოუტანა:

— ვინოკუროვ, საველე სასამართლოს გადავცეთ!

— გადავცეთ!

— მაგის ათმეთაურს გაფრთხილება მივარტყათ!

არდაძე ბეჭის ძვლის და ნეკნის გამოგლეჯას უპირებდა, ზურგში ფრჩხილებით ისე თავგანწირვით ჩაფრენოდა.

— რატომ, რას გვერჩის?! — აღმოხდა ხმაჩამწყდარ მამუკას, მაგრამ მისი წამოძახილი მატარებლის კივილსა და გრიალში, შიშით აძგერებული გულების ბრაგა-ბრუგში თავგზააბნეულ ბიჭებს არ გაუგონიათ.

— კარპიონოვ, თუ კაცი ხარ, ერთიც შეუკურთხე! — შეეხვეწა ბოკერია, — შეუკურთხე და ბოჟენკოს ჭირს მოვჭამ, პირველ ჯილდოზე შენ წარგადგინოს!

— დავაი, დავაი!—შეიხვეწა „იოლდაშიც“.

კარპიონოვმა შეკვეთილ გინებას თავი ვერ მოაბა, თუ შეეშინდა, ამ ზეცაში მოჯირითე მტერს არ დავაცილოო, ხმა არ გაუღია.

— მაგის ათმეთაური სადაა?! — იკითხა ბოკერიამ, — გლებოვ, უბრძანე, რაღაცა იღონოს, თუ არა ლემენცი ისევ ჩვენს თავზე ტრიალებს!

— კარპიონოვ, ცეცხლი! — საბრძოლო ბრძანებასავით წამოიყვირა კედელთან ჩამხობილმა ფაშფაშა გლებოვმა და თავი წამოსწია.

კარპიონოვი ისევ დუმდა.

— ორ სროლაზე გამოელია ტყვიაწამალი, თუ რა ღმერთი უწყრება! — გაიოცა ბოკერიამ, — გლებოვ, გენერალთან გიჩივლებ, აქ ღალატის სუნი ტრიალებს.

ვიღაცას ამ გაწამაწიის დროსაც გაეცინა.

— ე ბიჭო, ისევ მოდის და თუ ახლაც არაფერი პასუხი არ გავეცით, დაგვქუქავს მაგ ოჯახამოგდებულ-ამოქუქული! — ავთანდილი ისე ჩაემხო ჯარისკაცების შუა, იატაკზე, თითქოს სანგარში მიძვრებაო.

თვითმფრინავებმა ეშელონის გვერდით ჩაიქროლეს, მაგრამ აფეთქების ხმა აღარ გაუგონიათ.

— რას ერჩი, კაცო, კარპიონოვს, ზოგავს ტყვია-წამალს! — გაამართლა „მოღალატე ჯარისკაცი“ ბოკერიამ და ისევ წამოჯდა, — ეს რას კივის, კაცო, რომ კივის?! — ახლა ორთქლმავალზე მოუვიდა გული, — უძახის, აგერ ვარ და დამიშვი თავში ბომბიო, თუ მაგას გონია, რომ აკივლდება და აწივლდება, ლემენცს გულს მოულბობს.

— თავს აცოდებს! — ახსნა ცინცაძემ.

— განგაშს აცხადებს! — განუმარტა თავის თავს ვინოკუროვმა.

— რა მაგის გამოცხადება მინდა, თავზე თხილივით მაყრის ბომბებს, მაგას მე ყრუ და ბრუციანი ხომ არ ვგონივარ! — იტკიცა ავთანდილმა.

— წყალი! — ამოიკვნესა სიცხიანმა ჩეჩენმა.

— რომელი ხართ, ბიჭო, მანდ, დაალევიეთ წყალი! — გასცა ბრძანება ათმეთაურმა და მერე ავადმყოფს აუხსნა, — სანბატში მინდოდა დილით მიმეყვანა, მედდებთან თვალს წყალს დავალევინებ-მეთქი, მაგრამ დილამდე მეც თუ წასაყვანი გავხდი და იმ გოგოების კალთაში მუთაქასავით ჩამდვეს, შენს სიცხეს ვიღა დაეძებს, ჩემო ძმაო!

— თუ გოგოების კალთაში მოხვდი, მუთაქადაც არ დაიკარგები! — დაამშვიდა ლადომ.

— გოგოებს ნუ გამახსენებთ! — ამოიოხრა ვიშნევსკიმ.

ამჯერად ერთი თვითმფრინავის ხმა მოახლოვდა და მატარებელს თითქოს კვალში ჩაუდგა.

— კარპიონოვ, დაგვაჯდა თავზე, გაანძრიე ხელი! — მოაძახა კვლავ თავდალმა ჩამხობილმა ათმეთაურმა და ის იყო გრიალმა ჰაერი დაფხრიწა, ისევ და ისევ აფეთქდა ახლომახლო ბომბები და ვაგონი ლიანდაგებიდან კინაღამ გადაისროლა; ზუზუნი წუთით დაშორდათ თუ არა, გაცეცხლებულმა ბოკერიამ ენაჩავარდნილ კარპიონოვს განაჩენი გამოუტანა:

— ვინოკუროვ, საველე სასამართლოს გადავცეთ!

— გადავცეთ!

— მაგის ათმეთაურს გაფრთხილება მივარტყათ!

მრის ახდენასავით განმეორდა წუხანდელი ნაცნობი ზუზუნი.

აკივლდა და აწივლდა ტყის კიდეს დალევნებული ეშელონი, უფრო თავისი უმწეობით გამწარებული, რომ უღრანს ფეხდაფეხ მისდევდა და გზიდან გადახვევა და შიგ თავის შეფარება კი არ შეეძლო.

— დაწექით! — უყვირა ბოკერიამ ზეზეულად გახევებულ ათეულს, როცა თავზე თვითმფრინავებმა გადაუქროლეს და ველზე კურდღელივით გამოგდებულ მატარებელს შავი მტაცებლებივით გამოენთნენ.

— გათავდა მაგის საქმე! — თქვა დანანებით თავწამოყოფილმა ავთანდილმა, ხისკენ გახოხდა, ფისიან მერქანს ზურგით მიაწვა და თოფი მუხლებზე გარდიგარდმო გადაიდო.

— რად მოგვიყვანეს აქ, ამ ტყეში?! — იკითხა ისევ ლენიაკოვმა.

— ამ ტყეს უმაღლე, იმ შობელძაღლმა რომ გუგულივით გადაგიარა თავზე, თუ არა ნახავდი შენ, სადაც მიგიყვანდნენ.

— მაგას თოფი აქვს ისეთი, იმ მართლა შობელძაღლს ერთ სროლაზე ჩამოაგდებდა, — დაამშვიდა ლადომ ათმეთაური.

— თოფი კი! — დაიღრინა საშამ და თარხლი მომცრო ნაძვის ძირას ისე მიაგდო, როგორც გატეხილი ბარის ტარი.

— აბა, ამ ბიჭებმა რაღა თქვან? — იკითხა ბოკერიამ და ახლაც მიწაზე გართხმულ მამუკას და ნოშრევანს გადახედა, თვალით სიცხიანი ჩიჩენი და წითური ბოგომოლოვი მოძებნა, რომელიც ტყის შემოსასვლელში გულაღმა იწვა და თავისი უთქმელი და უწყინარი თვალებით ისევ იმ ადგილს მიშტერებოდა, სადაც წეღან ხეების კენწეროებში გერმანული სვასტიკა დალანდა.

ტყის სიღრმიდან ბოჟენკოს მყიფე, მსხვრევასავით ხმა და ხვასტუნოვის კვნესასავით პასუხი მოისმა.

* * *

შუადღე არც კი იყო, როცა ტყის გასათავარს მიადგნენ. ლადოს გულზე უღელივით ჩამოკიდებული თოფის გადალეჭილი ღვედი გაუწყდა და ახლა ძეტივით მხარზე გადებული მიჰქონდა. უთოფო ბოგომოლოვი ფერიმჭამლებით სახედამუწუკებულ იუდინს ენაცვლებოდა იმ იმედით, თუ მტერი გამოჩნდებოდა, ამ თოფით თვითონვე გაესროლა ზურგჩანთაში ერთი მუჭი ვაზნები რომ ეყარა და ამისი უფლება კეთილსინდისიერად უნდოდა დაემსახურებინა.

ტყე ეკალ-ბარდებით გაუვალი არ იყო, როგორც მამუკას თავისი სოფლის მინდვრის გვერდზე რცხილნარის სიღრმეში ენახა. მაყვალი და ქაცვი, ჯანკუტა და კურკანტელა იქ ტყეს აუდაბურებდა. ახლაც თვალწინ ედგა ეკალღიჭით გადაბურდული ის რცხილნარი. ფრთხილი შაშვი ძიგვის მიღმა რომ ამოვარდებოდა, ჭახჭახს თუ გაიგონებდი, თორემ მაღალ ხლსტეებს იქით ვერც დაინახავდი.

აქაურ ტყეებში, სადაც ცა იხედებოდა, დაბალ, ახალგაზრდა, მიწიდან ჯგუფად ამოსხიპინებულ ნაძვსა და ფიჭვს, ვერხვს ან არყს თუ გადაეყრებოდი; მათ შორის გავლაც ტანსაცმელს არ შემოგაგლეჯდა. მაინცდამაინც არც ხმელი, ჩამომტვრეული ტოტები და როკები გიღობავდნენ გზას. უთუოდ ახლომახლო სოფლები იყო და ბებერ, გამოფიტულ დაღეწილ ხეებს შეშად იყენებდნენ, ალაგ-ალაგ ძირზე მოხერხილ კუნძებს ხვდებოდნენ, რომელთა ირგვლივ ნასხეპი — წვრილი ფიჩხიც კი არ ეყარა, რომ წინსვლა შეეფერხებინა და დაღლილი ჯარისკაცებისათვის გზა გაემრუდებინა.

ტყის გასათავარში შეისვენეს; კაცმა რომ თქვას, არც მანამდე ურბენიათ, ჯარი უფრო ნება-ნება მოდიოდა. ეტყობოდა, მეთაურები არ ჩქარობდნენ, უფრო ღამისთვის იზოგავდნენ ძალღონეს, რაკი ამ ბუნებრივი საფარის მერე, მუხლამდე ჭვავის ყანაში, ყოვე-

ლი მათგანი ხელისგულზე დადებული კვერცხივით გამოჩნდებოდა, თვალსაწიერზე კი ოთხივე მხრიდან დასამალავი არაფერი ჩანდა. სადღაც, ღრუბლებით ათოხნილ ზეცაში ისევ ყრუდ ზუზუნებდა თვითმფრინავი — საფრენჩაკეტილ სკის გარეთ დარჩენილი ფუტკარივით, შესაძრომს რომ ვერ იპოვის — არა და, თავის ბუდეს თავს ხომ ვერ დაანებებს. მაგრამ წუხანდელს მერე, ეს „ფუტკრის ზუზუნი“ თუ საერთოდ რაიმე საფრთხეს წარმოადგენდა, ბოკერიას ათეულში ამაზე აღარავინ ფიქრობდა.

შუადღისას ფუტკარმა სკაში შესაძრომი იპოვა, თუ ბოლოს და ბოლოს, საფრენი გაუღეს, მიჩუმდა. ყვავების ყრანტალი და დამფრთხალი ჩიტების ჟივჟივი რომ მოესმათ, ტყის გასათავარიდან ერთი ოცეული დაწალიკებით, წელში წახრილი სირბილით შეიჭრა ჭავის ყანაში და ჩრდილო-დასავლეთით, შორს მუქად ჩაწოლილი ტყისკენ გაეშურა.

ჯარისკაცები, ის იყო, ყანის ჩავაკებაში თვალს მიეფარნენ, რომ ახლა ორი ოცეული, ერთი მეორიდან ცხენის გასაჭენებელ მანძილზე გათელილ ჭავს რომ შუაში იტოვებდნენ, წინ წასულებს გაეკიდა.

— მაგ თოფს რაღაცა მოუხერხე! — დაარიგა ბოკერიამ ცინცაძე, როცა ტყის პირიდან ათეულთან დაბრუნდა, რაკი მიხვდა, მალე მათი ჯერიც დადგებოდა.

— მოვუხერხებდი, შარვალში ხვანჯარი მაინც რომ მქონდეს გაყრილი, გამოვაძრობდი და ჩავაბამდი.

— იქ უნდა გეზრუნა მაგაზე! — დაუწუნა ათმეთაურმა ჯარისკაცს შორსმჭვრეტელობა.

— იქ, თორემ ტყავის ქარხნის დირექტორად გყავდი დანიშნული, — არ მიიღო შენიშვნა ლადომ, — ცხენის შარდში და ჩონჩორიკში რა ღვედებზე და მოსართავებზე უნდა მეზრუნა!

— ღვედი და ხიშტი აგერ ლენიაკოვს აქვს კარგი, მაგრამ რად გინდა, გიფასებს? — სცადა განუმრება ბოკერიამ, როცა მოაგონდა, თოფი ვინც გამოგზავნა, ღვედზეც იმას უნდა ეფიქრაო, მაგრამ არავის გასცინებია.

— ღვედი ვესროლო, ცაში რომ თავაწყვეტილი დაპარპაშობს? — გულმოსულად იკითხა ლენიაკოვმა, თითქოს უტყუარი შაშხანა ბოკერიას ჩამოერთმიოს და მის მაგიერ ეს ლულაგაცვეთილი, სამოსწავლო თოფი მიეცეს, ტყვიას ნახველივით რომ აფურთხებდა.

— მართლა ფრონტზე ხომ არ გვიპირებენ... — არც კი დაასრულა სათქმელი ბოგომოლოვმა. იუდინს კი შეუამხანაგდა, მაგრამ როგორ იფიქრებდა, ამ ზიარი იარაღით, კბილებამდე აღჭურვილ მტერს თუ ვინმე ახლოს მიაკარებდა.

— ეს სანამ ადგილამდე მივიდოდეთ, — თავის მხრივ ბოკერიაც ასე ფიქრობდა და რომ არ ეთქვა, თვითონაც ეჭვი გაუჩნდებოდა.

* * *

— ბოკერია, საით, საით! — მიაძახა ვინოკუროვმა და მუხლამდე ჭავში წახრილ, წინ ძუნძულით მიმავალ ჯარისკაცებში თვალებდაყვლეპილი წამოიმართა, როცა ოცეული გათელილ გზას პირდაპირ დაადგა და ავთანდილი ათეულს სადღაც ქვევით, ფეხდაუდგმელი ყანის ბოლოსაკენ წაუძღვა.

ათმეთაურმა ხელი გაუქნია: იარე შენ, როგორც მიდიხარ, ნუ შეჩერდებითო.

— მართლა სად მიგვათრევს! — ჩაილაპარაკა ლენიაკოვმა, წახრილს მხრიდან რომ თოფი უვარდებოდა და ღვედით მკლავზე წამოცურებულს სანახევროდ მიწაზე კონდახით მიათრევდა.

— წამოდი, კაცო, რომ გელაპარაკები მე შენ! — მისკენ არც მიუხედავს, ისე უბრძანა მეთაურმა და გეზი სადღაც, დასაკარგავისკენ აიღო, თითქოს იმ მუქად ჩაწოლილი ტყისათვის მთლად გვერდის ავლას აპირებსო.

— მართლა სად მიგვაჭენებ? — დაეჭვდა ცინცაძე.

— კარგად გამოიფხიკე ყურები! — უბრძანა მეთაურმა და კვლავ თავის არჩეულ გზას გაჰყვა.

წახრილმა ლადომ თავი აიღო და რაღაცას ყური მიუგდო. ცალ მხარეზე მამუკა, მამუკას იქით ნოშრევანი, უკან ბერდიევი და წინ ვიშნევსკი გარბოდნენ, ფეხდაუკარებელ, მწიფე, მუხლამდე ჭვავის ყანის შრიალში და ბათინკების ბრახუნში, ცხადია, ვერაფერი გაიგონა.

ათეული მალე სულ დაშორდა პირდაპირ მიმავალ ოცეულს. ოფლადგახეთქილ ბიჭებს გული ყელში მოაწვათ.

— მოიცათ! — ამოიქშინა ბოგომოლოვმა, ცას უაზროდ მიაჩერდა და გაილურსა, უკან მიმავალი იუდინი ზედ შეასკდა.

— იარე, უყვირა ბოკერიამ და წაფორხილებული ბოგომოლოვიც წინ გადასწრებულ იუდინს გამოეკიდა, წამოეწია და შეეშველა — გზადაგზა თოფი ჩამოართვა.

ახლა ლადომაც გაიგონა სკის გარეთ დარჩენილი დაღლილი ფუტკრის ბზუილი.

თვალებიდან მუშტით ოფლი ამოიწურა ლენიაკოვმა და იყვირა:

— ტყეს სულ ავშორდით!

— პირდაპირ რომ გვევლო, იქნებ შეგვესწრო... — ეჭვი ვეღარ დაიტია კუდრიავცევმა.

ავთანდილს აღარ უპასუხია. ისევ თითქოს სწორ ხაზად წასულ თავის ოცეულს გაურბისო, სისწრაფეს უმატა.

ფუტკარი მალე ხარაბუზად იქცა, ხოლო საფარი კიდევ უფრო შორს იყო.

— ავთანდილ! — მხარდამხარ გაჰყვა ვიშნევსკი ათმეთაურს, მაგრამ ბოკერიამ, თითქოს ბუზი ადევნებოდეს, ხელი აუქნია და თავის გამრუდებულ გზას ისევ არ მოეშვა.

და რომ ეგონათ, შორეულმა ზუზუნმა ღრუბლებს ზევით გადაგვიარაო, მაღლიდან ერთბაშად წამოვიდა რკინის ფრინველი ისეთი ხმით, თითქოს ზეციდან აგუგუნებული ათას ცხენისძალიანი ძრავა ჩამოეგდოთ და ამ ხელისგულივით გაშლილი ყანის თავზე, ფრთებზე რომ ჯვრებს ამოიკითხავდი, იმ სიმაღლეზე ჩამოაღწია.

— გაიფანტეთ! — იჯღავლა ათმეთაურმა.

ყველანი დამფრთხალი ხოხბის ჭუჭულებივით გაიბნენ ჭვავის ყანაში.

— დაწექით! — ახლა ეს მიადევნა და თვითონაც ცხვირი მიწაში წაჰყო.

დატრიალდა ურჩხულად გადაქცეული ფუტკარი და იქაურობას, მწყემსი რომ ფარას დასათვლელად დაუვლის — ე მანდ, რა ავლა-დიდების პატრონი ვარო, ისე გულდაჯერებულმა დაუარა.

კარგად რომ იანგარიშა, სად ღირდა სისხლის ღვარი გაეშვა, ტყესთან მოახლოვებულ ვინოკუროვის ოცეულსაც გადაუქროლა და იმის იქით ალბათ უფრო ხალხმრავალ, უფრო მჭიდროდ შეჯგუფულ ოცეულების თავზე ირაო შეკრა და ტყვიამფრქვევის კაკანი ატეხა.

მეხის ცემასავით გაისმა არც თუ ისე ხმამაღალი იარაღის ტკაცანი ამ ახალბედა ჯარისკაცების თავზე.

ნოშრევანი ფრჩხილებით მიწას ჩააფრინდა და მუჭა-მუჭა ამოგლიჯა, მამუკამ ისე ღრმად წაჰყო ცხვირი ჭვავის ფესვებში, ტყავი გადაიყვლიფა და მერე სუნთქვაშეკრულმა რომ სახე ამოაბრუნა, ნესტოები და პირი მტვრით ამოვსებული ჰქონდა.

გატკაცუნდა ქვევითაც თოფები, მაგრამ როგორც ქორს კრუხის კრიახი არ აშფოთებს, ისე ცის ყაჩაღს არაფრად ჩაუგდია, პირიქით, იქაურობას უფრო გულმოდგინედ დაუტრიალდა — თქვენ აქ ხმის გაოება გაბედეთო, და ქვევით გართხმულებს ჯერ ყურები დაუგუბა, მერე წინ გადაიფერდა, დაიწია, აკაკანდა და მშრალ, ფხვიერ მიწაზე ტყვიებით ბდლვირის ხაზები ლარივით გაავლო.

— მართლა ვინმეს რომ მოარტყას, რას ფიქრობს ეს შობელძაღლი, კაცო! — წამოიძახა ათმეთაურმა, როცა თვითმფრინავი ქვავის ყანის დალიანდაგების შემდეგ მოსაბრუნებლად ცის მიღმა თვალს მიეფარა და ბოკერიამ თავი წამოსწია.

— ამაღამ ჯავრით არ დაეძინება! — შეიცოდა ლადომ გერმანელი.

— მართლა აიღო ხელი ნამუსზე, იცოდე შენ! — დაასკვნა ავთანდილმა, როცა ამ თავაშვებულმა მოთარეშემ გულდაჯერებული ბატონ-პატრონივით აუჩქარებლად მოხაზა წრე, ვითომ ამ უკრაინულ მიწას თავზე გერმანული ცა ხურებოდეს.

— მზვერავია, ეტყობა, ან „მონადირე“ და იმ ტყვიამფრქვევის ამარაა, თორემ, მაგი რომ ბომბდამშენი იყოს, სეირი მაშინ უნდა გენახა, — ახსნა მოშორებით გართხმულმა ბოგომოლოვმა, დახვეული მაზარა რომ მხრიდან წაეძრო და თავზე დაეფარებინა.

— ვესვრი, კაცო, მაგ გათახსირებულს! — გაიქაჩა ათისთავი, როცა ზეცაში ტყვიამფრქვევის ტკაცანი მიწყდა და თვითმფრინავს ახალი ლიანდაგის გასაგვირისტებლად კვლავ შემოვლა დასჭირდა.

— აგერ ჩემი თოფი, თუ გინდა ერთი სროლით ჩამოაგდო! — ურჩია დაბოღმილმა ლენიაკოვმა.

— აბა, კაცო, სანამ დივიზიამდე მივაღწევდეთ და საკადრის პასუხს გავცემდეთ, რაღაცას მოგვწევს.

— მაგდენი რომ იცოდეს, არ იზამდა, — მოწმინდა პირი გადამთიელს ცინცაძემ.

სანამ თვითმფრინავი დასაკუთრებულ ზეცას მიატოვებდა, მიწაზე გაკრულ ბერდიევს ორი მტკაველი ორმო გაეთხარა და ამონაყარი მიწა თავთან დაეგროვებინა.

— აბა, ახლა კი პირდაპირ! — წამოვარდა ათმეთაური და ყველას თვალი მოავლო, — შეგიძლიათ კი არა, რაც არ შეგიძლიათ, იმაზე ჩქარა! — აკრიახდა ბოკერია, მოცოცხა და გულგახეთქილი ბიჭებიც წიწილებივით აედევნენ.

ტყეს რომ მიუახლოვდნენ, დაბალი ზეგანის მიღმა კარგა მჭიდროდ დასახლებული სოფელი გამოჩნდა.

— სოფელთან ახლოს ისროდა?! — აღმოხდა სუნთქვაშეკრულ მამუკას.

— აბა, კაცო, ეს სოფელი და სახლკარდაქცეული! — ქლოშინით დაუდასტურა არანაკლებ განცვიფრებულმა ათმეთაურმა და სირბილს უმატა, — არიქა ბიჭებო, არ მობრუნდეს, ან ვინმე ნამუსზე ხელაღებული არ მოიყვანოს, თორემ მაგი, ისე ეტყობა, ჩვენ კი არა, ბავშვებს არ დაზოგავს! — ავთანდილს ეგონა მეტისმეტი მომივიდა, ლადო გამაქილიკებსო და აქელებულმა ენას კბილი დააჭირა.

— სოფელი დაცლილი იქნება, — დაუწმინდა სინდისი ცინცაძემ ზეცაში მოთარეშეს.

ხეების ქვეშ რომ თავი შერგეს, იქვე დაცვივდნენ, ვითომ გამარჯვებულები თავთავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ.

— გადავრჩით! — ამოისლოკინა მთლად წყლად ქცეულმა ნოშრევანმა.

— ჩვენ კი გადავრჩით, მაგრამ იქ რა ცოდვა-ბრალი დაატრიალა, ვინ იცის! — თავი მწარე სინანულით გადააქნია ათმეთაურმა.

მალე ვინოკუროვი და ასეულის პოლიტხელი, ჩია ტარანოვი წამოადგათ თავზე. ტარანოვს მრგვალ, თეთრ პირისახეზე ქვავისფერი ჭორფლი ეყარა და ღამნახავს მუდამ აოცებდა ამ მორჩილა, კაფანდარა კაცს ღაჟღაჟა, ფუნთუშა ლოყები რატომ ასკდებოდა: გეგონებოდა, თითქოს მთელ ასეულს მხოლოდ მისი პირისახის პატივზე ეზრუნოს, ან სხვის ტანს სხვისი თავი ბმოდეს. ეს თვითონაც აკვირვებდა და სიცილის გუნებაზე აყენებდა, გაბრაზების დროსაც კი წინდაწინ ერთ გაღიმებას მაინც მოასწრებდა ხოლმე.

ტარანოვს ახლაც გაეღიმა ბოკერიას დანახვაზე, რომელიც წელმოწყვეტილი წამოდგომას აპირებდა, მაგრამ იფიქ

რა, კინაღამ დაგვეჟუჟა იმ კაცმა, ახლა აქ რა ცერემონიაა საჭირო, და ხელი დაჩოქილმა აუღო.

ავთანდილმა ხეირიანად არც იცოდა, რომ ტარანოვის ღიმილს მისსავე განწყობილებასთან არაფერი საერთო არ ჰქონდა; პოლიტხელმა იგი ფეხზე წამოაყენა და ასეულის მეთაურის სახელით და თავის მხრივაც მადლობა გამოუცხადა საბრძოლო დავალების დროს საზრიანობისა და მოხერხების გამოჩენისათვის; ბიჭებმა კი არა, ერთხანს ბოკერიამაც ვერაფერი გაიგო, რაკი ტარანოვი იმ ჩვეული ღიმილის მერე წარბშეკრული ლაპარაკობდა, ჭვავისფერი ჭორფლი მელნისფერად ქცეოდა. გაჭიმულ ათმეთაურს ეგონა, როგორც ეს ღიმილი არ გამოდგა ღიმილი, ეს მადლობაც მადლობა არ იქნებოდა.

ბოლოს, როცა პოლიტხელი ტყის სიღრმეში წაბაკუნდა, ვინოკუროვმა ბოდიშივით დაიწყო:

— მე კი, შენ რომ მარცხნივ გაუხვიე, ჩემსკენ გეძახდი. ხვასტუნოვმა მითხრა, ბოჟენკო თურმე ტყიდან გვიყურებდა, და ჩემზე თავი გადაუქნევია, მებრძოლს საკუთარი მოსაზრების და მოქმედების თავისუფლებას უშლისო. მე რა ვიცოდი... — მხარი აიჩეჩა უმცროსმა ლეიტენანტმა.

— მაგი არც ბოკერიამ იცოდა, — გამოტყდა ცინცაძე.

— შენი ბიჭები მტერს არ შეუნიშნავს და ჩვენც ვეცოტავეთ, რაკი ერთი ათეულით ნაკლები ვიყავით. მეოთხე ოცეულში ოთხი ჯარისკაცი დაიჭრა, ერთი ძალიან მძიმედ...

— ხომ ვთქვი მე! — წამოიძახა ბრძოლაში თავგამოჩენილმა ათმეთაურმა.

— კი, კი, შენ თქვი! — დაემოწმა ბოგომოლოვი შეფარული იუმორით.

— ყველაფერი წინდაწინ იცის! — კვერი დაუკრა ბოგომოლოვს ცინცაძემ.

ნოშრევანს უადგილოდ გაეცინა და მამუკამ ისე მოხედა: კაცი თუ მართლა მძიმედ დაიჭრა, ეს რა გუნებაზეა, ხომ არ შეიშალაო!

— მე ის ვთქვი, იქ რა უბედურება დატრიალდა-მეთქი, — გაბრაზდა ავთანდილი.

— თურმე შენ, მარტო შენი ათეული კი არა, მთელი ოცეული გადაგირჩენია — თვალებდაყვლეპილი ვინოკუროვი ბოკერიას მიაჩერდა.

— მთელი ოცეული იხსნა და იქნებ მთელი ასეულიც! — ცინცაძემ უშველა, ათმეთაურმა იქნებ ამდენი დამსახურება დაიმორცხვაო.

— არა, ვლადიმერ, მთლად ასე კი არ მინდოდა მეთქვა... — თითქოს თავის თავს განუმარტა ოცმეთაურმა და გაბრუნდა.

— არკადი, ის... როგორ არის! — მიადევნა გაოგნებულმა მამუკამ.

ვინოკუროვი მობრუნდა და მასზე არანაკლებად შეშფოთებული მოაჩერდა ამაღლობელს.

— ვინ, ბიჭო? — ბოკერიამ ჰკითხა ოცმეთაურის მაგიერ.

— დაჭრილი! — წამოიძახა გაკვირვებულმა: ნეტავ ახლა ვისი ამბავი უნდა მეკითხაო.

— არ ვიცი... სანნაწილში... სანნაწილის ხალხს ეცოდინება.

სანნაწილის ხსენებაზე ბოკერიამ ყურები ცქვიტა და თვალით გაფაციცებით დაუწყო ძებნა ვიღაცას.

— ნურადილ!

ჩეჩენმა ჯგუფად ამოზრდილ ერთი არშინის სიმაღლე ნაძვებიდან გამოჰყო თავი და მოახსენა:

— აქ არის ნურადილი, ბოკერია!

— სანნაწილში წამოდი! — ავთანდილმა მაშინვე ჯარისკაცს მიაშურა.

— რატომ, მეთაურო?! — ისე გაიკვირვა ჩეჩენმა, თითქოს ერთი საათის წინ სიცხით გათარანებული კი არ ყოფილიყოს, თავის სიცოცხლეში სურდო არ დამართოდეს.

ავთანდილმა შუბლზე ორივე ხელი მოუჭირა, თითქოს საზამთროს ავკარგიანობას ამოწმებსო.

— გადამრევს ეს კაცი, კაცო!

— რა მოუვიდა, მკვახეა? — ფიცხლად ჰკითხა ცინცაძემ.

— ამას ახლა ნორმალურზე დაბალი აქვს, კაცო, სიცხე!

— რატომ? — იკითხა ვიშნევსკიმ იმ იმედით, ბოკერია ამ გაწამაწიის დროსაც ხუმრობას ხომ არ აპირებს, იქნებ როგორმე ერთი წუთით ეს უბედურება და ზაფრა დაგვავიწყოსო.

— რა ვიცი, მიდი და ჰკითხე შენ, ერთი გრამი სიცხე კი არა აქვს და!

— რაც მაგას იმ ფაშისტმა ოფლი ადინა, რა გასაკვირია. — აუხსნა ცინცაძემ ჩეჩენის გამოჯანმრთელების მიზეზი.

— მართალია, იცოდე შენ. უყურე, კაცო, რა ქნა იმ ლემენცმა! — თავი გააქნია მეთაურმაც და სანნაწილში წასვლა, სადაც ახლა ალბათ ცოდვა-ბრალი ტრიალებდა, რა თქმა უნდა, გადაიფიქრა.

VI

მამუკა დაიბნა: „რომ ამბობენ, ოთხი ჯარისკაცი დაიჭრა და ერთი მით უმეტეს მძიმედო, — ფიქრობდა ის, — ნუ თუ ეს არის ის ჰიპნოზური, თუ ჯოჯოხეთური მასობრივი სენი, რომელიც ერთბაშად ამოდენა ქვეყანას შეეყარა? ადამიანებს მართლა გაუჩნდათ რაღაც არგაგონილი, აუხსნელი ჰალუცინაციები და ვინოკუროვსაც ეჩვენება, ვითომ ვიღაც დაჭრეს? იქნებ სხვა დროს ისიც მოეჩვენოს, რომ ვიღაცას მოჰკლავენ? მაგრამ მართლა ხომ არ შეიძლება კაციშვილი ტყუილუბრალოდ დაჭრან, ან მით უმეტეს მოჰკლან“. მამუკას, თავის დართულ, დაუგრეხავ ბამბის ძაფზე რომ ეკიდა, ახლა ის ძაფიც ჩამოუწყდა და თავგზააბნეულ, გაბოროტებულ ბიჭს მოუნდა, რაც ამ წუთას მის ირგვლივ ხდებოდა და თვითონაც აკეთებდა, ყველაფერი მამისათვის მიეწერა, ისიც კი მიეწერა, ჭავის ყანაში ცხვირით და კბილებით მიწას რომ თხრიდა და ქვესკნელში აპირებდა ჩაძვრომას. რა იყო ეს? მართლა შეიძლებოდა საიდანღაც ვინმე მოფრენილიყო და ისე, რომ არავისთვის არაფერი ეთქვა, ხეირიანად არც კი დაენახავის უმიზნებდა, ისე მოეკლა კაცი?

მამუკას იმ წუთამდე, სანამ ის თვითმფრინავი ცაზე გამოჩნდებოდა, სიზმრადაც არ მოლანდებია ის შავი მანქანა და არც ის, ვინც იქიდან ტყვიას უშენდა.

„ვთქვათ (შეუძლებელი წარმოვიდგინოთ), ეს ბიჭები განწირული იყვნენ. დაუჯერებელია, ვინმეს სცოდნოდა, რომ დღეს, შუადღისას, ისინი ტყიდან გამოვიდოდნენ და იმ წუთას, ამ ზღვა ყანაში იქნებოდნენ, მაინცა და მაინც იმ ჭავის ძირას, სადაც ჯალათმა მათი სისხლი დაღვარა.

„მამა, შენ ამბობ, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, შემთხვევით არაფერი არ ხდება. ჩვენ ხშირად ვერ ვწვდებით ბუნებისა თუ ცხოვრების კანონზომიერებათა სიღრმეს და ზერელედ გვგონია, რომ ესა თუ ის ამბავი მოულოდნელია და ამიტომ უაზროც. იქნებ მე თავს ვერ ვართმევ ამას და შეიძლება რაიმე ახსნა მოეძებნოს? ვთქვათ, ეს მართლაც ღრმა და შეუცნობელი უბედურებაა... ხომ უნდა გაჩნდეს მას რთული, ჩემთვის ჩაუწვდომელი, მაგრამ მაინც მიზეზი?

„მამა, შენთან ლაპარაკი მინდა. მანდ მე არასდროს არ გეკამათებოდი, რასაც ამბობდი, ისედაც მჯეროდა, რაკი იმის ახსნა, რაც ჩვენს ოჯახში, ან ახლომახლო ხდებოდა შესაძლებელი იყო“.

ნოშრევანმა მამუკას ხელი მოკიდა და შეანძრია.

— რა გინდა?... — მამუკას ეწყინა, რომ მამასთან „საუბარი“ გააწყვეტინა მასზე უარესად დაფანტულმა არდაძემ.

— წამომყევი...

— სად წამოგყვე? — გაუკვირდა ბიჭს: ამ ტყეში, ხმაჩაწყვეტილი ბილურებივით შეყუჟულებს, რა გვესეირნება.

— წამომყევი და დადექი, არავინ დაგვინახოს... — თავზე გობივით დამხობილი რკინის ჩაფხუტის ქვეშ მო-

ზრდილა, მსუქანი ყურები არდაძეს ინისფრად შეეღება.

— რა დაგემართა, ბიჭო?!

ნოშრევანმა მიიხედ-მოიხედა.

— აქეთ მოიწი...

მამუკამ ფურცელი გაკეცა, წიგნში შედო და გიმნასტურის უბეში ჩაიჩარა.

— რა მოხდა?

— ის მინდა...

— რა?

— შარვალი უნდა გავიძრო,—ინისფერ ყურებზე ცეცხლი წაეკიდა ნოშრევანს.

მამუკას შარდის სუნიც ეცა და არდაძის მთლად ჩასველებული შარვალიც დაინახა.

— ჰო, კარგი, წამოვალ...

— ჩანთები და აირწინაღებიც წავიღოთ?

— არ ვიცი, ბოკერიას ვკითხავ.

— არა, არავის არაფერი უთხრა...

— კარგი, ეყაროს აქ... წავიდეთ!

სადღაც, ტყის სიღრმეში, ტოტებიდან ჩამოპარული სხივების კვალდაკვალ, მაზარის გაშლის ოდენა, მზიანი მდელო მოძებნეს. ჩასველებული ჯარისკაცი ბალახებში ჩაიმალა და მამუკა ხეს მოფარებული აიტუზა, გარემოს თვალთვალი დაუწყო.

VII

ნაშუაღამევს მეჩხერ ტყეში ზეზეულად შეჩერდნენ, სული მოითქვეს, ავთანდილმა წეკო გაზეთის ნახევში გააწყო, მაგრამ არ მოუკიდა, სხვებს დაელოდა, ლადოს დაკეცილი ქაღალდი გულისჯიბეში ოფლით დასველებოდა, ერთი ფურცელიც ვერ გამოძებნა, რომ შესახვევად გამომდგარიყო, ვიშნევსკის გამოართვა.

— ჰე, დროზე ქენით! — მოთმინება დაეკარგა ბოკერიას.

— ჩვენი „უფროსი“ ძალიან გაიწაფა... — დაიწყო ცინცაძემ.

— კარგი, კარგი! — გააწყვეტინა ათმეთაურმა: ისევ ჩემს „უფროსობას“ და „ჯილდოს“ დაიხვევს ხელზეო.

— მოვუკიდოთ?

— მოვუკიდოთ.

ერთმანეთს თავი თავზე მიადეს, მაზარა წაიხურეს, ასანთს გაკრეს და აბოლებული პაპიროსები შენიღბულიდან ორივე მუჭში მოქცეული გამოიტანეს, თითქოს ძეძვებიდან, სადაც შაშვის ბუდე უნდა ყოფილიყო, რატომღაც ხოხბის ჭუჭული გამოიყვანეს და ცერსა და სალოკ თითებს შუა თავამოყოფილ ეალერსებიანო; პაპიროსი ისევ მჭიდროდ შეკრული პეშვით მიჰქონდათ პირთან და დაფეთებული ორთქლმავალივით უშვებდნენ ბოლს.

თურქმენი არ ეწეოდა, წეკოს ენის ქვეშ იყრიდა. რაკი თავისი მწვანე, საფანტივით თუთუნი გაუთავდა.

— ა, ჭკვიანი კაცი, — ჩაილაპარაკა ავთანდილმა, — ალბათ ბერდიევის წინაპრებიც სულ ომებში იყვნენ და მტერს პაპიროსის ცეცხლი რომ არ შეემჩნია, უკეთესი რამ მოიფიქრეს.

ბერდიევმა გულარეულივით გადმოაჟუჟა.

— ამ წეკოს დაყრა ენის ქვეშ კი არა, ბათინკის ქვეშაც არ შეიძლება, — ახსნა ცინცაძემ ბერდიევის გასაჭირი.

თურქმენმა თავი დააქნია და ჩაიჩოქა.

— ნარიმან, მანდ თავშესაფარი არ გათხარო, ახლავე უნდა მოვუსვათ! — გააცნო საქმის ვითარება ავთანდილმა. პეშვში ვამომწყვდეულ ხოხბის ჭუჭულს ნისკარტში აკოცა, გააბოლა და ნამლევა მთვარის მკრთალ შუქზე მამუკა და ნოშრევანი მოძებნა.

— თქვენ თქვენი თუთუნი რა უყავით?

— აგერ გვაქვს ჩანთაში, — გაეპასუხა არდაძე.

— კარგად შეინახეთ, ცინცაძის გაზეთივით ოფლში და წყალში არ დაალპოთ.

— ჩვენ კიდევ არაფერი, ლენიაკოვს პაპიროსი რომ არ ექნეს, მუგუზალს სად იშოვის, — მხრები აიჩეჩა ლადომ.

— მუგუზალი რა ეშმაკად მინდა. — აბუზღუნდა ლენიაკოვი, ახლა შენი ხუმრობის გუნებაზე ვარო?

— აბა მაგ თოფს რით უპირებ გასროლას?

— ბიჭებო! — გასცა ბრძანება ბოკერიამ, ხოხბის ჭუჭული პეშვით ბათინკის ლანჩის ქვეშ შეაძვრინა და საგულდაგულოდ მოთელა, — უნდა მოვუსვათ!

— დაგვეწიენ? — იკითხა ხის ძირას მიგდებულმა ჩერჩენმა, გერმანული თვითმფრინავის შიშმა რომ გაუარა და ისევ სიცხე მისცა.

— დაგვეწიენ და ტყეზე გადადიან, — თითი ასწია ავთანდილმა.

— რა სმენა აქვს ამ პირძაღლს! — შეშურდა ცინცაძეს.

— არ გექნება და კი იცი, რაც მოგელის! — იშვირა ფეხი და მოუსვა მეთაურმა, — ნურადილ, თუ გაგიჭირდეს, მაგ ჩანთა მაინც მოგვეცი.

ნურადილი არყის ხეს აჰყვა, ბნელში მთვარის მკრთალ შუქზე ღერო რომ ალაგ-ალაგ ვერცხლის ნაფოტებივით უბრწყინავდა.

მეჩხერი ტყე რომ დატოვეს (სადაც რამდენჯერმე ნოშრევიანი მიწაზე ბელტივით დაასკდა), დახრამულ ყამირზე გავიდნენ და ზეცაც ღრუბლებით დაიფარა.

— ნუ გეშინიათ, ღმერთი გვწყალობს. — ათმეთაურმა ბიჭებს იმედი უკანმოუხედავად გადმოუგდო, ჩაფხუტი გულზე დაიკიდა და ახალი თავნაბანივით გაწუწული შუბლით ბნელს ეკვეთა.

უკვე აღარც ტყეს გადაყრიან, აღარც კორომს და არც ის იცოდნენ, რამდენი გაიარეს, რომ წვიმა წამოვიდა.

გადაჯეგილი ყანა თუ ნაყანევი (უკვე აღარავინ უწყოდა), ატალახდა და ბოკერია სიხარულით ცას ეწია.

— ასე გაზუზულებს და ტალახში ამოგლესილებს ლემენცი კი არა, მშობელი დედა ვერ გვიცნობს.

— შენს გასაცნობად და ხელის ჩამოსართმევად მოსული გგონია? — გაუკვირდა ცინცაძეს, — თუ ვერ გიცნო, არ გესვრის თუ?

— არ ვიცი, არ შერცხვება? — მიხვდა ამ ამაო იმედის უიმედობას მეთაური და ხუმრობაში მიაფუჩეჩა.

— დაწექით! — გასცა განკარგულება ბოკერიამ, როცა ჭენჭყობი მოიტოვეს და შეფერდებაზე აჩლახუნდნენ.

— რა მოელანდა? — აღმოხდა ლადოს, როცა ყურები კინაღამ ატკივდა, ისე დაძაბულად მიაყურადა ბნელს და ჩამიჩუმიც ვერ გაიგონა.

— სუნი! — იყო პასუხი.

— სუნი?! — იკითხა კუდრიავცევმა: ვითომდა, ფეხს სად ვდგამ, წინდაწინ უნდა დავყნოსოო?

ბოკერიას ბრძანებისთანავე სახეში ქარიც მოასკდათ და მარტო თოფის წამლის კი არა, რაღაც ფაფასავით მოზელილი: ოფლის, ცხენის, ჩექმის, მაზარის, თამბაქოს და ჩონჩორიკის სიმყრალე მოიტანა.

— გერმანელებისაა თუ ჩვენების? — იკითხა ცინცაძემ დინჯად, თითქოს არც ხუმრობსო.

— რა ვიცი, კაცო, მე?! — ახლა კი გადაირია ავთანდილი.

— აბა, კარგად დაყნოსე...

— დავყნოსო რა, თეფშზე კი არ მიდევს!

— ავთო, დამიჯერე, — დაყვავებით თქვა ლადომ, — შენ ისეთი ძაღლის ალღო გაქვს, მე ამას სრული სერიოზულობით გეუბნები, ერთხელ რომ იმ შენი „ლემენცების" ახლომახლო მოხვდე, მეორეჯერ იმასაც გამოიცნობ, არაფრით ერთმანეთში არ აგერევა.

— არ აერევა, — კვერი დაუკრა ვიშნევსკიმაც.

— ღმერთმაც ჰქნას, მაგას რა ჯობია, კაცო! მაგრამ ახლა რა ვქნათ?

— მაგი შენ თუ არ იცი... — დაიბნა კუდრიავცევი, ვითომ მონადირე კაცი ვარ და სუნისა თუ გეშისა რაღაცა მეც გამეგებაო.

— წინ მზვერავი ხომ არ უნდა გაგვეგზავნა? — იკითხა ატალახებულ მიწაზე გართხმულმა იუდინმა, რომელმაც რაც ეს სუნი ეცათ, თოფი ბოგო-

მოლოვს გამოგლიჯა და ახლა უბეში იხუტებდა.

— მზვერავები ალბათ ჩვენ თვითონა ვართ. აბა, წინ რატომ გამოგვიშვეს? არ ჯობია მარჯვნივ წავიდეთ? იმ მხარეზე ჩვენი ასეული მოდის. დავუცადოთ და შევუერთდეთ. — ვერ აიღო თავის თავზე გამოუცდელმა მეთაურმა წინსვლის პასუხისმგებლობა და შეფენებას მარჯვნივ გაჰყვა.

შემაღლებაზე თავიანთი ჯარისკაცების მაგიერ სოფელს გადაეყარნენ. სადღაც ხმადალეწილი ძაღლი აყეფდა.

— ბიჭებო, მართლა ძაღლია?! — ისე გაეხარდა და გაუკვირდა ბოკერიას ამ ყელჩახრინწულის ყეფა, რომელსაც ძაღლი აღარც კი ეთქმოდა, რომ თავის ასე მახვილ სმენასაც ვერ ენდო.

— ძაღლია! — თქვა კმაყოფილმა ჰასანამ და ალბათ ეს იყო მისი მესამე სიტყვა, რომელიც რუსულად ისწავლა „დავაისა“ და „პოეხალის“ შემდეგ.

— იღბალი ჩვენი, რომ შენი ჰრაჭუნა აზიურები არ გაცვია, თორემ მაგ ძაღლს ვერცერთი ვერ გადავურჩებოდით. — გაახსენდა ლადოს, თავლის ეზოში ბოკერიას მონაყოლი.

— ვინ მოდის? — იკითხა ბნელში ვიღაცამ.

— ჩვენებია! — უტყუარად თქვა მეთაურმა, — ვინოკუროვი მანდაა?

— არა, იქითაა! — ჩაილაპარაკა ისევ იმან, „ვინ მოდისო“ რომ კითხულობდა, მაგრამ „იქითაა“ ამ კუნაპეტ ბნელში ვის ან როგორ უნდა გაეგო?

— ძაღლს იქით თუ აქეთ, წინ თუ უკან? — იპოვა ორიენტირი ბოკერიამ.

— ძაღლს იქით, — უპასუხა ისევ იმ ხმამ და ჩაეცინა.

— ეს თუ ჰიტლერის კაბინეტში პირველი არ შევა და მხრებს არ შეუკრავს, მე ორივე ყურებს დავიჭრი, — გადაულაპარაკა კუდრიავცევს ცინცაძემ.

— ის უღმერთო თუ მანამდე ჭკუას არ მოეგო და საქმე იქამდე მიიყვანა, კი, — ჰიტლერმა არ გადაიფიქროსო, ამან დააეჭვა მოსკოველი, თორემ ბოკერია ამას რომ იზამდა, ეს მტკიცედ სწამდა.

— ქოფოი ოღლი! — ჩაილაპარაკა ბოლმით ჰასანამ, რაკი „ჰიტლერი“ მოესმა, მისი ამდენი წვალების მიზეზი.

წვიმამ იკლო.

სოფლის გადაღმა, ისევ მეჩხერტყეში, სალაშქრო სამზარეულოებს გადაეყარნენ უკვე ასეულს შეერთებული ბიჭები და ბოკერიამ, სანამ ჩაძინებულ მზარეულებს თავზე წაადგებოდნენ, მანამდე იგრძნო ქვაბების, ჩამჩების, ბურღულის და ამჟავებული კარაქის თუ რაღაც ცხიმის სუნი.

სალაშქრო სამზარეულოს მარცხნივ, ჰენჭყობის ზევით, დენთისა და ნაცნობი თავლის სუნი ეცათ. მაშინვე თავი კვლავ ტყეს შეაფარეს და ნაძვნარში შეხამებულ ზარბაზნებს და ცხენებს გადააწყდნენ. ბოკერია ახლა მიხვდა, რაც მაშინ შეფენებაზე გამოცანად მოეჩვენა.

— ვინ მოდის? — წამოიყეფა ფეხზე ჩათვლემილმა ჯარისკაცმა.

— ჩვენებია! — გაეხარდა ათმეთაურს. პირზე ერთმანეთზე გადაბმული მუშტები მიიდო, სისინით შიგ „პაროლი“ გააძვრინა და ისე ზუსტად ესროლა ყარაულს, ლენიაკოვის თოფი აგრე უტყუარად ნიშანში ტყვიას ვერ მიიტანდა.

— ავთანდილ, კარგად დაიმახსოვრე ეს სუნი! — გააფრთხილა ლადომ.

— ვიცი...

— რუსული ცხენი, გუშინ ჭვავის ძირში რომ იწექი, იმით არის ნაკვები. ეგ ჭვავი, აწი ცხენის ტანშიაც რომ გაივლის, მერეც არ აგერევა გერმანულ ქერისა და ჭვავის სუნში.

— აწი რაღას ამერევა! — დაამშვიდა მეგობარი ავთანდილმა და რაკი უკან მომავალთა ფეხის ხმაზე მიხვდა, ერთ მოწევას კიდევ მოვასწრებ, სანამ წამოგვეწევიანო, თანაც გულდაწყვეტილი იყო, სოფელს რომ გამოცდნენ, თითქოს იქ თავისიანები ეგულებოდათ, დაბოღმილმა ჯიბეში წეკო მოიძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მამუკა და ნოშრევანი ეშელონიდან ჩამოსხეს და საჯინიბოსაკენ გზას გაუყენეს, დაღლილობა დალამებამდე აწუხებდათ, მერე ღამითაც დაქანცულობით გაწამდნენ, ბოლოს უილაჯობამ გატანჯათ, გაწყდნენ წელში, ეცვენ ჯვარს, მაგრამ მაინც რომ არავითარი საშველი არ გაჩნდა, მისავათებულებმა დაკარგეს დაღლა-დასვენების შეგრძნება, თუ რა მოხდა, მერე სულ ერთნაირად იყვნენ. გაბეუებულ სხეულებს ტომრებივით დაათრევდნენ. რომელშიც რაღაც ჩაჩეჩქვილი ხორცი და ძვალი ეყარა და... სტკიოდათ — არც სტკიოდათ, თავიანთი იყო და არც იყო. რაც არ უნდა ბევრი ერბინათ, ეხოხათ, ეთრიათ ხარახურა, ეთხარათ ორმოები, დასკდომოდათ ხელისგულები და დაბეგვოდათ ფეხები, ამას დაქანცვა აღარ ერქვა. ეს ისევ ის იყო, რაც თვალის მოტყუების, ან ჭამის შემდეგ სჭირდათ, თუ პირიქით, ამ „შესვენების" მერე უფრო უძნელდებოდათ ის, რაც უნდა ექეთებიათ.

ახლაც მიდიოდნენ, რაღაცა ებლანდებოდათ ფეხებში, ეფლობოდნენ, გარბოდნენ თუ შეჩერდებოდნენ, ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ. ტყე, ყანა და ნაყანევი, ჭალა, ჭაობი და ნასოფლარი, ყაყანი, ფაჩუნი, ძაღლის ყეფა და ცხენის ჭიხვინი, ბრძანება, გინება თუ სისინ-ჩურჩული, ისევე ერთფეროვანი იყო, როგორც ეს დაოსება, სიბნელე, წვიმა და ქარი.

ახლა ვითომ მეტი სიფრთხილე თუ განსაკუთრებული გულისყურია საჭიროო, გააფრთხილეს: ყოველი ნაბიჯის გადადგმა სახიფათოაო, მაგრამ დიდად არც ამით შეცვლილა რაიმე. ვითომ მეტი გამჭრიახობა, ან უკეთესი გულმოდგინება შეეძლოთ გამოეჩინათ? გაწვიმდა? გაწვიმდეს მერე. როგორ, აქამდე მშრალები იყვნენ და დასველდნენ, თუ ტალახი ფეხებს ამაზე მეტად დაუბორკავდათ? ნამლევა მთვარე ღრუბლებმა ჩაყლაპა და ჩამობნელდა. როგორ, დღე რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდათ საით მიდიოდნენ ან რისთვის მიდიოდნენ?

ბოლოს და ბოლოს, სადღაც მინდორში რომ დააყენეს, დააცალკევეს და უბრძანეს მიწა გათხარეთო, ნოშრევანს ესლა გაუკვირდა: რატომ ასე შორიშორს, ერთმანეთთან უფრო ახლოს არ შეიძლებოდა? კარგი, რაკი ასეა, მაგრამ რატომ ძალიან სწრაფად, ვითომ შეიძლებოდა ამაზე უფრო სწრაფად?

— საცაა ინათებს!.. — სისინებს ბოკერია და მიწაში თხუნელასავით მიძვრება.

— ინათოს მერე, — ჩურჩულებს მამუკა, — არა, არ უნდა ინათოს?!

თუმცა სულერთია. მამუკასათვის ბნელშიაც და ნათელშიაც ერთნაირად შეიძლება მიწის თხრა, როგორც წერილის წერა. ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა! რა ჯობია, ბარემ ყველაფერს რომ მოითავებ, მაგრამ ბარს ხომ უნდა დააჭირო ფეხი; თუ მიწა რბილია და ერთ დარტყმაზე ჩავიდა ბოლომდე — ხომ კარგი, ამოიღებ და მაღლა, „მტრის" მხარეზე დაყრი. უფრო სწორად, ზედაპირზე მონაჭერ ბელტებს გვერდზე გადააწყობ და შეინახავ: მერე მეორე, მესამე ბარის პირს ამოთხრი, წინ დაახვავებ, მერე კიდევ და კიდევ და როცა საქმეს მორჩები, იმ გადანახულ ბალახიან ბელტებს მოალაგებ ზემოდან, მწვანე გვერდს მტრის მხარეზე მოაქცევ, შეუხამებ იქაურობას. მერე ჩაჯდები შიგ, მთელი ქვეყანა დარჩება მაღლა, შენ კი შენს „სახლში" ჩაიკეტები. ოთხივე კედელიც გექნება და იატაკიც. მხოლოდ „ჭერი", ჭერის „გაკეთება" დაგჭირდება; იმ ჭერს, თეკლას ოთახივით, ორ ადგილას ზედა სართულზე დაღვრილი წყლის ჩამონაჟონი რუხი ნაცრისფერი, უფორმო ლაქები დააჩნდება; მერე „გადახურულს", როგორც გულზოდში, წინა ოთახის ფიცრის ჭერში გამოვარდნილი კორძების ბნელი ნასვრეტებიც გაუჩნდება.

„სახლში" მამუკას ძინავს, თუ ჰგონიათ ძინავს. არ ელაპარაკებიან, მათ

ისიც ჰყოფნით, რომ მამუკა შინ არის და არ უნდათ მყუდროება დაურღვიონ. ხმის გაღების თავი აღარა აქვს. რაა ეს გაუთავებელი ლაპარაკი, სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე, თითქოს ადამიანმა ენა იმიტომ ამოიდგა, რომ შეუჩერებლად ირატრატოს.

„შინ“ ყველა ხმაგაკმენდილია და ყური კედლებზე აქვთ მიდებული, რაღაცას გარედან მოელიან. ვიღაცამ „გარეთ“ უნდა თქვას ძალიან უსიამოვნო, ან არაადამიანურად უნდა იხმაუროს.

თითქოს ისევ ის „რკინის კაცი“ უნდა მოფრინდეს და რაღაც ისეთი ჩაიდინოს, რაც, ალბათ, არც მან იცის. ეს მისი ფრთების ხმა ისმის, თუ „შინ“ ჩაკეტილი მამუკა უკვე გუმანით გრძნობს მის განზრახვას...

— ეე, ამაღლობელი!

მამუკას ზევიდან, „ჭერიდან“ ეძახიან. პირდაპირ საოცარია, ჭერიდან კაციშვილი კაციშვილს ეძახდეს, გაგონილა?

— ე ბიჭო, მამუკა!

ისევ ზევიდან ისმის. ეს შეიძლება? სტუმარი სახლის წინ, ჭიშკრიდან უნდა იძახდეს, ან ეზოს გვერდზე — ორღობიდან, თუ მეზობელია ან ახლობელი.

ვიღაცა თითქოს ჭერიდან ოთახში ხელებს აფათურებს და მამუკას ანჯღრევს. როგორ შეიძლება კაცს ამ სიგრძე მკლავები ჰქონდეს, სახურავიდან ჩამოჰყოს და ოთახში ჩაყუნცულ ბიჭს დასწვდეს?

— დაგეძინა, კაცო?!

ბოკერიას ხმაა. ბოკერიას ხმა, როგორც თავისი ძმების ხმა, არავისაში არ აერევა.

— მოდი, ავთანდილ! — მიიპატიჟა, გაეხარდა.

— სად მოვიდე, გადაირიე, კაცო? მანდ მე კი არა, შენც ვერ ეტევი. მეტი ღრმა ვერ გათხარე? ახლა რომ რაიმე მოხდეს...

— რა უნდა მოხდეს?

— რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება.

— გაიგე რამე, თუ?

— არა, არაფერი გამიგია, პირიქით, ჯერ ისეთი სიწყნარეა, აქ ვინც დაგვხვდა, იმათაც უკვირთ. მაგრამ ეს თურმე უარესია.

— სიწყნარე უარესია?

— ჰო, ჰო, და თუ როგორმე მოახერხო, კიდევ გათხარე, — სანგარზე დამხობილმა ათმეთაურმა ცას ახედა,— მაგრამ რაღა დროს, თენდება.

— მერე, კარგია, რომ თენდება...

— კარგი კია, თუ ქვეყანა არ დაგვიბნელეს: ამაღლობელო, ხომ გესმის, რაც არ უნდა მოხდეს, სანამ მე არ დაგიძახო, თავი არ ამოსწიო! კაცო, კიდევ გაგეთხარა. ასე ჩაყუნცულს რა გაგაძლებინებს... ჯერჯერობით რომ არც იარაღი ჩანს!..

— ჰოო...

— რა „ჰოო“, არ იცი, რომ არა გაქვს?

— არა მაქვს... ვაზნები ხომ მაქვს...

— რაა ერთი მუჭა ვაზნები, კაცო, უთოფოდ! შენ მთლად დაკარგე ჭკუა?

— არა... ჰო...

— ხელყუმბარები ხომ არ მიაკარგე სადმე ამ ტყე-ღრეში?

— არა, აგერ მაქვს... — მოესმა ავთანდილს მიწიდან თავამორგული ნოშრევანის სლოკინი.

— ყოჩაღ, არდაძე! — შეაქო სრულიად უმიზეზოდ მეთაურმა და მერე მიხვდა თვითონაც უძილობით და დაქანცულობით გაბოროტებული ბოკერია, არდაძისათვის შექებას კი არა, ორდენის გულზე დაკიდებასაც არაფერი ფასი არ ჰქონდა და გაიფიქრა: „ამათ თავი საველე მეცადინეობაზე ჰგონიათ, მაგრამ მით უკეთესი“.

— მერე რა უნდა ვუყო, მე რომ შორს ვერ ვისვრი...

— ჯერ ხომ კიდევ უნდა ივარჯიშოს! — მოაგონდა მამუკას ვინოკუროვის სიტყვები, სამი დღის წინ ხვასტუნოვს რომ უხსნიდა, ჯერ მზად არ არიანო.

— ივარჯიშოს... — თავი დაუქნია ბოკერიამ, — მაგრამ აქ არა! რაც არ უნდა მოხდეს, არა! — გაიმეორა, თით-

ქოს გულზე აზიდებსო, — იარაღისას ალბათ რაღაცას ზემდეგი გაახერხებს, ჯერ არაფერი ჩანს... არდაძე, შენს იქით ცინცაძეა, მამუკა, მე აქვე ვარ... ხომ გესმით რა გითხარით!..

მაღლა გახიდული ავთანდილის თავი გაქრა და ტენიანი, ლილამორეული, თეთრი საღებავით დაფარული „ჭერი“ დარჩა.

სადღაც დაიგრუხუნა.

გრუხუნს სადღაც შორს მეხის დაცემაც მოჰყვა.

„მამას მივწერ, თეკლა ამისას ვერაფერს გაიგებს: შეიძლება მეხის გავარდნა, თუ ღრუბელი არაა? წუხელ წვიმდა, მაგრამ დღეს... არა, ამაზე მამას გაეცინება. თვითონ რომ იცის, ისეთი ნატკენი ღიმილით, იმედგაცრუებული კაცის ღიმილით, არა, არ მივწერ...“

ისევ დაიგრუხუნა — ახლა ზედიზედ და მაშინვე ძლიერი ბათქის ხმაც ჩამოვარდა ორმოში, „კედლებიც“ კი შეაზანზარა.

„არა, მაინც მივწერ, თურმე ხდება გამონაკლისი... და თუ ხდება...“

და უეცრად ერთბაშად ატყდა მეხთა ცემა, გრუხუნი და გრგვინვა, ჭექაქუხილი, მაგრამ მაღლა, ზეცაში ან ტყეში კი არა, აქვე, მიწაზე, სულ ახლოს...

მეხი ერთხელ, გულზოდის ყველაზე მაღალ კორტოხს დაეცა; იმ მხარეზე ჩაის პლანტაციები გააშენეს და ტყე სულ განადგურდა, ერთი ობლად დარჩენილი დაჩიჩქვული მუხა იყო შემორჩენილი და ის დალეწა, მაგრამ მაშინაც არ შერყეულა მათი სახლი ისე, როგორც ახლა, ქვეყანა ყოველ გავარდნაზე რომ ზანზარებს. ზევიდან კი ამონაყარი მიწა ცვივა.

ლილაშერეული სველი „ჭერი“ შრება, სითეთრე მატულობს; მატულობს ცის რისხვაც, ისე დამაყრუებლად და დამაბრმავებლად, რომ თვალები ყურებს არ უჯერებენ და ყურები — თვალებს. თითქოს ორი ქოსატყუილა შეხვედროდეს ერთმანეთს — რომელი უფრო საარაკოს და ერვაგონილს მოვჩმახავთო.

აქამდე წინ, ცის მოწმენდილ კიდეში რომ გრუხუნებდა და მეხი აქეთ ეცემოდა, ახლა ზურგს უკანაც აგრუხუნდა; მეხის დაცემა მეორე მხრიდანაც მოისმის, მაგრამ მალე მხარეების გარჩევაც აღარ შეიძლება, ერთიანად ინგრევა ქვეყანა და მიწის ნაფლეთები „ჭერზე“ შავი, ფრთებდასხეპილი, დასეტყვილი ყვავებივით გადაიქროლებენ, ზოგჯერ ჯგროდ, ზოგჯერ თითო-ოროლა.

ამდენხანს უძრავი, ძლიერი დედამიწა ერთბაშად მოირყა და მოფამფალდა. მამუკა, წეღან რომ თავი „შინ“ ეგონა, ახლა ცეცხლზე ნაჭით შეკიდებულ ქვაბში აღმოჩნდა, ირგვლივ შემონთებული მგრგვინავი ალი აქანავებს და ჭურჭლიდან გადმოპირქვავებას უპირებს. კედლებზე ხელებგაფარჩხულმა ბიჭმა იმის შიშით, საცაა გადმობრუნდება და შუაგულ ღადარში მღილივით ჩავიფუფქებიო, მუხლებშუა თავი ისე ღრმად ჩამალა, დალაფული ბათინკები და ოფლით აქოთებული წვივსახვევები ცხვირთან მოექცა.

დამწვარი, გარუჯული მიწა და ბალახი, ხე და ქვა, თუ ის, რაც ამ მოქანავე ქვაბის კარბჩხ მიღმა იწვოდა, ისე შემხუთავ, სქელ კვამლად იქცა, ბათინკების, ფეხსახვევებისა და წვივსახვევების სიმყრალე მშობლიური და მოსალბუნე გაუხდა, როგორც კერია თუ სტუდენტური ლოგინი.

დენთის ცეცხლზე აბურთავებულ კვამლში ახლა იმ ნაცნობი „რკინის კაცის“ ფრთების ცხელი ღმუილიც ჩამოვარდა, მაგრამ „ნაცნობები“ ამჯერად ბევრნი იყვნენ — იმდენი, რამდენი მამუკაც აქ ეგულებოდათ და ალბათ ამ ადუღებულ ქოთნებში ფაფის გაკეთება მოინდომეს. მხარიღლივ მაზარადახვეულ, ლოკოკინას ნიჟარასავით დამრგვალებულ მამუკას მაღლიდან რაღაც დაენარცხა, მაგრამ არა ისე მძიმედ და მტკივნეულად, რაც ამ ცეცხლს და მდუღარეს უნდა მოჰყოლოდა. დაეცა

თუ დაელვარა — თითქოს თბილი ფაფა ჩამოასხეს და მის ქვაბში თუ რაიმე თავისუფალი ადგილი კიდევ იყო, ძირის კიდემდე გაავსეს, მოაპირთავეს.

ბარძაყებზე რომ ჩაფრენილი ფრჩხილები იგრძნო, მიხვდა: იმ „ნაცნობ კაცს" ნოშრევანი აუღია და ჩემს ქოთანში გადმოუსხამს, ბარემ ერთ ხარჯში გამოვალ, ესენი რაღა ცალ-ცალკე ვლესო და ვათუხთუხოო.

— მა-მუ... მიშვე... — იმეორებდა ფსკერზე დაძირული, გადღვებილი არდაძის თავი, რაც მამუკას დახეთქილ ყურებს კი არ ესმოდა, ფრჩხილებივით ესობოდა და ტკივილით გრძნობდა, მაგრამ ყველაფერი მაშინვე გათავდა, როცა გაგანია ცეცხლზე აბურთავებულ, გატენილ კარდალას მეხი ზედ დაეცა და ცხელი ქვა და ღორღი გადააყარა.

ერთი საუკუნის მერე, ქვეყნის დამამხობელი ლაწალუწი რომ მიწყდა და დანაკვერჩხლებული ღადარი მიინავლა, სადღაც დასაკარგავიდან ცინცაძის ღრიალი მოესმათ.

— ავთო, ლოვა!

— ეუუუ! — იბღავლა ათმეთაურმა, — ე ბიჭო, ცოცხალი ხარ?!

— არაფერი მესმის... დავყრუვდი!.. — ბუზღუნებდა ვიშნევსკი სადღაც კიდევ უფრო შორს, ლადოს იქით.

— მოკლეს, მოკლეს! — აზმუვლდა ცინცაძის ხმა, სადღაც გადასაკარგავში, ქვაბში რომ ჰაერივით ძლივს აღწევდა.

პერანგივით მორგებულ ვიწრო ორმოს ფსკერში ჩატენილ მამუკას და თავდაღმა ჩასხმულ ნოშრევანს შორის თუ კიდევ სადმე ნემსი ჩავარდებოდა, ის ადგილიც მიწით და ბელტით ამოტენილიყო, მაგრამ ბღავილი და ზლუქუნი როგორღაც მაინც ჩამოიპარა.

— ვაიმე ბიჭებო! — ლადო, ლადო!

— მე თავი დამანებე! აგერ ნახე, რა ამბავია! — მოისმა ისევ ენაგაძვალებული ცინცაძის ხრიალი.

— აქ იყო ვინმე? — იკითხა ყვირილით დაყრუებულმა ვიშნევსკიმ.

— ალაჰ... — მეორე მხრიდან ამოიგმინა ჰასანამ.

— დაწექით, თქვე ლაწირაკებო! — ახლა სულ სხვა მბრძანებლური, საგანგაშო გაფრთხილება მოისმა.

— როგორ, დავწვეთ?! — ქვაბის თავზე გაიკვირვა კუდრიავცევმა, — კაცი უგზო-უკვლოდ გაქრა!

— დაგხვრეტთ! — შორს აფეთქებული ბომბივით გასკდა ვიღაცა და წუთით ყველას ენა ჩაუწყდა, მაგრამ მიწისქვეშ სუნთქვაშეკრულებს მალე ისევ მოთქმასავით ჩაესმათ:

— ვაიმეეე... ძმაოოო!..

— სად გეძებო ბიჭო, სად გაქრი, შე უღმერთო, ვაი, ნანა! — დაკვნესოდა აყივლებული ბოკერია.

ფაფად გალესილი ნოშრევანი, ჰაერი რომ სულ გადაეკეტა, ერთი უმწეოდ გაფართხალდა და სასწაულად გადარჩენილმა ენამ ამოიგმინა:

— მამუ... მომკლეს ნეტავ?..

— მეორე! ამაღლობელი სადაა?! — იღრიალა ამ ახალი უბედურებით დარეტიანებულმა ცინცაძემ.

— ამაღლობელი! — აჯღავლდა ხელახლა დაზაფრული ბოკერიაც, — ახლა მის სანგარზე არ გადმოვირბინე?! — გაახსენდა. ალბათ უკან გამოხოხდაო, იფიქრა. ნოშრევანი, როგორც თავიდან ჩამოასხა ვიღაცამ, ახლაც, თითქოს ქვაბიდან წყალი გადმოწურესო — სანგარში ფსკერზე ჩატენილი მამუკა მარტო დარჩა და ვიდრე სანახევროდ გაცარიელებული ქვაბი მიწით ავსებოდა, ერთი ჩასუნთქვაც მოასწრო.

— აგერაა, კაცო, ეს შობელძაღლი! — აფლიქვინდა ბოკერია.

— ცოცხალი ხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე! — ლადოს ახლა კისერში იმაზე უარესი რაღაცა გაეხიდა, რაც წელან ნოშრევანის დაღუპვის შიშით დაემართა, და ახროტინდა.

მერე ვიღაცა მამუკას ზევიდან საყელოში წვდა და ბათინკებს შუა მოქცეული თავი წაართვა, კინაღამ დაულეწა ხერხემალი და მაღლა აათრია.

— ერთად ყოფილან! — ისევ სიხარულით ამოიხროტინა ცინცაძემ და ორმოს თავზე გართხმულ იუდინს ხელიდან გამოჰგლიჯა საფლავიდან ამოღებული გალურჯებული ბიჭი.

— კაცო, გიდგათ სული? ცოცხლები ხართ? შენც?.. შენც... — ბოკერია, ქმრის საფლავზე დამხობილი ქვრივივით, ცერის სიმსხო ცრემლებს ყრიდა.

მამუკამ, როგორც კი სამარიდან ამოათრიეს და სული მოითქვა, მაშინვე იქით მიიხედა, სადაც ამ ცოდვა-ბრალის განკითხვამდე ნოშრევანი ეგულებოდა: ახლა იქ ნოშრევანის ქვაბი კი არა, არდაძეებს რომ დიდი დარბაზი ჰქონდათ, ის ჩაეტეოდა. ბომბი პირდაპირ ზედ დასცემოდა.

— სანგრებში, თქვე ცხვირმოუხოცავებო — ტანკები მოდიან! ახლავე სანგრებში! — კინაღამ ბომბდაცემულივით გაიფხრიწა ვილაცა.

მაშინვე მოისმა ახლა სხვაგვარი გრუხუნი; ბიჭებმა დამფრთხალი წრუწუნებივით წამში სოროები მოძებნეს. სასწაულით გადარჩენილი, ბუდედანგრეული არდაძე ახლა ბოკერიამ და ცინცაძემ კინაღამ ორად გახლიჩეს... ბოლოს ლადო მოერია ღონით, თუ მისი სანგარი უფრო ახლოს იყო, ავთანდილი ხელცარიელი გახოხდა და, შუამდე ამოვსებულ სანგარში თავით გადაშვებული მამუკა ამოგლიჯა, თავისი ორმოსკენ ხოხვით წაათრია.

მზე კი ცაზე ურცხვად ამობრძანებულიყო და ვარდსა და ნეხვს სწორად ეფინა.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

# სანამ

სანამ ჩემს ირგვლივ დგანან
მზესუმზირები კდემით,
დამავიწყდება განა,
გორისციხე და გრემი?
სანამ თეთნულდი მოჩანს
სანამ ვაპურებ თავთავს,
სანამ იმედის ბოლჩა
მძინარეს მიდევს თავთან.

სანამ ცინცხალა წყალში
ვიჭერ ჭანარს და კალმახს,
სანამ ჯერ კიდევ ბავშვი
მივყვები გულის კარნახს,
ვერ გადავლახავ განა —
შურის და მტრობის სამანს,
დიდო ალაზნის ჭალავ,
მეიმედები სანამ!

* * *

ქარი დაქრის ქოშინით,
ცა მწვანეა მოლივით,
ზეცას მოსწყდა ქოშივით
კიდევ ერთი ცთომილი.
ალვა თრთის და ქარდაქარ
ფოთლებს მაყრის ქოქოლით,

მუხას მოსწყდა თვალდათვალ
კიდევ ერთი ფოთოლი.
ჩაიჩუმქრა სოსანი,
წვიმა მოწვეთს დაფნიდან,
კიდევ ერთი მგოსანი
თბილ ქვეყნებში გაფრინდა.

* * *

კინკიბურაზე ჰკიდია
თუთის ფოთოლი უღონო
ეს ბინდისფერი ნისლია
მთაზე რომ გაწვა უგონოდ,
დამძიმებული ნისლები
ცაში სკდებიან ნაღმებად,
მარტის დღესავით ვიცვლები

და ერთიორად ვმაღლდები.
როცა ცა არის მაღალი
უკიდეგანოდ უსაზღვრო,
ღრუბლები ღანღალ-ღანღალით
ხევში დადიან უაზროდ.
იცვალებადებს აპრილი,
მოვლენ ჟუჟუნა წვიმები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევს გამოტოპავს
ტანწვრილი
კერხვი შიშველი წვივებით,
გასათუთდება ტყეველი
ამღერდებიან ალვები,
სიცოცხლე შეულეველნი
სულ მუდამ სალმიანები.
მზით ამევსება პეშვები,
მზეში დადნება მყინვარი,
მეც მზეში გადავეშვები
ხარ ირემივით მყვირალი.

## ვის ეცოდება

ვის ებრალება ყვავილის
გვალვით მიმჭკნარი ნოხები,
სასაკლაოსთან ბღავილით
მიქუჩებული ძროხები;
ვის ეცოდება ტანწვრილი
წყალწაღებული თელები,
ან უიმედოდ გაწვდილი
ქალის უმწეო ხელები.
შეეცოდება განა ვის,
მიტოვებული სოფლები,
მოინაკლისებს არავინ
მოლაღურს ველარ მოფრენილს.
ვის ებრალება ზიარად
გზაზე მოკლული ქედნები,
სულ მუდამ გზისკენ
მზირალი,
შვილის ნატრული დედები.
გაციებული ბუხრები,
ხერთვისი, ოშკი, კვეტარი,
ზეზე გამხმარო მუხებო,
ვის ეცოდებით ნეტავი!

## ამ გზებმა

აღარ ჩანს ხევსურთა სოფლები,
მივდივარ, თავთავქვე ვდაბლდებით,
არცა დამბაჩა და თოფები,
მხოლოდ ზურგჩანთა და
ნაბდები.
არდოტთან მივცვივდით ცხენდაცხენ,
კოცონი ავანთეთ მაშინვე,
მზის ბილიკს გავცქერით
მე და შენ
და მთის სილამაზე გვაშინებს.
ჩრდილებმა გზა მირივ-მორიეს,
ხეებზე სიბნელე იბუდებს,
გადაგვიწყებია ორივეს,
კაცის და ნადირის სიმრუდე.
არც შიში, არც ღამის სიავე,
არც, ფიქრი ავი და მუხთალი,
ლამაზ მთებს მე და შენ იმ ღამეს
ბევრი რამ უთქმელი ვუთხარით.
ვიარეთ ხან აღმა,
ხან თავქვე,
ძირს გვეგო ბალახი ნაბადად,
და ასე მგონია მას შემდეგ,
ამ გზებმა მეორედ დამბადა!

## ძვირფასო მეუღლე

იარეთ გარეთ, ვიცი, ვერ გაუძლებთ
ზამთრის ღამეების სიმარტოვეს,
ნუ შეგეშინდებათ,
ძვირფასო მეუღლე,
უმწეო ცოლზე იბატონეთ.
დაბრუნდით სახლში
გენებოთ როდესაც,
სხვისი ამყოლი და წამხედური

და თუ კი გაკიცხვის
საბაბი მოგეცათ,
მიბრძანეთ მრავალი საყვედური.
როდესაც გენებოთ, დარეკეთ ზარი,
სიჩუმე ააფეთქეთ ნაღმებივით,
ერთგულ მეუღლეზე
იყარეთ ჯავრი,
თუ სახლში დაბრუნდით აღრენილი.
მე კი ოცნებებით
გაძარცული,
ცრემლებს ჩავყლაპავ და გავჩუმდები,
შენ კი ერთგულების საფასურად
ამავსებ მრავალი საჩუქრებით!

დილით კი ყველაფერს
დავიწყებთ თავიდან,
თვალებში ცრემლები ჩაქრებიან.
და მოჩვენებითი ღიმილით გავიტან
ეზოში შენს პიჯაკს
ლაქებიანს,
ნუ შეგეშინდებათ, ძვირფასო ბატონო,
თუ სიმწრის ცრემლები
წამნაშავენ,
რაც გინდა სათქმელი
მრავალგზის აგწონო,
ყოველთვის ვიქნები
დამნაშავე!

## სიბერე

ჩამოითოვლე, გაგიცვდა ჯანი,
გაცივდა გული — ვარვარა ქურა,
გაცვივდნენ წლები და დადგა ჟამი
ვედარ აჭენებ სიზმარშიც ქურანს.
დადგა დრო, როცა დღეებს გარდასულს
მოგონებების საბანში ფუთნი,
როცა სიცოცხლე გსურს და არცა გსურს,
ზურგზე გკიდია ათასი ფუთი.
დადგა დრო, იმედს
გაუჩნდა ბზარი,
და იმედები არ გამშვიდებენ,
გიხმობს და გიხმობს
მწუხარე ზარი
ძველ მეგობართა პანაშვიდებზე.
დადგა დრო, როცა დამშრალი სურა,
გვალვიან წყურვილს
ვერავის უცხრობ,
როცა წინაპრის უნაზეს სურათს,
მხოლოდ შენ ერთი
არა თვლი უცხოდ.
დადგა დრო, როცა საფლავის ლოდის,
ერთი შეხედვაც განიჭებს შვებას,
როდესაც, შენთან არავინ მოდის,
რადგან არაფერს
ელიან შენგან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ნოველები

## კაცნი

ჩვენი სოფელი ჯერ ისედაც არ უქნია ღმერთს და ზამთარში მთლად ჩაკვდა: საქმე არაფერი, დამლაპარაკებელი არავინ. დილიდან საღამომდე რადიოს ხომ არ მიუჯდები. მოწყენილობისაგან ლამის ჭკუიდან შევიშალო. სანადიროდ მე აღარ დავდივარ, მუხლები არ მივარგა. კაცმა რომ თქვას, არც ახალგაზრდობაში ვყოფილვარ ნადირობის დიდი ტრფიალი. ადექი ამ გაყინულ სახლში, დილით, შეშა დაჩეხე, წყალი მოზიდე, ძროხას ჩალა დაუყარე და მიუჯექი ბუხარს. მკერდი გაგითბება, ზურგში გცივა; შემობრუნდები, ახლა ზურგი გაგითბება — ცხვირს წაგყინავს. მიაჩერდები ფანჯარას და გულს გაგიწყალებს გაქვავებული სურათი — ატალახებული შუკა საქონლის ჩლიქებით დალარულ-დაკვალული. თავს გაყოფ სამზადიდან და საქონლის სკორეს სუნი გეცემა ცხვირში. ძაღლს კეტი რომ ურტყა, გარეთ ვერ გააგდებ. მიგდებულია ბუხართან და ძინავს. არაფრის ჯავრი არ აწუხებს, ჭადის ნატეხს თუ გადაუგდებ, უხალისოდ წასწვდება, თუ არა და არც ამაზე მოიკლავს თავს. რა ლამაზად ხატავენ კინოში ამ გაუთავებელ იმერულ ზამთარს, ვითომ ტუჩმოტეხილი დოქი გვერდზე, ვითომ ბუხართან შეკრებილი მეზობლები, ღადარს მიფიცხებული ჭადი და „ჩარირამა“. კარგი, ჩემო ბატონო! ეს, ვთქვათ, ერთხელ, ორჯერ, გუშინწინ, ორი კვირის წინ, მაგრამ ყოველდღე? ყოველდღე ცივი ჭადი, მჭვარტლიანი ბუხარი, სამი დღის ლობიო და მოწყენილობა, მომთენთავი, დამღლელი, მწარე ფიქრების ამშლელი მოწყენილობა. ვის სცალია შენთვის, ვის ახსოვხარ შენ! ყველა თავის კერასთან თვლემს და გარეთ გასვლა ეზარება. სადაა სტუმარი, სადაა მომსვლელი. თუ როგორმე დაალამე, გათენება არ გინდა? ქვეყნის ღამე ჩამოდის. მიინავლა ბუხარი. გეზარება გარე გასვლა და შეშის შემოტანა. ჩაგეძინება ბუხართან. მხრებში ჩაფრენილი სიცივე გამოგაღვიძებს. აგაკანკალებს. ლოგინისკენ იცქირები. სიბრაზე გაღრჩობს. რა დედმამისშვილია, რომ შენზე ადრე დაწვეს და ლოგინი გაგითბოს. ლამპას მიმჯდარი გაყინულ მწვანილს არჩევს. რა შეწევება ახლა ამ გაყინულ საბანში. ისე დაღამდება, ცოლს სიტყვას არ ეტყვი. რა უნდა უთხრა, რაზე უნდა ელაპარაკო. რა ახალჯვარდაწერილი ჩვენ ვართ. ორმოცი წელიწადია ვდეჭავთ ერთმანეთს. რა უნდა მითხრას

ახალი. ყველაფერი ვიცით, ყველაფერი ნათელია. ჩაიბარა ეს დღეც უფალმა. რა შეიცვალა მერე? რიბირაბოზე ისევ ადექი, შეშა დაჩეხე, წყალი მოზიდე, ძროხას ჩალა დაუყარე და მიუჯექი ბუხარს. თუთუნის ხრჩოლება და ხველება მომკლავს, სხვა არაფერი.

შუაღამისას ძაღლის წკმუტუნმა გამომაღვიძა. ბუხართან მიგვრჩენია წუხელის და გარეთ გაშვებას მთხოვს. გავსკდი გულზე. არ გინდა ახლა თავიდან დაძინება? წავყავი ფეხი კალოშებში და მივფშლატუნდი კარებთან. ძაღლი უკანმოუხედავად გავარდა გარეთ. კარს ურდულს ვუყრი და რაღაცამ დამაქნია. წავბარბაცდი. ე, ნამდვილად წნევამ ამიწია-მეთქი. ისევ დამანჯღრია რაღაცამ. თითქოს იატაკი ირყევა და ჰაერში ვრჩები. აჩაბაჩად მივედი საწოლთან. ჩემი პელაგია საწოლზე წამომჯდარა და მომჩერებია.

— გეიგე რამე?!

— რა გინდა ქალო? — ფეხებით საბანს ვისწორებ.

— არაფერი გაგიგია?

— რისას მეკითხები?

— ახლა, ამ წუთას, არაფერი შეგიმჩნევია?

— არაფერი, — არ მინდა წნევის ამბავი ვუთხრა. შეწუხდება, აქოთქოთდება და მაინც ვერაფერს მიშველის.

— ნამდვილად მიწისძვრა იყო. ლოგინი გააქან-გამოაქანა რაღაცამ.

— დაიძინე, ქალო, დაიძინე, სიზმარს ნახავდი, ან გლახათ გედებოდა თავი ბალიშზე.

ამის თქმა და ერთი იმნაირი ამოაარტყა მიწას ქვევიდან რაღაცამ, რომ ორივენი იატაკზე აღმოვჩნდით. სახლი ზანზარებს, ქანაობს, ირწევა. თითქოს შემოტრიალდა და თავქვე ეშვება, თითქოს წარღვნამ გაგვიტაცა და სახლიანად მიგვაქანებს. შიშს დიდი თვალები აქვს. ფეხზე ადგომა ვცადე, მაგრამ მუხლები მომეკვეთა. სარკე წკრიალით დაიფშვნა. თაროებიდან ჯამ-ჭურჭელი გადმოცვივდა. პელაგიამ სიბნელეში მომძებნა და განწირულივით მეხუტება, ვითომ მე რამეს ვუშველიდე. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. კედლები რომ დაწყნარდა, ბუხრის თავზე ხელის ფათურით მოვძებნე ჭრაქი, ახლა შემოვიდა ჩემს ყურებში საქონლის ბღავილი და სოფლიდან კანტიკუნტი სროლის ხმა.

ჩავიცვით თბილად და ეზოში გამოვცვივდით.

სოფელში აქა-იქ სინათლე გაჩნდა.

— ეეეიი!

— რომელი ხარ?!

— მინაგო ვარ, მინაგო, გესმით ჩემი?!

— კიეე!

— რავა ხართ ტიტე? ხომ მშვიდობაა თქვენსკენ?

— კიეე!

— ხვარ შეგეშინდათ?

— პელაგია შემიშინდა ცოტა, ასლოკინებს!

— რა ძალა ქონია ამ უპატრონოს!

— აბა, აბა, რაღმე არ გაგვაფრინა ჰაერში?!

— შედით, დეიძინეთ, ნუ გეშინიათ, მეტი არ იქნება!

— რა იცი, მინაგო, რა იცი! არ ამოგვრეჯგვოს სახლში ჭუკივით!

— შედით, არ გაცივდეთ! მეტი არ იქნება, ვიცი მე!

მინაგოს ოდაში სინათლე ჩაქრა. მე და პელაგიამ ერთხანს ვიარეთ ეზოში, მაგრამ ფეხის თითები წაგვყინა და სახლს მივაშურეთ. დაძინებით კი აბა რა დაგვაძინებდა. თან გადავყევით, ძაღლი შინ ვერ შემოვიტყუეთ.

მიწიძვრა მართლაც არ განმეორებულა, მაგრამ ამ ერთხელ ცოტა შიში ვჭამეთ? სამოცი წლის მოვიყარე და ამ ჩვენს კუთხეში მიწიძვრა მე არ მახსოვს. ეს რა ვაი უშველებელი ყოფილა, ჩემო ბატონო, არ აქანავებს ამხელა სახლს, ამხელა სოფელს თავისი საქონსაყოლიანად ნაფოტივით? კიდევ კარგი ზევით-ქვევით ირწეოდა მიწა, თორემ სიგანეზე რომ განძრეულიყო, რა კედლები გაუძლებდა.

ინათა თუ არა, ჯერ სახლს შემო-

ვურბინე, ბზარი ხომ არ გაუჩნდა კედლებს მეთქი. გადავრჩენილვართ. მერე საქონელს მივაშურე, აქაც მშვიდობაა. საქონლისთვის ქვეყნის დანგრევა ჩალას და ქატოს რომ შეუწყვეტენ, მაშინ იწყება. დგანან აქოთებულ ბოგაზე და ხელებში მომჩერებიან, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ვითომ იმ გადარეულმა ძალამ მიწის გულში მარტო ჩვენთვის, ადამიანებისთვის გაიარა.

თოვლგარეულად წვიმს. თოვლის დამძიმებული ფიფქი ზოლივით გაკრთება წვიმაში და დამბალ მიწაზე დაცემისთანავე ქრება. თოვლ-წვიმა გულს მირევს. რომ ძოთოვოს, უკეთესია. სხვანაირი იერი დაედება გარემოს.

— გესმის?

— ჰო!

ლაფაროში მინაგო მოჭყლაპუნობს.

— ხომ არაფერი? გამარჯობა!

— არაფერი. გაგიმარჯოს! შენთან?

— ძაან გადავრჩით. შაქროია ხარაბაძის სახლი დოუნგრევია.

— მერე?! — წავხდი კაცი.

— გამოუსწრიათ კარში. პირველად რომ დაარტყა, წამოუყრია ბავშვები შაქროიას და გარეთ გამოვარდნილა. მგონი, ცოლი დაშავებულა პატარაზე. ისე, მსუბუქად.

— უჰ, ასე თუა კაი, შე კაცო, რალაი გადარჩნენ...

— რაკი ერთხელ მოსინჯა, რომ არ გაიმეოროს არ იქნება. მაშინ, ვინ იცის, რას გვიზამს!

— აბა, რას ბლაოდი წუხელის, მეტი არ იქნებაო?

— რა მექნა აბა. რალა გარეთ გაყინულხარ და რალა მიწისძვრას დოუმარხიხარ ცოცხლად. გალვიძებს, განჯღრევს, ეს ოხერი, თორემ ძილში რომ გეიპარო, მაგას რა სჯობია.

— ნუ იცინი, შე სულელო, ყველაფერზე.

— რა ვქნა აბა?! — გადმოუყრია ლოჯები და ხითხითებს.

რეზინის ჩექმები ჩავიცვი. თავზე გაკეცილი ტომარა ჩამოვიცვი და ალაგეს გადავაბიჯე.

— ასე დავეშვათ, მოკლეზე.

— ტალახია, დავისვრებით...

— წამოი, წამოი, ახალ გზაზე უარესია. ხრეში თუ არ დავაყრევინეთ, მანქანა კი არა ურემი ვერ ივლის ამ აღმართზე.

შაქროია ფერდობზე ცხოვრობს, წყლის პირას, ხევში. ეზო კაიხელა აქვს, მაგრამ რად გინდა: სწორი ადგილი არაა. ამ ოღროჩოღროს რანაირად ამუშავებს, მიკვირს პირდაპირ. ძმასთან ჩხუბი მოუვიდა და შარშანწინ გადმოსახლდა აქეთ. ეს სახლი სიმამრმა აჩუქა. ღვთის წინაშე, გვარიანად დაძველებული სახლი კი იყო. ძლივს გამართეს. ძველი სახლის გადმოტანას და აწყობას რომ ხარჯი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა, იმ ფასად ახალსაც კი გააკეთებ. გეცოდინება მაინც რა არის და უფრო დაიმედებულად იცხოვრებ კაცი შიგ.

აქ მთავარ საქმეს უკვე მორჩენილან. რაც მიწისძვრამ დააკლო, მეზობლებს მოუთავებიათ. დაუშლიათ შაქროიას სახლი და ნაწილ-ნაწილად დაუწყვიათ ეზოში. ქალები ბარგი-ბარხანას სამზადი სახლისკენ ეზიდებიან. ყავრით დახურული ახალი სამზადი უდგას შაქროიას. პატარა ხანს არა უშავს, იცხოვრებს კაცი. ვითომ წავუკარით ხელი ჩვენც და კაკლის ხის ქვეშ სახერხი გავმართეთ. ათამდე კაცი ვტრიალებთ. დღეს რაღას მოვასწრებთ და ხვალიდან შევუდგებით საქმეს. ახლა მოიცალა შაქროიამ ჩვენთვის. კაკლის ხის ქვეშ შეჯგუფებულებს მოგვიახლოვდა და იცინის. ხომ არ გააფრინა, ნეტავი ამ უბედურმა, სახლი დაენგრა და იცინის.

— რა გაცინებს, ბიჭო შენ? — შევაგებე გულმოსულმა.

— ტიტე ბიძია, ამხელა სოფელში ახლა ერთი კაცი მაინც ხომ იქნება, ვისაც გაეხარდებოდა ჩემი ამბავი. არ უნდა ამას ლაპარაკი, იქნება. სოფელი იმისია, რომ უნდა იქნეს. ჰოდა, იმ კაცისთვის ვიცინი. იმის გულსახეთქად ვიცინი. აბა ვიტირო და ვითავცემო?! რას ვუშველი ამით? სატირლად მეექცა

საქმე ჩვენს დამაწყევარს. რა მჭირს სატირალი. ჩემს ცოლს კრამიტი დაეცა ზურგში და ცოტა შემიწუხდა, თვარა სხვა მხრივ სუფთად გადავრჩით. ისიც არ მოხდებოდა, რომ ჩემი გაეგონა. გადი ქალო, გაასწარი გარეთთქვა. ატატებული მყავს ორი ბავშვი გულზე. სანამ არ მიალაგა ყველაფერი, სანამ არ შეიკრა ბოტები და მგონია სარკეშიც ქე ჩეიხედა, არ გამოადგა ფეხი. ვდგავარ გარეთ და ვუყვირი. ბავშვები ვერ მივატოვე, თორემ გამოვაგდებდი გარეთ. მიწისძვრა შენ დაგიცდის? გამოყო თავი და დურთა კრამიტი გამჩენმა ზურგზე. მაშინ ქე იკადრა გამოქცევა.

ისე გემრიელად და ხალისიანად ჰყვება შაქროია, რომ მკვდარს გააცინებს. მივედით მეზობლები სახლდანგრეულ კაცთან სანუგეშებლად, გასამხნევებლად. ვის უნდა შენი დაიმედება. ხარაბაძისანები მშვენიერ გუნებაზე არიან. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

მეორე დღეს უთენია დავადექით თავზე შაქროიას. მე და მინაგომ ორი ათმეტრიანი ლარძაყინი ჩავუტანეთ. სამი წლის გამხმარი ლარძაყინი. ტყეში ვინახავდით მოჩუმათებულ, გადახურულ ადგილზე. ასე სხვებმაც. ყველამ რაღაცით წააშველა ხელი. მტერს შეაქცია ზურგი სოფელმა ასეთ გასაჭირში. ზოგმა ფიცარი მოიყოლია, ზოგმა საბოძე მორები. ვიქაქანეთ, ვილაპარაკეთ, ავწონეთ, დავწონეთ, რაც გამოსაცვლელია გამოვუცვლით, რაც დასამატებელია დავამატებთ და გავჭიმავთ სახლს.

გამიჩნდა საქმე. გავცოცხლდი კაცი. მარტო ის რად ღირს, ბუხართან რომ არ ვგდივარ და არ ვიპურჭყები. მესამე დღეა შაქროიას მუშები ვართ. ორი დღის საქმე გვრჩება. მარტოობა ალპობს კაცს. ამას რამე სჯობია? ერთად ვართ. საქმეს ვაკეთებთ, კაცს ვშველით. მოღამებულზე სუფრას გაგვიშლის ჩვენი დიასახლისი. საჭმელსაც სხვა გემო მიეცა. პატარა სამკოკიან ჭურს შაქროიას მარანში კაი ხანია ძირი მოვუძებნეთ. ყოველ ღამე შეჭიკჭიკებულები ვბრუნდებით შინ. ვერც კი ვგებულობთ როგორ ღამდება და როგორ თენდება. ახლა სალაპარაკო? რა გამოულევს ჩვენს ბიჭებს საგლახაოს და საქილიკოს. ამ დალოცვილმა მიწისძვრამ მაინც გამოულეველი განძი დაგვიტოვა ერთმანეთის გასაკილავი. ჩემდა ჭირად მოვყევი (ყველამ თავისი მოყვა), მე და პელაგია იატაკზე ვეხუტებოდით ერთმანეთს შიშისაგან-მეთქი. დაიხვიეს ეს ამბავი ხელზე. მინაგოს შენ გააჩუმებ? მორღვეული აქვს პირი ძველი კალოშივით. ტიტე ბიძია, სული ნუ წაგიწყდება, რა მომენტში მოგისწრო მიწისძვრამო. შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, იატაკზე რაღა ერთად გადმოვცვივდით ორივენიო. ქვევით შენ იყავი თუ პელაგია იყოვო. ამნაირი წაბილწული ენა აქვს. მაშინვე უკუღმართობას გაიფიქრებს. ეშმაკის აწყობილი აქვს თავი. გადაშენდი იქით-მეთქი, ერთი ორჯერ დავუკრაჭუნე კბილები, მაგრამ რაც უფრო მოვიყვანე გული, დაიფხრიწნენ სიცილით ბიჭები და მეც გავყუჩდი ბოლოს. რა ვქნა ახლა, იცინონ და იყვნენ. მოწყინდებათ და გაჩუმდებიან.

... ეს ორი კვირაა შაქროიას სახლს მოვრჩით და ისევ მომძებნა მარტოობამ. ისევ გაუთავებელი ღამე. ისევ შეშა და ჩალა, ძილად მიგდებული ძაღლი და ბუხარი. ისევ ჩემი, გამოულეველი საქმისგან დამუნჯებული დედაბერი.

მოთოვა, როგორც იქნა. დააღგა საშველი. ერთი-ორჯერ მაგრად გაყინა. საძირკველი გაუმაგრა თოვლს და მერე დაიწყო. მთელი დღე ბაღლივით ფანჯარასთან ვდგავარ, არ გადაიღოს-მეთქი. ითოვა მთელი დღე. დილით თოვლის სიმაღლემ ცოტა შემაფიქრიანა. კიბე დაუფარავს და ზედ აივანზე ამოსულა თოვლი. წვრილად თოვს, ღეღღილივით, მაგრამ ხვავრიელად. ჭას ერთ მტკაველზე მოუჩანს ხუფი. ესე იგი მეტრნახევარი მაინც იქნება თოვლი. ჯერ, პირველ რიგში, ჩეჩმამდე უნდა გავკვალო. ტყაპუჭი მოვისხი და თოვლის საწმენდი მოვძებნე.

— ჯერ კაი მეზობლის ჭიშკრამდე

უნდა გაკვალო, ტიტე ბიძია — ალაგეს მოდგომია მინაგო, — ხომ არ გეშლება შენ მაგი? გამარჯობა!

— სწორი ხარ, მარა პირველი საქმე ჩეჩმაა მაინც, — ვიცინი მე, — გაგიმარჯოს!

— კარგად დაუდვია.

— კი კარგად. მძიმე თოვლია. ჯერ კიდევ დაამატებს.

— მძიმეა აბა, დამაწყვიტა მკლავები. იპოლიტეს ბიჭმა გაიარა ახლა ოჩოფეხებით და შალიკონა ხაბურზანიას ჭერი ჩაუქცევია თოვლსო, მითხრა. არ ვიცი, ტყუილია, მართალია.

— როდისო?

— წუხელის.

— მოიხურე აბა რამე და ჩავაკითხოთ. ვნახოთ რაშია საქმე.

ერიჰაა! ეს რა გემართება, ტიტე! ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ გულის სიღრმეში თითქოს გამეხარდა შალიკო ხაბურზანიას სახლის სახურავის დანგრევა. რა არის ეს? სიბერე? უსაქმობის ტკივილი? ჩავალთ, ახლა ერთ სამ დღეს შალიკოსთან წავიმუშავებთ, ერთად ვიქნებით, გულს გადავაყოლებთ, გევიცინ-გამევიცინებთ-მეთქი, გამკრა გუნებაში. საქმეა ახლა ეეს? როდიდან ავცეტდი ასე? რა ეშმაკი შემიჯდა ამ ბოლო დროს? ავად ხომ არ ვხდები ნეტავი? სევდა და დარდი არც ვიცოდი რა იყო. რისი მოწყენა, მოსაწყენად ვის ეცალა. ქვიშის მინდორზე გავიჩენდი საქმეს. წლებს მოაქვს ვითომ ეს ყველაფერი, თუ რაღაც სხვა ამბავია ჩემს თავს?

— ჰე, რას შვრები, გელოდები, გავიყინე!

— მე ვერ წამოვალ, შენ წადი, — დაფიქრებით მითხრა მინაგომ და ცას ახედა.

— აა? ჰოო, სულ დამავიწყდა. კარგი, წავედი აბა მე, — ვუთხარი და ოჩოფეხების კვალში ჩავდექი. სულ დამავიწყდა, რომ მინაგო და შალვა უბრად არიან. შარშან შალიკომ მინაგოს მაკეღორს თავის ეზოში ფიწალი ესროლა და მკვდარი გოჭები დააყრევინა. საცოდაობა იყო. მე და მინაგო შევესწარით. მორჩა დედა ღორი ამ საშინელ მშობიარობას და თვითონაც დალია სული. ამის მერე მინაგო აღარ ესალმება შალიკოს. არც უჩხუბიათ, სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის. მინაგომ სალამი შეუწყვიტა და ეს ცოტაა?

მართალი უთქვამს იპოლიტეს ბიჭს. შალიკოს ოდის სახურავი მთლიანად ჩაწოლილა. ეტყობა, კოჭები იყო მომპალი და ველარ გაუძლო სიმძიმეს. შალიკო სახურავზე გასულა და კრამიტს თოვლში ყრის. ასე როგორ შეიძლება, კრამიტი ერთმანეთს დაასცვივა და დატყდება. ერთი სამი კაცი უნდა დააყენოს კიბეზე და ჩამოწოდებით უნდა ჩამოზიდოს კრამიტი. უცნაური კაცი კია შალიკო, რაც მართალია, მართალია.

ჯერ გამიკვირდა მისი ოჯახის წევრების გარდა, კაციშვილი რომ არ ჭაჭანებდა ეზოში, მაგრამ ალბათ ჯერ არ გაუგიათ-მეთქი და დაუკითხავად მივაწექი ჭიშკარს. ვერ გავაღე. თოვლი ერთ მხარეს მივახვეტე და მთელი ძალით მივაწექი კარებს. ნახევარზე გავაღე, მაგრამ რას უშველის, მასალა ხომ უნდა მოიტანოს!

არა ბატონო, ცხრა ფილოსოფოსი ვერ დამიმტკიცებს, რომ შალიკო მართალია. ამას ველოდი? კაცია და გუნება, მარა გუნება სიგიჟეს კი არ ნიშნავს. მოვედი კაცი, ნუ გეშინია-მეთქი, ჩემო შალვა, ახლავე სოფელს დავუძახებ, შენ ცოტა ხის მასალა მოაქუჩე, ჩაქუჩ-ლურსმანი მოგვიმზადე და მე ბიჭებს დავუვლი-მეთქი. შენ რა გიჭირს, კედლები მაინც შეგრჩა და შაქროია ხარაბაძის სახლი მიწაზე იყო გასწორებული-მეთქი. რა უნდა მითხრას? უნდა ეთქვა: დიდი მადლობა, ჩემო ტიტე, აგაშენა ღმერთმა, აბა დაუძახე მეზობლებს და მიშველეთ დახურვა, აგრემც ღმერთი გიშველითო. რა მითხრა იცით? — ნუ შეწუხდები ტიტე, სანადო და სამამითადო არაფერი მაქვს მეო. აქ რომ ათი კაცი დაიწყებს ბრაგუნს, უარესად ჩამიქცევენ ჭერსო. ნადის გა-

კეთებული მე ჯერ არაფერი მინახავსო. რასაც იღლაბუცებენ და გააფუჭებენ, იმისას არაფერს გაგიკეთებენო. ხალხს სეირის ნახვა და გართობა უნდა და მე ამ ზამთარში კომედიას ვერ მოვაწყობ ამ ჩემს სახურავზეო. ესეც არ იყოს, ქუდი მექუდემ უნდა შეკეროსო. ნაღზე მოსული კაცი, ჩაის ჭიქისკენ რომ თვალი უჭირავს, შენს გემოზე გაგიკეთებს, შენს გემოზე გაზომავს და მიგიჭედებს ლურსმანსო? წავალ, მოვიყვან მოხელეს, მივცემ რაცხა ორ კაპიკს და გავაკეთებინებ, ქე მაინც, სამუდამოდო. არც დასამადლებელი მექნება რამე და არც წამოსაყვედრებელიო. ნადი ამხელას რომ გაგიკეთებს, ორ იმდენს ხვალ შენგან მოითხოვსო. ამიტომ ნუ შეიწუხებ თავს, წადი, შენს საქმეს მიხედეო. ა, ასე მითხრა. რას ეტყვი? რაც არ უნდა, ღმერთმა ნუ მისცეს. მაგრამ მე შენ გეკითხები: კაცია ახლა ეეს? მგელი არ სჯობია ახლა ასეთ კაცს? რამდენჯერ მინახავს: ერთად შეიყრებიან ზამთარში და ყმუიან მშიერი მგლები. მშივრები არიანო, კაცო, კუჭი უხმებათ. ერთმანეთს ულრენენ. ერთმანეთის დანახვა არ უნდათ, მაგრამ ერთად არიან. ერთად ყმუიან. გესმის შენ? სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირიო... ნადი მარტო გაჭირვებულის დახმარება კი არ არის, ერთად ყოფნაა, კაცო, გესმის შენ ერთად ყოფნის მთელი სილამაზე?

ეზოში ჩამოსვლისთანავე სასიმინდეს დავადგი თვალი და ერთმა აზრმა გამიელვა. ღმერთო შეგცოდე, და მართლა ძველია ჩემი სასიმინდე. თოვლმა თუ მოიმატა, ვინ იცის, იქნებ ვერც გაუძლოს და ჩამოიქცეს.

გავწყდი წელში. ორ საათში დავცალე სასიმინდე. გოდრით გადავზიდე სიმინდი სამზადში და ჭერზე გავშალე.

პელაგია მიყურებს, მაგრამ ხმას არ იღებს. რაკი ასე ვაკეთებ, იცის პელეგიამ, ესე იგი, ასეა საჭირო. მერე სასიმინდეს ზედ სახურავის ქვეშ მთავარ სარტყელზე კანაფის ახალთახალი თოკი მივაბი. ქურდივით მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, ლაფაროს ამოვეფარე და დავქაჩე. გამიძალიანდა. თვალი დავხუჭე და უფრო მაგრად დავქაჩე.

სასიმინდე ყრუ ხმაურით დაეშვა ძირს.

თოკი ელვისსისწრაფით შევხსენი, დავახვიე და თავის ადგილას დავკიდე. თოვლი გავიბერტყე, ვითომც აქ არაფერიო, ბუხარს მივუჩოჩდი და საჩეჩელზე დახრილ პელაგიას ვეუბნები.

— ცომი მოზილე და საფუარი დააყენე, ჭრელი დედალი და მეორე ფეხწითელა მოჩოთა, კვერცხს რომ არ დებს, არ გამოუშვა ხვალ საქათმიდან. ნადი მეყოლება. ბიჭებს უნდა დოვუძახო. სასიმინდე წოუქცევია თოვლს.

პელაგია ხმას არ იღებს. ესე იგი, ყველაფერი კარგადაა. მიხვდა ნეტავ რამეს პელაგია?

* * *

გულამღვრეული მოვარღვევ თოვლს. რა ჯანდაბამ ამტეხა.

ყველამ თავისი საქმე იკითხოს. სანამ თვითონ არ მოვა კაცი, მიშველეო, ვინ გკითხავს შენ სხვის ეზოში ცხვირის ჩაყოფას.

არა, ჩემო იმანო, ასეც არაა. მტერმა უყურა თავისი ფანჯრიდან მეზობლის ჩანგრეულ ჭერს, მტერმა ირწმუნა —

## ს ი კ ე თ ე

— პელო დეიდა, მელიტონ ბიძია სახლშია?

— რომელი ხარ?

— ომარი ვარ, სერგო თადუმაძის.

პელომ ვერც სერგო გაიხსენა და, მითუმეტეს, ვერც ომარი, მაგრამ მაინც მოიხურა პალტო, ეზოში ჩამოფლატუნდა და ჭიშკარი გააღო. მის წინ დაბალი, გამხდარი ბიჭი იდგა.

— ხომ მშვიდობაა, შვილო, ამ შუაღამისას?

— მელიტონ ბიძია, არაა სახლში?

— სევდა გაერია ხმაში სტუმარს.

— სახლშია, აბა სად წავა.

— ძინავს?

— ძინავს ალბათ. ახლა ქე იქნება პირველი საათი. პამიდორს ვხარშავდი და შემიყოლია, თვარა მეც ამ დროს ერთი პირი ძილი მოთავებული მაქვს.

— ხომ ჯანმრთელადაა?

— ისე კი... საერთოდ... და ისე რაღა დროის ჩვენი ჯანმრთელობაა აწი, შვილო. მივაჩოჩიალებთ ჩვენს დღეებს და ვართ.

— გასაჭირი მაქვს პელო დეიდა.

— რა იყო?! — თითქოს გაიკვირვა პელომ, მაგრამ უკვე იცოდა, რა საქმეზე იყო მოსული ღამეული სტუმარი. ამგვარ „გასაჭირზე" მელიტონ კუხიანიძეს ხშირად აკითხავდნენ და მეარღნის ცოლს უკვე არაერთი კაცი გაუსტუმრებია ზრდილობიანი უარით.

ქალაქის პირველი მეარღნე მელიტონი უკვე ოთხმოცს მიტანებული იყო. მისი არღანი კარგა ხანია აღარ ართობდა მოქეიფეებს. ხუთი წელი მაინც იქნებოდა, რაც მელიტონს არღნის სახელური არ გადაეტრიალებინა. არღანი ოდესაში სპეცშეკვეთით იყო გაკეთებული ჩვენი საუკუნის ათიან წლებში. ახლა პელოს მიერ მოქარგული აბრეშუმის რიდეგადაფარებული სასტუმრო ოთახში, ტახტზე, ყველაზე გამოსაჩენ, ყველაზე საპატიო ადგილას იდო, როგორც ოჯახის ძვირფასი რელიქვია.

დაბერდა მელიტონი, მის მუხლებს აღარ შეეძლო არღნის თრევა, ხოლო ნეკრესის ქარისაგან დამზრალი მკლავები ძველებურად ვეღარ ატრიალებდნენ სახელურს. მოხუცი მეარღნე ძალიან წუხდა, რომ უარს ეუბნებოდა დამპატიჟებლებს (იგი მათ მუშტრებს არასოდეს უწოდებდა), მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. „წამოვიდოდი, ბიძია, მარა ჩაგაკვდებით ხელში და თქვენც ჩაგამწარებთ პურისჭამას. გინდათ კაცის სიკვდილი? თუ გინდათ, კი ბატონო! ღმერთი, რჯული აღარ შემიძლია. ძალა არ მყოფნის, თვარა სად წავალ უკეთეს ადგილას სუფრაზე და ქეიფზე მეძახით, სატირალში ხომ არ მიგყავართ" — ეტყოდა მელიტონი გაჭირვეულებულ მთხოვნელს და ჭიშკრამდე ბოდიშ-ბოდიშ მიაცილებდა.

— ცოლს ვთხოულობ, პელო დეიდა. — თავი დახარა მოსულმა.

— როდის? — იკითხა პელომ, მაგრამ ძალიან დაკვირვებული მოსაუბრე თუ მიხვდებოდა, რომ მელიტონის მეუღლეს ამ პატარა სტუმრის ქორწილის თარიღი სრულებითაც არ აინტერესებდა.

— ამაღამ მაქვს ქორწილი.

— გაბედნიეროს, შვილო, ღმერთმა! — დალოცა სტუმარი პელომ და ძალიან უნდოდა გაეხსენებინა, ვინ იყო, ან სად ცხოვრობდა, სერგო თადუმაძე.

სტუმარი თითქოს მიუხვდაო მოხუც დედაკაცს, თავისი ვინაობა თვითონვე გაუმხილა:

— მამაჩემი სერგო თადუმაძე, ფინინსპექტორად რომ მუშაობდა, ქე იცით, თქვენ, პელო დეიდა. იმის ბიჭი ვარ მე — ომარი. ერთი კვირაა ჯარიდან ჩამოვედი და ცოლს ვთხოულობ ამაღამ.

— რავა არ ვიცი, შვილო, მთლად ასე გადაყრუებული კი არ ვარ. — გაიხარდა პელოს, რომ მოსულის ვინაობა გაირკვა. მამაშენი ჩვენთანაც რამდენჯერაა ნამყოფი. ხომ მუშაობს იქანა?

ომარს, ეტყობა, ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც ხალისით აკმაყოფილებდა ქალბატონ პელოს ცნობისმოყვარეობას.

— არა. მამაჩემი კაი ხანია პენსიაზეა. არღანი ხომ არ გაგიყიდიათ?

—აბა, ქორწილი გაქვს ამაღამ? — სიტყვა ბანზე აუგდო პელომ. — ხომ თხოულობ კარგს, შენი ოჯახის შესაფერს. კაი იქნება, რად უნდა ამას ლაპარაკი.

— გვანცელაძის გოგოა, ვარდენის. წყალსადენში რომ მუშაობს. ერთ კლასში ვიყავით ჩვენ.

— კარგია, შვილო, კარგია. დროზე ყველაფერი კარგია... უნდა ეწიოთ საქმეს... აბა რაი... — ნაწყვეტ-ნაწყვე-

ტად, დაფიქრებით ამბობდა ქალბატონი პელო, და ახლა ვარდენ გვანცელაძის გასახსენებლად ამაოდ ძაბავდა გონებას.

— პელო დეიდა, შენ შემოგევლე, უნდა გამიღვიძო მელიტონ ბიძია.

— რისთვის, პელო დეიდა გენაცვალოს? — უკანასკნელად სცადა საუბრის გადადება პელომ, მაგრამ იგრძნო, რომ მისი შეკითხვა უადგილო იყო. ამ მომენტისათვის აუცილებელი საუბარი გარდაუვალი გახლდათ.

— უნდა წამყვეს, უნდა დამაფასოს და მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

— ვინ უნდა წაგყვეს, შვილო?

— მელიტონ ბიძია. ვიცი, მითხრეს არსად არ დადისო, ტაქსს დავიჭერ და ჩემი ხელით ავუტან არღანს. არ შევაწუხებ. ერთი-ორი პესნა დაატრიალოს. მეტი არ მინდა. მესახელება, ხომ იცი, პელო დეიდა, იტყვიან ქორწილზე მელიტონ კუხიანიძე უკრავდაო. მეტს მე არ შეგაწუხებთ, არ გეიშვა თქვენი შემწუხებელი.

— შენ არ მომიკვდე, დედა, მეტად... არღანი კი არა, ფეხზე ძლივს დადის. სად შეუძლია ღამის თევა. ახლა რომ მაგი ქორწილზე წამოვიდეს, მღვდელი ზიარებას ვერ მოასწრებს.

— რა ვქნა აბა? — შეწუხდა სტუმარი.

— უარს რავა გეტყოდით, შვილო, რომ შეეძლოს. მეზობელს კი არა (თუმცა პელომ იქვე გაიფიქრა, კაცმა რომ თქვას, რა მეზობელია ორ კილომეტრზე ცხოვრობს აქედანო), ათას გადამთიელს წაყოლია და ხუთდღიან ქორწილში აუდგომლად მჯდარა, მაგრამ ის სხვა დრო იყო. მაშინ სხვა შეძლება ქონდა.

— ისე წამევიდეს ტყვილად. არღანი წამოიღოს, ნუ დაუკრავს, პელო დეიდა. — ბოლო ხერხს ჩაებღაუჭა ომარი.

— ვერ წამოვა, შვილო. არაფრით არ გამოვა ეგ საქმე. ვიცი მე. ღამე ერთია და სამჯერ მაინც ვალევინებ ვალერიანის წვეთებს. სულისხუთვა აქვს. რა ვქნა, ასეა. ბოდიში მოგვხადე მამაშენთან.

— საბოდიშო რა არის, — თავისთვის ჩაილაპარაკა დაღონებულმა სტუმარმა.

— არ გჯერა ახლა შენ. ვიცი. სხვასაც არ სჯერა. ყველა ასე ამბობს — ტყვილად წამოვიდესო. ახლა კი არა, ხუთი-ექვსი წელი იქნება სახლიდან არ გასულა. ბოლო დროს, ლონგინოზ მეძველიას ძღაბი რომ მოაბრუნეს, მაშინ იყო და რომ მოვიდა, ორი კვირა ფეხზე არ ამდგარა. ლონგინოზის გოგოს ბავშვი სადაცაა სკოლაში წავა.

— რას ვიზამ, პელო დეიდა. არ მქონია იღბალი და ესაა!

— გავაღვიძებ, შვილო, თუ მაინცდამაინც გინდა, მარა იცოდე, ამას გეტყვის ისიც.

— არა, იყოს, პელო დეიდა. ჩემს ქორწილს ხომ არ გადავაყოლებ კაცს. რაც არის არის, კარგად იყავით, — გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა მოსულმა. ცოტა ხანს შეყოვნდა, თითქოს რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მერე მიტრიალდა და სიბნელეში ნელა, მოწყენილად გაბიჯა.

— არ გეწყინოს, დეიდა. ბოდიში მოგვხადე მამაშენთან. რა ვქნათ, სიბერემ ასე იცის! — დააწია პელომ, მაგრამ ქუჩაში მიმავალს მისი სიტყვები არ გაუგონია.

პელო ერთხანს იდგა ღია ჭიშკარში. მერე ხეივანში დაკიდებული ნათურა ჩააქრო და კიბეს აუყვა.

გვიანი ზაფხულის გრილი ღამე იყო. ამ დროს ზეწრის ამარა დარჩენილთ შუაღამისას სიცივე აღვიძებთ და საბნებს ეძებენ.

ხანდახან მანქანის სინათლე ეცემოდა შუშაბანდს. წამში გაირბენდა შუქი ოთახებს. ელვის სისწრაფით აეკვრებოდნენ კედელს დიდი, ძველებური ჯაჭვებიანი გერმანული საათის, საკერავი მანქანის და ქოთნის ყვავილების აცეკვებული ჩრდილები. მერე, ცოტა ხანს ყველაფერი წყნარდებოდა. ქუჩის სიმყუდროვეს ხანდახან ძაღლების ყე-

ფა დაარღვევდა. ყეფას მალე მოჰყვებოდა დაგვიანებული მგზავრის ფეხების ბაკა-ბუკი. საოცარია, დღე, თუ საგანგებოდ არ მიაყურადე, არც კი ისმის ქუჩაში ნაბიჯების ხმა. ღამე როგორ გამოკვეთს ხოლმე თუნდაც ფეხისწვერებზე სიარულს. ძაღლები მიაცილებდნენ დაგვიანებულ მგზავრს. თავის ჭიშკართან ჩავლილს ყველა მორიგეობით უყეფდა.

აივანზე თეთრნიფხავპერანგისამარა მელიტონი გამოვიდა. ხელის ფათურით მოძებნა ღილაკი და ეზო გაანათა. „ორმოცი წელიწადია ამაზე მაქვს ლაპარაკი. ორმოცი წელიწადია არ შევიდა ამის თავში, ენთოს, ბატონო, ღამე ეს სინათლე. როგორ შეიძლება სახლის ჩაბნელება. ჩაბნელებული სახლი უპატრონოს ჰგავს. ერთი ნათურა მაინც უნდა ბჟუტავდეს. წამსვლელია, მომსვლელია. თუ გინდა ქუჩაში გაუნათოს გამვლელს. საქმეა ესეც. არა, მაინცდამაინც უნდა ჩააქროს. ტყვილად იწვება დენიო. რას დაწერს ახლა ერთი ნათურისას მთელი ღამე ეს მრიცხველი. არა აქვს, და მოკალი თუ გინდა, ამის მიხვედრა არა აქვს. ამის აზრი არა აქვს“ — ბუტბუტებდა მელიტონი და კიბეზე ატორღიალებულ ძაღლს ფეხით იშორებდა.

— შენ ხარ? — ფანჯარაზე გადმოდგა პელო.

— მე ვარ, ბატონო, მე ვარ.

— ვის ელაპარაკებოდი?

— ჩემს თავს. ძაღლს აჭამე დღეს რამე?

— რავა არ ვაჭამე. მარა ხელუხლებლად უდგას რძეში ჩამბალი პური, არ ეკარება. ხორცი უნდა, მაინცადამაინც რბილად მოხარშული ხორცი და სად გამოვუწერო ამ შუაღამისას!

მელიტონმა კალოშები კუთხეში მიყარა. ფაჩუჩები ჩაიცვა, კარი გადაკეტა და აძიგძიგებული შემოვიდა პელოს ოთახში.

— ეს მაცივებს მე, ეს ფეხსალაგი მაცივებს, მეტი არაფერი.

— რატომ იკლავ მერე თავს. ვინ გეიგონა, შენი ხნის კაცი შუაღამეზე ეზოში ჩადიოდეს, რამდენჯერ დაგიდგი „სუდნო“ ლოგინთან.

— „სუდნოს“ კაცი ვარ, პელო, მე? — სიცილი აუტყდა მელიტონს. — ახლა ქე შემიძლია ჩასვლა რავარცხაა ჯერჯერობით. ფულს თუ რამეს მოვუყარე თავი, ფეხსალაგი და აბაზანა უკან უნდა მოვაშენებინო. ასეა ახალ სახლებში ყველგან. რომ გადავხედავ, ჩემი ხნის კაცი არავინ აღარ დადის აბანოში.

— მაგას იძახი, რაც თავი მახსოვს, — ჩაილაპარაკა პელომ და ბალიში გაისწორა, — რანაირად გამაგრდა ეს ოხერი, ეს ბალიშიც ქვასავითაა.

მელიტონი საწოლზე ჩამოუჯდა მეუღლეს და ზურგშექცევით წამლის შუშა გაუწოდა.

— წამისევი ერთი ეს, თუ ქალი ხარ.

— გშველის რამეს?

— აპა, — თავი გააქნია მელიტონმა.

— რას იზელავ ტყვილად მაშინ, თუ არ გშველის, მიდი ბერიძესთან და რამე კარგ წამალს გამოგიწერს.

— ბევრი იცის ბერიძემ. ოცი წელიწადია ეს მხარი მტკივა და ვერ გაიგეს, რა სიკვდილი მიზის ამნაირი შიგ. რევმატიზმიაო — არ აღმოჩნდა, ბატონო, რევმატიზმი. მარილების დაგროვებააო, არც მარილები აღმოჩნდა. მარჩიელობენ და არიან. ყველა ექიმი თავისას ამბობს. მხარი ქე მტკივა და რა ვიცი მე!

პელომ ყვითელი წამალი პეშვზე დაისხურა და ქმარს მტკივან მხარზე ნაზად, მზრუნველად აუსვ-ჩამოუსვა: „ჰო, ჰო, მასე... მასე... ზევით ცოტა აყევი ბეჭს. აქით, აქით, ჩამოყევი ხელს“ — ძლივს გასაგონად, ბებრული კრუსუნით ამბობდა ქალაქში განთქმული მეარღნე, „ქეიფისა და დროსტარებისათვის გაჩენილი კაცი“, ერთ დროს ლხინში და ქეიფში დაუღლელი მელიტონ კუხიანიძე.

— ვინ იყო ამაღამ, თუ იცი, ჩვენსას? — ჰკითხა ცოლმა.

— ?!

— სერგოია თადუმაძის ბიჭი.

— ფინგანის?

— ჰო!

— რა უნდოდა?

— ქორწილი მაქვს ამაღამ და წამჟვესო. ავადაა, ვერ დგება თქვა და არ გაგალვიძე, ხომ კარგი მიქნია?

მელიტონი წამოდგა. პერანგის ღილებს იკრავდა და ცოლს გაოცებული უყურებდა.

— შენ ხომ იცი, რომელია ეს სერგოია?

— რავა არ ვიცი. აქანა არ ეგდო შაქროიას ქელეხზე? — უთხრა ცოლმა.

— ჰო, ის არის.

— მაგან არ იყო, მილიცია რომ გამოგვიგზავნა ერთხელ სახლში?

— ერთხელ? ერთხელ კი არა, შენ არ იცი, პელო, სისხლი გამიშრო მაგან მე. ჯერ იყო და ამაწრიალა, არღანი უნდა დაგიბეგროო. გავაფორმე, არღანი და უშველებელი გადასახადი შემაწერა. ამდენს ვერ გავუძლებ-მეთქი, რომ ვუთხარი, აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე საჩივარი დამიწერა — ეს წურბელა მეარღნე სხვისი ნაოფლარით მდიდრდება. სახელმწიფოს ფულს აკლებს და ჩვენი ქალაქიდან გავასახლოთო.

— ისე გამდიდრდა მაგის გვარი და ჯილაგი.

— ახლა აღარ მინახავს კაი ხანია. აღარაა, აწი, ფინგანში?

— გამოუგდიათ. მისმა ბიჭმა თქვა, პენსიაზე გევიდაო.

— არაა კაი კაცი, რაც მართალია, მართალია!

ბებრები ცოტა ხანს ფიქრმა წაიღო. მერე მელიტონმა დაარღვია სიჩუმე.

— ბიჭი რომელი ყავს მაგას? ააა — ახლა გამახსენდა, პირველი ცოლიდან ყავს კი.

— მავრა მეორე ცოლია მაგისი?

— ჰო, არ გახსოვს წყალტუბოელ მალიკაძეს წაართვა ქალიო, ხმა რომ გამოვიდა?

— მახსოვს.

— მარა საცოლე ჯერ არ უნდა ყოფილიყო სერგოს ბიჭი. პატარა მახსოვს.

— ახლა ჩამევედი ჯარიდანო. ამაღამ მაქვს ქორწილი და დამაფასოს მელიტონ ბიძიამო.

— თვითონ ის ბიჭი იყო?

— ხომ გითხარი.

— რა მქვიაო?

— ომარი.

მელიტონი საწოლიდან სწრაფად წამოდგა, ძველებურ კედლის სარკესთან მივიდა, მიტრიალდა. ერთი ორჯერ კიდევ მივიდა და მოტრიალდა. მერე პელოს საწოლთან გაჩერდა და თქვა:

— უნდა წავიდე!

— გაგიჟდი, კაცო, შენ?! — შეიცხადა პელომ, რადგანაც კარგად იცოდა თავისი ქმრის ჯიუტი ხასიათი. თუ იტყოდა მელიტონი, მორჩა, მამაზეციერიც ვერ გადაათქმევინებდა.

— უნდა წავიდე. — გაიმეორა მელიტონმა.

— სად, კაცო, შეხედე საათს. სამი დაიწყო. გამოჩერჩეტდი მთლად?

— ნუ დაიწყებ ყრანტალს ახლა. ახალუხი მომიძებნე და არღნის ქამარი. ზანდუკშია ლოგინქვეშ. არ უნდა ახლა ამას ლაპარაკი. უნდა წავიდე.

— სად, კაცო? რაც შენ სერგოიამ გაგამწარა, მაინცდამაინც იმის ოჯახში გინდა მოკვდე ამაღამ? ამ წუთში არ ამბობდი, სერგოიამ გამიშრო სისხლიო? — სხაპასხუპით მიაყარა პელომ და ინსტინქტურად ლოგინიდან სკივრი გამოაჩოჩა.

მელიტონი ამასობაში გალიფეს შარვალზე თბილ წინდებს საოცარი სიმარდით იცვამდა. ასე აღელვებული და გატაცებული იგი პელოს კარგახანია არ ენახა.

— რა შუაშია, ქალო, სერგოია ფინგანი. ვინ ოხერია სერგოია თადუმაძე. ჩემთან სიძე მევიდა. სიძე მევიდა თავისი ფეხით. ქორწილი მაქვს ამაღამ, მიჭირს, მელიტონ ბიძია, და მომეხმა-

რეო. იცი, შენ რას ნიშნავს ეს ლაპარაკი? გესმის შენ რამხელა რამეა, სიძე რომ ქორწილის ღამეს თავის ფეხით მოგაკითხავს? თუ მოვკვდები, ჯანი გავარდეს. ნუ გეშინია, წავალ, წევიღებ არღანსაც. მთლად ასეც არაა საქმე!

— ზიდავ? ორფუთიან არღანს შეიკიდებ ამაღამ ზურგზე? არ გაგიშვებ, შენ არ მომიკვდე, ჩავალ ახლა და ჰიშკარს გასაღებით ჩაგიკეტავ.

— კაი პელო, თუ გიყვარდე, მაგ ლაპარაკს ჯობია ამ ახალუხის ღილები ამომიგდო. გავსუქებულვარ, თუ რაშია საქმე, ვერ გავიგე. შენ ჭკვიანი ქალი ხარ და ქე უნდა გესმოდეს. რა შუაშია, ქალო, ჩემი წყენა და რა მოსატანია აქ ფინაგენტი სერგოია. კაცი მოვიდა. სიძემ მომაკითხა. მთელი ცხოვრება დაამახსოვრდება. ქორწილია, უბრალო ქეიფი და პურისჭამა რომ იყოს, სხვა საქმეა, ფეხსაც არ გავანძრევდი. სხვა რომ გამოეგზავნა და ჭირი მოეჭამა, მაინც არ გავყვებოდი. მარა სიძე მევიდა, თვითონ სიძე ბატონი მობრძანდა ამაღამ ჩემსას და ხვეწნა დამიწყო. რა ოხრად მინდა ეს ბებერი ძვლები, სიძეს თუ წყენა გავაყოლე მისი ქორწილის ღამეს.

მელიტონმა არღანი გამოათრია და იატაკზე ბრახუნით დადგა.

— გადაუსვი ერთი ჩვარი, თუ ქალი ხარ. ქვეყნის მტვერი ადევს ახლა ამას.

მალე ყველაფერი მზად იყო.

მელიტონ კუხიანიძეს ქამარზე ჩამოეკიდა არღანი და კიბეზე ფრთხილად ჩადიოდა. გვერდით გაოგნებული პელო მიჰყვებოდა გაუთავებელი წუწუნითა და ვაი-ვიშით.

— გადასახვევთან ცხოვრობენ მაგენი საცხა.

— აღარ გახსოვს? ბაზრის იქეთ, სანამ საგიჟეს ქუჩამდე მიხვიდოდე, ხელმარცხნივ.

— ვიცი... ვიცი... კაი შორს ყოფილა... შედი ახლა შენ სახლში. კარები ჩაკეტე და დაწექი... კარგად ვარ... შენს თავს ვფიცავარ... აღარ მტკივა წელი. ამ არღნით, თუ გინდა, ამაღამ ცხრა მთას გადავივლი. ჰე... წავედი ახლა... შედი სახლშითქვა... არ გესმის შენ?

როცა ჭიშკრის ურდულის ხმა გაიგონა და ცოლის თვალს მიეფარა, მელიტონმა არღანი მოიხსნა და იქვე, პლატონ გულუას სახლის წინ გრძელ სავარძელზე დადო. ცოტა სული მოითქვა და ისევ განაგრძო გზა.

„მართლა რა მძიმეა, ეს უპატრონო. ახლა რაჟდენ ჯინჯოლიას ჭიშკრამდე მივიტან და იქ შევისვენებ. კაი სკამეიკა აქვს იმასაც. ასე ნელ-ნელა მივიტან, რაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მივიდე. ბაზრამდე ორი მოსახვევი დარჩა. მერე ვექილ ლორთქიფანიძის სახლს გაცდები და იქვე ცხოვრობენ მაგენიც. მოგერევი. მთლად რომ დამაწყვიტო მკლავები, ტყვიადაც რომ იქცე, მაინც მოგერევი. უნდა გამიშვა. არაა მეტი გზა. მორჩა და გათავდა. უნდა მივიდე. გულის ფართხალის მეშინია, თვარა წელის ტკივილს გავუძლებ. გულმა თუ არ მიღალატა. ეს ცივი ოფლი რა დამჩემდა ამ ბოლო დროს. გევინძრევი პატარას და შუბლზე ცივ ოფლს მასხამს. ტანში მცივა. ვერ მიველი ერთი იმ ბერიძესთანაც. ქვეყანა აქებს. რა ვიცი, ჩემს სატკივარს ვერ გებულობენ მაინცდამაინც: ყველა ექიმის ავადმყოფი მე ვარ და ბოლოს არცერთი აღარ მშველის. არა, ბატონო, არ გიძალიანდები. ა... გავჩერდები აგერაც. არ მიმტყუნო, არ მიღალატო. ქვეყნის საგლახაოდ ნუ მომკლავ ამ შუაღამეზე ქუჩაში უწამლოდ და უზიარებლად. არ მივდივარ გლახა საქმეზე. შენც უნდა გამიგო... შენც უნდა შემეწიო ცოტა. კაცს ვჭირდები. იცი შენ, რას ნიშნავს კაცს შენს იქით გზა რომ არა აქვს? მხარზე გამედვა არღანი, ჯობდა, მარა მხარზე გადებული არღნით ვერ მიადგები კაცს. ჩამომღებიც არავინ მყავს. ბევრი გზა აღარ დარჩა. რაცაა, ესაა. ხალხი ზევით დააჯინა ნეტავი, თუ ქვევით, ეზოში? ახლა, სეფა თუ არ იქნა, შეცივდებათ სტუმრებს. ღმერთო, ცოტა დარჩა. თავბრუ მესხმის. ფეხები დამიმძიმდა. ათასი კილომეტ-

რიდან ჩამოდის ხალხი წყალტუბოში და მე ორი ფეხის ნაბიჯზე ვერ მივედი. ეგება ჩემი მუხლებისთვისაც ეშველა რამე. არ ვიცით, არა. სანამ არ დავვარდებით, თავის მიხედვა არ გვიწერია რჯულში. მერე დევიწყებთ წუწუნს, მაგრამ გვიანღაა. ახლა აგერ შევიშრობ ოფლს და მოსული ვარ ე... გაჩახჩახებული რომაა ზევით, ის სახლი უნდა იყოს!“.

* * *

თამადას ხელისმომკიდეების სადღეგრძელო უნდა შეესვა, ოთხი ერთნაირი ჭინჭილა მოატანინა მასპინძელს. ორი თვითონ შეისვა, ორიც მოადგილეს გაუგზავნა. წამოდგა და ხვეწნამუდარით ძლივს დააწყნარა შეზარხოშებული სტუმრები.

ხელისმომკიდეები ფეხზე იდგნენ და ამთქნარებდნენ.

დააწყნარა თამადამ სუფრა და ის იყო გრძელი, მოსწრებული სიტყვათქმებით გაფერადებული სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, რომ სულ ახლოს, ქუჩაში ან ეზოში კი არა, უფრო ახლოს, კიბის თავზე, ზედ ყურთან არღნის ხმა გაისმა.

## ამბერკი

ამბერკი მარგველაშვილმა სინათლე და ელექტროღუმელი გამორთო, კარი გასაღებით ჩაკეტა და ლოგინს მიაშურა. „მიაშურა“ — აქ ცოტა უადგილო სიტყვა გახლავთ, რადგანაც ამბერკის რვამეტრიანი ოთახი ჰქონდა დაქირავებული და კითხვისას ისედაც საწოლზე იჯდა. კითხვით კი ამბერკი ყოველთვის კითხულობდა. ეს მისი საყვარელი საქმე იყო. პროფესიით ბუღალტერი გახლდათ და ერთ-ერთ ტექნიკუმში საბუღალტრო აღრიცხვის კათედრის ასისტენტად მუშაობდა, მაგრამ თუ რაიმე სპეციალობის წიგნებს ყველაზე ნაკლებად კითხულობდა — ეს იყო ბუღალტერია. ამბერკის თავისი სპეციალობა არ უყვარდა. კითხულობდა სხვას ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა. მისი ხელფასის დიდ ნაწილი წიგნების შეძენას ხმარდებოდა. ამბერკი წიგნის მაღაზიების სასურველი სტუმარი იყო. ყიდულობდა თითქმის ყველა ახალ წიგნს, რაც კი წიგნის ბაზარზე გამოჩნდებოდა. ყიდულობდა და თავის პატარა ოთახში ალაგებდა. მაგიდაზე და თაროებზე ადგილი რომ აღარ დარჩა, ამბერკი იატაკზე აწყობდა წიგნებს. იატაკიც რომ გაივსო, ჰამაკი იყიდა, ჭერზე დაჰკიდა და ახალ ლიტერატურას ჰამაკში დებდა. კითხულობდა ამბერკი, აკონსპექტებდა, განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს ზეპირად სწავლობდა. ამიტომაც მასთან სუფრაზე ყოფნა ერთ სიამოვნებად ღირდა. ბუღალტერი მოხდენილად ჩაურთავდა სადღეგრძელოში ლათინურ და ბერძნულ ანდაზებს, ომარ ხაიამის რობაიებს და შექსპირის აფორიზმებს... ამბერკი განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. თავისი ხელფასის პატრონს უკეთესი და უფრო ფართო ოთახის დაქირავება შეეძლო, მაგრამ სტუდენტობიდან მიეჩვია ამ ადგილს და სხვაგან გადასვლა უძნელდა.

ოთახი, რომელშიც ამბერკი ცხოვრობდა, ცალკე იდგა ეზოში, იგი თავიდან საკუჭნაოდ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მერე (ეს იყო ათი წლის წინათ) სახლის პატრონს, რატომღაც ამ პაწაწკინტელა ოთახის გაქირავება გადაეწყვიტა. ბინის ქირად ოცდასამ მანეთს იხდიდა ამბერკი თვეში. უმაღლესი რომ დაამთავრა და კათედრაზე მოიწვიეს, დიასახლისმა სცადა ბინის ქირა გაედიდებინა მისთვის, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა. ამბერკი ოცდასამ მანეთს ფეხს არ უცვლიდა და სწორადაც იქცეოდა, რადგანაც ეზოში ონკანთან, საქათმის გვერდით აშენებული ნახევარაგურიანი ოთახი, რომელსაც არავითარი დამხმარე სათავსო არ

გააჩნდა, ოცდასამ მანეთზე მეტი არც ღირდა.

კითხვით დაღლილი ამბერკი უცებ იძინებდა. დაძინებამდე ჩვეულებრივად იგი თავის თაგვს ელოდებოდა, განუყრელი თაგვი კი დღეს რატომღაც იგვიანებდა. ეს თაგვი კაი ხანია შემოეჩვია ამბერკის ოთახს. ამბერკიმ პატარა სათაგური იყიდა და არამკითხე სტუმრის დატყვევების განზრახვა ჩაიდო გულში, მაგრამ ამაოდ. დილით სათაგური ცარიელი იყო, ხოლო კაკლის ლებანი ოსტატურად გაციცქნილი. ეტყობა, თაგვს სათანადო გამოცდილება ჰქონდა მიღებული. ბოლოს ამბერკი შეეჩვია თაგვს და სათაგურის ფუნქციაც ამოწურულად ჩათვალა. ამბერკი დაწოლის წინ იატაკზე ტოვებდა პურის ქერქებს და სულგანაბული ელოდა. სინათლის ჩაქრობიდან ხუთი წუთის შემდეგ გამოვიდოდა თაგვი. იგი კარგა ხანს სასიამოვნოდ აკნატუნებდა პურის ყუას, იატაკის უწიგნებოდ დარჩენილ ნაწილს, ერთ-ორ საპატიო წრეს დაარტყამდა და გაუჩინარდებოდა. ამბერკის უყვარდა ეს თაგვი. იგი ერთადერთი სულიერი არსება იყო, მის ღარიბულ ოთახში რომ ბინა დაედო და ამბერკის ალალ ლუკმას ინაწილებდა. თუ თაგვს გამოსვლა დააგვიანდებოდა, ამბერკი წუხდა, ვერ ისვენებდა. ათასი უსიამო ფიქრი გაუვლიდა გუნებაში.

დღეს კი დაწოლიდან უკვე ნახევარი საათი გავიდა და თაგვი არ ჩანდა. ის-ის იყო ამბერკი ნათურის ანთებას აპირებდა, რომ იატაკზე ნაცნობი ფრატუნი მოესმა. მიაყურა და დარწმუნდა, რომ თაგვი მარტო არ იყო. „ოჰო, სტუმარიც გვყოლია“ — გაიფიქრა ამბერკიმ, ლოგინიდან წამოიწია და სიბნელეში იმ ადგილს დააცქერდა, სადაც დაწოლის წინ პურის ქერქი დაჰყარა. იატაკზე მართლაც ორი თაგვი იყო. უკანა ფეხებზე ჩაცუცქულებს, პირით ქერქი ეჭირათ და ფრთხილად, ყურადღებით აკნატუნებდნენ. ყველაფერი რიგზე იყო. ამბერკი კედლისაკენ გადაბრუნდა და დაიძინა.

იქნებოდა ასე ღამის სამი საათი, რომ ამბერკი საეჭვო ფხაკუნმა გამოაღვიძა. ეს ხმა თაგვის ფხაკუნს არ გავდა. ამბერკიმ ყურს ხელისგული მიახმარა და სმენად იქცა. ფხაჭუნი განმეორდა. მთვარის სხივი კარს ოდნავ ანათებდა. ამბერკი კარს თვალს არ აშორებდა. მალე ურდული მაღლა აიწია და კარის ჭრიალი გაისმა. ვიღაცამ კარი გააღო. ოთახში უსიამო სიგრილე შემოიჭრა. ამბერკიმ თვალები დააჭყიტა და სიბნელეს დააჩერდა. ღია კარებში ხელი გამოჩნდა და უეცრად ოთახის ჭერს ჯიბის ნათურის სინათლე დაეცა. შუქმა მოიარა ჭერი, მერე მაგიდაზე სვეტებად დაწყობილ წიგნებს ჩამოჰყვა და ამბერკის საწოლს მიადგა. ოთახის კანონიერმა დამქირავებელმა პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ შუქი თვალებში ეცა და გაჩერდა. ამბერკიც გაქვავდა. შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ჯიბის ფარანი პირდაპირ თვალებში აჭყიტებდა. „ახლა მესვრიან“, გაიფიქრა ამბერკიმ და გული შეეკუმშა. — „ვის რა დავუშავე“.

— ვინ ხართ, რას მერჩით! — გამშრალი ყელიდან ძლივს ამოღერღა ამბერკიმ და საწოლზე წამოჯდა. ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა. ჯიბის ნათურა ჩაქრა და ოთახში გაისმა — „ხმა არ გაიღო, თორემ მოგკლავთ“. ოთახის კარი ისევ მიიხურა და ამბერკიმ გაიგონა: „წავედით“. უცნობები ფართხა-ფურთხით გაცვივდნენ ეზოდან. ამბერკი ცოტა ხანს გაუნძრევლად იჯდა. მერე ფოსტლებში ფეხი წაჰყო და კარებამდე მიფლატუნდა, შიშის-კანკალით გამოაღო და მიაყურა. რაკი დარწმუნდა, რომ ბანდიტები წასულიყვნენ, შარვალი ჩაიცვა და დიასახლისი გააღვიძა. ამბერკის დიასახლისი შურა (ჯანიანი ქალი იყო. ვაგონის გამცილებლად მუშაობდა), ლოგინიდან წამოიჭრა და პერანგისამარა ჩაირბინა ეზოში. ჯერ სარდაფის კარებს ეცა, დაკეტილი რომ დახვდა, ცოტა დამშვიდდა და საქათმისკენ გაიქცა. „ჩემი ინდაურები!“ გაისმა განთიადის ცივ სიჩუმეში შურას

კივილი. შურას სამი ინდაური ჰყავდა, ერთიმეორეზე უკეთესი ინდაურები. საახალწლოდ დასუქებულ ამ ინდაურებს კეთილისმსურველი მეზობლებიც კი შურით შეჰყურებდნენ. და აი, შურას ინდაურები მოიპარეს.

კივილზე გამოცვივდნენ მეზობლები თავიანთი სტუმრებიანად. კაცებს საწოლის პიჟამოზე პირდაპირ პალტო მოესხათ და ისე გამოსულიყვნენ. დედაკაცები შიშველ მკლავებზე ხელებს ისვამდნენ (რადგანაც ციოდა), ქალიშვილებს ეშინოდათ და ფანჯრებიდან იჭყიტებოდნენ. თავდაპირველად ყველა თავის სარდაფს და სათავსოებს მივარდა. როცა დარწმუნდნენ, რომ ქურდებს მხოლოდ შურას სამი ინდაური მოეპარათ, ყველანი ონკანთან შეიკრიბნენ და ბჭობა გამართეს. დაზარალებული ტიროდა. მოკამათეთა შუაგულში ამბერკი იდგა და მერამდენეჯერ ჰყვებოდა ყაჩაღების თავდასხმის შემზარავ ამბავს. ღვთის წინაშე ვერ დავმალავ და ამბერკი მომხდარს ცოტას უმატებდა. „როცა ქურდებმა ეზოდან გასვლა დააპირეს, ქვა ავიღე ხელში და გამოვეკიდე, მაგრამ ვერ დავეწიეო“. ეს გამონაგონი საქმის ნამდვილ არსს არ ცვლიდა, ამბერკის კი ვაჟკაცობის ერთ შტრიხს მატებდა მეზობლების თვალში.

— ვერ იცანი ხმაზე ვინ იყვნენ? ან საით გაიქცნენ თუ გახსოვს? — იკითხა გაბზარულმა ხმამ. მეზობლები შეჩქვიფდნენ. სიმონ კაპანაძის ხმა იყო. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შურამ ცრემლები შეიმშრალა, წელში გაიმართა და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა:

— ვინ იყვნენ, ჩემო სიმონ, და ვინც იცოდა, რომ მე სამი ინდაური მყავდა. რა მნიშვნელობა აქვს საით გაიქცნენ. ციხე შიგნიდან ტყდება. როგორც მე გამამწარეს ამელამ, ისე გამწარდა მაგათზე მაგათი ცოლ-შვილი ასე... სანამ ცოცხალი ვარ, წყევლას არ მოვუშლი.

მალე მილიციის მანქანა მოგრიალდა. პირტიტველა მორიგემ მოწმეთა ჩვენებები ჩაიწერა და წავიდა. დილით სიმონ კაპანაძე მილიციაში დაიბარეს. ეზოში ერთადერთი ეჭვმიტანილი სიმონი აღმოჩნდა. სიმონი ახალი გამოსული იყო ციხიდან, სადაც სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის ხუთი წელი გაატარა. დაჯდომამდე ზეთის სალებავების საწყობის გამგედ მუშაობდა. „გვენდევი, კაცი არა ხარო?“, უთხრეს მას. სიმონი ენდო. მეორე დღეს საწყობი აუწერეს, დანაკლისი აღმოაჩნდა და სრულიად სამართლიანად დასაჯეს. მარტოხელა კაცი იყო სიმონი. შემოსასვლელიდან მარჯვნივ, თუთის ხის პირდაპირ ცხოვრობდა. ერთი ოთახი და შუშაბანდი ეჭირა. დილით წავიდოდა სახლიდან და საღამოს დარცხვენილივით შემოიპარებოდა. მეზობლებს ერიდებოდა ამ ბოლო დროს. თუ პირისპირ შეეჩეხებოდი, სალამს მოგცემდა და სწრაფად გაგეცლებოდა, ჯერჯერობით არსად არ მუშაობდა. საწყობების სისტემას მას აწი აღარ გააკარებდნენ და არც უნდოდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცოტ-ცოტას სვამდა. ჩაცმა-დახურვაზეც შეეტყო, რომ უჭირდა. ერთ დღეს შუშაბანდიდან ოთახში გასასვლელი კარები ჩამოხსნა და ფარდა ჩამოაფარა. არ მჭირდებაო, უთხრა დაინტერესებულ მეზობელს, წავიღებ ამ კარს და ვინმეს ვაჩუქებო. სინამდვილეში სიმონ კაპანაძემ შუშაბანდის კარი გაყიდა. იმ ფულით გაერთიანება „საამური ცხოვრების“ გამოშვებული რეზინისლანჩიანი ფეხსაცმელი იყიდა და ჩაიცვა.

შურა და ერთი-ორი მეზობელი გამომძიებელს სერიოზული სახეებით უმტკიცებდნენ: არ გაგვცეთ და მაგის მეტი არავინ იზამდა ამ საქმესო. ყოფილი ქურდი და ნაციხარი ამ ეზოში მხოლოდ სიმონიაო. როცა ამბერკი დაკითხეს, ბუღალტერიის კათედრის ასისტენტმა ჩვენებაში ჩაუწერელად, „ზეპირად“ განუცხადა გამომძიებელს — ცოდვას ვერ დავიდებ, მაგრამ ბანდიტის ხმა ცოტათი სიმონის ხმას მივამსგავსეო. მერე ამბერკიმ ამ ავყიად ნათქვამს იქვე მიაყოლა: ალბათ, მომეჩვენა, შეშინებული ძაღლი მთვარეს რომ

უჟღეფდა, ხომ იცითო. სიმონი არ იზამდა ამ საქმესო.

სიმონი მაინც დაიბარეს. რასაკვირველია, ვერაფერი დაუმტკიცეს და ერთ საათში ბოდიშისმოხდით გამოისტუმრეს, მაგრამ იმ ერთ საათში თითქმის მთელმა ქუჩამ გაიგო, რომ შურას ინდაურების მოპარვის საქმის გამო მილიციაში სიმონ კაპანაძე დაიბარეს.

* * *

მეორე დღეს ათასი საზრუნავით გართულმა მეზობლებმა შურას სამი ინდაურის დაკარგვა იოლად გადაიტანეს. არც შურას მოუკლავს მაინცდამაინც თავი. ერთი-ორჯერ კიდევ გადასცა მისი ინდაურების მომპარავი უზენაეს მოსამართლეს — ღმერთს, კვლავ აღაპყრო ცად ხელები და ინდაურების ქურდების მისამართით საშინელი წყევლა-კრულვა გაუგზავნა ყველა ჯურის შინაური ფრინველის ქურდს. მერე ცოტა დამშვიდდა და ტახტზე წამოწვა. ორ საათში ცვლა ეწყებოდა და სადგურზე უნდა გასულიყო. შურა ჭკვიანი ქალი იყო და იცოდა, რომ ვაივიშითა და თავში ცემით თავის ინდაურებს ვერ დაიბრუნებდა. უზენაესის მიერ ქურდების ხელის გახმობის და გაქვავების იმედიც მაინცდამაინც არ გააჩნდა და იმაზე ფიქრმა შეიპყრო, საახალწლო ინდაურის ფული რა მანქანებით ეშოვნა. პრაქტიკული ქალი იყო შურა.

იქნებოდა ასე ღამის ათი საათი, როცა ამბერკი მარგველაშვილის კარებზე მოკრძალებული კაკუნი გაისმა. წუხანდელი ფათერაკით შეშინებულ ამბერკის კარები ადრიანად ჩაეკეტა და შარვალს აუთოვებდა. „ვინ არის?“ — რაც მოუხერხდა, ალერსიანად გასძახა მასპინძელმა, ისე რომ ყოველ შემთხვევისათვის ცხელი უთოსთვის ხელი არ გაუშვია — „ვინ იცის ვისთან მაქვს საქმეო“. ეს ერთი გაელვება იყო, თორემ კაცისათვის უთოს დამრტყმელი იყო ამბერკი? „მე ვარ“ — თქვა სტუმარმა და კიდევ დააკაკუნა. ამბერკის ხმა ეცნაურა. მართალია, ზუსტად ვერ მიხვდა ვისი ხმა იყო, მაგრამ ნაცნობი ხმაც საკმარისი იყო კარის გასაღებად, თუნდაც ისეთი შიშიანობის ჟამს, ინდაურების დაკარგვის შემდეგ ქალაქ ძელქვინას ეს ერთი პატარა ეზო რომ განიცდიდა.

კარებში სიმონ კაპანაძე იდგა. ამბერკი უკან-უკან წამოვიდა. თან სიმონს თვალს არ აშორებდა. მართალია, საზეილტრო მეცნიერების ერთი უპრეტენზიო წარმომადგენელი მაშინვე დარწმუნდა, რომ სიმონს ხელში ქვა არ ეჭირა, მაგრამ კარის ღიღებისთანავე ნესტოებში ამოსული არყის მომჟავო სუნი ეცა და გაიფიქრა: „რა იცი, მთვრალი კაცი, რა ჭკუაზე დააყენა გამჩენმაო“.

„შეიძლება?“ — იკითხა სიმონმა, მაგრამ პასუხს არ დაელოდა, კარი ფრთხილად მიხურა, მაგიდამდე ძლივს მიაღწია, სკამი ცალი ხელით გაისწორა და ჰრაჭუნით დაჯდა. მარჯვენას ჩამოეყრდნო, ერთი ამოხედა ტახტის კუთხეში მიკუნჭულ ამბერკის და იატაკს დააცქერდა. სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

— ამბერკი. — თავაუღებლად დაიწყო სტუმარმა. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა. ისვენებდა, მძიმედ სუნთქავდა. სიმთვრალეს ებრძოდა. ცდილობდა რაც შეიძლება ნელა და გასაგებად ეთქვა — ესე იგი, მე მოვიპარე შურას ინდაურები, ამბერკი?

— ვინ თქვა? — ისეთი გამომეტყველებით იკითხა აფორიზმების მცოდნემ, თითქოს შურას ინდაურების ამბავი პირველად გაიგონა.

— ხომ ხედავ, საჩხუბრად არ მოვსულვარ. მე მაინტერესებს... რანაირად კაცო... რამ გაფიქრებინა. დღეს მთელი დღე მაგას ვწუხვარ. მინდა რამენაირად გაგამართლო, ბიჭო! მომეხმარე პატარა!

— რა მიგეხმარო? — სხვისი ხმით თქვა ამბერკიმ და განზე გაიხედა. მის ხმაში სინანულის ტონი გაიპარა.

— რაფერ, ბიჭო, შენ არ გაწუხებს

ეს ამბავი? ასე დაგკარგო, კაცო? ასე შემძულდე სამუდამოდ? არ თქვა, თუ ღმერთი გწამს, გულშიც არ წამოგცდეს, ფეხებზე მკიდია, სიმონია კაპანაძეს ვექვარები თუ არაო. შენ მაგის კაცი არა ხარ. მტრისას, ბიჭო, გადაკიდებული კაცი.

— კი მარა, მე რა ვქნა. ვინცხამ შენ დაგადო ხელი, შავად და ბნელად ექცა იმას. მე ხმა მივამსგავსე-თქვა, მეტი არაფერი მითქვამს. რა ვიცი, ვინ მოიპარა. ინდოურების მწყემსი ვარ მე? ჩემი გაჭირვება მეყოფა!

— ჰო, ასე, შე კაცო, ილაპარაკე... თქვი რაღაცა. მომეხმარე ცოტა. რომ არ შემძულდე... ამბერკია, შეგეშალა, რა ვუყოთ მერე. მარა რაღა მაინცდამაინც მე გეგონე ქურდი, ბიჭო?

— კაი, თუ კაცი ხარ, რა ქურდი, რომელი ქურდი!

— მე, ახლა... მე ვარ ნაჯდომი ამ ეზოში მარტო და ესე იგი, მე უნდა მომეპარა ხომ? სწორი ხარ, ხომ იცი. ა, ჩამოვთვალოთ აგერ, სოკრატი არ მოიპარავდა, გასტრონომში მუშაობს. რათ უნდა სხვისი ინდოური. ხარაბაძე ნოტარიუსია, რავა იზამდა მაგას. არჩილი ჩოგბურთის მწვრთნელია, წესიერი კაცია, არის თავისთვის. შოთა ჭაჭუა ლექტორია, სტუდენტებს ნათლავს საწალმართოდ, რავა შეკადრებ მაგ ამბავს. შურა არის და თავისთავს ხომ არ მოპარავდა. დავრჩი მე... ნაჯდომი, ნაუბედურალი, გამფლანგავი და მჭამელი. ისე ჭამა ჩემი დამლუპველების გვარმა და ჯილაგმა. მე უნდა მომეპარა. ჩემს მეტი ვინ იზამდა? ხომ სწორი ვარ!

— რა ვიცი მე? — ყრუდ თქვა ამბერკიმ.

— არა, არ გამტყუნებ, დედის სულს ვფიცავარ, არ გამტყუნებ. სხვა ყველა წესიერია. სხვა ყველა საქმის კაცია. ასე ჩანს გარედან. ქურდი, თუ სადმე ლოგიკაა, მე უნდა ვიყო. შენ ასე უნდა გეთქვა. სხვის ხმაღაც რომ მოგჩვენებოდა, მაინც ჩემზე უნდა გეთქვა. შენი ჭკუით ასეა. მე ვისწავლიდი ქურდობას და სიგლახეს იქანა თვარა, აქ წესიერი ხალხი ხართ. ცხოვრობთ თქვენთვის. ჩალიჩობთ რაღაცას. მოვა ჩემნაირი ავი კაცი და სიმწრით გაზრდილ ინდაურს აგაფცქვნით ხელიდან. ასეთი ვარ მე! — ოთახში სიმონის შემზარავი ხითხითი გაისმა. მთვრალი გულიანად იცინოდა. ამბერკის ეკლად ესობოდა მისი სიცილი. ტანზე ბუსუსებად დააყარა. ბრალმდებელმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. სიმონი უცებ დადუმდა და იატაკს დააჩერდა. მასპინძელს ახლა საშუალება ჰქონდა მისი შეთვალიერების. ეჭვმიტანილს დაჭმუჭვნილი, ძველთაძველი პიჯაკი ეცვა და მოდიდან გადასული ძველთაძველივე დაჭრილი ტუფლები. მთელს ეზოში იგი შორეული პროვინციიდან მოდერნისტულ სანატორიუმში ჩამოსულ მოწყენილ დამსვენებელს წააგავდა, ყველაფერი რომ ძველი და უცნაური აქვს, ხის ჩემოდნიდან დაწყებული თმის ვარცხნილობამდე.

— ჰე, თქვი, შე კაცო, რამე, — ისევ გაისმა სიბნელეში, — შენთან მოვედი... კაცთან. ეს ხომ გავარკვიეთ, ახლა ცოტა დავმშვიდდები. წავალ, დავიძინებ, თუ დამეძინა. უცებ ვერ დავფიქრდი და მეწყინა, ხომ იცი შენ. ისე ჩემზე უნდა შეგეტანა ეჭვი, აბა რა. ჩემს მეტი ქურდი ვინაა ამ ეზოში. ხომ ასეა ამბერკი? მითხარი, ასეა ხომ? — სიმონი მუდარით სავსე თვალებით შესცქეროდა მასპინძელს და პასუხს ითხოვდა.

დაახლოებით ამგვარი საუბრით მათ თითქმის ღამის ორ საათამდე ისაუბრეს. ხანდახან კაცი იფიქრებდა, სიმონმა ყველაფერი გაარკვია და დაამთავრა საუბარიო, მაგრამ იგი ისევ თავიდან იწყებდა და ამბერკიც, რომელსაც იულიუს კეისრის წიგნის წაკითხვა ხვალისთვის გადაადებინეს, მთქნარებით უსმენდა სტუმარს.

— არაფერი ქურდი არა ხარ შენ. წადი, დამშვიდდი. შენზე არავინ არაფერს ფიქრობს, — გაბედა ბოლოს მასპინძელმა. სიმონს მხრებში შეუდგა და

კარებამდე მიიყვანა. მერე უცებ გაინთავისუფლა კისერი და კარებში ჩამდგარმა მოთავებულ სტუმარს (იმის შიშით, კიდევ არ შემობრუნდესო) სხვათაშორის ჰკითხა:

— არ მუშაობ სიმონ შენ?

— არა.

— რაით ცხოვრობ ახლა!

— რო გითხრა სანაძლეოს ვიგებთქვა, არ დამიჯერებ, — კეფა მოიფხანა სიმონმა, — ვცხოვრობ, რა ვიცი. სანამ სამუშაოს მომცემდნენ, გამაქვს თავი, — მერე ღიმილმა გადაჰკრა მოთენთილ სახეზე და დაუმატა — მპატიჟობენ! — ეს პასუხიც არ მოეწონა. ეშმაკურად გაუნათდა სახე. ამბერკის მხარზე გადასდო ხელი, თავისკენ დაქაჩა და ყურში უჩურჩულა:

— ინდაურებს ვიპარავ... არ უთხრა არავის, — ეს დაუმატა, ტუჩებზე თითი მიიდო და წელმოწყვეტილივით გააბიჯა თავის სახლისაკენ.

ამბერკი თვალღია იწვა და დიდხანს ელოდებოდა თაგვს, რომელსაც თავისი ცხოვრების მკაცრი რეჟიმი დაურღვიეს.

ყველაფერი მშვიდად დამთავრდებოდა, რომ ამბერკი მარგველაშვილთან სიმონ კაპანაძის ვიზიტი იმ დღეს პირველი და უკანასკნელი ყოფილიყო. სიმონი ყოველ დღე, დათქმულივით აკაკუნებდა საბუღალტრო სასწავლებლის პედაგოგის კარებზე. ყოველ დღე ერთსა და იმავეს ელაპარაკებოდა. ეხვეწებოდა, მომეხმარე, არ შემაძულო თავიო. რა სახე გქონდა, დედას გაფიცებ, როცა ინდაურების ქურდობას მაბრალებდიო. შენის აზრით, ინდაურს მარტო ეჭვმიტანილები იპარავენ თუ ეჭვმიუტანლებიც გაჰკრავენ ხელს ხანდახანო. ყოველ დღე მოდიოდა სიმონი. ყოველთვის ღამის ორ საათამდე რჩებოდა და რაც მთავარია, უმეტესად არყის სუნი ასდიოდა. ამბერკიმ იწანა თავისი გაჩენა. მას, მარტო, ყრუ ცხოვრებას მიჩვეულ კაცს, დასვენების საშუალებას არ აძლევდნენ. დილით სამსახურში ყოველთვის აგვიანდებოდა. პირის გაპარსვას ველარ ასწრებდა. ვილას ახსოვდა თაგვი. სიმონი კი თავისას არ იშლიდა.

* * *

შუადღისას მეზობლები თავიანთი ფანჯრებიდან ცნობისმოყვარე თვალებს არ აშორებდნენ ამბერკი მარგველაშვილს, რომელიც თავისი ოთახიდან ეზოს შესასვლელთან მომდგარ მანქანამდე, კაცმა არ იცის მერამდენე გზობას აკეთებდა. გულზე ახუტებულ წიგნებს მიიტანდა, მანქანაში ჩაცლიდა და ხელების ტყაპუნით ბრუნდებოდა უკან. ეჭვი არ იყო; ამბერკი შეჩვეულ ოთახს, შეჩვეულ მეზობლებს სტოვებდა და სხვაგან გადადიოდა.

— ბინა მიიღე, ამბერკი? — მომენტი შეურჩია ვიღაცამ თავის ფანჯარასთან ჩავლილ სწავლულს.

— არა, — უკანმოუხედავად უპასუხა ყოფილმა მობინადრემ და სწრაფად გაეცალა მეზობელს, რომელსაც უახლოესი სამი შეკითხვა უკვე მზად ჰქონდა.

სიმონ კაპანაძე გარეთ გამოსულიყო. თავისი შუშაბანდის წინ იჯდა, აბოლებდა და მშვიდად შესცქეროდა ყოველივეს, რაც ხდებოდა.

კაცმა რომ თქვას, ასაღელვებელი არა იყო რა. ეს ქალაქ ძელქვიანასათვის სრულიად ჩვეულებრივი, ცოტა მოსაწყენი სცენაც კი იყო; კაცი ერთი ოთახიდან მეორეში გადადიოდა. ამბერკი მარგველაშვილი მისამართს იცვლიდა.

ანზორ აბულაშვილი

# მოლოდინი

ლექსის ნათელო, შენს მოლოდინში —
თვალთაგან მცვივა იისფერი
წამების ცრემლი,
მუხლმოყრით ვდგავარ და ველოდები
მზის ლურჯი სხივის
სულში თრთოლვით ჩამონათებას.

მზე კი ბრიალებს ცის თავანზე
და მარტს — ჭრელ დროშას,
მინდორ-მინდორ მოაფრიალებს.
ადიდებულა ფრინველთ გუნდი
ზედაზნის ცაში,
ამბოხებულა ია ლურჯად
სოფლის კორდებზე.

სერის წვეროზე ერთგან ობლად
შერჩენილი თოვლის ნაფლეთი
მზისფერ ტორებში მოუგდია
გაზაფხულის ნაზ გაფიცხებას.
წამით დაადე ყური მიწას
და გაიგონებ
ცის დასანახად აჩქარებულ
ყვავილთა ლაშქრის
თეთრ-მწვანე ფერით დასახატ ბუბუნს.
მხოლოდ გაიგებ?
დაინახავ კიდეც სივრცეში
მირაჟის სახით,
ყაყაჩოებს —
საყივლელად შემართულ მამლებს,
თუ თეთრ გვირილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ნარგიზთა მთვარესავით ყელმოღერებას,
იმათ ათასფრად, ეშმაკურად
დაცქვეტილ ყურებს...

მთისა და ბარის ჭრელი ქათიბი,
როგორც მერცხალი,
გაზაფხულის დღეს —
თბილი ქვეყნისკენ აჩქარებულა,
ხოლო მნათობი თვალს ადევნებს — განსაცვიფრებელ
წესრიგის თანამიმდევრობას ათას წვრილმანის,
და ყოველ საათს, ყოველ წუთში
თუ ყოველ წამში
უჩინარ მხატვარს
აძლევს მოკლე და საჭირო განკარგულებას.
ის საკვირველი უჩინარი
                    მხატვარიც ნელა
მეტი ხალისით და დაჯერებით,
დაუზარებლად, თავაუღებლად,
ქვეყნიერებას, კიდიდან — კიდით,
ათასფერებით ხატავს და ხატავს...

მზე, ცის თავანზე მობრიალე,
ადამიანს ჩამოჰგავს სახით
და თავის ძალას იმდაგვარი სიცხადით აჩენს,
როგორც შეჰფერის მის ნებას და ძალმოსილებას...
და უცებ ვიგრძენ, ამ სიცხადის იდუმალებით,
დიდი ხნის წინათ, ვით დაეშვა ციდან საჩემოდ
ლურჯი სხივი თუ ათინათი,
უცხო ციაგი
და მე იმ სხივის მოსაწყვეტად
                    ორივე ხელი
მოჯადოებულს გაწვდილი მაქვს
თურმე ჩემი გაჩენის დღიდან.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი...

ზეცას მზის ოქროს ბეჭედი აზის
და ზაფხულს ფუძე ეყრება მკვიდრად.
ახლა კახეთში ისხვლება ვაზი,
ბერი გუთანი გასულა მინდვრად.
უბერავს თბილი მზიური ქარი,
ლაღად მოგორავს ალაზნის ზვირთი.
საპატიოა საქვეყნო ვალი,
თუმცა მძიმეა ნაკისრი ტვირთი.
ეს გაუმარჯოს ქართველის გარჯას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომას და ბრძოლას,
მოქნევას მკლავის,
ჩაქუჩს და ნამგალს,
ხმალსა და ხანჯალს
და გასტუმრებას მამულის ვალის.
ზეცას მზის ოქროს ბეჭედი აზის,
მომავალს ფუძე ეყრება მკვიდრად.
საქართველოში ისხვლება ვაზი
და გაზაფხული იღვიძებს მინდვრად.

## კოშკები

შენთვის ვაგებდი ბროლის კოშკებს, სრა-სასახლეებს,
ოქროს ქოშებში ფეხწადგმული — შენ იყავ ბროლი.
რანაირს აღარ გიგონებდი ლამაზ სახელებს
და დავივიწყე მიწიერი წვიმა და თოვლი.

პირისფარეში მოგეთხოვა გინდაც ათასი!
ოღონდ გესურვა!
მზე უშენოდ არად მიღირდა!
მომქონდა უცხო აბრეშუმი, დიბა ატლასი —
ჰინდუსტანიდან, მაშრიყიდან თუ მაღრიბიდან.

მაგრამ გათავდა...
მაგრამ ეს დღეც ამო ტვირთია,
ჩემი მინთია კელაპტარი, სანთელი წმინდა.
ვზი ოქროს ტახტზე, ფეხი ფეხზე გადამიდვია
და გეზრახები, ოდნავ მთვრალი, მეშვიდე ციდან.

* * *

თვალწინ მეხატება მარად
ზავთი, გუგუნი და რისხვა, —
შავი — მშვენიერი — ზღვისა,
ჩვენი სულიერი ძმისა.
კალმით დახატული მართლაც
ფერი მსხმოიარე ზვრისა,
ზეცა ავარდნილი ზევით, —
ქერი კავკასიონისა.
შუქი დამაბრმავებელი
ჩვენი მოალერსე მზისა,
მაგრამ მაინც უპირველეს —
მიმორხევა ნესტანისა,
მშვენბრ გასხივოსნებული
შუბლი შოთა რუსთველისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიზმარი

ნუგეშის სიტყვას შევთხზავ რაიმეს,
წამალს, მალამოს, თუ რამ მიშველის.
სიზმრად ვიხილე ერთხელ წამიერ
თოვლისფერ ქალის თმები გიშერი.
ელვად იმისი წელი კენარი
გადამეგრიხა მკლავებზე წამით,
ღამე ბზინავდა როგორც მელანი
და მიზავებდა იმ სიტკბოს შხამით.
ვინ მიიტაცა მაისის ცისკენ
თავბრუდამხვევი ზმანება თეთრი,
ვარსკვლავებს მიღმა ვინც ისევ მიფრენს
და უცხო ნათელს თოვლისფრად ერთვის...
დასრულებულა იგავ-არაკი
და სიზმარს დავცქერ ამ სისხამ დილას,
როგორც დასცქეროდა ერთი გლახაკი
ერბოთი სავსე დამსხვრეულ ქილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

## წიგნი მეორე

### თავი ოცდამეშვიდე

სიტყვა-პასუხით, გონებამახვილობითა და თავმდაბლობით კაპიტანმა ლვოვმა უკლებლივ ყველა დამხვდური, უპირველეს ყოვლისა ქალები, მოხიბლა, თითოეულის გული ერთბაშად მოინადირა, სოლომონს სანუგეშო კი მაინცდამაინც ვერაფერი მოუტანა, მხოლოდ რუსთხელმწიფის სახელით მორთმეული მდიდრული საჩუქრებით განაცვიფრა მეფეცა და მისი ქვეშევრდომებიც. რა არ იყო აქ, ძვირად ღირებული ბეწვეულით, ინდური დიბა-ატლასითა, ჩინური აბრეშუმითა, სამღვდელო პირთა შესამოსელი ოქროქსოვილითა, პორფირითა და ნელსაცხებლებით დაწყებული და სუფრის ვერცხლეულით, საქსონური ფაიფურითა და ნაირ-ნაირი თვალმარგალიტით, მძივებით, სამაჯურებით, ყელსაბამებითა და ბეჭდებით გათავებული.

ამ საჩუქრებსა და ხელგაშლილ დაპირებებს საგონებელში ჩავარდნილი სოლომონი დიდად არაფრად გაუხარებია. უფრო მეტ ფასს ის არც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ბრძნულ რჩევებს ადებდა. ბრძენი მრჩეველი და ჭკუის დამრიგებელი აქ განა ცოტა ჰყავდა! საქმე ჯარით, თავდაპირველად თუნდ ორი-სამი ასეულით, მოშველება იყო. უამისოდ ძალიან გაუჭირდებოდა ათასწილ ძლიერ და ვერაგ მტერთან გამკლავება, ხოლო თუ ბედი უმუხთლებდა, იქნებ ამდენი გარჯისა და მსხვერპლის ფასად მოპოვებული ტახტიც ხელახლა დაეკარგა!

სანაპირო ხაზზე — ყიზლარსა და ასტრახანში — რუსეთს ამჟერად ჯარი ბლომად ჰყავდა. ლვოვის სიტყვით, თუ მას რაიმე დაეჯერებოდა, იმპერიის სამხრეთ საზღვარზე ახლო მომავალში ჯარებს კიდევ მოაყრიდნენ. მიუხედავად ამისა, ქედს აქეთ გადმობიჯება და საქართველოს ფარგლებში შემოსვლა რუსეთისათვის ჯერჯერობით მოსახერხებელი არ იყო (ლვოვმა სიტყვა „ხელსაყრელის“ მაგიერ სწორედ ეს სიტყვა „მოსახერხებელი“ იხმარა!) და აი, რატომ: რუსეთსა და ქართველ მეფე-მთავართა სამფლობელოებს შორის, უპირატესად ქედის ჩრდილო კალთებზე, რუსებისადმი მტრულად განწყობილი და ოსმალეთის ფარული თუ აშკარა ხელისშემწყობი მთიელი ტომები ცხოვრობდნენ და სამხრეთისაკენ მომავალ ჯარსა და ალალს დიდ საშიშროებას უქმნიდნენ. მათ შეეძლოთ, დარიალის კარი — ერთადერთი უხიფათო გზა რუსეთი-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

დან საქართველოსაკენ, სურვილისამებრ ჩაეკეტათ და ერთმორწმუნე ქართველების საშველად მოსული რუსთა მხედრობა იმპერიის სასიცოცხლო კერებისათვის მოეწყვიტათ.

კაპიტანი ლვოვი საღად და თანამიმდევრულად მსჯელობდა. ვერც ერთ მის სიტყვას ზადს ვერ უპოვნიდი, მაგრამ ეს, ბოლოსდაბოლოს, მაინც დახმარებაზე უარის თქმა და საკუთარი ტყავის მოფრთხილება უფრო იყო, ვიდრე ქრისტეს ჯვრის დასაცავად აღდგომა და საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი ერთმორწმუნე მოყვასისათვის უანგაროდ თავის გამოდება.

რუსთხელმწიფეს, როგორც ჩანდა, საკუთარი საზრუნავიც თავზე საყრელი ჰქონდა. მისი ყურადღება მთლიანად დასავლეთისაკენ, ბალკანეთის ქვეყნებისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც დღეს თუ ხვალ მთელს ევროპაში ბატონობის ბედი გადაწყდებოდა. საომრად ალესილი დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს მგლებივით ულრენდნენ. ვინ გაბედავდა პირველი, ვინ გამოჰყოფდა საომრად შემართულ ბრჭყალებს?

ბედს ბედი იმიტომ ქვია, რომ წინასწარ არასოდეს არ იცი, რას გიმზადებს. რუსეთმაც, ალბათ, სარწმუნოდ არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ბალკანეთის ამბები და წინდახედულ სიფრთხილეს იჩენდა.

მაგრამ რის მაქნისი იყო ქართველ მეფეთა კარზე ელჩის ყოლა? რა მიზანს ისახავდა ამით რუსეთის სამეფო კარი და საგარეო საქმეთა კოლეგია? რა სარგებლობას მოუტანდა კაპიტან ლვოვის აქ ყოფნა ან ქართველ მეფეებს, ან თვით რუსეთს, თუ სიტყვიერ შეთანხმებას საქმე არ მოჰყვებოდა?

პირიქით, რუსთხელმწიფის ელჩის იმერეთში შემოშვება და შესაფერი პატივით მიღება კიდევ უფრო გაახელებდა უამისოდაც გახელებულ ოსმალ ბატონებს და სხვებზე ადრე მათი ნების უყოყმანოდ შემსრულებელ ყურმოჭრილ მონას, ახალციხის ფაშას.

„ჩრდილოეთის თეთრი ვეშაპისა", იგივე რუსეთისა, აგარიანებს ისე ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა და წყლისა. ოსმალეთი მანამდე ვერ მოისვენებდა, სანამ რუსეთის თუნდ ერთ ქვეშევრდომს თავის ყმადნაფიც და მოხარკე იმერეთში, ანუ მათებურად, აჩიკ ბაშთა ქვეყანაში იგულებდა. ამიტომ თავსავე ჯობდა, სოლომონი რუს ელჩს ქართლისა და იმერეთის საზღვარზე, ჩხერის ციხეშივე შეხვედროდა, სადაც ლვოვი ამდენ ხანს იდგა, მისი მოსვლის მიზეზიცა და მიზნებიც იქვე შეეტყო, თავისი პასუხიც იქვე ეთქვა და საპატიო სტუმარი უკანაც იმავე ჩხერის ციხიდან გაესტუმრებინა. სოლომონი უთუოდ ასე მოიქცეოდა და სვერის ციხეში ამოსვლის მაგიერ უმალ ქართლის საზღვრისაკენ გაეშურებოდა, რათა რუსთხელმწიფის ელჩთან შეხვედრა საიდუმლოების ბურუსში გაეხვია, მაგრამ ვაი, რომ კაპიტან ლვოვის იმერეთში მოსვლის ამბავი უკვე გახმაურებული იყო, დიდსა და პატარას პირზე ეკერა და ახლა, თუნდ ძალიანაც მოგვენდომებინა, ვიღას და როგორ დაუმალავდი!

ერთადერთი საგულისხმო და იმედის მომცემი სიტყვა, რომელიც კაპიტანმა ლვოვმა მოიტანა, თეიმურაზ ქართლის მეფის შემონათვალი იყო. თეიმურაზს, როგორც რუსთხელმწიფის მოკავშირეს, რუსეთის ელჩი თავისი რწმუნებულებითაც აღეჭურვა და დაევალებინა, სოლომონ მეფესთან და მის დარბაზის ერთან ქართლის სამეფო კარის სახელითაც ელაპარაკა. ჩანდა, კაპიტან ლვოვის უზადო მჭერმეტყველებითა და მომხიბლავი ადამიანური თვისებებით ისნის სასახლეშიაც ისევე დატყვევებული იყვნენ, როგორც იმერეთში...

მრისხანე ნადირ-შაჰის ძველი თანამოსანგრე, მეფე თეიმურაზი, იმერთა ბატონს, სოლომონს, მამა-შვილურ ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა, პირშავ მტერზე ძლევამოსილ გამარჯვებას ულოცავდა, წუხდა, თავად რომ ვერ მიიღო მონაწილეობა ამ საღვთო საქმეში და უმოკლეს დროში სათათბიროდ

შეყრას სთავაზობდა. ერთმანეთს შეხვდებოდნენ სამნი: იმერეთის მეფე სოლომონი, კახბატონი ერეკლე და თეიმურაზი, ქართლის მეფე. შეხვედრის დროსა და ადგილს მოგვიანებით დასთქვამდნენ. თუკი სოლომონი აგრერიგად საჭირო და საშურო შეხვედრის წინააღმდეგი არ იქნებოდა, თვით თეიმურაზი აახლებდა თავის კაცს დამატებითი შეთანხმების მისაღწევად...

ელჩთან საუბარში თანდათან გამოირკვა, რომ ქართველ მეფეთა თავშეყრისა და ერთობლივი მოლაპარაკების აუცილებლობა, მითუმეტეს, როცა ერთმორწმუნე რუსეთს ჯერ აშკარა დახმარების გაწევა არ ძალუძდა, თეიმურაზ მეფეს კაპიტანმა ლვოვმა ჩააგონა, თვით კაპიტან ლვოვს კი ეს საქმეში ღრმად ჩახედულმა და შორსმჭვრეტელმა სანკტ-პეტერბურგელმა მოხელეებმა დააბარეს.

სოლომონს დაუფარავი აღტაცება მოჰგვარა თეიმურაზ მეფის სახარბილო წინადადებამ და თანხმობაც უმალვე განაცხადა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ნადიმად დასხდომის წინ ცოლისძმა კაცია დადიანის ძეს, დედოფალ მარიამს, ბატონიშვილებს — იასესა და არჩილს, კათალიკოს ბესარიონს, ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძეს და გიორგი წულუკიძეს ეთათბირა, მწარედ ინანა, ნეტავი მეხი დამცემოდა და ასე არ ავჩქარებულიყავიო.

ქართლისა და კახეთის მეფეებთან აშკარად შეხვედრასა და მათთან მოლაპარაკების გამართვას ცალკერძ ოსმალეთი და ცალკერძ სპარსეთი თავიანთ შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნევდნენ და შეხვედრის ზურგსუკან რუსეთის ხელსაც ადვილად აღმოაჩენდნენ.

მაშ, თეიმურაზისათვის რა შეეთვალა? როგორმე მოვახერხოთ და ერთმანეთს საიდუმლოდ შევხვდეთო? შუბი, სულ ერთია, ხალათში არ დაიმალებოდა. საქართველო კიდით კიდემდე სავსე იყო უცხო თუ შინაური გამცემლებით და სამი მეფის სადმე შეხვედრას მათ აბა რა გზით გამოაპარებდი! აჯობებდა, თუ მოიცდიდნენ და სათათბიროდ თავშეყრას მომავალ ზაფხულამდე მაინც გადასდებდნენ. ამ რამდენიმე თვეში, რაც ზაფხულამდე რჩებოდა, ბევრი რამ იყო მოსალოდნელი. დასავლეთში, შესაძლოა, ომი დაეწყოთ და თუ ოსმალეთიც ამ ომში აღმოჩნდებოდა ჩარეული, ის, რაღა თქმა უნდა, იმერეთისათვის ვეღარ მოიცლიდა და ქართველებსაც ხმალზე უნდა გაესვათ ხელი.

მარიამ დედოფალი მიზეზობდა. ქალიშვილობაშივე ცხენოსნობასა და შორეულ მგზავრობას შეჩვეულ კოლხ ასულს გზამ გულზე ზაფრა გადაჰყარა. ახალ-ახალმა შთაბეჭდილებებმა, გარემოს მეტად თავისებურმა სილამაზემ და შემოდგომის მსუყე ფერებმა, ასე რომ აგონებდნენ მშობლიურ ოდიშს, გაართო, სულის მხნეობა ჩაუნერგა და თითქოსდა ტალღებში მოქანავე გემის ერდოზე გატარებული ავად მოსაგონარი ღამეები გადაავიწყა. სანადიმო სუფრაზე, რომლის თავშიაც ის სოლომონსა და მეფის აღმზრდელ გიორგი წულუკიძის შორის იჯდა, დიდხანს ვერ მოიცადა. საჭმლის დანახვა, თვით ისიც კი, სხვები რომ ასე ხარბად და მადიანად შეექცეოდნენ, გუნებას უმღვრევდა და თვალებს უჭრელებდა.

გიორგი წულუკიძეს გულმა უგრძნო, ქალს რაღაც აწუხებსო, მოუბრუნდა და ჩურჩულით ჰკადრა:

— თქვენო უდიდებულესობავ, დედოფალო, უქეიფოდ ხომ არ შეიქენით?

მარიამმა თავი დაღუნა, ვითომ გმადლობთ, არა მიშავს რაო. ახლა ყველა ქალს უყურებდა, გულში, ვინ იცის, სამუდამოდ დაკარგულ თინათინსაც ადარებდა და ოდიშის მთავრის ასულის დიდრონ, ჭკვიან თვალებში ცოლ-ქმრული საიდუმლოს ამოკითხვას ლამობდა. ცნობისმოყვარეთა შორის თვით რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებული კაპიტანი ლვოვიც იყო. ლვოვმა ჩხერის ციხეში მოსვლამდე იცოდა სოლომონის თავგადასავალი, იცოდა, იმერეთის ახალგაზრდა მეფეს ოტია დადიანის სამხედრო დახმარება რა ძვირი დაუჯდა

და ახლა უნებლიეთ სურდა შეეტყო, რა განწყობილება სუფევდა წმინდა წყლის ანგარიშით შეუღლებულ ცოლსა და ქმარს შორის, უკვე შესჩვეოდნენ თავიანთ ბედს, თუ ორივეს თავისი ცალკე საფიქრალი გასჩენოდა.

მეფე ადგა, თანამეცხედრეს იდაყვში ხელი ამოსდო, წამოდგომაში მოეხმარა და მასთან ერთად უსიტყვოდ გაემართა ციხის ჩრდილო-დასავლეთ კოშკისაკენ, რომელშიაც ხოსია კლდიაშვილის კაცებმა მწყალობელ მეფესა და დედოფალს მოფარდაგებული ბინა გაუმართეს.

მთელი ნადიმი ისე ჩატარდა, სოლომონს წვეთი ღვინო ყელში არ გადაუშვია. ორ-სამ სიტყვას იტყოდა, თასს პირთან მიიტანდა, ტუჩს ოდნავ შეახებდა და ისევ დადგამდა. ქეიფისა და დროსტარების გუნებაზე სუფრის არც სხვა წევრები იყვნენ. კაცია თავიდანვე ეკლებზე იჯდა და წასვლას ჩქარობდა. როგორც ყველას გასაგონად თქვა და რამდენჯერმე გაიმეორა, მოპატიჟებით ესარგებლა და აქ სიძე-ბატონთან გამოსამშვიდობებლად ამოსულიყო. ზუგდიდიდან ოტიას ჯანმრთელობის გაუარესებას იტყობინებოდნენ და თუ ბატონი მეფე საწყენად არ მიიღებდა, აწი მის ლაშქარს შინ წასვლა აღარ ეგვიანებოდა.

დედოფალმა ძმას თვალი მოარიდა. როგორ ახერხებდა კაცია ამგვარ პირმოთნეობას? ნუთუ დაავიწყდა, რომ მისი შერცხვენის მოწმე თვით ღვიძლი და, მარიამი იყო, რომელიც ამავე სუფრას უჯდა?

სოლომონს ორჭოფული გრძნობა დაეუფლა. მას ერთის მხრივ კიდევაც ახარებდა, რომ ოდიშარ-აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრისაგან, რომელმაც გამარჯვება მოუტანა და დაკარგული ტახტი დაუბრუნებინა, როგორც იქნა, თავს აღწევდა და, მეორეს მხრივ, შიში იპყრობდა, ვინაიდან დღეის ამას იქით ისევ მარტოდმარტო რჩებოდა შინაური შფოთისთავებისა და გარედან ყოველ წამს მოსალოდნელი საფრთხის წინაშე. დგებოდა მოხერხებული წუთი თეიმურაზ ბატონიშვილის ძველი ნატვრის შესასრულებლად. ტახტის მოცილე გათათრებულ უფლისწულს ფაშა ახლა მაინც მისცემდა ჯარს და აჩიკ ბაშთა ქვეყნის დასაპყრობად და გაურჩებულ ქრისტიანეთა დასასჯელად გამოისტუმრებდა. თუ ცა ჩამოიქცეოდა და ეს მართლა ასე მოხდებოდა, თავისი საკუთარი ძალების ანაბარა დარჩენილი სოლომონი ორცეცხლშუა მოექცეოდა. ზურგში მას ტახტის მაძიებელი თეიმურაზის სულძაღლი სიმამრი როსტომ რაჭის ერისთავი დაჰკრავდა და მეფის ერთგული თანამდგომების სისხლში ხელებს დაიბანდა.

„რადაც არ უნდა დამიჯდეს, ერისთავი უნდა შემოვირიგო, — ფიქრობდა მეფე. — მამად სახადი ჩემი სიმამრი ნამდვილად მართალია, როცა ამას მირჩევს. დღესდღეობით ერისთავთან ომს, რასაკვირველია, მისი შემორიგება ჯობს. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა, ლბილისა! ხომ შეიძლება, ვერც მოვერიო და მთელი ქვეყნის წინაშე თავს ლაფი დამასხას. განა ასე არ დამარცხდა ბაბუაჩემი გიორგი მეფე ბეჟან დადიანთან ომში? თუ ერისთავს ძალით ვერ დავიმორჩილებ და უკან კუდამოძუებული გამოვბრუნდებოდი, მაშინ ერთგულნიც გაორგულდებიან და ქვეყანა ისე აირევა, ძაღლი პატრონს ველარ იცნობს!"

მან აქვე გადაწყვიტა, როსტომ ერისთავისათვის როგორმე ეგრძნობინებინა, რომ მისადმი მტრული განზრახვა გულში არ ედო. პირიქით, მადლიერიც კი იყო, რომ არეულობის ჟამს როსტომი საერისთაოში ჩაიკეტა და ქვეყნის ორგულთა მხარში არ ამოუდგა. ტახტის მოცილე ბატონიშვილთან დამოყვრებას სოლომონი არასოდეს აღარ გაახსენებდა, თუ მომავალში როსტომი თავის ვაჟკაცურ სიტყვას არ გასტეხდა და როგორც ლიხთიმერეთის სარდალი და ვიპატოსი, რაჭისა და ლეჩხუმის სადროშოს შეუდრეკელი წინამძღოლი, ტახტს სიმართლით ემსახურებოდა.

სოლომონი გაფაციცებული ეძებდა გზებსა და საშუალებებს, რითაც თავის დაუმდაბლებლად შესძლებდა შემორიგების მოსურნე ერისთავთან ზავის ჩამოგდებას.

გამიზეზებული დედოფალი კოშკის კარამდე მიაცილა, იქ ზღურბლზე გამოგებებულ მოახლეებს ჩააბარა და თავისი საზრუნავით შეპყრობილს სიტყვაც არ უთქვამს, მაშინვე უკან გამოტრიალდა. სუფრა უკვე აშლილი დაუხვდა. მონადიმეთ აღარ ეგონათ, ალბათ, თუ ბატონი მეფე კვლავ მობრუნდებოდა. გათენება მოახლოებული იყო. სოფლიდან მამლების ყივილი ისმოდა.

თამაზა მესხმა და ციხის მოურავმა ხოსია კლდიაშვილმა კაპიტანი ლვოვი დიდი პატივით მოასვენეს საგანგებოდ მისთვის გამართულ სადგომში და მერე ისევ მოაშურეს სუფრას, რომელსაც უკვე ალაგებდნენ სოფლიდან დაბარებული გლეხის დედაკაცები. ციხიდან დიდებულები და სარდლებიც თანდათან გაიკრიბნენ და თვალის მოსატყუებლად თავ-თავიანთ სალაშქრო კარვებს მიმართეს. ციხეში მხოლოდ მეფის უახლოესი ნათესავები — გენათელი მიტროპოლიტი იოსები და ბატონიშვილი არჩილი დარჩნენ.

გამორჩეულად საყვარელი ნაბოლარა ძმა, არჩილი, რომელიც ამდენი ხანი იყო აღარ ენახა და ასე ენატრებოდა, მეფეს საკვირველად გაზრდილი, დავაჟკაცებული და ჭკუაში ჩავარდნილი ეჩვენა, თუმცა ასაკით არჩილი კვლავ ბავშვი იყო, ჯერ თოთხმეტი წელიც არ შესრულებოდა. ამისდა მიუხედავად, ყმაწვილი ბატონიშვილი ტოლებისაგან ასაკისათვის შეუფერებელი სიდინჯით, სიდარბაისლითა და თავშეკავებით გამოირჩეოდა. ძმაში სოლომონი თავის ფარულ მეტოქეს ხედავდა, ხედავდა მხოლოდ წამიერად, წამიერი გაელვებით, გრძნობდა, რომ ეს ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი იყო და ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა, მაგრამ არჩილის ყოველი დანახვა, გახსენება, ის წრფელი თუ პირფერული მოწიწება, რომლითაც დიდებულები და მდაბიონი ჭაბუკს ეპყრობოდნენ, გულში ძალაუნებურად ეჭვის ჭიას ულვიძებდა.

ბოლოსდაბოლოს, არჩილი მართლაც აღარ იყო ბავშვი. ქართველთა პირველი ქართლოსიანი მეფე ფარნავაზ მწიგნობარი, რომელსაც ლეონტი მროველი იხსენიებს თავის მატიანეში, ამდენისაც არ იქნებოდა, წინაპართაგან დაფლული განძი რომ იპოვნა, განძის საფასურით დიდძალი მხედრობა შეკრიბა და ქვეყანას დაპატრონებულ სპარსელებს კუდით ქვა ასროლინა.

ადრე თუ გვიან, უკეთუ სოლომონი ისუსტებდა და უმცროს ძმას მამულის წრფელ სიყვარულს ვერ ჩაუნერგავდა, არჩილს მტრები გადაიბირებდნენ, ტახტზე აყვანის იმედს მისცემდნენ, სიბავშვით თვალებს აუბამდნენ და მოსიყვარულე ძმებს შორის სამუდამო დოყს ჩამოაგდებდნენ. თუ უკვე გვიან არ იყო, სოლომონს ახლავე უნდა მიეღო რაიმე გონივრული გადაწყვეტილება, რითაც ძმას მრუდე გზაზე შედგომისაგან ერთხელ და სამუდამოდ დაიხსნიდა. უპირველეს ყოვლისა, არჩილისათვის საუფლისწულო მამული უნდა გამოეძებნა და ძმა ახლავე გაეგზავნა იქაურობის მისაპატრონებლად. აბაშიძეების ნაქონი არგვეთი ამიერიდან სახასოდ, ანუ ტახტისადმი დაქვემდებარებულ კუთხედ, მეფის მამულად ცხადდებოდა. კაცხში სოლომონი თავის მოურავს დასვამდა. როგორც მეფესა და აბაშიძეების სახლიშვილს, მას ამის სრული უფლება ჰქონდა. ჯერ ერთი, ტახტის მოღალატე ლევან აბაშიძის უფროსი შვილიშვილი და, მაშასადამე, მემკვიდრე იყო, მეორეც: შერისხული ქვეშევრდომის მიწა და უძრავ-მოძრავი ქონება დასტურლამალისა და ვახტანგის სამართლის წიგნის თანახმადაც, ყოველთვის მეფის საკუთრებაში გადადიოდა ხოლმე.

სოლომონმა გულში ამოიჭრა: არგვეთის ერთ-ერთი დიდი, მოსავლიანი,

ტყითა და სათიბ-საძოვრებით მდიდარი, საბოსტნე-სავენახე, მომხვდური მტრისათვის ძნელად მისადგომი. წყლითა და ჰაერით ფრიად სანაქებო სოფელი ნავარძეთი, ლევან აბაშიძის გოროზი მამის, გიორგი აბაშიძის გარჯით აშენებული სასახლითა და კარის ეკლესიითურთ, ბატონიშვილ არჩილისათვის საუფლისწულო მამულად ებოძებინა და საბოძვრის სიგელიც დაუყოვნებლივ შეედგინა.

ნავარძეთში მიწისძვრებითა და ჟამთა სიავით დაქცეული, ეკალბარდებით გადავლილი და დღეს თითქმის გამოუსადეგარი ციხეც იდგა. თუ მეფისაგან სათანადო შემწეობას ვერ მიიღებდა, ნავარძეთის მფლობელ მებატონეს საკუთარი სახსრებით ამ ციხის შეკეთება-აღდგენა არ შეეძლო. ამიტომაც სოლომონი განგებ აუვლიდა გვერდს ხსენებული ციხის გამო რისამე თქმას. მეფე ჯერჯერობით კაცს-სულიერს არ უტყდებოდა, თუ დროთა განმავლობაში თავადების მიერ მიტაცებული ან ომსა და შინაურ გაჭირვებაში დაუძლურებულ მეფეთაგან იძულებით გასაჩუქრებული ციხეების დაკავებას თავად აპირებდა, რათა ყველგან საკუთარი მეციხოვნე ჯარი ჩაეყენებინა და ქვეშევრდომთა ახალი განდგომის ყოველი გზა წინასწარვე მოეკვეთა.

ამ ერთადერთი გონივრული ზრახვის საჯაროდ განცხადება ჯერ მეტისმეტად ნაადრევი იყო. მეფის ერთგული თავადები, ტახტის საყრდენნი და ბურჯნი, უხსოვარ დროს მიუვალ ადგილებში აშენებულ და შემდგომ საიმედოდ გამაგრებულ ციხეებს რომ ფლობდნენ და თავიანთ საშვილიშვილო საკუთრებადაც მიიჩნევდნენ, იწყენდნენ, ეს დალოცვილი, როცა ჩვენი შემწეობით მოძლიერდა და ფრთები გაშალა, მადლობის თქმის მაგიერ აქეთ მოგვიბრუნდა და მთლად დაყმობას გვიპირებსო? იწყენდნენ, ერთმანეთს დაუკავშირდებოდნენ და ძლივს წალმა მობრუნებული ქვეყნის საქმე ისევ უკუღმა წავიდოდა.

— თქვენ რაღას უცდით, იასე, აღარ იძინებთ? — მიმართა სოლომონმა შუათანა ძმას, რომელსაც ბერული შავი კაბა წამოეხურა, ციხის ქონგურზე ჩამომჯდარიყო და ღამის ბინდბუნდში ბატონიშვილ არჩილს ხევგაღმა რაღაცას აჩვენებდა.

ასე ახლოს მისული გვირგვინოსანი ძმა რომ დაინახეს, იოსები და არჩილი უსიტყვოდ წამოდგნენ და მოწიწებით თავი დაჰხარეს.

— რაღას უდგახართ აქ, გათენდა, როდისღა უნდა დაიძინოთ?

მეფე ამ სიტყვებით ძმებს შუაში ჩაუდგა, ორივეს ხელი მოჰხვია, გულზე მიიხუტა და ჯერ ერთს აკოცა შუბლზე, მერე მორეს.

— შენ გიცდიდით, ბატონო, — მორიდებით მიუგო არჩილმა და თითქოს თავისივე ნათქვამის გამო შერცხვაო, თავი დაჰხარა.

უფროსმა ძმამ, მეფემ, ოდნავ უკან დაიხია, ისე კი, რომ კისერზე შემოხვეული ხელი არ გაუშვია და ნაბოლარას თავიდან ფეხებამდე აჰხედ-დაჰხედა.

— როგორა ხარ, არჩილ, რამხელა გაიზარდე, ბიჭო!

ახალგაზრდა ბატონიშვილმა ისევ დაიმორცხვა, თავის საფიცარ, საამაყო უფროს ძმას არაფერი უპასუხა.

— შენ რასა იქ, იასე? — სოლომონი ახლა იოსებს მიუბრუნდა. — ხომ არაფერზე მიჯავრდები?

იოსებმა, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, ჯიქურ შეხედა, ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და ძმას თვალი თვალში გაუყარა.

— შენ მაგას ისე მეკითხები, სოლომონ, თითქოს თავადვე გრძნობდე...

— იმ დაწყევლილი ღამის შემდეგ, ხოტევის ციხეში რომ გავათიეთ, მე და შენ საგულდაგულოდ აღარ გვილაპარაკია.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ძმაო, ნუ წუწუნებ და ნუ საყვედურობ. რაც მოსახდენი იყო, მოხდა და იმას ადამიანიშვილი ვეღარ შესცვლის. ღმერთს მადლობა შევწიროთ და ვადიდოთ მისი

სახელი! — იოსებმა ფერგამკრთალი ვარსკვლავებით მოჭედილ, უსაზღვროდ მაღალ ცას აჰხედა და პირჯვარი გადაისახა. — წრფელი ლოცვა და ცოდვების გულმართალი მონანიება მოგვანიჭებს შვებას, განწმენდს ჩვენს სულს უკეთური ცდუნებისაგან.

სოლომონი მიწას ჩააშტერდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და ძმებს სახეს არიდებდა. არ უნდოდა, ეს ცრემლები, უსასოობისა და უმწეობის ნიშანი, არჩილისა და იოსებისათვის დაენახვებინა. უმცროსი ბატონიშვილი აიბუზა. მასაც ცრემლების ტბორი ჩასდგომოდა თვალებში. ახლა სამივე ძმის მშფოთვარე ფიქრი სადღაც შორს შეერთდა და ერთ არსებას შეეხო, ვისი სახელის ხმამაღლა წარმოთქმა, მითუმეტეს მეფის თანდასწრებით, უკლებლივ ყველას ეკრძალებოდა. სოლომონმა ისევ მოჰხვია მკლავები ძმებს და ორივე გულზე მიიხუტა. ერთხანს ასე იდგნენ გარინდულები და თითქოს ერთიმეორის გულისძგერას უსმენდნენ, ბოლოს კვლავ იოსებმა დაარღვია წუთიერი მყუდროება და უფროს ძმას შეჰბედა:

— ბარემ მოგვესვენა, სოლომონ, დედოფალი, ვინ იცის, გელის და ჯერ თვალი არ მოუხუჭავს. ბევრი, ბევრი, ერთი საათი და გათენდება. ყველა ალღე ვართ ასადგომი. მტერსა და მოყვარეს პასუხი უნდა გავცეთ.

მეფემ სახე სულ ახლოს მიუტანა და ძმას თვალებში ჩააცქერდა.

— მეტს არაფერს მეტყვი? მე სულ ველი, იასე, შენ კი..

მიტროპოლიტმა ხელი გააშვებინა, შორს დაიჭირა:

— ცოდვას ნუ ჩადიხარ, სოლომონ და მეც ცოდვაში ნუ მხვევ. სჯულიერი მეუღლის ღალატს ცაც კრძალავს და კაციც!..

სოლომონს ცეცხლი შემოეგზნო, ხმა აუკანკალდა:

— ნუ ჩამითვლი ღალატად ამას, იასე, — მუდარით მიმართა ძმას. — ღმერთმა იცის. ერთი სიტყვა მაინც მითხარი, ჩვენს ძმობასა და მამის სულს გაფიცებ, მარტო ერთი სიტყვა! რომ გამოემშვიდობე, რა თქვა, რა დაგაბარა?

მიტროპოლიტმა კოპები შეჰყარა, მეფეს სახე მოარიდა, თუმცა იგრძნო, ახლა არც პასუხის გაუცემლობა ან სიტყვის ბანზე აგდება ივარგებდა. სოლომონი ზომაზე მეტად აღგზნებული და აფორიაქებული იყო. კუშტად ისროლა:

— არ გამოვმშვიდობებივარ!

მეფე შეტოკდა, თითქოს გულის ფიცარი შუბით შეუნგრიესო, სახეჰ სულ ლაპლაპი დაუწყო, იოსებს მკლავში ხელი სტაცა, მოუჭირა და შეანჯღრია.

— რას ამბობ, როგორ თუ... — მეტი ველარ შესძლო, ყელში ნერწყვი გაუშრა.

— თავად არ ინდომა, ძმაო, — გაუბედავად მიუგო მიტროპოლიტმა და შეეცადა, ამავე სიტყვებით, თუკი ეს შესაძლებელი იყო, ნუგეში ეცა. — წინამძღვრის პირით შემომითვალა.

მეფე მთლად გაშმაგდა, დასაბმელს დაემსგავსა, პირიდან ცეცხლს ჰყრიდა:

— რატომ არ აიძულე წინამძღვარი, რომ უკანასკნელად ეჩვენებინა, მე ხომ შეგეხვეწე...

იოსებმა საგულეში ქვა ჩაიდგა და მეფეს დინჯად უპასუხა:

— შენ როგორც შემეხვეწე, ძმაო სოლომონ, მაღალი ღმერთია მოწამე, ყველაფერი ისე მოვაგვარე. არც მე და არც შენს კაცებს თავი არ დაგვიზოგია. ჩემგან არ გესწავლება: დღეს ორწილ და სამწილ მეტი სიფრთხილე გმართებს. მტერიფხიზლობს, არძინავს. უსულო ქვასაც ყურები აქვს გამობმული. ყოველი ჩვენი სიტყვა შეუძლიათ ხელზე დაიხვიონ და მოყვარე მტრად გადაგვკიდონ. შენ იცი, სოლომონ, ამას როცა ვამბობ , ვის და რას ვგულისხმობ. ჩვენი წმინდათა-წმინდა, — იოსებმა თინათის სახელი არც ახლა ახსენა. — სულითა და ხორცით მარად უხრწნელ არსებას შეუერთდა. ასეთი

იყო, ალბათ, ღვთის ნება. თუ დღეს სადმე ცოცხალია — ღმერთო, სასუფეველი მოუპოვე მის სულს! — შენთვის და შენი ტანჯული ერისათვის გულმხურვალე ლოცვას აღავლენს. ჩვენც ვილოცოთ მისთვის და მისი პირმშოსათვის, მოვიხსენიოთ საუკუნოდ სახსოვარი მათი სახელები ჩვენს ლოცვებში!..

მიტროპოლიტს ხმა გაუწყდა, თვალები მოენისლა. სოლომონი გაქვავებული იდგა და სადღაც შორს იყურებოდა. არჩილი ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, ძლივს გასაგონად სლუკუნებდა. ბოლოს სიჩუმე კვლავ მეფემ დაარღვია და იოსებს ჰკითხა:

— რა ისმის ხინოწმინდიდან?

— ახალი არაფერი, — მიუგო მან, მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია. — ჩვენი მამიდის ქმარი მამუკა თავდგირიძე იტყობინება ქობულეთიდან, ღამის მეკობრეებმა გლახაკთა თავშესაფარი, წიგნსაცავი და ქსენონიც კი გადასწვეს, რის წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, სხვა ყველაფერი მიწასთან არის გასწორებულიო.

— ხინოწმინდელი მიტროპოლიტი სად იყო ამ დროს?

— ყოვლად სამღვდელო მიხეილი მცირე ამალით ჯუმათში ბრძანებულა და ეს თავზარდამცემი ამბავი იქ შეუტყვია.

სოლომონი დაფიქრდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ იკითხა:

— როგორ გგონია, იასე, ვისი ხელის საქმეა ეგ?

— მტერი ბევრი გვყავს, სოლომონ, აწი და აწი კიდევ მეტი გვეყოლება.

— აგარიანის ნამოქმედარს რომ არა ჰგავს?

— აგრე რატომ გგონია?

— აქამდეც ხომ შეეძლოთ ეგ საქმე ექნათ, რაღა იმ უბედურის იქ მიყვანას დაუდარეს მონასტრის აკლება?

— ურჯულოს დაცემა ყოველთვის მოსალოდნელი იყო.

— მე მაინც ვეჭვობ, იასე, მაგ საქმეში სხვა ხელი ურევია, მაგრამ ჯერ საბუთი არაფერი მომეძევება და ჩემი ეჭვი ხმამაღლა ვერ გამიმხელია.

— არ გირჩევ კვალის მოძებნას, ძმაო სოლომონ. ქვეყნის თვალს არაფერი დაემალება, სხვანაირად ჩამოგართმევენ. რა იცი, შენი თქმისა არ იყოს, იქნება განზრახაც მოაწყეს, რომ თავგზა აგვებნიონ, საქვეყნო საქმეს მოგწყვიტონ და დადიანთანაც წაგაჩხუბონ? გონიერება გამოვიჩინოთ, ვაგლახად მტრის ანკესზე ნუ წამოვეგებით!

— მეც მაგას ვფიქრობ სწორედ და გულსაც სწორედ ეგ მიკლავს, რომ ხელის განძრევა არ შემიძლია, ნება არა მაქვს, — სოლომონი დადუმდა, გულხელი დაიჭდო და ერთხანს სადღაც შორს, ცის დასალიერის იქით იყურებოდა, მერე ერთბაშად შემობრუნდა და, თითქოს წამით შეწყვეტილ მშვიდობიან საუბარს განაგრძობსო, უმცროს ბატონიშვილს მიმართა: — ძმაო არჩილ, ჯერ ხომ არ აპირებ საუფლისწულო მამულში წაბრძანებას?

არჩილმა თვალები დააჭყიტა. ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ.

— ნავარძეთის ბატონს ვახლავარ! — შესცინა მეფემ და მხარზე ხელი დაჰკრა. — იქაური ყმა-მამაული, ციხე, სასახლე და კარის ეკლესია შენთვის მიბოძებია, ღმერთმა მოგახმაროს! ჩვენგან, სანამ ჩემი ერთგული იყო, არა გადასახადი არ გეკითხებოდეს, არცა თეთრი და არცა პურღვინისა და საკლავის წილ, მხოლოდ როცა გაგვიჭირდეს და მტერმა შეგვავიწროვოს, ანდა უცხოთა ქვეყანაში სალაშქროდ მივდიოდეთ, დაგიძახებ თუ არა, ჯარი მომაშველე და თავად წინ წამოუძეხი!

ნაცვლად იმისა, რომ გახარებული და მადლიერებით ალსავსე გვირგვინოსან ძმას ყელზე შემოჭდობოდა, არჩილი ბეღურასავით აიბუზა და თვალები ცრემლებით აევსო. სოლომონს ეს არ შეუმჩნევია, ტუჩებზე ცივმა ღიმილმა გადაურბინა. ახლა ის მოსიყვარულე და გულთბილი ძმა კი არა, ქვეყნის წარბშეუხრელი მპყრობელი იყო, რო-

მელიც შინაურ თუ გარეშე მტერს უმალ თავს შეაკლავდა, ვიდრე ცოცხალი თავით ზურგს უჩვენებდა და უკან დაიხევდა.

— მაგრამ სანამ სიგელს შევადგენდეთ და გზას დაგილოცავდეთ, — უთხრა არჩილს. — მცირე სათხოვარი მაქვს და, შენს გაზრდას, ყური კარგად დამიგდე.

— გისმენ, სოლომონ, — ძლივს დასძრა ხმა ყმაწვილმა. ის ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყო, ძმის წყალობა მართლა წყალობად მიეღო თუ თავიდან მოშორების ნაცად ხერხად მიეჩნია.

— მე უკვე გადავწყვიტე, რაჭის ერისთავი შემოვირიგო და როსტომსა და მის სახლს უკლებლივ შევუნარჩუნო ყველა პატივი, რაც აქამდე ჩვენმა მამამ და პაპამ მიაგეს, ისევ დავამტკიცო ერისთავად!

— ეგ როგორ, სოლომონ? — წამოსცდა არჩილს და უფროსმა ძმებმა ახლა პირველად დაინახეს, რომ მათ წინაშე უკვე ჩამოყალიბებული, ზრდადასრულებული პიროვნება იდგა, ვისაც ქვეყნის ავ-კარგი და ჭირ-ვარამი მათზე ნაკლებ არ გაეგებოდა. — მოღალატე ერისთავის შემორიგება როგორ შეიძლება, დარბაზის ერი მაგას არ მოგიწონებს!

— ვერაფერ შეუძლებელს მე აქ ვერ ვხედავ! — შეაწყვეტინა პატარა ძმის უეცარი გაფიცხებით და აპილპილებით ნასიამოვნებმა სოლომონმა, მაგრამ ეს თავისი სიამოვნება არაფრით გამოუხატავს, სახეზე კვლავ მიუკარებლობის ნიღაბი აიფარა. — ხოლო რაც შეეხება დარბაზის ერს, ახლა რომ ახსენე, მე იმას რჩევას ვეკითხები, გადაწყვეტით კი საქმეს მე ვწყვეტ, ვინაიდან ღვთისა და ერის წინაშე პასუხისმგებელი მე გახლავარ. აქამდე ასე იყო და ამიერიდანაც, თუ ღმერთმა დაგვაცალა, ასე იქნება. ერისთავს არცთუ ისე დიდი დანაშაული მიუძღვის, ვიდრე თავად ვსახავთ და გვეჩვენება. თუ ის ერთხანს შეთქმულთა შორის აღმოჩნდა, კარგად იცით, მაშინ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, დღეს როსტომი ჩვენთან შემორიგების მოწადინეა და მიუხედავად დიდი წყენისა, რაც მოგვაყენა, მე ხელს ვერ ვკრავ.

სოლომონის გადაწყვეტილება იმდენად უცხო და მოულოდნელი აღმოჩნდა, ძმები სახტად დარჩნენ, უცებ ვერც კი დაიჯერეს, მათ სცდიდა თუ ამას მართლა ამბობდა. იოსებმა აქამდე ყურმოკრულად იცოდა, რომ ერისთავისა და მეფის შერიგებას მთელი თავისი გავლენით ესწრაფვოდნენ უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი და ოდიშის მთავარი ოტია დადიანი, მაგრამ არ ეგონა, თუ გულაღრენილ სოლომონს რითიმე დაითანხმებდნენ და ძველ გადაწყვეტილებაზე, რაჭა ცეცხლითა და მახვილით დაეკავებინა და საერისთავო სამუდამოდ მოეშალა, ხელს აალებინებდნენ. იქნებ მეფე სრულიად სხვა, იოსებისათვის უცნობი მიზეზის გამო მოქმედებდა ასე და გუშინდელ მტერთან დაზავებით, მტერთან, რომელიც აშკარა თუ ფარულ მტრობას არც შემორიგების შემდეგ მოიშლიდა, უფრო დიდი უსიამოვნების თავიდან აცილებას ლამობდა?

შუათანა ძმაზე არანაკლებ გაკვირვებულმა და შეფიქრიანებულმა არჩილმა მზერა მეფეზე შეაჩერა. ყმაწვილს ვერც ის გაეგო, თუ რამ მიაღებინა სოლომონს ეს უცნაური გადაწყვეტილება და ვერც ის, თუ თვით მას, არჩილს, რას სთხოვდა, რის გაკეთებას ავალებდა.

— როსტომს კარის ეკლესია მოუთავებია ბარაკონზე, — თქვა მეფემ. — კურთხევაზე მთელი საქართველოს სამღვდელოებას და დიდძალ ხალხს ეპატიჟება. ჩვენი გამოკლება არ ეგების...

არჩილი და იოსები პირში შეაჩერდნენ. თავშეკავებული მოუთმენლობით ელოდნენ, კიდევ რას ბრძანებდა გვირგვინოსანი ძმა.

— დაგვდე პატივი და ჩვენი სახე-

ლით გადადი რაჭას, შესაწირავით ხელი დაიმშვენე და საყდრის კურთხევაში მონაწილეობა მიიღე. ბრწყინვალე ამალას შევკრებთ, ბერძნის მიტროპოლიტს და მისიონერ პატრებსაც გავაყოლებთ. უფრო დიდ სამსახურს ვერაფრით გაგვიწევ.

— მე, სოლომონ? — ჰკითხა არჩილმა, რადგან მეფე მას მისჩერებოდა.

— ჰო, შენ. აქედან სხვებიც იქნებიან. უპირველეს ყოვლისა, მისი უწმიდესობა კათალიკოსი ბესარიონი, როსტომის ძმა... შენ კი, იასე, — მეფე ახალგაზრდა ბატონიშვილის თანხმობას აღარ დაელოდა, მიტროპოლიტს მიუბრუნდა. — უნდა მოემზადო, ახსენო ღმერთი და დღეს თუ არა ხვალ, შორ გზას გაუდგე.

იოსებმა კოპები შეიკრა.

— ფაშასთან?

— არა, ქართლში, თეიმურაზი უნდა ინახულო და...

მეფემ ორიოდე სიტყვაში სცადა ქართლისა და კახეთის ბატონებთან შეხვედრისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვა.

— სოლომონ, — შეაწყვეტინა მიტროპოლიტმა. — გულახდილად გვითხარი, რას აპირებ. მე — ქართლში, არჩილი — რაჭაში! იქნებ ცოდვას ჩავდივარ, მაგრამ მოსვენებას მიკარგავს აზრი, რომ რაღაც ბოროტი განგიზრახავს, რასაც ჩვენ, შენი ძმები, არ უნდა დავესწროთ. ასეა? თვალებში შემომხედე! შენ ტყუილი არასდროს არ გემარჯვებოდა. თუ ჩვენი ძმობა გწამს...

სოლომონს საქციელი წაუხდა, მტკიცების სიფიცხე გაუნელდა, ბავშვივით გაწითლდა.

— თქვენ არ მომიკვდეთ... — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა.

გენათელი მიტროპოლიტი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა და ცდილობდა მისი მზერა დაეჭირა.

— პირობა მოგვეცი, — უთხრა მცირე ყოყმანის შემდეგ. — დაგვპირდი, რომ ბატონ დედას ბედს ჩვენს მობრუნებამდე არ გადაწყვეტ.

— მომიცია! — გმინვასავით აღმოხდა სოლომონს.

იოსებმა გულზე დაკიდებულ ჯვარს ხელი მოავლო და მეფის წინ აღმართა.

— დაიფიცე!

სოლომონმა თავი დახარა, საკუთარ გულთან ბრძოლით მოღლილმა პირჯვარი სასოებით გადაიწერა და ყრუდ წარმოთქვა:

— ვფიცავ!..

## თავი ოცდამერვე

ძალზე დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც არგვეთის პატარა ქალაქ ჩხარში ამოდენა ბაზრობა და ხალხმრავლობა აღარავის ენახა. მყიდველგამყიდველთ თუ თვალის სეირის მოყვარულთ გვიანი შემოდგომის უჩვეულოდ მზიანმა დარმაც ხელი შეუწყო და ქალი და კაცი, მოხუცებული და ახალგაზრდა გარეთ გამოჰფინა. თავისი საქონლის გასაღებას დანატრებულმა შრომელმა მეჭურჭლეებმა ჩხარს შაბათ ღამეს მოაღწიეს და უშველებელ ჯალამბრებში ოსტატურად ჩაწყობილი ჩაფებისა და დერგებისათვის, ყელმოხატული დოქებისა, ქოთნებისა, ყელწვრილი სურებისა და სხვადასხვა ზომის თონეებისათვის ხელი არ უხლიათ, ურმები წყლის პირას, კარტნებში დააყენეს, საგორავები შეულაგეს და ხარები გამოუშვეს. ცოტა უფრო მოგვიანებით ძევრულის ხიდზე ვეებერთელა ჩასავალი ქვევრებიც გადმოატარეს. დილას ბაზარში უამრავი პირუტყვი და წვრილფეხი შემოვიდა.

ვინ იფიქრებდა, თუ ამდენი ჭირისა და ვაების გადამტანი, წლის ყოველ დროს მიუვალ მთებში გახიზნული და ხალხისაგან დაცლილი ქვეყანა კიდევ ასე ღონიერი იყო. ჩხარისაკენ მიმავალ გზებსა და ბილიკებზე დიდი და პატარა, ცხენოსანი და ქვეითი გამწკრივდა. ფერი ფერს შეეცილა, ხმა — ხმას, ძახილი — ძახილს. მეზობლები, ნათელმირონები, შორეული მოკეთეები თუ მოყვრები ერთმანეთს გახარებული მიესალმნენ, ანჯღრევდნენ და მოიკითხავდნენ. ერსა და ბერს, ვაჭარს თუ ხელოსანს პირზე ახალი სასიხარულო ამბები ეკერა. ამ ამბებიდან, როგორც წესია, ზოგი მართალი იყო, სხვებს აზვიადებდნენ, პირვანდელ სახეს უცვლიდნენ და ისე ჰყვებოდნენ, როგორც ხალხის სულსა და გულს ემებოდა. გაიღო სამჭედლოები და სახარაზოები, სადალაქოები და სამიკიტნოები. დაბალებმა და თერძებმა, ოქრომჭედლებმა და ფეიქრებმა, მექვაბეებმა და მეუნაგრეებმა თავ-თავიანთი ნახელავი გამოჰფინეს და შეგირდების პირით მუშტარს ეპატიჟებოდნენ. ხალხმრავალ ვიწრო ქუჩებს ბანცალ-ბანცალით მოედვნენ შეზარხოშებული მოქეიფენი. ადრიან დილიდანვე ისმოდა გრდემლის განუწყვეტელი წკრიალი და დასაჭედად ფეხებგაკოჭილი ლომა ხარების შესაბრალისი ზმუილი, ღორების ჭყვირილი, ცხვრების ბღავილი, თხებისა და თიკნების კიკინი, მყიდველ-გამყიდველის ქაქანი და ქუჩის ფილაქანზე ასხლეტილი ფლოქვების დგაფუნი. ბაზრის ერთ კუთხეში, კარტნებთან, იქ, სადაც შრომელმა მეჭურჭლეებმა დიდრონი ჯალამბრები დასცალეს და ქურაში საგანგებოდ გამომწვარი ქვევრები, თორნეები, დერგები, ჩაფები და ჯამ-ჭურჭელი გაამწკრივეს, ზურნა აზუზუნდა. გახურდა დოლი. ჯეელმა ბიჭებმა ჭიდაობა გააჩაღეს. მოჭიდავეების გარშემო უმალ წრე შეიკრა. „განი! განი!“ — ვიღაც ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა და ჰაერში ორად მოკეცილ ქამარს იქნევდა.

ქალაქის შუაგულში, მოედანზე, თეთრი ქვით ამოშენებულ მაჯისსიმსხო წყაროსთან, რომლის მოპირდაპირე მხარეს ჩარიგებულ სავაჭროებში ყოველგვარი საოჯახო წვრილმანი იყიდებოდა, სკანდელმა თუ მაჭუტაურელმა მეურმეებმა მძიმედ დატვირთული ურმები გაატარეს, ხარებს თავი დაუარეს და აქვე ბაზრისაკენ ჩაუხვიეს. მეურმეთაგან ზოგს შუშხუნა მაჭარი, ზოგს გასაყიდად გამომეტებული ლობიო და ხორბალი, ზოგს უჩვეულოდ ნავარგები თათრული კვახები და ზოგსაც ნაგვიანევი კიტრი და სხვა ბოსტნეული მოჰქონდა.

მზე რომ შუბისტარზე აიწია, სიცხით, მტვრითა და ხმაურით გაბრუებულ ქალაქში ახალი სასიხარულო ამბავი მოიტანეს: დღეს, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ჩხარში გელათს მიმავალი სოლომონ მეფე გაივლიდა და აქ გზად შეჩერდებოდა. დაუჯერებელი ამ ამბავში არაფერი ჩანდა. ზედიზედ რამდენიმე დღე მეფემ სვერის ალყაშემორტყმულ ციხესთან დაჰყო და რატომაც არ შეიძლებოდა, მტრის მძლეველსა და ღვთისაგან გამარჯვებულს ჩხარზეც გამოევლო და ერს სჩვენებოდა?

მაგრამ საქმეში ჩახედულნი, ისიც რომ არ გამოეპარებათ, თაგვმა კუდი რად მოიქნია, წინადღეს სულ სხვა რამეს ლაპარაკობდნენ: მეფე თითქოს სვერის ციხიდან კარგა ხანია აიყარა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, რომელსაც თვით დედოფალი მარიამი, უწმინდესი კათალიკოსი ბესარიონი, ბატონიშვილები იოსები და არჩილი, აგრეთვე მეფის ცოლისძმა დადიანის ძე კაცია, აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე, რუსთხელმწიფის საქმეთა რწმუნებული ქართველ მეფეთა კარზე კაპიტანი ლვოვი და ბევრი სხვა წარჩინებული პირი ამშვენებდა, გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად უმოკლესი გზით ვარციხისაკენ გაეშურა. ეს უკანასკნელი ცნობა მართალი იყო. სვე-

რის ციხის გამაგრებისა და ყველა იქაური საქმის გარიგების შემდეგ სოლომონმა ბანაკი აჰყარა და ვარციხისაკენ მიმავალ უმოკლეს გზას დაადგა, მაგრამ სულ მალე, ნახევარი დღის სავალზე სოფელ უბისაში შეჩერდა. დანამდვილებით არავინ უწყოდა, რამდენ ხანს მოუწევდა აქ შეყოვნება. მეფეს უბისაში საგანგებოდ დაბარებული ხარაგაულელი აბაშიძეები, არგვეთის ნაბატონარ ლევან აბაშიძის მკვიდრი ბიძაშვილები, უნდა ხლებოდნენ.

სოლომონის ყურამდე ჯერ კიდევ ადრე, ბატონიშვილობაში, მოაღწია სარწმუნო ცნობამ, რომ არგვეთის ბატონთან შედარებით ხელმოკლე და თანაც განცხრომით ცხოვრებას ჩვეული აქაური აბაშიძეები, მამა-პაპის დატოვებული ქონება და ყმა-მამული რომ ხელში შემოადნათ, თავიანთი კუთვნილი ციხეების გაყიდვას აპირებდნენ და რაკი ლიხს გადმოღმა შეძლებული მუშტარი ვერავინ აიჩინეს, მოციქულს მოციქულზე აგზავნიდნენ ქართლში და ერთის მხრივ ქართლელ ნათესავებს — ვახუშტი აბაშიძის ნაშიერთ, და მეორეს მხრივ თვით მეფე თეიმურაზს მისაწვდომ ფასად ხარაგაულისა და ჩხერის ციხეებს სთავაზობდნენ. ქართლიდან, მადლობა ღმერთს, გადაჭრილი პასუხი არა და არ მოდიოდა. ბრძენ და აუჩქარებელ თეიმურაზ მეფეს უთუოდ კარგად ესმოდა, რომ გაკოტრებულ აბაშიძეებთან ვაჭრობის გამართვა და ხარაგაულისა და ჩხარის ციხეებისათვის ხელის წაპოტინება იმერთა მეფეს წაჰკიდებდა და სამუდამოდ მოამდურებდა. ამიტომ ჯერჯერობით, ვიდრე არ გამოირკვეოდა, რა აზრს ადგა თვით სოლომონი, ფეხს ითრევდა და ქვეშევრდომ ქართლელ აბაშიძეთაც აგრძნობინებდა, ციხეების გამყიდველი იმერი მოგვარეებისაგან თავი შორს დაიჭირეთო.

ეს ყველაფერი სოლომონს თავისმა კაცებმა აცნობეს. იმერთა ბატონი თეიმურაზ მეფისადმი უაღრესი მადლიერებით განიმსჭვალა. სამაგიეროდ, ღვიძლის ბაბუის — ლევან აბაშიძის — აქაური ნათესავების მიმართ აღივსო გულისწყრომით. ყოველივე განაგონს ხომ ისიც ზედ ერთვოდა, რომ აბაშიძეები ჩუმ-ჩუმად, მიუხედავად ადრე დადებული პირობისა და ფიცისა, როგორც კი მარჯვე დროს მოიხელებდნენ, ტყვეებსაც ყიდდნენ და უამისოდაც მტერმოყვარეულ ქვეყანას ყელში დანას უსვამდნენ.

ხარაგაულისა და ჩხერის ციხეების სხვის ხელში გადასვლა ლიხთიმერეთისათვის ზურგში მომაკვდინებელი მახვილის ჩაცემას უდრიდა. როგორც ერთი, ისე მეორე ციხე, იმერეთის ჭიშკარი იყო. ვინც ამ მიუვალ ჭიშკრებს ფლობდა, ქედის მთელი ჩრდილო-დასავლეთი კალთაც, ძირულისა და ჩხერიმელას ხეობები, არგვეთის საკმაოდ დიდი ნაწილი, მას ექვემდებარებოდა. რაღა იქნებოდა იმერეთის სამეფო, თუკი შინაური გამცემნი და ყმა-მამულს დახარბებული უახლოესი მეზობლები მას ჩხერიმელასა და ძირულის ხეობებს მოჰკვეთდნენ? სადღა შეაკავებდნენ ქართლის მხრიდან მოწოლილ მტერს, რომლის გზაზე სურამის ქედი ძნელად გადმოსალახავ ზღუდედ აღიმართებოდა ხოლმე?

გიორგი მამუკას ძე აბაშიძე, ხარაგაულის ციხის მფლობელი, და ნიკოლოზ ფინეზის ძე აბაშიძე, ჩხერის ციხის მფლობელი, რომლებმაც თავის სახლიკაცებთან ერთად რუსთხელმწიფის ელჩს კაპიტან ლვოვს, ჩხერის ციხეში ყოფნის დროს, გულითადი მასპინძლობა გაუწიეს, უბისაში მობრძანებულ მეფეს მოგვიანებით ეახლნენ. აბაშიძეები არც ახლა აპირებდნენ მოსვლას, ვინაიდან მეფის უდროო სტუმრობა დიდად არაფრად ეჭაშნიკათ, მაგრამ როცა შეიტყვეს, სოლომონი დიდძალი ჯარით დგას უბისაში, აფხაზოდიშარებიც თან ახლავან და ნებით თუ არა, აქაურობას ძალით დაიპყრობს და ჩვენც ლევანის დღეში ჩაგვაგდებსო, კეთილი ინებეს, სახლეულნ თვალცრემლიანი გამოემშვიდობნენ, ვინ

იცის, აწი იქნებ ვეღარც კი ვეღირსოთ ერთმანეთის ნახვასო, კარის ეკლესიაში სანთლები აანთეს, ილოცეს, წინ ხელმწიფის საკადრისი ძღვენი გაიძღოლეს და მეფესთან შესახვედრად გასწიეს.

სოლომონის ბანაკის ხილვა მტერსა და ავის მოსურნეს მართლაც თავზარს დასცემდა. სხვადასხვა ფერის, ზომისა და მოყვანილობის უთვალავ კარვებს შორის, მწვანე ტაფობში წყლის პირას რომ დაეცათ, თითქოსდა მზეზე საგულდაგულოდ გამოტანილი თოფ-იარაღი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. საომრად აღჭურვილ მოლაშქრეთა დიდ-დიდ გუნდებს კოცონები გაეჩაღებინათ და ვახშმის თადარიგს იჭერდნენ. ღობემორღვეულ სათიბებსა და აჩალულ ყანებში აუარებელი სალაშქრო ცხენი, დაუღლელი ხარ-კამეჩი და ჯარის გამოსაკვებად მომარაგებული სახორცე პირუტყვი ბალახობდა.

აბაშიძეებს პირკატა ეცათ. უკვე გვიანი რომ არ ყოფილიყო, უკანვე გაბრუნდებოდნენ და მეფესთან პირისპირ შეყრას როგორმე თავს მოარიდებდნენ.

სოლომონი გაცილებით ლმობიერი და მოწყალე გამოდგა, ვიდრე მათ ეგონათ. ამ გულმოწყალებას, ეტყობა, საკუთარი ძალების შეურყეველი რწმენა ბადებდა. აბაშიძეები მაინც სიფრთხილეს იჩენდნენ და გაფაციცებულნი მეფის ყოველი სიტყვის უკან მათთვის საზიანო ფარულ აზრს ეძებდნენ.

ციხეების გამო საუბარი, რისთვისაც აბაშიძეები აქ დაიბარა, სოლომონმა შორიდან დაიწყო. ჩხერის ციხის მფლობელ ნიკოლოზ ფინეზის ძე აბაშიძეს, სიმსუქნეში შესულ შუახნის კაცს, ჰკითხა, როგორ იყო ბაჟის საქმე, რომელსაც ქართლიდან იმერეთისაკენ მომავალ ვაჭართა ქარავნებს ართმევდნენ, აქედან, ამ ბაჟიდან, რამდენი რჩებოდა თვით ციხის პატრონის ხელში და რა წილი გადაიდებოდა მეფის ხაზინაში შესატანად.

გამოირკვა, რომ ბაჟს, ბევრი იყო თუ ცოტა, მთლიანად ციხის მფლობელი იტოვებდა. ეს მაშინ, როდესაც ოდითგანვე დადგენილი წესისა და რიგის თანახმად მხოლოდ მეათედი ეკუთვნოდა. სოლომონის ნეტარხსენებული მამის, მეფე ალექსანდრეს დროს ჩხერის ციხიდან უცხოელი და შინაური ვაჭრებისათვის გადახდევინებული ბაჟის სახით სახელმწიფო ხაზინაში ერთი უზალთუნიც არ შესულა.

ამას რომ ამბობდა, ნიკოლოზ აბაშიძეს სახეზე მიტკლის ფერი ედო. ის გრძნობდა, რომ ბატონმა მეფემ ეს ყასიდად, იქ მყოფ დიდებულთა გასაგონებლად იკითხა, თორემ, მიუხედავად ახალგაზრდობისა, როგორ შეიძლებოდა არა სცოდნოდა, რომ, სულ ცოტა, ორი ათეული წლის განმავლობაში ყველა საბაჟოს შემოსავალს მთლიანად ადგილობრივი მებატონეები ითვისებდნენ, თვითმპყრობელ მეფეს კი ღონე არ შესწევდა, ამ მუცელღმერთობის აღსაკვეთად ხმა აემაღლებინა და ხაზინის კუთვნილი წილი მოეთხოვა.

სიტყვა ბოლოს ციხეების გაყიდვაზე მიდგა.

ორივე თავადიშვილს უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა. ამიტომ თვალთმაქცობა, რას ბრძანებთ, მოწყალეო ბატონო, რის გაყიდვა, რა გაყიდვაო, არც ერთს არ უცდია, მხოლოდ რიგ-რიგობით მოჰყვნენ წუწუნს, ქვეყანა ნამეტანი აირია, ლეკიანობა და შინაური ძარცვა-გლეჯა გახშირდა, ვაჭარს იმერეთში მოსვლისა ეშინია, გზებიც წახდა, მიმოსვლა მოიშალა, ციხეები ძნელი შესანახი შეიქნა და, ნუ გაგვირისხდები, დიდებულო მეფევ, თუ ამან ხელის დაცლა გვაფიქრებინაო.

ქართლის მეფე თეიმურაზი და ქართლელი აბაშიძეები, ამათი სახლისშვილნი, რომლებთანაც ნიკოლოზი და გიორგი წამდაუწუმ მოციქულებს აგზავნიდნენ და ციხეებს სთავაზობდნენ, მხარეებს არ უხსენებიათ. ამათი გახსენება ახლა უთუოდ ურთიერთობას დაძაბავდა, უკმაყოფილებას გააშიშვლებდა და საჭირო შეთანხმებაც მიუღწეველი დარჩებოდა.

მეფემ მოულოდნელად ორივე ცი-

ხის ყიდვისა და ახლავე ნაღდი ფულის გადახდის სურვილი გამოთქვა. აბაშიძეები ამას არ მოელოდნენ. სოლომონის მარჯვედ დაგებულ მახეში იყვნენ გაბმული და ისღა დარჩენოდათ, თავიანთი ქვეშევრდომული სიხარული და საქმის დაუყოვნებელი გარიგებისათვის სრული მზადყოფნა გამოეცხადებინათ. მოიხმეს კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი. მღვდელი საწერად მოეწყო, სიგელის გრძელი, სავალდებულო შესავალი ოდნავ გვერდზე გადაწვენილი მხედრული ასოებით გამოიყვანა და მიბრჯნით განაგრძო:

„ესე მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგართუით ჩუენ, თქუენმა ყმამ აბაშიძე ნიკოლოზ ფინეზის შვილმა, თქუენ, ხელმწიფეს, ღუთისა მიერ ცხებულს, ლიხთიმერეთის მპყრობელს, მეფეთა-მეფე სოლომონს და ოდიშის მთავრის ასულს, დედოფალთ-დედოფალ მარიამს, შვილთა და მომავალთა თქუენთა: ასე რომ დიდად გაგვიჭირდა და ვალმა ძალი გვიქნა და სხვა ველარაფერი მოვიხერხეთ რა და სხვის მიყიდვას თქვენთვის მოყიდვა ვარჩიეთ და მოგყიდეთ ჩხერის ციხე მისის შამამავალის კაცით, გლეხითა და აზნაურით, მთლად უკლებლათ. სამძღვარი ამათი — ბრუისი, აქეთ — ჩხერის შემოსავალი. მეორე სამძღვარი ვახანისაკენ — წყლის აქეთ. მოგართვით და მოგყიდეთ სულ მთლად სოფლით, მთით, ბარით, წყარო-წისქვილით, საყდრით და სასაფლაოთი, საძებრით და უძებრით, ოღონდ ეკლესიაში დამარხვა ნუ დაგვეშლება.

ვინცა და რამანც ძემან კაცისამან, მეფემან გინა დედოფალმან, უფლისწულმან, თავადმან გინა მთავარმან, ანუ რომელმანე მეპატრონემ ამისდა შლად ხელი ჰყოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგან, მასაც რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანნი ზეცისანი და ქვეყნისანნი, ხორციელნი და უხორცონი, მასაც ედების კეთრი გეზის, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, შეჩვენებულიც იქმნების შვიდი კრებისაგან, ოთხის პატრიარქისაგან და ათორთ მოციქულთაგან!

არის ამის თავდები თვით დაუსაბამო ღმერთი, მოწმე და გამრიგე კაცთაგან: უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსი ბესარიონი, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები, ბატონიშვილი არჩილი, ეპისკოპოსი მაქსიმე აბაშიძე, ოდიშის მთავარ ოტია დადიანის ძე კაცია, აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე, წერეთელი პაპუნა, წერეთელი ქაიხოსრო, წულუკიძე გიორგი, მესხი თამაზა, მაჭავარიანი როსაფ... მე, კარის მწირველ მღვდელს, სვიმონ წერეთელს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა თუესა ნოემბერსა, 3 დღესა ქრისტეს აქეთ ჩღმიდ, ქკს: უმბ.“.

მეფემ წიგნს თავიდან ბოლომდე გადაავლო თვალი, აბაშიძეებსა და სხვა დამსწრეთ, ვისაც თავისი ხელრთვა უნდა დაერთო, სათითაოდ წააკითხა, მერე სვიმონ მღვდელს კალამი გამოართვა, მოზვრის რქაში ჩააწო და მითითებულ ადგილზე, სადაც სახელმწიფო ბეჭდის მცველმა გიორგი წულუკიძემ უკვე დასვა ბეჭედი — „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი“ — ლამაზი, სწორი ასოებით მოაწერა: „სოლომონ“.

მამუკა და ფინეზ აბაშიძისეული ციხეების გაყიდვისა და შიგ მეფის მეციხოვნე ჯარის ჩაყენების ამბავი მსწრაფლ ქვეყნის ახლომახლო კუთხეებს მოედო. ამ ამბავმა ჩხარსაც, რასაკვირველია, მალე მოაღწია. უბრალო ხალხმა მოიწონა მეფის ბრძნული გადაწყვეტილება. სოლომონს ჭკუასა და შორსმჭვრეტელობას უქებდნენ. აბაშიძეთა გვარეულობის მიერ ამ ორი უკანასკნელი ციხის დაკარგვა და ორივე ციხის მეფისაგან დაპატრონება ქვეყნის შემაწუხებელი ლევან აბაშიძის უკანასკნელი საყრდენის მოშლას მოასწავებდა. სახლიკაცები როდი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ურთიერთსიყვარულში, პირიქით, გული ფარული შუღლით

ჰქონდათ ავსებული, მაგრამ როდესაც კარზე საერთო გასაჭირი მოუკაკუნებდათ ხოლმე — ან მეფე შეაწუხებდათ, ან მოსაზღვრე რაჭის ერისთავი — პირველი დაძახებისთანავე ერთმანეთს დღემუდამ მხარში უდგნენ. ურთიერთდაკავშირებისა და გაერთიანებული ძალით მეფის წინააღმდეგ გამოლაშქრების შესაძლებლობა ამიერიდან ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთა. არგვეთის გუშინდელი ბატონები, გვირგვინოსან მეფესაც რომ მეტოქეობას უწევდნენ და, უფრო მეტი, ძაღლადაც არ აგდებდნენ, ფარ-ხმალაყრილი აღმოჩნდნენ.

ჩხარელებს ფუსფუსი და ჩოჩქოლი შეუდგათ. რომელი მხრიდან შემობრძანდებოდა ნეტავ ღვთისა და კაცისაგან მარჯვენადალოცვილი მეფე სოლომონი? რა დროს იყო მოსალოდნელი მისი უდიდებულესობის გამოჩენა?

ადგილობრივ მკვიდრთ, წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებსა და გააზატებულ მოქალაქეებს, საკვირაო ბაზრობაზე სავაჭროდ მოსული ერითურთ, მოუსვენრობა დაეუფლა. ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა მეფე, რომელმაც ომში გველეშაპი დაამარცხა და, ვით უფალმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ, მოწყურებულს წყალი მისცა, ხოლო მშიერი დააპურა.

საიდანაც არ უნდა ენება ფეხის შემოდგმა, მეფე ქალაქის მოედანს ვერ ასცდებოდა. საყოველთაო გაოგნება და დაბნეულობა მალე განელდა. ქალაქის მესვეურნი, ბოლოსდაბოლოს, გონს მოეგნენ. აჩხაბაჩხა ვიწრო ქუჩებში გამომავალ ფიცრულ აივნებზე, ცისფრად, ლურჯად, თეთრად, იასამნისფრად თუ წითლად რომ იყო შეღებილი, ამქართა დროშები გამოჰკიდეს, რიკულებსა და დარაბებზე წითელ-ყვითელი საბნები და ჭრელ-ჭრელი ხალიჩები გადმოაფინეს. თუ ვინმეს რაიმე გააჩნდა, ერსა თუ ბერს, მდიდარს თუ ღარიბს, თავის გამოსაჩენად არ ეზოგებოდა.

ფეხშიშველა ბიჭუნების გუნდი ყურისწამღები ჟრიამულითა და ყიჟინით ოქონის გორას თხემზე მოექცა. ვინმე ბედნიერი აქედან პირველი დაინახავდა მეფესა და მის ამალას და ბრბოს სასიხარულო ამბავს აუწყებდა.

წყაროს წინ, ქალაქის მოედანზე, ფარდაგები დააგეს და შემაღლებულ ადგილას, საიდანაც ყველაფერი, თვით ერთიმეორეზე მიხორხლილი სახლების სახურავებიც კი, ხელისგულზე ჩანდა და მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩა ოქონის გორას აღმა, წმიდა გიორგის ეკლესიისაკენ მიჰყვებოდა, მეფისა და მეფიონის დასახვედრად სახელდახელო ფანჩატური გამართეს. რამდენიმე შეძლებულ ოჯახში და საზოგადო თავშეყრის ადგილებში უკვე მზადდებოდა სადღესასწაულო პურმარილი, თუმცა ჯერ დანამდვილებით არავინ უწყოდა, მეფე ჩხარში მხოლოდ გაივლიდა, თუ ქალაქს აქ ღამის გათევით გააბედნიერებდა.

შუაგული სამხადისის დროს ბაზრის თავში სოლომონის ძველი მოკეთე ალისუბნელი საყვარელიძეები გამოჩნდნენ. საარაკო გალობით სახელგანთქმული ოთხივე ძმა ყურთმაჯებიან თეთრ ჩოხებში გამოეწყობილიყო, ფეხთ ახალთ-ახალი წუღა-მესტი ჩაეცვათ და სხვადასხვა ვითარებაში მეფეებისა და ბატონიშვილებისაგან ნაბოძები მოსართავებით შეკაზმული კოხტა ცხენები ნაბიჯით მოჰყავდათ, თან მალულად აქეთ-იქით იყურებოდნენ, მთელი ქალაქი გამოფენილია და ჩვენ შემოგვცქერის თუ არაო. შემოსილ სამღვდელოებასთან, ამქართა თავკაცებთან, ჩხარელ დიდვაჭრებთან და სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად საყვარელიძეები ქალაქის შემოსასვლელში უნდა შეჰგებებოდნენ ბატონ მეფეს, პურმარილი მიერთმიათ და მისი უდიდებულესობის ამ კუთხეში მშვიდობით მობრძანება გალობით დაელოცათ.

სამხრობის ჟამს, მზე რომ გადაიხარა და მთელი დღის სულის შემხუთავი სიცხის შემდეგ, როგორც გვიან შე-

მოდგომაზე სჩვევია ხოლმე, ერთბაშად აგრილდა, ოქონის გორაზე წმიდა გიორგის ეკლესიის ზარები აგუგუნდა. დიდი ზარის დინჯ გრგვინვას პატარა და კიდევ უფრო პატარა ზარები შეენაცვლნენ თავიანთი წკრიალა მოძახილით და ცისქვეშეთი საზეიმო ხმებით აავსეს. აღტკინებულმა ხალხმა იხუვლა და პირი აქეთ ჰქნა. უკლებლივ ყველას მიავიწყდა გულისმომწყვლელი ამბავი, რომელმაც ჯერ დახლებთან და ქულბაქებში უსაქმოდ მოზურზუტეთა ყურადღება მიიქცია, მერე კი ბაზარსა და ახლომახლო ქუჩებს მოედო.

ზანზალაკების დინჯი ჟღარუნით ყულევიდან მომავალ აქლემების ქარავანს, მთელი ოდიში, ვაკე იმერეთი და ქუთაისი მუხლჩაუხრელად რომ გამოევლო და, რაკი ზეკარზე უკვე თოვლი იდო, სამცხისაკენ ქართლის გზით — ჭერათხევზე მიემართებოდა, მაღლაკიდან მოსდევდა ერთი მოუვლელ-დაუბანელი, საყდრის მათხოვრის უსაშველო კონკებში გახვეული ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭუნა. ბიჭი ისე გამხდარი და შეწუხებული იყო, მხარ-ბეჭსა და სახეზე ძვლებს დაუთვლიდი. სიცოცხლე მხოლოდ აბრიალებულ, დიდრონ, გამომეტყველ თვალებში ენთო. ოდესღაც, ამ რამდენიმე წლის წინ, ბიჭი სამწყემსურიდან მოეტაცათ ლეკებს და ახალციხეში გაეყიდათ. საბრალო ტყვეს ორჯერ თუ სამჯერ ეცადა გამოქცევა და სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. ბოლოს, ღვთის შეწევნით, მაინც მოეხერხებინა მტრის ბუნაგიდან თავის დაღწევა. უბედურს შინ ცოცხალი აღარავინ დახვედროდა. დედ-მამა და უფროსი და-ძმა ადრევე, მის მოტაცებამდე გაეყიდა ბატონს, ოჯახის მარჩენალი ბაბუა კი იმავე დღეს მომკვდარიყო, რა დღესაც თავისი უკანასკნელი იმედის, გვარისა და ჯილაგის გამგრძელებლის მოტაცებისა და უცხოეთში გადაკარგვის ამბავი შეეტყო. ბიჭის დაბრუნებას ვერც სნეული და გაუბედურებული ბებია მოსწრებოდა. სული სწორედ წინა კვირაში დაელია და უპატრონო მიცვალებული მეზობლებს სამადლოდ დაემარხათ. ბიჭი ახლა თავისივე ფეხით მიდიოდა იქ, საიდანაც ამდენი ტანჯვა-წვალების ფასად გამოიქცა, მისდევდა გადამთიელი ვაჭრების ქარავანს, რათა აქ შიმშილით არ მომკვდარიყო და სხვის კარზე როგორმე თავი გაეტანა.

ყმაწვილს ნატრიას ეძახდნენ: ვისაც არ ეზარებოდა, ყველას დაუბრკოლებლივ შეეძლო მისი სამსახურით ესარგებლა. ნატრია გამგონედ ასრულებდა ყოველ დავალებას და ამაში იმდენ ზნეობრივ კმაყოფილებას პოულობდა, იფიქრებდი, ამისი ტყუილა გაჩერება სწორედ დიდი ცოდვა იქნებაო.

უთვისტომო ბიჭის თავგადასავალმა და გადაწყვეტილებამ ხალხს გული დასწვა. გამოჩნდნენ შემბრალენი და მოყვასისათვის ხელის გაწოდების მოსურნენი. ამ საქმეში საკუთარ გამორჩენასა და სარგებელსაც არავინ ივიწყებდა. აბა, რა ენაღვლებოდათ, თუ ზეციერი მამის საამო საქმესაც იქმოდნენ და ხელსაც მოითბობდნენ. მაგრამ ამათ შორისაც აღმოჩნდნენ ისეთები, ვინც გაჭირვებული ყმაწვილი საკუთარ სისხლად და ხორცად მიიღო და მისი შეფარება გულით მოინდომა. ბიჭმა შორს დაიჭირა. პასუხიც კი არავის გასცა, გაურკვეველი ბურტყუნით აქლემებსა და მათ გამრეკებს შეერია. ჩანდა, გულმოკლულს მტკიცედ გადაეწყვიტა, აქაურობას შორს გასცლოდა და გაძაღლებული სიცოცხლე სამშობლოდან გადახვეწილს დაესრულებინა.

ეჭვიც არავის დაჰბადებია, რომ ეს ცხვირმოუხოცელი შიშველ-ტიტველი ბიჭუნა, ნატრია საჭურისი, ვისაც ულმობელმა ბედმა ამდენი შხამი და სამსალა ასვა, მეფის საგანგებო დავალებას ასრულებდა და თავგანწირვის გზაზე შემდგარი საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე დებდა. დაუჯერებდნენ კი ჰაჯიაჰმადის კარზე, რომ სამშობლოში მხოლოდ თავისიანების სანახავად გაიქცა და ბატონის, ბედნიერი ფაშას ღალატი გულშიაც კი არ გაუვლია? თუკი სა-

ჭიროება მოითხოვდა და საქმისათვის ეგზომ საჭირო სიცოცხლის შესანარჩუნებლად ეს აუცილებელი გახდებოდა, ნატრიას უყოყმანოდ უნდა მიეღო საძულველი მაჰმადის რჯული და სასოებით გულში ჩასახულ ქრისტეს ჯვარზე სხვათა დასანახად უარი ეთქვა.

მოედანზე ფეხის მოსაკიდებელი ადგილიც აღარსად იყო. მთის ციცაბო დაღმართზე კისრისტეხით მორბოდნენ მოთვალთვალე ბიჭები და გზადაგზა რაღაცას გაჰყვიროდნენ. მათი უწესრიგო წივილ-კივილი ქვემოთ არავის ესმოდა.

ცხენოსანი ჯარის კარგა მოზრდილი რაზმი, რომელსაც კუდგამოსკვნილ წაბლისფერ ზერდაგზე ამხედრებული როსაფ მაჭავარიანი, წერეთლების ერთგული აზნაური და მეფის მარჯვენა ხელი, მოუძღვოდა, ქალაქში თუზის მხრიდან შემოვიდა. მჭიდრო მწყობრად მომავალი მხედართა ასეულის დანახვისთანავე ხალხი შუაზე გაიპო. რაზმს სვლა არ შეუნელებია. იგი არცთუ ისე დიდი აღმოჩნდა. მოედანზე მყოფნი ამაოდ ეძებდნენ თვალებით მეფესა და დედოფალს, რომლებიც თავიანთი დიდებული ამალით წესისამებრ სწორედ მეწინავე რაზმს უნდა მოჰყოლოდნენ.

როსაფ მაჭავარიანმა ქენებით გაქაფული ცხენი წყაროსთან მიაგდო, ადგილზე მოაბრუნა, მათრახიანი ხელი ზეასწია, მოედანსა და ვიწრო გასახვევგამოსახვევებში, აივნებსა და თვით სახლების სახურავებზე მოჯარულ ხალხს ერთად მიესალმა, ქღალი ჩაბალახი უკან გადაიგდო და ცხენიდან მძიმედ ჩამოვიდა. თითქოს ამასღა ელოდნენო, უმალვე ჩამოქვეითდნენ სხვა მხედრებიც. როსაფმა სადავე მხლებელს შეატოვა, მიიხედ-მოიხედა და ორადლიანი ნაბიჯით იმ შემაღლებულ ადგილს მიაშურა, სადაც მეფისა და დედოფლისათვის სახელდახელო ფანჩატური იყო გამართული და საიდანაც მთელი მოედანი და მისი შემოგარენი ხელისგულზე იშლებოდა.

უთუოდ რაღაც იყო გამოსაცხადებელი! რა უნდა ემცნოთ ქვეყნისათვის, ახალი ჭირის დადგომა თუ რაიმე გულის გამხარებელი ამბავი? სად ბრძანდებოდა თვით მწყალობელი მეფე, რად მოერიდა სოფელ-ქვეყანაში გამოჩენას?

ხალხი ერთიმეორეს მოაწვა და ყოველი მხრიდან წყაროსაკენ დაიძრა. ყველას უნდოდა, ფანჩატურთან, რაც შეიძლება, ახლო მდგარიყო და ის, რასაც მეფის კაცები საჯაროდ იქადაგებდნენ, საკუთარი ყურით მოესმინა.

ჯერ როსაფმა ბრძანა ორიოდე სიტყვა. მეფის მოლოდინით აღგზნებულ მარგველებს პირსისხლიანი მტრის ძლევა და გლეხკაცის შემბრალე, ქრისტიანობის ურყევი ბურჯი და სამშობლოს ყველა ორგულის რისხვა სოლომონის მამისეულ ტახტზე დამკვიდრება მიულოცა.

ეს რომ გაიგონა, ხალხი გამოცოცხლდა, ამოძრავდა, მაჭავარიანის სიტყვებს გამამხნევებელი შეძახილებითა და განუწყვეტელი ვაშას ძახილით შეხვდა. თავს ზემოთ ფაფანაკებს, ჭრელ თავსაფრებს, ყაბალახებს ისროდნენ, აქა-იქ მაღალ ტარზე გამობმულ ფარჩის დროშებს და თეთრ მანდილებს აფრიალებდნენ.

როსაფმა ჩაახველა, აცალა, როდის დაწყნარდებოდნენ, მერე ორად მოკეცილი მათრახი მაღლა ასწია და ხალხის გაჩუმებას აღარ დაელოდა, თავისებური ომახიანი ხმით თანამემამულეთ, რომელთაგან, ვინ იცის, ზოგს აბაშიძე-წერეთლების მიხტომ-მოხტომის დროს მიყენებული მისი ნახმლევიც აჩნდა, აუწყა, ღვთივ მირონცხებული მეფის, ჩვენი ბატონი სოლომონის და იმერთა დარბაზის ერის სახელით ახლა აზნაური თამაზა მესხი ილაპარაკებს და ხელმწიფის ბეჭედდასმულ ბრძანებულებას წაიკითხავსო.

ხალხმა კისრები დაიგრძელა და თუმცა უფრო წინ წამოსვლა უკვე შეუძლებელი იყო, მაინც წინ მოაწვა. ახლაღა იცნეს ხოსია კლდიაშვილი, სვერის ციხის მოურავი, რომელიც როსაფს მხარმარჯვნივ უდგა და ციყვის

კუდივით ბუნხულა ულვაშებზე წამდაუწუმ ხელს ისვამდა. ეტყობა, არ ენდვნენ ლევან აბაშიძის გუშინდელ ყმას და მეფის ნების აღმსრულებლად აქ წერეთლის კაცი გამოგზავნეს. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი. ერთი დრო არავის შერჩენია!

მხარბეჭჩაკირულ, თითქოს ქვა და კლდისაგან გამოკვეთილ მაჭავარიანთან შედარებით ტანმომცრო, მაგრამ ხორცსავსე, სიდარბაისლით და დიდებული მიხრა-მოხრით მაინც შესამჩნევმა თამაზა მესხმა პირში შემოჩერებულ ზღვა ხალხს თავი მდაბლად, რუსულ ყაიდაზე დაუკრა და მაშინვე საქმეს შეუდგა.

ქვეყნის იმედსა და ღვთივ კურთხეულ ბატონს, მეფე სოლომონს, სამეფო დარბაზის წევრის პირით მოკითხვა შემოეთვალა. მეფე ჯერხნობით ვერ ახერხებდა თავის საყვარელ ჩხარსა და ჩხარელებს სწვეოდა. მოძალებული საქმეები, შინაურმა გამცემებმა და მეშურნეებმა ასე უხვად რომ გაუჩინეს, ხელ-ფეხს უბორკავდა და იქით მიერეკებოდა, სადაც მისი ყოფნა დღეს უფრო საჭირო და გადაუდებელი იყო. სამაგიეროდ, სოლომონს ღრმად სწამდა და იმედს ერთი წუთითაც არ ჰკარგავდა, რომ ქრისტეს ჯვრისა და სამშობლოს ერთგული ყველა მარგველი, გლეხი თუ აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, ბატონი თუ ყმა, მუდამ მამულის წმიდა დროშის ქვეშ იდგომებოდა და სარწმუნოებისა, კაცური ღირსებისა და მამა-პაპის ოფლით მორწყული მშობელი მიწის შესანარჩუნებლად მოწამებრივ სისხლს დაათხევდა.

— დიდება ჩვენს მეფე სოლომონს!.. — გულის სიღრმიდან ამოიძახა ვილაცამ ფანჩატურის საპირისპირო მხარეს, სავაჭროების რიგთან და ეს მდუღარე ამოძახილი ერთბაშად მთელმა ხალხმა აიტაცა.

— დიდება! დიდება! დიდება! — გაისმა აქაც, იქაც და ხელახლა აფრიალდა ჰაერში ფაფანაკები და თეთრი მანდილები, ფარჩის დროშები და თავიდან მოგლეჯილი ჩაბალახები. როსაფ მაჭავარიანის რაზმელებმა თოფები შემართეს. ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ იჭექა ბათქმა და შორეულმა ხევებმაც ამდენჯერვე დაიქუხეს, ხმა მისცეს ერთმანეთს. მოედანზე იმისთანა ამბავი დატრიალდა, კაცს მეორეთმოსვლა ეგონებოდა. ვინ იცინოდა, ვინ ყვრიმალებს ისრესდა გაოგნებული, ვინ დავლურის ჩამოვლას ლამობდა, ვინ კიდევ გარინდებულიყო და მსხვილ-მსხვილი კურცხლები მისდა შეუმჩნევლად ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

კარის მწირველი მღვდლის, სვიმონ წერეთლის ხელით შედგენილმა მეფის უზენაესმა ბრძანებულებამ, რომელიც თამაზა მესხმა სვენებ-სვენებით, მუხლობრივ წაიკითხა, რათა თითოეული სიტყვა ყოველ მსმენელს მისწვდომოდა და ყველას გაეგო, კიდევ მეტი აღტკინება და ორომტრიალი გამოიწვია. გლეხი, ვაჭარი თუ აზნაური, უცნობი თუ ნაცნობი, შინაური თუ გარეული, ერთმანეთს თვალცრემლიანი ეხვეოდა და თითქოსდა ცის გახსნას, ან ქვეყნის დამაქცეველი გვალვის შემდეგ საწვიმარი ღრუბლის წამოსვლას და წვიმის პირველი წვეთის გადმოგდებას ულოცავდა.

ამიერიდან, დღიდან ქვემორე ბრძანებულების გამოსვლისა, ტყვის გაყიდვა საღვთო ცოდვად და სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა. ტყვის გაყიდვის აღკვეთა განურჩევლად ეხებოდა ყველას: მეფეს, დედოფალს, კათალიკოსს, ბატონიშვილებს, თავადს, აზნაურს, გლეხს, სამღვდელო პირს, მოქალაქეს... ვინც მეფისა და დარბაზის ერის, უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსის მიერ დამტკიცებულ ამ ბრძანებას არ შეისმენდა და აშკარად ან მალულად ტყვეს ისევ გაჰყიდდა, ღვთის ნებითა და უზენაესი კანონის ძალით ტახტის მოღალატედ შეირაცხებოდა და მას, ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრის მგმობელს და ქვეყნის ორგულს, ისე მოექცეოდნენ, ვითარცა კაენს, რომელმაც ღვიძლი ძმის სისხლში ხელი

გაისვარა, და იუდას, რომელმაც 30 ვერცხლის ფასად მაცხოვარი თვისი მტერს მისცა...

— ღმერთო, გაახარე ჩვენი მეფე სოლომონი! — იყვირა ვიღაცამ ხალხში.

—ღმერთო, დიდი დღე მიეცი მეფეს!..

თითქოს ამასღა ელოდნენო, წმიდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოზე ზარს შემოჰკრეს. ხალხმა დაიჩოქა, პირი ოქონის გორას მიაპყრო და აკანკალებული ხელით პირჯვარი გადაიწერა. დაიჩოქეს ფანჩატურში და ფანჩატურის გარეშემო მდგომმა მხედრებმაც. ფეხზე მხოლოდ თამაზა მესხი დარჩა. გორგალი, რომელზედაც მეფის ბრძანებულება იყო სინგურით დაწერილი, მან აუჩქარებლივ დაახვია, თავისი ბუნხულა ულვაშების გრეხაში გართულ ხოსია კლდიაშვილს გადააწოდა და მაშინვე მეორე გორგალი გაშალა.

ეს ხელმწიფის ახალი ბრძანებულება იყო. იგი უბისაში დაიწერა, იქვე დამტკიცდა და ქვეყნის ყოველ კუთხეში საგანგებო კაცების ხელით დაიგზავნა.

ახალი ბრძანებულებით მეფემ სახელოები დაურიგა თავის ერთგულ და ჭირსა და ლხინში მისანდო ქვეშევრდომთ, თავადთ და აზნაურთ, რომელთაც ხელმწიფის ნება-სურვილის მიხედვით უნდა ემართათ ქვეყანა და თავთავიანთი საბატონო.

მოხელეებსა და კარისკაცებს დაენიშნათ წლიური ჯამაგირი. ამ ჯამაგირს ისინი სამეფო სალაროს ხარჯზე მიიღებდნენ.

სახლთუხუცესად და პირველ ვეზირად ლომკაც ჯაფარიძე გამოცხადდა. ლომკაცი დიდად ნამსახური იყო ჯერ კიდევ ალექსანდრე მეფის დროს და მისი ამგვარი აღზევება არავის გაჰკვირვებია. ხალხი სმენად იყო გადაქცეული. მოედანზე ბუზის გაფრენას გაიგონებდი.

მოლარეთუხუცესობა და სამეფო ხაზინის განმგებლობა პაპუნა წერეთელმა მიიღო, მესტუმრეთუხუცესობა და საგარეო საქმეთა გარიგება — თამაზა მესხმა, მეღვინეთუხუცესობა — ოკრიბელმა აზნაურმა სულთამ ავალიანმა, სწორედ იმან, ლევან აბაშიძის ხელიდან გაშვების გამო სასახლის დილეგში რომ ჩააყუდეს, ხაბაზთუხუცესობა — ნიჟარაძემ, მეჯინიბეთუხუცესობა — საყვარელიძემ, ბაზიერთუხუცესობა — ჩიჯავაძემ, მეძაღლეთუხუცესობა — ტყავაძემ, მეაბჯრეთუხუცესობა — გეგუთელმა აზნაურმა ვახტანგ იაშვილმა. ქილიფთარუხუცესობა — თანდარუხ იოსელიანმა, სამეფო დარბაზის წევრმა, ფარეშთუხუცესობა — ზურაბ მიქელაძემ.

სახელმწიფო ბეჭდის მცველის პატივი მეფის აღმზრდელ გიორგი წულუკიძეს ერგო.

როგორც ყოველთვის, ლიხთიმერეთის სამეფო ამჟამადაც ოთხ: ქვემომხრის, ანუ ვაკის, ზემომხრის, ანუ არგვეთის, რაჭის და ოკრიბა-ლეჩხუმის სადროშოებად გაიყოფოდა.

მეფის ბრძანებულებით ქვემომხრის სარდლად დამტკიცებული იყო გვიშტიბის ციხის პატრონი ბერი ლორთქიფანიძე, ზემომხრის სარდლად — ქაიხოსრო წერეთელი, რაჭის — ლიხთიმერეთის სპასპეტი და ვიპატოსი როსტომ ერისთავი, ხოლო ოკრიბა-ლეჩხუმის — ქაიხოსრო აგიაშვილი. ქაიხოსროსვე ებოძა სამეფოს ყველა ციხის განმგებლის — ციხისთავის და ქეშიკთუხუცესის სახელო, რომელსაც აქამდე დროებით სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე ფლობდა.

ბოქაულთუხუცესობა ანუ კანონიერებისა და წესრიგის დაცვა სამეფოს შიგნით მეფის უახლოეს კაცს და თანშეზრდილ ბერი წულუკიძეს მიენდო. დაინიშნა სასამართლო მოხელეები — ორი დიამბეგი და ამდენივე ხევისთავი, აგრეთვე სახასო სოფლებისა და დაბა-ქალაქების: მუხურის, ქვიტირის, სიმონეთის, სვერის, ლიჩის, ხეფინისხევის, კაცხის, ღოღორას, გეგუთის, ბაღდადის და ვანის მოურავები...

მზე უკვე კარგა ხნის ჩასვენებული იყო, ახლომახლო სერებს და თვით ოქონის გორას ბინდი ჩამოაწვა, მეფის კაცები უკვე აღარ ჩანდნენ, რადგან ამაღამვე ოკრიბისაკენ და შემდეგ ვაკე იმერეთისაკენ მიიჩქაროდნენ მეფის ბრძანებულების გამოსაცხადებლად, მოედანზე, თავშეყრილი ხალხი კი მაინც არ იშლებოდა. მთლად რომ დაღამდა, წვრილფეხმა რომ დაიბუდა და ლურჯი ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, აქაურობა ბრიალა კოცონებმა გაანათა. კოცონები ქალაქის ყველა უბანში, ყველა გზაჯვარედინზე გააჩაღეს. შორიდან მაცქერალ გამვლელს ეგონებოდა, ქალაქს ხანძარი მოსდებიაო და აქეთ იქნებ საშველად ან სეირის საყურებლადაც გადმოეხვია. ხალხი ზეიმობდა. სანთლებით გააჩირაღდნეს წმიდა გიორგის ეკლესია. გაჩაღდა წირვა-ლოცვა. გალავანი მრევლით აივსო. თალხებში გახვეულმა ჭირისუფლებმა გათენებას აღარ მოუცადეს და თავ-თავიანთ მკვდრებს მიაშურეს, საფლავებში ჩასძახეს, მიახარეს, რაც მოხდა და რასაც ისინი, უბედურები, ვერ მოესწრნენ. ლეჩაქგამშავებულმა დედებმა, ვისაც სულ ახლახან წვითა და დაგვით გამოზრდილი შვილები ან ოჯახის მარჩენალი წაჰგვარეს და კაკასხიდის გზას გაუყენეს, კივილი, მოთქმა და ზიაქი მორთეს. სინანულის ცრემლი ზღვად იღვრებოდა და მიწას ალტობდა. რა იქნებოდა, ცოტა ადრე მოესწრო მარჯვენაკურთხეულ მეფე სოლომონს, რა იქნებოდა, მოწყალე ღმერთს კეთილი ენება და აქამდე გადმოეხედა!..

ვიღაც-ვიღაცებს სამცხეში მიმავალი ქარავანი და ნატრია საჭურისი გაახსენდა. მიტრიალდნენ და უმალ იმ ადგილს მიაშურეს, სადაც დღისულ ქარავანი ბანაკად იდგა. აქ აღარავინ დახვედრიათ. ქარავანი უკვე აშლილიყო და ახლა, ალბათ, ჩხარის სანახებს რამდენიმე საათის სავალ მანძილზე მაინც იქნებოდა გაცილებული.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიან მირნელი

## კოსმონავტები

დიდი სახლი აქვთ
კოსმონავტებს,
ლამაზი სახლი,
არცერთ მეფეს და
არცერთ ფარაონს,
არცერთ შაჰსა და
არცერთ შაჰინშაჰს,
პრეზიდენტს
ანუ პრემიერს
მსგავსი
არა ჰქონია აღარასოდეს —
დიდი სახლი აქვთ
ცის მპყრობელებს,
ლამაზი სახლი,
ყველაზე დიდი
და ლამაზი ყველაზე უფრო —
ხომ ვამბობთ კიდეც გულისფანცქალით:
„შინ ბრუნდებიან კოსმონავტები"
და დედამიწას ვგულისხმობთ მუდამ.

* * *

მან ქვაში გამოჰკვეთა
დიდი რუსთველის ხატი,
შემდეგ ფრთხილად,
ისე,
როგორც მლოცველი არჭობს
შანდალში სანთელს,
მაგიდაზე დადგა
და თვალგაბრწყინებული მიაჩერდა
(მშობელი დედა შესციცინებს ამგვარად
თბილ აკვანში მწოლარე პირმშოს,
რომელმაც ეს წუთია გაიღვიძა). —
უმზირა —
თხუთმეტი წუთი,
ოცი,
ოცდახუთი...
კიდევ
დიდხანს,
დიდხანს
უმზირა
და როდის-როდის მოეჩვენა:
დიდ მელექსეს ჯერ მარცხენა წარბი შეერხა,
მერმე ბაგე ოდნავ გაეპო,
ჭკვიანი სახე, თითქოს ვეება კოცონის
ათინათმა გადაუარა,
ერთბაშად გაებადრა
და...
ჩუმად,
ჩუმად
რაღაც წაიჩურჩულა...
. . . . . . . . . . . . .
ბედნიერი მოქანდაკე
ქვაში გამოკვეთილს ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოწვეთავს წყალი:
წიკ-წიკ...
წიკ...-წიკ...
ო, უსამანოდ და უსასრულოდ
კლდის უზარმაზარ ხორკლიან ტანზე
დაცოცავს სველი ჭიანჭველების
ათასი წვრილი მფეთქავი ძარღვი. —
წყალი ოდესმე გაარღვევს ჯებირს,
გააჩენს ბზარებს, როგორც იარებს,
გამოივლიან მგზავრები გვიან
და... კლდის ტკივილის შეეშინდებათ.

* * *

მთაში და ბარში, ტყეში და მინდვრად
ბავშვები ხშირად პოულობენ დახოცილ ფრინველს
და სტკივათ გული ჯერ იმათი სიკვდილის გამო,
შემდეგ იმიტომ, რომ ვერ ხსნიან სიკვდილის მიზეზს, —
ფიქრობენ დიდხანს,
ბჭობენ,
ფიქრობენ,
წუხილს წუხილი ემატება,
მაგრამ ბავშვებმა
არა უწყიან,
რომ ფრთოსანი ძალიან ხშირად
საბედისწეროს ჩადის შეცდომას,
როცა აკრძალულ სიმაღლეებს ეპოტინება.

* * *

ცერებზე შემდგარ ლამაზ ოდებს ევლება თავზე,
თავზე ევლება გზას და ბილიკს, ტყეებს და ძეძვებს
და წარმართული ზმანებების ბურუსში ახვევს
საღამოს ბინდში მოფუსფუსე პატარა სოფელს
ცხელი ბუხრიდან ავარდნილი ცისფერი კვამლი...
. . . . . . . . . . . . . . .
შუკაში ცხენჯოხს მიაჭენებს ცელქი ბიჭუნა —
ფეხშიშველი და მკერდგაღეღილი —
და თბილი კვამლის ორი ფთილა ასხია მხრებზე,
როგორც ორი ფრთა — კერის ანგელოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აპრილის დილა.
შეპფენია ფერდობს სოფელი.
მიერეკება თხების არვეს პატარა ბიჭი
და მოქნეული შოლტის წივილში
დაღმართზე კისერს იტეხს ბილიკი.
ფრთააწურული პაწაწინა ნისლის ფთილები,
ვით დახოცილი ფრინველები, ეკალ-ბარდებზე
ჰკიდია ცერად და თვლემენ, თვლემენ;
მუხნარში ისე, ვით შორეულ უცხო მხარეში,
სადაც მგზავრები უმალავენ ერთურთს რაღაცას,
ხან ცვარი იწყებს ჩურჩულს იდუმლად,
ხან ტყის სული და ხანაც ნიავი
და... ყოველივეს, გაზაფხულის ყველა სიმღერას
ნელა, თანდათან აფერადებს კერიის კვამლი,
რომელიც თეთრად აფეთქებულ ტყემლების თავზე
ჩუმად მიცოცავს, ვით ფერმწერლის ვეება ფუნჯი.

* * *

დარდიც, ღიმილიც ბევრი ვპოვე, ბევრიც დავკარგე
და ვიდრე ქვეყნის წავარნებზე ვიდოდი ასე,
ეს გაზაფხულიც, ვით მჩხრეკელი სოფლის ავ-კარგის,
მე და შენ ერთად მოგვადგა კარზე.

წყარომ ჩაწურა უფსკრულებში ნისლის მტევნები,
ცელქი ზვირთები აშრიალა, როგორც ფარჩები,
მისწი-მოსწია ზოგან ტყე და ზოგან ტევრები
და შემდეგ ფშანში შვლის ნუკრივით გაიფაჩუნა.

რაც ძველი იყო — უხილავი ცელით გათიბა,
არ მოიშალა თავის გზებზე ჩუმი ღადადი,
ზოგი შემოსა — ხეც და ხევიც — მწვანე ქათიბით,
ზოგს, რაც ემოსა, ისიც გახადა.

წამით შეჩერდა ჩემს პატარა, ციცქნა ყანასთან,
არ დამიტოვა ბუდეებში ბარტყები უფრთოდ,
ჩემი ლამაზი დილა უფრო გამილამაზდა
და შენი სული — სიმახინჯე — გაშიშვლდა უფრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲗᲔᲙᲐᲣᲠᲘ

## ᲓᲐᲛᲬᲧᲐᲚᲝᲑᲔᲜ

დილა მზის სხივზე ნატივტივები,
ფოთლები ტყეში როგორ გალობენ,
მზევ, სადილაო შენი სხივებით
დაამწყალობენ,
დაამწყალობენ, —

დაამწყალობენ ეს ვენახები,
ოდა-სახლები და ეზოები,
დაამწყალობენ მთები მაღლები
და მოქანავე ხეთა რტოები,

დაამწყალობენ ციმციმი ფერთა,
წყვილები ჭერქვეშ როცა ხარობენ,
კეთილშობილი გულების ფეთქვა —
დაამწყალობენ!
დაამწყალობენ!

## Ც Ა Ზ Ე

შევდგები მთაზე, აკამკამებს
ღამეულ ფერებს მთა აბჯრიანი,
შევარხევ ცას და ქართულ ვარსკვლავებს
ქართულ მიწაზე გააქვთ ჩხრიალი.

და ეს მთაზე მდგარს ამაბრიალებს
და რაღაც ცეცხლით რომ აღვინთები, —
ხელს ვკიდებ მთვარეს როგორც ფიალას,
ქართულ ცით ვავსებ,
ვსვამ და ვითვრები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ღრუბლები ქმნიან ამინდის იგავს
და წინ გასავალ გზას უყურებენ,
წყალს მუდამ ვალად იღებენ ზღვისგან
და იმ ვალს ხმელეთს დაუბრუნებენ...

არ უყვართ ფიქრი ჩვეულებრივი
და შორ ტატნობზე ეჭვებს ბადებენ, —
შეიყრებიან შეთქმულებივით
და წვიმას ჩუმად დაამზადებენ;

მერე შესძრავენ სხეულს ალმაცერ,
ქარებს ელიან როგორც მარებელს,
რომ წვიმის წვეთით მიწას გადასცენ, —
რასაც მათ ზღვები დაავარებენ...

* * *

რამეთუ სუფთა ცაი ხარ ჩემი
და ჩემი სული შიგ ირეკლება,
რამეთუ ჩუმი დაი ხარ ჩემი
და ჩემი დარდნი გმოსვენ ეკლებად.

რამეთუ დიდი მთაი ხარ ჩემი
და ეს სიამე შენზე შენდება,
რამეთუ ლურჯი ზღვაი ხარ ჩემი,
შიგ ჩემი ფერფლი აღმოცენდება.

შიგ ჩემი ფერფლი გოდებს გოდებით,
რადგან ქალაქი ვარ დაქცეული,
დაცაილეწა ჩემი გოდლები,
იავარიქმნა ჩემი სხეული.

ავგულს ხელმრუდედ შერჩა მოკრეფა
ჩემი ვერცხლის და ჩემი სპეკალის,
და ვით გახვითქულ ცხენის ფლოქვები, —
ამ მიწას ჯანყად მე ავეკარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ პეტრიაშვილი

# ზღაპრები

## ყვავილების ზღაპარი

ერთ დროს მიწის ზედაპირი მთლად მოტიტვლებული და უნაყოფო იყო. არც მცენარე ჩანდა სადმე, არც ცხოველი და არც ფრინველი.

ვინ იცის, იქნებ ასე უსიცოცხლო დარჩებოდა დედამიწა...

მაგრამ ერთხელ მოვიდა დიდი წვიმა.

უცნაური წვიმა იყო. თან წვიმდა, თან მზე ანათებდა.

მზის სხივები აფერადებდნენ წვიმის წვეთებს და დიდი ცისარტყელა გადაჭიმულიყო ცაზე. წვიმდა დიდხანს, გადაუღებლად და თითქოს ამ წვიმას ელოდაო, ამოდიოდა მიწიდან ბალახი.

საღამოს, წვიმამ რომ გადაიღო, ველი კიდით კიდემდე მწვანედ აბიბინებული იყო.

მერე დაღამდა. და როცა ველს მთვარის შუქი დაეფინა, მიწიდან ნელ-ნელა ყვავილები ამოიზარდნენ.

გაახილეს თვალი ყვავილებმა და ერთმანეთს ხეირიანად არც კი მისალმებიან, მაშინვე სარკეს დაუწყეს ძებნა.

აიხედეს მაღლა და ვარსკვლავებით სავსე ცა დაინახეს.

გაეხარდათ, აგერ სადა ვჩანვართო.

ირჩევდნენ მოკაშკაშე ვარსკვლავებს და ერთმანეთს აჩვენებდნენ: აგერ ის ჩემი ანარეკლია, აგერ ის ჩემიო!

ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ მთვარე რომ დაინახეს, ატყდა ჩხუბი: ყველას ასე ეგონა, მთვარე სწორედ ჩემი ანარეკლიაო.

არა მე ვარ ეგეთიო, არა მეო. ყურთასმენა აღარ იყო ველზე.

მხოლოდ ერთი ყვავილი იყო ჩუმად. იგი უყურებდა თავის თანამოძმეებს და ფიქრობდა, რაღაცა ისე არაა საქმე, როგორც ჩვენ გვგონიაო.

ყვავილები გამჭვირვალენი და ლამაზები მოჩანდნენ მთვარის შუქზე, მაგრამ ვარსკვლავებს რომ უცქეროდა, ყვავილი ნაღვლიანად ფიქრობდა, აბა სად ჩვენ და სად ისინიო.

ყვავილები კი დიდხანს კამათობდნენ. შეურაცხყოფაც კი აკადრეს ერთმანეთს. კამათში გაატარეს მთელი ღამე.

ბოლოს ჩაეძინათ ჩხუბით დაღლილებს.

იმ ყვავილს არ ეძინა მხოლოდ.

ნახა როგორ გაქრნენ ცაზე ვარსკვლავები განთიადისას.

მერე უცებ ცა გაწითლდა.

და ყვავილმა დაინახა, როგორ ამოვიდა მზე.

— მზე! — თქვა ყვავილმა.

და უცებ მოსწყდა მიწას და აფარფატდა ჰაერში.

ასეა, მზის პირველი დანახვისას თუ მოისურვებ, გაფრინდები აუცილებლად.

ცოტა ხანს იფრინა ველზე ყვავილმა. დაჰყურებდა მძინარე თანამოძმეებს. მერე ერთი ამოიოხრა ნაღვლიანად და გაფრინდა ცაში...

ყვავილებმა რომ გაიღვიძეს, შეხედეს ცას და ნახეს აღარსად იყო მათი ანარეკლები. მხოლოდ დიდი მზე ენთო ცაზე და მისმა შუქმა კინაღამ დააბრმავა ყვავილები. მერე შეხედეს ერთმანეთს მზის სინათლეზე და დაინახეს, რომ მთლად უფერულები იყვნენ.

გაბრაზდნენ. ჭირივით შეიძულეს მაშინვე მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც.

ცისკენ გახედვაც აღარ უნდოდათ...

... იდგნენ ველზე ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული ყვავილები, ებუზღუნებოდნენ ერთმანეთს.

მიდიოდა დრო.

და ერთხელ მზის ჩასვლისას დაინახეს, რომ ციდან საოცრად ლამაზი ყვავილი მოფრინავდა მათკენ.

ვარსკვლავი ეგონათ.

ჩამოფრინდა ლამაზი ყვავილი და მიესალმა ყვავილებს.

ისინი პირდაღებული შესცქეროდნენ.

— მე თქვენი მოძმე ვარო, — უთხრა ყვავილმა.

— ეგეთი ლამაზი? — არ დაიჯერეს ყვავილებმა.

მაშინ ყვავილმა დაიწყო თავისი ამბის მოყოლა: როგორ გაფრინდა, როგორ აფერადეს და როგორ ასწავლეს ცეკვა ვარსკვლავებმა.

— ჩვენც გვინდა ფერადები ვიყოთ, — ახმაურდნენ ყვავილები.

— თქვენც გახდებით ლამაზები, ოღონდ ჯერ მომისმინეთ, მზემ რა დამაბარა თქვენთანო, — თქვა ყვავილმა.

— არა, არა ჯერ ლამაზები გავხდეთო — ყვიროდნენ ყვავილები.

ყვავილი ჩქარობდა, რომ გადაეცა მზის დანაბარები, მაგრამ დანარჩენი ყვავილები არ ანებებდნენ.

რა გაეწყობაო, თქვა მაშინ ყვავილმა და აფრინდა ჰაერში.

დაიწყო ცეკვა, დაფარფატებდა ლამაზად.

ცეკვავდა ყვავილი.

უცქეროდნენ ყვავილები, დავიწყებოდათ, გაბრაზებული რომ იყვნენ ყველაზე და ყველაფერზე.

უცქეროდნენ...

ცეკვავდა ყვავილი...

მაგრამ უცებ გამოეცალა ღონე და დაეშვა ძირს.

— მზემ მითხრაო, — დაიწყო, მაგრამ აღარ ეყო ძალა, დაეცა მიწაზე და ჩაიფერფლა...

ერთხანს დასცქეროდნენ... შემდეგ კი უცებ შეხედეს ერთმანეთს ყვავილებმა. ატყდა ჟრიამული: გავფერადდით, ვაშა, ჩვენც გავფერადდითო.

ყვიროდნენ ყვავილები: ლამაზები ვართ, ლამაზებიო.

მზემ უყურა მათ, უყურა და ნაღვლიანი მიეფარა თვალს.

გახარებული ყვავილები კი არ ცხრებოდნენ და ყვიროდნენ, ლამაზები ვართ, ლამაზები და ფერადებიო.

ვარსკვლავები რას მიქვიან, ჩვენა ვართ, რაცა ვართო!

ბევრი იმასაც ამბობდა, არავითარი ყვავილი არ მოსულა ციდან, ასეთები ვიყავით ყოველთვისო!

მერე კვლავ ატყდა ჩხუბი ერთმანეთში: არა მე ვარ ლამაზი, არა მეო!

იჩხუბეს, იჩხუბეს და დაიძინეს.

მაგრამ ყველა ყვავილს არ დაუძინია, რამდენიმე ყვავილი დაღონებული იდგა. მათ არ გახარებიათ გალამაზება და ნაღვლიანად ფიქრობდნენ:

ნეტა რა უთხრა მზემ იმ ყვავილსო.

მთელ ღამეს არ დაუძინიათ.

და დილით, მზე რომ ამოვიდა, ნაღვლიანი ყვავილები აფრინდნენ ჰაერში.

თურმე საერთოდ, მზის ყოველი ამოსვლისას შეგიძლია გაფრინდე, თუკი მოისურვებ ამას.

დაფრინავდნენ ნაღვლიანი ყვავილე-

ბი და ეუბნებოდნენ ყვავილებს — გავფრინდეთ ცაში, გავიგოთ რა უთხრა მზემ იმ ლამაზ ყვავილსო.

მაგრამ ყვავილები კმაყოფილები იყვნენ თავიანთი სილამაზით და არ სურდათ ცაში გაფრენა. თავი დაგვანებეთო, ეუბნებოდნენ მფრინავ ყვავილებს.

იფრინეს ნაღვლიანმა ყვავილებმა, იფრინეს ამაოდ და დაიღალნენ.

თანდათან ეცლებოდათ ძალა და სასოწარკვეთილნი ეცემოდნენ მიწაზე...

მას შემდეგ დაფრინავენ ველზე ნაღვლიანი ყვავილები.

მათ ახლა ჩვენ პეპლებს ვეძახით.

დაფრინავენ პეპლები და ჩასჩურჩულებენ ყვავილებს—გავფრინდეთ მზისკენო. მაგრამ ყვავილებს არ სურთ მიწის დატოვება. ისმენენ პეპლების ჩურჩულს, დგანან გაფუყულნი და ამბობენ — იმ მზემ რომ რამე იცოდეს, მაგ სულელ ვარსკვლავებს მოუვლიდა, თუ ლამაზი ხარ, სერიოზულად უნდა გეჭიროს თავი, ცეკვა და ხტომა ვის გაუგონიაო!

ის კი არა, ზოგი ყვავილი ცისკენ სულაც არ იხედება და ამბობს, არავითარი მზე და ვარსკვლავი არ არსებობსო.

მაგრამ იბადებიან ახალი ყვავილები და ზოგიერთ მათგანს ჩააფიქრებს და დააღონებს ციდან ჩამოფრენილი ყვავილის ამბავი. ისინი ნაღვლიანად უცქერენ როგორ იფერფლებიან პეპლები მზის ჩასვლისას, ღამით ველარ იძინებენ, შესცქერიან ვარსკვლავებს... და მზის ამოსვლისას თვითონაც იქცევიან პეპლებად... დასტრიალებენ თავზე ყვავილებს, უხმობენ ცისკენ.

დგანან თავისი სილამაზით კმაყოფილი ყვავილები.

ამიტომაც ხანდახან რომელიმე პეპელა გაბრაზდება, სტოვებს მოძმეებს და მარტოდმარტო მიფრინავს ცისკენ, მაგრამ შორსაა ცა და ალბათ იღუპება პეპელა სადღაც...

სულ ცაზე ფიქრობენ პეპლები, ამიტომაც არიან ლამაზები და სულელმა ყვავილებმაც არ იციან, მიტომ არიან ფერადნი, ცის სახელი რომ ჩაესმით ხშირად.

და თუ როდესმე გაქრება ცად გაფრენის სურვილი და მზის ამოსვლისას აღარცერთი ყვავილი აღარ იქცევა პეპლად, უბედურება მოხდება მაშინ: დაკარგავენ ფერს ყვავილები და ულამაზო და უსახური დარჩება ველი.

მზემაც სწორედ ეს უთხრა პირველ პეპელას.

## წვიმების მოყვარული კაცის ამბავი

პატარა ქალაქში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც წვიმა უყვარდა ძალიან.

ის წინასწარ გრძნობდა ხოლმე წვიმის მოსვლას, გავიდოდა მაშინვე ქუჩაში, და ხელებგაშლილი შეჰყურებდა ცას.

ამას რომ დაინახავდნენ, გამოეფინებოდნენ ქუჩაში ბავშვები და კაცთან ერთად ელოდნენ წვიმას.

გაწვიმდებოდა.

იდგა კაცი და სველდებოდა.

მის ირგვლივ ბავშვები დახტოდნენ.

— ბავშვებს რომ უხარიათ წვიმაში ხტუნვა, გასაგებია, აბა ჯერ მაგათ რა მოეთხოვებათ, მაგრამ შენ, ამხელა კაცს რა მოგდისო — შეეკითხებოდნენ ხოლმე ხანდახან.

კაცი მხოლოდ ამას იტყოდა ხოლმე პასუხად.

— წვიმა ციდან მოსული წყალიაო.

ძალიან უყვარდა კაცს წვიმა, რაც არ უნდა დიდი საქმე ჰქონოდა, მაინც დასთმობდა წვიმაში დგომის გულისთვის.

ხან ძილში იგრძნობდა ხოლმე, წვიმა უნდა მოვიდესო და შუაღამისას გამოვარდებოდა ქუჩაში...

...ერთ დღეს ხელებგაშლილი რომ იდგა წვიმაში, იგრძნო ხელისგულზე რაღაც დაეცა მსუბუქი.

დაჰხედა: გამჭვირვალე ცისფერი მარცვალი იყო.

კაცს ისეთი მარცვალი არასოდეს

ენახა და ჩაფიქრდა, ნეტა რა უნდა იყოსო.

წვიმამ რომ გადაიღო, კაცმა ის მარცვალი ქოთანში ჩათესა და ქოთანი აივანზე დადო.

კაცი სწორედ მიხვდა, რაც უნდა ექნა:

ქოთანში ყვავილი ამოვიდა!

ყვავილი პატარა ბავშვის სიმაღლის იყო, გრძელი, ბრტყელი ფოთლები ჰქონდა და ფოთლები ძირს იყო დაშვებული.

იდგა ყვავილი აივნის მოაჯირზე.

რომ გაწვიმდებოდა, გაშლიდა ჩამოკეცილ ფოთლებს და აელვარდებოდა ცისფრად.

ეცემოდნენ ყვავილს წვიმის წვეთები და ყველა წვეთი გამჭვირვალე სხვადასხვაფერის მარცვლად იქცეოდა.

მარცვლები ქუჩაში ცვიოდნენ და მათ ბავშვები კრეფდნენ.

მიჰქონდათ სახლში ის მარცვლები ბავშვებს, თესდნენ ქოთნებში...

... და მალე ყველა სახლის აივანზე იდგა ყვავილები.

გაწვიმდებოდა, გაიშლებოდნენ ყვავილები და თითქოს უცებ განათდებოდა ხოლმე ქალაქი.

სულ სხვადასხვა შეფერილობის იყვნენ ყვავილები: ზოგი წითელი, ზოგი მწვანე, ზოგი ჭრელი, ზოგი ქობით, ზოგი კოპლებიანი და კიდევ ვინ მოსთვლის როგორი... მოხატულები ათასნაირად, ლამაზად...

აფრქვევდნენ სურნელებას...

მოდიოდა წვიმა.

კრეფდნენ ბავშვები ცისფერ ყვავილზე დაცვენილ გამჭვირვალე მარცვლებს.

ემატებოდა ყვავილები პატარა ქალაქს და ქალაქი ერთ დიდ თაიგულს ემსგავსებოდა.

იდგა ბედნიერი კაცი წვიმაში...

მერე ქალაქის ქალიშვილებმა აი რა მოიგონეს: რომ გაწვიმდებოდა, აიღებდნენ ქოთნებს და ქუჩაში გამოჰქონდათ ყვავილები.

დაატარებდნენ ყვავილებს, უღიმოდნენ ერთმანეთს.

მკერდზე იხუტებდნენ ქოთანს, მათ თავზე კი ყვავილები იყო გაშლილი ქოლგებივით.

მანამდე ქვეყნად ქოლგა არ ყოფილა და ეს ყვავილები იყო პირველი ქოლგები.

დადიოდნენ ქალიშვილები წვიმაში, მოხიბლულები ქოლგა-ყვავილზე წვიმის წვეთების კაკუნით.

მერე მათ ხნიერმა ქალებმაც მიჰბაძეს. და პატარა გოგონებიც, ვისაც კი ქოთნის აწევა შეეძლო, ყვავილებს დაატარებდნენ წვიმაში...

დიდებული სანახავი იყო წვიმა პატარა ქალაქში.

განსაკუთრებით ლამაზი იყო ქალაქი ზევიდან. დაქროდნენ ჩიტები და დასცქეროდნენ ქუჩებს. სიხარულით ევსებოდათ პაწია გულები.

ამბობენ, ბევრმა ჩიტმა სწორედ მაშინ ამოიდგაო ენა, იმ სილამაზის შემყურემ დაიწყოო ჭიკჭიკი.

გალამაზდა ქალაქი.

მთავარი კი ის იყო, რომ ამ ყვავილების სურნელებით დამტკბარნი მოქალაქენი უფრო კეთილი გახდნენ.

ერთმანეთს აღარავინ აწყენინებდა.

ის კი არა და გოგონები ერთმანეთს აღარ ებუტებოდნენ იმაზე, არა, ჩემი დედოფალა უფრო ლამაზია, არა ჩემიო და ბიჭებსაც ფეხბურთის თამაშისას ერთხელაც აღარ მოსვლიათ ჩხუბი: ბურთი კარში გავიდა თუ არ გავიდაო.

ყველა მადლიერი იყო იმ კაცის.

... და ერთხელ წვიმაში რომ იდგა და ცას შესცქეროდა, კაცს სიმღერა მოესმა. მოაცილა მზერა ცას და დაინახა, მის ირგვლივ ქალიშვილებს ფერხული გაემართათ. ცეკვავდნენ და მღეროდნენ და მათთან ერთად დაქროდნენ ყვავილ-ქოლგები, თითქოს დაფრენენო.

კაცს მოეწონა მათი ცეკვა-სიმღერა, მაგრამ ცოტა არ იყოს, შერცხვა, ჩემს ირგვლივ რატომ გამართეს ფერხულიო.

განაგრძო ცაში ყურება...

მას შემდეგ ქალიშვილები ყოველთვის მართავდნენ ამ კაცის ირგვლივ ფერხულს წვიმაში.

და ერთხელ მარტო რომ დარჩა, კაცმა იფიქრა, ისე მართლაც კარგი საქმეა, ყვავილ-ქოლგები რომ ვაჩუქე ქალაქსო. და სიამაყე იგრძნო.

ერთხელ რომ იფიქრა ასე, მერე უკვე ხშირად მოსდიოდა ეს ფიქრი თავში.

ახლა წვიმაში ცას ხშირად მოაცილებდა ხოლმე თვალს და ილიმებოდა, დამტკბარი ქალიშვილების ფერხულით. მერე ანგარიშიც დაიწყო, ითვლიდა, დღეს უფრო მეტნი დახტიან ჩემს ირგვლივ, თუ წინა წვიმის დროსო...

მერე ერთხელ, განთიადისას გაეღვიძა. იგრძნო წვიმა უნდა მოსულიყო. წამოჯდა და გაიხედა ფანჯარაში. ერთხანს იყო ასე. მერე ისევ დაწვა, თვალები დახუჭა, გაიფიქრა აბა ახლა, ამ დილაუთენია ვინ გამოვა საცეკვაოდ, ალბათ ყველას სძინავსო. დაამთქნარა და ჩაიძინა...

ერთხანს ეძინა...

და უცებ გაიღვიძა შეშფოთებულმა.

გაიხედა აივნისაკენ და დაინახა: წვიმდა, ცისფერ ყვავილს ფრთებივით გაეშალა ფოთლები და ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა...

— ვაიმე, ეს რა ვქენიო — იყვირა კაცმა და წამოვარდა ზეზე...

... უცებ გაიღო ქალაქის ყველა ფანჯარა.

გამოიხედეს ნამძინარევმა მოქალაქეებმა, და დაინახეს:

წვიმაში მიფრინავდა ცისფერი ქოლგა-ყვავილი.

ძირს კი ის კაცი მირბოდა საცვლების ამარა. საცოდავად მისძახოდა ყვავილს და ტიროდა...

გადაიარა ქოლგამ ქალაქის თავზე, გაჰყვა თან კაცი, მიეფარა თვალს.

გაიხედეს მოქალაქეებმა თავისი ყვავილებისკენ... და ნახეს გამქრალიყო ყვავილები...

ახლაც ხშირად წვიმს პატარა ქალაქში.

დახტიან პატარა გოგო-ბიჭები, დასდით თავზე ციდან მოსული წყალი...

ქოლგებს ახლა თვითონ აკეთებენ ადამიანები, მაგრამ ეს ქოლგები იმ ყვავილ-ქოლგებს ვერ შეედრებიან სილამაზით და რადგან არც იმ ყვავილების სურნელი გააჩნიათ, ამიტომ ვერც იმას შველიან, რომ მოქალაქეებმა ერთმანეთს არ აწყენინონ.

ვერ ივიწყებენ იმ ყვავილებს მოქალაქენი.

ხანდახან ქალიშვილები ჩაფიქრდებიან წვიმაში და ეჩვენებათ, ქოლგა კი არა, ყვავილი გვიჭირავს ხელშიო. ამიტომაც ისე ფაქიზად დაატარებენ ქოლგებს, კაცი იფიქრებს, უცებ ქოლგები რომ შეახონ ერთმანეთს, გაქრებიან თავიანთი ქოლგებიანადო.

კაცებს ახსოვთ იმ კაცის დიდი შეცდომა და როგორც კი წვიმა წამოვა, უმეტესობას გული გარეთ მიუწევს. მოიგონებენ, ვითომ რაიმე საჩქარო და გადაუდებელი საქმე აქვთ სადღაც და გამოდიან ქუჩაში.

დადიან სერიოზული სახით, თან ერთმანეთს თვალს არიდებენ: ვითომ არ იცან რაშია საქმე.

მაგრამ აღარ ვარდება ციდან გამჭვირვალე ცისფერი მარცვალი...

დადიან კაცები წვიმაში.

სველდებიან თავიდან ფეხებამდე ..

ღამით კი შფოთავენ ძილში.

ზოგიერთებს ელვიძებათ, შუაღამისას სტოვებენ სახლებს და მიდიან ცისფერი ქოლგის საძებნად.

ეძებენ მთელ ქვეყანაზე, ეძებენ და ვერ უპოვიათ...

## წკრიალა ხეების ზღაპარი

ქალაქის ბაღში ერთი პატარა, ყვავილოვანი გორაკი იყო.

ლამაზი იყო გორაკი და მოქალაქეები ხშირად მსჯელობდნენ, თუ რა გაეკეთებინათ გორაკზე. ერთნი ამბობენ, ბავშვებისათვის კარუსელი გავმართოთო, მეორენი მოითხოვდნენ, სასადილო

გაეხსნათ, ნიავზე სასიამოვნო იქნება ჭამაო, მესამენი ოცნებობდნენ, აქ დიდი ტელესკოპი რომ დაიდგას, ღამღამობით მოვალთ და ცას შევხედავთ, უფრო მეტ ვარსკვლავებს დავინახავთ, ვიდრე თვალით ვხედავთო.

ვერ გადაეწყვიტათ, რა ექნათ...

ერთ დღეს კი უცხო, ფერადმა ჩიტმა გადაუფრინა ქალაქს, ორი ბრჭყვიალა მარცვალი ჩამოაგდო გორაკზე და ხმის ამოღებაც ვერავინ მოასწრო, ისე მიეფარა თვალს...

გავიდა ხანი და ორი უცნაური ხე ამოვიდა გორაკზე.

ხეებს დიდი- ფოთლები ჰქონდათ, ფოთლები გამჭვირვალენი იყვნენ სულ სხვადასხვაფრად ელავდნენ და ნიავი რომ დაუბერავდა, საამოდ წკრიალებდნენ.

მერე ნაყოფიც დაისხეს: დიდი, ფერადი საზამთროების მსგავსი, და ახლა ამ ხეებზე ლამაზი სანახავი აღარაფერი იყო ქვეყნად.

მოქალაქეებს საქმე ავიწყდებოდათ, უყურებდნენ ხეების ფოთლებში სხივების თამაშს და ტკბებოდნენ.

ბავშვებს ხომ სულ ვეღარ აცილებდნენ იქაურობას...

გაიწკრიალებდა ფოთოლი, მხიარულად ხტუნავს მოჰყვებოდნენ ბავშვები და თან ხმით ფოთლის წკრიალს ჰბაძავდნენ...

იზრდებოდა ნაყოფი...

ერთ დღეს გაყუჩდნენ ხეები.

აღარ უწკრიალებდათ ფოთლები და ისე იდგნენ, თითქოს ჩაფიქრებულანო.

და მოქალაქენი მიხვდნენ, ახლა უნდა მომხდარიყო მთავარი.

მთელი ქალაქი მოვიდა ბაღში.

წრედ იდგნენ გორაკის ირგვლივ

ელოდნენ.

და აი, მოწყდა ერთ ხეს ნაყოფი და დაეცა მიწაზე.

გაიწკრიალა ნაყოფმა, შეტოკდა რამდენჯერმე და გაჩერდა.

ხალხი სულგანაბული უცქეროდა.

უცებ კვლავ გაისმა წკრიალი, ნაყოფი შუაზე გადაიხსნა და იქიდან კაცი გამოვიდა.

კაცმა მიმოიხედა, მივიდა მეორე ხესთან და შეათვალიერა ამ ხის ნაყოფები. ერთი ნაყოფი ამოირჩია და მის ქვეშ გაჩერდა.

უცქირა, უცქირა ნაყოფს და მოსწყდა ნაყოფი ხეს, ჩამოვარდა და ისიც წკრიალით გადაიხსნა შუაზე.

და მთლად გაოცდა ხალხი — ნაყოფში ვიოლინო იდო.

კაცმა აიღო ვიოლინო, დაიდო კოხტად მხარზე, დაიბჯინა ზედ ნიკაპი, მოიმარჯვა ქამანი და დაიწყო დაკვრა.

ძალიან კარგად უკრავდა...

გაათავა დაკვრა, ხალხს თავი დაუკრა, ჩამოვიდა გორაკიდან და წავიდა...

ამასობაში პირველ ხეს კვლავ მოსწყდა ნაყოფი.

ამ ნაყოფიდანაც კაცი გადმოვიდა.

ეს კაციც მივიდა მეორე ხესთან, შეარჩია ნაყოფი და მას საყვირი ერგო.

დაუკრა, ჩამოვიდა გორაკიდან და წავიდა ისიც...

და ასე ცვიოდა ნაყოფი ერთი ხიდან, იბადებოდნენ იქიდან კაცები, ირჩევდნენ ნაყოფს მეორე ხეზე და იღებდნენ იმ ნაყოფიდან თავის კუთვნილ საკრავებს.

დაუკრავდნენ და მიდიოდნენ სხვადასხვა მხარეს.

ბოლოს თითო ნაყოფიღა შემორჩათ ხეებს.

მოსწყდა კაცების ხეს ნაყოფი. დაეცა ნაყოფი, გაიხსნა წკრიალით და გამოვიდა იქიდან კაცი.

მივიდა კაცი მეორე ხესთან და დაელოდა, როდის ჩამოვარდებოდა მისი კუთვნილი ნაყოფი.

ხალხიც ელოდა მოუთმენლად, ყველა ფიქრობდა, ამ ნაყოფიდან რაღაც არნახული საკრავი გაჩნდებაო.

ჩამოვარდა ნაყოფი...

დაეცა წკრიალით...

დასცქეროდა კაცი.

მაგრამ იდო მის წინ ნაყოფი დიდი, ფერადი ბურთივით და არ იხსნებოდა...

მზის ჩასვლამდე ელოდნენ კაციც და ხალხიც, რომ გაიხსნებოდა ნაყოფი.

ბოლოს ამოიოხრა კაცმა, აიღო ფერადი ბურთი და ნაღვლიანი ჩამოვიდა გორაკიდან.

ხალხმა მორიდებით დაუთმო გზა...

მას შემდეგ დაღონებული დადიოდა ქვეყნად ის კაცი.

როცა გაიგებდა ვინმე უკრავდა, მივიდოდა და უსმენდა.

სულ იმას ნაღვლობდა, რომ მისი კუთვნილი ნაყოფი არ გაიხსნა და არ ერგო საკრავი. სხვაზე არაფერზე ფიქრობდა...

ერთხელაც ასე დაღონებული იჯდა და უყურებდა თავის ფერად ბურთს, რომ უცებ ტირილი მოესმა.

დაინახა, პატარა ბიჭი მოდიოდა გზაზე.

— რატომ ტირი, — ჰკითხა.

— გუშინ ერთმა გოგონამ ფერადი კენჭები მაჩუქა და დღეს დავკარგეო, — თქვა ბიჭმა და განაგრძო ტირილი.

— აგერ რამდენი ყრია ფერადი კენჭები, მაგაზე რატომ ტირიო, გაუკვირდა კაცს.

— ის ნაჩუქარი კენჭები იყოო, — თქვა ბიჭმა და წავიდა მტირალი.

კაცი ჩაფიქრდა და მიხვდა, მის გარდა სხვასაც ჰქონდა ქვეყნად დარდი.

მას შემდეგ დადიოდა და აკვირდებოდა ხალხს, უნდოდა გაეგო ვინ რაზე ფიქრობდა, ვინ რაზე ოცნებობდა, ვის რა სტკიოდა...

და ერთხელ ხმა გავარდა ქვეყნად, საოცარი კლოუნი დადის ქალაქიდან ქალაქშიო.

კლოუნს დიდი ფერადი ბურთი გამოჰქონდა არენაზე. და ის ბურთი კლოუნის მხიარულ სპექტაკლში ხან საჰაერო ბურთად იქცეოდა, რომლითაც ღრუბლებისაკენ გაფრენა შეიძლებოდა, ხან დიდ კვერცხად, რომლიდანაც ფერადი ჩიტი უნდა გამოფრენილიყო. ხან ისე იქცეოდა კლოუნი, თითქოს პატარა ბიჭი იყო, ეს ბურთი კი — დიდი შაქარყინული და ხერხებს ეძებდა როგორ შეეჭამა, ხან შორიახლოს დაჯდებოდა, ნიკაპს ხელისგულზე ჩამოაყრდნობდა და ისე მიაჩერდებოდა ბურთს, თითქოს ჩაფიქრებული მთვარეს უცქერისო, ხან კი ისეთ სცენას გაითამაშებდა, თითქოს უცებ ამხელა ცრემლი გადმოუვარდა თვალიდან და აღარ იცოდა რა ექნა მისთვის.

ცხადია, მიხვდით, ვინც იყო ეს კლოუნი.

ის ახლა აღარ დარდობდა, რომ არ გაიხსნა მისი ნაყოფი.

უცქეროდა ხალხი კლოუნის წარმოდგენებს, ხან გამხიარულდებოდნენ, ხან დანაღვლიანდებოდნენ, ბოლოს კი მხნე და იმედიანი ბრუნდებოდნენ სახლში.

ხშირად, როდესაც კარგად აღარ გამოსდიოდათ დაკვრა, კლოუნის საცქერლად ის მუსიკოსებიც მოდიოდნენ.

უცქერდნენ კლოუნს და ასე ხვდებოდნენ ადამიანების დარდსა და სიხარულს.

მიდიოდნენ და უკრავდნენ...

და გრძელდებოდა ცხოვრება...

ახარებდა ადამიანებს კლოუნი და უკრავდნენ ქვეყნად მუსიკოსები...

გორაკზე კი იდგა ორი უცნაური ხე. აწკრიალებდნენ ფოთლებს და ყოველ წელიწადს ჰბადებდნენ ახალ მუსიკოსებს და მათ საკრავებს..

მაგრამ ერთხელ ხმა გავარდა: ხეები ხმებიანო...

მოაწყდა ხალხი გორაკს.

აქ იყვნენ მუსიკოსებიც.

ბოლოს კლოუნიც მოვიდა.

ნახა, დასცვენოდათ ფოთლები ხეებს...

იდგა ხალხი ჩუმად.

უცებ აზრიალდნენ ხეები და გაქრნენ...

სდუმდა ხალხი, სდუმდნენ მგლოვიარე მუსიკოსები...

იდგა ნაღვლიანი კლოუნი, და ფიქრობდა.

შემდეგ რაღაც ფიქრმა გაუნათა თვალები.

ავიდა გორაკზე, აიტანა თავისი ფე-

რადი ბურთი — და დაიწყო თავისი წარმოდგენა...

უცქერდა ხალხი კლოუნს და თანდათან ყველას ღიმილი აუთამაშდა სახეზე...

და უცებ გაიწკრიალა ბურთმა. .

ხალხი გაირინდა.

კლოუნიც გაშეშდა და მიაჩერდა ბურთს.

კიდევ გაიწკრიალა ბურთმა, გადაიხსნა და იქიდან პაწია ნერგმა ამოყო თავი...

ხალხის თვალწინ იზრდებოდა ნერგი.

უცქეროდა ამას კლოუნი.

შემდეგ წელში გაიმართა და ხელები მაღლა ამართა.

გაიღიმა კლოუნმა.

და იქცა ნერგად...

კვლავ დგას გორაკზე ორი უცნაური ხე.

აწკრიალებენ გამჭვირვალე ფერად ფოთლებს.

დიდი ფერადი ბურთები დაუსხამთ ნაყოფად.

მოდიან მოქალაქენი.

უცქერენ ხეებს და იციან, რომ ამ ხეებიდან კვლავ გაჩნდებიან კაცები და მათი საკრავები.

დაუკრავენ მუსიკოსები და წავლენ სხვადასხვა მხარეს.

დაატკბობენ ქვეყანას მუსიკით.

ერთ კაცს კი ალბათ კვლავ არ ექნება საკრავი. და ის ნაღვლიანი კაცი გახდება კლოუნი, გაახარებს სხვებს.

და შემდეგ, როდესაც მოკვდებიან ხეები, კლოუნი თვით იქცევა ხედ...

და მუდამ იქნება ქვეყნად მუსიკა და სევდანარევი ღიმილი...

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

# ფაუსტი

ტრაგედია

## ქალაქის ჭიშკართან

სხვადასხვა ჯურის მოსეირნენი გადიან ქალაქგარეთ.

რამდენიმე შეგირდი

სათ მიდიხართ თქვენ აქეთკენა?

მეორენი

მონადირეთა სახლისკენ. თქვენა?

პირველნი

ჩვენ წისქვილისკენ მივემართებით.

ერთ-ერთი შეგირდი

ტბორისკენ უფრო არ სჯობდა განა?

მეორე

ცუდი გზაა და შორს არის თანაც.

შეგირდთა მეორე ჯგუფი

შენ საითკენღა?

მესამე შეგირდი

საითაც სხვები.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5. 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ო თ ხ ე

ბურგდორფს წავიდეთ, სად სანაქებო
გოგოები და ლუდია, ძმებო,
და მუშტი-კრივის ნახვაც ღირს რამედ.

მ ე ხ უ თ ე

გატყობ, ტყავში რომ ვეღარ ეტევი
და გექავება ისევ გვერდები;
მე კი მეყო, რაც იქ შიში ვჭამე.

მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე გ ო გ ო ნ ა

არა, ქალაქში წავალ მე ისევ.

მ ე ო რ ე

ის ჩვენ ალვებქვეშ გვიცდის, სჯობს დარჩე.

პ ი რ ვ ე ლ ი

ეჰ, მე ეგ სულაც არ მახალისებს:
ის მაინც შენს მეტს ვერავის ამჩნევს.
რა ჭირად მინდა იმის ყურება,
თუ ის შენ როგორ გეკურკურება!

მ ე ო რ ე

ეგ სრულებითაც ნუ გეფიქრება,
დღეს თმახუჭუჭაც მასთან იქნება.

ს ტ უ დ ე ნ ტ ი

ისე მოდიან, ერთი წუთითაც
თვალს ვერ მოსწყვიტავ ამ კოხტა გვრიტებს.
მწარე თამბაქო, კარგი ლუდი და
მათ გარდა ჩვენ სხვა რა გვინდა კიდევ!

ქ ა ლ ა ქ ე ლ ი გ ო გ ო ნ ა

ეს ყმაწვილები რა თავს იგდებენ
ან საქციელი აბა რას უგავთ:
ჩვენ, ქალბატონებს, თვალს გვარიდებენ
და მოახლეებს დასდევენ უკან.

მ ე ო რ ე ს ტ უ დ ე ნ ტ ი

*(პირველს)*

მოიცა, შენ იმ ორ კოხტად ჩაცმულ
ლამაზ გოგონას ვერ ხედავ განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გულით ვეტრფი აი მაგ ასულს
და ჩემს მეზობლად ცხოვრობს ის თანაც.
წყნარი ნაბიჯით მოდიან აქეთ,
არ დაგვიშლიან, უკან რომ გავყვეთ.

პ ი რ ვ ე ლ ი

მორცხვობას თავი მოუკვდა, ძმაო.
ნადავლს მაშინვე უნდა ძგერება!
ვინც შაბათობით ცოცხს მარჯვედ ხმარობს,
კვირას ის უკეთ მოგვეფერება.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ჩვენი ახალი ბურგომისტრი არ მომწონს, არა!
რა გაუკეთა მან ნეტავი ისეთი ქალაქს,
ასე ამაყად რომ უჭირავს ყოველთვის თავი?
რა ვიცი, უკეთესობისკენ რამე ცვლილებას
ვერ ვხედავ, ის კი კიდევ უფრო მეტ მორჩილებას
მოითხოვს, რათა საბოლოოდ გაგვაძროს ტყავი.

მ ა თ ხ ო ვ ა რ ი

*(მღერის)*

აქ არხეინად რომ დასეირნობთ,
გამხადეთ თქვენი შეხედვის ღირსი.
იქნებ დღეს ცოტა მეც მახეიროთ
და დამეხმაროთ ჩემს გასაჭირში.
გულუხვობაში ჰპოვებდეთ ლხენას
და შემიბრალეთ ოხერ-ტიალი.
ეს დღე, ასე რომ შეჰხარის ყველა,
ჩემთვისაც იყოს ბარაქიანი.

მ ე ო რ ე   მ ო ქ ა ლ ა ქ ე

უქმე დღეებში ვიწრო წრეში, მახლობლებს შორის
ცხელ-ცხელ ამბებზე ლაპარაკს რა სჯობია მართლაც,
მაშინ, როდესაც იქ, შორეულ თურქეთში სადღაც,
ისევ გრძელდება ხალხებს შორის მძვინვარე ომი.
აქ კი სარკმელთან არხეინად წრუპავ შენს სასმელს
და უმზერ წყალზე ხომალდების უწყინარ სრიალს,
საღამო ხანს კი შინ ბრუნდები სიამით სავსე
და გულით ლოცავ მშვიდობას და ჟამს მშვიდობიანს.

მ ე ს ა მ ე   მ ო ქ ა ლ ა ქ ე

მეც მაგ აზრის ვარ, მეზობელო, რაღა თქმა უნდა!
დაე იქ იმათ სულაც ქვისთვის უხლიათ თავი!
ქვეყნიერება თავდაყირა დამდგარა თუნდაც,
ოღონდ აქ დარჩეს ყველაფერი როგორც რომ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი დედაკაცი

*(ქალაქელ გოგონებს)*

ლამაზმანებო, თვალს ახარებს მშვენება თქვენი;
აი რას ნიშნავს ყმაწვილური ცეცხლი და გზნება!
ვის არ მოხიბლავთ, მაგრამ მაინც დამეთანხმენით,
რომ დედაბერიც ბევრ რამეში გამოგადგებათ.

ქალაქელი გოგონა

წამო, აღათა! ამ ალქაჯთაგან
სჯობს ხალხში თავის განზე დაჭერა.
წმინდა ანდრიას ღამით თუმც მაგან
ჩემი საბედო მართლაც მაჩვენა.

მეორე

მეც დამანახვა სარკეში ვილაც
გამოპრანჭული სამხედრო პირი.
მე მისი სახე სულ თვალწინ მიდგას,
თუმც საპოვნელად გამიხდა ძვირი.

ჯარისკაცები

*(მღერიან)*

ციხე-კოშკებს, ქონგურებით
საიმედოდ დაცულებს,
დამცინავ და მიუდგომელ
პირმშვენიერ ქალწულებს —
გვსურს ვეკვეთოთ და ფიცხელი
იერიშით ავიღოთ,
თუნდ ამისთვის მსხვერპლად ჩვენი
სიცოცხლეც კი გავიღოთ.
როცა გვესმის მოწოდება
დაფისა და ბუკისა,
არემარეს აზანზარებს
ხმები ზაგაბუგისა.
ჰე, მაღალი ჯილდოსათვის
კაცი რას არ გაწირავს...
მოკვდი, მაგრამ გაიმარჯვე,
თუკი ჯარისკაცი ხარ!
გოგონებს და სიმაგრეებს
იერიშით ავიღებთ
და აქედან ტკბილსახსოვარ
მოგონებებს წავიღებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი და ვაგნერი

ფ ა უ ს ტ ი

მაცოცხლებელი გაზაფხულის სუნთქვით გამდნარი
ისევ დაიძრა ყინულები ჩუხჩუხა წყლებში;
იმედის მაცნედ იმოსება მწვანით მთა-ბარი,
და, როგორც იქნა, დავრდომილი ცივი ზამთარი
უკან გაბრუნდა თავის მარადთოვლიან მთებში.
მაინც უგზავნის უკვე მწვანედ შეფერილ სერებს
იგი იქიდან უნიათო ყინულის მარცვლებს,
მაგრამ მზე ველარ ეგუება ზამთრის თეთრ ფერებს
და მათ საამურ და უწყინარ ცვარ-ნამად აქცევს,
რომ კვლავ მოქარგოს ნაირნაირ სასწაულებით
იავარქმნილი სამოსელი დედაბუნების.
და თუმც ვერ ტკბება ჯერაც თვალი ყვავილთა ნახვით,
დღეს ამ ნაკლს ავსებს ფერად-ფერად ჩაცმული ხალხი.
შეტრიალდი და გაიხედე ქალაქისაკენ,
ბნელი ჭიშკრიდან რა ზღვა ხალხი მოიწევს აქეთ!
საამურ მზეზე სასეირნოდ გამოდის ყველა,
და აღდგომა დღის მოზეიმეთ გულითა სჯერათ,
რომ თვით ისინიც, როგორც იქნა, დგებიან მკვდრეთით.
როგორ იჩქარის ყველა აქეთ, შეხედე ერთი!
ზოგი ბნელსა და ულიმღამო სადგომსა სტოვებს,
ზოგი კი სახელოსნოების ცხელ საამქროებს,
ზოგს ყრუ სარდაფში ყოფნა ველარ მოუთმენია,
ზოგს კი — ქუჩების ჩოჩქოლი და აურზაური,
ზოგი ტაძრების წმინდა ბინდბუნდს გამოჰქცევია,
რომ გაშლილ ველზე სანეტაროდ მოითქვას სული.
ერთი შეხედე, მთის კალთებსაც რაოდენ ლაღად
აწყდება მათი მხიარული და ჭრელი ტალღა!
შეხედე-მეთქი, რა საამოდ დასრიალებენ,
მოსეირნენით დახუნძლული კოხტა ნავები!
იმ ბოლო ნავთან კი იმდენი ხალხი ირევა,
ყველა თუ ჩაჯდა, უსათუოდ ჩაიძირება.
ფერად-ფერადი კაბებით და მოსართავებით
მხიარულობენ გლეხები და გლეხის ქალებიც;
ჩემამდე აღწევს მათი ჟივილ-ხივილის ხმები.
აი სამოთხე ჭეშმარიტი და უტყუარი,
სადაც ზეიმობს დიდ-პატარა ხალისიანად:
აი აქა ვგრძნობ მე თავს ნამდვილ ადამიანად,
აი აქ ძალმიძს, ბედნიერად ჩავთვალო თავი!

ვ ა გ ნ ე რ ი

ბატონო დოქტორ, თქვენთან ერთად აქ სიარული
საპატიო და სასარგებლო არის ძალიან,
მაგრამ, რა ვქნა, რომ ამ ტლანქი და ჭკუამხიარული
ბრბოს საქციელი ვერაფრით ვერ ამიტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეგლის ბურთების კაკაკუკი და ულაზათო
ეს მათი ცეკვა-ჟრიამული მიმღვრევს გუნებას.
ისე ყვირიან, თითქოს ავსულთ შეუპყრიათო,
და ამ ღრიანცელს ეძახიან მხიარულებას.

გ ლ ე ხ ე ბ ი

*(მღერიან და ცეკვავენ ცაცხვის ქვეშ)*

მშვენიერი მწყემსი ბიჭი
საცეკვაოდ გაემართა.
კოხტად მორთულ-მოკაზმული
მართლაც კალმით ნახატს ჰგავდა.
ცაცხვის ქვეშ კი აგერ უკვე
წრე შეუკრავთ მხიარული
და ხის ძირას ვნებიანად
კვნესის, ოხრავს ჭიანური.

შეიჭრა თუ არა წრეში,
მყისვე გოგოს გაჰკრა მხარი,
მაგრამ გოგო შემოუწყრა,
გოგო, მთელი სოფლის თვალი.
უთხრა: ვხედავ, ზრდილობაზე
რომ ყოფილხარ მწყრალადაო.
მაგრამ ბიჭმა გოგო წრეში
შეითრია ძალადაო.

წამოენთნენ გოგონები
და ლოყები აეტკიცათ.
ჰოი, როგორ ფრიალებენ
მათი კაბის კალთებიცა!
მალე უკვე ერთმანეთში
აირია ყველაფერი,
და ჰა, ბიჭმა თეძოზედაც
წაატანა გოგოს ხელი.

მიამიტად ხომ არა მთვლი,
ასე თავს რომ მაცოდებო.
განა ცოტა შენისთანამ
მოატყუა საცოლეო.
მაგრამ ბიჭი არ მოეშვა
და ფერება-ფერებითა
გოგო განზე გაიტყუა,
გოგო სავსე მშვენებითა.

მ ო ხ უ ც ი   გ ლ ე ხ ი

ბატონო დოქტორ, ქების მეტი რა გვეთქმის, აბა!
და, მართლაც, როგორ არ შეგამკოთ ქება-დიდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თქვენ ასეთი სასახელო დიდი სწავლული
უბრალო ხალხში სეირნობას არ ერიდებით.
გულით მოგართმევთ ძველი ღვინით სავსე ამ სასმისს
და ძვირფას სტუმარს სადღეგრძელოდ გისურვებთ ერთხმად,
რომ მან თქვენ მხოლოდ სმის წყურვილი კი არ მოგიკლათ,
არამედ ქვეყნად იმდენი დღე შეგმატოთ ღმერთმა,
რამდენიც მასში წვეთი ღვინო ასხია ახლა,
რომ ბევრჯერ კიდევ გვღირსებოდეს აქ თქვენი ნახვა.

ფ ა უ ს ტ ი

მადლობის გრძნობით ვიღებ თქვენგან თასს ოქროცურვილს
და მეც გისურვებთ დღეგრძელობას სულით და გულით.

*(მის გარშემო ხალხი იკრიბება.)*

მ ო ხ უ ც ი   გ ლ ე ხ ი

მართლაც რა კარგი საქმე ჰქენით, ბატონო დოქტორ,
რომ დღევანდელ დღეს თქვენ აქ მოსვლა არ დაიზარეთ,
თქვენ, ვინც იმ მძიმე დღეებშიაც არ გვივიწყებდით,
როცა ძლიერმა სენმა ლამის მოსპო ეს მხარე.
ბევრი ვინმე დგას აქ ჩვენ შორის ახლა ისეთი,
ვინც გადაურჩა მაშინ ყოველ ჭირსა და ბოროტს,
ვინც მამათქვენმა იხსნა ციებ-ცხელებისაგან,
როცა სენს თავის ოსტატობით მოუღო ბოლო.
მაშინ ჯერ კიდევ მთლად ყმაწვილი იყავით, მაგრამ
მამასთან ერთად აკითხავდით აქ ავადმყოფებს;
რაც მაშინ ხალხი მოინელა ძლიერმა სენმა,
თქვენ კი უვნებლად გადაურჩით განსაცდელს ყოველს.
სჩანს, ზეციერი მხსნელის ყოვლად ძლიერმა ხელმა
დაჰფარა ის, ვინც მოგვევლინა ჩვენ მაშინ მხსნელად.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

მაღალმა ღმერთმა აგაშოროთ ყველა სიავეს,
რომ მომავალშიც შესწევნოდეთ ადამიანებს.

ფ ა უ ს ტ ი

იმის წინაშე მოიხარეთ დღეს ქედი ყველამ,
ვინც გვეხმარება და გვასწავლის მოყვასის შველას.

*(ვაგნერთან ერთად გზას განაგრძობს.)*

ვ ა გ ნ ე რ ი

ნეტავ რა გრძნობა დაგეუფლა, როდესაც ნახე
შენ აქ ახლახან ესოდენი პატივისცემა!
ბედნიერია, ვისაც ძალუძს იმის გაცემა,
რაც ასე უხვეჭს ადამიანს დიდკაცის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა შვილს შენზე მიუთითებს და თავკაცებსაც
ყმაწვილებივით დაჭყეტილი რჩებათ თვალები, —
საკრავი სდუმს და ჩერდებიან მოცეკვავენი,
შენს გამოჩენას ელის ყველა გულის ფანცქალით.
ისე ისვრიან მაღლა ქუდებს და ისე დიდად
გაფასებენ, რომ მუხლებზეც კი დაემხნენ ლამის,
თითქოს მათ თვალწინ კაცს კი არა, ჩაევლოს წმინდანს.

ფაუსტი

სულ რამდენიმე ნაბიჯიღა დაგვრჩა იმ ქვამდე,
ჰოდა, ავიდეთ და იქ ცოტა მოვითქვათ სული,
სადაც მრავალჯერ ვმჯდარვარ გვიან შეღამებამდე
ლოცვით და მარხვით გვემული და გამოფიტული.
ამ დროს მე ისევ მტკიცე რწმენა მმატებდა ძალას
და ქვითინისგან დაღლილი და გულამომჯდარი,
მხურვალე ლოცვით მივმართავდი ზეციერ მამას,
რომ საშინელი სენისათვის დაედო ზღვარი.
და მაინც გულზე დამცინავი გაკილვის დარად
მომხვდა სიტყვები ამ კეთილი გლეხკაცებისა...
რად არ კითხულობ შენ ჩემს გულში, არის კი განა
მამა და შვილი ღირსი ქება და დიდებისა!
თუმც მამაჩემი გულმოდგინედ და პატიოსნად
იკვლევდა მუდამ იდუმალი ბუნების ძალებს,
მაგრამ რამდენჯერ აჰყოლია ბევრ ისეთ რამეს,
რაზედაც იგი სულ ამაოდ ჰკარგავდა დროსა.
ის ადეპტებთან ერთად შავი სამზარეულოს
გრძნეულ ქურაზე ათასნაირ ნივთიერებას
ერთიმეორეს უერთებდა და უჩვეულო
ბალზამისათვის რა რეცეპტსღა არ იყენებდა.
წითელ ლომს*, ამაყ საქმროს, იქ ცხელ სათავსში დამდნარს
აქორწინებდნენ თეთრ შროშანთან ზუსტად იქამდე,
ვიდრე კვლავ ცეცხლის მეშვეობით ორივე მათგანს
ერთ სათავსიდან მეორეში გადაიყვანდნენ.
და ახალგაზრდა დედოფალი, ვით ცისარტყელა
თვალისმომჭრელად ნაირნაირ ფერად რომ კრთოდა,
აღმოჩნდებოდა ხოლმე ბოთლში, და პანაცეა
ყოვლისშემძლე და სასურველი მყის ხელთა ჰქონდათ...
პაციენტები კი კვდებოდნენ და სულ არავინ
არ კითხულობდა, ვის შველოდა იგი წამალი.
აი ჩვენ ასე, სენზე უფრო შეუბრალებლად
დავთარეშობდით ამ სასმელით საბრალო ხალხში...

---

* ალქიმიკოსთა ტერმინოლოგიით წითელი ლომი ნიშნავდა ოქროს ან ვერცხლისწყალჟანგს; შროშანა — ვერცხლს ან მარილმჟავას; ახალგაზრდა დედოფალი — პანაცეას — ყოვლისგანმკურნავ საშუალებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი გაწყდნენ, მეკი დღემდე ცოცხალი დავრჩი,
რათა ვისმინო თავხედ მკვლელთა ქება-დიდება.

ვაგნერი

ღირს კია განა ამის გამო ამდენი ფიქრი?
ან განა კაცი თავის წმინდა მოვალეობას
არ აღასრულებს, როს სხვათაგან ნასწავლ ხელობას
ყოველ საქმეში პატიოსნად იყენებს იგი!
ყმაწვილობისას თუკი მამას პატივსა სცემდი,
მოიხმარ კიდეც, რაც კი რამე ისწავლე მისგან;
შენის მხრივ მეცნიერებასაც თუ რამეს სძენდი,
სჩანს, შვილიც შესძლებს მიაღწიოს სასურველ მიზანს.

ფაუსტი

ბედნიერია, ვინც ჯერ კიდევ სულდგმულობს რწმენით,
რომ თავს დააღწევს შეცდომათა უძირო მორევს.
ის, რაც ჩვენ ვიცით, იშვიათად თუ რამეს გვშველის,
და რაც არ ვიცით, მუდამ იგი გვჭირდება სწორედ.
მაგრამ მოდი ნუ მოვიშხამავთ გულის სიამეს
დღეს აქ ამგვარი სევდიანი სამდურავებით.
ხედავ, დაისის შუქში როგორ ამოდ ბზინავენ
მარადმწვანეში ჩაფლულ ქოხთა სახურავები.
მზე ჩადის... — აჰა, დღეც გასრულდა, — მაგრამ ის ისევ
წინ მიისწრაფვის შემოქმედად ახალი დღისა.
ო, რატომ ფრთები არ მაქვს ახლა, რომ ფრინველისებრ
უკან გავყვე მას და ვეწიო სანუკვარ მიზანს!
იქ ვიხილავდი მე დაისის წარმტაც სხივებში
ჩანთქმულ ქვეყანას და შუქფენილ ამაყ მწვერვალებს,
გარინდულ ველებს და ოქროვან მდინარეებში—
თვალისმომჭრელად მოკამკამე ვერცხლის ჩქერალებს.
ვერ შებორკავდნენ ღმერთისებურ ჩემს აღმაფრენას
გულმშვაობარი ხეობები ველურ მთებისა,
ვერც ხილვა ზღვათა ამოდ თბილი უბეებისა
ვერ შეაკრთობდა მზისკენ მსრბოლავ ჩემს თვალთა მზერას.
და თუმც ღმერთქალი საბოლოოდ ჩავიდა უკვე,
მაინც ისევ წინ მიმაქროლებს ჟიუტი სწრაფვა, —
ხარბად განვაგრძობ სმას მე მისი მარადი შუქის,
ჰა, ჩემს წინ დღეა, უკან — ღამე, და იქ კი, მაღლა —
გაშლილი ზეცა, ხოლო ქვემოთ ტალღები ზღვისა.
ო, რა წარმტაცი ზმანებაა, მაგრამ ის ქრება!
თურმე სულისთვის არც ისეთი ადვილი ხდება
სხეულებრივი ფრთების შესხმა და დევნა მზისა.
და განა მაინც თანდაყოლილ სწრაფვათა გამო
უმალვე თვალი არ მიგვირბის მტრედისფერ ცისკენ,
როცა ტოროლა საამური წკრიალით გალობს
ტკბილ საგალობელს და ნარნარით მიჰყვება სივრცეს;
როცა მკაცრსა და თვალშეუდგამ მწვერვალთა თავზე

ლადი არწივი მძლავრი ფრთებით ირაოს ავლებს,
ან ტბათა გასწვრივ, იქ, ჩვენს ზემოთ, მოწმენდილ ცაზე
წეროთა გუნდი მიაშურებს მშობლიურ მხარეს.

ვ ა გ ნ ე რ ი

უცნაურობებს, მართალია, მეც ავყოლივარ,
მაგრამ ამგვარი არაფერი გამიგონია.
ნაკლებად მიპყრობს მე ტყეები და მინდორ-ველი
და არც ფრინველებს არ შევნატრი ცის კაბადონზე.
სულ სხვაა, როცა დანანაობ ტომიდან ტომზე
და შენს წინაშე მყის იშლება სამყარო მთელი.
ამ დროს თვით ზამთრის მოსაწყენ და გრძელ ღამეებში
გრძნობ მთელ სხეულში სითბოსა და სიმშვიდეს ნეტარს,
ხოლო თუ ძველი პერგამენტიც გიჭირავს ხელში,
ასე გგონია, ზეცა თვითონ ჩამოდის შენთან.

ფ ა უ ს ტ ი

ერთ სწრაფვასა ხარ აყოლილი შენ ყოველ წუთას,
და ნურც გაგეგოს ის, რაც შენგან დაფარულია!
ჩემში კი ორი სული სახლობს, რომელთაც მუდამ
ერთმანეთისგან გათიშვა და გაყრა სწყურიათ.
ერთი მათგანი თუ მიწიერ ცხოვრების გამო
სთმობს სუყველაფერს და ხორციელ განცხრომას ელტვის,
მეორეს ხიბლავს სივრცეები დაუსაბამო —
დიდ წინაპართა საუფლო და შარავანდედი.
ო, თუ არიან დედამიწას და ზეცას შორის
სულები მუდამ მბრძანებლურად მონანავენი,
დე ჩამოეშვნენ ძირს ოქროვან სფეროდან ქროლვით
და მაპოვნინონ მოკაშკაშე უცხო მხარენი.
ო, მე რომ მქონდეს ჯადოსნური წამოსასხამი,
ჩემს ამგვარ სურვილს ფუჭ ოცნებად აღარ ჩავთვლიდი,
ის იქნებოდა ჩემი შემწე დღისით და ღამით,
მას თვით სამეფო მანტიაშიც კი არ გავცვლიდი.

ვ ა გ ნ ე რ ი

ნუ, ნუ მოუხმობ შენ ნისლებში მყოფ ნაცნობ სულებს,
და ნურც ახსენებ ამ ბინდბუნდში მათ გრძნეულ სახელს;
ჩვენს ერთ სიტყვაზე უმალვე რომ აცქვეტენ ყურებს
და ადამიანს ოთხსავ მხრიდან უგებენ მახეს.
ჩრდილოეთიდან კბილალესილ ჯოჯოთა ჯარად
გვევლინებიან და გვსუსხავენ, ვით სათუთ კვირტებს,
აღმოსავლეთის მხრიდან კი მათ საზარი გვალვა
მოაქვთ თან მუდამ და უწყალოდ გვიხრავენ ფილტვებს;
ცხელი სამხრეთის უდაბნოდან მოცვენილები
თხემზე ულმობლად გვიკიდებენ ცეცხლის ენებსა,
დასავლეთიდან მოსულნი კი ჯერ გვაგრილებენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გეტბორავენ ჩვენცა და ჩვენს მინდორ-ველებსაც.
ჩასაფრებულნი ყურს უგდებენ ადამიანებს,
რადგან ყოველთვის ჰგვრით სიხარულს მათი ცთუნება,
ანგელოზის ხმით აღგვითქვამენ მრავალ სიამეს
და თავი მოაქვთ ცის უწყინარ მოციქულებად.
თუმც ჩამობნელდა, და სჯობს უკან დავბრუნდეთ, თორემ
უკვე დაიძრნენ მთიდან სველი ნისლის ქულები.
ოჯახურ კუთხეს აი ამ დროს ვაფასებთ ხოლმე...
მაგრამ რა არის, სულ იქითკენ რომ იყურებით,
მითხარით, ასე დაჟინებით რას უმზერთ ნეტავ?

ფაუსტი

აგერ იქ, ხნულში, მოწრიალე შავ ძაღლს თუ ხედავ?

ვაგნერი

ვხედავ. მერედა რამ ჩაგაგდოთ საგონებელში?

ფაუსტი

ნუთუ ძაღლის მეტს ვერაფერს სჭვრეტ შენ მაგ ცხოველში?

ვაგნერი

უბრალოდ შავი პუდელია, იქ რომ წრიალებს
და შეშფოთებით ეძებს თავის პატრონის გზა-კვალს.

ფაუსტი

თუ ამჩნევ, როგორ გვავლებს ირგვლივ ფართო სპირალებს
და სულ უფრო და უფრო ჩვენსკენ მოიწევს სწრაფად,
და თუ არ ვცდები, მას კვალდაკვალ რაღაც ავბედად,
ახლავს თან ცეცხლის დაკლაკნილი ელვარე რკალი.

ვაგნერი

შავი პუდელის გარდა მე იქ ვერაფერს ვხედავ
და ალბათ თქვენ ამ სიბნელეში გატყუებთ თვალი.

ფაუსტი

მე კი მგონია, რომ მაგიურ მარყუჟებს ხლართავს,
იმ შემთხვევისთვის, ვინცობაა ფეხი თუ წაგვცდა.

ვაგნერი

უბრალოდ, იგი აქ ერთ ამბავს იმიტომ მართავს,
რომ ორ უცხო პირს ხედავს თავის პატრონის ნაცვლად.

ფაუსტი

წრე ვიწროვდება. ხედავ, როგორ დარბის ჩვენს ირგვლივ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგნერი

თქვენ კი შორიდან მოჩვენება გეგონათ იგი.
კუდს აქიცინებს, ხედავთ, ხოხვაც კი შესძლებია;
ეს ყველაფერი სულ ძაღლური ილეთებია.

ფაუსტი

წამოდი ჩვენთან და მოუშვი ბუზღუნს და წრიალს.

ვაგნერი

უნდა გითხრათ, რომ საუცხოო პუდელი კია.
დაუტატანებ და ადგილზე ქვავდება მყისვე,
ნიშანს მისცემ და ხელათ შენსკენ გამორბის ისევ.
მოგირბენინებს, თუკი რამე დაგრჩება გზაში,
ნასროლი ჯოხის მოსატანად ისკუპებს წყალში.

ფაუსტი

შენ მართალი ხარ, რომ აქ სულს არ მიუძღვის ბრალი,
და ყველაფერი მხოლოდ გაწვრთნის შედეგი არის.

ვაგნერი

აი ასეთი ძაღლისადმი ბრძენიც, ცხადია,
რომ გამოიჩენს ყურადღებას და სიმპათიას.
და იმედია, თქვენც მიაგებთ სიკეთეს ყოველს
სტუდენტთა მიერ ამ მშვენივრად გამოწვრთნილ ცხოველს.

შედიან ქალაქის ჭიშკარში.

გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაჭავარიანი

# ნუ ავჩქარდებით!

სრულიად გასაგებ გარემოებათა გამო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ბევრს წერენ, მსჯელობენ, კამათობენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის (სტრ) არსზე და არსებაზე, დავობენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს სტრ არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროს სხვადასხვა მხარეზე, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოვლინებაზეც, აღნიშნავენ მის მზარდ, შეუჩერებელ გავლენას აზროვნების მრავალ სფეროზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე და ა. შ.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შესახებ ჩვენშიც, ჩვენ საზღვრებს გარეთაც მოზღვავდა უზარმაზარი, აურაცხელი ლიტერატურა, გამოკვლევები, ესეები, პუბლიცისტური წერილები, რომ არაფერი ვთქვათ ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ შტუდიებზე. ამ ფენომენს განიხილავენ პოლიტოლოგები, ეკონომისტები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები, გენეტიკოსები. ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმები, თათბირები, კონფერენციები, შეხვედრები, „მრგვალი მაგიდები" და დიალოგები. კამათობენ ტელეეკრანებზე, რადიოთი და ასეა მრავალ ქვეყანაში. ერთი სიტყვით, როგორც ესტონელი მწერალი ვლ. ბეკმანი აღნიშნავს, სტრ გახდა არა მარტო აქტუალური, არამედ მოდური ხასიათის თემაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ინფორმაციის ამ ნიაღვარში (თვით ტერმინი ინფორმაცია სტრ-ის ეპოქის ნაშიერია) ბევრი რამ ჭეშმარიტად ყურადსაღებია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მასზე მსჯელობენ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები, რომელთაც აქვთ უნარი განაზოგადონ ფაქტიური მასალა, ცხოვრებისეული მონაცემები.

მართლაც და, რა არის სტრ? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ადვილი საქმე არ გამოდგა და არა მარტო ლიტერატორისა თუ პუბლიცისტისათვის, არამედ ამ საქმეში სპეციალურად ჩახედული მკვლევარისათვისაც.

არსებობს სტრ-ს მრავალი დეფინიცია. ჩვენშიც — საბჭოთა კავშირში, ჩვენს საზღვრებს გარეთაც. აქ შეუძლებელია ყველა არსებული განსაზღვრების მოყვანა. მაგალითისათვის დავიმოწმებთ პროფ. გ. ვოლკოვის განსაზღვრებას, რომელიც გამოქვეყნებული იყო კრებულში „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და სოციალური პროგრესი". გ. ვოლკოვი წერს: „თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე მსჯელობის დროს, თუ მას მთლიანობაში განვიხილავთ, მიღებულია გამოიყოს მისი მთავარი მიმართულებანი; ენერგიის ახალი წყაროების ათვისება—ატომურის, თერმოატომგულის; კოსმოსის სივრცეში ადამიანის შეწვდომა და მისი შესწავლა; ახალი, უფრო ეფექტური, ვიდრე ტრადიციული მექანიკური დამუშავება იყო, ტექნოლოგიის ათვისება, რომელიც ეყრდნობა ნივთიერების ფორმის არა უბრალო, მარტივ, არამედ მისი მოლეკულიარული და ატომური სტრუქტურის შეცვლას, მისი ახალი, წინასწარ მოცემული თვისებებით გარდაქმნას, წარმოების გადაკეთებას ავტომატიზაციის საფუძველზე; სტრ გულისხმობს საწარმოო ძალთა მთელ სისტემას, საწარმოო ძალები კი პირველ რიგში მოიცავენ ადამიანს, მისი შრომის შედეგად მატერიალური და სულიერი ღირებულებათა შექმნის უნარითურთ. ადამიანი გვევლინება სტრ-ს არა მარტოოდენ ობიექტად, არამედ სუბიექტადაც".

მკითხველის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადო ამ გრძელი ციტატისათვის. მე შეგნებულად მივმართე სათანადო სპეციალისტს, მის განმარ-

ტებას, რათა სრულად წარმოგვედგინა სტრ-ის მრავალმხრივობა, მრავალფეროვნება. ახლა ზოგიერთი ავტორი, სტრ-სა და ლიტერატურასთან მის ურთიერთ დამოკიდებულებაზე რომ მსჯელობს თუ წერს, ცოტა არ იყოს, აუბრალოებს მის ბუნებას, იმ შედეგებს, რომელსაც სტრ-ის სწრაფი განვითარება ადამიანის შრომის, შემოქმედების სხვადასხვა დარგში იწვევს.

ცნობილმა პოეტმა ლეონიდ მარტინოვმა გონებამახვილურად შენიშნა: „საკუთრივ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი საუკუნიდან საუკუნემდე გრძელდებოდა და საუკუნეებში პოეტები, მწერლები წერდნენ და წერენ ქარზე, ღრუბლებზე, ზღვაზე. იცვლება მხოლოდ თვალსაზრისი".

არსებობს სხვა შეხედულებებიც. რას არ მიაწერენ სტრ-ს? საკმაოდ ავტორიტეტულ გაზეთში ერთი ბანალური ისტორიის ამბავი წავიკითხე. ინტელიგენტ მამას მისმა საყვარელმა შვილმა, შელაპარაკების დროს, თურმე თავში რაღაც რკინის საგანი ჩაარტყა. მამა მძიმედ დაშავდა. რასაკვირველია, მეტად ცუდი ამბავია, არც თუ სასიამოვნო სიტუაცია შექმნილა იმ ოჯახში. მაგრამ მე განმაცვიფრა წერილის ავტორის უცნაურმა დასკვნამ: თურმე, ნუ იტყვით, აქ დამნაშავე სტრ ყოფილა! ამ რევოლუციას მამისათვის დრო წაურთმევია, და შვილი, მას მორალური თვალსაზრისით უკეთ ვერ აღუზრდია. აი, როგორ ესმით ჩვენში ცხოვრების ზოგიერთი შემთხვევა. მკითხველი იტყვის, ეს ანეკდოტიაო. მართალია, მაგრამ ეს ამბავი დაიბეჭდა მეტად სოლიდურ გაზეთში, სადაც არ არსებობს ანეკდოტების განყოფილება.

ყოველთვის ძნელი იყო და არც ახლა არის იოლი მრავალმხრივ გაიაზრო ჩვენს თვალწინ ჩქარი ტემპებით მიმდინარე, მეტად დინამიური ცხოვრება, ის ცვლილებები, რომელსაც ახლა აქვს ადგილი, სწორად წარმოსახო ეს პროცესები ხელოვნებაში, ლიტერატურაში...

რომელი მწერალია ყველაზე უფრო თანამედროვე? ის, რომელსაც თავის ნაწარმოებებში მექანიკურად შეაქვს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისათვის დამახასიათებელი ტერმინები, საგნობრივი რეალიები, თუ ის, რომელსაც მაინც და მაინც არ აინტერესებს მატერიალური აქსესუარები, ანტურაჟი და პირველ რიგში ცდილობს ჩაწვდეს ეპოქის სულსა და გულს, იქ არსებულ ფსიქოლოგიურ გარემოს, მორალურ-ზნეობრივ ვითარებას, წარმოგვისახოს ახალი ადამიანის სულის მოძრაობა, თვით ამ ადამიანის წარმოქმნის მეტად თავისებური პერიპეტიები? მწერალს ხომ პირველ რიგში აინტერესებს ადამიანი, მის სხვადასხვა განზომილებაში და არა, თუ გნებავთ, უნიკალური რობოტი, ავტომატური დანადგარი, კოსმოსური ხომალდი, რომელიც ადამიანის გენიის, მისი სულიერი შემოქმედების ნაყოფია. რჩება თუ არა ძალაში არისტოტელესეული განმარტება ადამიანისა? ვრჩებით თუ არა ჩვენ „ჰომო საპიენსი", თუ მართლაც ჩვენს ბუნებაში გაიმარჯვა „ჰომო ფაბერმა"? ჩვენ ვბატონობთ საგანზე, თუ საგანი დაგვეპატრონა, მიითვისა ჩვენი სული, გული, ოცნება, იდეალები, წვდომა უსასრულოსადმი, ძიების, შემოქმედების უნარი?

ეგებ ვცდებით, ისე კი ჩვენ გვგონია, რომ ლიტერატურისა და სტრ-ს დამოკიდებულების პრობლემა მხოლოდ ამ მოსაზრებათა შუქზე უნდა იქნეს განხილული.

საქართველოში ახლა ბევრია კარგი მწერალი, მგოსანი, პროზაიკოსი, ნოველისტი და ა. შ. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, მაგალითად, ანა კალანდაძის, ნოდარ დუმბაძის, შოთა ნიშნიანიძის და სხვა მრავალ კალმის ოსტატთა სახელები; ყურადღებით გადავიკითხოთ თუნდაც მარტო აქ ჩამოთვლილი მწერლების ბოლო წლების ნაწარმოებები. არც ერთი პოეტური თუ პროზაული სტრიქონით, აბზაცით ისინი არც კი უახლოვდებიან იმას, რასაც ჩვენი ფილოსოფოსები, სოციოლოგები, კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები სტრ-ს დამახასიათებელ ფუნქციად მიიჩნევენ.

ანა კალანდაძე წერს ფილოსოფიურ-ლირიკულ ლექსებს; შოთა ნიშნიანიძე წარმოგვიდგენს მრავალფეროვან განცდებს, ფიქრებს, რომელიც მას თანამედროვე ადამიანის რთულ შეგრძნებებად ესახება; ნოდარ დუმბაძის პროზა ჩვენს წინაშე ღრმა მორალურ პრობლემებს აყენებს. ეგებ ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას" პოპულარობის მიზეზი, პირველ რიგში მის სისადავეში, ტრადიციული ადამიანური პრობლემების დასმის ცდაში უნდა ვეძიოთ. დათა თუთაშხია დიდ ადამიანურ სიმართლეს ეძიებს და, თუ არ ვცდები, ვერ პოულობს მას, და აქ სტრ სრულიად უდანაშაულო არსებად წარმოგვიდგება. ასეთივე ვითარებაა ო. ჭილაძის ფილოსოფიურ რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა".

ხშირად მიუთითებენ გურამ ფანჯიკიძის უეჭველად ნიჭიერ ქმნილებებზე, აი სტრ-ისათვის დამახასიათებელი ნაწარმოებებიო! გ. ფანჯიკიძე მკითხველის წინაშე აყენებს, პირველ რიგში, რთულ ზნეობრივ პრობლემებს. ეს პრობლემები შეიძლება წამოჭრილიყო ინჟინერის, აგრონომის, მიწის მუშის და ა. შ. წინაშე და დროის იმ მონაკვეთზეც, როდესაც სტრ არ მიმდინარეობდა.

ეგებ სწორედ აქ იბადება მთავარი პრობლემა — რა უნდა მივაკუთვნოთ ჩვენ სტრ-ის ლიტერატურას და რა გამოვაცხადოთ „მოძველებულ", „დამყაყებულ", „ტრადიციულ ლიტერატურად"? ასეთი კითხვა დგება არა მარტო ლიტერატურაში, იგივე პრობლემებია თეატრ-

ში, პირველ რიგში, დრამატურგიაში და სპექტაკლშიც, მუსიკაშიც, მხატვრობაშიც. შენბერგმა და პიკასომ ალბათ არც კი იცოდნენ ისეთი ცნება, როგორიცაა სტრ, მაგრამ ვინ უარყოფს, რომ ისინი უაღრესად თანამედროვე შემოქმედნი არიან. რომელ ეპოქას მივაკუთვნოთ თომას მანი, ჰერმან ჰესე, მუზილი, მარსელ პრუსტი და ჩვენი დროის ორი უდიდესი ამერიკელი — ერნსტ ჰემინგუეი და უ. ფოლკნერი, რომელიც აშშ სამხრეთის ტრადიციულ, მეტად მძიმე ზნე-ჩვეულებებს აღწერს. როგორ ავხსნათ მთელ მსოფლიოში თედორე დოსტოევსკის ესოდენ დიდი პოპულარობა! მეტყვიან, დოსტოევსკი კლასიკოსია, ისე როგორც ჰომეროსი თუ დანტეო. მაგრამ საქმე ისაა, რომ თ. დოსტოევსკი, ისევე როგორც ჩვენი გენიალური ვაჟა-ფშაველა წერენ *თანამედროვე ადამიანის* ურთულეს პრობლემებზე. როდესაც ცნობილმა იტალიელმა მწერალმა გოფრიდე პარიზემ აქ, თბილისში, თენგიზ აბულაძის „ვედრება“ ნახა, სავარძლიდან წამოხტა — „ეს ვისი სცენარია, ვინ დაწერა ასეთი საკვირველებაო, ჩამოიტანეთ ეს სურათი იტალიაში, ის იქ უმაღლეს ჯილდოს მიიღებსო“. ასეც მოხდა, გ. პარიზეს მეშვეობითაც, „ვედრებამ“, თ. აბულაძემ იტალიის კინემატოგრაფიის უპირველესი ჯილდო მიიღო. აშშ კინემატოგრაფისტები განაცვიფრა გიორგი შენგელაიას „ფიროსმანმა“ და ამ კინოსურათმაც იქაური დიდი ჯილდო მიიღო. არც „ვედრებას“, არც „ფიროსმანს“ სტრ-სთან საერთო არაფერი აქვთ.

ჩვენ ასე გვგონია, რომ სწორედ მექანიზებული სამყაროს მკვიდრს, პირველ რიგში, დიდ ადამიანურ პრობლემებზე მეტყველი ლიტერატურა სჭირდება. ეგებ არასოდეს ყოფილა საჭირო ჰუმანისტური ლიტერატურა ისე, როგორც ახლა, როდესაც ტექნოლოგიამ იმ სამყაროში განასხვისა ადამიანი. სწორედ ჰუმანისტური ლიტერატურა უბრუნებს სტრ-ის ჯუნგლებში მოხვედრილ ადამიანს მის ჭეშმარიტ არსებას.

„მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის ვრცელ წერილში „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა“, სოსო სიგუა წერს, თითქოს ჩვენში, ქართულ სინამდვილეში „ტექნიზირებულმა... გარემომ წარმოშვა ანტიესთეტიზმი“ და „მისი პირველი მკვეთრი გამომხატველი იყო მუხრან მაჭავარიანი“ („მნათობი“, № 1, გვ. 157); შემდეგ: „50-იანი წლებიდან გაჩნდა ანტიმუსიკალიზმის ნიშნები“, „სალექსო ფორმებმა რაციონალური სახე მიიღო“, „ანტიმუსიკალიზმი ერთ-ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ სიტყვის ხელოვნება ნელნელა იქცევა აზრის ხელოვნებად“, „სტრ გამოდის ანტიესთეტიზმის პაროლით“, „ამჟამად პოეტები უკვე აღარ არიან მგოსნები. ისინი კი არ მღერიან, არამედ ფიქრობენ, თუმცა აუდიტორია მათგან სწორედ სიმღერას თხოულობს“ (იქვე, გვ. 158); „რითმის კრიზისი თვით სიმბოლისტების ლექსებში აღმოცენდა. სტრ-ის უმაგალითო გაშლამ და შემოტევამ ის ყვავილივით დააჭკნო. დასავლეთში გადაგვარდა კლასიკური ლექსთაწყობა. ცხოვრების ურბანიზება და ტექნიციზება ჩვენშიც მსგავს ატმოსფეროს ამზადებს“ (იქვე, გვ. 163).

ავტორი არა ერთგზის აღნიშნავს,რომ სწორედ სტრ-ს შემოტევამ წარმოშვა „ანტილექსი“, „განპოეტურობის ტრაგედია“ და „ანტილირიკული შინაარსი“.

თუ ყველაფერი ეს მართალია (საბედნიეროდ, ეს არასწორი თვალსაზრისია, თუმცა ზემოხსენებული ავტორის გარდა, მას დამცველები საკმაოდ ჰყავს), მაშინ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. პოეზია, სადაც ლირიკა აღარ არის, დეგრადაციისა და რღვევის გზაზე დგას.

რა არის ლირიკა? ეს ლიტერატურის ის სახეობაა, რომელიც გამოხატავს ადამიანის შინაგან ემოციურად დამუხტულ, დატვირთულ განცდებს. ემოციურობის გარეშე ვერც პოეზია, ლიტერატურის ვერც ერთი სხვა სახე ვერ იარსებებს. ჩვენ ვლაპარაკობთ ღრმა გრძნობების გამოხატვის აუცილებლობაზე და არა ობივატელის, თუ მეშჩანინის ცრუ სენტიმენტალურ პრანჭვა-გრეხვაზე. სხვა პრობლემაა თვით ლექსის ფორმის საკითხი. ვერლიბრი შესანიშნავად გამოხატავს სულის ლირიკულ განწყობილებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას მეტყველებს ქართველი ვერლიბრისტის ბესიკ ხარანაულის ლექსებიც. როცა ხარანაული თავის პოეტურ არსებას ძალას არ ატანს, კარგ, სწორედ ლირიკული განწყობილების ლექსებს წერს.

ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა თუ საშუალო ხნის კრიტიკოსს, არ ვიცი, რატომ ჰგონია, რომ სტრ, სხვა მომენტებთან ერთად, ლიტერატურაში გამოხატულებას პოულობს რაციონალიზმში, ნაწარმოების რთულ სტრუქტურაში.

პოეზიაში მას ვერლიბრი, თეთრი ლექსი შეეფერებაო, პროზაში — მოკლე, სხარტი, მოკვეთილი წინადადება, ფრაზა, ე. ი. მხედველობაში იღებენ, უპირველესად ყოვლისა, გამოხატვის, გამოსახულების ხერხს, ფორმას და ა. შ. შინაარსობრივად სწორედ ასეთი ლიტერატურაა თანამედროვეო.

მივყვეთ ასეთი მსჯელობის ლოგიკას, რა გამოგვივა, როგორი დასკვნის გაკეთება დაგვჭირდება?

სად იყო სტრ, როდესაც ვერლიბრით წერდა, მაგალითად, პოლ ვალერი. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ძირიან-ფესვიანად შეცვალა რუსული ლექსის სტრუქტურა. მოკლე სხარტი ფრაზებით წერდნენ ჯოისი, ზემოთ უკვე მოხსენებული

ერნსტ ჰემინგუეი, დოს-პასოსი და სხვა მრავალი მწერალი, ჩვენებურიც და უცხოელიც. რა კავშირი აქვს ლიტერატურის ფორმის განვითარების იმანენტურ კანონებს ტექნიკურ რევოლუციასთან? ის ამხანაგები, რომელნიც ასე მსჯელობენ, ხომ არ უბრუნდებიან ნეტარხსენებული „პროლეტკულტის" ლიტერატურულ-კრიტიკულ თვალსაზრისს?

ამ სხარტ, მოკლე, მოკვეთილ ფრაზებს თავისი „თეორეტიკოსებიც" ჰყავდა. „პროლეტკულტის" ერთ-ერთი თეორეტიკოსი პლეტნიოვი წერდა:

«Бешенная стремительность революции уже сейчас вносит в наш язык новое содержание, ломая его «благородные» классические формы. Наш лексикон, подчиняясь темпу жизни, становится **телеграфно-чётким, отрывистым, сгущающим** содержание слова до колоссальных размеров. Переведите-ка на старый «благородный» русский язык **Обломова** пару слов «электрификация» и «радиоактивность», и мы в них легко ассоциируем несоизмеримый масштаб явлений экономического, технического порядка. Это вносит в содержание, в форму литературного творчества и его назначение огромное видоизменение».

ვ. ი. ლენინმა, პლეტნიოვის ეს წერილი რომ წაიკითხა, ტექსტს კიდეზე ხაზი ჩამოუსვა და კითხვის ნიშანიც მიუწერა. ტექსტში ხაზგასმაც ლენინს ეკუთვნის.

მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს ვ. ი. ლენინის ამ ხაზების, კითხვის ნიშნის დანიშნულება, შინაარსი. სხვათა შორის, ამავე პლეტნიოვმა წამოაყენა დებულება, რომ პროლეტკულტის პრიორიტეტია პროლეტარული, კლასობრივი კულტურისათვის ბრძოლა და შენიშნა:

«И эта борьба должна будет пойти под флагом именно творчества **пролетарской культуры и никак иначе».**

ეს ხაზიც ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ხაზის გარდა პლეტნიოვის ნაწერის ამ ადგილს ვ. ი. ლენინმა რემარკა გაუკეთა — „Ух!" (იხ. ჟურნალი „ვოპროსი ლიტერატური", № 4, 1975 წ., გვ. 192-193).

მკითხველი გაგვიგებს, თუ რატომ დაგვჭირდა ჩვენ ვ. ი. ლენინის შენიშვნებზე შეჩერება, რომელნიც, თითქოს საკითხთა სხვა წრეს ეხება, და არა სტრ-ის პრობლემებს. ვ. ი. ლენინის შენიშვნებს უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ებრძოდა მარქსიზმის ყოველგვარ ვულგარიზაციას, ზედნაშენის — კულტურის, ლიტერატურის და ა. შ. ფენომენების უშუალოდ ბაზისური საწყისიდან გამოყვანას.

რაც შეეხება საქართველოს სინამდვილეს, საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე გარემოება. სტრ ჩვენში ხომ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. მოსახლეობის 51 პროცენტი სოფლად ცხოვრობს. ჩვენი სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გამო (მევენახეობა, ჩაის კულტურა, მომთაბარე მეცხოველეობა და ა. შ.) ფაქტიურად ჩვენში ამჟერადაც ხელით მუშაობენ და ჩვენი სოფლის მეურნეობის მთლიან ავტომატიზაციას ალბათ კარგა დიდი ხანი დასჭირდება. ამას წინათ ქართველ მწერალთა ერთმა ჯგუფმა დაათვალიერა რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ბოჭკოს ქარხნები. ჩვენ გვინახავს საავიაციო და დაზგათმშენებელი ქარხნებიც. მიუხედავად წარმოების მაქსიმალური ავტომატიზაციისა, წარმოების ღმერთად, წამყვან ძალად კვლავ ადამიანი, მუშა, გლეხი რჩება და ასე იქნება მუდამ. ტექნიკა კი არ იმორჩილებს ადამიანს, პირიქით, ადამიანი იმორჩილებს ტექნიკას. მე არა ერთი და ორი საათი გამიტარებია დიდი საჰაერო ლაინერების პილოტების კაბინაში. იქ თითქოს ყველაფერი ავტომატიზებულია, მაგრამ პილოტმა რომ ერთი წამით ჩათვლიმოს, კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ. მიუთითებენ არტურ ჰეილის რომანზე „აეროპორტი". მე მგონია ეს რაღაც გაუგებრობაა. ამ რომანში აღწერილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანთა სრულიად ელემენტარული დამოკიდებულებანი, რომელნიც შეიძლება მომხდარიყო აეროპორტშიც, რკინიგზის სადგურზეც და, არ ვიცი, კიდევ სად, რადგან ჰეილი აღწერს მექანიზმების კი არა, ადამიანების ვნებებს, განცდებს, დამოკიდებულებებს. როგორც სტრ-ისათვის დამახასიათებელ ნაწარმოებებზე, მიუთითებენ აგრეთვე დ. გრანინის მართლაც საინტერესო რომანზე — „მივდივარ ჭექა-ქუხილზე". წმინდა გარეგნული ატრიბუტებით ეს მართლაც ულტრა-თანამედროვე ნაწარმოებია. აქ გხვდებათ თვითმფრინავიც, სათანადო საკონტროლო ინსტრუმენტებიც და სხვა ტექნიკური ხასიათის მოწყობილობაც, მაგრამ ავტორს და მკითხველს აინტერესებს არა ეს მექანიზმები, სტრ-ის ნიშნები, არამედ ადამიანთა დამოკიდებულებანი და მთელი ეს ტექნიკა წმინდა გარეგნული ანტურაჟია. ადამიანთა ურთიერთობის მსგავსი კოლიზიები შეიძლებოდა მომხდარიყო ნებისმიერ საგნობრივ გარემოცვაში.

ჰოდა, ერთმა კახელმა კოლმეურნე ქალმა მითხრა: „ვაზი ჩემი სიყვარულიც არის და ჩემი ტანჯვაცო. წელიწადში ვაზს ალბათ სამასჯერ მაინც შემოუვლი, თუ ცივი, სუსხიანი დღე და ღამეა, მის გათბობაზე ვზრუნავ, რაც კი სახლში გამაჩნია, გარეთ გამომაქვს, ვაზს, როგორც ბავშვს ისე ვახვევ, რომ არ წაიყინოს, ავად არ გამიხდეს. შაბიამნით, გოგირდით უნდა ვუმკურნალო. დაწყევლილი სეტყვა რომ ვაზს დაასახიჩრებს, ამას ისე განვიცდი, თითქოს ღვიძლი ბავშვი დამიჭრესო. რაკეტებს ესვრიან ღრუბლებსა, მაგრამ ზოგჯერ რომ არა გვშვე-

ლის ეგ დალოცვილი რაკეტები". ვის არ უნახავს ჩვენი მწყემსი, მისი, მართლაც, გმირული, თავდადებული შრომა, დოლის დროს ჩვენი ვეტერინარების ჯაფა და წვალება. რომელი მანქანა, ავტომატი შეცვლის მათ? რომელი მანქანა მოეალერსება დეკეულს ისე, როგორც ჩვენი გლეხის ქალი! ვიცი, რომ ახლა მექანიზმები წველიან ძროხებს, ბავშვობაში კი კარგად მახსოვს ჩვენი „ლიზა", არ ვიცი, რატომ შეარქვეს ასეთი სახელი ძროხას, დიდედას გარდა, რძეს არავის „აძლევდა".

რასაკვირველია, ახლა ბევრი რამ კარდინალურად გამოიცვალა; ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი. სტრ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მოიცავს საწარმოო ძალების ერთობლიობას, მაშასადამე, ადამიანსაც. მაგრამ ადამიანის ფსიქიკაში, მის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ადექვატური გამოხატულება დროს მოითხოვს; ცვლილებები საზოგადოების ბაზისში მექანიკურად როდი პოულობენ თავის გამოხატულებას შემეცნების სხვადასხვა სფეროში; სხვაგვარად რომ ვიმსჯელოთ, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ „ილიადა" და „ოდისევსი" საგვარეულო წყობის ტექნიკის დონით უნდა განვიხილოთ, შექსპირის შემოქმედება — ფეოდალური წყობის დაშლით გამოწვეული ვითარებით, ბალზაკის რომანები — კაპიტალიზმის განვითარების მანქანური ეტაპით და ასე შემდეგ და ამგვარად. მაგრამ ეს ხომ პრიმიტიული ვულგარიზაცია იქნება და მეტი არაფერი!

ჩვენს ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მეცნიერებაში უკვე კარგა ხანია, რაც დადგენილია ბაზისის არაპირდაპირი ზეგავლენა ზედნაშენის მეტად რთულ სტრუქტურაზე. უტოპია იქნებოდა სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით გამოწვეული, შეპირობებული მოვლენების დაუყოვნებლივი ასახვის სურვილი.

ბუნებრივია, რომ სისტემაში „წარმოება — ადამიანი — საზოგადოება" მთელ რიგ შემთხვევაში, სტრ-ს შეაქვს მანამდე უცნობი კანონზომიერებანი, მომენტები.

მუშები, გონებრივი შრომის წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ განვითარებულ სოციალიზმის პირობებში, უკვე ის ადამიანები აღარ არიან, რომლებიც ამ 30-40 წლის წინათ ცხოვრობდნენ; სოფლის მეურნეობაში მომუშავენიც სხვა ხალხია; ეს ის გლეხები აღარ არიან, რომელნიც ოქტომბრამდე თავაულებლივ ჩასცქეროდნენ მიწას... მაგრამ არა მგონია, რომ ეს ცვლილებები სტრ-ის მონაპოვარი იყოს. ეს ცვლილებები ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარია.

სტრ თავისთავად ვერ გარდაქმნის ადამიანს, ვერ აამაღლებს მის ღირსებას. მთელ რიგ ეკონომიურად მნიშვნელოვნად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სტრ აჩქარებული ტემპით მიიწევს წინ, ეს ასეა, ოღონდ იმ ქვეყნებში მშრომელი ადამიანი, რომელსაც, შეიძლება თეთრი პერანგი აცვია და ჰალსტუხიც უკეთია, სოციალურად ისევე არის შეურაცხყოფილი, როგორც ინგლისის ის მუშა, რომლის ცხოვრებისა და შრომის პირობები გასული საუკუნის შუა წლებში ფ. ენგელსმა აღწერა თავის განთქმულ შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში".

მშრომელი ადამიანის სულიერი ზრდის პროცესი ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ აისახა ჩვენს ლიტერატურაში. ეს ფაქტია, რომელსაც ყურადღება სჭირდება. აქ თავს ვერ ვიმართლებთ ე. წ. „დროის დისტანციის" ფაქტორით. ოციანი, ოცდაათიანი წლების ქართული ლიტერატურა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ხალხის ცხოვრებას. გავიხსენოთ კ. გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, ა. ქუთათელის, კ. ლორთქიფანიძის, რაჟდენ გვეტაძის და სხვათა ნაწარმოებები.

შეიძლება შეგვნიშნონ, იმ დროს, ოციან, ოცდაათიან წლებში ლიტერატურაში სოციალური მოტივი უფრო მასშტაბურად, რელიეფურად მჟღავნდებოდა და ჩვენი კაზმული სიტყვის ოსტატები დაუყოვნებლივ აიტაცებდნენ, აითვისებდნენ ხოლმე საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში მოქმედ პროცესებს. შესაძლებელია ეს ასეც არის, ისე კი, ჩვენი ფიქრით, არც დღევანდელი ლიტერატურა ჩამორჩება ცხოვრებას.

ჩვენი ლიტერატურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ცხოვრებაში არსებულ მძიმე ნეგატიურ მოვლენებს მახვილი თვალი ქართველმა მწერლებმა დროულად მიაპყრეს. ამ მხრივ, ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს გურამ ფანჯიკიძემ, ლადო მრელაშვილმა, არჩილ სულაკაურმა, ედიშერ ყიფიანმა, ვ. ურჯუმელაშვილმა, ელ. მაისურაძემ, სხვებმაც, რასაკვირველია.

მწერალთა მცირე ნაწილმა თითქოს სხვა გზა აირჩია, დიდ სოციალურ პრობლემებზე წერას თავი აარიდა და ეგრეთ წოდებულ ინტიმურ საკითხებზე დაიწყო წერა. შესაძლებელია ჩვენ ვცდებით, და თუ ამას დაგვიმტკიცებენ, უარს ვიტყვით ამ მოსაზრებაზე. როგორც არ უნდა იყოს, სტრ-ს ამ პროცესებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

ჩვენ ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე; ჩვენ ვგულისხმობთ ხალხის ინტელექტუალურ ზრდას, საერთო სახალხო წიგნიერებას, განათლებას. ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართველ კაცს ამდენი წიგნი არასოდეს წაუკითხავს. კარგი წიგნი, მრა-

ვალათასიანი ტირაჟითაც კი, რამდენიმე დღეში, ხანდახან საათში ვრცელდება.

ქართული გაზეთების ყოველდღიური ტირაჟი ორ მილიონს აღწევს, ლიტერატურული და მეცნიერული ჟურნალებისა კი ასი ათასს აჭარბებს. ჩვენებური კაცი ბევრს კითხულობს რუსულადაც, ევროპულ ენებზე გამოსული წიგნებიც ათი ათასობით იყიდება. ახლა გაითვალისწინეთ ტელევიზია, რადიო, კინო, და გასაგები გახდება, როგორი მასშტაბების მოვლენებთან გვაქვს ჩვენ ახლა საქმე; ერის ინტელექტუალური პოტენციის ასეთი ძლიერი აღმოხეთქვა უკვე რეალური ამბავია. რასაკვირველია, ჩვენ თავი ვერ დავიზღვიეთ ზედნადები ხარჯებისაგან. აქა-იქ სარეველაც მოგვერია. თავის დროზე ალბათ შეიძლებოდა ესეც აგვეცილებინა თავიდან. მაგრამ ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ყველაფერი კეთდება, რომ ხალხის ინტელექტუალური და ზნეობრივი ზრდა სინქრონულად მიმდინარეობდნენ.

აქ ისიც მინდა აღვნიშნოთ, რომ სტრ თავის თავად არ გამორიცხავს არც უზნეობას, არც ქურდ-ბაცაცობას, არც მექრთამეობას, არ აბრკოლებს კერძო მესაკუთრული ინსტინქტების გავრცელების შესაძლებლობას. საქართველოში ხომ არა ერთი თუ ორი „ინტელექტუალური“ მექრთამე, ქურდი, ამორალური ადამიანი იქმნა მხილებული.

ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ინფორმაციის აფეთქებაზე, მასობრივ ლიტერატურის გავრცელებაზე, რადიოს, კინოს, ტელევიზიის მნიშვნელობაზე. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ კომუნიკაციის, ინფორმაციის მნიშვნელობა დღევანდელ ადამიანის ცხოვრებაში. დასავლეთში ბევრს წერენ, მაგალითად, ტელეხედვის მომაკვდინებელ როლზე, აღნიშნავენ, რომ ადამიანის მთელი თავისუფალი დრო ან ტელეეკრანს ან კინოეკრანს მიაქვსო. კანადელ სოციოლოგსა და ფილოსოფოს მაკკლოის კაცობრიობის დეგრადაციაც კი ელანდება, ტელე და კინო გაანადგურებენ ადამიანსო; ტელეეკრანი მას რაღაც დამოუკიდებლად არსებულ, თითქმის სულიერ არსებად მიაჩნია, რომელსაც რაღაც მისტიკური ძალაც კი აქვს.

რასაკვირველია, დასავლეთის სამყაროში, დიდი კაპიტალისტური კორპორაციების, ფინანსიური ოლიგარქიის განკარგულებაში მყოფი ინფორმაციის ეს და სხვა წყაროებიც, მაგალითად, ილუსტრირებული ჟურნალები, ე. წ. „ჯიბის წიგნები“ (პატარა ფორმატის გამოცემები, რომელთაც ჯიბით ატარებენ), ფანტასტიკური ძალისა და ინტენსივობის რეკლამა, რომლისათვის მილიარდები იხარჯება, სხვადასხვა სახის კომიკსები და ა. შ. უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის შეგნებაზე, ცდილობენ მიაღწიონ მის დეფორმაციას, დაშლას.

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებს არა სტრ თავის თავად, არამედ ის ძალა, რომელიც თავის კლასობრივი ინტერესისათვის იყენებს სტრ-ის მონაპოვარს.

მე უკვე ვწერდი, რომ ერთხელ სუდანის სამხრეთში, უდაბნოში შევხვდი მომთაბარე ტომებს. აქლემებზე წამოსკუპული ეს სუდანელები სრულიად უწიგნური ადამიანები აღმოჩნდნენ, არც კითხვა იცოდნენ, არც წერა. მიუხედავად ამისა, გასაუბრების დროს გამოირკვა, რომ ისინი საკმაოდ ინფორმირებული იყვნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებზე. როცა მათ დავუკვირდი, შევამჩნიე, რომ ყველას გულზე ეკიდა პატარა ტრანზისტორული რადიომიმღებები. მთელი დღეები ისინი უსმენდნენ სხვადასხვა „ხმებს“, და ვინაიდან ინფორმაციის არჩევის უნარი მათ არ გააჩნდათ, ყველაფერს ითვისებდნენ. ასეთსავე სურათს წავაწყდი მაროკოში, ეგვიპტეში, ლიბანში, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი რადიო-ინფორმაცია გზა-კვალს უბნევს მის მიმღებს და სრულიად ამახინჯებს მათ წარმოდგენებს სამყაროზე. დაახლოებით ამავე ფუნქციას ასრულებს დასავლეთის ქვეყნებში კინო და ტელევიზია.

მკვლელობების, ძალმომრეობის, სხვადასხვა საშინელებების სურათები, რომლებიც მდიდარ საგნობრივ ანტურაჟში პატარა თუ დიდ ეკრანებზე მოსჩანს, უალრესად უარყოფითად მოქმედებს გამოუცდელ, გაუწაფველ, მიმნდობელ, გულუბრყვილო, არც თუ მაღალი კულტურის მაყურებლებზე თუ მსმენელზე.

დასავლეთში, ცალკეულ ყოფილ კოლონიებში ტელე და კინოკომიკსები ადამიანის შეგნების დეფორმაციის უძლიერეს იარაღად გადაიქცა. რასაკვირველია, მეტად საოცარი სიტუაცია შეიქმნა: ინფორმაციის საშუალებანი, რომელნიც ადამიანის განათლებას, მის სულიერ განკარგებას უნდა ემსახურებოდნენ, სულ საწინააღმდეგო ფუნქციას ასრულებენ, ხელს უწყობენ ძალადობის გავრცელებას, ადამიანის ფსიქიკის დეფორმაციას.

ვენეციაში, საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც თ. დოსტოევსკის შემოქმედებას მიეძღვნა, ჩვენ გვაჩვენეს რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელნიც დოსტოევსკის რომანების მიხედვით იყო გადაღებული. მე ვკითხე ტელესტუდიის დირექტორს, თუ როგორ მიიღო მაყურებელმა ეს ფილმები. პასუხი ასეთი იყო: მატერიალურად არ გვიზარალია, სურათების ტელეეკრანებზე ჩვენების შემდეგ, ორ-სამ დღეში, ვენეციაში ვერც ერთ წიგნის სავაჭროში დოსტოევსკის ნაწარმოებებს ველარ იშოვნიდით, მკითხველებმა დაიტაცესო. გამომცემლობებმა ოპერატიულად კვლავ გამოსცეს „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“, „დანაშაული და სასჯელი“. ასეთივე ვითარება შეიქმნა

ინგლისში მას შემდეგ, რაც იქ ტელეეკრანებზე აჩვენეს ჯ. გოლსუორსის „საგა ფორსაიტებზე“. ინგლისში დავიწყებული გოლსუორსი კვლავ დიდად პოპულარული მწერალი გახდა და მისი ნაწარმოებები მილიონიანი ტირაჟებით დაიბეჭდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტელეეკრანის ერთ-ერთი დადებითი ფუნქციაა; ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში. ტელეეკრანი კი, როგორც კარგადაა ცნობილი, სტრ-ის მკვიდრი შვილია.

ავტომატიზაცია — მეცნიერების ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი აქტიურად ზემოქმედებს, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროზე, ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, მის ფსიქიკაზე, მოქმედებაზე, ფიზიკურ ჰაბიტუსზე.

მაქს ფონ დერ გრიუნი ჰამბურგულ ჟურნალ „კონკრეტში“ მეტად საინტერესო სოციოლოგიურ ანალიზს გვთავაზობს ავტომატიკის სამეფოში ადამიანის ქცევაზე და მისი გამოთქმების თავისებურებაზე. გრიუნი ფიქრობს, რომ ავტომატიკა ზემოქმედებს, ცვლის ადამიანის მეტყველების სტილსაც. 40 წლის კარლ დამბერგს, რომელიც ქალაქ შმენჰაუზენის ელექტროსადგურის სამმეტრიანი პულტის 227 კნოპს მეთვალყურეობს, გამოეცვალა მეტყველების სტილიო; ის აღარ იტყვის — „საჭიროა ფანჯრის დახურვა“, ამბობს — „დახურეთ“; აღარ ამბობს — „წავიდეთ სახეირნოდ“, იტყვის — „ვისეირნოთ“; აღარ იტყვის — „დროა დასაძინებლად გავემართოთ“, ამბობს — „დავიძინოთ“. მისი მეტყველება გაუბრალოებულიაო, შენიშნავს გრიუნი.

ქართული ენის თვალსაზრისით, ჩვენი ზმნის საკვირველი გენიალური თვისებების გამო, დამბერგის მეტყველება შეკვეცილად კი არა, ნორმალურად ჟღერს; გერმანული ენის სტრუქტურის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ელექტროტექნიკოსი მართლაც საკვირველ სიტყვიერ აბრევაციებს მიმართავს, მაგრამ განა ასე არ იქცევა ყოველი ადამიანი, რომელიც მუშაობისაგან დაღლილი და არაქათგამოცლილია. სტრ-მდეც ხომ ასე იყო.

მე არ მგონია, რომ აბრევაციები, ფრაზების შემოკლებანი სტრ-ის ნიშანია. მწერლობის, მეტყველების გაჩენიდან არსებობდნენ „შემოკლებული“ და „გრძელი“ ფრაზები, წინადადებანი; მგონი, სტრ აქაც არაფერ შუაშია.

ასე გვგონია, მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრ შეეხება ადამიანის ფსიქიკას, მისი სულის, გულის საფუძვლებს, სწორედ მაშინ შეიქმნება რაღაც ახალი სტრუქტურის, ჟღერადობის, ფორმის ლიტერატურა. ჯერ-ჯერობით ჩვენ ასეთ ვითარებას მხოლოდ ვუახლოვდებით.

ჯერ კიდევ კ. მარქსმა შენიშნა, რომ ადამიანი ზემოქმედებს რა გარეშე ბუნებაზე და ცვლის რა მას, ამავე დროს ცვლის თავის საკუთარ ბუნებასაცო. სტრ არის ბუნებაზე ზემოქმედებისა და მასში ცვლილებების შეტანის ერთ-ერთი ფორმა, რასაკვირველია, თუ ჩვენ ამ ცნებებს ფართო გაგებით ვიხმართ.

ჩვენი რწმენით, სტრ მხოლოდ მის დასაწყის სტადიაში იმყოფება, ყოველ შემთხვევაში, ის ჯერ არ შეხებია ადამიანის „ბუნების“ საფუძვლებს. ლიტერატურა ადამიანთმცოდნეობაა. მას არ შეუძლია სრულად, ორგანულად, ბუნებრივად ასახოს ის, რაც ჯერ-ჯერობით არ გაფორმებულა ადამიანის ფსიქიკურ წყობაში, მის ემოციურ სამყაროში.

ჩვენ ასე გვეჩვენება, რომ ახლა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ლიტერატურად, თეატრად წარმოდგენილია ჩვენი ძველი ნაცნობები ე. წ. „საწარმოო თემატიკის“ სხვადასხვა, ხანდახან ნიჭიერი, ზოგჯერ უნიჭო ვარიაციები, სადაც ჩვენ გვთავაზობენ ტექნიკის მხოლოდ გარეგან ატრიბუტებს, ადამიანის გარკვეულ საქმიანობის პარამეტრებს (ქარხანა, ფაბრიკა, დაზგები, ავტომატები და ა. შ.).

სამწუხაროდ, იმ ლიტერატურაში, რომელიც აღწერს მუშის თუ ინჟინრის, კოლმეურნის თუ ბრიგადირის, მეცნიერის თანამედროვე სახეს, ხშირად გვხვდება სქემატიზმი, გაუბრალოება. ასეთივე თვისებებით ხასიათდებიან ლიტერატურულ-კრიტიკული მსჯელობანიც, რომელნიც ამ სახის ნაწარმოებებს განიხილავენ.

ერთი სიტყვით, ნუ ავჩქარდებით, ნუ ავტეხთ განგაშს — სტრ-მ, უსაშველო ტექნიციზმმა ადამიანის სული მთლიანად დაიპყრო და პოეზიაც რაღაც უჩვეულო, აქამდე უცნობი გზით წაიყვანაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ რუხაძე

# მორალური სამსჯავროს წინაშე

როცა ალექსანდრე კალანდაძის „მწვანე შტოზე“ სიტყვა ჩამოვარდება, შთაბეჭდილების გაზიარებას, უპირველეს ყოვლისა, იმით დაიწყებთ, რომ თქვენ ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება წაიკითხეთ: შეუძლებელია, მკითხველმა იმთავითვე არ იგრძნოს, რომ მის თვალწინ გადაიშალა დიდი, სისხლსავსე, ნაცნობი და, ამავე დროს, თითქოს, უცნობი ცხოვრება, რომელიც ახალ მიმართებებსა, ასოციაციებსა და განზომილებებში თავისებურად დანახული და გააზრებული სინამდვილე გახლავთ.

თუ არა რომანით, სხვა რომელი ჟანრის ნაწარმოებით შეიძლება ცოცხალი სინამდვილის ასეთი რთული სტრუქტურით, ასე ცხოველმყოფელად ასახვა, ეპოქის მაჯისცემის ასე მძაფრად გადმოცემა, ინტერესთა ჭიდილის, წინააღმდეგობების ასე აშკარად წარმოჩენა, დროის მწვავე პრობლემების ასე ღრმად და თამამად წამოჭრა, ადამიანთა ურთიერთობის არსებითი საკითხების ასე თვალნათლივ გამოტანა, საზოგადოებრივი მორალის, მდგომარეობის ასე მკაფიოდ არეკვლა!

რომანში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ხასიათების არაჩვეულებრივი სიმდიდრე, მრავალფეროვნება და ცხოველმყოფელობა. მართლაცდა, წარმოუდგენელია, თუნდ ერთხელ წაკითხვის შემდეგაც, გამოკვეთილად არ დაგვამახსოვრდეს მამუკა ტარსანიძე, ცისანა გობრომიძე, სალომე, დოროთე, შატულია, ბიბონ ვახტანგური, ბადრი ბეკურაძე, მაყვალა, ბასილი... გვამახსოვრდებიან იმიტომ, რომ ახალი ხასიათებია, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, ზუსტი, მკაფიოდ გამოკვეთილი სახეებია, რომელთაც ლიტერატურაში უშუალო ანალოგი არ მოეპოვებათ.

მღელვარედ ჩაათავებთ ხუთასგვერდიან რომანს, რომელშიც ყველა საქმე, ყველა პერსონაჟის ბედი ბოლო წერტილამდე ბეწვზე ჰკიდია და რამდენი რამ გრჩებათ საფიქრალი, საკამათო, ამოსახსნელი!.. არაფერი არ თავდება, — წიგნი საკუთარი მგზნებარე სიცოცხლით განაგრძობს თავის არსებობას.

ამის მთავარი მიზეზებია მწერლის საზოგადოებრივი კეთილსინდისიერება, უშუალობა და ესსეისტური აზროვნების უნარი.

## მთლიანი პიროვნების პრობლემა

მამუკა ტარსანიძე რომანის ცენტრალური ფიგურაა; დანარჩენი გმირები მის გარშემო ტრიალებენ, მისი ხასიათის გამოკვეთას ემსახურებიან. გარდა იმისა, რაც პერსონაჟთა ცხოვრებაში ჩვენ თვალწინ ხდება, რეტროსპექტულადაც, აქა-იქ გაბნეული რეპლიკებითა თუ დახასიათებებით, და ბოლოს ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ მოშველიებით, საკმაოდ დაწვრილებით ვეცნობით ტარსანიძის პიროვნებას. მამა ადრე დაღუპვია, დაობლებული ოთხი ძმა დედას აღუზრდია სოფელში. თოთხმეტი წლისა კომკავშირში შესულა, თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუმთავრებია, ცოტა ხანს მათემატიკის მასწავლებლად უმსახურია მახლობელ რაიონში, პარტიის რიგებში მიუღიათ და ომის წინ წითელ არმიაში წასულა მოხალისედ. სამივე ძმა ფრონტზე დაღუპვია. თვითონ მას, კომუნისტს, არტილერიის წარჩინებულ ოფიცერს, დიდი გმირობა გამოუჩენია სტარაია რუსასთან, ბროდში, კიევთან. შემდეგ, მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა, მაგრამ მალე გაქცეულა და პოლონეთშიც ვაჟკაცობით თავი უსახელებია.

რომანში კი მამუკა შემოდის მძიმე ფიზიკური და სულიერი ტკივილებით შეჭირვებული, უპოვარი, უბინაო, უპასპორტო, „ბიძის ნაჩუქარ იდაყვებშემოცვეთილ პიჯაკსა და დიდი ხნის გადასაყრელ ფეხსაცმელებში“. მისი გამოჩენისთანავე იქმნება დაძაბული მდგომარეობა, რადგან ჩვენ წინაშეა მრავალჭირნახული ადამიანი, რომელიც იძულებულია „ყველაფერი თავიდან დაიწყოს“, გადალახოს უმძიმესი დაბრკოლებანი, ადამიანი, რომელმაც, ის იყო, მწარე ფიქრითა და განცდით გამოიხურა მაღალი საგამომძიებლო ორგანოს კარი, სადაც მის რთულ, ომისდროინდელ საქმეს ირკვევენ.

მწერალი ღრმა, ფართო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ პლანში სვამს პიროვნების მთლიანობის მეტად აქტუალურ საკითხებს; სადაც არ უნდა ყოფილიყო, მამუკა, ბავშვობიდანვე, მუდამ უკომპრომისოდ, რაინდული შემართებით ესარჩლებოდა სიმართლეს, მაგრამ ახლა იგი ხომ უაღრესად მძიმე პირობებში ჩააყენა მწერალმა; სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მამუკა ტარსანიძე „საეჭვო პირია“, დიდი ხანი არაა, რაც პატიმრობიდან დაბრუნებულა და ბურუსით მოცული მისი უაღრესად რთული საქმის გამოძიება კვლავ გრძელდება, ყოველ ნაბიჯზე აწყდება ეჭვისა და უნდობლობის ნიადაგზე აღმოცენებულ გულგრილობას.

მერე, და განა სარწმუნოა, რომ ასეთ დღეში ჩავარდნილმა, ისიც ყოველგვარი ანგარების გარეშე, საზოგადოებრივ საქმეებზე იზრუნოს, კეთილისათვის თავი გამოიდოს, უკან არ დაიხიოს და შემრიგებლურ გზას არ დაადგეს? ეს ხომ დამაჯერებელი არ გამოვა, ეს ხომ საინტერესოც არ იქნება?!

დიახ, დადებითი გმირის შექმნის სიძნელეც ესაა. მაგრამ, როგორც „მწვანე შტო“ გვიჩვენებს, ეს სიძნელე გადაულახავი არ დარჩება, თუ კი, გმირს მღელვარე ცხოვრების მთლიან, ერთიან მდინარებაში წარმოვადგენთ.

„მწვანე შტოს“ მთავარი გმირის რეალობასთან მიმართება ახალ ასპექტებშია წარმოჩენილი; იგი სისხლხორცეულად, აურაცხელი არტერიებითა და კაპილარებითაა შეერთებული თავისი დროის მჩქეფარე სინამდვილესთანაც, წარსულთანაც, მომავალთანაც. მას ვხედავთ და ვგრძნობთ განუწყვეტელ, ცოცხალ მოქმედებაში ყველგან, ყველაფერში — ქალაქად, სოფლად, ოჯახში, სამსახურში, შინაურთან და გარეულთან, დიდთან და პატარასთან. ცხოვრების მწარე გამოცდილებას, მძიმე მდგომარეობას კი არ გაუტეხია მამუკა ტარსანიძე, ნათელი გზიდან კი არ გადაუგდია, არამედ გამოუწრთობია და კიდევ უფრო განუსპეტაკებია.

მამუკა ტარსანიძეს ამოძრავებს არა პირადი ინტერესები, არამედ — უმოძრაობასთან შეურიგებლობა, არა უკმაყოფილება, არამედ დაუკმაყოფილებლობა. ხასიათის ამ საყრდენს ეფუძნება „მწვანე შტოში“ ზნეობრივი აქტიურობის პრობლემა. მწერალი გვაგრძნობინებს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში კი არ სუსტდება, არამედ შეუდარებლად იზრდება ადამიანის, პიროვნების, ერის, საერთო აქტიურობის როლი, აქტიური ბუნების სასიცოცხლო მნიშვნელობა; ამასთან, მატულობს საზოგადოების, ერის წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობის, საკუთარი ზნეობრივი მოვალეობის შეგნების მოთხოვნა. მამუკა ტარსანიძის ხასიათი გვანცვიფრებს იმითაც, თუ როგორ გაფაქიზებია მას პიროვნების ღირსების გრძნობა, თუ როგორ გამძაფრებია უკიდურესი პრინციპულობა და შეუპოვრობა: ამიტომ იგი გულმდუღარედ იბრძვის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აკნინებს, რაც აბუჩად იგდებს ადამიანს, მის პიროვნულ ღირსებას. ესაა სწრაფვა თავისი პიროვნების სრული რეალიზებისათვის. მამუკა ავადმყოფურად განიცდის პიროვნებისადმი უყურადღებობას, უპატივცემლობას. ფრიად საგულისხმოა თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი გმირის წარმოშობა. იმისათვის, რომ თავისთავს არ უღალატოს, თავის თავი არ შეიზღუდოს და არ შეიბორკოს, მამუკა იძულებულია, უარი თქვას პრივილეგიებზე, თავი აარიდოს სახვეწარსა და სამათხოვროს.

ლიტერატურაში არც ისე ხშირად ვხვდებით ასეთი დამაჯერებელი პრინციპულობისა და შეუპოვრობის მაგალითს. კაცი აქ თვით უკიდურეს კრიზისულ ვითარებაშიც კი არ სუსტდება, მაშინაც კი, როცა მას გზა ხსნისა არ გააჩნია. გავიხსენოთ, რაოდენ გულახდილია მამუკა ცისანას პროექტის შეფასებისას, თუმცა, უზომოდ უფრთხილდება ახალგაცნობილი ქალიშვილის ყურადღებას. მოვიგონოთ, რა საოცარ სიმტკიცეს იჩენს იგი, როცა მისსავე გეგმას განიხილავენ, თუმცაღა მთელი იმედები, „მისი ყოფნა-არყოფნა“ ამ გეგმის დამტკიცებაზე ჰკიდია: „ვერავითარ შესწორებას ვერ შევიტან!... გეგმაც და ნახაზებიც უკან მიმაქვს! თავიდან მომწყდით თქვენი მეგობრული შენიშვნებით, შემოკლებებით, შესწორებებითა და შემცირებებით! თქვენ რომ გიყუროთ, აღარაფერი შემრჩება!“

ასეთივე სიმტკიცეს იჩენს იგი ყველგან — სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, ოჯახში, საზოგადოებაში, სამსახურში, ყველგან და ყოველთვის. და ეს მაშინ, როცა ერთ უბრალო, დამთმობ სიტყვას შეუძლია მისი საქმის გამოსწორება, მაგრამ არა და არა, იგი უარს ამბობს ამ სიტყვის წარმოთქმაზე, რადგან ეს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მის ზნეობრივ პრინციპებს.

მამუკას პრინციპულობა ყველაზე სასტიკ განსაცდელსაც კი არ ეპუება! ცისანას დაბეჯითებული თხოვნის მიუხედავად, იწუნებს მისი-

ვე კეთილისმყოფელ ანზელავას ნამუშევარს და არ ერიდება საყვარელ მეუღლესთან სრულ განხეთქილებას.

ეს უკომპრომისობა და დაუთმობლობა ზოგჯერ მახლობელთადმი ულმობლობამდეც მიდის. მწერალი არც მამუკას ნაკლოვანებებს გვიმალავს და არც ცისანასადმი მის სისასტიკეს ამართლებს.

ზოგმა, შესაძლოა, ერთგვარი ინდივიდუალიზმის ნიშნებიც დაინახოს მამუკა ტარსანიძის ხასიათში, მაგრამ, თუ ყველაფერს ღრმა ფილოსოფიურ პლანში გავიაზრებთ, მაშინ აშკარა გახდება, რომ ტარსანიძე თავის თავში განასახიერებს პიროვნების მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოებისა და საკუთარი თავის წინაშე, განასახიერებს იმ ადამიანურ შეუპოვრობას, რასაც კაცობრიობა თავის ყველა მონაპოვარს უმადლის, და რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი განუწყვეტელი წინსვლა. „ადამიანების ცხოვრება, ეს წინმიმავალი სკოლააო“, თამამად შეუძლია გაიმეოროს გოტფრიდ კელერის ეს შეგონება მამუკა ტარსანიძემ.

მამუკა ორგანულად ვერ ურიგდება ვერავითარ მანკიერებას, მას ზიზღს ჰგვრის ყოველგვარი ანგარება, მომხვეჭელობა, პირმოთნეობა, ფარისევლობა, ამპარტავნობა, სიმხდალე, მაამებლობა, ზნეობრივი კულტურის სიმდაბლე, ხოლო, თავის მხრივ, როგორც ვიცით, ასეთი პიროვნების უბრალოდ არსებობაც კი თავზარს სცემს ბოროტებას. ჩაჩხიაურთან ჩხუბისა და რკინიგზის სადგურზე ინციდენტის ეპიზოდებში ალ. კალანდაძემ შთამბეჭდავად გვიჩვენა, რა ძალას მატებს პიროვნებას (მთელს ერს, საზოგადოებას) საკუთარი სიმართლის რწმენა. ძნელი დასავიწყებელია მისი სიტყვები მძარცველებთან შეტაკების წინ: „გოჩა! მოდი აქ! არ წახვიდე, ჩვენ მართალი ვართ!“.

მამუკას გიჟად, ეგოისტად, ინტრიგანად მხოლოდ მისი მტრები როდი აცხადებენ; მძიმე სასოწარკვეთის ჟამს თვითონაც ეჩვენება, რომ ახირებული, გაბოროტებული ადამიანია. მაგრამ მწერალი მთელი რომანის მანძილზე საოცარი მხატვრული ტაქტითა და ლირიზმით გადმოგვიშლის გმირის შინაგან ბუნებას, მისი სულის სითბოსა და სილბოს, რის წყალობითაც მამუკა ტარსანიძე არა მარტო ძლიერ პიროვნებად, არამედ, ამავე დროს, უცოდველ, „საწყალი გულის“ კაცად, მოყვასის მოსიყვარულედ, კეთილისთვის მუდამ თავდადებულად გვესახება.

მამუკა მეოცნებეა, მარცხი მას უკან ვერ ახევინებს, ამ შემთხვევაში იგი თითქოს ლამანჩელი გმირის ენერგიით, ენთუზიაზმითაა დაჯილდოებული, „ისეთ ჭაბუკურ ხალისს, ძალასა და რწმენას გრძნობდა, შეეძლო მთები გადაებრუნებინა. თუმცა, ნათლად არ იცოდა, ისეთი რა უნდა გაეკეთებინა, რომ ეს უზომო ენთუზიაზმი, რწმენა და ოცნება საქმედ ქცეულიყო“. ეს არ არის უბრალოდ ნათქვამი, ეს თვისებები რეალიზებულია გმირის ხასიათსა და საქციელში. თუნდაც გაიხსენეთ, როგორ განიცდის იგი ფიზიკურ დროს. შეიძლება ეს იმითაა გამოწვეული, რომ, როგორც რომანის ავტორი გვამცნობს, მამუკამ წესიერი და ნორმალური ცხოვრებისთვის განკუთვნილი რამდენიმე წელი, სხვადასხვა მიზეზით, დაკარგა; ამიტომ იგი ცდილობს, ეს დრო აანაზღაუროს, ჩამორჩენილ დროს დაეწიოს. მწერლის უდავო გამარჯვებად მიმაჩნია ის, რომ მამუკა ტარსანიძის ზამბარასავით მუდამ დაჭიმულ სხეულში დროის ეს ანგარიში თვალნათლივ შეიმჩნევა. გმირი ყოველთვის მზადაა ბრძოლისათვის. დროის ასეთი მწვავე განცდით, დროის ასეთი ერთგვარი უკმარობით მამუკა ტარსანიძე მართლაც, ბევრ რაიმეს, შეიძლება ითქვას, დროზე ადრე ასწრებს. ამიტომ მის პიროვნებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს და დიდ მოწონებას იმსახურებს მისი რევოლუციური სულისკვეთება, სწრაფვა ახლისაკენ, იდეალურისაკენ; თან კიდევ, მას სურს დაშალოს და დაანგრიოს რუტინა, მოძველებული, უკვე ყავლგასული და სანაგვე ყუთში გადასაყრელი შეხედულებები და ურთიერთდამოკიდებულებები, რომლებიც ესოდენ ფეხმოკიდებულია და ზოგს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი; ერთი სიტყვით, მამუკა ტარსანიძისათვის გარემომცველი სამყარო მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები, თუკი, როგორც ბერტოლტ ბრეხტი ამბობს — იგი ცვლილებას განიცდის — ე. ი. დროდადრო შეიცვლება, გადასხვაფერდება, გარდაიქმნება. მამუკა ტარსანიძის ანტიპოდები, რომლებიც სისხლს უშრობენ და ცხოვრებას უწამლავენ მას, სწორედ დროს ვერ გრძნობენ, სწორედ დროში ჩამორჩებიან მამუკას. თუმცა არც ისეთი გულუბრყვილონი, ისეთი მიამიტები გახლავან, რომ მამუკას ინტელექტი და რევოლუციური სულისკვეთება ვერ იგრძნონ.

ვფიქრობ, არავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ მამუკა ტარსანიძე უაღრესად საინტერესო ადამიანია. საინტერესოა არა უბრალოდ მდიდარი, რთული, წინააღმდეგობებითა და კონფლიქტებით აღსავსე ბიოგრაფიით, არა მარტო იმიტომ, რომ მძიმე ბედის ადამიანია, არამედ იმითაც, რომ იგი დაჯილდოებულია მიმდინარე ცხოვრების სულიერი შინაარსის ცოდნით, ხასიათის სირთულით, ინტელექტით, შემოქმედებითი ბუნებით, აზროვნებისა და ქცევის განუმეორებელი მანერით. იგი საინტერესოა უსაზღვრო ცხოვრებისეული გამოცდილებით, საინტერესოა, როგორც მთლიანი პიროვნება, როგორც მძიმე და რთული ბედის ადამიანი.

საინტერესოა იმიტომ, რომ მასში განსახიე-

რებულია მწვავე, მტკივნეული საზოგადოებრივი პრობლემები, ნაკლებ გაშუქებული, იქნებ, მიჩქმალულიც.

საინტერესოა, მისი ხასიათისა და ინტელექტის გაშუქების ახლებური, ესსეისტური საწყისებით.

საინტერესოა, რადგან არავის არ ჰგავს.

მამუკა ტარსანიძე სამაგალითო გმირია, იდეალური პიროვნებაა, თავისი დროის მოქალაქეა, დიდი სულიერი და ზნეობრივი ძალის მატარებელია. მისი მორალური სიწმინდე, პარტიული უკომპრომისობა, საზოგადოებისათვის თავდადება, ჩვენთვის ზნეობრივი გაკვეთილია.

ასეთ პიროვნებაზე ამბობდა ინგლისელი ღვთისმეტყველი სემუელ ჯონსონი: „მიყვარს ის ადამიანი, რომელიც სიძულვილში პატიოსანია“.

როცა ტარსანიძის პიროვნებას ვეცნობით, ვრწმუნდებით, აბსტრაქტული სიკეთე უძლურია, იმარჯვებენ სიკეთის მატარებელი ადამიანები.

* * *

მრავალპლანიანობა და მრავალთემიანობა — სულ უფრო ხშირად გვესმის ეს გამოთქმები თანამედროვე კრიტიკაში და სავსებით ბუნებრივადაც. ერთთემიან, ერთპრობლემიან ნაწარმოებს ძალიან უძნელდება მოვლენის არსში ჩაწვდომა, მოვლენის ახსნა, რადგან მოვლენები, ნიშანთვისებები და პრობლემები ერთმანეთისგან იზოლირებულად არ არსებობენ. ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, უერთმანეთოდ გაუგებარი, აუხსნელი, ცალმხრივად ასახულნი რჩებიან. ანგარიში უნდა გავუწიოთ, რომ თანამედროვე მეცნიერებაშიც წინსვლის აუცილებელ პირობად სისტემატური კვლევა იქცა და „სისტემოლოგია“ მეცნიერების ცალკე დარგად გამოყოფას ლამობს.

„მწვანე შტო“ ამ გაგებითაც საყურადღებო ნაწარმოებია; საფუძვლიანად თუ გაკვრით, იგი თანამედროვე ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო პრობლემას ეხება. ვრცელი, მრავალფეროვანია მისი სამოქმედო არე და გეოგრაფიული გარემო. ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ასპექტები, განვითარებული საზოგადოების სპეციფიკური კონფლიქტები, ადამიანთა თუ მოვლენათა კავშირის უაღრესად რთული სისტემა მიზნად ისახავს სინამდვილის გართულებული ხასიათის ყოველმხრივ შეცნობას, ადამიანთა ურთიერთობების იშვიათი, ხშირად გაუგებარი ხლართების ამოხსნას.

მერედა, შესაძლებელია ამდენი პრობლემა, ამდენი თემა ერთ ნაწარმოებში? — დიახ, თუ მდიდარ სიუჟეტს შესაფერის კომპოზიციას მოვუძებნით, თუ რეალური და სიმბოლური პლანის პარალელურ გამოვლინებას მივაღწევთ.

ალ. კალანდაძე არ მიყვა ... მხატვრული სირთულის გზას, შექმნა მწვავე, მიმზიდველი სიუჟეტი, იპოვა დაძაბული კონფლიქტები, შეადგინა შინაარსობრივ-იდეური დაშრევების მიხედვით რთული ფაბულური კონსტრუქცია. მაგრამ ყველაფერი მაინც ამაო იქნებოდა და რთული ლიტერატურული ჩანაფიქრი ცარიელ სქემად გადაიქცეოდა, თუ არა იმ ცოცხალი ძარღვის ფეთქვა, რომელიც ამ რომანს, მის პერსონაჟებსა და ამბებს თავიდან აშორებს ყოველგვარ სიმშრალესა და ნაძალადეობას. წარმატების უპირველესი მიზეზი, უდავოდ, ისაა, რომ „მწვანე შტო“ დაწერილია დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით, ალსავსეა ცხოვრების მდიდარი მასალით, ინტერესთა ჭიდილით, ყველას ფიქრისა და გრძნობისათვის ახლობელი სურათებით, აურაცხელი კოლორიტული დეტალებით. ესაა ცხოვრების უკიდეგანო მდინარე, მაგრამ უფრო სწრაფი და ღრმა, ვიდრე ვიზუალურად ჩანს. მწერლის არქიტექტურულ ტერმინს რომ მივმართოთ, სინამდვილე წარმოდგენილია მოუპირკეთებლად, ფაქტების დიდრონი ბლოკებით, ცხოვრებისეული ამბების მძიმე, უხეში, ძნელად ასაწევი პანელებით, მსჯელობათა გაბმული ნაცრისფერი კედლებით. ამ პლანში, შესაფერი ტერმინი რომ კვლავ ავტორს დავესესხოთ, „მწვანე შტო“ ბ რ უ ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ო მ ა ნ ი ა. ეს თვისობრივად ახალი სამყაროა, ახალი განცდები, ახალი ტკივილები, ახალი კოლიზიებია; რომანი ძალიან ბევრ ისეთ რამეს წარმოგვიჩენს, რაც შეუიარაღებელი თვალით არა ჩანს, წარმოგვიჩენს მღელვარედ, უფრო სრულად, უფრო სისხლსავსედ, უფრო დამაჯერებლად, დასაგმობს მეტი ძალით გვაზიზღებს, ძვირფასს მეტი ძალით გვაყვარებს.

„მწვანე შტო“ ბევრი მხრივ საინტერესო, ნოვატორული ნაწარმოებია, მაგრამ ყველაფერზე მეტად მე მაოცებს მდიდარი მასალის, დროისა და სივრცეში დაშორებული მოვლენების, რეალურისა და გამონაგონის მხატვრული ორგანიზების ხარისხი, რომანის კომპოზიციური შეკრულობა. რა ამთლიანებს ფაქტების ამ დიდრონ ბლოკებს ცოცხალ, ფუნქციურ ორგანიზმად? — ალბათ, მრავალპლანიანი სიუჟეტის დრამატული განვითარება, თემატიკური რკალების მჭიდრო კავშირი, ფაბულური პასაჟების კონტრაპუნქტული განლაგება, მიზანსცენების დინამიკა, ფრაგმენტულობა. სიუჟეტი, როგორც პაუსტოვსკი ამბობდა, რომანის მთავარი გმირია, იგი ხელს უწყობს ხასიათების სწორ განლაგებასა და გამოკვეთას, ხოლო ხასიათების მოზაიკა ამთლიანებს სინამდვილის საერთო სურათს.

## პროვინციალიზმის მხილება

პროვინციალიზმი?! როცა ამ წერილის დაწერა განვიზრახე, მაშინღა ვიგრძენი, რა ცოტა მცოდნია მის შესახებ. დავიწყე სათანადო ლიტერატურის ძებნა და გაოცებული დავრჩი, რომ სრულებით ვერა ვიპოვე-რა. მხოლოდ უცხო ენათა ლექსიკონში წავაწყდი მცირე განმარტებას: „ჩამორჩენილობა, თვალსაზრისის, ინტერესთა შეზღუდულობა, რაც დამახასიათებელი იყო პროვინციის (კულტურული ცენტრიდან დაშორებული ადგილის) მცხოვრებთათვის“. შენიშვნა ფრჩხილებში გვაუწყებს, რომ ეს სიტყვა „მოძველებულია“. მაგრამ, როგორ თუ მოძველებული, განა, ყოველ ნაბიჯზე არ გვესმის და პრესაში ხშირად არ გვხვდება ეს გამოთქმა? მერე, პროვინციალიზმი განა მარტოოდენ ცენტრიდან დაშორებული ადგილისათვის იყო და არის დამახასიათებელი? როგორც ჩანს, „მოძველებულია“ არა სიტყვა, არამედ მისი განმარტება.

მე ახალ განმარტებას არ გთავაზობთ, შევეცდები ჩემი აზრი განსახილველი ნაწარმოების მიხედვით გამოვხატო. გავრცელებული გაგების საფუძველზე, წინასწარ აღვნიშნავ, რომ პროვინციალიზმი ზნეობრივი უკუღმართობაა, რომელიც, შეიძლება, ფსიქიკურ პათოლოგიას მიუახლოვდეს. ესაა მორალის ისეთი მდგომარეობა, როცა საზოგადოება ან მისი ერთი ნაწილი, მოუმზადებელი ხვდება ახალს, ჰკარგავს თავის ეროვნულს, ტრადიციულს და ითვისებს უცხოს მხოლოდ გარეგნულ მხარეებს. პროვინციალიზმი უბადრუკი მიმბაძველობაა, ბრმად მოდის აყოლაა, ფუქსავატობა, ამპარტავნობა, გაზვიადება, შინაარსისაგან დაცლილი ფორმაა. ექსტრათანადროულის უკუღმართად, ზედაპირულად, უნიადაგოდ, შებრუნებულად გაგების ნაყოფია. შეიძლება შემომედავოთ და მითხრათ, ეს იგივე მეშჩანობა, ობივატელობა ყოფილაო; პრინციპულად მართალიც იქნებით, მათ შორის უფსკრული არაა, მაგრამ ჩვენს განმარტებებში განსხვავებაც ხომ შეინიშნება?

რაც შეეხება „მწვანე შტოს“, მის მკითხველს საგანგებო ახსნა არც დასჭირდება. იქ მას ბევრი დეტალი, ბევრი ვითარება აგრძნობინებს და დაანახებს რა არის პროვინციალიზმი და რა ზიანს აყენებს საზოგადოებას. რომანში გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ ირგვლივ მყოფთ, ნაცნობებს, ახლობლებს აფასებენ არა ნამდვილი ღირსების, შინაგანი თვისებების მიხედვით, არამედ გარეგნული, არაარსებითი ნიშნებით — ჩაცმა-დახურვით, თანამდებობით, წოდებით, „ოჯახიშვილობით“. შატულია ამხანაგებში იმით იწონებს თავს, რომ მისი ქმარი „ორასკაციან სუფრას გაუძლვა თამადად“. რაკი მამუკა ფიზიკურ სამუშაოზე მიდის და უბრალოდ აცვია, მას ადამიანად არ თვლიან: „შენ უნდა შეგვაშინო, ზედ არ გეტყობა, ვინცა ხარ!“

ეს ადამიანები ყველაფერს ერთმანეთის წაბაძულობით, წამხედურობითა და ჯიბრით აკეთებენ, და არა ჭეშმარიტი მოთხოვნილებისა და გონიერი განსჯის მიხედვით. შატულიამ და ფიდომ სვეტიცხოველში საიდუმლოებით მოცული ჯვარისწერა გადაიხადეს, და შატულიას აუწერელ ბედნიერებას ანიჭებს, რომ საზოგადოება მის შესახებ ყოველ მეორე დღეს რაღაც ახალს გაიგებს. მმაჩში კი ისე მოაწერა ხელი, როგორც სამუშაოზე გამოცხადების დავთარში აწერენ. მაყვალა აბუჩად იგდებს ცისანას, რადგან დილმის მასივში მისცეს ოთახი, მაგრამ უცებ დაინახავს, რომ მისი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესაც იქ მიუღია ბინა და ალტაცებით შეჰყვირებს: „იმე, ცისანა, რა გადასარევ ადგილზე ყოფილხარ! ჩვენი სასწავლო ნაწილისთვისაც აქ მიუციათ. დედა, რა ბედნიერი ხარ! რა დამსახურებისთვის მოგცეს, ა?“

„არაკაცი არაკაცზე ნაკლები არაა!“ — ასეთია კიკიჰია კოფორაძის დევიზი, და, რაღა თქმა უნდა, ასეთი კაცი არავის ღირსებას არ სცნობს.

ნივთებს იძენენ, ქეიფებს აწყობენ, ქორწილებს მართავენ... სამედიცინო ინსტიტუტში შედიან, თხოვდებიან, ცოლს ირთავენ არა მოწონებისა და საჭიროების შესაბამისად, არამედ „მტრის თვალის დასავსებად“.

ეს ფსიქიკური კომპლექსი, თავის მხრივ, იწვევს შურს, გაუტანლობას, ინტრიგებს, დემაგოგიას, ინსინუაციებს, ჭორიკანობას, არღვევს ადამიანთა შორის ნორმალურ ურთიერთობას, ხელს უშლის საზოგადოების შრომა-საქმიანობას. ზოგან, საქმე იქამდეც მიდის, რომ ადამიანებს ერთმანეთის უბედურება ახარებთ; მაყვალა გულახდილად ეუბნება დედას: „სადაც არ გაგინე, კაცმა კარი არ გამიღო. სადაც გლანძლე, ყველგან თავზე მევლებოდნენ“.

ნაწარმოები დამაჯერებლად წარმოგვიდგენს ჭორების, ერთმანეთის „გაკვნეტ-გამოკვნეტის“, „ცეცხლის შენთების“ დამღუპველ ზემოქმედებას პიროვნების ბედ-იღბალზე, საზოგადოების ზნეობაზე. სახელოსნოს მუშაკებს არაფრად მიაჩნიათ ერთმანეთისთვის ცილის დაწამება, გაჭორვა, დაცინვა. მათ „სიამოვნებით სჯერათ ყველაფერი, რასაც ვინმე ვისმეზე ავს იტყვის, და თვითონაც სიამოვნებით ავრცელებენ“. პროვინციალებისთვის არ არსებობს საზოგადოებრივი, ეროვნული, მორალური ინტერესები და მოტივები, ისინი ყველაფერს პირადული მიზეზით ხსნიან. ბაადურ ნოშრევანიძე მამუკას საქმიან შენიშვნებს პირადი გაბოროტებით ხსნის, მაშასადამე, ამ შენიშვნების უარყოფით, ზიანს აყენებს ქვეყანას; ისინი ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი ანტიმორალური მრწამსი თავს მოახვიონ საზოგადოებას, ჩააჩუმონ სინდისის

ხმა. ყველაფერი კეთდება კულტურულობის პრეტენზიით, თუმცა, არავითარი გემოვნება არ გააჩნიათ, მათთვის არსებითია არა მოხდენილობა, მშვენიერება, არამედ ნივთის ფასი, გარეგნული ელვარება. თავს იკლავენ „უზარმაზარი ნივთებით, მოჩუქურთმებული სავარძლებით, ყვავილებიანი შპალერით ამოჩითულ ოთახებში“. ადამიანის, თვით საკუთარი თავის ღირსებასაც კი, მარტო თანამდებობით და დიპლომით ზომავენ.

რა არის ამათი საუბრის თემა, „სულიერი შინაარსი“? — „რეთ თვალს იშენებ?“ (კოოპერატიულ ბინას). „ჩეხური უნიტაზი იყიდეთ?“ „ვალიდე რვა თვალს იშენებს, ფატიე — ათს, ლენტორი — თორმეტს!“ „რის უნდა მრცხვენოდეს, მე ხომ ნოლკლასის მასწავლებელი ვარ!“ უბრალოება აქ გაპრანჭულობას შეუცვლია და ყველაფერი სხვის დასანახად კეთდება. მთავარი ქსოვილის ღირსება კი არ არის, არამედ ის, რომ „თბილისში ასეთი კაბა სხვას არავის ეცმევა“. თეატრში, პრემიერებზე, ლიტერატურულ საღამოებზე იმიტომ კი არ დადიან, რომ აინტერესებთ, ესთეტიკურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ, არამედ იმისთვის, რომ სხვებმა გაიგონ, გულზე გასკდნენ, გაიოცონ, ხოლო, თუ სხვებმა ვერ გაიგეს, ყოველივე ეს დაკარგულ დროდ მიაჩნიათ. უცხოურ წიგნებსაც იმისთვის დაეძებენ, რომ თავი მოიწონონ. უბრალო, საქმიანი ლაპარაკი ნერვებს უშლით, პრიმიტიულობად მიაჩნიათ, უცხო სიტყვები, უცხო სახელები აბრმავებთ. „ღმერთმანი, ბადრიკოს რომ ხუთ წუთს მოვუსმენ, მერმე არავითარი სურვილი აღარ გამაჩნია, ყური ვათხოვო ვინმეს!“ — თუ ნაწარმოები ვიღაც უცხოს ან განსვენებულს ეკუთვნის, გენიალურია, მაგრამ საკმარისია, ის ახლობლის, ნაცნობის ნახელავი აღმოჩნდეს, რომ მაშინვე არარაობად იქცეს. ყველაზე კარგ ადამიანებად გაბადრული, ენაწყლიანი პირები ითვლებიან, კარგ ორატორებად — ვისაც ორი დღე ისე შეუძლია ილაპარაკოს, რომ არაფერი არ თქვას. პროვინციული სულისა და ყოფის მკაფიო გამოვლინებაა რომანში აღწერილი ბიბონ ვახტანგურის იუბილე და ინტერვიუ.

პროვინციალიზმისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, მისი სოციალური და ფსიქოლოგიური არსის წარმოჩენა, მისი სავალალო, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისთვის მავნებელი შედეგების გამოვლინება, „მწვანე შტოს“ დიდ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ.

## ოჯახი

რომანში წამოჭრილია ოჯახისა და აღზრდის, ახალგაზრდა ადამიანის იდეურ-ზნეობრივი ჩამოყალიბების პრობლემები. აქ ყურადღებას იქცევს სალომე გობრონიძის სახე.

სალომე — მამუკა ტარსანიძის მორალური ანტიპოდია, რომელიც აგრეთვე ძლიერი, თანმიმდევრული ხასიათია. იგი სულით ხორცამდე დაავადებულია პროვინციალიზმის სენით და მკაფიოდ განასახიერებს ამ მოვლენის სოციალურ საშიშროებას; მართალია, რომანში სალომეს წარსულს ცალკე თავები არ ეთმობა, მაგრამ ჩვენ მაინც ბევრი რამ ვიცით მის შესახებ, ვიცით თუ რა სოციალურ-ოჯახურ ვითარებას გაუმრუდებია მისი ბუნება. სალომეს თვალსაზრისით, უფულოსა და უპოვართან ურთიერთობა სირცხვილია; მისი აზრით, კაცის ღირსებაზე მეტყველებს ბინა, ავეჯი, ჩაცმა-დახურვა; „კეთილშობილი ადამიანი მასივში იცხოვრებს?“ — სალომეს თუნდაც ამ ერთ ფრაზაში ნათლად ჩანს მთელი მისი მრწამსი. როცა სალომე გაიგებს, რომ ცისანა ბაბინესა და თეონასთანაა დაახლოებული, ყვირის: „ამისთვის გადაგაკვდი, ამისთვის გასწავლე? ჩემი შვილი ამ გომბიოს მეგობარი უნდა იყოს? ვისთან ამხანაგობ? რა წუმპისკენ გაქვს მიდრეკილება? ესენი შენი ტოლები არიან?“

სალომეს ყურმოჭრილ მონად გადაუქცევია ქმარი, უცერემონიოდ, ბატონკაცურად ერევა მის სამსახურეობრივ საქმეებში — ეს მოხსენი, ეს დანიშნე, ეს დააწინაურე, თათბირი არ მოიწვიო, კრება ახლავე დაამთავრე, ბინა ამას მიეცი, იმას არ მისცე, საგზურები არ დაარიგო და ა. შ. საკმარისია ოდნავი შელაპარაკება და სალომე აფთრად იქცევა: „როგორ თუ შენი სამსახურის საქმეებში არ ჩავერიო! აბა, მე თქვენი მოახლე, მრეცხავი და საჭმლის მკეთებელი ვყოფილვარ და მეტი არაფერი! მობრძანდები შინ და გაგცემ პასუხს!“

რომანში ფიქსირებულია მეშჩანობის, პროვინციალიზმის ერთი ახალი, თუ შეიძლება ითქვას, თანამედროვე ფორმა — ტელეფონომანია, სატელეფონო ჭორები და ინტრიგები, სატელეფონო ომები და მუქარები. გამწარებული დოროთე ასე შეჰღაღადებს ღმერთს: „ღმერთმა ტელეფონის მომგონი მოსპოს და ამოაგდოს!.. — ჰაიდა, ბიჭო, დაჰქრის ცაში. ამან ეს თქვა, იმან ის თქვა!“

სალომეს მხატვრული სახე ჩვენს ყურადღებას ამახვილებს, თუ რა დამღუპველი გავლენა შეიძლება მოახდინოს ცუდმა, უკულმართულმა ოჯახმა, ულირსმა დედამ შვილების მომავალზე, მთელი საზოგადოების ბედიღბალზეც. სალომეს მიზეზით შექმნილი ოჯახური ანარქია, სოციალურად საშიშ მოვლენათა მიზეზი ხდება. თავისი უტაქტო მოქმედებითა და საქციელით მან შვილები ერთმანეთს გადაჰკიდა, ხან ერთს აგდებს ოჯახიდან, ხან მეორეს, ხან — მესამეს, უკრძალავს ერთმანეთთან სიარულს. „დედიკოს“ დაძახების უფლება მხოლოდ ცისანას აქვს, მაყვალასა და შატულიას დედინაცვალივით ეპყრობა. რა გასაკვირია, რომ მაყვალა

სპეკულანტი ხდება, შატულია — ფუქსავატი, ბოლოს, ნარკომანი, ხოლო ცისანას აუწერელი წამებით უხდება გზის გაკაფვა. „არ იმუშაო, ბაზარში არ წახვიდე, ხელში ცოცხი არ აიღო, საჭმელი არ გააკეთო, გაზქურას არ მიეკარო, შვილი არ იყოლიო“, — შვილის ასეთი დამრიგებელია სალომე. სალომეს ამ საოცარ საქციელს საფუძვლად უდევს დედისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებაზე ყალბი, უხამსი, მეშჩანური თვალსაზრისი: „მე რომც მოგკლა, უფლება მაქვს, ჩემს გამოჭყლეტილ ბალანას, რასაც მინდა იმას ვუზამ, შენ ხმა არ უნდა გამცე!“, „შენ, ჩემი გამოჭყლეტილი ბუიტი მიბედავ ამას?!“

ყოველივე ეს კეთდება კულტურულობის, განათლებულობის პრეტენზიით, რომელიც საკუთარი თავის განსაკუთრებულობის ავადმყოფურ წარმოსახვამდე მიდის. მწერალი გვაგრძნობინებს, რომ პროვინციალიზმი, მეშჩანობა პათოლოგიურ ხასიათს იღებს და ერის სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრება. ნათელი ხდება, რომ საქმე გვაქვს სოციალურად საშიშ მოვლენასთან, ფსიქოპათიასთან. გავიხსენოთ სალომეს პათოლოგიური, ფსიქოზური, შემაშფოთებელი წარმოსახვები, რომ „ჯალათები ცისანას გულ-ღვიძლსართმევენ“, გაუთავებელი მდევნელობა, კოშმარები, ჰალუცინაციები, „განგებ მოგვიწყვეს!“, „ვინცლამ საცლა რაცლა თქვა“, „ერთმა ქალმა მითხრა“ და ვინ მოთვლის ამისთანებს; რომანში ხაზგასმულია ცრურწმენათა დამღუპველი გავლენა სალომეს ხასიათზე — ათას რამეს რომ ებრძვის, მისი საიდუმლოებით მოცული საქმიანობა ცალკე ხენაკში, „ალქიმიურ ლაბორატორიაში“, როგორც მწერალი უწოდებს. მაგრამ ასეთი დეტალებით სალომეს დახასიათება შეუძლებელია, ნაწარმოებში მის ირგვლივ და მასში ყველაფერი ერთად, კონცენტრირებულად ავლენს ამ ქალის სულიერ ფუქსავატობას და, ერთი შეხედვით დაუჯერებელს დამაჯერებლად აქცევს. სალომე გავლენას ახდენს ყველა პერსონაჟის ბედიღბალზე, მის „მოქმედებას“ ვგრძნობთ იქაც, სადაც იგი უშუალოდ არ იმყოფება. ნაწარმოებში ყველაფერი ემსახურება მისი სულის ამოშიფვრას, განსაკუთრებით ტევადია ამ მხრივ, უხმო შინაგანი დიალოგები სალომესა და დოროთეს, სალომესა და სევერიანეს შორის, რომლებიც ლაკონურად გადმოგვცემენ გმირის მთელი ცხოვრების ფსიქოლოგიურ სურათს; სალომე ბოლომდე დარწმუნებულია, რომ მისი მოქმედება სამართლიანია. ეს ხასიათი გაუბზარავად თანმიმდევრულია. „მთლიანი სახით“ სალომე შეიძლება, როგორც რაღაც უნიკუმი არხებობდეს, მაგრამ თვისებები, რომელთაც იგი განასახიერებს, ცალ-ცალკე ყოველ ნაბიჯზე გვხვდება; იმგვარ განზოგადებაში კი, რომელსაც მწერალი იძლევა, არეკლილია საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მრისხანე გულისწყრომა სალომესთანა ადამიანების მიმართ.

სრულიად გასაგებია, რომ სალომეს შვილები მორალურად გადაგვარებულნი არიან. შატულია და მაყვალა რომანში სულიერი მანკიერების და სიმახინჯის განსახიერებას წარმოადგენენ. იოლი გადასაწყვეტი არაა, ვის უფრო მეტი ბრალი მიუძღვის ამ დანაშაულში — სალომეს თუ დოროთეს, ოჯახის მამას, რომელსაც თავისი უნებისყოფობით, უნიათობით, უხასიათობით, მთლიანად ხელი აუღია თავის უფლებებზე და მეუღლის ყურმოჭრილ მონად ქცეულა. რას არ ითმენს, რას არ კადრულობს ეს პასუხისმგებელი მუშაკი! ის რაღაც მექანიზმად ქცეულა, შვილების აღზრდაზე ხელი აუღია. რომანში ეს ხაზი ისე ლოგიკურად და, ამავე დროს, რთულადაა მხატვრულად განვითარებული, რომ ძნელი სათქმელია, ვინ ვინ დაღუპა. დოროთეს, შეიძლება ითქვას, ყველაფერი სწორად ესმის, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავს. ის თავიდანვე შერიგებია უბედურებას: „ხელმწიფედ ხარ დაბადებული და მე რას გაგიძლებ!“ — თავისთვის ფიქრობს საკუთარ მეუღლეზე. რას არ იტანს, რას არ ითმენს ეს კაცი. ხშირად წარმოუდგენლადაც მოგეჩვენებათ ყველაფერი ის, რასაც სალომე ქმრის მიმართ სჩადის (საზოგადოებაში სილის გარტყმა, ტანსაცმლის დაჭრა, ლოგინში ცივი წყლის შესხმა და ა. შ.). მაგრამ მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს დოროთეს ხასიათში ისეთ თვისებებს, რომლებიც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან მოვლენების ამგვარი განვითარებისათვის. მეტისმეტი სიფრთხილისა და ბუნებრივი სილაჩრის გამო, დოროთე შემრიგებლობას, შეგუებას ამჯობინებს.

რა ნაყოფი უნდა გამოეღო ასეთ უნებისყოფობასა და უნიათობას, თუ არა სრული კრახი როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში?! სიტუაციების ფსიქოლოგიური სიმართლე სავსებით დამაჯერებლად ხდის მთელ ამ ვითარებას.

ოჯახური ცხოვრების ეს შემზარავი სურათები კიდევ უფრო რელიეფურად მოჩანს იმის გამო, რომ რომანში მათ პარალელურად ენაცვლება ცისანასა და მამუკას, გოჩასა და თეონას, თეკლეს, ბაბინეს შრომასა, ურთიერთგაგებასა და ურთიერთსიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობანი. „მწვანე შტო“ ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული სიყვარულის ჭეშმარიტი ჰიმნია, ალბათ ამიტომ, მწერალს ძალიან მოკლედ, მაგრამ ბუნებრივად, უბრალოდ აქვს ნაჩვენები ცისანასა და მამუკას დაახლოება, ყოველგვარი სენტიმენტალობისა და სატრფიალო თავგადასავლების გარეშე, და მთელი აქცენტი ცოლქმრულ სიყვარულზე, ჯანსაღ ოჯახურ ურთიერთობაზეა გადატანილი. მკითხველის თვალწინ, ათასგვარ დაბრკოლებებთან ჭი-

დილში იქმნება ახალი, ჯანსაღი ოჯახები, ჩვენი საზოგადოების საიმედო ბურჯები. ფრიად მდიდარია მწერლის მხატვრული არსენალი ამ ურთიერთობათა მრავალფეროვან ცხოვრებისეულ-ფსიქოლოგიურ ასპექტებში წარმოსაჩენად. ყველაფერი ერთმანეთს ავსებს და ამდიდრებს უბრალოდ და დამაჯერებლად. ავისა და კარგის განუწყვეტელ ჭიდილშია წარმოსახული ქართველი ქალის, მეუღლისა და დედის იდეალი ცისანას სახით, — უპრეტენზიოდ, ბუნებრივადაა გამოძერწილი თანამედროვე ქალის ერთ-ერთი უშესანიშნავესი სახე ჩვენს ლიტერატურაში. ცისანას განუყრელი თვისებებია: სიკეთე, სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა, ერთგულება. ცისანა ცოცხალი და მართალი სახეა, ისევე სამაგალითო და სანიმუშო, როგორც მამუკა ტარხანიძე. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქალის, სიყვარულისა და შემოქმედებითი შთაგონების განუყოფელობის პრობლემას ამ რომანში. ცისანასა და მამუკას შორის მოხდა კონფლიქტი, ცისანა სახლიდან მიდის... რა ღრმადაა ამ ვითარებაში ნაჩვენები შემოქმედის სულის დაცარიელება, დაეჭვება და მერე, კარის ზღურბლზე ცისანას გამოჩენა. „მოხვედი? მოდი, გელოდები, ჩემო სიხარულო! უშენოდ ცხოვრება არ მქონია! არ ვარსებობ უშენოდ! ქვეყნად არაფერი არ არსებობს უშენოდ! მომიახლოვდი, მომაშუქე შენი სხივები, რომ ისევ ამწვანდეს და აჟყვავდეს უდაბნოდ ქცეული ჩემი სული!“ — ფიქრობს მამუკა.

## ფსევდოსწავლულები

„მწვანე შტოს“ პერსონაჟებს ვეცნობით როგორც ოჯახურ გარემოში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე, სამსახურში; ცალკე სიუჟეტურ ხაზს შეადგენს არქიტექტურული სახელოსნოს საქმიანობა. სწორედ აქ იჩენს თავს დამატებითი, შესაძლოა, უმთავრესი სიძნელეც მამუკასა და ცისანას ცხოვრების გზაზე. აქ გამეფებული უმსგავსობა ართულებს მათ მდგომარეობას, ხელს უშლის ნორმალურ შემოქმედებით მუშაობას. თითქოს პანოპტიკუმში, სახელოსნოში თავი მოუყრიათ სულმდაბალ, გაზულუქებულ პირებს, რომელთათვისაც აბსოლუტურად გაუგებარია ხელოვნება, მშვენიერება, ადამიანურ ვნებათა არსი. განცვიფრებას იწვევს მათი პრიმიტიული აზროვნება და ქცევა, ანგარიშები და ვარაუდები... სახელოსნოს დირექტორი ფილიმონ ანესაძე და მისი ხელქვეითი ნესტორ ჭონიშვილი, ბიბონ ვახტანგური, აგათონ სუთიძე, კიკიჭია კოჟორაძე, ნალება დავლაბაშვილი, ბაადურ ნოშრევანიძე, ჟოჟო — ტიტულების მქონე მუშაკები არიან, ჩვენი ნაცნობ-უცნობები, რომელთაც ხშირად შევხვედრივართ და რომელთაც ეს რომანი უფრო ახლოდან, უფრო მსხვილ პლანში გვაცნობს.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არქიტექტურული სახელოსნო თავისებური სულისშემხუთველი საკანია,სადაც თავი შეუფარებიათ ქვენა გრძნობებით გამსჭვალულ მედროვეებს, რომლებსაც არც განსჯის, არც განცდის უნარი არ გააჩნიათ. ყოველ ნაბიჯზე ჩანს მათ ირგვლივ გამეფებული მერკანტილიზმი, წვრილმანი ანგარიშიანობა, ყველასგან და ყველაფერში გამორჩენის სურვილი; თითოეულ დეტალში ვლინდება, როგორ დაწვრილმანებულან ისინი. ვის არ აღაშფოთებს ბიბონის ცინიკური სიტყვები, სამსახურიდან მოხსნილი მამუკასადმი მიმართული: გამოცდებზე წადი, ცოტა ხელს მოითბობო, ან, რა გეპრინციპება, ჯიბე გაისქელეო. ანკი, რა უნდა მოსთხოვო ისეთ ვითომდა ინტელიგენტებს, რომელთა მისწრაფებად და ოცნებად გაუთავებელი ღრეობა, თამადობა, ბანკეტები გამხდარა. ან, რა უნდა გაკეთდეს იმ დაწესებულებაში, სადაც ბანკეტისათვის სამზადისის მიზეზით, ნახევარი ხალხი შესვენებამდე მირბის სადღაც, ხოლო შემდეგ, მეორე ნახევარიც მარჯვედ სარგებლობს ამ შემთხვევით. რა უნდა მოვთხოვოთ ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც თავის შვილებს, მოსწავლეებს ე. წ. „სათამადო ხელოვნებაში“ ავარჯიშებს და სადღეგრძელოების წარმოთქმას ასწავლის. როგორ არ დავეთანხმოთ ბასილ კანკელიშვილის რეპლიკას: „ვისთვისაც ზენაარს სუფრისა და სადღეგრძელოების ნიჭი უბოძებია, არავითარი სხვა ნიჭის ნატამალი არ დაუტოვებია!“ რატომ უნდა გავგაკვირვოს იმ პირთა კრეტინობამდე მისულმა სიბრიყვემ, უმეცრებამ, ჩამორჩენილობამ, რომელთაც, წიგნისა და გაზეთის ნაცვლად, დღე და ღამ ყანწი უჭირავთ ხელში ან „სათამადო გეგმა-კონსპექტებს“ ადგენენ. ერთი მათგანი გახლავთ ფილიმონ ანესაძე, რომელიც თავის ფეოდალურ კარმიდამოში ისე განცხრომით გრძნობს თავს, რომ ნორმალური აზროვნება არც კი მოეთხოვება. თანამდებობა მას საშუალებას აძლევს ორიოდე სტანდარტული ფრაზითაც და მედიდური პოზითაც იოლად გავიდეს ფონს. ვინ რას გაუბედავს? „მაშინა მევიდა?“ „ჩუმად, ამხანაგო!“ მაგრამ იმდენი კი მაინც გაეგება, რომ გარშემო დიდად საიმედო ხალხი შემოიკრიბოს, ალკვეთოს ყოველგვარი კრიტიკა.

პროტექციონიზმის მთელი სისაძაგლე აქ თავის ფართო ასპარეზს პოულობს. სახელოსნოს თანამშრომელთა ძირითად ბირთვსაც ხომ ფილიმონის ოჯახის წევრები შეადგენენ: მისი პროვინციელი, ჭორიკანა მეუღლე ჟოჟო, ცოლისძმა ბიბონი, ცოლისძმისშვილი აგული, მანქანის საბურავებში გაცვლილი მანანა და ა. შ. ასევე ადვილად ასახსნელია, რატომ იღებს ეს კაცი სამუშაოზე მხოლოდ თავისზე უფრო უვიც და უნიჭო პირებს, რატომ უჭერს მხარს, რა-

ტომ ახალისებს და აფასებს მაამებლებს, პირფერებს, რატომ ცდილობს დაწესებულებაში „ინტრიგანები“ არ შემოეპაროს. აქ ყველაფერი მოსაჩვენებლად კეთდება, პროექტებს ფორმალურად განიხილავენ, „უაღრესად გულთბილ ვითარებაში“, საბჭოს სხდომებს ერთმანეთის ქება-დიდებას ანდომებენ: „თავი გავანებოთ, ამხანაგებო, კორბუზიებს, რაიტებს... ჩვენ გვყავს ჩვენი ფილიმონები და აგათონები, რომლებიც თვითმყოფ ხუროთმოძღვრებას უყრიან საფუძველს“.

ამ სიუჟეტური ნაკადის ძირითადი პათოსია ყოველივე იმის მხილება და დაგმობა, რაც შეიძლება დახასიათდეს ერთი სიტყვით: „ფსევდო“. ფსევდომეცნიერი, ფსევდოხელოვანი, ფსევდოპროფესორი, ფსევდოექიმი და მისთ. ხომ არსებობს რაღაც ცრუინტელიგენტის მაგვარი, რომელიც დიპლომით, ხარისხით, წოდებითაა შეიარაღებული, ხოლო სინამდვილეში არაფრის შექმნის უნარი არა აქვს. თითო-ოროლაც რომ იყვნენ, ამ ძალათ ინტელიგენტებს, მაინც დიდი ზიანი მოაქვთ ჩვენი საზოგადოებისათვის. ასეთია, მაგალითად, ბიბონ ვახტანგური. ესაა ფილისტერი, არაკაცი, რომელსაც უსაქმურობის საკუთარი ფილოსოფიაც კი შეუქმნია: „არქიტექტურაც, ფერწერაც, ტრიგონომეტრიაც იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ კაი პური ვჭამოთ!“ წარბშეუხრელად, ავტორიტეტულად აცხადებს იგი. ბიბონი ყველაფერს სეირის თვალით უყურებს და სხვისი ჭირი არაფრად მიაჩნია. მთელ სიცოცხლეს ის ლაზღანდარობაში ატარებს და გენიოსად აღიარებას მოითხოვს, ხოლო, თუ გაუჭირდა, უტიფრად იღრიჯება: „ამდენმა ნიჭიერმა ქართველმა შემინახეთ ერთი უნიჭო ქართველიო“. პაექრობა, კამათი, საქმიანი დავა ეზარება, ქეიფის მყუდროობას იცავს: „რა აჩხუბებთ, კაცო!... არ მიყვარს მოჩხუბარი ტიპები! მოგვასვენონ, ბატონო!“ „ვიყოთ, გავიხაროთ ერთმანეთის ცქერით!“ „ვიჭუჭუნოთ, ვისიამოვნოთ! ამ კინკლაობამ დაგვღუპა ქართველები!“

„მწვანე შტო“ დაუზოგველი, მკაცრი, სუსხიანი და მწარე წიგნიაო, ამბობენ ზოგიერთები, და როგორც შევამჩნიე, ამის მთქმელი რომანის მიმართ კეთილგანწყობილებას არ გამოხატავდა. მაგრამ ეს სიმწარე და სუსხი ხომ ნაწარმოების ჟ ა ნ რ ო ბ რ ი ვ ი ბუნებიდან მომდინარეობს! სალომე, შატულია, ბიბონი, დოროთე, სვენტერიძე, ბადრიკო, დუდანა, ფილიმონი, ნესტორი ხომ აშკარად სატირული სახეებია; მეტსაც ვიტყოდით, ისინი გროტესკული ფიგურებია. როგორც ცნობილია, პაროდირებით, სატირული სახის გროტესკული აგებით ბუნებრივად ირღვევა ცხოვრებისეული პროპორციები, ხოლო ეს კარდინალურად ზრდის მხატვრული პირობითობის როლს. დიახ, არის ამ ნაწარმოებში სენსაციურობამდე მისული გროტესკული სახეები და სიტუაციები, მაგრამ წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ რომანი „სატირულად ამხელს მეშჩანური ყოფის გამოვლინებასო“. ს ა ტ ი რ უ ლ ა დ, ე. ი. იგულისხმება, რომ აქ არის საზოგადოებაში არსებული ამა თუ იმ უარყოფითი მოვლენის, ან მოვლენების დაუზოგავად დაცინვა, გაკიცხვა. თავს ნებას მივცემ და ვიტყვი, ამ შემთხვევაში სიტყვა „სატირულით“ დაკმაყოფილება, რაც ამ წიგნის ავტორს (იქნებ გამომცემლობას) ეკუთვნის, ვგონებ რამდენადმე სცემს, დაბლა სწევს წიგნის ღირსებას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, კი ზუსტად არ განსაზღვრავს რომანში გამოყენებულ მხატვრულ ხერხს. ვფიქრობ, სატირულთან ერთად უნდა ეწეროს გროტესკული, რადგან ამ წიგნში, ზოგიერთ შემთხვევაში, წმინდა გროტესკული მხატვრული ხერხია მომარჯვებული და საბედნიეროდ კარგადაც გამოყენებული.

გროტესკული მხატვრული ხერხი, რაც დამყარებულია მეტისმეტ გაზვიადებაზე, ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული და მიღებული ხერხია. ეს ხერხი, როგორც ცნობილია, ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან სცილდება რეალობის საზღვრებს და გადადის საარაკოს, ზღაპრულის ფარგლებში (გავიხსენოთ თუნდაც მამლის სცენა). განზრახ გაზვიადებულად, ხაზგასმულად, გროტესკული ასახვის წყალობით, როცა მოქმედი გმირი დაუჯერებელ, საარაკო ქმნილებას ემსგავსება, როცა სიცილი აღშფოთებაში გადადის, უფრო მკვეთრად ჩნდება დასაღუპავად განწირული გმირის სახე. ამგვარი ნაწარმოები კი ისე იშვიათად იწერება ჩვენში, ეტყობა გადავეჩვიეთ, ან ვერ ვხედავთ, ვერ ამოვიცნობთ ხოლმე, რომ დასაღუპავად განწირული სახეები არსებობენ. ეს გარემოება კი სწორედ ისეთი შეღავათებისაკენ გვიბიძგებს, როცა საკუთარი თავისადმი ირონიით ნათქვამი სიტყვებით: „რა იქნება, ამდენმა ნიჭიერმა ქართველმა, ერთი უნიჭო შემინახეთო“, სამხალას გვასმევს და სიბრალულსა და დათმობას გვაჩვევს.

გროტესკი მოწოდებულია მოვლენის ბუნება, გმირის ხასიათი ღრმად შეიცნოს და საქმის არსი გააშიშვლოს.

რაკი გროტესკში უკიდურეს სიმკვეთრემდეა მიყვანილი სიმახინჯეთა მხილება, ჩვეულებრივი ნორმების დარღვევასაც უნდა შევურიგდეთ, პირობითობის ხარჯზე ხასიათების ფანტასტიკურ აგებას, უცნაურობებს, საოცრებებსა და, თუ გნებავთ, ალოგიზმებსაც უნდა შევეგუოთ. ცხოვრებისეული პროპორციების დარღვევა, ხაზგასმული გადაჭარბება, გროტესკული ფორმა, დიახაც, არღვევს მოვლენის რეალურ სახეს; ამიტომაც გაზვიადება უფრო მკაცრად წარმოგვიდგენს საზოგადოებისათვის მის სრულ შეუსაბამობასა და მიუღებლობას.

გადაჭარბების მიზანია მახინჯი მოვლენის უკომპრომისო დაპირისპირება მეორე მოვლენასთან, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღებია. მოძველებულის, დრომოჭმულის, უკუსაგდების აღმოსაფხვრელად ხელოვნება მუდამ მიმართავდა ასეთ გაზვიადებას, ჰიპერბოლიზებას, უკუღმა გადმობრუნებას, რათა მძაფრად ეჩვენებინა ამ მოვლენის სიმახინჯე. ასეთ შემთხვევაში, იუმორი, და წარმოიდგინეთ სატირაც, საკმარისი არ არის, რადგან საქმე ეხება საზოგადოებისათვის საშიშ მანკიერებათა მხილებას, გაკიცხვასა და განაჩენის გამოტანას.

„არასოდეს არ უნდა გვეშინოდეს გაზვიადებისა“, — ამბობდა ფლობერი.

გორკის სიტყვით: „ხელოვნება მიზნად ისახავს გააზვიადოს უარყოფითი, ადამიანისათვის მტრული, რათა გამოიწვიოს მისდამი ზიზღი, აგვანთოს ცხოვრების სამარცხვინო სისაძაგლეთა მოსპობის ნებისყოფით“. ამ მიზნით იღებს ხელოვანი, თითქოსდა, დაუჯერებელ, გადაჭარბებულ, გამონაკლის, განუმეორებელ შემთხვევებს. მცდარია ის აზრი, თითქოს, შემოქმედმა მხოლოდ გავრცელებულს უნდა მიმართოს. სატირული მხატვრული პრინციპი, პაროდიულად გააზრებული სიტუაციები, ხასიათები, ამბები, გროტესკისა და პაროდიულის მონაცვლეობა, ჰეროიკულის, რომანტიკულისა და ირონიულის თავისებური განლაგება „მწვანე შტოს“ ქართული საბჭოთა გროტესკის ფრიად საყურადღებო მოვლენად აქცევს. დიდი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ღირებულება აქვს იმ განუზომელ ზიზღს, რომელსაც ეს რომანი მეშჩანობის, პროვინციალიზმის, ბიუროკრატიზმის, ცინიზმის, პროტექციონიზმის, მაამებლობის, მომხვეჭელობის წინააღმდეგ იწვევს.

დოროთეს „ხელმძღვანელობის“ ბიუროკრატიული მეთოდი, თათბირობანა, კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს წარმოდგენას ამ უნებისყოფო, უნიათო, გროტესკულ სახეზე. ხაბინაო სამმართველოს უფროსი სვენტერიძისა და მისი აპარატის მთელი საქმიანობა შეიძლება დავახასიათოთ ვ. ი. ლენინის ცნობილი გამოთქმით — „ფორმალურად სწორია, არსებითად კი აბუჩად აგდებაა“. სვენტერიძე ჯერ სატირული სახეა, ხოლო მწერალი უკვე გროტესკულ ტიპად აქცევს მას, როცა უხიაგი სვენტერიძე საკუთარ არქიტექტურულ გეგმას აცნობს აღშფოთებულ მამუკას. ან მეორე ამბავი გაიხსენეთ: კაბინეტში ჩაკეტილი ფილიმონ ანესაძე უარს ეუბნება ომის გმირს მამუკას უბრალო შუამდგომლობის ხელმოწერაზე, იმ საბაბით, არ მცალია, „შინმოუსვლელთა ძეგლზე ვმუშაობ“. სატირულ-გროტესკულ პლანშია გადაწყვეტილი მეშჩანობის, პროვინციალიზმის მხილება, მოდის ამყოლობა, ტელეფონომანია, ფუქსავატური ქცევის, ლაპარაკის მანერა, შატულიას ქარაფშუტობა, ბადრის მანჭვა-გრეხვა, თეატრსა და საღამოებზე სხვის დასანახავად სიარული, ცოცხლებისადმი შურის გამო, ჩვეულებრივ, განსვენებულთა განზრახ განდიდება, ნიჰილიზმი, სიტყვისა და საქმის დაპირისპირება; ან გაიხსენეთ ის საღამო, მოწყენილი და ყველაფრით მოყირჭებული ადამიანები პოკერის თამაშს რომ იწყებენ, ირგვლივ მაყურებლები ახვევიათ, არ დაგავიწყდებათ მათი გაოგნებული სახეები. გადადის ხელიდან ხელში ფული, ოქრო, ოთხ და ხუთკარატიანი ბრილიანტის ბეჭდები; ამ ბეჭდისთვის შეგზავნა სათამაშოდ სალომემ განთქმული პოკერისტი შანშე, და როცა მან სასურველი ბეჭედი ხელთ იგდო, ყველას ჰგონია რაღაც მოხდება, სალომე კი უბრალოდ გადაჰკოცნის პოკერის ვირტუოზს... ამ ბეჭედმა შემდგომში საბედისწერო როლი უნდა შეასრულოს.

გროტესკული ხერხის გამოყენების საუკეთესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ რომანის ის ადგილი, სადაც აღწერილია ბიბონ ვახტანგურის იუბილეს ეპიზოდი, რომელიც თავიდან ბოლომდე შესრულებულია გროტესკულ-პამფლეტურ სტილში და რომანში თავისებური ინტერმედიის როლს ასრულებს, რათა მკითხველმა სული მოიბრუნოს, გამხიარულდეს. რეალური აქ ფანტასტიკურში გადადის, ირონიული — სარკასტულში. თხრობა პაროდიულია, თემატური არე — გაფართოებული, — დაცინვის საგანია არა მარტო საიუბილეო მანიაკობა, არამედ — პროტექციონიზმიც (იუბილეს და და სიძე უწყობენ), პროვინციალიზმიც (მოდური ჩაცმულობა, სხვების დასანახავად ზეიმზე დასწრება და ა. შ.). ამ ძნელად დასაწერ ნაწილში საყურადღებოა დეტალების შერჩევა, ამბის არსის გადმოცემის ირონიული კილო, სიტყვის გამიზნულობა, ტონისა და შინაარსის შესატყვისობა, აუცილებლის უზუსტეს ფორმაში გააზრება („რისთვის უხდიან, ნეტავ, იუბილეს?“). ისეთ ფანტასტიკურ, ძნელად დასაჯერებელ პასაჟში, როგორიცაა მამლის გაწვრთნა და წამოფრენა, მკაფიოდ ვლინდება სიტყვის ალღო და სიზუსტე. მხატვრულ გადაწყვეტას ხელს უწყობს პაროდირების ისეთი ორიგინალური ხერხი, როგორიცაა ირიბი თვითდახასიათება: გროტესკული პერსონაჟები თვითონ ხმამაღლა გაჰყვირიან იმ თვისებების საჭიროებაზე, რომლებიც სწორედ თვითონ არ გააჩნიათ, — სხვებს მოუწოდებენ იყვნენ ისეთი, როგორიც სწორედ თვითონ არ არიან. უნიჭოები ნიჭზე მეტყველებენ, უსინდისოები სინდისის სახელით ლაპარაკობენ, ზარმაცები შრომასა და ბეჯითობას აქებენ. ამ მხრივ საინტერესოა ბიბონის ინტერვიუ: ის სერიოზული სახით ლაპარაკობს და მოითხოვს იმას, რის სრულ ანტიპოდსაც თვითონ წარმოადგენს. ამის წყალობით, ეს ინტერვიუ არაპირდაპირი დახასიათების, კონტრასტული შეპირისპირების, სიტყვისა და საქმის დაპირის-

პირების, შებრუნებული აზროვნების, თვალთმაქცობის გამოხატულებაა.

დიახ, არის ამ რომანში ირონია — კეთილიც, შხამიანიც და მრისხანეც. არის გესლი, არის სარდონიკული სიცილი. არის მკვეთრი კონტრასტები რეალურისა და ფანტასტიკურის, ტრაგიკულისა და კომიკურის შერწყმის წყალობით. წერის თვალსაზრისით ,გროტესკი ბეწვის ხიდია, მაგრამ შეუძლებელია დაუჯერებლად მივიჩნიოთ დოროთესთვის ლოგინში წყლის შესხმა, ზეწრის წართმევა და მისთ. კლასიციზმის ეპოქაში სახელმძღვანელოებშიც კი წერდნენ, რომ როცა მოქმედება ერთ ადგილას ხდება (მეფის სასახლეში), მაყურებელი როგორ დაგვიჯერებს, თუ ანტრაქტის შემდეგ მოქმედებას ქოხში გადავიტანთო? ეს პირობითობისა და წარმოსახვის უარყოფაა. შექსპირის ლედი მაკბეტს ერთ მოქმედებაში ჰყავს ბავშვები, მეორეში ირკვევა, რომ არავითარი ბავშვები მას არ ჰყოლია. ამის გამო, ზოგიერთმა უყურადღებობაც დააბრალა ავტორს; გოეთე კი შენიშნავდა: „შექსპირს ამით სურდა ეჩვენებინა მოცემული მომენტისათვის ყველაზე მკაფიო და არსებითი. შექსპირი მომქმედ პირებს ყოველ მომენტში იმას ალაპარაკებს, რაც ყველაზე მეტად შეეფერება იმ მომენტს, სიტუაციას და შეუძლია ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს სწორედ ამ ადგილზე, და აღარ დაეძებს ეწინააღმდეგება თუ არა ეს სხვა, მეორე ადგილას ნათქვამს".

## სინათლის წყარო

ამდენი ტკივილი, ამდენი ნაკლი, ამდენი მანკიერება ერთ ნაწარმოებში?! მაშინ საიდანღა მოდის ეს უხვი შუქი, კაშკაშა ნათელი, რომელიც წუთითაც არ ქრება წიგნის კითხვისას? რით ავხსნათ, რომ მთლიანი პანორამა სხივმოსილია?!

ეს რომანი არის მხილება, რომელიც ხელს უწყობს ნაკლოვანებათა არსის შეცნობასა და გარდაქმნას. ყოველ სტრიქონში ვგრძნობთ პატრიოტის, საბჭოთა ადამიანის მღელვარე გულისტკივილს, მართალ შეშფოთებას, მგზნებარე შეურიგებლობას არათუ ნაკლოვანებებთან, თვით გულგრილობასთანაც კი. ეს „გონებამახვილი ხუმარების კბილების კრეჭა კი არაა, არამედ გულისწყრომის ქუხილი, საზოგადოების შერცხვენით შეურაცხყოფილი ხულის ქარიშხალი", როგორც ბელინსკი ამბობდა. უაღრესად მტკივნეული პრობლემები წამოჭრილია საზოგადოებრივ-ეროვნული იდეალების შუქზე, რადგან გროტესკი იდეალთა განსაკუთრებულ მკაფიობას მოითხოვს. ღრმად იგრძნობა, რომ ყველა ტკივილი, ყველა ნაკლი შეიძლება დაძლეულ იქნეს და ამისთვის რომანში სათანადო ძალაც ჩანს.

რომანის დადებითი გმირები, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტები და კომკავშირლები არიან. განასახიერებენ რა ჩვენი ხალხის სხვადასხვა ფენის საუკეთესო მორალურ-პოლიტიკურ თვისებებს, მამუკა, ცისანა, ანზელავა, მინდელი, გოჩა, თეონა, ბაბინე, თეკლე ყველაფრით მაღლა დგანან, ყველაფრით უფრო ძლიერნი არიან უარყოფით პერსონაჟებზე. კეთილი ძალა ძლევამოსილი, თანმიმდევრული, მიზანსწრაფულია. ამდენად, ნაწარმოებში გაშლილ მოვლენებს წარმართავს არა შუქ-ჩრდილების თამაში, არამედ ერთიანი ნათელი ფერი.

„მწვანე შტოს" საერთო განწყობილებას ქმნის რწმენა, პრინციპულობა, უკომპრომისობა, რწმენა საქმისა და იდეისა, რომელსაც გმირი ემსახურება, რწმენა ადამიანისა, რწმენა თავისთავისა.

ამ ასპექტში, მწერალი საგანგებოდ აშუქებს პიროვნების ზნეობრივი უფლება-მოვალეობის, შინაგანი სიწმინდის, პატიოსნების, საკუთარ სიმართლეში გულწრფელი რწმენის, უცოდველობის მნიშვნელობას ცხოვრების რთულ გზაზე. „ჩვენ უნიკალური წესწყობილება გვაქვს, ახლა მთელი პრობლემა ადამიანია. ჩვენ უბიწოების მასწავლებელი გვჭირდება".

მამუკას საქციელი ემორჩილება მკაცრ შინაგან მორალურ კონტროლს. რომანს შუქს მატებს იმის შეგრძნება, რომ მამუკა არასოდეს მტანჯველად, სასოწარკვეთით არ განიცდის თავის მძიმე მდგომარეობას, თავისთავთან განუწყვეტელ ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდის, ბატონობს თავისთავზე, თავის ვნებებზე. ასეთ პირობებში შრომა, ასეთი დაბრკოლებების გადალახვა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც საკუთარ თავზე გაიმარჯვებს; ამ შინაგანი ბრძოლის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი „მწვანე შტოს" ერთ-ერთი ძვირფასი თვისებაა. ამიტომაც არ ჩანს რომანში უსასოობის ტრაგიკული განცდა. მისი ოპტიმიზმი მზამზარეული და უნიადაგო აღტაცება კი არაა, მძაფრი შინაგანი ბრძოლითაა მოპოვებული. გავიხსენოთ მამუკას აღსარება ცისანასთან კონფლიქტის დროს: „მე ვერც კი ვამჩნევდი ამ შენს მძიმე ტანჯვას, რადგან მე თვითონ არასოდეს, არც ერთ წუთს, არავითარ სატანჯველს არ განვიცდი, ჩემი სიხარულით ვცხოვრობ, მუდამ ბედნიერი ვარ!" კიდევ უფრო საინტერესოა, რომ დედ-მამის ოჯახურ ფუფუნებაში მყოფ ცისანას ენატრება „მღელვარე საქმეები, მოსათავებელი გეგმები, გადასახდელი ვალები... ყველაფერი იქ იყო, მთელი ცხოვრება, სიხარული, მიზანი, ზრუნვა და დარდი".

არის მამუკას ცხოვრებაში კრიზისის, ტრავმის მძიმე წუთები, მაგრამ არასოდეს კაპიტულაციაზე არ ფიქრობს. მისი ნებისყოფა და

პრინციპულობა უძლებს უმძიმეს განსაცდელს — საყვარელ მეუღლესთან სრულ განხეთქილებას. ამ უნაპირო შეუპოვრობით, მორალური უკომპრომისობით გამოირჩევა მამუკა ტარხანიძე, თორემ, გაგებით ბასილ კანკელიშვილსაც ესმის, უღირს ადამიანთა წრეში რომ იმყოფება, მაგრამ ბრძოლა მას უაზრობად, უიმედოდ, სისულელედ ეჩვენება, ხან უწყინარი ირონიით, ხანაც გამანადგურებელი სარკაზმით უყურებს მას და მამუკასაც ურჩევს მოითმინოს, რამენაირად შეეგუოს.

რომანში სინათლე შემოაქვს ადამიანური სიცოცხლისადმი ტრფიალს, საოცარ ენთუზიაზმს, ენერგიულობას, მთლიანი გარემოს კოლორიტს. მაგრამ სინათლის მთავარი წყარო ამ რომანში შრომის არაჩვეულებრივი პათოსია. ბევრი წიგნი როდი მოიძებნება, რომელშიც ასე მძლავრად, ასე შთამბეჭდავად ისმოდეს შრომის სადიდებელი, ასე მკაფიოდ ჩანდეს მისი როლი პიროვნების ცხოვრებაში, ასე იგრძნობოდეს სინდისიერი გარჯისა და პატიოსანი ოფლის მადლი. შრომა ბედნიერების უპირველესი პირობაა, — შემოქმედებითი შრომა, შრომა მუშისა და ხელოვანისა, კოლმეურნისა, ხელოსნისა, რომელიც პიროვნული განდიდების ინტერესით კი არაა შთაგონებული, არამედ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა და თავისთავად სიხარულის მომნიჭებელი. შრომის რიტმი მამუკას, ცისანას, გოჩას, თეონას, ბაბინეს, ახრასიას, თეკლეს ცხოვრების რიტმია. შრომაში იოლად სძლევენ ყოველგვარ სიძნელეს: „დიდი შავი სამუშაო, რომელშიც მუდამ ყელამდე იყო ჩაფლული, მამუკას ყოველგვარ გაჭირვებასა და წყენას იოლად ავიწყებდა... ბედის ტრიალმა ათას სხვადასხვა საქმეზე მიმოისროლა, მაგრამ, უცნაურია, რომ ამ მოუსვენრობის სიხარულს ყველგან და ყოველ საქმეში ერთნაირად განიცდიდა. მაშინაც, როცა სკოლის გაკვეთილს ამზადებდა, სხლავდა, წერაქვით ორმოებს თხრიდა, ცემენტით კედლებს აპირკეთებდა, ქვემეხის ორიენტირებს ანგარიშობდა თუ არქიტექტურულ პროექტს ადგენდა. ყველა შრომას თავის სიხარული ჰქონდა და ამ მარად უცვლელ, მარად ერთგულ, მარად უთქმელ ბედნიერებას ვერავითარი სხვა ბედნიერება ვერ შეედრებოდა“.

ნაწარმოებს ნათელი ფერებით ავსებს სამშობლოს მხურვალე ერთგულება, საბრძოლო-რევოლუციური ტრადიციების სიწმინდე, „მუშური სინდისი“, კეთილისათვის შემართების, ვაჟკაცობის, წინაამძღვრობის სულისკვეთება: „აი, ხომ ნახე, ჩემო გოჩა!.. რას იზამ: მუდამჟამს მაგრად უნდა იდგე სადარაჯოზე! რაც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა, რაც ჩვენმა ქვეყანამ შეგვიქმნა, ყველგან, ყველაფერში, ყველასთან, ყოველ ნაბიჯზე მზად უნდა იყო იმის დასაცავად. არავის ნება არ უნდა მისცე წაგვგლიჯოს ის, რასაც სამშობლო გაძლევს... სიცოცხლის ფასადაც რომ დაგიჯდეს, მაინც უნდა შეძლო შენი უფლებების დაცვა“.

ალბათ, ბევრი ითქმება იმის თაობაზეც, თუ რა ძლიერია „მწვანე შტოში“ მშობლიური მიწის განცდა, საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის უწყვეტობის შეგრძნება, ისტორიის შთამაგონებელი ძალა. რომანის დადებით გმირებში (მამუკა, ცისანა, თეონა, გოჩა, ანზელავა, მინდელი, ბაბინე) ჩაქსოვილია ქართველი მამაკაცისა და ქალის საუკეთესო თვისებები, მარად შემოქმედი ქართული სული, რომელიც ვერავითარ სიძაბუნეს, უმოქმედობას, სულმდაბლობასა და ფილისტერობას ვერ ურიგდება.

„მწვანე შტო“ გამსჭვალულია შენების, აღორძინების პათოსით, ეს კომუნისტური აღმშენებლობის პათოსია. ყველგან, ყველაფერში ნათელია პარტიის, კომუნისტების ხელმძღვანელი როლი. პარტორგანიზაციამ აღადგინა მამუკა სამუშაოზე, პარტიის რაიკომმა დაიცვა იგი ბინების განაწილებისას, პარტია იბრძვის აღწერილი მანკიერებების დასაძლევად, შრომისა და ცხოვრების ჯანსაღი პირობების უზრუნველსაყოფად.

## „ცისფერი კანჯო“ — პოეტური ოცნება

არ ვიცი, როგორ ფლობს ავტორი ხუროთმოძღვრებას, მაგრამ ის კი უდავოა, ამ რომანის წაკითხვა საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა, მისი პროფესიული მსჯელობანი სრულფასოვნად რომ არ იმსახურებდეს; მკითხველის შთაბეჭდილებით, მწერალი უთუოდ, იცნობს მსოფლიო ხუროთმოძღვრების ისტორიას, სწვდება არქიტექტურული ხელოვნების სიღრმეებს. მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია ხუროთმოძღვრის ოსტატობისადმი კრძალვით, ხოლო პოლემიკა, ახალ თვალსაზრისთა დაპირისპირება თანამედროვე ხელოვნების ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა „ვერტიკალური“ და „ჰორიზონტალური“ ჰარმონია, ბრუტალისტური მოპირკეთება და სხვა, თავისთავად მეტყველებს ამ საკითხების ცოდნისა და წვდომის მასშტაბზე. პროფესიული სიამაყე აქ შემოქმედებითი პათოსის, შთაგონების ისეთ სტიმულად გვევლინება, რომელსაც უკიდურესი სასოწარკვეთიდანაც კი გამოჰყავს გმირი. „მძაფრი განცდით, რომ სასარგებლო და საჭირო იყო, მამუკა აგზნებული ბრუნდებოდა შინ. რამდენი ჩანაფიქრი აღელვებს! რამდენი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს და სამშობლოს! ბინა ხომ ადამიანთა სანუკვარი ოცნებაა! მას კი უნარი შესწევს, თავისი წვლილი შეიტანოს ამ ნათელ საქმეში. არავითარი უფლება არ აქვს,

განზე გადგეს, მოდუნდეს, გულხელი დაიკრიფოს. მთელი ძალღონე, მთელი ნებისყოფა უნდა დაძაბოს ამ მიზნისთვის. ყველაფერი უნდა მოითმინოს, ის ხომ, უწინარეს ყოვლისა, ხუროთმოძღვარია, ამქვეყნად ყველაზე მშვიდობიანი და ჰუმანური მოწოდების ადამიანი!“

რომანი დაწერილია არქიტექტურის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის ისტორიულ დადგენილებათა სულისკვეთებით; მასში წამოჭრილია ისეთი ფილოსოფიური პრობლემებიც, როგორიცაა: არქიტექტურა და პიროვნება, არქიტექტურის ზნეობრივ-მორალური ასპექტი, მაგრამ ყოველივე ეს მაინც შემეცნებით სფეროს განეკუთვნება; მხატვრულ პროზას კი უსათუოდ უნდა ჰქონდეს პოეტური ფრთები. „მწვანე შტოს“ უმთავრესი პოეტური ფრთა „ცისფერი კანჯოა“ — მომხიბვლელი, ფანტასტიკური ისტორია, საერთო პოეტური კონტრაპუნქტი, დამოუკიდებელი სიუჟეტური ფაბულა. ამ ფაბულაში არის რთული პირობითობა, ემოციური ილუზია, ქიმერა, რთული სიმბოლიკა, ოცნება და სინამდვილე. სავარაუდოა, მისტიკური სიმბოლოს — „ცისფერი კანჯოს“ შეხმიანება რომანის სათაურთან — „მწვანე შტო“.

ცისფერი კანჯო — ყმაწვილობაში აგებული ეს საოცარი შენობა, ამომწურავად გვიხსნის, რა წყარო ასაზრდოებს სამშობლოში ახალდაბრუნებულ უპოვარ, თითქმის დევნილ მამუკა ტარსანიძის რწმენას. „ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა. კონკრეტულად ჯერ წარმოდგენილი არ ქონდა, რა უნდა ეკეთებინა, რაში დაეხარჯა, საითკენ წარემართა ეს ბობოქარი ენერგია, მაგრამ მთელი არსებით განიცდიდა, რომ რაღაც საიმედო ნიავმა დაჰქროლა, და ეს გრძნობა თავისთავისადმი მტკიცე რწმენას უნერგავდა, მოქმედების ძალას მატებდა“. დიახ, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მკერდში ისევ იმ „პატარა ბიჭის“ გული უფეთქავდა. სასოწარკვეთაში, თვითმკვლელობაზე ფიქრში, უკიდურეს განსაცდელში, როგორც ერთადერთი ხსნა, მუდამ გაიელვებს „ცისფერი კანჯოს“ ზმანება და ყველაფერი იმედით ნათდება. „სულმოკლეობამ შევიპყრო!.. ნუთუ ყველაფერი სიზმარია და „ცისფერი კანჯოც“ ბავშვობის მაცთური მოჩვენებაა!?“. „ცისფერ კანჯოს“ გახსენება ყველაზე სანუგეშო იარაღია მტრებთან, მეშურნეებთან, უსინდისო ადამიანებთან უთანასწორო ბრძოლაში; „მე თოთხმეტი წლისამ ავაგე პირველი შენობა“. ეს არის ოცნება სილამაზეზე, დაუცხრომელი რომანტიკული ლტოლვის ნათელი განსახიერება. მამუკა ტარსანიძის შემოქმედებითი ძიებანი მოგვიანებითაც ამ გზას მიჰყვება, სერიოზულ გამარჯვებასაც აღწევს ბეტონის მოპირკეთებითი თვისებების ტექნოლოგიაში, აღმოაჩენს „ლამაზ ბეტონს“: ესაა ესთეტიკაც, მშენებლობის ეკონომიურობაც. „არქიტექტურა უხეში მასალების ამაღლებელი შეხამების ხელოვნებაა“. „ცისფერი კანჯოს“ მიხედვით სპეციალისტები მსჯელობენ „ურბანისტულ რომანტიზმზე“. „ცისფერი კანჯო“ ლეგენდად იქცევა და, ამასთან დაკავშირებით, რომანში განსაკუთრებულ ხასიათს იძენს შემოქმედებითი ფსიქოლოგიის პრობლემები, რომლებიც მთელი ნაწარმოების მანძილზე ყურადღების ცენტრშია და, გარკვეული აზრით, რომანიც მთლიანად ამ პრობლემების პასუხად შეიძლება მივიჩნიოთ.

„კანჯოს“ რეალისტური იდეალი იმის წარმოსახვაა, რომ ადამიანის, კერძოდ, შემოქმედის მთელი ცხოვრება შეჯიბრია საკუთარ ოცნებებთან, სწრაფვაა ოცნებების რეალობად ქცევისათვის, მძიმე, მაგრამ მშვენიერი შეჯიბრი. ოცნებები და იდეალები ბავშვობაშივე ისახება.

რომანში ფართოდ არის წამოჭრილი შემოქმედებითი ფსიქოლოგიის მწვავე საკითხები. ხელოვნება საყოველთაოა, თანაბრად ეკუთვნის ყველას, ვინც მას განიცდის; ხელოვანისთვის მთავარია არა ნაწარმოების აღიარება, არამედ ჩანაფიქრის ხორცშესხმა, შემოქმედს ქებისა უფრო რცხვენია, ვიდრე უსახელოდ დარჩენის; როცა გაიგო, „ცისფერ კანჯოს“ ანგრევენო, მამუკა შეშფოთდა, მაგრამ, როცა მის ავტორად ვიღაც სხვა მიიჩნიეს, არა სწყენია; ყველაზე უფრო არსებითია, ნაწარმოების სიცოცხლე, მისი უკვდავება. ავტორი მტანჯველად არ განიცდის, მისი ნაწარმოები რომ უავტოროდ სცნეს, რადგან ხელოვანს „წარსულით სიცოცხლე არ ძალუძს, იგი ცოცხლობს იმით, რასაც ამჟამად ქმნის, და კიდევ უფრო იმით, რაზეც ახლა ოცნებობს; ყოველი ახალი ნაწარმოების წარმოსახვა ხელახალ დაბადებას მოასწავებს, მღელვარე, უძილო ღამეებს და დღეებს მოასწავებს, იდუმალ შიშს მოასწავებს“. „შემოქმედება ბედნიერი ტანჯვაა; შთაგონების მომენტში ადამიანი სხვა ხდება... განა, იმ სახით, როგორც ყოველდღიურად ვარსებობთ, ამ სფეროში რასმე შევქმნით?! განა, როცა შთაგონების ტაძრიდან გამოვდივართ, ჩვეულებრივი მოკვდავნი არ ვხდებით?!“. შემოქმედებითი პროცესი შეუცნობელია: მამუკას აღარ შეუძლია გაიცნობიეროს, როგორ ააშენა „ცისფერი კანჯო“; „დაწყებამდე ხელოვნის სამუშაო რაღაც უცნაურ შიშს იწვევს, ეს მტანჯველ ბედნიერებასთან მიახლოების შიშია“; ჩანაფიქრის წინაშე რიდი ჭეშმარიტი ხელოვანის თვისებაა; ხელოვანისთვის მატერიალური ფუფუნება აუცილებელი არ არის, აუცილებელია ნათელი სულიერი განწყობილება, სულის ჰარმონია, რასაც ქმნის სიყვარული, ოჯახი, საზოგადოება; შემოქმედება — პოეტური განდგომაა, სამყაროსთან „სულის შეხება“, „მშვენიერების წვდომა უცოდველ გულს მოითხოვს და ხე-

ლოვანი თვალის ჩინზე უფრო გულის უმანკოებას უნდა უფრთხილდებოდეს". ყოველი ახალი ნაწარმოები ახალ გარდაქმნას მოითხოვს, ხელოვანი ყოველ ახალ ჩანაფიქრში ხელახლა უნდა იშვას... ახალი განუმეორებელი იდუმალებით.

მხოლოდ უმძაფრეს სულიერ ტრავმირებას შეუძლია ძალი დააჩნიოს შემოქმედის მუდმივ ერთგულებას ხელოვნებისადმი და რომანში ასეთ ფსიქოლოგიურ-სიუჟეტურ ნაკადს ქმნის ტარსანიძის რთული, იდუმალებით მოცული ომის დროის თავგადასავალი და ამ საქმის გამო განუწყვეტლივ მიმდინარე ძიება, რომელიც წარმოუდგენლად ამძიმებს მამუკას ისედაც დაძაბულ, ნერვულ მდგომარეობას, ხოლო თვით გამოძიებას აძნელებს მისი უკიდურესი მორალური სისპეტაკე (არ სურს დაასახელოს მეგობარი ქალი ჰერტა). მამუკა ტარსანიძე ის კაცია, რომელსაც არათუ დაუფასდა ომისდროინდელი დამსახურებები, არამედ ომში ყოფნა მძიმე ტვირთად, ტანჯვათა მიზეზად ექცა. ამ მიზეზით, ხშირად სრულ დეპრესიამდე მიდის, აი, ასეთ მომენტებში „ცისფერი კანჯოც" უძლურია სალბუნად ეყოს; მაგრამ თანდათან ფარდა ეხდება საიდუმლოს, ნათელი ხდება მამუკას გმირული თავგადასავალი, თუმცა მკითხველმა ბოლომდე არ იცის, რით დამთავრდება ეს საქმე. იქნებ, აქაა პრობლემათა პრობლემა, მთავარი პრობლემა, დაფიქრების, მღელვარე განსჯის საგანი, რთული ალეგორიული პასაჟების ფესვები!

ომის თავგადასავლის ცალკე რეტროსპექტული ნაკადი, შეიძლება, თავისთავად არც იყოს საინტერესო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის არც არსებობს თავისთავად, მას სწორედ აისბერგის ფუნქცია აკისრია და იგი ამ მხრივ უნდა შევაფასოთ. არა, დეპეროიზებაზე არ ვლაპარაკობ, ამის საფუძველი არ გაგვაჩნია. „დე, რაც იყო, წარსულის ტალღებს გაჰყვეს მარადისობაში! აწმყოს თავისი ყოველდღიური დარდები და საქმეები აქვს, საკუთარი ზრუნვა და მიზნები გააჩნია, რატომ უნდა დაამძიმოს და გაართულოს მოგონებებმა?!"

მოვლენების განვითარებაზე გავლენას ახდენს ურბანისტული გარემო, რომელშიც არეკლილია თანამედროვე თბილისის ყოფა, ცხოვრების ტემპი და მანერა, და, თითქოს „პეიზანური კონტრაპუნქტი" — მარადიული სულისჩამდგმელი სოფელი, განუმეორებელი კოლორიტით, ღელის, ძმისშვილის, მეზობლების ასევე უბრალოებით აღბეჭდილი, დასამახსოვრებელი სახეები, დაბოლოს, პაპა გაბრიელის მონუმენტური ფრესკული სახე, როგორც საუკუნის მანძილზე განფენილი სულიერ-მორალური კონტრასტი, ღრმად ქვეტექსტური სახე, მითოლოგიური პლანის მიზნობრივი პასაჟები.

* * *

ალ. კალანდაძის ამ ნაწარმოებში თანამედროვე მსოფლიო რომანის სიახლეები ხელოვნურად კი არაა წამოღებული, არამედ დანერგილია ქართულ ფესვებზე, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ცოცხალ მასალაზე. „მწვანე შტო" რამდენჯერმე წავიკითხე და რამდენადაც მეტს ვუფიქრდები, მეჩვენება, რომ ავტორს იდეებსა, მოვლენებსა და ადამიანებზე არა ნაკლებ, ლიტერატურულ-მხატვრული საკითხები, კერძოდ, თანამედროვე რომანის პრობლემა აღელვებს. თუნდაც მარტო იმ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, რომ მწერალმა უაღრესად რთული სტრუქტურის რომანში შეძლო პოეტურსა, ყოფითსა და ცდისეულს შორის წონასწორობის დაცვა, უზრუნველჰყო ერთი ნაწარმოების ფარგლებში რომანტიკულ-ლირიკულის, ჰეროიკულ-ტრაგიკულის, ამაღლებულისა და უბრალოს, საოცარისა და ჩვეულებრივის, ფანტასტიკურისა და სატირულ-გროტესკული ტონის ჰარმონიულობა, უდავო გახდება, რომ მან წარმატებით იპოვა შესაფერი ფორმა და მიაღწია ლიტერატურულ-ტექნიკურ სრულყოფას.

ათამდე სიუჟეტური ნაკადის გამთლიანებაში, რომლებიც ფართო გეოგრაფიულ სივრცეში იშლება, სამივე დროს მოიცავს, აუარებელ პერსონაჟს ამოძრავებს. ამბებისა და ემოციების მიმოქცევაში, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ტემპს გამოხატავს, მკაფიოდ ვლინდება ნოვატორული კომპოზიციის თვისებები.

ნაწარმოების თითოეული დეტალი რაღაც მიზანს ემსახურება, წინასწარ ჩაფიქრებული ფუნქციის როლს ასრულებს; ისიც მოგეხსენებათ, რომ დიდ ნაგებობას, მტკიცე საძირკველი სჭირდება, ფუნდამენტისთვის ღორღიც აუცილებელია, ბალასტის საჭიროებაც გვესმის, მაგრამ ზოგიერთი რამ, ჩემი აზრით, ამ გაგებითაც ზედმეტია. პასაჟების განმეორებაზე არაფერს ვიტყვი, რადგან ისინი (მაგალითად, სამეცნიერო საბჭოს სხდომები) ფუნქციონალურად განსხვავებულია და სილოგისტურ აღნაგობას შეესატყვისება; ის კი უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სახე ფერმკრთალია, ვთქვათ, ფილო ცებულაძე; ულიმღამოდ გამოიყურება მისი თავგადასავალიც, კონსპექტურია შანშე გერკნეული, ზოგიერთი პასაჟი თვითმიზნურად მოჩანს. სიზმარი სოფელში ყოფნისას გაჭიანურებულია. რა მოსაზრებაც არ უნდა ჰქონდეს ავტორს, შეიძლებოდა შემცირებულიყო სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე წარმოთქმული სიტყვები. ამას ისე ნუ გამიგებთ, თითქოს, საერთოდ არ მესმოდეს „გაჭიანურებული ადგილების", როგორც მხატვრული ხერხების დანიშნულება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ესოდენ ვრცელ ნაწარმოებში ყველაფერი უშუალო აღქმისთვის

ვერ იქნება გათვალისწინებული. არ შეიძლება შენობის საყრდენი, ფუნდამენტი უარვყოთ იმ მოტივით, რომ ის საცხოვრებელ ფართობში არ შედის.

„მწვანე შტო" იკითხება თავიდან ბოლომდე დაძაბული ინტერესით. საგანგებო დაკვირვების გარეშე, შესაძლოა, შეუმჩნეველი დარჩეს, რომ ამის ერთი უმთავრესი მიზეზია თხრობის ფორმათა მრავალფეროვნება. ინტენსიური, მოქმედების ტემპისმიერი თხრობა მიღწეულია ათობით ხერხის მონაცვლეობით: ავტორის თხრობა, რემარკები და რეპლიკები, პერსონაჟთა ნაამბობი, დღიურები, ოქმები, დოკუმენტები, ოფიციალური და კერძო წერილები, ახსნა-განმარტებები, მიწერილობები, გაზეთის ამონაწერები, ტელეფონით საუბრები, შინაგანი მეტყველება, უსიტყვო დიალოგები, ფიქრები, მოგონებები, მოხსენებები, შემთხვევითი ჩანაწერები, ლოსიე, ამონაწერები წიგნებიდან, ცნობარებიდან, არაპირდაპირი სიტყვა და ა. შ. რამდენიმე თავი გამოძიების ოქმებს აქვს დათმობილი, რამდენიმე თავი — დღიურია, რამდენიმე თავი ოფიციალური მოწერილობანი და სხვ. აქედან მოდის თხრობის მრავალფეროვნება, დაძაბულობა, ეკონომიურობა, განუწყვეტელი სიახლის შეგრძნება.

ნაწარმოებში დიდ როლს ასრულებს მეტყველებითი ტიპიზაცია, პირველი წინადადებისთანავე გვამახსოვრდება, პორტრეტულად წარმოგვიდგება ბიბონ ვახტანგური, ფილიმონ ანესაძე, კიკიჟია, ნაღება, ახრასია, სალომე, დოროთე, დუდანა, შატულია და სხვ. ტელეფონით პირველი გასაუბრებისთანავე ნათელია, რას წარმოადგენენ დოროთე და სალომე, მათი ოჯახი. ერთი გამოჩენით გვამახსოვრდება ბიძია ვარლამი, მუშა, რომელიც თეონასა და გოჩას გამოექომაგება საქორწინო ზეიმზე. ბიბონის ფუქსავატური ლაპარაკი ხომ მისი სულისა და ინტელექტის უტყუარი სარკეა, ან დოროთეს — ბრიყვული, ბიუროკრატიული, მკვდარი ენა როგორი სიზუსტით ამჟღავნებს მის შინაგან გამოფიტულობას. არაფერს ვიტყვით დიალოგების, რემარკების ტაქტსა და სიზუსტეზე.

ჩვენმა კრიტიკამ ადრეც მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ალ. კალანდაძე ერთნაირად ფლობს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს, ერთნაირად იცნობს იქაურ ყოფას, ეთნოგრაფიას, ხასიათებს. მართალია, ალ. კალანდაძის ფრაზა არ თრთის, არ ცახცახებს, მაგრამ მისი ემოციურობა და არტისტიზმი უზრუნველყოფილია შეუნელებელი ენერგიით, მოდუნებული რიტმით, აზრის, ფიქრისა და მოქმედების მიზანსწრაფულობით, ფსიქოლოგიური ტევადობითა და ნიუანსურობით. არის მშრალი აღწერები და დიალოგები, მსჯელობის კოდექსური ფორმა, გლანცგოლდით შესრულებული პასაჟები. ეს საქმიანი, „ბრუტალისტური სტილია", მბრწყინავი სამკაულებისა და პათეტიკურობის გარეშე, რომელსაც არ აკლია არც პოეტური სითბო, არც ინტიმურობა.

რომანს ლირიკულ-რომანტიკულ იერს მატებს უხვად გამოყენებული ლიტერატურული ასოციაციები („ლაპარაკობდა, როგორც გუინპლენი ლორდთა პალატაში").

„მწვანე შტო" რიგითი ლიტერატურული მოვლენა არ არის. იგი კარგად დაწერილი წიგნია. მისი პათოსი ჭეშმარიტების ძიებაა, ის გვაზიარებს ეპოქის დიდ ვნებათაღელვას. მოურიდებლად იჭრება მრავალფეროვანი ცხოვრების სიღრმეში, სისხლხორცეულად ეხმიანება დღევანდელობის საჭირბოროტო საკითხებს. მე არ შევდგომივარ იმის ძიებას, რა არის აქ მოდერნისტული და რაა კლასიკური, მაგრამ ის კი ვიცი, რომ არც ერთი და არც მეორე არაფრად ეღირებოდა დიდი პირადი გამოცდილების გარეშე, რომლითაც გამსჭვალულია ეს ნაწარმოები. ფორმითა და შინაარსით ასეთ თვითმყოფ ქმნილებას უთუოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თაობათა ისტორიული მეხსიერების გამდიდრებას.

რომანი უკანასკნელი გვერდის დახურვით არ თავდება, ცხოვრება გრძელდება. ამბავი გრძელდება. ყველა სიუჟეტური ხაზი ღიაა. არ ვიცით რა მოჰყვება ყოველივე ამას. განმეორდება თუ არა ყურშასა და ამირანის მოტივი, მაგრამ ერთ რამეში კი ეჭვი აღარ გვეპარება, რომ მამუკა ტარსანიძისთანა პიროვნების გატეხა შეუძლებელია. მას პრინციპულად მოგებული აქვს ცხოვრებასთან მძიმე ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერი ალიმონაკი

# პოეზიის მაგნიტური არე

ლიტერატურულ შემოქმედებაზე მძლავრ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ საზოგადოებრივი პირობები, არამედ მთელი ერის სულიერი, ზნეობრივი და ენობრივი კულტურა. ოთარ ჭელიძის შემოქმედება ამ მონაცემებით არის შეპირობებული. იგი, დაბადებული და აღზრდილი საბჭოთა ეპოქაში, ერთგულად ემსახურება და უმღერის ჩვენი დროის მაღალ ჰუმანისტურ იდეალებს. ამიტომაც ამბობს თავის ერთ ლექსში: „სისხლში მაქვს დროის ყოველი მცირე ნაკვეთი“, „არ გამიშრია, არ გამიშვია გაუწირავად წუთი არც ერთი, უქმად სიზმარიც არ გამიშვია...“ („შენი თმის ბეწვზე“). ეს აზრი გამომხატველია პოეტის მოვალეობისა თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე; იგი გამსჭვალავს ოთარ ჭელიძის პიროვნულ და პოეტურ გზას. მისი პოეზიის მაგნიტურ არეში მოქცეულია ყველაფერი საუკეთესო, რაც თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ კულტურას განსაზღვრავს.

ოთარ ჭელიძე ეკუთვნის იმ თაობას, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ომის შემდგომ ხანაში. ეს იყო დრო, როცა ხალხი იშუშებდა ომით მიყენებულ ჭრილობებს და იწყებდა მშვიდობიან შრომას. მეცნიერების მთელ რიგ დარგებში ხდება რევოლუციური გადატრიალებანი, დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრებმა დასერეს კოსმოსური სამყარო, ადამიანმა ფეხი დაადგა მთვარეს, ალმავლობის სტადიაშია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია. გაიზარდა სამყაროს შემეცნების დიაპაზონი. ხოლო ამან გაართულა სინამდვილის განვითარების კანონების შეცნობა, უბიძგა მწერალს ძიებისაკენ — აღმოაჩინოს ახალი თვისებები და ფორმები ცხოვრებაში, დაადგინოს ყოველი მოვლენის კანონზომიერების განმსაზღვრელი განზომილებანი.

ამ რთულ პროცესს, რომელსაც დღეს უფრო მეტი სიმწვავე დაეტყო, მივყავართ ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი აღორძინებისაკენ. და ამ აღორძინებას ყოველი ნამდვილი მწერალი ამა თუ იმ დოზით, ამა თუ იმ ინდივიდური ფორმით ავლენს.

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ვიტყვი, რომ ოთარ ჭელიძის პოეტური სამყარო ქართული კლასიკური პოეზიის პირმშოა. საერთო პოეტური მოდუსით ის ტრადიციონალისტია, ამ ცნების კარგი გაგებით. ეს არ გამორიცხავს არც ფორმათა სიახლეს, არც ნოვატორობას. ამ შემთხვევაში ტრადიცია გაგებულია როგორც მკვებავი არტერია, როგორც გამანაყოფიერებელი თანამედროვე სულიერი მისწრაფებებისა („როგორც სინამდვილის უარყოფა, თავის მოტყუება უსასრულოდ, ასე მესახება უაზრობად ჩემი არსებობა უწარსულოდ“). ეს კიდევ დაადასტურა პოეტმა უკანასკნელი ხანის ლექსებით და პოემით „ჩემი მაგნიტური არე“. ოთარ ჭელიძის პოეზიას, ლირიკულობასთან ერთად, მოქალაქეობრივი რეზონანსიც აქვს. „მოქალაქეობრივში“ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მხატვრულობის თავისებურ ფორმას (კერძოდ, პუბლიცისტურობას), არამედ პოეტის შინაგან შეუბღალაობას, პიროვნულ მთლიანობას. კლასიკური მხატვრული სტილიდან პოეტს შეუთვისებია სტრიქონის სისადავე და სიმსუბუქე, ბუნებრიობა, აზრის სინათლე და გამჭვირვალობა, ხალხური პოეზიის ინტონაციის მისადაგება საკუთარ პოეტურ სმენასთან.

* * *

საზოგადოებრივი განვითარებისათვის ინტელექტუალურ ინდივიდთა ზნეობრივი ასპექტი

განმსაზღვრელი ფაქტორია. ზნეობრივ ასპექტს კი ადამიანი იმ პროფესიის საშუალებით ავლენს, რომელსაც ემსახურება. ლიტერატურა ზნეობრივი კატეგორიაცაა. იგი ერთი საუკეთესო ფორმათაგანია ადამიანის პიროვნულ მეს წარმოსაჩენად. ამიტომ არის ლიტერატურა საშუალება ადამიანის ზნეობრივ მიმართებათა გამოსავლენად. შემოქმედება მაქსიმალურად უნარჩუნებს ადამიანს პიროვნულ სიმრთელეს. ეს პიროვნული სიმრთელე ოთარ ჭელიძის პოეზიის მაორგანიზებელი საფუძველია. ჭეშმარიტი მოქალაქისათვის განუყოფელია პიროვნული და საზოგადოებრივი, ეთიკურ-ზნეობრივი ტენდენციები. ოთარ ჭელიძის შემოქმედება და პიროვნება განაპირობებენ, ავსებენ ერთიმეორეს. პოეტი მძაფრად განიცდის ადამიანში სულიერ ცვალებადობას, მის ყოველ მიმოქცევას, მერყეობას. ყველაზე საშიში სენი, რამაც შეიძლება შეარყიოს ადამიანის რწმენა, არის გულგრილობა, ინდიფერენტიზმი როგორც თანამოქალაქეებისადმი, ისე საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. ამ მოტივაციით არის განსაზღვრული „მეტამორფოზა“. რწმენადაცლილ ადამიანზე პოეტი ამბობს: „თვითონ სულშეცვლილი მკაცრად, ცივად ჩამკიოდა სულში, იყო გამოცლილი მსგავსად წამლის გამოცლილი შუშის“. მკითხველს სჯერა პოეტისა, რადგანაც გრძნობს მის გულწრფელ შეშფოთებას ამა თუ იმ ადამიანის გადაგვარების გამო.

ხელოვანი, რაც უნდა ეცადოს შენიღბვას, ქვეცნობიერად მაინც ავლენს მხოლოდ მისი ბუნებისათვის დამახასიათებელ სპეციფიურობას. ეს სპეციფიურობა განსაზღვრავს უმეტეს წილად მისივე შემოქმედების მხატვრულ და, რაც მთავარია, პიროვნულ ერთიანობას. ოთარ ჭელიძის ლექსების კითხვისას იგრძნობა ერთგვარი სიქველე და შინაგანი კეთილშობილება, კრძალვა და მოწიწება მკითხველისადმი. პოეტი თითქოს ფრთხილობს ხმამაღალი რეგისტრებით არ დაარღვიოს ის ინტიმი, რომელსაც ფაქიზად ატარებს სულში, არ გვაგრძნობინოს რაიმე სიტლანქე. იგი ამბობს: „სხვისი არაფერი არ მშურს, დიდი სითამამის გარდაო“ („ლია ჭრილობები“). და ეს მოკრძალება, განრიდება პოეტური და ცხოვრებისეული ეფექტებისაგან შეიგრძნობა ყოველ მის ლექსში, სულერთია რასაც უნდა ეძღვნებოდეს: სამშობლოს, პოეზიას, ბუნებას. ხაზგასასმელია, რომ ეს პოეტური მოკრძალება ვლინდება არა ზედაპირულ, ზერელე მედიტაციაში, არამედ ლექსის შინაგან ინტონაციაში, ტონებისა და ფერების ზომიერებაში, განცდისა და გრძნობების ესთეტიზმში. ეს არის ოთარ ჭელიძის პიროვნული ბუნების სპეციფიურობა.

ადამიანთა შორის ზნეობრივი დამოკიდებულება განსაზღვრავს მთელი ხალხის სულიერ არსს, მისი არსებობის ფორმას, ცხოვრების წესს. ამ ურთიერთობას ძალუძს მშვენიერების აღზევებაც, დაკნინებაც; ამის განმსაზღვრელია მორალური შეგნება, რწმენა, ინტელექტუალიზმი. აუცილებელია ადამიანმა საკუთარ სულში ჩაიხედოს, დათრგუნოს ცდუნებები და პირადი სურვილები საზოგადოებრივ ტენდენციებს შეუფარდოს. მხოლოდ ასე შეიძლება პირადულზე ამაღლება, დაძლევა ეგოცენტრიზმისა. ეს კი ჰუმანიზმის გარეშე წარმოუდგენელია, იმ ჰუმანიზმისა, რომელიც აქტიურობასაც შეიცავს და მიტევებასაც. შენდობა და სიკეთის მიზღვა არის ერთ-ერთი ფორმა ჰუმანიზმისა. ოთარ ჭელიძისათვის თვისებრივია ასეთი ჰუმანიზმი: „ზოგმა ნიღაბი ატარა დიდხანს, ბოლოს ჩამოიხსნა ზედმეტ ტვირთივით, და მაინც ყველა მათგანი მიყვარს, მათ უბედურებას ვხვდები ქვითინით... ზურგს უკან ვინმე, როგორც დამბაჩას, დამახლის გინებას, ისევ გამკილავს. ქვეყნად მოთმენის მეტი რა დამრჩა, წყენას მოვიშუშებ, ვით ძველ ნატყვიარს. დაე, გულშავი დარჩეს გულშავად, გულისკარები ღია მაქვს ყველასთვის, ოღონდ არ ვეგდო მარტო ბუსავით, ძარღვებში ძალ-ღონის გამოლევამდის“. ამაშია პოეტის მოქალაქეობრივი მორალი. აქ პიროვნების ამაღლებაცაა ნაგულისხმევი, რაც მთელი საზოგადოების ამაღლების პირობაცაა. ამავე მორალურ პლანშია გადაწყვეტილი ლექსები „ხმა“ და „განწმენდა“; მათი ესთეტური საყრდენი გარდაცვლილი მამის სახეა, მუდამ თან რომ დაჰყვება პოეტს, აწესრიგებს მის ყოველ ქცევას. კედელზე დაკიდებული მამისეული ქამარი, რელიკვიის ღირსებებით რომ აღჭურვილა, პოეტურ მეტაფორად აღიქმება, რომელიც მამის სახესაც მოიცავს, განივთებულ სინდისსაც, ხილულ თვითშემეცნებასაც. აბსტრაქტული ცნება გასხეულდა, მკითხველისათვისაც საცნაური გახდა.

ოთარ ჭელიძის ლექსები (ბალადები, ლირიკა) საზრდოობს სულიერი წიაღიდან მომდინარე განცდებით. მისი თანმხლებია პოეტური კრძალვა და შეკავებული სევდა, რაღაცნაირი ნაღვლიანი ინტონაცია. აშკარა კონფლიქტებს, ნაძალადევ დრამატიზებას ერიდება პოეტი. ეს მხატვრული პრინციპიცაა და პოეტურად ქვეცნობიერი ფაქტორიც, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ლექსებში: „გათენებულა“, „წერილი სარკმლიდან“, „ამბობენ“, „ახალმთვარული“, „ფოთოლცვენის ჟამი“, „მარტი“, „უჯრის წყვდიადი“. ზოგიერთი მხატვრული სახე თითქმის უცვლელი კონსტრუქციით გადადის ერთი ლექსიდან მეორეში: „ვწერ და ვერ ვგზავნი მოკითხვის წერილს და ქაღალდს ვკუმშავ თოვლისფერ გუნდად“ („გათენებულა“); „ვწერ და ვერ ვგზავნი მოკითხვის ბარათს, არ მახსოვს შენი შეცვლილი გვარი“ („წერილი სარკმლიდან“); „ვერც მე გესროლე წერილი გუნდად, ვერ მოგიტანა ბარათი ქარმა“ („ამბობენ“); „გი-

წერ და მტვრიან უჯრაში ვტოვებ, როგორც საფოსტო უჯრაში ბარათს“ („ახალმთვარული“); „ხან ვბეჭდავ ბარათს, უჯრაში ვკეტავ და მეშინია, არ გამიფრინდეს“ („უჯრის წყვდიადი“). ეს შემთხვევითობა არ არის; ლექსები ერთ პოეტურ რკალს განეკუთვნებიან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ერთდროულად შობილიყვნენ, ერთი განწყობილებით, ერთი შთაგონებითი გაელვებით. ქვივის ფარული სევდა, განუზიარებელი საფიქრალით გამოწვეული. და ეს საფიქრალი ისე ინტიმურია, პოეტი ეკრძალება მათ გამხელას, დაურვებული განცდებით აღძრულ ასოციაციებს გადმოგვცემს. ჯიქური სიმართლე, რომელმაც გამომზეურებით შეიძლება დაჰკარგოს სიწრფელე, გააყალბოს ჭეშმარიტი, აქ შეკავებულია. ლექსი დაცულია ემპირიული სინამდვილის შემოჭრისაგან. რეალობა იგულისხმება, ილექება, ფსკერზე რჩება. ვლინდება განცდილი, ის ფსიქოლოგიური შესატყვისობა, რომლის პოეტური ფიქსაცია რეალობამ განსაზღვრა. ეს მოასწავებს შინაგან სამყაროში დანთქმას, ახალ-ახალი პოეტური პლასტების აღმოჩენას.

ამ მხატვრული პრინციპით არის შესრულებული ოთარ ჭელიძის მრავალი ლექსი, მათ შორის „უცნობ ნავსადგურში“. რეალური პეიზაჟის ხილვით (ზღვა, ნავსადგური) პოეტი ასოციაციებით შედის წარსულის სამყაროში (ერთვის სეინერთა ბლავილს დაღლილ ბამბუკების მოთქმა, ხმაურს დააყუჩებს ღამით დროზე შენაცვლება დროთა“), წარსულისა, რომლის არსი ახლახან გამოიკვეთა, გამონათლდა. სწორედ ახლა, შთაგონების ჟამს გაცნაურდა წარსულის ბუნდოვანება, მისი ქაოსურობა. დროთა შენაცვლებები ხშირად გაკრთება ოთარ ჭელიძის პოეზიაში, ხშირად აღიძვრის გარდასულის მოგონებით გამოწვეული ტკივილი. ყველა ადამიანის ცხოვრებაში თავისებურ ადგილს იჭერს წარსული. მის პოეზიაშიც იგი არ განიცდება ხელოვნურად, მუდამ თან დაჰყვება პოეტს. საკმარისია შეეხოს მოვლენას, ოდნავ მაინც რომ უკავშირდება წარსულს, და უმალ ამოიკვეთება მის ცნობიერებაში წარსულის სურათები. ასეა „შარშანდელ წყალდიდობაშიც“. ბუნების სტიქიური მოვლენა — წყალდიდობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს პოეტზე, რადგანაც სიცოცხლის მოძრაობის ამ გრანდიოზულ სიდიადეს მეგობართან ერთად განიცდის. წარმავალია წყალდიდობა, წარმავალია გაზაფხულთან ერთად. დროის წარმავლობა უფრო საგრძნობი ხდება მეგობართან ყოფნისას, რადგანაც მასთან განშორებაც გარდუვალია. წყალდიდობა აღიქმება სიჭაბუკედ, რომლის დაბრუნებაც აღარ შეიძლება. წყალდიდობა კარგავს თავის რეალურ სახეს და პოეტურ სიმბოლოში გადადის, როგორც წარმავლობა, მოძრაობა, სიცოცხლე. ლექსი აგებულია კონტრასტულ პარალელიზმზე, როცა ერთმანეთს უპირისპირდება ბუნებისეული სურათი და ადამიანური არსებობის ფილოსოფიური აზრი. ამ დაპირისპირებით ცნაურდება ლექსის არსი: „თითქოს სიკვდილამდე სანატრელი სიზმარწარმოდგენა გათამაშდა და ჩვენ წყალდიდობა შარშანდელი დაგვრჩა სიჭაბუკის გადანაშთად“. ლექსი მიძღვნილია გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძისადმი.

ლექსში „8 სექტემბერი“ დრო წარმოდგენილია როგორც ულმობელი ფაქტორი წარსულთან განშორებისა. მოწყვეტილი ფოთოლი ასოციაცურად აღძრავს დროის, ცხოვრების წარმავლობის შეგრძნებას. ფოთოლი საკუთარ წლოვანებად წარმოუდგება, რომელსაც დაუნდობლად ემატება წლები: „ქარში რვიანების წერით წავა გაზაფხული თითქოს, და თვალს გავაყოლებ წყენით ოცდათვრამეტი წლის ხვითო. რაღაც უსიამო განცდა წუთით გამიჯდება სისხლში, მიპყრობს დამშვიდების ნაცვლად, ჩქარი დროისადმი შიში“. ხიდან დაცვენილი ფოთოლი ახალგაზრდობას ახსენებს პოეტს, ცდილობს მისწვდეს მას — ხელი წაავლოს მოფარფატე ფოთოლს, მაგრამ ყოველივე ამაოა: „მინდა გავეკიდო ფურცელს, მისკენ გამეშლება პეშვი და ფეხს გადავდგამ უცებ ოცდამეცხრამეტე წელში“. ეს მოტივი რეკვიემივით მეორდება ლექსში „უარყოფა“, მხოლოდ სხვაგვარი გააზრებით. ოთარ ჭელიძე არ განეკუთვნება მომავლისადმი უაზროდ ხელგაწვდილ პოეტებს, რომელთაც არც აწმყოსი სწამთ რაიმე; ის რეალურად შეიგრძნობს ადამიანურ ცხოვრებას. როცა მის ზოგიერთ ლექსს კითხულობთ, შეიძლება ბანალურიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მასში აღძრული პრობლემის თავისებური გადაწყვეტა ორიგინალურ სახეს აძლევს მათ. ასეა „უარყოფაშიც“. პოეტი მიელტვის წარსულს, ცდილობს მუდმივი კონტაქტი იქონიოს მასთან, რადგანაც წარსული ანთებული კელაპტარია აწმყოს, მომავლის გასანათებლად. წარსული (ანუ სიჭაბუკე) თვითმიზნურად არ არის შემოყვანილი (როგორც დროის პერსონიფიცირებული სახე), არამედ აუცილებელი კანონზომიერებაა, ანუ მომავლის განჭვრეტა ისტორიული წარსულის გათვალისწინებით. მისთვის მაგიური ძალის მქონეა სიჭაბუკე, რომელსაც ძალუძს ყოველგვარი საზღვრების გადალახვა, ადამიანი რომ უკვდავებას აზიაროს. სიჭაბუკე მარადი მშვენიერების სიმბოლოცაა. ამიტომ მთელი არსებით მოუხმობს პოეტს თანამდგომად და შემწედ მომავლისათვის ბრძოლაში. აქამდე თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად ვითარდება, არ სცილდება აზრის დოგმატურ მდინარებას; ლექსი რომ ასე დამთავრებულიყო, მივიღებდით რეალიზმისაგან დაცლილ ყალბ რომანტიკულობას; მაგრამ პოეტს შემეცნებული აქვს ყოფიერების დია-

ლექტიკური კანონები და ლექსსაც ორიგინალურად ამთავრებს. ამას გამოჰყავს მხატვრული ჩანაფიქრი ჩვეულებრივის სფეროდან: „მოდი!.. — სიჭაბუკეს გავძახოდი, და ის გამირბოდა სვედათარსულს, რადგან არაფერი გასაყოფი აღარ გვაერთებდა მე და წარსულს“.

თავისი რიტმულ-სტრუქტურული აგებულებითა და მხატვრული შინაარსით საინტერესოა „ძველი რეკვიემი“. აქაც წარსულის, სიჭაბუკის მწვავე განცდაა ლექსის მარეგულირებელი. ისევ მჟღავნდება პოეტის უნარი ჩვეულებრივი, სტერეოტიპული შეხედულება ახლებურად წარმოაჩინოს. ლექსში წარსული გააზრებულია არა როგორც შიშველი განცდა, არამედ როგორც აღმავალი მოძრაობა, იერარქიული განვითარება ადამიანური ყოფიერებისა. კაცობრიულ განვითარებაში „ცარიელი“ ადგილი არ რჩება, ერთ თაობას მეორე ცვლის. თუმცა ეს ცვლაც ტრაგიკულია თავისი არსით, ღრმა ტკივილების შემცველი. ამას ამძაფრებს რეფრენი: „ძველი რეკვიემი კვნესის, ნიშნად თაობათა შეცვლის“. რეფრენი სხვადასხვანაირად აღიქმება კონტექსტის შესაბამისად. მასწავლებლის სიკვდილთან ერთად პოეტი ეთხოვება სიჭაბუკეს („თითქოს მასწავლებლის ნაცვლად ყრმობას მივასვენებ ჩემსას“). ლექსის ქვეტექსტია: გარდასულის მწვავე განცდა უმრავლესობისათვის მიუწვდომელია, დროის მექანიკური ცვლაა, ინერტული განცდის წყაროა. მისი შეცნობა ერთეულებს ძალუძთ, ზეგარდმო ნიჭით მომადლებულებს: „და მეც ვუერთდები ყველას, მწარე სინანული, მკაწრავს, მთელი პროცესია თელავს ჩემი სიგარეტის ნამწვავს“. „გათელილი სიგარეტი“ ზუსტად მიგნებული მხატვრული სახეა, რომელიც პოეტის წმინდა, გამორჩეული გრძნობების უხეშ გათელვაზე მიგვანიშნებს.

ოთარ ჭელიძის ერთ პოეტურ თავისებურებას შევეხები; ეს არის ლტოლვა რაღაც შორეულისადმი, ფარულისადმი, მიუწვდომელისადმი. თითქოს არაკონკრეტულია წვდომის ობიექტი, აბსტრაქტულიც კი. თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას არა აქვს. პოეტი ისეთი სისადავითა და გზნებით გადმოგვცემს სულიერ მოძრაობას, რომ მკითხველს სჯერა მისი გულწრფელობისა. პოეტთან ერთად ეზიარებით რაღაც ჯერ უთქმელს, აქამდე განუცდელს. ალბათ დიდი, ძალიან დიდი ბედნიერებაა სხვაც აზიარო შენს იდეალებს, წარმოსახულ მშვენიერებას თუ მიგნებულ ჭეშმარიტებას, შენს სიხარულსა და მწუხარებას (შემოქმედებასაც ხომ ეს აქტი უდევს საფუძვლად!). ამას პოეტი აღწევს ძალდაუტანებლად, მკითხველთან უშუალო კონტაქტით. უკვე ითქვა, რომ ოთარ ჭელიძის მხატვრული პათოსი არ ექვემდებარება ღრმა კონფლიქტებს. არა იმიტომ, ეს უცხო იყოს მისთვის, ან არ იგულისხმებოდეს, არ ივარაუდებოდეს მის ქვეტექსტებში; პოეტი ცდილობს ლექსს დრამატიზებული ჰარმონიულობა მიანიჭოს, უმალ მშვენიერებას რომ განგაცდევინებთ, ვიდრე დაარღვიოს სამყაროსთან თქვენი ჰარმონიული დამოკიდებულება. არის პოეზია, რომელიც აღაგზნებს, აფორიაქებს, ღრმა ტრაგიზმით გამსჭვალავს ადამიანს. არის პოეზია, რომელიც გამშვიდებთ, რაღაცნაირ ღვთაებრივ განცდას გაზიარებთ. არჩევანი შეუძლებელია. ორივე პოეზია გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, თუმცა სამყაროს განსხვავებული პოეტური საშუალებებით განიხილავენ. განსხვავება მხატვრულ ხარისხში როდია, არამედ ამ ორგვაროვნების სპეციფიურობაში, მხატვრულ წარმოსახვაში. რაც ერთი პოეტისათვის თვისებრივია, ის უცხოა (ან მიუღებელია) მეორე პოეტისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მხატვრული ხარისხითაც განსხვავდებოდნენ. ეს თვისებრიობა მხოლოდ მათს შემოქმედებითს ინდივიდურობას განსაზღვრავს. ოთარ ჭელიძის პოეზიის ნაღვლიანი ინტონაცია მკითხველში შესაბამის გრძნობებს აღძრავს, მაგრამ ეს ნაღველი უმალ გვამშვიდებს, ვიდრე სულს გვიფორიაქებს, რადგან იგი პოეტური სილბილით არის გადმოცემული (საუბარია განცდისეულ სილბილეზე და არა ტექნიკაზე). ისე არ გავიგოთ, თითქოს ეს ლირიკა არ გვაღელვებდეს, არ იწვევდეს ჩვენს სულიერ აქტივობას. აქ სხვა მხატვრულ-ესთეტიკური სტილია განმსაზღვრელი. ტიუტჩევის პოეზია აღბეჭდილია ღრმა ფილოსოფიურობით, ყოფიერების ტრაგიკული, ზოგჯერ ჰამლეტური მედიტაციით, მაგრამ მკითხველში შეშფოთებასა და პესიმიზმს კი არ იწვევს, არამედ რაღაცნაირ ზენარულ სისადავესა და კოსმიურ სიმშვიდეს. მიჯნები ძნელი დასადგენია. ყოველ ეპოქას თავისი პოეტური ზეშთაგონება წარმართავს, მით უფრო — ყოველ ინდივიდ-პოეტს. თუ დავუშვებთ, რომ პოეზია (საერთოდ მხატვრული შემოქმედება) სუბიექტური ფორმაა ადამიანური ყოფიერების გამოვლენისა, მაშინ სულერთია რა საშუალებებით მივაღწევთ ამას. მთავარია პოეზიამ გვაგრძნობინოს თავისი ცხოველმყოფელობა. ოთარ ჭელიძეს მოძებნილი აქვს საკუთარი პოეტური მეტყველება, ინდივიდუალური პოეტური სტილი.

* * *

ოთარ ჭელიძეს მიღწევად უნდა ჩაეთვალოს ახალ გამომსახველ საშუალებათა და ფორმათა ძიება როგორც მხატვრულ სტილში, ისე ვერსიფიკაციაში. პოეტმა ყურადღება ლექსის ფორმაზე გაამახვილა, განსაკუთრებით რიტმზე, რადგანაც რიტმი ორგანულ კავშირშია ლექსის სტრუქტურასთან, ხშირად მისი განმსაზღვრელი ფაქტორიც. პოეტის ძიებას უნაყოფოდ არ

ჩაუვლია; ქართული ლექსი ორი ახალი რიტმული სახესხვაობით გაამდიდრა, რაც, თავისთავად, ახალი მეტრის დამკვიდრებას ნიშნავდა. ეს რიტმებია: „უჟმურ შემოდგომას დავესწარი, / წვიმდა უსიამოდ, განუწყვეტლად / და თან წინათგრძნობა აბეზარი / რაღაც მოულოდნელს მაუწყებდა“ („ჩემი მაგნიტური არე“); და: „ახლა ღრუბლებიდან არ ცრის, / მაგრამ შეწყვეტილი წვიმა / წუხელ გალუმპული ცაცხვის / სველი შტოებიდან ცვივა“ („შაურიანი წვიმა“). ამ რიტმული ხმოვანებით არის შესრულებული ოთარ ჭელიძის ლექსებისა და პოემების დიდი ნაწილი. არც ერთი რიტმი ისე ორგანული არ არის მისთვის, როგორც რვა და ათმარცვლიანი ტაეპებისაგან ნაწარმოები ეს რიტმული ოდენობები. აქვე შეიძლება წამოიჭრას აზრი რიტმული ერთფეროვნების შესახებ. რიტმი, ჩემი აზრით, ვერ ჩაითვლება ერთფეროვნების მიზეზად (ესეც რომ არ იყოს, ოთარ ჭელიძე რიტმულად მრავალფეროვანი პოეტია; ამაზე ქვემოთ). რიტმი რომ ერთფეროვნების მიზეზი არ არის, ამის კლასიკური ნიმუში ვაჟა-ფშაველას პოეზიაა. მისი პოემებისა და ლექსების უდიდესი ნაწილი რვამარცვლიანი ტაეპებით არის შესრულებული. სადაც ვაჟა ათ და თორმეტმარცვლიან ტაეპს მიმართავს, იქ მისი მხატვრული სიძლიერე შედარებით ნაკლებია. ოთარ ჭელიძეც მხატვრულ სისრულეს უფრო მისეულ რიტმით აღწევს. ზოგჯერ ვერსიფიკაციას ფორმალურ მხარედაც თვლიან, მაგრამ იგი ისეა შერწყმული ლექსის საერთო სტრუქტურასთან, შეუძლებელი ხდება მათი მეტაფიზიკური გათიშვა, ან ნაწილებად დაშლა (ამ ოპერაციის ჩატარება მხოლოდ პირობითადაა შესაძლებელი).

ზემოთ მოხმობილი სტროფები მეტრიკის თვალსაზრისით ტრადიციულია: რვა და ათმარცვლიანი ტაეპებისაგან შესდგება. ეს სალექსო საზომები თვისებრივია ქართული კლასიკური ლექსთწყობისათვის. პოეტის დამსახურება ის არის, რომ ამ ტრადიციულ საზომებს სრულიად ახალი რიტმული ერთეულები მოუძებნა. და ეს არ იყო იოლი. მთელი ქართული ვერსიფიკაციის გათვალისწინებასთან ერთად მოითხოვდა ფაქიზ პოეტურ და მუსიკალურ სმენასაც. მოცემულ საზომებში მუხლებისა და ტერფების, აგრეთვე ცეზურათა თავისებური განლაგებით მივიღეთ ახალი რიტმული ერთეულები; ოთარ ჭელიძემ თავისი ვერსიფიკაციული ძიებებით ხელი შეუწყო არა მხოლოდ ქართული ლექსის რიტმიკის გამრავალფეროვნებას, არამედ საკუთარი პოეტური სახის გამოკვეთასაც. მიგნებულმა რიტმებმა მაქსიმალურად გამოავლინა ოთარ ჭელიძის მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი მიმართებანი.

ოთარ ჭელიძის პოეტური მეტყველების უმთავრესი მაორგანიზებელი ფაქტორი რაკი რიტმია, პოეტი არც სხვა ხასიათის რიტმებს გაურბის. იზომეტრულ წყობასთან ერთად ჰეტერომეტრულ წყობასაც მიმართავს. ჰეტერომეტრიული ლექსთწყობის ნიმუშებია: „მუსიკალური ეტიუდი“, „ნინო ორბელიანის გასვენება“, „მოტაცება“, „ტვირთი“, „ვეფხის ბალადა“. იზომეტრული სალექსო წყობიდან პოეტი მიმართავს როგორც მისთვის ორგანულ რვა და ათმარცვლიან ტაეპებს, ისე ცხრა, თერთმეტ, თორმეტ, თოთხმეტ და თექვსმეტმარცვლიან ტაეპებს. განსხვავებულ რიტმულ წყობას შეიცავს „შენი თმის ბეწვზე“, „ნარდის თამაში სიკვდილთან“, „დეკემბრის ქარში“. ხოლო „აგვისტოს გროტესკები“ თავისი არამწყობრი რიტმიკის გამო ვერლიბრისაკენ არის გადახრილი, თუმცა იგი მაინც არ ტოვებს კლასიკური ლექსის საზღვრებს; დაცულია რითმაც. პოეტი ერთსა და იმავე ნაწარმოებში ხშირად მიმართავს სხვადასხვა რიტმულ მონაცვლეობას, ერთი რიტმული ერთეულიდან მეორეზე გადადის. ამ ხერხს უმთავრესად პოემებში მიმართავს. პოემაში — „ჩემი მაგნიტური არე“ ათმარცვლიან ტაეპებს რვამარცვლიანი ტაეპები ენაცვლება. მათთან შენაცვლებულია აგრეთვე ათ და რვამარცვლიან ტაეპთა ჰეტერომეტრული წყობაც. ეს პოემის რიტმულ აღნაგობას პოლიფონიურს ხდის, მკითხველსაც უკარგავს ერთფეროვნების შეგრძნებას.

ოთარ ჭელიძე ერთსა და იმავე მეტრულ საზომში ტერფთა და მახვილთა თავისებური განლაგებით სხვადასხვა რიტმულ ჟღერადობას ღებულობს, ათმარცვლიან სტრიქონში ორ რიტმულ სახესხვაობას გვაძლევს. ერთს ტრადიციულს, უკვე ცნობილს: „ერთი დღით თოვლის ძეგლი დამიდგით / ჩემი სამშობლოს დედაქალაქში, / მოვარდეს დილა ცეტი ამინდით, / გვიან მობეზრდეს ჩემთან თამაში“ („ერთდღიანი ძეგლი“); მეორეს — ახალს, მის მიერ შექმნილს: „ციდან მთაგრეხილის დანახვისას / გითქვამს, აწეწილი ლოგინია, / სადაც სულიერი გადახიზვნა / ჟამმა სიზმარეულ მოგივლინა“ („ბორის პასტერნაკს“). პირველი ლექსის ტაეპს ცეზურა ორ თანაბარ ნაწილად (მუხლად) ყოფს. როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მუხლი ერთი ქორეული და ერთი დაქტილური ტერფებისაგან შესდგება. სარითმო ერთეული დაქტილურია. მეორე ლექსის ტაეპს ორი მკრთალად გამოხატული ცეზურა სამ არათანაბარ ტერფად ყოფს. პირველი ტერფი ორმარცვლიანია, მეორე და მესამე — ოთხოთხ მარცვლიანი პეონები, რომელნიც ქორეების შენაერთებს, ანუ დიქორეებს წარმოადგენენ. სარითმო ერთეული ოთხმარცვლიანია და შეიძლება პირველ პეონადაც მივიჩნიოთ. ამ სტრუქტურული აღნაგობით მიანიჭა ტაეპს ორიგინალური რიტმული ხმოვანება. რვამარცვ-

ლიან ტაეპშიც ორ რიტმულ სახესხვაობას ქმნის. ერთს, ჩვეულებისამებრ, ტრადიციულს: „არის, ცოცხლობს ქარი ქუჩის — / ჩარბის, სადაც ნახავს ორმოს, / ნაგავს უვავილივით ფურჩქნის, / დათრთის, მოთქვამს, დამათხოვრობს“ („ქარლმერთი“). მეორეს — საკუთარს, ახალს: „და ღრმად გაჭრილია, ალბათ, / მწვანე დედამიწის ბურთი, / სადაც ვიძირებით სწრაფად, როგორც ჟამთასვლაში — წუთი“ („ძველი რეკვიემი“). პირველი ლექსის ტაეპს ცეზურა ორ თანაბარ მუხლად ყოფს. ისინი ქორეული ტერფებისაგან შესდგებიან. სარითმო ერთეული თითქმის მთელ მარჯვენა მუხლს მოიცავს. მეორე ლექსის ტაეპს ორი მკრთალად გამოხატული ცეზურა სამ ტერფად ყოფს. პირველი ტერფი ქორეულია, მეორე და მესამე — დაქტილური. სარითმო ერთეული ქორეულია. ამ სტრუქტურული აღნაგობით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, და ეს ქმნის ამ უკანასკნელი რიტმის სახესხვაობას. ცეზურათა და ტერფთა ასეთივე სპეციფიური განლაგებით აღწევს პოეტი რიტმულ სხვადასხვაობას თერთმეტ, თორმეტ, თოთხმეტ და თექვსმეტმარცვლიან ლექსებში. ნიმუშად მოვიყვან ორ-ორ ტაეპს. თერთმეტმარცვლიანი: ა) „გამომიყვანეს სახლიდან საკაცით, / ქსენონისაკენ წამიღეს ბარბაცით“ („თეთრი კედლების სიჩუმეში“); ბ) „არა თოვს, არა წვიმს, არა ქრის ქარი, ჩქამიც კი არ ისმის არავითარი“ („მერცხლები“). თორმეტმარცვლიანი: ა) „მებადურის ქოხში ვცხოვრობ რახანია, / მასპინძელი ქართველია, პურადია“ („ზვიადი მეზობელი“); ბ) „ღამით გათანგული და გაბრუებული / გამოვალ უქუდო, ფაფარგაჩეჩილი“ („ხელახლა შეხვედრის განსაცდელი“). თოთხმეტმარცვლიანი: ა) „აღარ ეგონა, თუ გასძლებდა ამ საღამომდის, / ოხერი სული სასულედან აღარ ამოსდის“ („ყორანი“); ბ) „აკვამლებულ სამჭედლოში გამჭვალავი ქარი / უერთგულეს შეგირდივით გილვივებდა ნახშირს“ („მჭედლის სიკვდილი“). თექვსმეტმარცვლიანი: ა) „ჭექდა და ქუხდა ქართველთა სამეფო სახელგანთქმული, / მტრები საკუთარ ჩრდილებად მიწაზე ჰყავდა გართხმული“ („თამარ მეფის საფლავი“); ბ) „უჟმურ სიზმარს მომაგონებს წყალი, როცა ხევში ღელავს, / ყრუ გრუხუნით მოაგორებს ზვირთი ლოდებს მთების ხელას“ („ხვამლის საიდუმლო“). ოთარ ჭელიძის პოეტური მეტყველების რიტმულ ორგანიზაციას ასე დაწვრილებით იმიტომ შევეხე, რომ დაგვედასტურებინა მისი რიტმული მრავალფეროვნება და რიტმის როლი მის პოეტურ აზროვნებაში.

ოთარ ჭელიძე არ არის გატაცებული სტრიქონის გარეგნული, თვითმიზნური მუსიკალობით, ხელოვნური ალიტერაციითა და ასონანსებით. მისი ევფონიისათვის ალიტერაცია არ არის დამახასიათებელი, მთელი ყურადღება გადატანილია რიტმზე და რითმაზე. ეს ანიჭებს მის ლექსს თავისებურ, უფრო „მჟარ“ კეთილხმოვანებას; მისი რითმა ასრულებს არა მხოლოდ ესთეტიკურ ფუნქციას, რიტმის მაორგანიზებელიცაა და ინტონაციის აღმნიშვნელიც. ამის გამო რითმული ერთეული სტრიქონის დანამატად როდი გამოიყურება, რიტმული მონაკვეთის (სტრიქონის) ორგანული შემადგენელია. ოთარ ჭელიძის მხატვრულ პალიტრაში ყველაზე მკვეთრად მაინც რიტმია გამოვლენილი. რიტმი წარმოგვიდგება არა როგორც მხოლოდ ევფონიის განმაპირობებელი, არამედ როგორც პოეტური შემეცნების წყაროც. რიტმი შინაგანად პირობადებულია მხატვრული აზრით. მათი ერთიანობა, მათი შესატყვისობა პოეტს აძლევს საშუალებას მაქსიმალურად წარმოაჩინოს ცნობიერებაში მხატვრულად წარმოსახული პოეტური სამყარო.

ოთარ ჭელიძის ლექსებში ვერ ნახავთ ყალბ, ზერელე ტონებს. ყველაფერი ინტროსპექტული ცხოვრების რეალიზაციაა. მისთვის უცხოა წამიერ გრძნობათა პოეტური ფიქსაცია, ლექსის ყოველწუთიერი გრძნობებით გადატვირთვა. ლექსის არსში შეღწევისას გრძნობთ, რომ გამოტანჯულია, მარწუხებისაგან თავდაღწეული თავისუფლებაა. ხანგრძლივია მისი ლექსის ზემოქმედება. ლექსი, რომელიც უცებ მოახდენს ეფექტს, უმალვე ქრება მისით მოგვრილი შთაბეჭდილება. ხოლო ლექსი, რომლის არსშიც თანდათან შედიხართ, რომელიც ხშირად გაკითხებთ თავს და სწავლობთ, რომლის სიღრმესაც ნელ-ნელა ვწვდებით, ასაზრდოებს თქვენს სულს. ასეთი პოეზია გამძლეა. ოთარ ჭელიძის შემოქმედება აღჭურვილია ამ თვისებებით.

ოთარ ჭელიძის ლექსების ტონი გამძაფრებული დრამატიზმით არის ახმოვანებული. არც მელანქოლურია, არც ელეგიური. გრძნობის მომჭირნეობა და რაციონალიზმი მკაცრ სიტყვიერ ზღუდეებში აქცევს პოეტურ გარსს. ერთმანეთს ენაცვლება, ხოლო ხშირად ერწყმის კიდეც გონებრივი და სულიერი შთაგონება. ეს კი გამორიცხავს ასახული თუ წარმოსახული ობიექტისა და გრძნობის შეუსაბამობას. პოეტურ ირაციონალიზმს ინტელექტით განსაზღვრული რაციონალიზმი ერწყმის, რაც თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი აუცილებელი თვისებაა. პოეტის ინდივიდუალური სტილი თანამედროვე მოთხოვნებს შეეფარდა. ლექსის პოეტიკა მკაცრად განისაზღვრა; არავითარი ზედმეტობა, ზომიერებას მოკლებული ეგზალტაცია.

ოთარ ჭელიძის მხატვრული სახეები არ არიან ფერწერულნი. მათთვის არ არის დამახასიათებელი სამყაროს ვიზუალური ახსნა. უფრო სმენითია, პოეტის ასოციაციებიც სმენითი ვიბრაციით არის განსაზღვრული. ამ მხატვრული სახეების თავისებურებაა პოეტური აზრის, ემოციის გამძლეობა, წუთიერი ემოცია გამო-

რიცხულია. მათ თანმხლებია ფსიქოლოგიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ღრმად შთავწვდეთ პოეტის სულიერ სამყაროს. ისინი უცებ არ აღიქმება; მათ შესაცნობად „ახლოით განჩხრეკაა" საჭირო. მათში გადაწნულია ესთეტიკური და შემეცნებითი მხარეები. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ოთარ ჭელიძის პოეტური ასოციაციების როლს შთაგონების აქტივობის პროცესში. ეს ასოციაციები პირდაპირ არ ჩანს, იგულისხმება, მკითხველის პოეტური გუმანი გრძნობს. ისინი ორგანულ კონტაქტს ამყარებენ ინტუიციურ პერსპექტივასთან. ამის გამო ლექსში წარმოდგენილი სინამდვილე მხოლოდ გარეგნული ნიშნებით კი არ ისაზღვრება, შინაგანი მზერითაც არის განათლული. თუმცა ეს ინტუიცია ინტელექტუალური პრიზმით ასხივებს. ოთარ ჭელიძეს აქვს ლექსები, რომელთა მხატვრული და აზრობრივი ინტერპრეტაცია ერთმნიშვნელოვანია. ისინი პირდაპირი ასახვაა გარე სამყაროსი თუ პოეტის ფსიქოლოგიური ცხოვრებისა, და ისეთ ზემოქმედებას ვერ ახდენენ, როგორსაც მრავალმნიშვნელოვანი ლექსები. უფრო ჰერმეტულნიც არიან და ღრმა შინაგანი ძალით წარმოსახულნიც. პოეტური ინტერპრეტაციის უნარიც მეტი აქვთ. ეს კი მათი მხატვრული სრულყოფილების ნიშანია.

• • •

ოთარ ჭელიძე საოცარი მოკრძალებით გარდასახავს პოეზიად სამშობლოსადმი თავის დამოკიდებულებას. მის ლექსებში ვერ შეხვდებით ვერცერთ ყალბ ნოტას, ვერცერთ უხერხულ გამოთქმას, რომელიც, ასე თუ ისე, ჩრდილს მიაყენებდა, ფამილარულს გახდიდა ამ გრძნობას. ოთარ ჭელიძეს საერთოდ არ ჩვევია ორატორულ-დეკლამაციური რეგისტრები, მით უფრო, როცა ლექსი მამულს ეძღვნება („მიძღვნილს" პირობითად ვამბობ; პოეტი არასოდეს პირდაპირ არ მიმართავს საქართველოს: ცდილობს სულ სხვა მიმართებებითა და ალქმებით შეგვიყვანოს მის სამყაროში, მისი ჭეშმარიტი არსებობა განგვაცდევინოს). ეს ლექსები გამოირჩევიან სისადავითა და ზომიერებით. ამის გამო, შეიძლება, უემოციოც კი ეჩვენოს მკითხველს. აღსარება საკუთარ თავთან მიდის, სულის სიღრმეში. ყველაზე ხმამაღალი სიტყვაა: „საბედისწერო სიმღერით დამწვარს ამცდება დალევრა ცრემლის მალულის, რადგან არც მინდა, არც მიყვარს, არც მწამს სხვა წმინდა, გარდა ჩემი მამულის" („რიბირაბო"). მთელი ლექსი არაპირდაპირი სურათია სამშობლოს განხატებისა. ადამიანის არსებობის, ყოფიერების ფილოსოფიური გააზრება შენივთებულია მამულის არსისეულ წარმოსახვასთან. ლექსი შესრულებულია შერეული რიტმულ-მეტრული ვარიაციებით. პირველი სტროფი თექვსმეტმარცვლოვანია, მეორე — ათმარცვლოვანი. მათი მონაცვლეობა გასდევს ბოლომდე ლექსს. ეს ორიგინალური წყობა რიტმულად ამრავალფეროვნებს ლექსს.

ყოველ საგანსა თუ მოვლენაში, რომელსაც ძალუძს ცხადად დაგანახოს მამული, მშობლიური ხალხის ბედი, მისი ცხოვრება, პოეტი ამყარებს ინტიმს, ჭვრეტს მის არსს, მის განმსაზღვრელობას. ლექსში „ბერიკაცები" რაჭველების უბედო, ტრაგიკული ცხოვრებაა ასახული. რა აიძულებდათ ამ პატიოსან, მშრომელ ხალხს დაეტოვებინათ სამშობლო, ოჯახი, შვილები და ზღაპრის გმირებივით დედამიწის თითქმის ყოველ კუთხეს მოსდებოდნენ ბედის საძიებლად. მხოლოდ ცხოვრების მიმწუხრზე უბრუნდებოდნენ გაციებულ კერას, ქანცმილეულნი და გამოფიტულნი, ლატაკადქმნილნი და ძვალთაგან განლეულნი. სამშობლოს ისტორიული ავბედითობა იყო ამის მიზეზი და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს რაფიელ ერისთავის სტრიქონები: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა". ეს მოტივი განსაზღვრავს ლექსის ზოგად ქვეტექსტს: „გარდა ჭლექისა, გარდა ციების, გარდა ცეცხლისა, გულს რომ ეკიდა, გარდა ცემისა და დამცირების, რა წამოიღეთ უცხოეთიდან?... — სანამ ჩონჩხები აქ დაგვრჩებაო, მჭადი გვერჩიოს კვლავ ჩვენებური! — თქვით და წამოდით. დაგხვდათ ჭრებალო — თქვენი დანახვით აცრემლებული".

ზემოთ ითქვა ოთარ ჭელიძის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე „ძველებისადმი". ეს არ არის წარსულის, ან წინაპრების იდეალიზაცია, მათი ცრუგანდიდება. აშკარად იგრძნობა პოეტის სულიერი სიახლოვე მათთან. ბევრი ლექსი წამიკითხავს ილიასადმი მიძღვნილი. ლექსში „კრწანისზე მწარე წიწამურია" მხატვრულად ორიგინალურად არის გააზრებული და სახეცვლილი ილიას მკვლელობის ტრაგიკული აქტი. ამ აქტთან შეპირისპირებულია კრწანისის ტრაგიკული ისტორია. ლექსის პოეტური საფუძველია: „პოეტის სვეტთან დავდგეთ მცველებად, ლექსების წყარო ვისაც გვწყურია, სამშობლოსათვის გასახსენებლად კრწანისზე მწარე წიწამურია". ლექსი მოულოდნელობით განაწყობს მკითხველს, მსჭვალავს ისევე იოცნებოს ილიას გადარჩენაზე (ცხადად თუ სიზმრად), როგორც პოეტს უოცნებია. ლექსი გამაფრთხილებლადაც ჟღერს: მოვალენი ვართ დავძაბოთ მთელი ჩვენი ეთიკურ-მორალური ენერგია და გავუფრთხილდეთ იმ საუნჯეს, ერის სულიერ კულტურას რომ წარყვნისაგან განარიდებს.

საქართველოს ისტორია მხოლოდ მეფეთა ისტორია როდია. ბაგრატოვანთა ხან მძლე და

ზანაც უმწეო მახვილის გვერდით მრავალი უსახელო რაინდის მახვილიც ტრიალებდა. არც სვეტიცხოველი და ალავერდი აღშენებულა მათ გარეშე, არც დიდგორის ბრძოლა გადაუხდიათ. ისინი ის უჩინარი კირითხუროები იყვნენ (და არიან), რომელთა დუღაბის გარეშეც წარმოუდგენელია ეროვნული სიმტკიცე და სიძლიერე; ისევე უჩინოდ გადაეგნენ, როგორადაც იდუმლად აფრქვევდნენ სიკეთეს. პოეტისათვის ძვირფასია და მახლობელი მათი სახელები. ამ ადამიანებმაც ისეთივე როლი შეასრულეს ერის ისტორიაში, როგორიც სახელოვანმა ადამიანებმა. პრინციპი ერთია, მასშტაბებია სხვადასხვა. პოეტი ამბობს: „ვინ დაითვალოს, მეციხოვნეთა რაზმში ქიტესა იყო რამდენი, — არ დამარხულან სვეტიცხოველთან, თითოს ეღირსა თითო სანთელი... ზოგს ქუხილივით გადაუვლია, ზოგი ჩუქურთმის ჭრაში გათავდა, ზოგი სპარსეთში დაკარგულია, ზოგის სამარხი არის მარაბდა“. ამ უპრეტენზიო ხალხს, რომლებიც ყოველ ეპოქას ამშვენებენ, ხმამაღლა არასოდეს დასცდენიათ სამშობლოს სადიდებელი, გულში ინახავდნენ, რომ არ შერყვნილიყო, „მსახვრალი ხელი“ არ შეხებოდა. მათ არც „გადიდკაცება უნატრიათ“ ოდესმე: „არც სახელისთვის, არც დიდებისთვის არა სჩვეოდათ ხმის დაბოხება, მათი აწმყო და მათი მერმისი იყო მიზანში მტრის ამოღება“.

როგორც ითქვა, ოთარ ჭელიძის სტილისათვის უცხოა სამშობლოს სადიდებელი რიტორიულობა, ხოტბის აღვლენა, რაიც მანერიზმისა და ნაძალადეობის შედეგია ხშირად. პოეტი არ აუბრალოებს ამ ცნებას, გაშუალებული მხატვრული საშუალებებით გვაზიარებს მას. ასე წარმოგვიდგება ლექსი „წერილი შვილს პიონერთა ბანაკში“. ყოფითი გარემოდან და მიმართებებიდან პოეტს მოულოდნელად გადავყავართ უფრო ამაღლებულში. შვილში განივთებულია და კონცენტრირებული პოეტის იდეალი — სამშობლოს უკეთესი მერმისი. ლექსის ექსპოზიცია ჩვეულებრივ მამაშვილურ ურთიერთობას გვიხატავს, მაგრამ ნელ-ნელა, გრადაციულად მაღლდება პოეტის სულიერი საწყაო და შესაბამისად იზრდება ყოფითი აქსესუარების ხარისხიც; ლექსის აპოთეოზი ასეთია: „მომეც პატაკი, როგორ გასცურე მოდიდებული წყალი მხარულით. უკანასკნელად მინდა დავრწმუნდე, რომ ხარ მშვენება ჩემი მამულის და ჩემზე კარგად რომ შეგძლებია ქვეყნის შენება და სიყვარული“.

„ზვიად მეზობელში“ გადმოცემულია პოეტის სულიერი ნათესაობა ზღვის სტიქიონთან: „ზღვაა ჩემი მეზობელი, ზღვა ზვიადი, ზღვასთან ვიგრძენ მეგობრული სიახლოვე, რადგან მისი დამყოლია ხასიათი, უეცარი აღელვება ვიცი ხოლმე“. მაგრამ ზღვას ამ შემთხვევაში მხატვრული სახის მოვალეობა აკისრია და სიმბოლურ ხაზებში ისტორიულ ასოციაციებს აღვიქვამთ. ზღვა ის მასტიმულირებელი ფაქტორია, გარდასულისადმი ქედმოდრეკას და პატივისცემას რომ აღძრავს. მაგრამ ზღვა სიცოცხლეცაა, მოქმედებისა და მარადი მოძრაობის ყოვლადმიზეზი. იგი გარდასახულია როგორც სამშობლოს უკვდავების, მისი სულიერი ხმევისა და თავისუფლების სიმბოლო: „დიდო ზღვაო, საქართველოს მკვიდრო ძმაო, ყური მიგდე, რადგან შენთან დავიბადე. თუ დავეცი, მინდა კიდევ ვიბორძალო შენს ზვირთებში ნაპირიდან ნაპირამდე“.

ოთარ ჭელიძეს აქვს ლექსები, სადაც უშუალო პოეტურ კონტაქტს ამყარებს წარსულთან, მაგრამ ეს წარსული დღესაც არსებობს, მხოლოდ ფერცვლილი. კითხულობთ „კუმურდოს ტაძარს“ და გრძნობთ, რა ღრმა კვალი დაუჩნევია პოეტის სულზე ჩამოქცეული წარსულის ხილვას. ეს ჩამოქცეული წარსული კუმურდოს ტაძარია, დრო-ჟამისაგან შერყვნილი და განძარცული. მაგრამ იმასაც გრძნობთ, რომ მხოლოდ დროის ხანგრძლიობას არ უქცევია ნანგრევებად. თქვენს ცნობიერებაში უმალვე გაიელვებს ერის ისტორიული ტრაგიზმის ამსახველი სურათები; თითქოს პოეტისაგან ითხოვს შველას ტაძრის სიმბოლური ხატი. წარსული აწმყოშია პროეცირებული („პორტალი მანიშნებს დიდებული: მომხედე, მიშველე, მომიარე“). დანგრეული ტაძრის ხილვა პოეტში მწუხარებასთან ერთად მშვენიერების, მარადისობის, სილამაზის უკვდავების გრძნობასაც აღძრავს. სწორედ ამიტომ არის ლექსი განრიდებული წარსულის ჩვეულებრივ გააზრებას და განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგება. „დაქცეული სიცოცხლე“ ის კონტრასტული მხატვრული სახეა, რომელიც გადასასვლელი ხიდია გაპარტახებიდან უკვდავებამდე. ტაძრის ნანგრევები აღიქმება მშვენიერების სიმბოლოდ: „უდაბურ ზეგანზე ბანაკდება უთალო, უმრავლო ნატაძრალი, დაქცეულ სიცოცხლის ქანდაკებად მაინც დგას ქვითკირის პატარძალი“. აქ გამოვლენილია ჭეშმარიტი ხელოვნების შებმა დროსთან, რომელიც ორმაგ მიმართებაშია ხელოვნების ქმნილებასთან, დამთრგუნველიცაა და აღმამაღლებელიც. ამ შემთხვევაში დროსთან მოგებულია ბრძოლა („კუმურდოს აროდეს შეუძლია დაკარგვა ყოფილი ბრწყინვალების“); და დანგრეული ტაძარი გაიაზრება იმ ხელოვნების სიმბოლოდ, რომელიც მარადი მშვენიერების მაუწყებელია: „ჟამთასვლა მოკვდავებს უმკლავდება, ტაძარი ვერასგზით წაუშლია, რამეთუ კუმურდოს უკვდავება გასცლია და უკვე წარსულშია“.

ზუსტი მხატვრული ასოციაციებით იგება პოეტური სახეები ლექსში „ტაძარი მტკვარში“. მისი ზოგადი აღნაგობა სიმბოლურია; სიმბოლურია სათაურიც. პოეტი სვეტიცხოველის ტა-

ძარს რეალურ ხაზებში და ფერებში კი არ უმზერს, მტკვარში მის ანარეკლს წარმოისახავს (თავისი სპეციფიკით საგნის ასეთი ხილვა სიზმრისეულსაც ემსგავსება). საგნისადმი ასეთი პოეტური დამოკიდებულება მხოლოდ ესთეტიკურ მხარეს როდი ავლენს. მდინარეში ჩაძირული ტაძარი მხატვრული სახეა, რომელიც პოეტის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს ხელშესახებად შეგვაგრძნობინებს, გამოხატავს სინამდვილის მძაფრ, რეალურ განცდას: „წყალში იძირება თითქოს, ხელებს მოსახვევად მიშვერს, ჩემგან შეუძლებელს ითხოვს, სხეულს ამზეურებს შიშველს“. წყალში არეკლილი ტაძარი, რომელიც აჩრდილის გარეგნული სიმბოლოა (აჩრდილისა, რომელიც რეალური საგნის ანარეკლი კი არ არის, არამედ საგნის დაშლის მერე რომ რჩება), ზარებს რეკს, სიზმრისეულ ზარებს, ანუ წარსულის ზარებს, რომელთა ხმაც შინაგანად ესმის პოეტს: „და შიგ ანარეკლად ელავს და რეკს სიზმარეულ ზარებს. ეგებ გევედრება შველას? ეგებ გვენაზება მგზავრებს? ეგებ გვეგებება ყალბად? არა, დავუჯეროთ დღეგრძელს... ჩვენში — ქართველებში, ალბათ, ახალ არსაკიძეს ეძებს“. პოეტური გრადაცია დაბლდება და მხატვრული ჩანაფიქრიც გამოკვეთილ სახეს ღებულობს: „ალბათ ახლომახლო, სადღაც მოჩანს დიდოსტატის კვალი, რადგან უკვდავების ფასად აღარ იკვეთება მკლავი“.

* * *

ოთარ ჭელიძე ერთ თავის ლექსში ამბობს: „რაც დამწველია და უმძიმესია, უსპეტაკესი და უწმინდესია, გამჭვირვალეა და ურთულესია, ყოვლის ჩამტევი ქართული ლექსია“. მისი პოეზიის გაცნობისას თქვენ მართლაც განიცდით ამ უზესთაესი გრძნობის განდიდებას, მის თავისებურ პოეტურ ინტერპრეტაციას. მისი შთაგონების წყაროდ მრავალგზის იქცევა თავად შემოქმედება, პოეზია, მშვენიერება. ზოგიერთ შემთხვევაში იგი კიდეც განსაზღვრავს ოთარ ჭელიძის შემოქმედებითს პრინციპებს. შემოქმედებასთან ზიარება და ამ ზიარებით აღძრული მტანჯველი სიხარული გამსჭვალავს მის მრავალ ლექსს. შემოქმედება ზებუნებრივ ძალად განიცდება, ისეთ ზემოქმედებად, რომელსაც ძალუძს ცივადქმნილი და ცივადმეტყველი საგნებიც კი აღანთოს, აამეტყველოს: „შენზე დაფიქრება წამით როცა ოკეანედ მაქცევს, ვშფოთავ ცხრაბალიან ძალით, ვამსხვრევ წარმოდგენილ ანძებს“ — ამბობს პოეტი. და სწორედ ეს არის ის ძალა, წამით რომ ამარცხებს ყოველგვარ ადამიანურ ცდუნებებს და გვაზიარებს მშვენიერებას, ჭეშმარიტებას, თავისუფლებას („ეგებ სასწაულად ნახო, რაც ვერ შეიგრძენი გუშინ“). პოეტისათვის ტრაგიკული აქტია შემოქმედება, რადგანაც იგი არ მიიღწევა ტანჯვის გარეშე; პოეზიაც ისეთივე ამამაღლებელი ძალმოსილებაა, როგორც მამული. პოეზიამ დაანახა ამქვეყნიური სიმშვენიერე, შეაყვარა სამშობლო, თანაგანაცდევინა მისი სიხარულიცა და მწუხარებაც, დიდგორიცა და კრწანისიც, შეაგრძნობინა მისი ბუნება („თეთრი კედლების სიჩუმეში“). ეს ორი განზომილება ავსებს ერთმანეთს და ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება. ამიტომაც არის, რომ პოეტისათვის შემოქმედება მხოლოდ ესთეტიკური ტკბობა როდია, „მესიის“, „მხსნელის“ როლიც ენიჭება ერის ცხოვრებაში. ეს ასეც იყო ქართველი ერის ისტორიაში. სანიმუშოდ გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ იკმარებს. ერის სულიერ სიწმინდესა და მთლიანობას საუკუნეთა განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი“ ინარჩუნებდა, იგი აღამაღლებდა და განამტკიცებდა ერის ზეობას, ვითარცა ღვთაებრივი საგალობელი. ეს არის ქართველი ხალხის ბედი თუ ბედისწერა. და ამ ბედსა თუ ბედისწერაში უბედურებაც იყო და ბედნიერებაც. პოეზია ეროვნული სულის აღზევების სიმბოლოდ განიხილება ლექსში „ლომები, პოეზია და საქართველო“. მხატვრული სახე — „გადარჩენილი ლომები“ საქართველოდ და პოეზიად აღიქმება: „ბევრჯერ უბედობა გადაევლო, ოხვრა აღავლინა ხმამაღალი, მაინც ზვიადია საქართველო, როგორც სახელმწიფო ხალხმრავალი. მისთვის მეცხადება საოცრებად ჩემი სამშობლო და პოეზია, ცისფერ ეკრანიდან გადმოცემა როცა გადარჩენილ ლომებზეა“.

პოეზია უმაღლესი გამოხატულებაა ადამიანის გრძნობებისა, მისი ცნობიერებისა. ბედნიერია კაცი, რომელსაც პოეტურად ცხოვრების უნარი შესწევს; პოეტურად აღიქვას სამყარო, პოეტური მზერით შეაღწიოს მოვლენათა არსში, გაილამაზოს, აღიმაღლოს ცხოვრება, რათა ის ერთი წამი, განგებამ რომ უწყალობა, აზრიანი, სხივმოსილი გახადოს. იქნებ ამაში ტანჯვაც იყოს, მაგრამ ეს ტანჯვა ბედნიერების მომნიჭებელიცაა. არის მეორე ცხოვრება, რომელიც თავისი ფორმითა თუ შინაგანი არსით უპირისპირდება პოეტურს. ეს ჭიდილი ამ ორ დასაბამს შორის უძველესია და, ალბათ მარადიულიც. ეს ორი დასაბამი უპირისპირდება ერთმანეთს კონტრასტული მხატვრული სახეებით „შაურიან წვიმაში“. წვიმის წვეთები ის მეტაფორაა, რომელიც პოეზიას, მშვენიერებას განასახიერებს. ის ცითმოვლენილი ელექსირია სიცოცხლისა. ამ განცდით შეპყრობილ პოეტს, რომელსაც წვეთებისაკენ თვალდახუჭულს გაუწვდია ხელი (პოეზიის ესთეტიკური განცდა), ვიღაც გამვლელი შაურიანს უგდებს ხელში. დაირღვა ჰარმონიული წონასწორობა; შაურიანმა, რომელიც პოეზიის საპირისპირო ცნებათა შემცველია, მეშჩანიზმისა და ობივატელიზმის სიმბოლოა, წაშალა სამყაროსთან პოეტური დამოკიდებულების აქტი. იგი დაუპირისპირდა

ცხოვრების ჭეშმარიტ საზრისს. აქაც მოულოდნელი, რეალისტური დასასრული მხატვრული აზრისა: „ხეზე მოდარაჯე ელდა უცებ ააფეთქებს კვირტებს, ვიღაც მოქალაქე დგება, ხელში შაურიანს მიგდებს. თითქოს გადმომასხეს წყალი, თვალი გავახილე მაშინ... ასე იაფია წამით თავის დავიწყება ხალხში?“

„მისტერია“ განსხვავებული ლექსია თავისი შინაგანი არსით და პოეტური ხილვებით. ლექსის შინაგანი ვიზიონები წარმოგვიჩენენ ხელოვანის ურთულეს ცხოვრებას. ლექსი თანაგანცდას კიდევ იმით იმსახურებს, რომ აღწერით მეთოდს აცილებულია, მთლიანად შინაგანი ასოციაციებით არის წარმოსახული. პოეტი ღრმად არის დანთქმული საკუთარ სულიერ სამყაროში, ეძიებს ახალ-ახალ მხატვრულ პლასტებს (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც). ეს უბიძგებს უფრო ღრმად მოიხილოს ხელოვანის შიგაწიალი („დიდი სატკივარით ვიგვალები და ჩემს გაოგნებულ არსებაში დენთად გროვდებიან გრიგალები, როგორც დასანგრეველ არსენალში. მჯერა — გარღუვალი აფეთქების გზა და მისამართი ჩემშივეა, მაგრამ დამუხტული საფეთქლების უცბად დაქუხების მეშინია“). ეს ქმნის პირობებს არა მხოლოდ შედეგის გამოხმობისა სამზეოზე, არამედ თვით შემოქმედებითი აქტისა. პოეტი ამაღლებულად გრძნობს თავს: „მე სხვა მანუგეშებს სასწაული და ის თვალუწვდენი სიღრმეები, სადაც უძლურთათვის აკრძალული ჟღერენ წარმართული სიმღერები, სადაც წაშლილია წვრილმანები ძალით ბობოქარი სიდიადის და გზა ასპიროზის ბრწყინვალებით მიდის სიცოცხლიდან სიკვდილამდის“. ეს განცდა, ღვთაებრივი და უკვდავი, ორგანულად გადადის ხელოვნების მარადისობაში. მხოლოდ ის ხელოვანია უკვდავი, და მისი ხელოვნება მარადი, რომელიც უმაღლესი „თავგანწირვით“, ღმერთკაცებრივი ნებით ემსახურება თავის ხალხს, მთელ კაცობრიობას: „სუნთქვა გრიგალდება ღმერთკაცების, და იქ გადარევა შეიძლება, სადაც ერთადერთი შესაღწევით — მხოლოდ თავგანწირვით შეისვლება, სადაც მედროვეთა სიმახინჯის, ჟამთა მიმოქცევას უმკლავდება ნესტანდარეჯანის, ბეატრიჩეს და მათ უკვდავმყოფთა უკვდავება“.

* * *

„ჩემი მაგნიტური არე“ მრავალგზის დაისტამბა, ბევრიც დაიწერა მასზე. ძალიან მღელვარე და გრანდიოზული მოვლენებით აღსავსე ეპოქამ გაიარა პოეტის სულში და ნათელი გამოხატულებაც ჰპოვა მის პოემებსა და ბალადებშიც. აქ არის ინტერნაციონალიზმის თემაც — ძმური ხელის გაწვდენა ესპანეთის რესპუბლიკელებისადმი, საბჭოთა ხალხების შეურყეველი ძმობისა და მეგობრობის თემაც, ომში გამარჯვებით გამოწვეული სიხარულიც, კომუნისტური მშენებლობის პათოსიც. „ჩემი მაგნიტური არე“ თანამედროვე პოემაა თავისი მსოფლმხედველობით. მასში წარმოჩენილი სინამდვილისადმი ორიგინალური დამოკიდებულებითაც, მხატვრული და რიტმული აღნაგობითაც. ყოველ პოემას თავისი შინაგანი გზა, თავისი შინაგანი ხაზი აქვს. რაც უფრო ხვეულია ეს გზა, მით უფრო ორიგინალურია. პოემის ჭეშმარიტ მნიშვნელობაში და არსში რომ შევიჭრათ, მისი შინაგანი მოძრაობა უნდა აღმოვაჩინოთ. არც სიტყვები, არც სახეები არ არიან გადამწყვეტნი. მთავარია წარმოვაჩინოთ და განვსაზღვროთ ის შინაგანი ხმა, პოემის ის მაჯისცემა, რომელიც მის ღირსებებს განსაზღვრავს. პოემის უმაღლეს ფასეულობად წარმოგვიდგება პიროვნება. პიროვნება როგორც ინდივიდურობა, სულიერი თავისუფლებით აღჭურვილი. ასეთ ადამიანებს მიჰყავთ წინ საზოგადოება. ხოლო საზოგადოება (ინტელექტუალური) საძირკველია კულტურისა. პოემაში ასახულია იმ პიროვნების სულიერი ცხოვრება, რომელმაც განვლო ტანჯვის გზა; მაგრამ ეს ტანჯვა მის შინაგან მოდუნებასა და პროსტრაციას კი არ იწვევს (ეს მომენტი წარმავალია მასში), არამედ სულიერად ამაღლებს, ხვეწავს მის შემეცნებით ფასეულობებს. ეს ფაუსტური გზაა ჯვარცმისა და ამაღლებისა. გმირის შინაგანი მონოლოგი ასეთი აპოთეოზით მთავრდება: „არა, დედამიწა სამყაროა, სადაც წყაროსავით ლურჯტალღება მოჩქეფს განახლების მახარობლად, დიდი სიყვარულის უკვდავება“. ამდენად გასაგებია პოემის ჰუმანისტური იდეა თანალმობისა. სულიერად აღზევებული პიროვნება თანალმობას უცხადებს იმ „მაგნიტურ არეს“, რომელიც მისთვის ძვირფასია და მახლობელი. „მაგნიტური არე“ ფართო დიაპაზონის სიმბოლური მხატვრული სახეა, რომელშიც წარმოსახულია მთელი ეპოქა თავისი სოციალური ძვრებითა და კატაკლიზმებით. ოთარ ჭელიძე მძაფრად აღიქვამს გარემომცველ სინამდვილეს, დროის მოძრაობას. იგი საკუთარ სულიერ პრიზმაში გარდასახავს ზოგად-საზოგადოებრივს. ეს ორპლანიანობა თავიდან ბოლომდე გასდევს პოემას. სათაურის სიმბოლურობაც ამაშია: პოეტისათვის მახლობელია ის სამყარო, ადამიანებითა თუ ნივთებით დასახლებული, რომელშიც ცხოვრობს. ამ ადამიანებისა და ნივთების ცხოვრება( ნივთებსაც თავისი ბიოგრაფია აქვთ), პოეტის ცხოვრების შემადგენელ ორგანულობად იქცევა. სხვისი ნაგრძნობ-ნაფიქრალი ერწყმის პოეტისას; და პირიქით. ეს ხდება ტრანსფორმირების გზით: პოეტი გარდაისახება „სხვებად“, ხოლო „სხვები“ — პოეტად. მათი ბიოგრაფია ერწყმის ერთმანეთს. ამიტომ არის ეს თანალმობა ამაღლებული და სრულყოფილი.

პოემა ლირო-ეპიკური თვისებების მატარე-

ბელია. ეპიკური ამბავი წარმოჩენილია ლირიკულის პრიზმით. მისი პოეტური მეტყველება ეფუძნება გმირის შინაგანი მონოლოგის პრინციპს. მაგრამ სწორი არ ვიქნებით, თუ ლირიკულ მთხრობელში სრულად გავაიგივებთ ავტორს. ეს იქნებოდა დაკნინება პოემის მხატვრულ-იდეური ჩანაფიქრის განმაზოგადებელი ხარისხისა. ლირიკულ მთხრობელში ავტორიც მონაწილეობს საკუთარი ბიოგრაფიით, მაგრამ უმეტესი წილი უდევს მის სიმბოლურ ორეულს („და მე — გაოცებამორეული — მკითხველს წარვუდექი ნატვრისთვალით, — ჩემი უცნაური ორეულის წლობით ნაცოდვილარ-ნაფიქრალით“). რატომ ვუწოდე ამ ორეულს სიმბოლური და ავტორი რატომ უწოდებს უცნაურს? იმიტომ, რომ ეს ორეული არ არის კონკრეტული, ერთნიშნა ორეული. ეს ორეული, მხატვრულ სახედ მიჩნეული, თავის თავში აერთიანებს როგორც ლირიკულ მთხრობელს და პოეტს, ისე მათი მსგავსი ბიოგრაფიის მქონე ადამიანებსაც. უნდა დავასკვნათ, რომ პოემის ლირიკული გმირი კრებითი მხატვრული სახეა, რომელიც პოეტის ბიოგრაფიასაც შეიცავს და ათიათასობით ადამიანთა ბიოგრაფიასაც. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს მთელი თაობის აღსარებას ვისმენდეთ. ამიტომ იძენს პოემის ლირიკული გმირი ტიპიურობას. თუმცა იგი, ამავე დროს, ღრმად ინდივიდუალური და სუბიექტური თვისებების მქონე ტიპია. ამ ადამიანთა ბიოგრაფია იმიტომ არის დაახლოებით ერთნაირი, რომ მათი ცხოვრება ჩამოყალიბდა საერთო ისტორიულ და სოციალურ ფონზე. ეს ფონი დაახლოებით ოც წელიწადს მოიცავს (1935 — 1955) და ისეთი გრანდიოზული ისტორიული ეტაპის შემცველია, როგორიც იყო დიდი სამამულო ომი. ომმა და გაჭირვებამ უფრო მეტად დააახლოვა, შეაკავშირა ადამიანები, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი მიზნად არ ისახავს ზუსტი ისტორიული რეალიებით წარმოგვიჩინოს სინამდვილე. ომი პირდაპირ არ აისახება პოემაში, რადგანაც იგი მხატვრული განსურათებისათვის საშუალებაა და არა თვითმიზანი (თუმცა მისი დამთრგუნველი ძალა ყოველ სტრიქონში იგულისხმება). ომს მხოლოდ ქმედითობის ფუნქცია აკისრია პოემის იდეურ-მხატვრული და ინდივიდურ-ფსიქოლოგიური პლასტების წარმოსაჩენად. ამის გამოა, რომ მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურით არ ისაზღვრება პოემა. პოემის მხატვრული ამოცანაა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით წარმოგვიჩინოს აწმყოში იმ ადამიანთა სულიერი თუ ფიზიკური არსებობა, რომლებმაც საკუთარ მხრებით ზიდეს მთელი სიმძიმე უახლოესი წარსულისა. პოეტი რეტროსპექტულად განიხილავს წარსულს („ჯაჭვურ რეაქციად გადაბმული აწმყო წარსულიდან გასაზრდოებს“). წარსული უფრო გამოკვეთილია და გაცნობიერებული თავისი შინაგანი სტაბილურობითა და კანონზომიერებებით. რეალური სინამდვილე ტრანსფორმირებულია შთაბეჭდილებებად და ასოციაციათა ჯაჭვად. ეს ასეა: რაც უფრო ვშორდებით საგნებსა თუ მოვლენებს, უფრო მეტად ფერმკრთალდება და ქრება მათი რეალური კონტურები, სამაგიეროდ გვრჩება აღძრული შთაბეჭდილებანი, რომლებიც დროის ხანგრძლივობის შესატყვისად უფრო მკვეთრდებიან და კონცენტრირდებიან. ეს შთაბეჭდილებანი დაყოვნებულია, გამუდმებული ნააზრევის შედეგია; ამიტომ ზემოქმედებენ ცხოველმყოფელურად. სწორედ ამ შთაბეჭდილებათა აღმსარებლობით გვიზიდავს „ჩემი მაგნიტური არის“ შინაგანი მეტყველება.

პოემაში მოთხრობილ ამბავს, ანუ ფაბულას, თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს, უფრო მეტად კი მთავარი პერსონაჟის ფსიქოლოგიური ცხოვრების რეალიზაციის ფუნქციას ასრულებს — რა მიმართებაშია სხვა პერსონაჟებთან და მოვლენებთან და ამ დროს რა შთაბეჭდილებები აღიძვრის. ეპიზოდიდან ეპიზოდამდე, დეტალიდან დეტალამდე იქმნება ერთი მთლიანი, დასრულებული ხასიათი, მთელი თავისი შინაგანი ბიოგრაფიით, რომელიც გრძნობთ, რომ პირმშოა ისტორიული სინამდვილისა.

პოემის სიუჟეტი განვითარებადია, თუმცა თავისი სპეციფიკით განსხვავდება ტრადიციული პოემის სიუჟეტისაგან. სიუჟეტი აქ გაშლილია მთხრობელის ცნობიერებაში და ვლინდება შინაგან მეტყველებაში. სინამდვილე აწმყოში კი არ ხდება, არამედ აღდგენილია ასოციაციებით, თუმცა ქრონოლოგია დაცულია. პოემის დრო არ არის „რეალური“, ამიტომ არ შეიძლება იგი დაემთხვას სიუჟეტის დროის ხანგრძლივობას. ეს დრო ხანმოკლეა, წარსულიდან აწმყოში გადმონაცვლებული და ზუსტად იმდენია, რამდენიც პოეტის ფიქრთა რეალიზაციას სჭირდება („და ვრცელ კინოსიზმარს, მთლიანს, უცებ გადავიღებ წამში“). დრო განფენილია მთხრობელის ფსიქოლოგიურ წიაღსვლებში, შეგრძნებებსა და წარმოსახვებში. ცარიელ სივრცეებს, რომლებიც ქვეტექსტებში ივარაუდება, მკითხველი თვითონ ავსებს საკუთარი წარმოდგენებით, ამდიდრებს ხასიათებითა და სურათებით. და ამ ხასიათებსა და სურათებში ილანდება ჩვენივე ბიოგრაფიის პოტენციური ნაწილი, ჩვენივე ხასიათის მიჩქმალული შესაძლებლობანი. პოემის მაორგანიზებელი ერთ-ერთი ფაქტორი არის კომპოზიცია. იგი სინქრონულია თავისი ხასიათით. ამ სინქრონული კომპოზიციით კონცენტრირებულად წარმოგვიდგება პოემის ანტურაჟი. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოემაში ასახული ისტორიული სინამდვილის დროის ხანგრძლივობა დიდია (თითქმის ოცი წელი). პოემის კომპოზიცია კო-

ნოფილმის მსგავსიც არის; ერთ სურათს მეორე ცვლის, ერთ ფიქრს — მეორე. მაგრამ პოემის „ეკრანზე“ ისახება არა სინამდვილისეული სურათები (ძალიან მკრთალად, ანდა სიმბოლურად, წარმოსახვით), არამედ ამ სინამდვილით სახეცვლილი ასოციაციები თუ ფსიქოლოგიური მედიტაცია. პოემაში მოხმობილი ცხოვრებისეული ეპიზოდები სიმბოლური პლანითაა წარმოდგენილი. თხრობა მონოლოგურია. პოეტი ექსპოზიციაშივე გვაუწყებს, რომ დანთქმულია საკუთარ ფიქრთა სამყაროში და მის გონებაში (ცნობიერებაში) იწყება წარსულის რეტროსპექტული ხილვა, გაღვიძება მის შინაგან წიაღში დალექილი განცდებისა („და ჰა, თვითმფრინავით სიზმარეულ ჩემი ოთახიდან გადავეშვი, ერთხანს მივიწყებას მიბარებულ პირველ ყრუანტელის სათავეში“). ისინი დაიძრებიან და ამოტივტივდებიან შიგნიდან გარეთ (ქვევიდან ზევით), და იწყება იმ „მაგნიტური არის“ გარშემო ხვლა, რომელიც ასე ღრმად განუცდია პოეტს. იგი ამბობს: „ფრთებად გადაქცეულ მხრების ძალა წარსულისკენ მისვრის, კინორეჟისორი ვხდები ჩემი საკუთარი სიზმრის. ქვეყნის პირველყოფილ ხილვით ტკბილთან შევაზავებ მწარეს; ტკივილს, მწუხარებას, ღიმილს ფილმი ერთმანეთში გარევს. და ვრცელ კინოსიზმარს, მთლიანს, უცებ გადავილებ წამში“.

* * *

ოთარ ჭელიძე მრავალმხრივი შემოქმედია. ეს მრავალმხრიობა ვლინდება როგორც მხატვრულ, ისე ჟანრულ ფორმებში. იგი ავტორია რამდენიმე პოემისა, მრავალი ლირიკული ლექსისა და ბალადისა. შევეცადე ოთარ ჭელიძის შემოქმედების ის ასპექტები წარმომეჩინა, რომლებიც უფრო მახლობელი იყო ჩემთვის; თანაც იმ სახით, როგორადაც წარმოვიდგინე. მისი პოეზია ღრმაა, შესწევს უნარი განსხვავებულ წარმოსახვათა გააზრიანებისა. ეს განსაზღვრავს მის ღირსებებს. ოთარ ჭელიძის შემოქმედება ამიტომ იმსახურებს საპატიო ადგილს თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ჩიჩუა

# რომანის დრო — ფორმისეული და იდეოლოგიური ფენომენი

ლიტერატურის და ხელოვნების ყოველი ნაწარმოები აღბეჭდილია დროის ნიშნით, ყოველი ნაწარმოები გამოხატავს და ასახავს დროს. ამის თქმა, ცხადია, ყოვლად უზოგადესი პრინციპების, შეიძლება ითქვას, ბანალური ჭეშმარიტების აღიარებაა. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით რამდენი განზომილება, რამდენი ასპექტი შეიძლება ჰქონდეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებისათვის დროს, შეიძლება დროის ფენომენის ცალკე გამოყოფა კვლევის თვალსაზრისით, თუნდაც მისი რამდენიმე ასპექტის შესწავლა, საინტერესო საქმედაც მოგვეჩვენოს.

რომანისეული დრო, ცხადია, ქრონომეტრით არ გაიზომება და ასტრონომიული დროის შესაბამისი, იდენტური არ არის პრინციპულად; მას საკუთარი გამოთვლის პუნქტები აქვს და სათავეს იღებს რომანის კომპოზიციის კონტრაპუნქტში. მაინც რომანის დრო ხელოვნების ყველა სხვა ნაწარმოებზე უფრო ზუსტია დროის ასახვის, გამოხატვის თვალსაზრისით, თუნდაც საკუთარი კომპოზიციის შიგნით; ამავე დროს, გარკვეული ასპექტით ხელოვნების ყველა სხვა ნაწარმოებზე უფრო უახლოვდება კალენდრის დროს.

ქანდაკება, არქიტექტურული ძეგლი, ფერწერული ტილო, პლაკატი, მუსიკალური ნაწარმოები, ყოველი მათგანი, დროის ანაბეჭდს ატარებს, ეპოქის სულს გამოხატავს. მაგრამ რომანის, საერთოდ პროზის მხატვრული სახის აგების სპეციფიკა მოითხოვს სივრცესა და დროში მის განსაზღვრას. თუ დროში შეიძლება თავიდანვე არ იყოს კოორდინატები აღნიშნული, „პოსტ ფაქტუმ" ყოველთვის ნათელია დროის ლოკალის შეფარდება სივრცესთან, მოქმედების განვითარებასთან. ასეთი მოთხოვნა ხელოვნების სხვა დარგებს აუცილებლობის იმპერატივით არ წაეყენება. სხვანაირად, მხატვრული სახის წარმოდგენა დროსა და სივრცეში რომანში, მხატვრულ პროზაში სინქრონულად ხდება. ამის გარანტია და ერთგვარი პირობა არის რომანის, პროზის დინამიზმი, მხატვრული სახის დინამიურობა. ამ თვალსაზრისით მასთან ახლო დგას კინო, და შეიძლება კიდეც მისგან ამოდიოდეს პრინციპულად.

და მიუხედავად დროის გამოხატვის ამ სიზუსტისა და კონკრეტულობისა, რომანს დროის იმდენი განზომილება აქვს, რომ მისი ყველა ასპექტის კვლევა ძლიერ რთული საქმეა.

„მთვარის მოტაცების" კალენდარული დრო ერთი წლის ფარგლებში თავსდება. მაგრამ კალენდარული დრო აქ გამოყენებულია როგორც კომპოზიციის კომპონენტი, კომპოზიციური საშუალება და სრულიადაც არ განსაზღვრავს რომანის შინაგანი დროის ფარგლებს, რომელიც არა მხოლოდ თარაშ ემხვარის ბავშვობის პერიოდსაც მოიცავს, არამედ ვარდანიძე-ემხვარების მთელი გენეალოგიის დროს ითვალისწინებს. ესეც კიდევ ძალიან ცოტაა დროის იმ თვალსაწიერთან, რომელსაც „მთვარის მოტაცების" ავტორი გულისხმობს და წარმოქმნის რომანის მხატვრულ სახეთა, პერსონაჟთა გამოხატვისას.

„ხომ კარგი ვაჟკაცია საურ, მაგრამ მისი კომკავშირელობა ზერელე ამბავია" — ეუბნება არზაყანი თარაშს.

„მე არ ვამტყუნებ საურს, — მიუგო თარაშმა, — ასეთ გარემოცვაში საური რას გაარიგებს? მერე შენ როგორ გგონია, ადამიანის გარდაქმნას ერთი ან ორი ათეული წელი ხომ

არ ეყოფა? ყოველ ჩვენგანს რომ დააკვირდე, ვინ იცის, რამდენი კულტურის ნალექს არ იპოვნი. აქ იგივე ფენების ამბავია, მთების ფორმაციაში რომ არჩევენ გეოლოგები“ (რვატომეული, ტ. I, გვ. 633).

მწერალმა პერსონაჟი შეიძლება წარმოსახოს, გამოხატოს დროის მცირე მონაკვეთში, თუნდაც რამდენიმე ეპიზოდში, მაგრამ ამ შემოქმედებით პროცესში მას თვალწინ უდგას თვითეული პერსონაჟის სრული „დოსიე“, მთელი ისტორია, თავისი რთული მიმართებებით იმ ისტორიულ-კულტურულ გარემოსთან, რომელსაც თავისი ზეგავლენა მოუხდენია გმირის გარეგანი და შინაგანი არსის ჩამოყალიბებაზე. ეს კულტურულ-ისტორიული გარემო კი განფენილია დროის ხანგრძლივ მდინარებაში. მწერალს სავსებით გაცნობიერებული აქვს მხატვრული ასახვის ეს სპეციფიკური მხარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიმართება ასახვის ობიექტისადმი არ არის მხოლოდ და მხოლოდ კ. გამსახურდიას, როგორც მხატვრის, განსაკუთრებული თვისება. ასახვის ასეთი სიღრმე და სისრულე, დროის ფენომენის ასეთი ფართო გამოყენება, მეტნაკლებად საერთოდაა დამახასიათებელი რომანის ესთეტიკისათვის. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილისადმი ასეთი მიმართება, როცა ხასიათის, ტიპის, პერსონაჟის მხატვრული სახე ფართო ისტორიული თვალსაზრისითაა გათვალისწინებული, კ. გამსახურდიას განსაკუთრებით აქვს გამახვილებული. მისი რომანები, კერძოდ, „მთვარის მოტაცება“ დროის უამრავი შრისა და ფენის კონტრაპუნქტული ერთიანობაა, რასაც მონუმენტური რომანის არქიტექტურის ღრმა კავშირები ქმნიან. ერთი წელი კალენდარული დრო, შეიძლება ითქვას, ჩარჩოა, რომელშიაც უამრავ დროთა გადაკვეთა და შეპირისპირებაა მოქცეული.

აქ ჩვენ, პირველ რიგში, ცხადია, მხედველობაში გვაქვს რეტროსპექტული თხრობა, მაგრამ უმთავრესი მაინც ტიპის, ხასიათის ზრდისა და ჩამოყალიბების ან განვითარების პროცესია. თვით ხასიათში, მის თვისებებში, არსებით ნიშნებში ჩანს ხანგრძლივი დროის, სოციალ-კულტურული გარემოს ზემოქმედების ნაკვალევი. თარაშის, კაც ზვამბაიას, გვანჯ აფაქიძის და სხვათა მხატვრული სახეები ხანგრძლივი ეროვნული განვითარების პროდუქტებია, ხოლო ლუკაია ლაბახუა უფრო შორს, ულრმეს ისტორიულ, და შეიძლება ისტორიამდელ პერიოდებს მიაპყრობს მკითხველის თვალთახედვას.

მაგრამ დრო, როგორც რომანის ფორმისეული ფენომენი, უპირველესად, თავს იჩენს მხატვრულ სახეთა პრეზენტაციის გეგმის არჩევისას სწორედ თხრობის რეტროსპექტულ პლანში, მხატვრული ქსოვილის შექმნისას, როგორც სიუჟეტის წყარო; ეს როცა რეტროსპექტული პლანი მოქმედების განვითარების თავისებური საშუალებაა, ან გმირის და სიტუაციის დახასიათების აუცილებელი კომპონენტი. ყველა ამ შემთხვევაში წასული დრო მუდმივ ურთიერთზემოქმედებაშია რომანისეულ აწმყო დროსთან, ან თვით არის „პრეზენსის“ ფორმით გამოხატული. სწორედ დროის გამოხატვის ამგვარი მიმართება აძლევს საშუალებას კ. გამსახურდიას წარმოგვისახოს თარაშის ცხოვრების ადრინდელი პერიოდი და საცნაური გახადოს ამ პერსონაჟის სულიერ ცხოვრებაში XX საუკუნის 20-იანი წლების დასავლეთ ევროპის სოციალურ-კულტურული ყოფის მიერ აღბეჭდილი დანაშრევები. რომანის კომპოზიციაში ეს წარსული დრო შემოდის თარაშის დღიურების, წერილების და მონოლოგების სახით.

არის პასაჟები „მთვარის მოტაცებაში“, როცა აწმყოში უძველესი ნავლწაყრილი მისტერია გადმოიცემა, როგორც დღევანდელი სინამდვილე და გარდასული დროის ანარეკლი. ლუკაიას გაცხენება ან მალანურობა და მრავალი სხვა ეპიზოდი შეიძლება უკანასკნელი ობიექტივაცია იყოს ბნელი საუკუნეებიდან გადმოცდენილი გაუგონარი მისტერიებისა, რომელთა ახსნას ამაოდ ეძიებს განსწავლული აფხაზი მეცნიერი თავის გონებაში ჰომეროსის, პლატონის, ან რომაელ ისტორიკოსთა ნაწერების გახსენებით, სადაც ისინი ძველი კოლხიდის ან იბერიის ჩვეულებებს ეხებიან. ეს დროთა კავშირის გადმოცემის თავისებური ასპექტია „მთვარის მოტაცებაში“.

ამ გზით რომანში მიიღწევა გმირების სიღრმისეული გამოხატვა. დროთა ასპექტების ურთიერთგადაკვეთა და შეპირისპირება აუცილებელია მრავალრიცხოვან პერსონაჟთა სისრულით გამოსაკვეთად, რომანის ხასიათებისა და ტიპების შესაქმნელად. მრავალრიცხოვანი პერსონაჟი, მრავალწახნაგოვანი ხასიათები აუცილებელია დიდი მხატვრული ტილოსათვის, რომელიც რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე რევოლუციურ ეპოქას გამოხატავს. ასეთი რომანია „მთვარის მოტაცება“. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ „მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიას უფრო რელიეფურად გამოუვიდა დახატული ძველი ქვეყნის წარმომადგენელნი. ახლისა და ძველის ურთიერთ შეფარდება რომანში ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ — მწერალი ქმნის ახლის შეტევის შედეგად ძველი სამყაროს ნგრევის გრანდიოზულ სურათს. ცხადია, ძველის ნგრევა თავისთავად არ ხდება. იგი ახლის, რევოლუციური ძალების შეტევის შედეგია. მწერალმა ეს კარგად იცის, მან შეიგრძნო და შეიცნო ახლის დიდი სიმართლე და ძალა. მაინც მას ყოველთვის არ გამოუვის ახალი მთელი თავისი ძლიერებით, მრავალმხრივობით და სიღრმით. ახ-

ლის ძალას, მის უპირატესობას, მკითხველი შეიგრძნობს და შეიცნობს გაბოროტებული და ულმობელი, გააფთრებით მებრძოლი ძველი ქვეყნის გარდაუვალი კრახით, რაც განსაკუთრებული ძალით, მაღალმხატვრულად აისახა ადამიანების ბედში. მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა სწორი სათანადოდ არ შეგვეფასებინა ახალი ადამიანის სახეები „მთვარის მოტაცებაში". ესენი არიან არზაყანი, ძაბული, საური, ჩალმაზი, ლიჩელი და სხვ.

„მთვარის მოტაცების" ყველა პერსონაჟი, უკეთ რომ ვთქვათ პერსონაჟთა სიმრავლე, მათი გამოხატვის სიღრმე, რაც დროის ასპექტის მრავალმხრივ და მაღალმხატვრულ გამოყენებას ეყრდნობა, ხელს უწყობს ცხოვრების სისრულით აღქმას, გრანდიოზული პანორამის შექმნას, ანალიზისა და სინთეზის ერთიანობას. 30-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდებოდა რომანის ახალი სახე — რომანი-ეპოპეა. უპირველესად ეს ხდებოდა ორი დიდი ქართველი რომანისტის — მიხ. ჯავახიშვილის და კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ეს *ახალი* ქართულ რომანისტიკაში არ შემოდიოდა ხანგრძლივი ფიქრის, შემოქმედებითი ძიებისა და ერთგვარი დაეჭვების გარეშე.

დიდი ეპიკური სარბიელი, დროისა და სივრცის განუსაზღვრელი სფეროები, დიდი საზოგადოებრივი მოვლენები და პერსონაჟების სიმრავლე ზოგჯერ თვით ამ ავტორთათვის, იმ მწერლებისათვის, რომელთაც ასეთი რომანები შექმნეს ქართულ ლიტერატურაში, დამაფიქრებელი და დამაეჭვებელი იყო მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის და რომანის სტრუქტურის თვალსაზრისით, მკითხველის მიერ მხატვრული მასალის ათვისების თვალსაზრისით. „კ. გამსახურდიამაც (იგულისხმება რომანში „მთვარის მოტაცება" — შ. ჩ.) და მეც, ჩემს რომანში „არსენა მარაბდელში" წავაგეთ, რომ მრავალი ზედმეტი მოქმედი პირი გამოვიყვანეთ. ეს ამძიმებს და ართულებს ნაწარმოების გაგებას", — ამბობდა „მთვარის მოტაცების" განსახილველად გამართულ დისკუსიაზე მიხ. ჯავახიშვილი („ლიტ. საქართველო", 1936 წ., № 17).

ეს იყო ერთგვარი შეკრთომა ტრადიციების დარღვევის წინაშე, მაგრამ რთული საზოგადოებრივი პროცესები, მრავალრიცხოვანი პერსონაჟი, ერთი სიტყვით, ახალი თემატიკა ახალ ფორმებს, რომანის ახალ ესთეტიკას მოითხოვდა.

რასაკვირველია, ყველა მწერლის გზა ერთგვარი როდი იყო. თავისი ტალანტის, სინამდვილისადმი ორიგინალური მიდგომის, საკუთარი თემატიკის შერჩევის კვალობაზე ისინი, ცხადია, სხვადასხვა კუთხით აღიქვამდნენ სინამდვილეს და ასახავდნენ მას. ასევე სხვადასხვა ნიუანსი, სხვადასხვა მიდგომა მჟღავნდებოდა დროის ფაქტორისადმი.

დიდი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ასახული დროის საკითხმა ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვაში". ზოგიერთ მკვლევარს და მწერალს სრულიადაც არ მიაჩნია რომანისათვის საკმაოდ „გვადი ბიგვაში" აღებული დროის ლოკალი, სადაც ყველაფერი ხდება არასრული სამი დღე-ღამის განმავლობაში. ცხოვრების სისრულით გამოხატვის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ დროის დიდ მონაკვეთს.

ჩვენის აზრით, აქ ავიწყდებოდათ კალენდარული დროისა და რომანისეული დროის განსხვავება, მათი პრინციპული სხვადასხვაობა. სამი დღეღამე „გვადი ბიგვაში", ისე როგორც ერთი წელი „მთვარის მოტაცებაში", მხოლოდ კომპოზიციური ჩარჩოა, რომელიც დროის მრავალ ასპექტს იტევს თავის შინაარსში. „მთვარის მოტაცებისაგან" განსხვავებით, „გვადი ბიგვაში" სრულიად არ არის გამოყენებული თხრობის, ან სიუჟეტის განვითარების რეტროსპექტული პლანი. ამიტომ „გვადი ბიგვა" ფორმის თვალსაზრისით, მისი სიუჟეტური ხაზების განვითარებითა და ურთიერთკავშირით, მართლაც თავსდება კალენდარული დროის ფარგლებში — არასრულ 3 დღე და ღამეში. და აქ შეიძლება ითქვას, რომანისეულ დროს, ფორმის თვალსაზრისით, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომანის არქიტექტონიკის თვალსაზრისით, არაფერი განასხვავებს კალენდარული დროისაგან. წარსული დროის სიღრმეების გამოხატვა უმთავრესად დაკისრებული აქვს ტიპიურ ხასიათებს (უმთავრესად გვადისა და გოჩას), აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების განვითარებას.

მკვლევარები, როცა რომანის ასახვის ობიექტად დროის დიდ მონაკვეთს აღიარებენ, მათ მხედველობაში აქვთ ტიპიური ხასიათის განვითარების შესაძლებლობა. მართლაც, თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენია, ტიპიური ხასიათის იმგვარი განვითარება სამი დღის მანძილზე, რომ მასში საზოგადოების განვითარების ეპოქალური ცვლილებები აისახოს. მაგრამ ლ. ქიაჩელის დიდოსტატობა სწორედ იმაშია, რომ მან შესძლო ხასიათის განვითარების კულმინაციური პერიოდის გამოხატვა და მკითხველის დარწმუნება, რომ გვადის ხასიათში მოხდა დიდი გარდატეხა. მწერალმა ეს მოახერხა იმით, რომ შესძლო რომანის დროის ლოკალის ფარგლებში მკითხველისათვის ეჩვენებინა მთელი მოსამზადებელი პერიოდი, მთელი ის ზემოქმედება, რომელსაც ახალი საზოგადოება ახდენდა გვადისა და გოჩას ხასიათებზე. ინტენსიური, ეპიზოდებით უაღრესად მდიდარი სიუჟეტი გვიხატავს გვადის ცოცხალ, მრავალმხრივ რთულ ბუნებას, რომელშიც აისახა ამ ხასიათის რო-

გორც აწმყო, ისე მთელი წარსული ისტორია. ერთი წუთით რომ დავივიწყოთ ნაცარქექიას ნილაბი, რომელიც გამოიყენა ლ. ქიაჩელმა ამ ხასიათის შექმნისას, რომანის მთელი ტექსტი გვიხატავს გვადი ბიგვას ხასიათის ნიუანსების საფუძველს გარდასულ ცხოვრებაში, ან კიდევ იმას, თუ როგორ თანდათანობით შემზადდა ჩვენს საზოგადოებაში ამ ხასიათის გარდაქმნა. რომანში ყოველივე ეს ცხადდება გვადის მოქმედებაში, ფიქრებში, სიტყვიერ მასალაში, რომელიც ოსტატურად აგებული დიალოგების შემადგენელი ნაწილი ხდება. გვადი ბიგვა რომ ტიპიური ხასიათია, ის რომ სწორედ რომანის პერსონაჟია, რომანიული ხასიათია, ამის დასაბუთება შემდგომში დაგვჭირდება; ახლა ყველაფერ ამაზე თუ მაინც მოკლედ ვლაპარაკობთ, იმიტომ, რომ აქაც აღვნიშნოთ ამ ხასიათის რომანული ბუნება, ვთქვათ, რომ რომანისათვის არ არის აუცილებელი დიდი კალენდარული დრო. რომანს თავისი დრო აქვს, დროის საკუთარი გამოთვლის პუნქტები. ცხადია, ეს, შეიძლება, არც შეადგენდეს რომანის საკუთრივ დამახასიათებელ სპეციფიკურ თვისებას. პროფესორ კუნს გამოთვლილი აქვს, რომ ჰომეროსის „ილიადაში" ასახულია სულ ცხრა დღის ამბები, ხოლო „ოდისეაში" — ოცდასამი დღისა. როგორც ჩანს, მხატვრულ ლიტერატურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ინტენსივობას, მის ტევადობას მრავალმხრივი ასპექტით და აქედან ერთი და უმთავრესთაგანი დროის ფენომენია. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მრავალმხრივი გამოხატვის საგანი ხდება რომანში. კალენდარული დროის რომანულ დროსთან შეუსაბამობის ყველაზე ცხად მაგალითად კი ჯეიმს ჯოისის „ულისი" შეიძლება ჩაითვალოს. ლეოპოლდ ბლუმის ცხოვრების არასრული დღე-ღამის, დაახლოებით 18 საათის ისტორია, თავი რომ გავანებოთ რომანის მითიურ პლანს, იმდენ მასალას იტევს, როგორც ხასიათთა და საგანთა ასახვის, ისე დროის მასშტაბების მხრივ, რომ ფიქციად აქცევს ყოველგვარ პრეტენზიას კალენდარული და რომანული დროის შესატყვისობაზე. ცხადია აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ „ულისის" სტილის თავისებურება, რომანის ტიპოლოგიური ბუნება, რომელთა მეოხებით სრულებით არაა აუცილებელი, რომ მთელი ეს მდიდარი მასალა ნაწარმოებში სიუჟეტის განვითარების გზით შემოვიდეს. თავისუფალი ასოციაციები გმირს და მწერალს საშუალებას აძლევს ადვილად მიწვდეს დროისა და სივრცის ნებისმიერ მონაკვეთს პრეისტორიიდან დღემდე. ასეა თუ ისე, რომანის ყოველ სახეობას აქვს მეტნაკლებად შეუზღუდველი საშუალება საჭიროებისამებრ გააფართოოს რომანისეული დრო და მისი მასშტაბები.

სავსებით ორიგინალურად წყდება დროისა და მისი ასპექტების საკითხი დ. შენგელაიას „ბათა ქექიაში". სტრუქტურულად „ბათა ქექია" ე. წ. „უსიუჟეტო" რომანებს მიეკუთვნება. ბათას მონოლოგი „ცნობიერების ნაკადი" არ არის, მაგრამ რომანის სტრუქტურის თავისებურებას განსაზღვრავს. ქრონოლოგიური მიმდევრობა აქ აუცილებელი არ არის, უფრო მნიშვნელოვანია თემატიკური კავშირი, რომელიც ხშირად სავსებით დაშორებულ დეტალებს შეუთავსებს ერთი-მეორეს და პერსონაჟის ცხოვრების სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას ერთი ჭრილის საზომით გააანალიზებს, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, სხვადასხვა ქრონოლოგიურ დეტალს შეუდარებს ერთმანეთს და შეპირისპირებით ხანდახან უფრო დიდ ეფექტს ქმნის, ვიდრე ამას ანალიზით შეიძლებდა. ამით შეიძლებოდა „ბათა ქექია" მოდერნისტული რომანის ფორმისეული მიღწევებისათვის დაგვეკავშირებინა, მიუხედავად იმისა, რომ „ბათა ქექიას" მსოფლმხედველობრივი არსი მყარ რეალისტურ საფუძველზეა აშენებული. „ბათა ქექიასთვისაც" არ არსებობს დროის ბარიერი, მწყობრი სიუჟეტური ხაზები და ამბის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი განპირობება. კაუზალურ კავშირებს არაიშვიათად ასოციაციური კავშირები ცვლის. მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასოციაციები არ არის თავისუფალი ცნობიერების ნაკადი, იგი თემატიკური კავშირის გამოვლენის გზით მიემართება. სხვადასხვა ქრონოლოგიური ეპიზოდის ან დეტალის შეპირისპირება-მინიშნებები მკითხველის ფანტაზიას ამოძრავებს და მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსაც მკითხველის გრძნობა-გონებას მიანდობს.

მთხრობელი, იგივე მთავარი გმირი ბათაა, 70-80 წლის მოხუცი. მთელი მისი ცხოვრების წარმოსახვა მისი „ხელახლა ცხოვრებაა", ყოველი ასახული დეტალის ხელახლა განცდა. ამიტომ რომანის ხედვა (**видение**) მრავალპლანიანია; მაგალითად, როცა ბათა მოგვითხრობს ბათურიას გამგზავრებაზე თბილისში, იგი ცდილობს აღადგინოს ბავშვის იმდროინდელი განცდები. ამავე დროს, თხრობას ახალ ფენად ერთვის მოხუცი ბათას გამოცდილება, მისი თვალი და სინამდვილის აღქმა. ამიტომ ბათურიას განცდები კიდეც არის ბავშვის განცდები და არც არის, რადგან მასში ბათას ცხოვრებისეული გამოცდილებაც გამოსჭვივის. აქ ინდივიდუალიზაციაც არის და განზოგადებაც, დროის ორი ასპექტის გადაკვეთაა, რადგან პატარა ბიჭის ცხოვრება დანახულია ამავე ბიჭის თვალით და, ამავე დროს, დროული, დიდ ცხოვრება გამოვლილი კაცის თვალით. საქმე ამით როდი მთავრდება. მკითხველისათვის თანდათანობით აშკარავდება: მიუხედავად მისი გონებამახვილობისა და ცხოვრე-

ვის ღრმა გამოცდილებისა, ბათას არ შეუძლია განახორციელოს მწერლის თვალსაზრისი. ეს თვალსაზრისი თითქო უჩინრად ეპარება ბათას მონოლოგებს და მისი სიღრმიდან ამოდის. შესამჩნევი ხდება დისტანცია მთხრობელსა და მწერალს შორის. ეს დისტანცია დროის თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც იძლევა კიდევ ერთ ასპექტს და ნაწარმოების ე. წ. ხედვა სამპლანიანი ხდება: ბათურია, ბათა, მწერალი. ეს მიგვაჩნია, „ბათაქექიას" სტილისტურ თავისებურებად, რომელიც საინტერესოა როგორც საერთოდ რომანის იდეურ-მხატვრული სიღრმის, ისე, კერძოდ, დროის ასპექტების განხორციელების თვალსაზრისითაც.

აქ ჩვენ აღვნიშნეთ დროის წარმოსახვის თვალსაზრისით ერთგვარი ფორმისეული ურთიერთობა „ბათა ქექიასა" და მოდერნისტული რომანის პოეტიკას შორის, ურთიერთობა თუნდაც დემნა შენგელაიასვე „სანავარდოსთან", ან კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილთან". ამავე დროს ვთქვით, რომ „ბათა ქექიას" მხატვრული მსოფლმხედველობა სავსებით რეალისტურია. ასეთი „წინააღმდეგობა" ჩვენ გადაულახავ ანტინომიად არ უნდა დავსახოთ. ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის რთული საკითხი კვლავდაკვლავ დაფიქრებას მოითხოვს. აქ ჩვენ შორსა ვართ იმ მიზნისაგან, რომ ავხსნათ და დავასაბუთოთ ზემოთაღნიშნული მოსაზრება „ბათა ქექიას" მიმართ. ჯერ ერთი, ურთიერთობა, ან თუნდაც ნათესაობა იგივეობას არ ნიშნავს. შემდეგ, როგორც ერთ-ერთი საბუთი რეალისტური და მოდერნისტული რომანის ურთიერთზეგავლენის შესაძლებლობისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რომანის ორივე ეს ტიპი, სახეობა, ერთდაიმავე დროს, ერთიმეორის გვერდით ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც. დაუშვებელია წარმოვიდგინოთ თითქო ეს განვითარება პარალელური იყოს. პირიქით, უფრო საგულისხმოა მათი ურთიერთ ზეგავლენა, ურთიერთშეჭრა, ახალი ფორმებისა და მიღწევების ურთიერთგაზიარება. ცნობილია, რომ სწორედ დროისა და სივრცის დაძლევა უკეთ მოახერხა მოდერნისტულმა რომანმა, რადგან მისი სიუჟეტი თემატურ-ასოციატიურია (გასაზიარებელი არ არის ის მოსაზრება, რომელიც მოდერნისტულ რომანს უსიუჟეტო რომანად თვლის. მხატვრულ ნაწარმოებში ყოველგვარი კავშირი მხოლოდ სიუჟეტის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. სხვა საქმეა, რომ სავსებით შესაძლებელია სიუჟეტის ახალი სახეობა გაჩნდეს. და ეს ასეც არის XX საუკუნის ბევრ რომანში).

აქ მოკლედ უნდა შევჩერდეთ „ბათა ქექიას" მითიური პლანის პასაჟების დროის ასპექტზე. როგორ უნდა იქნას გაგებული რომანის მითიური ელემენტი სტილისტური თვალსაზრისით, და აქედან გამომდინარე როგორ განისაზღვროს მითის მნიშვნელობა დროის თვალსაზრისით. მითი, მითიური „სანავარდოსაგან" განსხვავებით „ბათა ქექიაში" ყოფითი სურათების დონეზეა მოცემული. მათი მისტიკური შინაარსი მწერლის სიმბოლისტური მსოფლგაგების შედეგი კი არ არის, არამედ ფოლკლორული წარმოშობისაა. ბათას, ისე როგორც სხვა მის დროინდელ გლეხებს, სჯეროდათ ალი, სჯეროდათ ეშმაკი და უხილავი. ამიტომ ეს წარმოდგენა სინამდვილეზე, გარემოზე ბათას დასახასიათებლადაა მოცემული რომანში, მას თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვს და ლიტერატურულ მიმართულებასთან — სიმბოლიზმთან ან მოდერნიზმთან, რომანის სტილთან მისი კავშირი სავარაუდო არ არის, თუ იმ გარემოებას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასახვის ობიექტი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი გლეხი ერთგვარად, დაბადებითვე „სიმბოლისტი" იყო, ყოველ მოვლენაში დაფარულ აზრს ეძებდა და რაღაცის სიმბოლოდ მიაჩნდა. ამ გარემოებას აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან „სანავარდოში" სრულიად სხვა სურათთან გვაქვს საქმე. ყოფის ამგვარი გადმოცემა კი, როგორსაც „ბათა ქექიაში" ვხვდებით, მხოლოდ რეალიზმს შეიძლება მიეკუთვნოს. ამიტომ „ბათა ქექიაში" შემავალი მითიური ელემენტი დროის თვალსაზრისით ისტორიული მნიშვნელობისაა და აისახება, როგორც გადმონაშთი ადამიანის შეგნებაში და არა როგორც მითიური თავისი დამოუკიდებელი შინაგანი არსით, რომელსაც ერთიანი, უსასრულო და უკიდეგანო დროის ასპექტი ახასიათებს. ასეთივე მნიშვნელობისაა მითიური ელემენტი „მთვარის მოტაცებაშიც", „დიონისოს ღიმილისაგან" განსხვავებით.

საყოველთაოდ ცნობილია მარქსისტული დებულება, რომ დროის არსი მოძრაობაა. ამიტომ დროის ყველა ასპექტი, რომელშიც ადამიანთა ცხოვრება აისახება, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას უკავშირდება და უთუოდ იდეოლოგიური ფაქტია. მაინც დროის ასპექტები, რომელთაც ჩვენ აქამდე შევეხეთ, თუ ასეთი დაყოფა საერთოდ შესაძლებელია, უპირატესად განეკუთვნება რომანის ფორმის მხარეს, მის კომპოზიციას, არქიტექტონიკას. იდეოლოგიას უფრო უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება დროის სხვა ასპექტები.

30-იანი წლების ქართული რომანისათვის ნიშნეულია დროის სამივე უძირითადესი განზომილების გათვალისწინება: წარსული, აწმყო და მომავალი.

შეიძლება მკითხველს ეს ბანალურ ჭეშმა-

რიტებად მოეჩვენოს და ამ საკითხის წამოჭრაც უსაგნოდ მიიჩნიოს. ამის გამო საჭიროდ მივაჩნია ამ თვალსაზრისით გადავხედოთ ოციანი წლების რომანს.

ამთავითვე კი ვთქვათ, რომ ოციანი წლების ქართული რომანების დიდი უმრავლესობა წარსულის და აწმყოს ანალიზითაა ალბეჭდილი. ცხადია, წარსულისა და აწმყოს ანალიზს სხვა დანიშნულება არ შეიძლება ჰქონდეს, თუ არა გზების გაკვლევა მომავლისათვის, მაგრამ ამ რომანებში, ყოველ შემთხვევაში მათ უმრავლესობაში, ეს გზები არ ჩანს, უფრო მეტიც არ ჩანს ისეთი ხასიათები, ტიპები, რომელთაც მომავალი ჰქონდეთ, რომლებიც იბრძოდნენ ამ მომავლის ხორცშესხმისათვის. აქ მე მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ დ. შენგელაიას და კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანები, არამედ სხვა რეალისტური ნაწარმოებებიც, რომელშიაც ასეთი მომავლისათვის მებრძოლი გმირი სანთლითაა საძებარი. „სისხლში“ ანდრო ქარიჟაძეა პერსპექტიული გმირი, შეიძლება კიდევ რამდენიმე ჩამოვთვალოთ მასთან ერთად სხვა რომანებიდანაც. მაგრამ კონცეპტუალური დებულების ჩამოსაყალიბებლად ეს უმნიშვნელოა.

რაც შეეხება სამ უძირითადეს ნაწარმოებს ოციანი წლების რომანისტიკისა, როგორიცაა „სანავარდო“, „დიონისოს ღიმილი“, „ჯაყოს ხიზნები“, — მოკლებულნი არიან პერსპექტიულ დროს.

„სანავარდოში“, სადღაც, რომანის ძირითადი პრობლემების მიღმა არსებობს შეგნება, რომ მოდის ჯანმაგარი ხალხი, რომელთაც ეკუთვნით მომავალი. მაგრამ ისინი არ შემოსულან რომანის სიუჟეტში, არ მოუხდენიათ ზეგავლენა რომანის მოქმედ პირებზე და საერთოდ არ დაუტოვებიათ არავითარი კვალი. ასევე ნაკლებმნიშვნელოვანია „ჯაყოს ხიზნებისათვის“ რომანის ფინალში გამოჩენილი გლეხები, თუმცა მათ ერთგვარი ფუნქციაც კი გააჩნიათ ნაწარმოებში. „დიონისოს ღიმილში“ საერთოდ არ არსებობს მომავალი დროის შეგრძნება. რომანის ცენტრალური ფიგურისათვის, სავარსამიძისათვის, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული რომანის კონკრეტული კონცეფცია, აწმყო — დასასრულია, წინ არაფერი არ არის. დიდი და მაძიებელი ხასიათი სავარსამიძე, რომელიც XX საუკუნის რომანის ენით არის ხორცშესხმული, უპერსპექტივო გმირია.

დროისადმი ასეთი დამოკიდებულება სავარსამიძისა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გადმოვიდა „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვართან. ცხადია, ეს ორი პერსონაჟი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ დროის, პერსპექტივის საკითხი თითქმის ერთნაირად წყდება მათი მხატვრული ხორცშესხმისას. თარაში წილდაკარგული კაცია, რომელმაც ვერ შესძლო რაიმე გზა აერჩია ცხოვრებაში, ეპოქალური გადატრიალების ბობოქარი ტალღების მიერ იგი გარიყული აღმოჩნდა, ვერსად ვერ ჰპოვა თავშესაფარი — ვერც პოლიტიკაში, ვერც მეცნიერებაში, ვერ სიყვარულში, თუმცა იგი გამჭრიახი, ჭკვიანი, ქალთა წრისათვის საოცნებო, წარმოსადეგი ვაჟკაცია. დიდად ცდებიან ის კრიტიკოსები, რომლებიც თარაშის კრახის მიზეზს თვით მის ხასიათში ეძებენ, მის ინდივიდუალობაში. სიკვდილის წინაშე მდგარი თარაში აღმსარებლური გულწრფელობით აღიარებს ვახტანგ იამანიძისადმი მიწერილ ბარათში:

„წერას რა აზრი აქვს, თუ დიდი სიწრფელე თან არ ახლავს. მე უკვე ამქვეყნიურ სამანამდის ვარ მიღწეული და გულწრფელად ვაღიარებ აქ ყოველივეს...

... ხომ გახსოვს რომში რაც გითხარი, ორი გზაა მეთქი ამჟამად მსოფლიოში, ორად ორი გზა — კომუნისტებისა და ფაშისტებისა.

... მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და, როგორც ხედავ, ვერც ერთს ვერ დავადექი.

და ეს მომივიდა არა სიძაბუნის წყალობით...

მოკლედ გეტყვი, ძმაო, მე ვერც ერთ მათგანს ვერ დავადექი, ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ვეღარასოდეს აღდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კვდებიან ჩემი სანატრელი სიმღერები, და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი.

. . . . . . . . .

ლოგიკის ძალით ბევრ რამეში შენ გეთანხმები, მაგრამ ხომ გახსოვს, ვატიკანში რომ გითხარი, მამა-პაპათა ზნეთაგან ჩვენ ისე შეპყრობილი ვართ-მეთქი, როგორც ლაოკოონი და მისი შვილები გარს შემოგრაგნილი გველისაგან“.

. . . . . . . . .

ვარდანიძე-ემხვარები ჯიუტები ყოფილან ოდითგანვე. ამ სიჯიუტემ პერლაშეზის სასაფლაომდე ატარა მამაჩემი და მე არც კი ვიცი საფლავს თუ გამითხრის ვინმე.

. . . . . . . . .

ჩემთვის აწ ყოველივე ამაოა, მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი. უკეთ გეტყვი, მესმის, მაგრამ მაჟრჟოლებს მის გაგონებაზე.

. . . . . . . . .

... ჩემი გზა აწ იქითკენ მიდის, საიდანაც ხმა ვეღარ ბრუნდება“ (რვატომეული, ტ. I, გვ. 705-706).

ამიტომ არის თარაშ ემხვარი რომანიული პერსონაჟი, ტიპიური ხასიათი, ამიტომ გადა-

ტყდა მის ბედში უდიდესი სოციალ-პოლიტიკური, ეპოქალური ძვრები.

ცხადია, როგორც ყველა პერსონაჟი „მთვარის მოტაცებაში“, თარაშ ემხვარი უკიდურესად ინდივიდუალიზებულია, მაგრამ არცერთი ტიპიური ხასიათი არ არის ინდივიდუალიზების გარეშე. ამიტომაც თარაშ ემხვარის ბედი მხოლოდ მისი ხასიათიდან გამომდინარე არ შეიძლება აიხსნას. იგი ერთ-ერთი, შეიძლება ყველაზე რელიეფური, მაღალმხატვრული სახეა რევოლუციის ქარცეცხლში დამარცხებული კლასების წარმომადგენლებისა. სწორედ ეს განსაზღვრავს ამ პერსონაჟის მხატვრულ ღირებულებას. ცხოვრებისაგან დამარცხებული, უმომავლო პერსონაჟი, როგორც უკვე ვთქვით, მრავალი ახახა თავის ეპოპეაში კ. გამსახურდიამ, ეს იქნება გვანჯ აფაქიძე, ლომკაც ესვანჯია, ბაბუა ტარიელი თუ ღვთისაგან გლახა ლუკაია ლაბახუა, ტარბეები და არლანები. არსად ისინი სარკაზმითა და დაცინვით არ გაუცილებია მწერალს, გრანდიოზულ ბრძოლებში დამარცხებულთ ეს არ შეფერით.

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერლის ამოცანა ამ დიდ რომანში ვერ შემოიფარგლებოდა სინამდვილის ცალმხრივი ასახვით; თუ „მთვარის მოტაცება“ ნამდვილი ეპოპეაა, იგი არ შეიძლებოდა ერთი ან ორი გმირის რომანი ყოფილიყო. მწერალს ასე წარმოუდგენია თავისი მხატვრული ამოცანა, რომლის გამო 1936 წელს „ლიტერატურულ საქართველოში წერდა: „ოქტომბრის რევოლუციამ ახადა ადამიანს ნივთების მონის საფარველი და ახალი და ახალი სინათლის კალეიდოსკოპში სავსებით ახალი სხივები გადაშალა ჩვენ თვალწინ. დაუცხრომელმა შრომამ და თვითქენჯნამ გაამძაფრა ჩემი შემოქმედებითი ენერგია და გამზარდა მე, როგორც შემოქმედი.

ამ ამბებს პირველად შევეხე ჩემს უკანასკნელ რომან-ეპოპეაში „მთვარის მოტაცება“.

მე ავილე ერთი წელი საბჭოთა საქართველოს ყოფაში — 1931-1932 — და შევეცადე მეჩვენებინა მკითხველისათვის ათასეული წლების ტრადიციების რღვევა რევოლუციის გრიგალგადავლილ ქვეყანაში. ეკლესიის, ოჯახის ზნეთა და ჩვეულებათა გადასვლა, მიმავალთა გულისტკივილი და მომავალთა სახე. დასავლეთიდან გადმოწვდენილი ზედგავლენანი, ჩვენი დღევანდელი სოფელი და ქალაქი. აქ არ დამიკლია ბნელ საუკუნეებში გადახედვა, საქართველოს ქადარა წარსულისაკენ წამიერი უკანმიხედვა, ჩვენი საოცარი ბუნების აპოთეოზი, ჩვენი ზეგანის, ჩვენი ჭაობების, ჩვენი მთების სიდიადე და მშვენება ჩვენი ფოლკლორის და ჩვენი ხალხის სილამაზე და სიკისკასე.

ამავე რომანში ვეცადე ახალი ადამიანის მხატვრული განსახიერება“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ. 25 თებერვალი).

ახალი ადამიანის გზა ის გზაა, რომელსაც მთელი ეს რევოლუციის ღუმელში გამოვლილი სინამდვილე, მწვავე ბრძოლების, ვიწრო ბილიკების და დაუნდობელი შეტაკებების სინამდვილე გამოიმუშავებს, როგორც მომავლის პერსპექტივას. ეს გზა შეჯამებაა საუკუნეებში გაწეული შრომისა და ბრძოლის, ამ გზას მუხლმაგარნი და ნათელი იდეებით შეიარაღებულნი მიჰყვებიან.

ახალი ადამიანის უპირველესი გამომხატველი „მთვარის მოტაცებაში“ არის კომკავშირელი არზაყან ზვამბაია.

არზაყან ზვამბაიას გამო ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა ჟურნალ-გაზეთებში. მწერალს განსაკუთრებით იმას უსაყვედურებდნენ, რომ კომკავშირელი არზაყანი მთლიანად და სავსებით არ გაანთავისუფლა მწერალმა ძველი ტრადიციებისა და ცრურწმენებისაგან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალი ადამიანის მხატვრული სახის შექმნისას მწერალი არ სარგებლობდა რაიმე სქემით, არამედ ცდილობდა ობიექტური მხატვარი ყოფილიყო სინამდვილისა. ეს მისი მხატვრული მრწამსიდან გამომდინარეობდა. სულ სხვა საკითხია და მთელ რიგ პირობებთანაა დაკავშირებული ის გარემოება, თუ რატომ არ გამოუვიდა კ. გამსახურდიას არზაყანი იმ ძალის მხატვრული სახე, როგორსაც მიაღწია თარაშ ემხვარის მხატვრული განსხეულებისას.

უმთავრესი ის არის, რომ არზაყანი დამაჯერებელი, ტიპიური ცხოვრებისეული ხასიათია. მწერალს არ უცდია მისი შელამაზება. ერთ ადგილას არზაყანის წერილი მოჰყავს მწერალს, თამარისადმი მიწერილი და დასძენს: „ამასა და სხვა ამგვარს სწერდა მრავალს არზაყან ზვამბაია თავის გაურანდავი ქართულით... მე რომ მივშველებოდი არზაყანს, ეს არ ივარგებდა. რადგან არავინ დაიჯერებდა მაშინ გულწრფელობას მისას. ხოლო სიწრფელის კიდეგან ნაგულისხმევის ქაღალდზე გადატანა, სავსებით ამაოა და მცდარი ოცნება“ (რვატომეული, ტომი I, გვ. 270).

ეს საერთო ესთეტიკური მრწამსი მწერლისა სავსებით ეხება არზაყანის მხატვრულ სახესაც და არამარტო თამარისადმი შედგენილ წერილში, არამედ მთლიანად როგორც ინდივიდუალობას, და ტიპიურ ხასიათს. ამიტომ მწერალს დასაშვებად მიაჩნია, რომ არზაყანი რომანში, მიუხედავად თავისი კომკავშირელობისა, ერთგვარად შეზღუდულია ცრურწმენებითა და ტრადიციებით. და მართლაც ის რომ სავსებით თავისუფალი ყოფილიყო ყოველივე ამისგან, ნაკლებ დამაჯერებელი და სქემატური აღმოჩნდებოდა. ყოველივე ეს საჭიროა ცოცხალი მხატვრული სახის შესაქმნელად და არც იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რო-

მანის პერსპექტივის განსაზღვრისას, რადგან რევოლუციის არსი მხოლოდ მტრის, მოწინააღმდეგის დამარცხება და გაცამტვერება კი არ არის, არამედ საკუთარი შეზღუდულობისა და სისუსტეების დაძლევა, ცხოვრებისა და საკუთარი თავის გარდაქმნა. მთავარი ის არის, რომ არზაყანი იბრძვის სახალხო იდეალების განსახორციელებლად. იგი უახლოესი თანამებრძოლია ლიჩელისა და ჩალმაზისა, რომლებიც პარტიას განასახიერებენ რომანში. არზაყანის, ძაბულის, საურის, ჩალმაზისა და ლიჩელის გზა არის მომავლის გზა, მათი ბედი წარმოსახავს რომანის პერსპექტივას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომანის პერსპექტივის საკითხი ყოველთვის ასე პირდაპირ არ უკავშირდება გმირის ან გმირების პირადი ბედის გადაწყვეტას რომანის ფინალში. აქვე უნდა ითქვას, იმ ცნობილი ფაქტის გამო, რომ სწორედ 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანის დასაწყისში, როგორც რუსულ, ისე ქართულ პრესაში, წარმოებდა პოლემიკა ტრაგედიის შესახებ. ამ პოლემიკის ერთგვარი გამოძახილი იყო „ოპტიმისტური ტრაგედია" — აქ ლაპარაკია სათაურზე. ტრაგედიის საკითხი, ცხადია, კერძო საკითხია. მაგრამ აქ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გმირის პირადი ბედი შეიძლება ყოველთვის პირდაპირ არ განსაზღვრავდეს ნაწარმოების პერსპექტივას. შეიძლება გმირი დაიღუპოს კიდეც, მაგრამ ნაწარმოები თავისი არსით მომავლისაკენ იყოს მიმართული. აქ, ცხადია, აუცილებელი არ არის ტრაგედიის პარალელი. რომანისტიკამაც იცის საკმაო მაგალითები, როცა გმირის ან გმირების მთელი ჯგუფის დაღუპვა არ იწვევს იმ საქმის მარცხს, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ.

სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე 30-იანი წლების ქართული რომანისტიკის მეორე მნიშვნელოვან ნაწარმოებში, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში". რომანში კარგად ჩანს, რომ არსენასა და მისი თანამებრძოლების დაღუპვა დროებითი მარცხი იყო. მთელი ნაწარმოები მშრომელთა სამართლიანი საქმის მომავალი გამარჯვების რწმენით არის აღბეჭდილი. ხალხური „არსენას" ტიპი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა არსენა ოძელაშვილის მხატვრული სახე „არსენა მარაბდელში", კარგად დაუკავშირდა რომანში გლეხთა აჯანყებებს. XIX საუკუნის მთიულეთის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებანი, როგორ იერსაც არ აძლევდნენ მათ ამ გამოსვლების იდეოლოგები, ყოველთვის მშრომელი გლეხობის ორმხრივი უსაზღვრო ექსპლუატაციის გამო იყო წარმოქმნილი. ამიტომაც გლეხობის ამ აჯანყებებთან ხალხური არსენას დაკავშირება — სავსებით ბუნებრივი, რეალისტური გზა იყო. ცხადია, აქ იმის განმარტება არ დაგვჭირდება, ალბათ, რომ სიტყვა ყაჩაღი, რომელიც არსენას ახლდა ეპითეტად ხალხურ ლექსში, სავსებით აღარ შეესაბამებოდა საკუთარ ეტიმოლოგიურ შინაარსს და უკვე სხვა სემანტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული. რომანში კიდევ უფრო გაქარწყლებულია „ყაჩაღის" მნიშვნელობა. არსენა მარაბდელი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი შეუდრეკელი გმირია. არსენას და მისი თანამებრძოლების სიკვდილი რომანის დასასრულს ოდნავადაც არ აეჭვებს მკითხველს მშრომელთა გამარჯვებაზე მომავალ ბრძოლებში. პირიქით, არსენას ვაჟკაცური შემართება და თავდადება რომანში გვესახება, როგორც წინაპირობა შემდგომ თაობათა ბრძოლაში მშრომელთა მართალი საქმის გამარჯვებისათვის.

ამავე ასპექტშია გადაწყვეტილი უცნობი ჯარისკაცის მხატვრული სახე სერგო კლდიაშვილის რომანში „ფერფლი" (ჩვენ მხედველობაში გვაქვს რომანის პირველი წიგნი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა). უცნობი ჯარისკაცი იღუპება, უფრო სწორად, მის დღიურებს ჩვენ რეტროსპექტულ პლანში ვეცნობით, როცა იგი უკვე აღარ არის ცოცხალი. მაგრამ როგორი ძალა და შემართება წარმოიქმნება ამ დღიურებიდან, როგორი რისხვა და მშრომელთა მომავალი გამარჯვების რწმენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცნობი ჯარისკაცი არ არის „ფერფლის" ერთადერთი გმირი, რომელთანაც დაკავშირებულია რომანის პერსპექტივის საკითხი, მომავალი დროის პრობლემა; აქვე უნდა აღინიშნოს რელიეფურად გამოხატული პერსონაჟები — იაკობ მეიერი, არსენა და სხვ. საერთოდ, „ფერფლმა" პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში გარკვეული სიახლე შეიტანა და ეს იმთავითვე შენიშნა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ (გ. ნატროშვილი, „ფერფლი", „მნათობი", 1932 წ. № 3-4).

რემარკის რომანი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია" წარმოადგენს დიდი მხატვრული ძალის პროტესტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასეთივე მიმართულების ნაწარმოებებია ჰემინგუეის „მშვიდობით იარაღო", ჰაშეკის „შვეიკის თავგადასავალი" და სხვ. და მაინც „ფერფლი" განსხვავდება ყველა ამ ნაწარმოებებიდან. არც რემარკის, არც ჰემინგუეის ზემოთაღნიშნულ რომანებში არც ერთ გმირს არ გააჩნია რწმენა მომავლისადმი და ამიტომაც გმირები ინერტულნი და სასოწარკვეთილნი არიან. „ფერფლი" მომავლისაკენ მიმართული ნაწარმოებია და ყველაზე მეტად ეს მოსჩანს სწორედ დაღუპული უცნობი ჯარისკაცის დღიურებში. პერსპექტივის თვალსაზრისით, მომავლის რწმენისა და წარმოდგენის თვალსაზრისით, შესაძლო იყო პარალელი გაგვევლო ანრი ბარბიუ-

სის „ცეცხლსა“, „სინათლესა“ და „ფერფლს“ შორის.

„ფერფლი“ ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთ პირველ ადგილს იჭერს და წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის ასახვის წარმატებით დამთავრებულ ცდას ქართულ ლიტერატურაში.

როგორც უკვე ვთქვით, პირველმა მსოფლიო ომმა მრავალმხრივი ასახვა ჰპოვა მსოფლიო ლიტერატურის მრავალ ნაწარმოებში. ბევრმა მწერალმა ამ ომის საშინელებანი ისე მაღალმხატვრულად და დიდი ემოციური ძალით გამოხატა, რომ ზოგიერთმა მათ შორის მსოფლიო მწერლის სახელი მოიპოვა. მეტწილად ეს ნაწარმოებები გვიჩვენებენ ომის მთელ საშინელებას, ადამიანების ფიზიკურ და მორალურ განადგურებას. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამაზე შორს ვერ მიდიან და მათი რომანები სასოწარკვეთილების მძიმე უღელს ადებენ მკითხველს. ამ თხზულებათა მაღალ მხატვრულ დონეს და მათ დიდ ემოციურ ძალას მკითხველი შეჰყავს გმირთა სულიერი ცხოვრების ლაბირინთში და თითქოს მათი ყოფის მონაწილედ ხდის. მათი განწირულება, გამოუვალი მდგომარეობა უსასოობას და სასოწარკვეთილებას უნერგავს მკითხველს. ამ ნაწარმოებებში დიდებითაა მოსილი ყოველი გმირის ადამიანური სიკეთე, კეთილი გრძნობები, ამხანაგობა, მეგობრობა, კაცური კაცობა, ოღონდ დაწყევლილი გარემო პირობებიდან არ ჩანს გამოსავალი და ეს კარგი ადამიანები შეჩვენებულებივით დადიან ამ ქვეყნად, ბნელით მოცულ გარემოში არ ჩანს ნათელი წერტილი, რომელიც უჩვენებდეს გზას მომავლისაკენ.

ეს თემა ძლიერადაა წარმოდგენილი „ფერფლშიაც“. მიუსაფარი, უსასოო და უიმედო ადამიანი, რომელიც გაუტეხია ცხოვრებას ფიზიკურად და მორალურად, აქაც დიდი მხატვრული ძალით არის წარმოსახული. მაგრამ ლაზარეს თემის გვერდით, „ფერფლს“ აქვს სხვა მიმართება, სხვა თვალთახედვა, სხვა იდეური პოზიცია. ეს არის რევოლუციის და რევოლუციონერის თემა. ეს თემა მოიცავს როგორც ფრონტის, ისე ზურგის პერსონაჟებს. ამ მხრივ როგორც უკვე ვთქვით „ფერფლი“ ანრი ბარბიუსის „ცეცხლთან“ პოულობს პარალელებს.

შექმნილი მდგომარეობიდან რევოლუციის გზით გამოსვლა, პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა დაკავშირებულია ახალ მსოფლმხედველობასთან, ამომავალი კლასის ისტორიულ თვალსაზრისთან, რომელიც ახალი კუთხით აყენებს სინამდვილის მხატვრული ათვისებისა და ასახვის პრობლემას. და აქ ბუნებრივად წამოიჭრება ასახვის მეთოდის საკითხი. კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, „ფერფლის“ მთლიან მხატვრულ კონცეფციაში ომის მრისხანე წლებშიაც კაცობრიობის, კაცის, ადამიანის გზა არ არის ბურუსით მოცული და სრულიად გაუგებარი. რაც მთავარია, მშრომელმა ადამიანმა, მუშამ და გლეხმა თავათ უნდა იბრძოლონ საკუთარი თავდახსნისათვის. ს. კლდიაშვილი თავისი რომანით „ფერფლი“, სხვა რომანებთან ერთად, განამტკიცებდა სოციალისტურ რეალიზმს, როგორც მხატვრული მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის საფუძვლებს. დროის პრობლემა აქ ბუნებრივად უკავშირდება კლასობრივ თვალსაზრისს ისტორიაზე, ადამიანთა საზოგადოების წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე.

* * *

რომანის დროის კვლევის მეტად საინტერესო ასპექტად მიგვაჩნია ტექსტის ინტენსიურობა, კალენდარული დროის მოვლენებითა და აღწერებით დატვირთვა, ან განთავისუფლება, ნაჭერობა ან სიცარიელე მისი. ფრიად საინტერესოა აგრეთვე, როგორ ვლინდება, მაგალითად, აღწერაში დროის მრავალი განზომილება. ამის დადასტურება თითქმის ყოველ თავში შეიძლება იპოვნოთ „მთვარის მოტაცებაში“. მაინც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ქვეთავი „ქანგმოცარული მიმინო“.

„ვარდანიძე-ემხვარების უკანასკნელ ნაშიერს მოხუცებული ცირუნიასა და ბებერი მწევრის მეტი არავინ დაუხვდა შინ. ცირუნია მთლად დაყრუებულიყო, მწევრისთვის ფეხი მოემტვრიათ მეზობლის ბიჭებს. წინაპრების, ნათესავების ფოტო-სურათებიღა დარჩენილიყვნენ ცარიელ კედლებზე — უკანასკნელი ნოხებიც გაუყიდნია ცირუნიას დედა მაიას დასამარხავად“.

ეს ერთი აბზაციც კი მთელი ოჯახის ისტორიის დამტევია, ხოლო ვარდანიძე-ემხვარების საგვარეულო ციხის ნაშთები უფრო შორს გადააწვდენს მწერლისა და მკითხველის თვალსაწიერს.

ზემოთმოყვანილი მაგალითები თუნდაც დროის გამოსახვის თვალსაზრისით იმის დასაბუთებაა, რომ 30-იანი წლების რომანში პრობლემათა წრე ძირფესვიანად გარდაიქმნა. „დიონისოს ღიმილის“, „სანავარდოს“, ისტორიული რომანების — „არმაზის მსხვრევის“, „გიორგი რუსის“ ზოგადი, ზოგჯერ ეფემერული მხატვრულ-ფილოსოფიური პრობლემები ადგილს უთმობენ რეალურ, სადღეისო და მომავლის პრობლემებს. მიმდინარე ცხოვრების ღრმა შინაარსის ამოცნობა ხდება „მთვარის მოტაცების“, „გვადი ბიგვას“, „ფერფლის“, „კოლხეთის ცისკრის“ შინაარსი და საფუძველი. ამავე პრობლემების გახსნას უწყობს ხელს ამ პერიოდის ისტორიული რომანები — „არსენა მარაბდელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, რევოლუციური წარსულის ამსახველი რომანები — „ბათა ქექია“, „ქალის ტვირთი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე სურგულაძე

# ქართველი ქალი და ჩვენი ისტორია

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგშიაც, შეინიშნება საქართველოში ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. ამ გარემოების ახსნა, ალბათ, საქართველოს ისტორიის განვითარების თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

კლასობრივ საზოგადოებას წინ უსწრებდა პირველყოფილ-თემური წყობილება, რომელიც ორი ეტაპის შემცველია: მატრიარქატისა და პატრიარქატის. რაოდენ უფრო ძველია კაცობრიობა ისტორიის ესა თუ ის ეტაპი, იმდენად ის უფრო ხანგრძლივიც არის. ამის მიხედვით, მატრიარქატი საერთოდ, უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე პატრიარქატი. ამ საერთო წესის გარდა, შესაძლებელია, საქართველოს ისტორიაში იმ თავისებურებას ჰქონდა ადგილი, რომ მატრიარქატი განსაკუთრებით დიდხანს ბატონობდა, ხოლო პატრიარქატი ხანმოკლე იყო, ან კიდევ, პატრიარქატი იმ თავისებურებას შეიცავდა, რომ მასში ძლიერად **მოქმე**დებდა მატრიარქატის ინსტიტუტები. შემდეგში, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისას, ამ საზოგადოებას მატრიარქატის ძლიერი გადმონაშთები გადმოეცა. ასეთ **გადმონაშთებად** უნდა ჩაითვალოს ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა საქართველოში. თუ კი ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ აღიარებულია, რომ ფეოდალიზმის პერიოდის ათალიკობა მატრიარქატიდან — პატრიარქატში გადასვლის დროის გადმონაშთურ მოვლენას წარმოადგენს, მაშინ ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ჩვევის მატრიარქატის გადმონაშთურ მოვლენად აღიარება არ იქნებოდა უცნაური.

ფრ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ქალს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზეც კი.[1]

მონოგამიამ, რომელიც რომის იმპერიის ნანგრევებზე წარმოიშვა და განვითარდა გერმანელებში, განსხვავებით წინათ არსებული მონოგამიისაგან, მამაკაცის ბატონობა ოჯახში უფრო რბილ ფორმებში განავითარა, იმის გამო, რომ გერმანელები განიცდიდნენ წყვილადი ქორწინების გავლენას, როცა ოჯახში ჯერ კიდევ ქალი ბატონობდა.[2]

ამგვარადვე შეიძლება საქართველოშიც ქალის პატივისცემა მატრიარქატის გადმონაშთებით ავხსნათ.

ფ. ენგელსის აზრით, გერმანელებში ქალების ასეთი პატივისცემის ჩვეულება „არაა გამოწვეული გერმანელების ვითომდა ზღაპრული, სასწაულებრივი მიდრეკილებით ზნეობრივი სიწმინდისადმი“,[3] არამედ არის შედეგი შემდეგი გარემოების: „როცა გერმანელები ისტორიულ არენაზე გამოვიდნენ“, მათში, „ალბათ, სიღარიბის გამო, მონოგამია, როგორც ეტყობა, იმ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა სავსებით განვითარებული წყვილადი ცოლქმრობიდან“.[4] ე. ი. წყვილადი ცოლქმრობის გავლენა, ჯერ კიდევ დიდი იყო; წყვილადი ცოლქმრობის დროს კი, როგორც აღვნიშნეთ, ქალი ბატონობდა.

რასაკვირველია, ქალის პატივისცემის ჩვეულებას საქართველოში, ისე როგორც გერმანელებში, საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიური განვითარება განაპირობებდა.

ქალისადმი განსაკუთრებული პატივისცემა საქართველოში ასახულია „ვეფხისტყაოსანში“ და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებში. მოვიყვანოთ მაგალითები.

თეიმურაზ I და როსტომის შეტაკების დროს, როსტომმა გაიმარჯვა და თეიმურაზ I ალყა შემოარტყა. ბრძოლის პროცესში როსტომის ბანაკში გამოცხადდა თეიმურაზის მეუღლე და გარშემორტყმულთათვის გზა ითხოვა იმერეთში წასასვლელად. როსტომმა დიდი პატი-

ვით მიიღო დედოფალი და თხოვნაც შეუსრულა.[5] როსტომ მეფე მაჰმადიანი იყო და თეიმურაზ I-ზე სპარსეთის დახმარებით გაიმარჯვა, მაგრამ როსტომი ადგილობრივ ჩვეულებას უწევდა ანგარიშს და ამიტომაც ასეთი პატივისცემა გამოიჩინა თეიმურაზის მეუღლის მიმართ, რომელიც მისი ნათესავიც იყო.

თეიმურაზ II და ერეკლე II, ურჩ და ძლიერ ფეოდალს გივი ამილახვარს ალყა შემოარტყეს. ამილახვარი ციხეში იყო ჩაკეტილი და თავგამოდებით იბრძოდა. ციხის აღება გაძნელდა. ამილახვარსაც გაუჭირდა და მეფეებს შემოუთვალა: თამარ დედოფალი (თეიმურაზის მეუღლე) მოვიდეს და იმას ჩავბარდებიო. სასწრაფოდ გამოიწვიეს დედოფალი ადგილზე. გივი ამილახვარი გამოვიდა ციხიდან და დედოფალთან გამოცხადდა.[6]

ასეთი მაგალითები სხვაც არის.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საქართველოში მიღებული ჩვეულების თანახმად სასიკვდილოდ შერკინებულ მამაკაცებს შორის, საკმარისი იყო ქალს მანდილი ჩამოეგდოთ, რომ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს გასცლოდნენ.

„დედის ლეჩაქი“ საფიცარი იყო ქართველი ვაჟკაცისათვის.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ქართული ტერმინით „დედაკაცით“ მინიშნებულია, რომ დედაც, ე. ი. ქალიც კაცია და მამაც — ე. ი. მამაკაცი.[7]

ილია წერს: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდს ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც — კი — გუთნის დედას“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა — „დედაკაცმა“ — ქალს.[8]

საქართველოს ისტორიაში ქალები დიდ როლს ასრულებდნენ, ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ცნობები, ძირითადად მხოლოდ მაღალი წრის ქალების შესახებ. მოკლედ განვიხილავთ ზოგიერთ ამ ცნობას, რომ ვუჩვენოთ ქართველი ქალის როლი, მისი აქტიური საქმიანობა და ამ საქმიანობის მნიშვნელობა.

ხაზართა მეფემ მოციქული მიუგზავნა ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს და ითხოვა მისი დაი შუშანი ცოლად. ჯუანშერმა და მისმა დედამ — ხაზართა მეფეს უარი უთხრეს, მათ ეს დაასაბუთეს კიდეც: ხაზართა მეფე წარმართია, ჩვენ კი ქრისტიანები ვართო. სჯობს ქრისტიანულ ბიზანტიაში გავიქცეთ, ვიდრე ეს საქმე გავაკეთოთო.[9] ამასთან ერთად შუშანმა „აგინა ხაზართა მეფესა“.[10]

როგორც ჩანს, წარმართობა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ხაზართა მეფის და საერთოდ ხაზართა ქვეყნის განვითარების დაბალ დონესთან, მათ ბარბაროსობასთან. პასუხში ისიც ჩანს, რომ ხაზარებთან ბრძოლა საძნელოა, და ამასთან დაკავშირებით საბერძნეთში გაქცევაზეა საუბარი.

მართლაც, ხაზარები ძლიერები აღმოჩნდნენ. სამი წლის შემდეგ ხაზართა მეფემ გამოგზავნა ქართლში სპასალარი ბლუჩან ჯარით; ხაზართა ჯარმა კახეთში აიღო ის ციხე, რომელშიაც თავშეფარებულნი იყვნენ ჯუანშერი და დაი მისი შუშანი, დაატყვევა ისინი და გაემართა ხაზარეთს. გზაში, დარიალის მიდამოებში დაი ეუბნება ძმას: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკვდილი... ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერო. ჰქონდა მას ბეჭედი, აღმოუგდო მას თუალი და მოწოვა იგი, რამეთუ იყო თუალსა მის ქუეშე წამალი სასიკუდინე, და მუნქუესვე მოკუდა“.[11]

ქალი გმირი აღმოჩნდა. მან სიკვდილი არჩია ძალადობით ქორწინებას.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობის დაცვა, მაშინდელ ვითარებაში, სამშობლოს დაცვასაც ნიშნავდა. ასეთი გმირი ქართველი ქალები სამშობლოსათვის თავდადების მაგალითს უჩვენებდნენ ყველას. ისინი მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ შუშანის დედა აქტიურ მომქმედ პირად არის გამოყვანილი: ჯუანშერთან ერთად ის აძლევს პასუხს ხაზართა მეფეს.

„ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში; აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება... უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში“.[12] ტაო-კლარჯეთში „სამონასტრო ცხოვრების მეთაურად შეიქნა გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებით“.[13]

გრიგოლის მიერ აშენებული იყო სამი მამათა და ორი დედათა მონასტერი.

გრიგოლთან ერთად აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა დედათა მონასტრის (მერეს) წინამძღვარი ფებრონია, რომელიც კარგად ასრულებდა გრიგოლის დავალებებს.[14]

გრიგოლი და ფებრონია ხშირად საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხებზე და „იყო ჩუეულებადცა მის ჟამისა წინამძღუართა მამათაჲ, რამეთუ თვინიერ დედისა ფებრონიაჲს განზრახვისა საქმე არაჲ ხელ-ყვიან“.[15]

მაშასადამე, ფებრონია იმდენად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, რომ მონასტერთა წინამძღვარნი და თვითონ გრიგოლ ხანძთელი მასთან თათბირის გარეშე არ სწყვეტდა საკითხებს. როგორც ჩანს, ფებრონია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებაში.

ორჯერ საქართველოში მეფეებად ქალები იყვნენ (თამარი და რუსუდანი). ცნობილია ის გარემოება, რომ თამარი სახელმწიფოს ნიჭიერად, ენერგიულად და საქმის დიდი ცოდნით მართავდა. ის რთული ვითარებიდანაც ნახულობდა გამოსავალს. ამავე დროს, თამარი უაღრესად ჰუმანური ადამიანი იყო, მან მოსპო სიკვდილით სასჯელი, ასეთი ზომა არც ერთ ექსპლოატატორულ სახელმწიფოში არ განხორციელებულა ამ ეპოქაში.

რაც შეეხება რუსუდანს, მძიმე პირობებში მოუხდა მას მეფობა. მის დროს საქართველო ჯერ ჯალალ-ედინმა დალაშქრა, ხოლო შემდეგ მას მონღოლები შემოესიან. რუსუდანის შესახებ ცილისმწამებლური ცნობებია გავრცელებული, თითქოს მან თავის ქალსა და ძმისშვილს უღალატა; სხვა შრომაში ჩვენ დასაბუთებული გვაქვს, რომ რუსუდანი ამ საქმეში მართალია, რომ ის როგორც დედოფალი დიდი პატრიოტი იყო, ხოლო როგორც დედა — თავგადამკვდარი მშობელი შვილებისათვის და შვილების ჯავრს გადაჰყვა კიდეც.[16]

სამეფო კარზე დიდ როლს ასრულებდა გიორგი III დაი რუსუდანი. გიორგი III გარდაცვალების შემდეგ დიდებულებმა რუსუდანს მოახსენეს თამარის ტახტზე ასვლის საკითხის შესახებ; რუსუდანი იყო თამარის გამზრდელი.[17] რუსუდანის თანხმობით გაგზავნეს მოციქულები თამარის საქმროს საქართველოში ჩამოსაყვანად; რუსუდანი სახელმწიფოს მმართველობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

თამარ მეფემ აჯანყებულებს (ყუთლუ-არსლანის მომხრეებს) მოციქულებად ხუაშაქ ცოქალი — ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა და კრავაჲ ჯაყელი — დიდგვარიან აზნაურ სამძივართა დედა მიუგზავნა; ხაპატიო მანდილოსნებმა სანაქებოდ გაართვეს თავი დავალებას.

თრიალეთის მფლობელი ერისთავთერისთავი ლიპარიტი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა ბაგრატ IV, ერთხანს დაამარცხა კიდეც მეფე და სამშობლოდან გააქცია (ბიზანტიაში). ხანამ ბაგრატი საბერძნეთს იყო, ლიპარიტმა მოითხოვა მეფედ ბაგრატის შვილი გიორგი II, უფლისწული „მოიყვანეს საყდარს რუისისას და აკურთხეს მეფედ“. „მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაი ბაგრატისი, გუარანდუხტ დედოფალი... შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან“. ბიზანტიის მეფემ გამოგზავნა ბაგრატი „დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძთა მიუწვდომელითა“. სამშობლოსაკენ წამოსულ ბაგრატ IV-ეს „მიეგება ყოველი ლაშქარი“, იყო „სიხარული და ღვთის მადლობა დიდი“ და მეფე „შემოვიდა სახლად თვისად ქუთათისს“. ამის შემდეგ მან სძლია ლიპარიტს.[18]

როგორც ვხედავთ, მეფის დაი დედოფალი გუარანდუხტ აქტიური მონაწილეა სახელმწიფოებრივი საქმიანობის.

გუანცა დედოფალი, რაჭის ერისთავის ასული, ავაგ ათაბაგის მეუღლე, ავაგის გარდაცვალების შემდეგ ულუ დავითის მეუღლე, დიმიტრი თავდადებულის დედა — იყო უაღრესად ენერგიული და გონიერი ადამიანი. დედოფლად გახდომის შემდგომ ავაგის მამული, რომელშიაც დედოფალმა დატოვა თავისი ქალი ხუაშაქი, სადუნ მანკაბერდელს ჩააბარა. სადუნი მონღოლების მიერ ძლიერ განდიდებული მედროვე იყო და მოინდომა საათაბაგოს ხელში ჩაგდება. გუანცა დედოფალი ამის საშუალებას მას არ აძლევდა; გუანცა, დავითის სამშობლოში არ ყოფნის დროს, სახელმწიფოს ფაქტიურად თვითონ განაგებდა. როდესაც დავით VII-ემ მონღოლების წინაალმდეგ შეთქმულება მოაწყო, მაშინ მონღოლებმა გუანცა პატარა ბავშვით დაპატიმრეს და ყოვლად შემძლე სადუნმა მოახერხა გუანცას დაღუპვა მონღოლების საშუალებით.[19]

საყურადღებოა ალექსანდრე I-ის (1476-1511) დედის — ნესტან-დარეჯანისა და მეუღლის — ანას მოღვაწეობა. „დედოფალთ-დედოფალი ნესტან დარეჯან და ძე მათი ალექსანდრე და დედოფალი ანა, ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა... მაშენებელნი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ხელ ეყო განწმენდად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმინდეს“... ისინი ეწეოდნენ კულტურულ მოღვაწეობას, უვლიდნენ ქართული კულტურის ძეგლებს, ზრუნავდნენ საქართველოს ისტორიის წყაროების შენახვისათვის; „ანასეული ქართლის ცხოვრება“ ანა დედოფლის ბრძანებით არის გადაწერილი.

ქეთევან დედოფალი იყო კახეთის მეფის დავითის მეუღლე, რომლისაგანაც ჰყავდა შვილი თეიმურაზი; დავითი იყო ალექსანდრე II-ის (1574-1605) შვილი. დავითმა მამას ტახტი წაართვა, მაგრამ ადრე გარდაიცვალა და ტახტზე ისევ ალექსანდრე ავიდა. ქვრივმა დედოფალმა

ქეთევანმა შვილი თეიმურაზი სპარსეთში გაგზავნა მტრების შიშით.

ალექსანდრე II-ის ერთი შვილი კონსტანტინე იზრდებოდა შაჰ-აბასთან „სჯულსა ზედა მაჰმადისა“. შაჰ-აბასი ვერ ითმენდა ალექსანდრეს რუსულ ორიენტაციას, მან გამოგზავნა კონსტანტინე კახეთში დავალებით: მოკალი მამა და ძმა და დაიჭირე კახეთის ტახტიო. კონსტანტინემ მოკლა ალექსანდრე და ძმა გიორგი და მიუგზავნა რძალს ქეთევანს მოციქული — ცოლად გამყევი — „ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულთა მაჰმადისაო“. აღშფოთებულმა ქეთევანმა ფეხზე დააყენა მთელი კახეთი, მოაწყო აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ, დაამარცხა კონსტანტინე და მოკლა ის, ხოლო სპარსეთის ჯარი, რომელიც კონსტანტინეს ახლდა, გარეკა საქართველოდან. ცბიერმა შაჰ-აბასმა მოითმინა ეს, მოიხმო თეიმურაზ და უთხრა: კონსტანტინეს ცუდი საქმე ჩაუდენია, დაუხოცავს მამა და ძმა და თვითონაც მოუკლავთ, ახლა კი შენ წადი კახეთში მეფედ და ჩემი ერთგული იყავიო.20

თეიმურაზი გამეფდა კახეთში, მაშინ ის იყო ცამეტი წლის და სამეფოს განაგებდა ქეთევან დედოფალი.

შაჰ-აბაზს თეიმურაზმა არ გაუმართლა, ქეთევან დედოფალი და თეიმურაზი ქართველობისათვის იბრძოდნენ; ეს გარემოება კი სწორედ სპარსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ვერაგმა შაჰ-აბასმა თეიმურაზს შვილის გაგზავნა მოსთხოვა მასთან. თეიმურაზი იძულებული შეიქნა გაეგზავნა შვილი ალექსანდრე და დედა ქეთევანი. ცბიერმა შაჰმა ქეთევანი „დიდი პატივით“ მიიღო გარეგნულად, ხოლო თეიმურაზს მეორე შვილი მოსთხოვა. ქეთევანმა გამოიცნო შაჰ-აბასის ცბიერება და აცნობა თეიმურაზს, რომ მეორე შვილი არ გამოეგზავნა, მაგრამ თეიმურაზს გაუძნელდა შაჰისათვის უარის თქმა და მან მეორე შვილიც გაისტუმრა სპარსეთში. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზს მოსთხოვა, რომ თვითონაც გამოცხადებულიყო მასთან. ახლა კი ყველასათვის აშკარა შეიქნა შაჰის ვერაგობა.

შემდეგში დედოფალი ქეთევანი ორი შვილიშვილით შაჰმა შირაზს გაგზავნა ტყვეებად. კიდევ უფრო გვიან, თეიმურაზის და ქართველობის სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, შაჰ-აბასმა უფლისწულები დაასაჭურისებინა — ალექსანდრე ამის შედეგად გარდაიცვალა, ლევანი შეიშალა, ხოლო შირაზის ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სახჯელით მოჰკალიო“.

ხანი იცნობდა ქეთევანსა და თეიმურაზს, იცოდა ქეთევანის ხასიათი, რომ ის არ „გათათრდებოდა“ და შაჰ-აბასს შეუთვალა: „ბერი დედაკაცი არისო, და ახლა ეს არ გათათრდებისო... დაეხსენითო“, მძვინვარე შაჰ-აბასმა გაიმეორა თავისი ბრძანება.

ქეთევანმა კატეგორიული უარი განაცხადა „გათათრებაზე“. მაშინ შემოაცილეს მსახურები დედოფალსა და გაათათრეს ისინი. მსახურები და მღვდელი ევედრებოდნენ ქეთევანს, რომ არ გაეწირა სიცოცხლე. ქეთევანი მტკიცედ იყო თავის სიტყვაზე. აუწერელი სატანჯველი მიაყენეს ქეთევანს. გახურებული მარწუხებით უგლეჯდნენ ხორცს, გახურებულ ლურსმნებზე გააწვინეს შიშველი ტანით, შამფურებით უჩხვლეტდნენ სხეულს, მაგრამ ქეთევანი „გათათრებაზე“ ვერ დაითანხმეს და ამ წამებაში ამოხდა მას სული.21

ასე გმირულად ეწირებოდნენ სამშობლოს ჩვენი წინაპრები და ამან გადაარჩინა ქართველი ხალხი გადაგვარებასა და მოსპობას, ამას უნდა ვუმადლოდეთ დღევანდელ ჩვენს არსებობას. ქართველმა ხალხმა მრავალი ძლიერი დამპყრობელი მოიგერია: სპარსეთი, რომი, ბიზანტია, კვლავ სპარსეთი, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, თემურ-ლენგი, ოსმალეთი, ისევ სპარსეთი და სხვა.

და თუ მაინც ქართველობა არსებობს და წვლილი შეაქვს მსოფლიო საგანძურში, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მამაკაცებთან ერთად ქეთევანისთანა სახელოვან ქალებს.

ნინო, ქართველთა განმანათლებელი, თამარი, ქართველთა მეფე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, და ქართველობისათვის წამებული ქეთევან დედოფალი ქართველი ხალხის სათაყვანებელი პიროვნებები არიან.

ქალი მამაკაცის თანასწორი არ იყო, მაგრამ ფეოდალის ოჯახში ქალს გარკვეული უფლებები ჰქონდა და ოჯახის საქმეები მასაც ეკითხებოდა.

გიორგი სააკაძის დედა „ბატონი თამარი“ საპატიო პიროვნებაა, მას საკუთარი ქონება აქვს, ამასთანავე, ოჯახურ საქმეებში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. როდესაც გიორგი არ არის სამშობლოში, დედას სთხოვენ პასუხს ოჯახის ყოველგვარ საკითხებში.22

როდესაც საკითხი დგას გიორგი სააკაძის ოჯახიდან ქალის გათხოვების შესახებ, თვითონ გიორგი სააკაძე ამბობს ამის შესახებ: „ბატონ დედაჩემსა და შინ ვკითხაო“; როგორც ჩანს, მთავარი აქ ოჯახის დედაა, მაგრამ „შინ კითხვა“ იმასაც უნდა გულისხმობდეს, რომ გასათხოვარ ქალსაც შეეკითხებოდნენ ამის შესახებ.23

ფრიად საყურადღებო ისტორიული პიროვნებაა დედოფალი მარიამი. მრავალი უბედურება დაატყდა მას თავს პირად ცხოვრებაში. ლევან II დადიანის ნახევარი და, ის იყო სვიმონ გურიელის მეუღლე; სიძე-ცოლისძმას შორის გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა ლევანმა,

ამოწვა თვალები სვიმონს და იქ გურიელად სხვა დასვა, ხოლო მარიამი პოლიტიკური ანგარიშის საფუძველზე მიათხოვა გამუსულმანებულ როსტომს, ქართლის საკმაოდ ხანდაზმულ მეფეს.[24]

ქართლში მარიამმა დაკარგა ერთადერთი შვილი — ოტია, რომელიც გურიელიდან ჰყავდა (ოტია იყო ტახტის მემკვიდრე ქართლში).

1658 წელს როსტომი გარდაიცვალა, ხოლო „დედოფალი მარიამი შეიყვანეს ტფილისის ციხეში", ე. ი. სპარსელებმა დაპატიმრეს.[25] ქართლი მაშინ სპარსეთის ვასალი იყო. შემდეგ მარიამი სპარსეთში გაიწვიეს. მარიამმა შაჰს გაუგზავნა ერთი მუჭა თეთრი თმა, ნიშნად იმისა, რომ ის ხანდაზმულია. შაჰმა მარიამი დატოვა ქართლში, ხოლო უბრძანა მარიამსა და ქართლის ახალ მეფეს ვახტანგს — შეერთებულიყვნენ. ვახტანგი იძულებული იყო გაეყროდა როდამს, ორბელიანის ქალს, სულხან-საბა ორბელიანის მამიდას, რომლისაგანაც მას ჰყავდა შვილები (არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი, ანუკა და თამარი) და შეერთო მარიამი.[26]

უბედობა მარიამს თითქოს საფლავშიც ჩაჰყვა. ცრუმორწმუნეობის საფუძველზე მოთხარეს მისი საფლავი, მოსჭრეს თავი და ისევ დამარხეს.

მარიამი იყო ქრისტიანი, ხოლო როსტომი — მაჰმადიანი. ამავე დროს, როსტომი იყო სპარსული ორიენტაციის, სპარსული პოლიტიკის გამტარებელი; „როსტომ მეფის წადილი ესე იყო რომ უყაენოდ" ნაბიჯს არ გადადგამდა".[27]

მემატიანის გადმოცემით, როსტომის დროს „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება".

ვახუშტიც აღნიშნავს, რომ როსტომის მეფობის დროს „ყიზილბაშთა რიგს" ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებაში გარკვეული გავლენა ჰქონდა.[28]

მუსულმან როსტომის სასახლეში სპარსული სული ტრიალებდა. როსტომს, როგორც სპარსეთის ვასალს, სპარსელი მრჩევლებიც ჰყავდა. ქრისტიანი მარიამი ამ წრეში იყო და საყურადღებო ის არის, რომ მარიამმა სწორედ ამ დროს ფართოდ გაშალა პატრიოტული მოღვაწეობა; ის ეწეოდა ქართული ქრისტიანული ძეგლების შეკეთებას, მფარველობდა ქართულ მწერლობას, ქართულ წერილობით ძეგლებს.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ყველასათვის ცნობილი „მარიამისეული ქართლის ცხოვრება", მარიამის სახელს იმიტომ ატარებს, რომ ის გადაწერილია მარიამის თაოსნობით, მისი ბრძანებით.

მარიამი ნამდვილი პატრიოტი იყო. ეს კარგად იცოდნენ მისმა თანამედროვეებმა. ფარსადან გორგიჯანიძე გადმოგვცემს, რომ როდესაც სიაოშ ბარათაშვილი და ბაინდურ თუმანისშვილი შეიბნენ, მეფე როსტომი, და თათრები ბაინდურის მხარეზე იყვნენ, ხოლო „დედოფალი და ქართველნი" ბარათაშვილს „მიუდგნენო".[29]

მარიამი ფართო ხასიათის ეროვნულ-კულტურულ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა. ძნელია ჩამოთვლა ყველაფერი იმისა, რაც მარიამს გაუკეთებია. ისტორიკოსი მას მართებულად ადარებს თამარ მეფეს: „დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი — შესამოსლითა ხატითა, ჯუარითაო და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა და ედვა ამ დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად ალარავინ" არისო.[30]

ჩვენ ზემოთაც ვთქვით, რომ შუა საუკუნეებში ქართველი ხალხისათვის ქრისტიანობისათვის ბრძოლა მაჰმადიანური გარემოცვის ვითარებაში ნიშნავდა ქართველობისათვის ბრძოლას.

ვახტანგ V შანავაზის ქალი — ანუკა გათხოვილი იყო შაჰ-აბას II-ზე. ბერი ეგნატაშვილი მას ასე ახასიათებს: „სულ ერანში მისი სიკეთე ასე განფენილიყო, რაც ქალი კარგს იქმოდა რასმე, იტყოდენ, — ანუკა ბატონიშვილისაგან უსწავლიაო".

ერეკლე II-ეს მეუღლე დარეჯანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ერეკლე II-ეს რძალი, გიორგი XII-ეს პირველი მეუღლე ქეთევან ანდრონიკაშვილი იშვიათი პიროვნება აღმოჩნდა. მას გზაში, ლართისკარის ვიწროებში, თავს დაესხნენ ქართლ-კახეთში მოთარეშე ლეკები. ქეთევანი არ დაიბნა: ის სათავეში ჩაუდგა თავის მხლებელთ და თავდამსხმელ ლეკებს ისე მედგრად დახვდა, რომ 800 კაცით სასტიკად დაამარცხა 500-კაციანი ლეკთა ჯარი. ერეკლე II აღფრთოვანებული იყო ქეთევანის გმირობით და მას თბილისში სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყო.[31]

ქართველი ქალები იარაღით ხელში მხარში ედგნენ მამაკაცებს და გმირულად იცავდნენ სამშობლოს.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის მეუღლემ მარიამ დედოფალმა ხანჯალი ჩასცა გულში ცარიზმის სატრაპს გენერალ ლაზარევს და მოკლა.

ძველი ქართული ოჯახებიდან მრავალი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ქალი გამოვიდა.

მარიამ-მაკრინე — ერეკლე I-ის ასული — იყო პოეტი, აგრეთვე რედაქტორი და გადამწერი.[32]

სალომე, ერეკლე II-ეს დროინდელი პოეტი ქალია, მაგრამ ის წარმოშობით სამეფო ოჯახს არ ეკუთვნის, მას დაუწერია „ანბანთქება“.33

პოეტები — მარიამი, ქეთევანი და თეკლე ერეკლე II-ეს ასულები იყვნენ. ქეთევანი მონაწილეობას ღებულობდა ბატონიშვილების ბრძოლაში შემოსეული მტრის წინააღმდეგ. თეკლე ირაკლის ასული 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო.

XIX საუკუნეში მოღვაწე ქალებიდან აღსანიშნავია ნინო ჭავჭავაძე, გრიბოედოვის მეუღლე, მაიკო ორბელიანი, მათ სალონებში იკრიბებოდნენ მაშინდელი მოწინავე ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები, პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებთ და მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხებზე.

ეკატერინე ჭავჭავაძე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, წლების განმავლობაში მართავდა სამეგრელოს.

XIX საუკუნის სამოციან წლებში მოღვაწეობდა ბარბარე ჯორჯაძე.

ჩვენ მიმოვიხილეთ მაღალი წრის ქალების მოღვაწეობა-საქმიანობა. სამწუხაროდ, დაბალი წრის ქალების მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ არის შემონახული.

რამდენი ქართველი ქალი გლეხკაცთა წრიდან შეეწირა სამშობლოსათვის ბრძოლას, რამდენი ქართველი დედა მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ პატრიოტული სულისკვეთებით აღეზარდა შვილი, რომ სამშობლოსათვის თავი გაეწირა!

დაბალი ფენების ქალებიდან ჩვენ ძირითადად ზეპირი გადმოცემებით ვიცით.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში გადმოცემის მიხედვით ცხოვრობდა გმირი ქალი, ცხრა ძმა ხერხეულიძეების დედა, რომელიც ბრძოლის ველზე შვილებთან ერთად იმყოფებოდა, და როდესაც სასიკვდილოდ დაჭრილს ერთ შვილს დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ ის მეორე შვილს გადასცა.34

ხალხური გადმოცემით, სამშობლოს მტრების წინააღმდეგ არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინეს ნანა თოთელმა, დარეჯან შილდელმა და სხვებმა.

ერთმა ქართველმა ქალმა, რომელსაც სპარსელებმა ქმარი მოუკლეს, ოთხმოცდაათი სპარსელი იმსხვერპლა.35

1793 წელს, როდესაც მჭადისჯვრის ციხე ლეკებით იყო ალყაშემორტყმული, ერთმა ქართველმა მოხუცმა ქალმა ლეკების სამი ბელადი მოკლა.36

თამარ ვაშლოვანელს ერეკლე II-ეს დროს სამაგალითო ვაჟკაცობა გამოუჩენია. ასევე საყურადღებოა ხალხური თქმულება თინა წავკისელის გმირობაზე.37 მაია წყნეთელი ებრძოდა გარეშე და შინაურ მტრებს, ხალხური თქმულება მას გმირად სახავს.38

ლენინი წერდა: „განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობდნენ მასში ქალები“.39 ლენინის აზრით, „არ შეიძლება მოხდეს სოციალისტური გადატრიალება, თუ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი საგრძნობ მონაწილეობას არ მიიღებს მასში“.40

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ქალმა მართლაც უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. 1905 წლის რევოლუციის დროს მათ მოქსოვეს და შეკერეს პირველი წითელი დროშები, მომდევნო წლებშიც მამაკაცებთან ერთად იდგნენ ბარიკადებზე, ეწეოდნენ აქტიურ მუშაობას იატაკქვეშეთში; არაიშვიათად ქალები გაფიცვების ინიციატორებადაც გამოდიოდნენ, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას, აწყობდნენ დილა-სალამოებს, როგორც რევოლუციური იდეების პროპაგანდის, ისევე პარტიული მუშაობისათვის საჭირო ფულის შეგროვების მიზნით. მათი სახელები ამშვენებს რევოლუციის დიდ მატიანეს. და აქ ძნელია მათი ჩამოთვლა, რადგან ისინი ერთეულები არ იყვნენ. ასობით და ათასობით შეიძლება მათი დასახელება.

სამამულო ომში მრავალმა ქართველმა ქალმა შესწირა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას, ბევრიც სახელმოხვეჭილი დაბრუნდა შინ. მათ გმირულ ღვაწლზე მოგვითხრობს ქსენია ანთიძე თავის ნაშრომში „ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში“.

საქვეყნოდ ცნობილი არიან ჩვენი სპორტსმენი ქალები.

რევოლუციის შემდეგ აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდნენ ძველი თაობის გამოჩენილი მწერალი-ქალები: ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, საფო მგელაძე, მარიამ გარიყული, ანა ხახუტაშვილი, მარიჯანი, დარია ახვლედიანი და სხვები.

ქართული თეატრის ისტორია წარმოუდგენელია ნატო გაბუნიას, მ. საფაროვა-აბაშიძის, ნინო ჩხეიძის სახელების გარეშე.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, გაათავისუფლა ქალი სოციალური ჩაგვრისაგან, გაუთანასწორა ის მამაკაცს და ფართო ასპარეზი მისცა ქალის აქტივობას, მისი შემოქმედების განვითარებას.

ჩვენს სინამდვილეში შეიქმნა შესაძლებლობა იმის, რომ ქალები გამხდარიყვნენ სოციალისტური შრომის გმირები და ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მუშაკები. ჩვენ გვყავს გმირი ქალების მთელი არმია.

მუშა და კოლმეურნე ქალებმა გმირული

შრომით ისახელეს თავი სამამულო ომის დროს.

არაერთი სახელოვანი ქალი იღვწის პარტიულ, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ქართველი ქალი მუდამ მამაკაცის თანაბრად ეწეოდა ჩვენი კულტურული ცხოვრების ჭაპანს. ჩვენი ლიტერატურის ისტორიასაც და დღევანდელობასაც ამშვენებენ მთელი თაობები მწერალი-ქალებისა, რომლებმაც ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შესძინეს ქართულ პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, თუ საბავშვო ლიტერატურას.

ქართველ მსახიობ ქალებს იცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. ასევე ითქმის ჩვენ მეცნიერ ქალებზე, პედაგოგებზე, მხატვრებზე, კომპოზიტორებზე, მოცეკვავეებზე, მომღერლებზე და ა. შ. არ მოიძებნება ჩვენი კულტურული ცხოვრების არც ერთი უბანი, სადაც ქალი ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებელთა პირველ რიგებში არ იდგეს.

## შენიშვნები

1 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ .63.

2 იქვე, გვ. 91-92.

3 იქვე, გვ. 92.

4 იქვე, გვ. 91.

5 „ქართლის ცხოვრება", II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 49, 122.

6 იქვე, გვ. 379.

7 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, III, პ. ინგოროყვას რედ., 1957, გვ. 427.

8 იქვე, გვ. 428-429.

9 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1942, გვ. 160.

10 ანასეული ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის რედ., 1942, გვ. 160.

11 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 250.

12 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 გვ. 84.

13 იქვე, გვ. 80.

14 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 296-297.

15 იქვე, გვ. 297.

16 ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1965, გვ. 95, 172-180.

17 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 24-26.

18 ქართ. ცხ., I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 304.

19 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 237-251.

20 იქვე, გვ. 282-283.

21 იქვე, გვ. 391-402.

22 სასამართლოს განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო (1620 წ.), საქართველოს სიძველენი, II, ექ. თაყაიშვილის რედ., 1909, გვ. 51-61; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 85, 92.

23 ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 87-88.

24 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 419-420.

25 იქვე, გვ. 434.

26 იქვე, გვ. 435-436.

27 იქვე, გვ. 424.

28 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1944, გვ. 23-24.

29 ქართლის ცხოვრებ, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 535.

30 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 441.

31 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეფე გიორგი ცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, 1893, გვ. 12.

32 ლევან ასათიანი, რჩეული ნაწერები, 1958, გვ. 20-27.

33 იქვე, გვ. 28-38.

34 დ. ქორიძე, თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები, 1961, გვ. 6.

35 იქვე, გვ. 8-13.

36 დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, 1891, გვ. 12-13.

37 ანტონ ხინთიბიძე, ქალი ქართულ ფოლკლორში, 1956, გვ. 26-30.

38 ალ. გარსევანიშვილი, გმირი ქალი, მათეყაჩაღად წოდებული, 1915. ქართველი სახალხო გმირები, კრებული შედგენილი ქსენია სიხარულიძის მიერ, 1952, გვ. 49-51.

39 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, 1952, გვ. 208-209.

40 იქვე, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჯავახიშვილი

# ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

## ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერა

**წერილი № 3. ფ. № 1466.** **ტფილისს**
**1932. XII. 19.**

ძვირფასო ბ-ნო ლევკო!

მეოთხე დღეა, რაც წამოვდექი ლოგინითგან. თვე-ნახევარი გრიპოზული ფილტვების ანთებით ვიყავი ავად. მოხუცებულისათვის ეს ავადმყოფობა საბედისწეროა და არა ერთი ჩემზე უფრო ჯანმრთელი უმსხვერპლია, მაგრამ მოულოდნელად ჩემმა გულმა, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინოდა წინანდელი შემთხვევის გამო, ერთხელაც არ მიღალატა და, იმისდა მიუხედავად, რომ ორი კვირის განმავლობაში მარცხენა ფილტვის მთელი ქვედა ნაწილი ანთების პროცესით იყო მოდებული და 38,4° მქონდა, მაჯისცემა 94-ზე მეტი არ მქონია და არცერთხელ არც ქაფური, არც კოფეინი არ დამჭირებია. მაგრამ ანთებით მოდებული არე ძალიან ნელა მცირდებოდა ისე, რომ 5 კვირა მოუნდა ფრკუსის გაქრობას. 7 დეკემბერს ავდექი, მაგრამ 8-ს ისევ ჩაწოლა მომიხდა. ეხლაც ჯერ მთლად გამოკეთებული არა ვარ. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ჩემი ძველი ავადმყოფობა — კოლიტიც ამეშალა და მიჭირებს საქმეს. ამიტომაა, რომ თქვენი წერილის მიღებისთანავე პასუხი ვერ გამოგიგზავნეთ. თქვენი აქ ყოფნის დროს მეც ძალიან მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება, მაგრამ გრიპი ისეთი გადამდები და სახიფათო ავადმყოფობაა, რომ, თქვენ რომ ჩემგან შეგყროდათ, ჩემ მხრივ მიუტევებელი დანაშაული იქმნებოდა, ამიტომ ისე სჯობდა, როგორც მოვიქეცი. ეხლა თქვენ მანდ, საუცხოვო ჰაერში, იმედი მაქვს, სრულებით გამოკეთდებოდით. კარგია, რომ თქვენი წერილი „ძველ-ეგვიპტური სამარულო ეტლის კავკასიური პარალელის“ შესახებ გერმანულად დაგიწერიათ, მაგრამ მაინც გერმანიაში გაგზავნა სჯობდა. თუ ნიორაძე[28] და მაკალათია[29] ახერხებენ გაგზავნის ნებართვის მიღებას, მე მგონია, თქვენც მიიღებდით, მეტადრე შ. ნუცუბიძის დახმარებით, ნებართვას. ვინ იცის, „მოამბე“-ში როდის დაიბეჭდება. ამას გარდა, სად იმ ორგანოს მკითხველთა წრე და სად ს. მ. მოამბის! აქაც იქაური დანაბეჭდი უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა. მაგრამ ამაზე საუბარი ეხლა უკვე ზედმეტია და თავისთავად მოხარული ვარ, რომ ეს წერილი დაგიწერიათ და დასაბეჭდად მიგიციათ. მეორე თქვენი მონოგრაფიული მიმოხილვა კარგად მოგიფიქრებიათ. ცალკე გამოვა, თუ ორგანოში გამოქვეყნდება? აწყობა-ბეჭდვას ვინ ადევნებს თვალყურს, ამაზე უნდა ეხლავე იზრუნოთ, თორემ შესაძლებელია კორექტურული შეცდომებით ისე გააფუჭონ თქვენი ნაშრომი, რომ თვალით დასანახი არ იყოს. — „ბოლოკლდის ნანგრევების“ გამო ატეხილი დისკუსიის დროს გამოთქმული მოსაზრება უცნაურია: სად ოძრხე და სად ვარძია. ამაზეა ნათქვამი: საიდან სადაო, წმიდა საბაო! „მიმომხილველში“ დაბეჭდილი თქვენი გამოკვლევის ბედს „დას. საქართველოს საგლეხო კატეგორიები“-ს შესახებ გამოვარკვევ. „მიმომხილველის“ გამოსვლის საკითხით ბევრნი არიან დაინტერესებულნი.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

კერძოდ მეც და ვფიქრობ, რომ დროა ასე თუ ისე ეს საქმე საბოლოოდ გადაწყდეს. ბრინჯაოს ცულების შესახებ გამოკვლევის საბოლოოდ დამთავრება მანდ, ოძრახუ-ში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ყველაფრის დაწერას, რაც მანდ მოხერხდება, უნდა უეჭველად ეცადოთ. მხოლოდ თქვენ ჯანმრთელობას ძალას ნუ დაატანთ. უნდა ცალ-ცალკე, პატარა ზომის ფურცლებზე სწეროთ ისე, რომ თუ რისიმე შემდეგში ჩამატება, ან წინად დაწერილის გამოცვლა დაგჭირდეთ, ძნელი არ იყოს.30

რაკი უმთავრესი ნაწილი მანდ დაწერილი გექნებათ, ტფილისში რომ ჩამოხვალთ, ერთ-ორ თვეში შეავსებთ და დაამთავრებთ. მე მგონია, რომ ეს შრომა შესაძლებელია სადისერტაციო თემად გამოიყენოთ. რაც უფრო მალე დაიცავთ დისერტაციას, უკეთესი იქმნება. რასაკვირველია, მეც ვფიქრობდი და ვფიქრობ ეხლაც, რომ განახლებულ უნივერსიტეტში თქვენც უნდა შეიტანოთ წვლილი და სწორედ ამიტომაც არის საჭირო, სადისერტაციო ნაშრომი დაამზადოთ და დაიცვათ. ჯერჯერობით რა იქმნება ან ვინ იქმნება, დანამდვილებით, ვგონებ, არავინ იცის. მე, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერს ჩამოშორებული ვარ ისე, რომ მე არაფერი ვიცი, რაც გასაკვირველი არც უნდა იყოს, მაგრამ, ეტყობა, არც სხვებმა იციან რამე, იმისდამიუხედავად, რომ იანვრითგან ეს დაწესებულება უნდა განახლდეს. თუ რაიმე გამოირკვა, გაცნობებთ, მაგრამ შესაძლებელია თქვენ ჩემზე ადრე გაიგოთ კიდევაც, იმდენად ყველაფერს, რაც უნივერსიტეტის გარშემოა, ჩამოშორებული ვარ. ჯერ არაფერი მომსვლია და არ ვიცი, ვიქმნები მოწვეული იქ, თუ არა, მაგრამ, რომც მომივიდეს კიდევაც, ჯერ, სანამ მისი შემადგენლობისა და მესვეურის შესახებ გამოირკვეოდეს რამე, ვერ გადამიწყვეტია, ღირს თუ არა ჩემ მდგომარეობაში მყოფი და ჯანმრთელობის პატრონი ადამიანისათვის იქ დაბრუნება? სისუსტისდა მიუხედავად მუშაობას შევუდგები და მალე დიდ გამოკვლევის31 დამთავრებას განვაახლებ. ჯანმრთელად და მხნედ იყავით: გახსოვდეთ, რომ ცოდნა, ნიჭი და შრომის უნარი ყოველთვის გაიმარჯვებს. ჩვენები და მეც პირადად, თქვენს მეუღლეს და თქვენ გულითად სალამს გიძღვნით. მარად თქვენი მოსიყვარულე

ივ. ჯავახიშვილი.

წერილი № 8. ფ. № 2048. აბასთუმანი, 1933 წ. II.12.

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

ამ წინაზე ფოსტით მოგწერეთ და არ ვიცი მიიღეთ თუ არა. გავიგე სასიხარულო ამბავი, რომ თქვენ კათედრის გამგედ მიგიწვიეს უნივერსიტეტში. ვინ იცის, მართლაც ვეღირსოთ უნივერსიტეტის აღორძინებას.* მე აქ დიდმა მოუთმენლობამ შემიპყრო. ბ-ნი შ. ნუცუბიძე მწერს, რომ აპრილში შეიძლება გერმანელი არქეოლოგები ჩამოვიდნენ სამთავროში სამუშაოდ.32 რასაკვირველია, მეც იქ ვიმუშავებ და იმედი მაქვს, რომ საფუძვლიან პრაქტიკას შევიძენ. სწორე მოგახსენოთ, ბ-ნო ივანე, სანამ პრაქტიკა მაკლია, არქეოლოგად თავს ვერ ვიგრძნობ.

იმედი მაქვს, რომ თქვენ კარგად ბრძანდებით, თუმცა მძიმე ზამთრის გადატანა მოგიხდათ ტფილისში.

გთხოვთ გადასცეთ ჩემგან და ჩემი მეუღლისაგან მოკითხვა თქვენს პატივცემულ მეუღლეს. გისურვებთ კარგად ყოფნას, მარად თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი.

---

* „1928 წლის შემოდგომაზე შედგა თბილისის უნივერსიტეტის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1929-33 წლისათვის)... ეს გეგმა ვერ შესრულდა, ვინაიდან უნივერსიტეტის სტრუქტურაში... მოხდა ნაჩქარევი და გაუმართლებელი ცვლილება". (ს. ჯორბენაძე — „თბილისის უნივერსიტეტი 1918-1968", თბ., გვ. 77). 1929 წლიდან უნივერსიტეტში დაიწყო „სწავლების ე. წ. დამოუკიდებელი აქტუალური მეთოდის ძიება, რაც არსებითად გულისხმობდა ლექციური ფორმის გამოდევნას... ახალი ფორმის ძებნაში დაშვებული იქნა უხეში შეცდომები... პედაგოგიური ინსტიტუტის პროფილი შესაძლებლობას არ იძლეოდა მეცნიერული კვლევისა და სწავლების გაშლისათვის იმ თეორიული სიფართოვითა და სიღრმით, რაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო უნივერსიტეტისათვის... დამატებით სიძნელეს ქმნიდა „მემარცხენე" ელემენტების უტაქტო მოქმედებაც, რის შედეგად ზოგიერთ ცნობილ მეცნიერს ინსტიტუტის დატოვება მოუხდა... უნივერსიტეტის ბაზაზე პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნამ წარმოშვა საფრთხე ფუნდამენტური მეცნიერების დარგში მომუშავე წამყვან ძალთა დაქსაქსვისა და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შეფერხებისა. რა თქმა უნდა, ამ გზით პედაგოგიური ინსტიტუტის შექმნა შეცდომა იყო. ყველაფერი მალე ჩადგა კალაპოტში..." (იქვე, გვ. 78, 79).

**წერილი № 4. ზ. № 1467.** **ტფილისს, 1933. 3.III.**

ძვირფასო ბ-ნო ლეონ!

უნივერსიტეტიდან დღე-დღეზე პასუხის მოლოდინში ეს წერილი ძალზე დამიგვიანდა, რისთვისაც დიდ ბოდიშს ვიხდი. როდესაც ჩემი უ-ტში დაბრუნების საკითხი გადაწყდა და საქ. ისტორიის კათედრის გამგეობა შემომთავაზეს, რექტორის[33] წინადადებით კათედრის შემადგენლობისა და საგნების შესახებ მოხსენება წარვადგინე. მოწვეულ თათბირზე ყველა ამაზე მსჯელობა გვქონდა. საქ. ახალი ისტორია ეხლა შემოერთებულია ჩვენ კათედრასთან და ს. ხუნდაძე[34] კითხულობს. თუმცა თქვენ ეხლა არქეოლოგიაში მუშაობთ, მაგრამ რადგან კერძო ცნობების და მიუხედავად, რომ ნივთიერი კულტურის კათედრაზე, რომლის გამგედაც ნ. მარი[35] ითვლება, მის მოადგილეებად კი ნიორაძე და ჩიტაია[36] არიან, თქვენთვის თითქოს არქეოლოგიის ზოგადი კურსის წაკითხვა უნდა დაეკისრებიათ, მე ეს ცნობა მეეჭვება, ამიტომაც ჩვენი კათედრის საგნების სიაში საქ. სიძველეთმცოდნეობის Altertumswissenschaft-ის კურსიც შევიტანე უფროსი კურსების სტუდენტებისათვის; რაკი სიძველეთმცოდნეობა არქეოლოგიაზე, რომელიც მარტო ნივთიერი ნაშთის შესწავლით მსაზღვრავს თავის ასპარეზს, უფრო ფართოა და წერილობითი წყაროებითაც სარგებლობს და ყოფაცხოვრების საკითხებსაც ეხება, ამიტომ თქვენთვის ეს უმჯობესი იქმნება და დამოუკიდებელი მუშაობის საშუალებასაც მოგცემთ. ჩემი ეჭვი გამართლდა: — თქვენ არ შეუტანიხართ. მე მგონია, ეს გარემოება დიდათ არ შეგაწუხებთ. ჩვენ, ე. ი. კათედრის გამგეთა, შუამდგომლობის შემდგომ აქამდის არავითარი პასუხი არავის არ მიგვიღია. საქმე კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. ამავე დროს მოწინააღმდეგე ჯგუფი,** როგორც ამბობენ, კვლავ ინტრიგების ქსელის გაბმას ცდილობს: დაბრუნებულებს კათედრების გამგეობა უნდა ჩამოერთვათ და მარტო პროფესორებად იყვნენო. ჩემს შესახებ ეს ხმა არ გამართლდა: ამ ერთი კვირის წინათ ოფიციალური ცნობა მომივიდა საქ. ისტ. კათედრის გამგედ დანიშვნის შესახებ, მაგრამ გრ. წერეთელსა[37] და ფ. გოგიჩაიშვილს,[38] ბერძენიშვილსაც[39] მარტო პროფესორობა შესთავაზეს. გრ. წერეთელმა უარი განაცხადა, მაგრამ, როგორც ამბობენ, არ აწყენინებენო. ბენაშვილიც ასევე მოიქცა და ასტრონომიის კათედრის გამგეობა დაუბრუნეს, გოგიჩაიშვილი კი დათანხმდაო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართალია. სანამ კათედრის გამგეების საკითხი არ დამთავრდება, დანარჩენ შემადგენლობის საკითხიც ჯერ არ გადაწყდება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენც დამტკიცებული იქმნებით. მე წრეულს ლექციები არა მაქვს, რადგან სპეც. კურსების წაკითხვა ავიღე, მე-4 და მე-5 კურსზე. ეს გარემოება საშუალებას მაძლევს ჩემი სამეცნიერო მუშაობა შეუფერხებლივ განვაგრძო. თქვენც მე-4 კურსზე გაქვთ და თქვენც შეგეძლებათ დისერტაცია დაბეჭდოთ, დაიცვათ და მომავალი კურსისათვის კარგად მოემზადოთ, მცხეთის გათხრაშიც ინტენსიური მონაწილეობა მიიღოთ. მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ მანდ ყოფნით თქვენი ჯანმრთელობისათვის ისარგებლოთ: თქვენ თავს სამეცნიერო მუშაობით ძალას ნუ დაატანთ, ისარგებლეთ შემთხვევით, ისეირნეთ და მანდაური ჰაერით გაიმაგრეთ თქვენი სხეული. მხნედ იყავით და იმედიანად ნიჭი და ცოდნა ყოველთვის ლაფასდება. იმედია თქვენცა და თქვენი მეუღლე და მშვენიერი ბიჭიკოები[40] კარგად იქმნებით. აქ წრეულს ცხოვრების პირობები ჩემისთანა ავადმყოფისათვის ძალიან ძნელი გახდა, მაგრამ მაინც ადამიანმა გული არ უნდა გაიტეხოს განუწყვეტლივ ვმუშაობ „ქართ. ერის ისტორიის შესავალი წიგნის" დასამთავრებლად, რომლის ბეჭდვის დაწყება მინდა მაისში. მუშაობა კარგად მიმდინარეობს და საკითხა იმდენად მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ მუშაობის შეწყვეტა მეძნელება ხოლმე და ხშირად ღამის 11—12-მდე ვმუშაობ; ამიტომ ძალიან დაღლილი ვარ, თვალებიცა და ხელიც წერისაგან მოქანცული მაქვს. ეხლა კი დროა, რომ საუბარი გავათავოთ... ჩვენები ყველანი გულითად სალამს გიძღვნიან და მეც ყოველგვარ ბედნიერებას გისურვებთ ცოლ-შვილიანად. მარად თქვენი მოსიყვარული ივ. ჯავახიშვილი.

რექტორი ალნიაშვილი ძალიან კარგ, კულტურულ შთაბეჭდილებას ახდენს. ბოდიშს ვიხდი საშინელი ქაღალდისათვის.

**წერილი № 9. ზ. № 2049.** **აბასთუმანი. 1933 წ. მარტის 9.**

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

თქვენმა წერილმა დიდად გამახარა. გადაგიხდით, უპირველესად ყოვლისა, დიდ მადლობას. მე ვეცდები, რომ თქვენი ნდობა გავამართლო, თუმცა ვშიშობ კი, რომ ვაი თუ ამ ახალი და სრულიად უცნობი კურსის დაძლევა გამიძნელდეს. იმედი მაქვს თქვენი დახმარებისა. გან-

** იხ. ს. ჯორბენაძის ზემოთდასახელებული ნაშრომი, გვ. 78-79.

საკუთრებით გამიხარდა ის, რომ თქვენი მიწვევა უნ-ტში და კათედრის გამგედ დანიშვნა ასე დაუბრკოლებლივ ჩატარდა. ეს, მე მგონი, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ ახლად მომხდარი ცვლილება მკვიდრი ხასიათისაა და რომ იგი ნაყოფსაც მოიტანს. ნეტავი მართლა ესე იყოს, რომ მოგვეცეს საშუალება ხანგრძლივი, დაუბრკოლებლივი და ნაყოფიერი მუშაობისა.

სასიამოვნო არაფერია იმ გარემოებაში, რომ ნივთიერი კულტ. ისტორიის კათედრის გამგედ ნ. მარი ბრძანდება. ეგეც კიდევ ერთი საოცრება: რატომ დაიჩემა მაგ დალოცვილმა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის პატრონობა, არ მესმის? ვერც ის გამიგია კარად, თუ რატომ უნდა იყოს ენათმეცნიერება ნივთ. კულტ. ისტორიის შემადგენელი და ისიც მთავარი და მიმმართველი შემადგენელი? ასეა თუ ისე, ერთი რამ ეხლავე ცხადია: ჩემი დისერტაცია მაგ კათედრაზე უნდა დავიცვა ხომ და რახან ეს ასეა, ჩემი ცულები მე აღარ გამომადგება. რასაკვირველია, მე მაგ შრომას დავწერ, მაგრამ სადისერტაციოდ კი არა მგონია რომ გამომადგეს თქვენ მწერთ, ბ-ნო ივანე, რომ ეს შრომა სადისერტაციოდ დავამზადო. მაგრამ თვითონ თემა მიუღებელია ე. წ. იაფეტიდოლოგიური „თვალსაზრისით". იაფეტიდოლოგია მოითხოვს, უპირველესად ყოვლისა, კომპლექსს, მე კი სწორედ კერძო ნივთი მაქვე აღებული დასამუშავებლად. ან იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ მე შემეძლება ჩემი დისერტაციის დაცვა თქვენს კათედრასთან? ეს იდეალური იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს მოხერხდეს, რადგანაც ჩემი თემაც წმინდა არქეოლოგიურია. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, თუ კი მცხეთაში ამ გაზაფხულზე მუშაობა დაიწყო (და ამას კი, მას უკან, რაც მოსკოვურ „იზვესტიაში" ამის შესახებ ცნობა დაიბეჭდა, წინ აღარა უნდა ელობებოდეს რა), რომ მე ამ მუშაობას დავესწრო. ეს ხომ მსოფლიო მნიშვნელობის გათხრაა და სათანადო პასუხისმგებლობითაც იქნება ალბათ ნაწარმოები. მეორე ამისთანა სკოლას როდესმე მოვესწრები კიდევ, ვინ იცის? ამიტომ მე მზად ვარ ყოველგვარ პირობებზე, ოღონდ კი სამთავროს გათხრაში მონაწილეობა მივიღო. „იზვესტიაში" ეწერა, რომ ამ სამუშაოს იწყებს საქ. მუზ. არქეოლოგიური განყ-ობ. ბ-ნ შ. ნუცუბიძესთან მოლაპარაკებული ვარ, მაგრამ თუ ეს საკითხი მუზეუმში გადაწყდა, დიდი მნიშვნელობა ექნება გ. ჩუბინაშვილის სიტყვას.

დიდი ბოდიში შეწუხებისათვის, ბ-ნო ივანე, მაგრამ ისევ თქვენ უნდა გთხოვოთ, რომ პროფ. ჩუბინაშვილს მოელაპარაკოთ ამ საგნის შესახებ. მე თვითონ მივწერ გ. ჩუბინაშვილს...

ტფილისში ცხოვრების პირობები ძნელი უნდა იყოს თქვენთვის. თქვენ მაინც ნირს არ იტეხთ, ბ-ნო ივანე, და ჩვეულებისამებრ განაგრძობთ დაძაბულ მუშაობას. მოუთმენლად მოველით ყველანი საქ. ისტორიის შესავალი წიგნის გამოსვლას, რომელიც, რატომღაც, ისე მგონია, ალბათ ყველა დანარჩენ თქვენს ნაშრომებს გადააჭარბებს თავისი ინტერესით.

მე ეხლა ცოტცოტას ვმუშაობ, მითუმეტეს, რომ ამინდი ისეთია (მარტია), რომ გარეთ არ გაისვლება. მაგრამ ვმუშაობ უმთავრესად თეორიულ დარგებში, ვკითხულობ, სხვათაშორის I de Morgan-ის L'Humanite préhistorique-ს.

წერით რაღაც ჭერჭერობით ვერა ვწერ. ჯანმრთელობის მხრით არა გვიშავს, ყველანი კარგადა ვართ. მადლობას გითვლით თქვენ და თქვენ ოჯახობას მოკითხვისათვის და ჩვენც ჩვენი მხრით სიყვარულით მოგიკითხავთ. გისურვებთ, ბ-ნო ივანე, ბედნიერად ყოფნას.

თქვენი ერთგული და პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი

**წერილი № 10. ზ. № 2050.** **1933. VII.16. (აბასთუმანი).**

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

სამწუხაროდ, ისე წამოვედი, რომ ვერ მოგელაპარაკეთ. წამოსვლის წინა საღამოს კარგად ვერ ვიანგარიშე, ვაპირებდი თქვენთან შემოვლას, მაგრამ დამაგვიანდა. აი რა მინდოდა თქვენთვის მომეხსენებია: ბოდო-კლდის ექსპედიციისათვის[41] ნავარაუდევი 5 ან კიდევ 7 ათასი მანეთის ნაცვლად, ვიშოვე მხოლოდ 2 ათასი. ეს თანხა მეტად მცირეა, ამიტომ მისი მოხმარება წინასწარ მოსაზრებას მოითხოვს. 5 ან 7 ათასით მე ვფიქრობდი ყველა იმ სამუშაოების ჩატარებას, რომლების საჭიროება ეხლავე ნათლად ჩანს; რასაკვირველია, მუშაობის პროცესში შეიძლება ახალი საკვლევო ობიექტები გამოჩენილიყო. აწინდელი ჩემი მცირე თანხით ამგვარი მუშაობის ჩატარება, ცხადია, შეუძლებელი იქნება. ჩემის აზრით, აქ ორი შესაძლებლობაა: 1. შესრულდეს მეთოდურად ერთი ნაწილი მაინც პირვანდელი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოებისა; მაგალითად, შეიძლება ქვემო ბოდო-კლდის მთავარი შენობის ამოწმენდა, მისი კედლებ-საძირკვლების გარემოთხრა და მისი გეგმის სავსებით აღდგენა. 2. ჩატარდეს რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანი საცდელი ხასიათის გათხრა მრავალ ადგილას, მთელი სამოსახლოს რაობის, ან თუნდაც მარტო არქეოლოგიური ღირებულების გამორკვევის მიზნით, ერთდროულად და სწრაფი ტემპით გაითხრებოდა: ა) მთავარი შენობა ორ-სამ ადგილას (საცდელი ორმოები, საძირკვლის გაშიშვლება). ბ) ეკლესიის აკლდამა (ამოიწმინდებოდა მთლიანად), გ) მთავარი „ხეივანი" (გატარდებოდა ღრმა შურფი ნაგებობის გამოსარკვევად). დ) ერთ-

ერთი ბორცვი, რომლის ქვეშ ძველი შენობა მარხია და ე) შენობა № 10, რომლის ნაგებობის წესი გაურკვეველი დარჩა. ვერ გადამიწყვეტია, რომელი მეთოდი უნდა ჩაითვალოს უფრო მიზანშეწონილად. მინდოდა ამიტომ თქვენი აზრის მოსმენა. მუშაობის დაწყებას ვფიქრობ 15 ან 20 აგვისტოს. აბასთუმნიდან გიძღვნით გულითად სალამს თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

**ᲬᲔᲠᲘᲚᲘ № 5. Ფ. № 1468.** ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲡ, 1933. 7.28.

ძვირფასო ბ-ნო ლენკო!

სასწრაფო სამუშაოების გამო აქამდის წერილის მოწერა ვერ მოვახერხე. ამასთანავე ამ სიშორეზე, ზოგიერთი ცნობების უქონლობის გამო გადაჭრილი რჩევა ძალიან ძნელია. თქვენი ნაამბობითგან ველარ მოვიგონე, თუ რომელი შენობაა ყორეთი, უკიროდ ნაგები. საერთოდ თანხის სიმცირის გამო ისეთი ადგილის გათხრას უნდა შეუდგეთ ბოდო-კლდეში, რომლის დამთავრებაც მაგ ფულით შესაძლებელი იქნება და განათხარის შედეგიც საინტერესო აღმოჩნდება. რამდენადაც მახსოვს თქვენი აღწერილობითგან, ასეთი ადგილი მხოლოდ ორი უნდა იყოს: სასახლე, თუ ციხე-დარბაზი და ეკლესია. ეკლესია საინტერესოა უკვე თავისი ვერძის ასო-მთავრული წარწერით და შესაძლებელია იქ სხვა ძველი წარწერებიც აღმოჩენილიყო და საფლავებიც მთელი თავისი ნივთიერი ნაშთით, რაც ისტორიული ხანისათვის ქრონოლოგიურად შედარებით ადვილად დასათარიღებელ ძეგლებს შეგძენდათ. შესაძლებელია რაიმე ჩუქურთმა და ქანდაკებაც აღმოჩენილიყო და მხატვრული თვალსაზრისითაც და ისედაც გარეშე დამთვალიერებლისათვისაც ადვილად შესაფასებელი ძეგლები და ნაშთები გეპოვათ, მაგრამ საფლავების გათხრას, თუ იქ ბლომად აღმოჩნდა, დიდი დრო დასჭირდება და დაუზიანებლივ ამოღებისათვის სიფრთხილე და შესაფერისი იარაღიც, საკონსერვაციო სითხეც აუცილებელია. არ ვიცი, გაქვთ ყველა ეს მანდ, თუ არა? თუ ეკლესია პატარაა და რამდენიმე საფლავია მხოლოდ, მაშინ სულ სხვა საქმეა. სასახლის გათხრა უფრო გაბედულად შეიძლება, რათგან ძნელი დასაჯერებელია, რომ იქ რაიმე ნივთი დატოვებული ყოფილიყო. ამიტომ უმთავრესად შენობის კედლებთან და ხუროთმოძღვრებო ნაგებობასთან გექნებათ საქმე. თუ ძეგლი შედარებით კარგად აღმოჩნდა დაცული, მაშინ ქართ. სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისათვის შესაძლებელია საინტერესო გამოდგეს, რაც უნდა იყოს, ჩვენ მაგნაირი იმდენად ცოტა ძეგლები-ღა გვაქვს გადარჩენილი, რომ სასახლის გათხრაც უეჭველია მნიშვნელოვან შედეგს შეგვძენს. მხოლოდ სამუზეუმო და ჩამოსატანი მოსაპოვარი მანდ ძნელი მოსალოდნელია და ამის გამო აქაური გავლენიანი წრისათვის საჩვენებელი ცოტა რამე გექმნებათ, რასაც მაგ საქმის გაგრძელებისა და დამთავრებისათვის ქონებრივი სახსრების მოსაპოვებლად მნიშვნელობა აქვს. ადგილობრივ თქვენთვის უფრო ადვილი იქმნება იმის გადაწყვეტა, თუ სად და რის გათხრა უფრო ადვილი იქმნება. მაინც მაცნობეთ, რის გათხრას შეუდგებით. გზის, ხეივნის გათხრას მაინც არ გირჩევთ. მე აქ იმოდენა სამუშაო აღმომიჩნდა, რომ ღამის 1 საათამდე მიხდება ხოლმე ზოგჯერ მუშაობა: „საქ. ეკონ. ისტორია"-ზე 5 ასოთამწყობი დააყენეს და ბეჭდვის დამთავრება უნდათ. ამას გარდა, „ქართ. ერის ისტორიის შესავალის" საბოლოო რედაქციაზეც ვმუშაობ და კაიხელად გადასაწერად ვაძლევ ყოველდღე. ამ თვის დამლევს პირველი 10 ფორმის გადაწერილი ტექსტი უნდა ჩავაბარო სახ. გამომცემლობას. ამის გამო ძალიან ვიღლები. საბედნიეროდ, წვიმა და გრილი ქარი წრეულს ხშირია და ტფილისის სიცხე ისე საგრძნობი არ არის და მოუცლელობითვე აიხსნება წერილის დაგვიანება და ასე აშლით და უწესრიგოდ დაწერილობა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. თქვენებს და თქვენ ყველა ჩვენგან გულითადი სალამი.

მარად თქვენი მოსიყვარულე ივ. ჯავახიშვილი.

**ᲬᲔᲠᲘᲚᲘ № 11. Ფ. № 2051.** ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ, 1933-VIII.6.

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

თქვენი წერილის მიღება ძალიან გამეხარდა, მაგრამ იმავე დროს სწორე მოგახსენოთ, ძალიან შევწუხდი კიდეც. როგორ შეიძლება თქვენთვის ამოდენა მუშაობა ამ სიცხიან ზაფხულში? ისედაც ძალზე დასუსტებული ბრძანდებოდით ამ გაზაფხულზე და ეს დასვენების მაგიერია?

შემაწუხა აგრეთვე იმან, რომ თქვენ მოგიხდათ ამოდენა წერილის დაწერა. წარმოდგენილი

მაქვს, რომ არა თუ დასაწერად, წერილის წასაკითხავადაც კი არა გცალიათ. ამიტომ მეც მოკლედ მოგახსენებთ.

ბოდო-კლდის გათხრების დროს მთავარი ყურადღება მინდა მივაქციო „ციკლოპურ“ შენობებს, როგორც უფრო ნაკლებად შესწავლილი ნაშთების ტიპს და მათ შორის ხომ პირველი ადგილი „სასახლეს“ უჭირავს. მაგრამ ერთდროულად მე მინდა ეკლესიის აკლდამაც ამოვწმინდო. თუ საფლავები ბლომად აღმოჩნდა, მე მათ ხელს არ ვახლებ. ამას, როგორც თქვენ იწერებით, ხანგრძლივი და გაცილებით უფრო გულდასმითი მუშაობა სჭირდება, რის საშუალებაც მე ეხლა არა მაქვს. ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია ისევ-ისე დაზვერვა და შენობების ზუსტი გეგმების აღდგენა, რაც, სხვათაშორის, განსახკომში წარდგენილ მოხსენებაშიც აღვნიშნე. არ ვიცი კი, მოვასწრებ ამას 3-4 დღეში, თუ არა, ვინაიდან მეტ ხანს ჩემი თანხა ვერ გასწვდება (თითო მუშა ღირს 20 მან-მდე დღეში, ფოტოგრაფს უნდა მივცე 300 მან-მდე, 150 მან. ალბათ ტეხნიკი დამიჯდება (ჩემის ვარაუდით, ამ შემთხვევაში სწრაფი ტემპი სჯობს, თან მინდა წავიყვანო 8-10 მუშა). წამლებს აქ ვიშოვი, მაგრამ არა მგონია დამჭირდეს.

ამ წინაზე აქ გ. ბოჭორიძე იყო და ფოტოგრაფიულად გადაიღო წარწერიანი ქვები, რომლებიც აქაურ ყოფილ ეკლესიაში აწყვია და იქ აბასთუმნის მიდამოებიდან მოუტანიათ. პალეოგრაფიულად ეს წარწერა მე-10-11-საუკუნისა უნდა იყოს.., არის ორი ბარელიეფიც. ჩემ მიერ გადაღებული წარწერიანი ვერძი გ. ბოჭორიძემ ძლივს გადაარჩინა — თურმე ვარხანელ გლეხებს მაინც დაუდგამთ იგი სოფლის წყაროს თავზე და დიდი ჩხუბის შემდეგ დაუთმიათ. აგვისტოს 15—20-ს მე და გიორგი ვაპირებთ ერთდღიანი ექსკურსიით სატყეოს დიდი ნაწილის მოვლას ძეგლების რეგისტრაციის მიზნით. [24]

მე უკვე საკმაოდ დავისვენე, ცოტას ვმუშაობ. მინდა სექტემბრის 15—20-მდე დავრჩე, თუ ხარჯებს გავუძელი. სხვათაშორის, ბ-ნო ივანე, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს: ჩემს მეუღლეს კარგი, ლამაზი და მკაფიო ხელი აქვს; ეგებ თქვენ შეგეძლოთ მისთვის მოგეცათ გადასაწერად თქვენი შრომები, ჩას შემდგომ რაც ჩვენ ქალაქში დავბრუნდებით? ეს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ საზოგადოდ გასამრჯელოს აძლევთ გადამწერს და თუ ეს უკანასკნელი ვინმე გაჭირებული არაა, რომელსაც ამით ლუკმა პური წაერთმევა.

ბოდო-კლდეში წასვლის წინ კიდევ მოგწერთ.

გთხოვთ ჩვენგან მოკითხვა გადასცეთ თქვენს პატივცემულ მეუღლეს იმედი მაქვს, რომ ოჯახში ყველანი კარგად იქნებით.

გისურვებთ კარგად ყოფნას და დასვენებას.

თქვენი ერთგული ლ. მუსხელიშვილი.

**წერილი № 12. შ. № 2052.** **აბასთუმანი, 1933-VIII-26.**

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

ბოდო-კლდეში წასვლის წინ მოულოდნელად იმდენი სარბენი გამიჩნდა, რომ ვეღარ მოგწერეთ. იმედი მაქვს რომ კარგად გრძნობთ თავს, მიუხედავად დიდი სიცხეებისა და დიდი მუშაობისა. ეს უკანასკნელი დღეები აქაც კი დახუთული ჰაერია და წარმოდგენილი მაქვს მანდ რა პაპანება იქნება.

ბოდო-კლდეში, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ფორსირებული ტემპით მომიხდა მუშაობა. თან მყავდა 10 მუშა. ვმუშაობდით 3 დღის განმავლობაში (ამა თვის 18-20) ინტენსიურად. გავთხარე მთლიანად ერთი პატარა შენობა და დიდი „სასახლეც“ იმდენად, რომ მისი პირვანდელი გეგმა თვალსაჩინოდ შეიცვალა და გართულდა, გავთხარე ის შენობებიც, რომლებიც ეჭვს ბადებდნენ „ციკლოპურ“ ნაგებობათა და ეკლესიის ერთმანეთის მიმართ ქრონოლოგიური დამოკიდებულების შესახებ. მგონი უდავოდ გამოირკვა, რომ ეკლესია ქრონოლოგიურად წინ არ უსწრებს დანარჩენ შენობებს. მთლიანად ქვემო ბოდო-კლდის ფართობი ერთი-ორად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პირველად მეგონა. სასამარხო ვერ ვნახე. ერთადერთი აკლდამა ეკლესიის უკან ამოვწმინდე და, როგორც საფიქრებელი იყო, გაძარცული აღმოჩნდა. გადავაღებინე (საგანგებოდ გამოწვეულ ტექნიკს) მრავალი ჭრილი და გეგმა. კმაყოფილი კი ვარ, მაგრამ აბა 3 დღეში რის გაკეთება შეიძლებოდა? ჩატარებული მუშაობა მხოლოდ შევსებაა იმ წინასწარი დაზვერვისა, რომელიც მოვახდინე 1931 წლის გაზაფხულზე. ბოდო-კლდე ახლა უფრო საფუძვლიანადაა შესწავლილი წინასწარ, სხვა არაფერი. გათხრა ისევ ისე საჭიროა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხების გასარკვევად. არ ვიცი რას მომცემს იმ მცირე ინვენტარის შესწავლა, რომელიც თხრის დროს ამოვიღე, მაგრამ მე ბევრს არას მო-

ველი. ქვემო ბოდო-კლდის გასათხრელად საკმაო იქნება 3 კვირაც, მაგრამ ამასთან საჭიროა მთელი რაიონის შესწავლაც. ამ სატყეოში არის ადგილები, სადაც სამარხებიც მოიპოვება. გზადაგზა ძველი ოძრხიდან ბოდო-კლდემდე (დაახ. 12 კლმ-ია) ბევრი სხვა ნანგრევებიც ვნახე და ისედაც დიდი მასალა შევკრიბე ამ სატყეოს ყველა კუთხისათვის, ისე რომ შეიძლება არქეოლოგიური შინაარსის წერილის დაწერა შემდეგი სათაურით „ძველი ოძრხე და მისი რაიონი“.[43] მაგრამ მას ექნებოდა მხოლოდ წმინდა აღწერითი ხასიათი. ინვენტარი, როგორც აღვნიშნე, მეტად უპოვარია. ერთი რკინის ნივთი, დანარჩენი, ისიც მცირე რაოდენობით, მქისე კერამიკის ნატეხები. თითქმის ყველგან კი, საცა თხრა დავიწყე, მკვიდრ ნიადაგამდე (თიხამდე, რადგან ბოდო-კლდე მართლაც კლდეზე დგას და საძირკველშიც ამიტომ ღრმად არაა) დავდიოდი. ერთ ადგილას „ხეივანიც“ კი გავათხრევინე, მაგრამ იქაც მალე კლდეს წავაწყდით. ერთი საინტერესო ქვა ვნახეთ, რომლის სურათს გაახლებთ.[44] ზედ რაღაც ნიშნები აქვს ამოჭრილი ზურგის გასწვრივ და წინა პირზე... შესაძლებელია, რომ ეს ქვა რაიმე ცხოველის მქისე გამოსახულებას წარმოადგენს და რომ ზემოაღნიშნული ხაზებით მხატვარს სურდა ცხოველის ბეწვი, თვალი და ცხვირი გამოეხატა. მაშინაც მეტად საინტერესო გამოდის ეს ქვა ხელოვნების თვალსაზრისით. მაგრამ ეგებ აქ რაიმე დამწერლობასთან გვაქვს საქმე?

იმ ადგილებს შორის, რომლებიც გზადაგზა დავათვალიერე, არის ერთი (ბოდო-კლდეს დაახლ. $1/2$ კლ-ით დაშორებული), რომელსაც ყაინარ-ყურა ეწოდება. როგორც ნამდვილად გამოირკვა, სწორედ აქედან იყო წამოღებული ის წარწერიანი ვერძი,[44] რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ. ამიტომ, დიდის ინტერესით მივდიოდი ყაინარ-ყურაში და მოლოდინი მართლაც არ გამიცრუვდა. ეს ადგილი ბოდო-კლდეზე არა ნაკლებ საინტერესოა და სიდიდითაც მას თითქმის არ ჩამოუვარდება. აქაც ეკლესიის გვერდით „ციკლოპური“ ნაგებობანი ყოფილა. ეკლესია კი გაცილებით უფრო დიდია ბოდო-კლდის ეკლესიასთან შედარებით. მაგრამ, ამჟამად ისეთ ქაოტურ ნანგრევს წარმოადგენს, რომ მისი ფორმის გამორკვევა შეუძლებელი ხდება. აქაც საინტერესო ორნამენტებია და, სხვათაშორის, ერთი ქანდაკება აღმოჩნდა, რომელიც თან წამოვიღე და დროებით აბასთუმნის ყოფ. ეკლესიაში მოვათავსე. ამ ქანდაკების სურათსაც გიგზავნით. იგი წარმოადგენს მოწითალო ქვიდან გამოკვეთილ, რაღაც ფანტასტიურ კბილებდაკრეჭილი არსების ზედატანს (რომელსაც, სხვათაშორის, ყურები ან რქები ჩამოტეხილი აქვს) და რომელსაც თათებში რაღაც რქოსანი პირუტყვი უჭირავს. ქანდაკება 15 ფუთის სიმძიმისა იქნება დაახლოვებით და, როგორც ქვედაპირიდან ჩანს, იგი თალში ყოფილა ჩასმული.

შეგაწუხეთ, ბ-ნო ივანე, ამ სიგრძე წერილით. მალე განახავთ და პირადათ მოგახსენებთ ყველაფერს უფრო დაწვრილებით. სექტემბრის 20-ამდე ვაპირებ კიდევ დარჩენას.

გთხოვთ ჩემი და ბაიკოს მოკითხვა გადასცეთ თქვენს პატივცემულ მეუღლეს. გისურვებთ კარგად ყოფნას, მარად თქვენი კეთილისმსურველი

ლ. მუსხელიშვილი.

ღ. ბ. № 6 (ფ. № 1469). სურამითგან (ლიბანში), 1934.29.7.

ძვირფასო ბ-ნო ლენკო!

თქვენი ღია წერილი ტფილისში მივიღე, მაგრამ იმოდენა სამუშაო მომახვიეს თავზე უკანასკნელ დღეებში, როგორც გამომცემლობაში, ისევე მუზეუმის თანამშრომელთათვის საექსპოზიციო გეგმაზე[45] მსჯელობის გამო, რომ ღამის 2-3 საათზე ადრე დაწოლას ვერ ვახერხებ. „ფედერაციამ“[46] აქამდის დამაგვიანა, მაგრამ მაინც ბეჭდვის დამთავრება ვერ მოახერხა. უნივერსიტეტის გამომცემლობაში, მოძრაობის ისტორია საქართველოში[47] მთლიანად ააწყეს (5 თაბახამდე), მაგრამ 1 და 2 თაბახი პირველი კორექტურის შემდგომ ჩემგან ხელმოუწერელი დაებეჭდათ, ამასთანავე შეცდომების გაუსწორებლივ, მე იმის გაუქმება და ხელმეორედ დაბეჭდვა მოვთხოვე და იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ. ეხლა კორექტურები აქ მომივა, წამოვიღე წიგნები და ხვალ მუშაობას უნდა შევუდგე. თქვენმა მანდ კარგად მოწყობამ ძალიან გამახარა. უნდა ეცადოთ, რომ ეგ პირობები საუკეთესოდ გამოიყენოთ და გაჯანსაღდეთ: დაისვენოთ, კვებას მიაქციოთ ყურადღება და მანდაური ჰავით ისარგებლოთ. პაპიროსს თავი დაანებეთ. აბა, კარგად და ჯანმრთელად იყავით.

თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

ღ. ბ. № 13 (ფ. № 2053). 34-VII-19.

ძვირფასო ბ-ნო ივანე! მოგიძღვნით გულითად სალამს ლიბანიდან. ჩამოსვლისთანავე უნდა მომეწერა თქვენთვის, მაგრამ ცოტა უქეიფოდ შევიქენი. ლიბანი მართლაც საუცხოვო სამკურნალო ადგილი ყოფილა და ალბათ მალე და საფუძვლიანად მოვიკეთებ. იმედი მაქვს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც და ყველა თქვენებიც კარგად იქნებით. ბოდიშს ვიხდი ფანქრისათვის, მელანი არა მაქვს. მარად თქვენი პატივისმცემელი

ლ. მუსხელიშვილი

**წერილი № 14. ფ. № 2054.** **ტფ. 1935 წლ. III. 31-ს.**

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

ძალიან მერიდება თქვენი შეწუხება ჩემი პირადი საქმისათვის, მაგრამ გარემოება ისეთია, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ დახმარება გამიწიოთ.

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩემთან შემოიარა მუზეუმის ადგილკომმა და შემდეგი, მიროტაძის ხელმოწერილი, ქაღალდი გადმომცა:

„ამონაწერი ბრძანებიდან № 7, საქ. მუზეუმისადმი, 1 მარტი, 1935, § 2.

ვინაიდან არქეოლოგიური განყ-ის უფროსი მეცნ. თანამშრომელი ლევან მუსხელიშვილი უკვე 6 თვეზე მეტია, რაც გადარიცხულია დამზღვევ სალაროს კმაყოფაზე, ამიტომ, თანახმად არსებული კანონისა, განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან ა. წ. 1-ლ მარტიდან.

საფუძველი: შრომის კანონი, თავი შრ. ხელშეკრულების დარღვევა, პუნქტი „ე".

მე თვითონ ვიცოდი, რომ არსებობდა გარკვეული ვადა (მე მეგონა 4 თვე, მაგრამ, როგორც ჩანს, 6 თვე ყოფილა), რომლის შემდეგ სოც. დაზღვევის სალაროს კმაყოფაზე აყვანილი მოსამსახურე პენსიაში უნდა გავიდეს და ამის შესახებ ველაპარაკე ჩემს ექიმს. მე მაძლევს ყოველთვიურ ბიულეტენებს ტფ. ქალ. ტუბ. დისპანსერი, რომელსაც სოც. დაზღვ. საექიმო კომისიის ყველა უფლებები აქვს მინიჭებული. ექიმმა მითხრა, რომ პენსიაში გასვლა სავალდებულო არაა, დამოკიდებულია კომისიის გადაწყვეტილებაზე: თუ კომისია ხედავს, რომ ავადმყოფი ინვალიდად ვერ ჩაითვლება და მას მხოლოდ რამდენიმე თვე სჭირდება კიდევ (დადებული ვადის გარეთ) გამოსაჯანსაღებლად, ავადმყოფი რჩება სალაროს კმაყოფაზე, მას ისევ-ისე ეძლევა თვიური ბიულეტენი და დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს იგი მოხსნას სამსახურიდან.

ახეთ მდგომარეობაში გახლავართ მე, რომელსაც 2 თვეღა მაკლია ჯანმრთელობის დასაბრუნებლად, ივნისში ვიმსახურებ და მერე ხომ მორიგ შვებულებაში წავალ. გარდა იმისა, რომ ჩემი მოხსნა სრულებით უმიზნოა (იგულისხმება, რომ სანამ მე სალაროს კმაყოფაზე ვარ, ჩემი ჯამაგირი ეძლევა ვინმე ჩემს მოადგილეს, ე. ი. არქეოლოგიურ განყოფილებას ჩემი ავადმყოფობით არა უნდა დააკლდეს-რა და აიხსნება მხოლოდ მიროტაძის „კეთილი სურვილებით", იგი უკანონოც გამოდის ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ პენსიაში გასული არა ვარ და ავადმყოფად ვითვლები და არა ინვალიდად, ხოლო ავადმყოფის მოხსნის უფლება ადმინისტრაციას არა აქვს; და მეორეც იმიტომ, რომ ჯერ 6 თვე არ შემსრულებია სალაროს ანგარიშზე გადასვლის შემდეგ. მიროტაძე, ეტყობა, სექტემბრიდან ანგარიშობს, სინამდვილეში კი მე, თუმცა სექტემბერი სანატორიუმში გავატარე, სამაგიეროდ მთელი ოქტომბრის განმავლობაში სამსახურში დავდიოდი და ეს კი უფლებას მაძლევს ნოემბრიდან ვიანგარიშო ჩემი ავადმყოფობის დრო. ამგვარად მე ეხლა მისრულდება მხოლოდ მე-5 თვე სალაროს კმაყოფაზე ყოფნისა.

თავის დროზე, ბ-ნო ივანე, თქვენ ვახტანგ კოტეტიშვილისაც[48] ელაპარაკეთ ჩემს შესახებ და ის შეგპირდათ, რომ მუზეუმის ადმინისტრაცია მოთმინებას იქონიებს. ადგილკომსაც ვუთხარი, ვახტანგთან მოლაპარაკებული ვარ-მეთქი, მაგრამ იმან გამომიცხადა, რომ ვახტანგმა ალბათ არ იცის ეს გარემოებაო, ეს მას სრულებით არ შეეხებაო. არ ვიცი შეეხება თუ არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი ხმა უნდა ჰქონდეს მუზეუმში და მას შეუძლიან, მე მგონია, მიროტაძეს მართებულად აუხსნას ჩემი გარემოება და ეს თავისი ნაჩქარევი „ბრძანება" უკან წაალებინოს. აი ამიტომ გთხოვთ, ბ-ნო ივანე, კვლავ ინახულოთ ვ. კ. და გაახსენოთ მისი შენაპირები. საქმე ისაა, რომ თუ ჩემს ნაცვლად არქ. განყ-ში ვინმე სხვა მოიყვანეს (რაშიც მიროტაძე საზოგადოდ დიდ სიყოჩაღეს იჩენს), მერე უკვე ძნელი იქნება ჩემი აღდგენა და მე ხომ ჩინოვნიკი არა ვარ, რომ დაწესებულებებს ისე ვიცვლიდე, რომ არაფერს ვიმჩნევდე.

დიდი ბოდიში, ბ-ნო ივანე, შეწუხებისათვის. თქვენი მარად ერთგული ლ. მუსხელიშვილი.

აპრილის 3-ს ან 4-ს ვაპირებ ბათუმში და მერე იქიდან გულრიფშში წასვლას. ლ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ბ. № 15. ფ. № 2055. გულრიფში, 1935 წ. IV.17.

ძვირფასო ბ-ნო ივანე!

გულითადათ მოგესალმებით გულრიფშიდან, სადაც კარგ პირობებში მოვხვდი და ვიმედოვნებ მალე გამოვკეთდე. გთხოვთ გადასცეთ ჩემი მოწიწებითი მოკითხვა თქვენს პატივცემულ მეუღლეს. დიდი მადლობა ბ-ნო ივანე, და კიდევ ბოდიში, რომ ჩემი პირადი საქმისათვის მოგიხდათ შეწუხება. თქვენ უნდა კარგათ მოუაროთ თქვენ თავს, იმიტომ, რომ თქვენი სიცოცხლე ჯერ კიდევ დიდხანს და დიდხანს იქნება ჩვენთვის საჭირო. გისურვებთ ჯანმრთელად და კარგად ყოფნას. თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 16. ფ. № 2056. ბოლნისი. 1936 წ. VII.19.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

გუშინ გ. ჩუბინაშვილი იყო აქ, დაათვალიერა ჩვენი სამუშაოები და თავის აზრს გადმოგცემდათ. მაინც ზოგი რამ შეიძლება მე უკეთ შეგატყობინოთ. ტაძრის გარშემო სამუშაოებმა იმდენად წაიწია წინ, რომ მისი პირვანდელი კონტურის მთავარი ხაზები უკვე ნათელია. მაგრამ ჩუბინაშვილი ფიქრობს (და მართალიც უნდა იყოს), რომ გარე კედლების გაშიშვლება ალაგ-ალაგ არ კმარა, არამედ საჭიროა მთლიანად აღება მიწისა, აღმოსავლეთი მხარის გამოკლებით, საცა კედელს ჩამონგრევის საშიშროება მოელის. ტაძრის გამოწმენდა შიგნით თითქმის დამთავრებულია (აუარებელი ნაკელი აღმოჩნდა შიგ), ხოლო გათხრა აქ ჯერ არ დაგვიწყია. გამორკვეულია გალავნის ზღუდის ნაგებობა. [გათხრა] სწარმოებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჩრდილო ნაწილში, საცა ჩაყრილია უკვე 5 საცდელი თხრილი. აქ მოფანტულია სხვა და სხვა შენობების საძირკვლები, რომლების ქვეშ, დაახლოვებით 1-1,5 მტ.-ის სიმაღლეზე თითქმის ყველგან ნაგვიანევი ხანის ქვაყუთები ჩნდება. ეს ქვაყუთების ფენა, რამდენადაც აქამდე ჩანს, 2-2,50 მ-ის სიღრმეზე ჩადის. ნაგვიანევი რომ არის ეს ქვა-ყუთები, იქიდან ჩანს, რომ მათი მდებარეობა ტაძრის ძველი ლიბოს დონეზე მაღლა მოდის. ამასთან, მათი მეტად ღარიბი ინვენტარიც (მქისე კერამიკის ნატეხები, ითთო-ოროლა რკინის თუ რვალის ნივთი) ნაგვიანევ ხანას უჩვენებს. სწორე მოგახსენოთ, ჩემთვის ახალი ამბავი იყო, რომ ჩვენში საშუალო საუკუნეებშიც გრძელდებოდა ქვაყუთების ტრადიცია. სამწუხაროდ, ყველა, ან თითქმის ყველა ეს საფლავები გაძარცული აღმოჩნდა და აგრეთვე სამწუხაროდ, მათ ბევრი დრო დაგვაკარგვინეს ტყუილ-უბრალოდ. მე ველაპარაკე ამის შესახებ ჩუბინაშვილს და ისიც იმ აზრისაა, რომ არ ღირს ამ სამარხებზე შეჩერება — საკმარისი იქნება, თუ თვითეული საფლავის მიწა გავცხრილეთ, სხვა ინტერესი მათ არა აქვთ. ამ შეჩერების გამო მოხდა, რომ აქამომდე უფრო ღრმად ვერსად ვერ წავედით. უძველესი სამარხები კი, უეჭველია, 2-3 მტ.-ით უფრო ღრმად უნდა მდებარეობდეს.

ასეთია ჩვენი გათხრების ვითარება ამჟამად. გ. ჩუბინაშვილმა მითხრა, რომ ფილიალს კიდევ 3.000 მანეთი გამოუყოფია ბოლნისისათვის. გუშინ კიდევ მან 2.000 მან. ჩამომიტანა დმანისის თანხებიდან. აქედან 1.500 მან. ფილიალისაა (თბილისში დავხარჯე დმანისის ხაზით) და ჯერჯერობით ამის ინაბარასა ვართ. რა თქმა უნდა, არც ეს ფული და არც დამატებითი 3.000 მან. საკმარისი არ იქნება გათხრის წარმატებით დამთავრებისათვის. 4.500 მანეთით მე იძულებული ვიქნები მუშაობა შევაჩერო ამ თვის ბოლოს. გარდა იმისა, რომ თანამშრომლებს ყველას დღიურები უნდა დავურიგო, არქიტექტორი და ფოტოგრაფი უნდა გავისტუმრო და სხვ., ბევრი სრულებით გაუთვალისწინებელი ხარჯი აღმოჩნდა (მაგ. ჩარხისათვის, ხარაჩოებისათვის და მისთ.), უნდა კი აუცილებლად გაკეთდეს შემდეგი:

1. სასაფლაო უნდა გაითხაროს ძირამდე 4-5 ტრანშეის საშუალებით მაინც.

2. ტაძარი უნდა მოიწმინდოს გარშემო, თუნდაც აღმოსავლ. ნაწილის გამოკლებით, ვინაიდან აქ დიდი ხარჯები იქნება გასაწევი კედლის შესამაგრებლად.

3. ეზო წკნელით მაინც უნდა შემოიზღუდოს იქ, საცა გალავანი დანგრეულია, რათა საქონელი ეზოში აღარ შედიოდეს (სხვა არა იყოს რა, ტაძრის კედლების გარშემო თხრილებს ხომ აღარ ამოვავსებთ და ეს კი სახიფათოა საქონლისათვის).

4. უნდა გაითხაროს იატაკი ტაძრის შიგნით რამდენსამე ადგილას.

5. ეხლავე უნდა, თუნდაც დროებით, შეკეთდეს ტაძრის სახურავი, რადგან აქ ზოგიერთ ნაპრალებში წყალი ისე ჩადის, რომ მაგ. დასავლეთის კედელი შესაძლებელია სულ მოკლე ხანში მთლიანად გადმოწვეს.

6. კარგი იქნებოდა აღმოსავლეთ კედლის დროებითი შემაგრება ხის ბურჯების საშუალებით.

ამ თვის 31-თვის, იმედი მაქვს, არქიტექტორი და ფოტოგრაფი თავის საქმეს შეასრულებენ, ზემოაღნიშნული სამუშაოები კი დაუმთავრებელი დაგვრჩება. იმისათვის რომ ყველა ეს მოხერხდეს, საჭირო იქნება რომ ფილიალმა დამატებით გამოიღოს კიდევ 5.000 მანეთი მაინც. ამ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ აგვისტოს 9-10-თვის ჩვენ მოვასწრებდით ჩვენი გათხრის დასრულებას ისე, რომ ამას სერიოზული ხასიათი ჰქონოდა.

მე მინდოდა ეხლავე მომეწერა პიჩიკიანისთვისაც ფილიალში, მაგრამ მერე გადავწყვიტე თქვენი პასუხისათვის მომეცადნა. ეგებ 5.000 კი არ მოვითხოვოთ, არამედ 7 ან 10 ათასი? ან ეგებ სჯობდეს, რომ ჯანაშიას მივწერო? მე მგონი, ურიგო არ იქნება, თუ თვითონ ჯანაშია ან პიჩიკიანი გამოისეირნებდნენ ბოლნისში და თავისი თვალით დარწმუნდებოდნენ იმაზე, რომ დოტაცია აუცილებლად უნდა გადიდდეს. ჩვენი მისამართი ასეთია: ბოლნის-ხაჩინი (ლუქსემბურგის რაიონი), არქეოლოგიურ ექსპედიციას. გ. ჩუბინაშვილიც აპირებს ამ დღეებში ხელმეორედ ჩამოსვლას. სასაფლაოზე გათხრა მხოლოდ ეხლა იღებს საინტერესო ხასიათს და თუ რამ იქნა, ხელად გაცნობებთ.

გთხოვთ ჩემგან მოწიწებით მოკითხვა გადასცეთ თქვენებს.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

წერილი № 17. Ფ. № 2057.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით ვერ მოახერხებთ ბოლნისში ფულის გადმოგზავნას და თუ რუსთაველის კომიტეტის ფულების გამოტანა დაგვიანდა, გამოატანეთ 5.000 მანეთი, დაბეჭდილ ჩალათაში, ამის წარმომდგენს, ჩვენს ფოტოგრაფს, იგორ გილგენდორფს, რომელიც ბოლნისში დაბრუნდება ამ თვის 12-ს. რა თქმა უნდა, ხელწერილს ჩამოართმევთ.

გილგენდორფსვე ვატან წერილს ბ-ნ დიტოსთან,[49] თუ ვინიცობაა რუსთაველის ფულები უკვე გადმორიცხულია. რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, გთხოვთ ტელეფონით შეეკითხოთ ბ-ნ დიტოს და შეატყობინოთ მას, ატანთ თქვენ ფულს გილგენდორფს, თუ არა. რესტავრაციას ჯერაც არ შევდგომივართ, ძალიან გაჭირდა მასალის შოვნაც, ხელოსნებისაც. ეზოს გასუფთავება ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ძველი სამარხავები მაინც კიდევ არ ჩანს.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

ბოლნისი, 1936 წლ. VIII.9.

წერილი № 18. Ფ. № 2058.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო ივანე!

... მუშაობა საინტერესოა, სამწუხაროდ მუშები გვაკლია, მხოლოდ 30 კაცი მუშაობს, მჭირდება კი 60 კაცამდე. ნივთები არის: მეტად საინტერესო მოჭიქული კერამიკა არაბული წარწერებით (სამწუხაროდ, მხოლოდ ნატეხები), თამარის ფული (1200 წლ.), მე-XV-ს-ის ფული (1 ცალი) და ჰურჭელი, ზოგიერთი რვალის ნივთი (სამკაულები) და სხვ.

ქალაქის ტოპოგრაფიული გეგმა ძალიან მაკლია. დავიწყოთ კი ქალაქის სისტემატური გათხრა, მაგრამ იქიდან კი, საიდანაც ეს საუკეთესო იქნებოდა, არ ვიცი?

წარწერები ბევრია (მე-XIV და მომდევნო ს-ები); ბევრია არაბულიც (ახლები აღმოჩნდა). ისე რომ გოგი წერეთელი[50] აუცილებლად უნდა ამოვიდეს, ისიც 3-4 დღით მაინც.

უფრო დაწვრილებით მოგწერთ 1-2 კვირის შემდეგ.

თქვენი პატივისმცემელი ლ. მუსხელიშვილი.

დმანისი, 1936 წ. IX-1.

მ ი ნ ა წ ე რ ი.

კაცი არავინ მჭირდება. უფროსი მუშებისა, მენთეშაშვილისა[51] და გაბაშვილის[52] დახმარებით იოლად წავალ, ისე რომ გამოგზავნა აღარავისი საჭირო აღარ იქნება. ლ. მ.

წერილი № 7. Ფ. № 1470. ტფილისს, 1936.9.9.

ბ-ნო ლევან!

ხვალ ელ. ერისთავის[53] მეუღლე თქვენთან ამოვა და იმას ვატან ამ წერილსა და დმანისის ტოპოგრაფიულ რუკებს. დღეს ავდექი. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობამ ამოსვლა შემიფერხა... მქონდა სიცხე 38,5. ძლიერი ტკივილები მაწუხებდა. კიდევ კარგი, რომ ამოდენა დიდი სიცხე აღმომაჩნდა იმ დილას, თორემ წამოსვლას, შეუძლობისდა მიუხედავად, მაინც ვაპირებდი. მერმე გამოირკვა, რომ წყლული გამეხსნა. გზაში ნჯღრევას შესაძლებელია ჩემთვის საბედისწერო

შედეგი მოჰყოლოდა. მაინც მოკეთების შემდეგ ამოსვლას ვაპირებ. გ. წერეთელმა მითხრა, რომ მეთვალყურეთა სიმცირის გამო სამუშაო დღის შემცირებას აპირებთ. მე მგონია, რომ ეს მიზანშეწონილი არ იქნება და საზარალოც არის. უკეთესია მეთვალყურეთა გადიდება. აქ ორ კარგ მეთვალყურეს ვიშოვით. მაცნობეთ და გამოვგზავნი.

რაკი დმანისი იმედსა და მოლოდინს გვიმართლებს, ამიტომ მთელი ჩვენი ენერგია მას მოვანდომოთ და გეგუთის გათხრას იანვრის არდადეგებისათვის გადავდებთ. თუ საქმის უზიანოთ ეს შესაძლებელი იქმნება, სჯობია მეთვალყურეთა რიცხვს უფრო უმატოდ — კიდევაც, რომ ნაპოვნის აღნუსხვა დროულად მიმდინარეობდეს. მანდაური ქ-ლი წარწერები საყურადღებოდ მიმაჩნია და ამოსვლის დროს მათი შემოწმება მინდა. კარიბჭე ლაშა-გიორგის დროინდელი გამოდის და თუ დ. ორბელიანისა და ბართლომეს გადმონალები სწორია, მაშინ მის კარიბჭეს ყოველი მხრივ ზედმიწევნით შესწავლას გამოფენისათვის უაღრესი მნიშვნელობა ექმნება.[54] იმედია, ეხლა კიდევ არაერთი ახალი მონაპოვარი იქმნება. გთხოვთ წერილობითი ცნობა გამომიგზავნოთ უკვე მოპოებულისა და საქმის ვითარების შესახებ. ბევრს სურს მანდ ამოსვლა,მაგრამ ვფიქრობ, რომ საქმის შეუფერხებლივ მიმდინარეობისათვის ჯერჯერობით ემჯობინება რაც შეიძლება ნაკლები მნახველები იყვნენ.

აბა იყავით კარგად და ჯანმრთელად ყველანი და გისურვებთ გამარჯვებას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში.

თქვენი ივ. ჯავახიშვილი.

28 ნიორაძე გიორგი ყაფლანის ძე (1886-1951), არქეოლოგი, პროფესორი, საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგე.

29 მაკალათია სერგო (1893-1974) ეთნოგრაფი, პროფესორი.

30 ამ წესით მუშაობდა თვით ივ. ჯავახიშვილი.

31 იგულისხმება ქართველი ერის ისტორიის შესავალი წიგნები.

32 არქეოლოგები არ ჩამოვიდნენ. 1933 წელს მცხეთა — სამთავროში საქართველოს სახ. მუზეუმმა დაიწყო არქეოლოგიური გათხრები არქეოლოგ ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით. ავადმყოფობის გამო ლ. მუსხელიშვილს გათხრებში მონაწილეობა არ მიუღია.

33 ლევან აღნიაშვილი, პროფესორი, იმჟამად უნივერსიტეტის რექტორი.

34 ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე (1894-1933), პროფესორი, საზ. ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი.

35 ნ. მარი, მიუხედავად მისი განზრახვისა ჩამოსულიყო საქართველოში (სადაც თსუ-ში, 1933 წლის ოქტომბრიდან დანიშნული იყო ენათმეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრის გამგედ), აღარ ჩამოვიდა და საზღვარგარეთიდან პირდაპირ ლენინგრადში გაემგზავრა.

36 ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე — პროფესორი, ეთნოგრაფი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი.

37 წერეთელი გიორგი ფილიმონის ძე (1870-1938), თსუ-ს, პროფესორი, განთქმული ელინისტი, პაპირუსოლოგი, ერთ დროს თსუ-ს ბიბლიოთეკის გამგე.

38 გოგიჩაიშვილი ფილიპე (1872-1950), თსუ-ს პროფესორი, ეკონომიური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში.

39 ბენაშვილი ანდრია (1868-1941), ქართული უნივერსიტეტის პირველი შემადგენლობის პროფესორი. გეოდეზისტი და ასტრონომი.

40 ვახტანგ ლევანის ძე — ინჟინერი. მუშაობს ლენინის სახ. პოლიტექნ. ინსტიტუტში; დავით ლევანის-ძე — ისტორიის მეცნ. დოქტორი, მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

41 ბოდო-კლდის არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების შესახები მასალა იხილე ხელნაწ. ინსტიტუტის ლ. მუსხელიშვილის ფონდში — №№ 56-63. პირველი და უკანასკნელი № წარმოადგენს გათხრების დღიურებს და მოხსენებებს ოძრხის რაიონის არქეოლოგიური დაზვერვისა და გათხრების შესახებ, ეკონომიური მასალით, რუკით, ფოტოებით და ისტორიული ძეგლების მოკლე აღწერით. 1930 — 33 წლებში ლ. მუსხელიშვილი სამკურნალოდ იმყოფებოდა აბასთუმანში, იმ ხანებში მოახერხა ზემოხსენებული სამუშაოს ჩატარება.

42 რაც შეეხება ბოდო-კლდისა და შაინარყურას ირგვლივ (აქაც, წინაც და ქვემოთაც) წერილებში აღნიშნულ ვითარებას, ჩვენი დაინტერესების მიუხედავად ,იყო თუ არა შემდეგში ცდა გაგრძელებულიყო ამ ობიექტების გათხრა, ან რა ბედი ეწია ლ. მუსხელიშვილის მიერ მოპოვებულ ქვის ქანდაკებებს და წარწერიან ქვებს, რომლებიც მან აბასთუმნის ეკლესიაში შეინახა — ამის თაობაზე გარკვეული პასუხი ვერსაიდან მივიღეთ. ფოტოები დაცულია ლ. მუსხელიშვილის ზემოთ დასახელებულ ფონდში.

43 ლ. მუსხელიშვილის არქივში დაცულია ამ წერილის მხოლოდ თეზისები.

44 აღნიშნული სურათების დაბეჭდვა ამ წერილებთან ერთად ვერ მოხერხდა. იხ. ივ. ჯავახიშვილის ფ. № 2052.

45 იგულისხმება საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენა — „კლასთა ბრძოლის უწინარესი საზოგადოება კავკასიაში“ (არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით), რომლის გეგმა ივ. ჯავახიშვილს გადაეცა განსახილველად; ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილმა 1934 წ. 30 მარტს წარუდგინა მუზეუმის დირექციას „წერილობითი მოსაზრება არქეოლოგიური გამოფენის პროგრამის შესახებ“, სადაც პროგრამისა და საექსპოზიციო მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე მოცემულია არსებითი შენიშვნები და მითითებები; იხ. გ. ლომთათიძე — „ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში“ (მიმომხილველი, ტ. 2, 1951, გვ. 1-36).

46 იგულისხმება „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წ. II.

47 იგულისხმება „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII სს“. ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამოც. 1934 წ.

48 ვახტანგ კოტეტიშვილი (1895-1937), ფილოლოგი, იმჟამად მუშაობდა საქართველოს მუზეუმში, ხელნაწერთა განყ-ბაში, ქართული ფოლკლორის დარგში.

49 დიტო (დიმიტრი) შევარდნაძე, მხატვარი, მუზეუმ „მეტეხის“ (აწინდელი საქართველოს სახ. ხელოვნების მუზეუმი) დირექტორი.

50 გიორგი (გოგი) წერეთელი (1900-1937), აკადემიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელი საქართველოში.

51 სტ. მენთეშაშვილი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქართველოს და რუსთაველის მუზეუმების ისტორიის განყ-ბის უფროსი მეცნიერმუშაკი.

52 ციალა გაბაშვილი — არქიტექტორი, შემდეგში მუზეუმ „ვარძიის“ დირექტორი.

53 ელენე ერისთავი (1907-1973) — მუშაობდა გათხრებზე ფოტოგრაფად. მისი მეუღლე გრიგოლ კოსტავა, აგრონომი.

54 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლ. მუსხელიშვილი — „დმანისი“, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 335. ბართოლომეის — დმანისის კარიბჭის წარწერის წანაკითხი, გამოქვეყნებული აქვს ე. თაყაიშვილს — „სომხით-საორბელოს წარწერები — ნაწ. I, გვ. 101-106.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟან შარდენის ცნობები საქართველოზე

მიმდინარე წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროების სერიით გამოსცა ცნობილი ფრანგი მოგზაურისა და კომერსანტის, ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ. ჟან შარდენის ტექსტის თარგმანს წინ უძღვის გამომცემლის, მზია მგალობლიშვილის ვრცელი შესავალი (გვ. 5-83), ასევე, ვრცელი და საფუძვლიანი კომენტარები (გვ. 368-405), რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე და საძიებლები. ამდენად, მკითხველს საქმე აქვს ჟან შარდენის თხზულების უახლეს, მეცნიერულად გამართულ გამოცემასთან, ხოლო ამგვარი გამოცემის აუცილებლობა კარგახანია იგრძნობა ჩვენში. ჟან შარდენის ცნობათა ერთი მცირე ნაწილი 1935 წელს გამოსცა ცნობილმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა, მაგრამ ამ გამოცემას არ შეიძლებოდა სისრულისა და მეცნიერულობის პრეტენზია ჰქონოდა. უფრო ადრე, 1902 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე დაისტამბა წიგნი „შარდენის მოგზაურობა ამიერკავკასიაში 1672-1673 წ. წ.“. ეს გამოცემა შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, დამახინჯებებს, ცალკეულ უზუსტობებს. ასე, რომ, ქართველი მკითხველი შეიძლება მხოლოდ მიესალმოს ჟან შარდენის თხზულების უახლეს გამოცემას, რომელიც მკვლევარმა მზია მგალობლიშვილმა იტვირთა.

ჟან შარდენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ავტორია იმ უცხოელთა შორის, რომელთაც XVII საუკუნის საქართველოს შესახებ ცნობები დაუტოვებიათ. მისმა „მოგზაურობამ“, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. მგალობლიშვილი, უდიდესი როლი შეასრულა „ევროპისათვის საქართველოს გაცნობის საქმეში“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 5). ამასთან, შარდენის თხზულება მდიდარია მისი თანადროული საქართველოს ისტორიის ფაქტებით. ფრანგმა კომერსანტმა იმოგზაურა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, „პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობებით, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და მის წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან“. (გვ. 5). შარდენის ცნობათა სიუხვის გამო, მის „თხზულებას საქართველოს ისტორიის სრული ცნობარის ერთგვარი პრეტენზიაც ჰქონდა და ასეთადაც მიიჩნევდნენ მას როგორც მოგზაურის თანამედროვე, ისე XVIII და XIX საუკუნეების ევროპელი ავტორები“ (გვ. 5).

პუბლიკაციას, როგორც აღინიშნა, წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „შარდენი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“ (გვ. 5-83). გამოკვლევაში საფუძვლიანადაა წარმოჩენილი და შესწავლილი ჟან შარდენის ბიოგრაფია, მისი საქმიანობა, მოგზაურობანი ირანში, წარმოდგენილია შარდენის მოგზაურობათა მარშრუტები.

შარდენი დაბადებულა პარიზში, 1643 წლის 26 ნოემბერს, მდიდარი პროტესტანტი იუველირის ოჯახში. შემდგომში მანაც მამის ხელობა აირჩია და იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე გახდა. შარდენს თავისი დროისათვის შესაფერი კარგი განათლება მიუღია. პირველად აღმოსავლეთის გზას შარდენი 22 წლისა დაადგა, 1664 წელს იგი ინდოეთს გაემგზავრა. ინდოეთიდან ირანს გამგზავრებულა და შაჰის კარზე 6 წელი დაუყვია. აქ იგი აკვირდებოდა ქვეყნის ცხოვრების ყოველ მხარეს, სწავლობდა ენას, ირანის სიძველეებს. ირანიდან საფრანგეთში შარდენი დაბრუნებულა 1670 წელს.

1671 წელს შარდენი მეორეჯერ მიდის ირანში და მიაქვს საიუველირო ნაწარმი, დაკვეთილი შაჰ აბას II-ის მიერ. მეორე მოგზაურობის დროს ფრანგ კომერსანტს უფრო მოკლე გზა აურჩევია. იგი გაემართა ოსმალეთისა და კავ-

* ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1975 წ.

კასიის გავლით. ამ მოგზაურობის დროს განეკუთვნება მისი ვრცელი თხზულება, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი საქართველოს შესახებ. ამ მოგზაურობის დროს შარდენს ახლდნენ მისი პირველი მოგზაურობის თანამგზავრი — რეზენი და მხატვარი გრელო.

1677 წელს შარდენი ირანიდან ინდოეთს გამგზავრებულა, ხოლო 1679 წელს კეთილი იმედის კონცხის გარშემოვლით ევროპაში დაბრუნებულა.

ლუი XIV-ის კათოლიკური საფრანგეთი, როგორც ჩანს ვერ იყო კარგი ასპარეზი პროტესტანტი კომერსანტისათვის და სწორედ ამიტომ ჟან შარდენი 1681 წელს ლონდონში გადასახლდა. მრავალჭირგანცდილი, სახელმოხვეჭილი მოგზაურისათვის ინგლისის მეფე ჩარლზ II რაინდის ტიტული უბოძებია. ჟან შარდენი გარდაცვლილა ლონდონში 1713 წლის 26 იანვარს, 69 წლისა.

მ. მგალობლიშვილი იკვლევს ჟან შარდენის 1671-1679 წლების მოგზაურობის ნამდვილ მიზნებს და ჩვენი აზრით, დამაჯერებლად ასკვნის, რომ შარდენს „ერთგვარად შუამავლის როლი ჰქონდა დაკისრებული ევროპასა და ირანს შორის სავაჭრო ურთიერთობის მოსაგვარებლად“ (გვ. 8); ავტორისავე დასკვნით, ჟან შარდენი ე. წ. „ფრანგული კომპანიის“ აგენტი უნდა ყოფილიყო და არა კერძო ვაჭარი. იგი დაკავშირებული ჩანს ევროპულ სახელმწიფოთა მმართველ წრეებთანაც.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევარი, როდესაც საუბრობს შარდენის მეორე მოგზაურობის მარშრუტზე და, კერძოდ, იმაზე, თუ რატომ აირჩია მან ეს მარშრუტი. შარდენი გამოემგზავრა პარიზიდან, მილანის, ვენეციისა და ფლორენციის გავლით ჩავიდა სტამბოლში, აქედან გემით ყირიმში და ყირიმიდან კი, ისევ გემით საქართველოს, კერძოდ ოდიშის სამთავროს ნაპირს მიადგა. ამის შემდგომ შარდენი ახალციხის, აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის გავლით ისფაჰანში ჩასულა. მკვლევარის აზრით, ეს მარშრუტი შარდენს ირანში პირველად ყოფნის დროსვე შეუმუშავებია (გვ. 9). მართალია, თვით შარდენი არაფერს ამბობს, თუ რატომ აირჩია ეს გზა, მაგრამ მ. მგალობლიშვილის ვარაუდით, მას, როგორც ძველი ისტორიის კარგ მცოდნეს, უეჭველად ეცოდინებოდა, რომ ამიერკავკასიაზე გადიოდა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. გვიან შუასაუკუნეებში ევროპა ცდილობს ამ ტრასის „გაცოცხლებას“ (გვ. 9).

მ. მგალობლიშვილი იმასაც არკვევს, რომ ჟან შარდენს ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს სათანადოდ შეუსწავლია იმ ქვეყნების შესახები მასალები, რომელთა გავლა მას მოუხდებოდა. „ეს განსაკუთრებით მჟღავნდება მის მიერ საქართველოს აღწერისას“ (გვ. 10).

ჟან შარდენის დროინდელ ევროპაში უკვე იყო დაგროვილი გარკვეული ინფორმაცია ქართული პოლიტიკური ერთეულების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისიონერული ლიტერატურა. გარდა თანადროული ინფორმაციისა, შარდენს შეუსწავლია საქართველოს შესახებ არსებული ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ცნობები.

მკვლევარის სწორი შენიშვნით, შარდენი საქართველოში უკვე წინასწარ შემუშავებული აზრით ჩამოვიდა. მთელი მისი თხზულება ტენდენციურობითაა გაჟღენთილი. „ავტორი საგანგებოდ ამუქებს ფერებს, მწვავე დრამატულ იერს აძლევს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ამბებს... ეგზოტიკით გატაცებული, იგი არარეალურ, ფანტასტიკურ თვისებებს მიაწერს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს“ (გვ. 12).

საქართველო, იმ დროისათვის, როცა შარდენი მოგზაურობდა, მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო. შესავალში მკვლევარი კარგად წარმოაჩენს ქვეყნის სავალალო საშინაო და საგარეო ვითარებას. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ განათლებულ ფრანგს ჩვენში ბევრი რამ უცნაურად ეჩვენებოდა.

მიუხედავად ტენდენციურობისა, შარდენის თხზულება უძვირფასესი წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მკვლევარი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ „ქართულ თუ უცხოურ ენაზე იშვიათია ისეთი ისტორიული თხზულება, რომელშიაც XVII საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს ცხოვრება უფრო სრულად იყოს ასახული, ვიდრე ეს შარდენის „მოგზაურობაშია“. სწორედ ამით არის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის შარდენის თხზულება ესოდენ ფასდებული“ (გვ. 18).

ჟან შარდენი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს პოლიტიკური ვითარების აღწერას. იგი ცალ-ცალკე აგვიწერს ქართულ სამეფო-სამთავროებს, მათ გეოგრაფიულ მდებარეობას. იძლევა ცნობებს ქართული ფეოდალური საზოგადოების იერარქიის ორგანიზაციისა და სტრუქტურის შესახებ. შარდენის თხზულებიდან კარგად ჩანს ფეოდალური საქართველოს მწარმოებელი მოსახლეობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. საინტერესოა მოგზაურის დაკვირვებანი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. შარდენი გვიხასიათებს ვაჭრობას ოდიშში, ჩამოთვლის საექსპორტო თუ საიმპორტო საქონელს; საუბრობს ქვეყნის მეტად მძიმე სოციალურ სენზე — ტყვეებით ვაჭრობაზე; აგვიწერს სავაჭრო ცენტრებს. შარდენმა კარგად იცის, რომ ქუთაისი უძველესი ქალაქია და იგი ძველ ბერძნულ წყაროებში

მოიხსენიება. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსული შარდენი აგვიწერს გორს, ალს და სურამს, თბილისს. განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის აღწერა, რომელიც შარდენის სიტყვით ულამაზესი ქალაქია. თბილისში, /შარდენის დაკვირვებით, უამრავი უცხოელი ვაჭარი იყრის თავს. საერთოდ, ამ პერიოდში, ქართლის სამეფო გამოირჩევა როგორც განვითარებული საშინაო თუ საგარეო ვაჭრობით, ისე საერთო ეკონომიური განვითარებითა და ყოფაცხოვრების შედარებით ნორმალური რეჟიმით. შარდენი იცნობს კახეთსაც და მისი დასუსტების მიზეზად ჩრდილოკავკასიელი ტომების შემოსევა მიაჩნია.

ფრიად საინტერესოა ჩვენი მოგზაურის ცნობები ქართველთა სამეურნეო ყოფის სურათის აღსადგენადაც. ფრანგი მოგზაური საუბრობს ქართულ ღვინოზე, ვაზის მოვლის, ღვინის დაყენების წესების შესახებ და ა. შ.

ჟან შარდენის არაერთი ცნობა შეეხება სასამართლოსა და სამართლის წარმოებას, სამშენებლო საქმეს, ეკლესიის ვითარებას და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნში დაბეჭდილია იტალიელი მისიონერის ჯუზეპე მარია ძამპის თხზულება, რომელიც მან ოდიშში მყოფ ჟან შარდენს გადასცა გამოსაქვეყნებლად. ჯუზეპე ძამპი ოდიშის კათოლიკური მისიონის პრეფექტი იყო და ამიტომაც მას ყურადღება ძირითადად რელიგიურ საკითხებზე ჰქონდა გამახვილებული. იგი დაწვრილებით აღწერს საქართველოს ეკლესიებს, წმინდა რელიქვიებს, ხატებს, მათ შემკულობას. შარდენის და ძამპის ცნობები „ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს და XVII საუკუნის სხვა უცხოელ ავტორებთან შედარებით უფრო სრულად წარმოგვიდგენენ საქართველოში არსებულ ვითარებას“ (გვ. 17).

ჟან შარდენის თხზულება თარგმნილია კარგი ქართულით და სიამოვნებით იკითხება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვრცელი შესავალი სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. შესავალში გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება. მკვლევარი მ. მგალობლიშვილი არ სჯერდება შარდენის ცნობების უბრალო ჩამოთვლას, აჯერებს მას სხვა ქართულ, ევროპულ თუ აღმოსავლურ წყაროებთან, ფართოდ იყენებს ისტორიოგრაფიულ მიღწევებს, მთელ რიგ შემთხვევაში გვაძლევს შარდენის ცნობების ახლებურ ინტერპრეტაციას. ცალკეა აღსანიშნავი კომენტარები (397 შენიშვნა), რომლებშიც მკვლევარის არაერთი საყურადღებო დაკვირვებაა მოცემული. ეს სარეცენზიო წიგნის ამ მონაკვეთს გამოკვლევის ღირებულებას ანიჭებს.

გვაქვს მცირეოდენი შენიშვნებიც: სიმონ გურიელი (47 გვ.) დასახელებულია მალაქია გურიელის ძედ. სიმონ გურიელი იყო არა მალაქიას, არამედ მამია გურიელის ძე.

არაა სწორი მკვლევარის აზრი, თითქოს ლევან II დადიანს უთუოდ ჰქონდა იმერეთის ტახტის დაკავების შესაძლებლობა (გვ. 49).

ლევან III დადიანის მეუღლე შენიშვნა 210-ში იწოდება ალექსანდრე იმერთ მეფის შვილად, შენიშვნა 236-ში კი ვახტანგ V-ის ძმისწულად. ცხადია, სინამდვილეს შენიშვნა 236-ე შეეფერება.

სარეცენზიო წიგნის შესავალსა და კომენტარებში შეიმჩნევა ზოგიერთი უზუსტობა თარიღების დასახელებისას. ეს, როგორც ჩანს, უფრო ტექნიკური ხასიათის შეცდომებია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს. ასე, მაგალითად, ნესტან-დარეჯან ჭილაძის გარდაცვალების თარიღად დასახელებულია 1635 წ. (გვ. 387, შენ. 221). უნდა იყოს — 1639 წ. სიმონ ქართლის მეფის ტყვედ ჩავარდნის თარიღად აღნიშნულია 1660 წ. (!). სასურველი იყო კორექტურა უფრო გულდასმით ყოფილიყო წაკითხული, წიგნს კი შემჩნეული შეცდომების გასწორება დართოდა.

უმჯობესი იქნებოდა ამა თუ იმ ისტორიული პირის სახელი გვეხმარა იმ ფორმით, როგორც მათ სამშობლო ქვეყნებში მოიხსენიებენ. მე-7 გვერდზე დასახელებულია ინგლისის მეფე კარლოს II. უნდა იყოს ჩარლზ II. პოლონეთის მეფე იოანე კაზიმირი (გვ. 73), იან კაზიმირია. ოდიშის მისიონის პრეფექტი იყო ჯუზეპე მარია ძამპი. სარეცენზიო წიგნში იგი იოზეფ ძამპად იხსენიება.

სარეცენზიო წიგნში ერთმანეთის პარალელურად იხმარება ტერმინები ირანი — სპარსეთი, თურქეთი — ოსმალეთი, სამეგრელო — ოდიში. უმჯობესი იქნებოდა შესავალსა და კომენტარებში ამ მხრივ ერთგვაროვნება ყოფილიყო დაცული.

ძირითადად კარგი ქართულით დაწერილ და თარგმნილ წიგნში აქა-იქ შეიმჩნევა ენობრივად და სტილისტურად გაუმართავი ადგილები. ვერ არის მარჯვე გამოთქმა: „...პაპუნა ზარბაზანში ჩაატენინა“ (გვ. 48). ან კიდევ ასეთი აბზაცი: „თუ ჩვენს მოგზაურს დავუჯერებთ, ნადირობა და ნანადირევი ხალხის ერთ-ერთი მთავარი საარსებო წყაროა. სამეგრელოში ევროპისათვის უცნობი მრავალი ფრინველია. ნადირობენ შევარდენით, მიმინოთი, ძაღლებით. იგი აღწერს ნადირობის ხერხებს. აღმოსავლეთ საქართველოში ნადირი შესანიშნავი და მრავალნაირია. მტკვარში იჭერენ თევზს“.

წარმოდგენილი შენიშვნები ოდნავადაც ვერ ამცირებენ სარეცენზიო წიგნის ღირსებებს. ჟან შარდენის თხზულების ქართულად გამოცემა მეტად საჭირო და კარგი საქმეა. მას სიამოვნებით წაიკითხავს საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკითხველი.

**ილია ანთელავა.**

б 33/134

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ